ნუნუ ლალიაშვილი

სიტყვიერი ხელოვნება

ბათუმი
2010

ავტორი და შემდგენელი

ნუნუ დალაქიშვილი

(წიგნში გამოყენებულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საარქივო მასალა)

რედაქტორები:

ნანა სუხიტაშვილი

მერაბ ცაგარეიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ნანა ესართია

მავრა ბანცური

© ნუნუ დალაქიშვილი

ISBN 978-9941-0-2936-3



დაუვიწყარი ხმები

ოთხმოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეთერში პირველად გაისმა სიტყვები: „ლაპარაკობს თბილისი“ და რეგულარული მაუწყებლობა დაიწყო საქართველოს რადიომ.

ელდარ იბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოჟურნალისტიკის კათედრის პროფესორი

ამ ხნის მანძილზე იგი ყოველი ოჯახის მუდმივი თანამგზავრი იყო. ამავე დროს, ერთგულ ქომაგად ედგა გვერდში ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, ხელს უწყობდა ქართული ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ზერელე გაცნობა რადიოს უმდიდრესი აუდიოფონდისა, რომელიც ფაქტობრივად XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ხმოვან მატიანეს წარმოადგენს.

ეს ფონდი უფრო ადრინდელ ჩანაწერებსაც მოიცავს, მაგრამ არსებითად მისი ჩამოყალიბება იწყება 1946 წლიდან, როცა საქართველოში შესაძლებელი გახდა მხატვრული თუ დოკუმენტური ნაწარმოებების მაგნიტურ ფირზე ჩაწერა, შენახვა და მრავალგზის გამოყენება. დღეს საქართველოს რადიოს პროგრამების უდიდესი ნაწილი (პირველ რიგში მუსიკა, თეატრი, ლიტერატურა) იმ ჩანაწერებს ემყარება, რომლებიც ათეული წლების მანძილზე არის შექმნილი და ფონდში შენახული. 60 წლის მანძილზე საქართველოში არ ყოფილა რამდენადმე ცნობილი არც ერთი მწერალი, მუსიკოსი, მსახიობი თუ სხვა ხელოვანი, არც ერთი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომ ყურადღების მიღმა დარჩენილიყო, არ შექმნილა არც ერთი ლიტერატურული, მუსიკალური თუ თეატრალური ნაწარმოები, რომ მაგნიტურ ფირზე არ აღბეჭდილიყო (თუნდაც ფრაგმენტის სახით). ამ ჩანაწერებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი, რომელთა ღირებულება სცილდება საკუთარი დროის ფარგლებს და მუდმივ ინტერესს იწვევს, რომელთაც შთამომავლობას შემოუნახეს სახელოვან მამულიშვილთა ნააზრევი და ნათქვამი. ესაა ე.წ. იშვიათი ჩანაწერების ფონდი, რომელსაც ხატოვნად „ოქროს ფონდს“ უწოდებენ. ამგვარი მეტაფორა გადაჭარბებად არ მოგვეჩვენება თუ გავიხსენებთ, რომ იგი მოიცავს აკაკი წერეთლის, ვანო სარაჯიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, ივანე ბერიტაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და მრავალ სხვათა ჩანაწერებს (აღარ ჩამოვთვლით თეატრისა და მუსიკალური ხელოვნების კორიფეთა სახელებს).

„ოქროს ფონდი“ საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის ორგანული ნაწილია და მისი გაცნობა აუცილებელია ფართო საზოგადოებისთვის. ამ მიზნით ჯერ კიდევ წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს რადიოს პროგრამაში ყოველთვის იყო სპეციალური რუბრიკები: „ჩვენი უნიკალური ჩანაწერები“ (1963, 1964), „დაუვიწყარი ხმები“ (1965), „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ (1970-2004), “უნიკალური“ (1998-1999) და სხვ. საფონდო ჩანაწერები არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა აგრეთვე მიმდინარე გადაცემებშიც. მაგრამ დღეს, როცა საქართველოს რადიოს (ახლანდელი საზოგადოებრივი მაუწყებლის) პროგრამები წინასწარ არსად ქვეყნდება, ძნელია არამარტო კვირის, არამედ დღის მრავალსაათიან პროგრამაშიც 5-წუთიანი (გნებავთ, 15-წუთიანი) უნიკალური საფონდო ჩანაწერის პოვნა. ამიტომ, გულწრფელად მივესალმები ჟურნალისტ ნუნუ დალაქიშვილის დიდი შრომითა და მონდომებით შექმნილი წიგნის „საუკუნის ხმები“ გამოცემას, რომელიც საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდის ერთ მცირე ნაწილს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერები უწინარესად მოსასმენად არის განკუთვნილი, მიზანშეწონილია, რომ იგი ნაბეჭდი სახითაც მიეწოდოს აუდიტორიას. მით უმეტეს, რომ ჩვენი ოთხმოცდახუთწლიანი რადიოს შესახებ დღემდე თითქმის არაფერია გამოცემული და ფართო საზოგადოებამ ცოტა რამ თუ

იცის მის დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე.

ნუნუ დალაქიშვილი ჯერ კიდევ საქართველოს რადიოში მუშაობისას დაინტერესდა ამ საქმით. იგი როგორც რადიოს ფონდის საკვლევ-საძიებო ჯგუფის რედაქტორი გულდასმით სწავლობდა ამ ჩანაწერებს და 2000-2002 წლებში სისტემატიურად აქვეყნებდა მათ ბეჭდურ ვარიანტებს რადიო-ტელევიზიის გაზეთ „2X2"-ში (გაზეთის რედაქტორი იყო მიხეილ მჭედლიძე. ხსენებულ წიგნში სწორედ ამ გაზეთში დაბეჭდილი მასალებია თავმოყრილი). სამწუხაროდ, დღეს ეს გაზეთი აღარ გამოდის და მხოლოდ ასეთი ცალკეული გამოცემებით თუ მოხერხდება არსებული ხარვეზის გამოსწორება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საქმიანობა ერთი წიგნით არ დასრულდება. საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში მრავალი ასეთი საინტერესო მასალაა დაცული და თავის მკვლევარსა და დღის სინათლეზე გამოტანას ელოდება.

ეს ადამიანები სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ტელე თუ რადიომაუწყებლობას. მათი ხელის შეწყობითა და მაღალპროფესიონალობის წყალობით შეიქმნა მრავალი საინტერესო გადაცემა, ფილმი, ტელე თუ რადიოსპექტაკლი, რომლებიც დღესაც ამშვენებენ საქართველოს ტელე და რადიოს უნიკალურ ფონდს.

ესენია: პეტრე შამათავა, ივლიტა მესხიშვილი, სიმონ დოლიძე. ნუგზარ ფოფხაძე, მიხაილ ხანუკაევი, ნიკოლოზ ტოლკუნოვი, ანტონ კელენჯერიძე, დიმიტრი კიკვაძე, არმაზ სანებლიძე



ანზორ გელაშვილი

პირველკურსელებო, გილოცავთ სტუდენტობას!

გთავაზობთ „თეთრი ტაძრის ქურუმების“ დალოცვა-დარიგებას! 1968 წელს ჩანაწერი „ოქროს ფონდისათვის“ მოამზადა რადიოჟურნალისტმა **ანზორ გელაშვილმა**.

მაშ ასე, 1968 წლის 1 სექტემბერია; უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია №104; აქ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები შეკრებილან. ცნობისმოყვარეობით ელიან ახალბედა სტუდენტები პროფესორების გამოჩენას... და აი, ისინიც: აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ბარამიძე, პროფესორები: აკაკი ურუშაძე, ქსენია სიხარულიძე, ქეთევან ლომთათიძე, გიორგი შალამბერიძე, ანდრო ჭილაია; დოცენტები: ივანე გიგინეიშვილი და გრიგოლ გამსახურდია.

პირველკურსელებს ესალმება პროფესორი **ქსენია სიხარულიძე**:

– ძვირფასო ახალგაზრდებო, სულითა და გულით გილოცავთ სტუდენტის საპატიო წოდების მოპოვებას და გისურვებთ ამ სახელის ღირსეულად ტარებას!

მესამე ათეული წელია ვასწავლი უნივერსიტეტში და ყოველთვის მღელვარებით შევდივარ აუდიტორიაში. მე ყოველთვის მაღელვებს ახალგაზრდების ცოდნის წყურვილითა და ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალები. მე ახლაც ვღელავ.

მე იმ თაობის მეცნიერებს ვეკუთვნი, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება მოესმინათ ლექციები მეცნიერების კორიფეების: ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიასი და სხვების.

რა დამავიწყებს მათ დიდ ამაგს!

ყოველთვის მოკრძალებით შემოვდივარ უნივერსიტეტში!

ჩემთვის მარად დაუვიწყარია ის, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი, როდესაც უნივერსიტეტის ზღურბლთან მოვიდოდა (რაც არ უნდა სუსხიანი და ცივი ამინდი ყოფილიყო), მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე ჯანმრთელი იყო, ქუდმოხდილი, მოწიწებით ამოივლიდა აღმართს და ასე შემოდიოდა უნივერსიტეტში.

არასოდეს დამავიწყდება ისიც, რომ კორნელი კეკელიძე ლექციაზე ყოველთვის ოცი წუთით ადრე მოვიდოდა და ეს ყველა პედაგოგს დისციპლინას გვაჩვევდა.

სტუდენტებო, პირველკურსელებო! გისურვებთ, რომ ის დიდი მოვალეობა ცოდნის დაუფლებისა, მეცნიერების დაუფლებისა, პირნათლად შეგესრულებინოთ!

ანზორ გელაშვილი – ჩვენი მიკროფონი უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ **სერგო ჯორბენაძის** კაბინეტში დგას:

– წელს ორმოცდამეთერთმეტე-ჯერ გაუღო უნივერსიტეტმა კარები თავის ახალ წევრებს. 2700-ზე მეტი ახალგაზრდა გახდა წელს სტუდენტი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულია ჩვენთვის.

ამ საიუბილეო დღეებში გაიხსნება უზარმაზარი 14-სართულიანი კორპუსი, რომელსაც ახალი თაობა აავსებს.

ალბათ, იუბილის აღნიშვნის გზა, სწორედ ეს არის. ვუსურვებთ, ღირსეულად გაეგრძელებინოთ ის საქმე, რომელიც შექმნა ივანე ჯავახიშვი-

ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, პაატა გუგუშვილი და სხვ.

ლის სიბრძნემ, ააყვავა, წარმოაჩინა, წინ წასწია ქართული ეროვნული მეცნიერება.

გიორგი ახვლედიანი

აკადემიკოსი **გიორგი ახვლედიანი:**

– ახალგაზრდებო, ჩვენო იმედო, ჩვენ, მოხუცებს დიდი გამოცდილება გვაქვს მიღებული ცხოვრებაში. გვინახავს და ბევრი რამე გადაგვიტანია, მაგრამ ახლა ძალა აღარ შეგვწევს, კვლავინდებურად ვიმუშაოთ, თქვენ კი ძალღონე გაქვთ და, ჩვენოდენა გამოცდილება არა. თქვენი შემართება, ძალღონე და ჩვენი გამოცდილება, აი, ორი მძლავრი ბერკეტი ცხოვრების გასაუმჯობესებლად! ჩვენი დიდი მიზნების მისაღწევად!

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი თაობის თაოსნობით გაიხსნა უნივერსიტეტი, თქვენ ბედნიერები ხართ, რომ შეგიძლიათ იაროთ, ჩვენი გაკვლეული ბილიკებით და აღარ გაიმეოროთ ჩვენი შეცდომები.

ჩვენ, მოხუცებს გვინდა, რომ თქვენ არჩევდეთ ბოროტს კეთილისაგან და მოქმედებდეთ მთელ თქვენ ცხოვრებაში კეთილი გულითა და კეთილი აზრით, კეთილი სიტყვითა და კეთილი საქმით.

ესაა, რომ ამშვენებს ადამიანის ცხოვრებას, როგორც პირადს, ისე საზოგადოებრივს; ერიდეთ სიავესა და ბოროტებას, მტრობასა და ღვარძლიანობას. ესაა, რომ უწამლავს ადამიანს სიცოცხლეს!

ერიდეთ სიმრუდეს და ტყუილს, ჭორსა და სიცრუეს, ესაა, რომ არცხვენს, ლაფში სვრის ადამიანის, პიროვნების ღირსებას.

სიმონ ყაუხჩიშვილი

აკადემიკოსი **სიმონ ყაუხჩიშვილი:**

– ძვირფასო ყმაწვილებო და ქალიშვილებო! უკვე რამდენიმე წელია, რაც მე მერვე ათეულ წელიწადში გადავდექი. მიმაჩნია, რომ სიცოცხლის გზა უწყვეტელია; ჩვენი ახალგაზრდობა, ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაა!

დამერწმუნეთ, თუ ყოველი დღე უაზროა, – ეს იწვევს ადამიანში დიდ უკმაყოფილებას!

ქვეყნისათვის თავდადებული სამსახური აამაღლებს კაცს სულიერად. უმსუბუქებს ცხოვრების ჭირ-ვარამს!

ყოველ კაცს სჭირდება საყრდენი! რა შეიძლება იყოს სამშობლოზე უფრო კარგი საყრდენი, შენს მშობლიურ ხალხზე უფრო საიმედო!

სწავლა იმიტომ უნდა გინდოდეს, რომ სამშობლოს გამოადგე; იშრომო იმისთვის, რომ შენს მშობელ მიწას ემსახურო! მხოლოდ მაშინ შეგერგება შენი ოფლით ნაშოვნი ლუკმა! ...

კორნელი კეკელიძე

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე:

–ახალგაზრდობავ! 80 წლის ასაკის მწვერვალიდან მოგესალმები! გისურვებ წინსვლას ცხოვრებაში და ყოველგვარ ბედნიერებას!

თქვენ მოგმართავთ ადამიანი, რომელიც 55 წლის მანძილზე მუშაობდა მეცნიერებაში. თქვენ ძვირფასებო, ჩვენზე უკეთესი პირობები გაქვთ სწავლა-განათლების მიღებისთვის! იმისთვის, რომ გამოხვიდეთ ღირსეული შვილები სამშობლოსი, მოყვარული მშობლიური მიწა-წყლის, სასარგებლო ადამიანი არა მარტო თქვენი სამშობლოსი, არამედ მთელი ქვეყნიერებისაც!

ისწავლეთ, იმუშავეთ, ნუ შეარცხვენთ მამა-პაპათა სახელს!

მცირე ექსკურსია წარსულში

1918 წლის დასაწყისისთვის პროფესორების შემადგენლობა 18 კაცს ითვლიდა, ხოლო 1918 წლის მაისში უნივერსიტეტში 386 სტუდენტი ირიცხებოდა... ამჟამად თსუ-ში რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს.

პატარა ნაკადული იქცა მდინარედ, რომელიც მსოფლიოს უნივერსიტეტთა რუკაზე ჯეროვნად აისახება.

საქართველოს ავტონომიის საკითხი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა... და ამიხთვის მოკლეს იგი

„ილია ჭავჭავაძის მკვლელობა არ ეკუთვნის რომელიმე კონკრეტულ დროსა და ადგილს, ის საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის ტრაგედიას წარმოადგენს“ – ასე იწყებდა თავის გადაცემას ჟურნალისტი **გოჩა ბერია** 1995 წელს და საპატიო სტუმრად მიწვეული ჰყავდა მწერალი აკაკი ბაქრაძე, რომელიც თავის დამოკიდებულებას აცნობდა რადიომსმენელებს; ვფიქრობთ, ეს მართალი სიტყვა დღესაც საინტერესო და საგულისხმოა.

აკაკი ბაქრაძე

აკაკი ბაქრაძე – მაშინ საქართველოში გარკვეული ვითარება არსებობდა, რომელიც ალბათ, როგორც ქართულ მხარეს, ისე რუსეთის იმპერიას ძალზე აინტერესებდა: ეს გახლდათ – საქართველოს ავტონომიის საკითხი.

საქართველოს ავტონომიის საკითხი ძალიან აქტუალურად იყო დასმული და მას საქართველოში ბევრი მომხრე ჰყავდა. თვითონ თავად-აზნაურობა იყო ამის მომხრე, სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი წევრი, და ბუნებრივია, ქართული საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მუშაობდა და საქმიანობდა.

თავად იდეა ავტონომიისა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და მერე ის არჩილ ჯორჯაძემ და მისმა ჯგუფმა კიდევ უფრო მეტად განავითარა და ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდა აზრი, რომ: თუ ამ ეტაპზე საქართველო მიიღებდა ავტონომიას, მას საფუძველი შეექმნებოდა ავტონომიური, საკუთარი სახელმწიფო ჩამოეყალიბებინა და მერე თანდათანობით წავიდოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ.

ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ნაწილი ქართული სოციალ-დემოკრატიისა, რომელისთვისაც მისაღები არ იყო ეს ავტონომია. ისინი თვლიდნენ, რომ: თუ საქართველო მიიღებდა ავტონომიას და საქართველოში ავტონომიური ხელისუფლება შეიქმნებოდა, საქართველოს რევოლუციური მოღვაწეობა მოწყდებოდა მთელი იმპერიის მოძრაობას, იმდენად დასუსტდებოდა ეს მოძრაობა, რომ არც რუსეთისთვის იყო ეს მისაღები, რადგან პროლეტარულ რევოლუციას, საქართველოს სახით, გამოაკლდებოდა ერთი მძლავრი ნაკადი. გარდა ამისა, საქართველოს ავტონომია შეიძლებოდა მისაბაძი გამხდარიყო, დავუშვათ, სომხეთისათვის, აზერბაიჯანისათვის და სხვა კოლონიებისათვის.

იმ პერიოდის რუსეთის კოლონიებიდან ავტონომიის უფლება ჰქონდათ მხოლოდ პოლონეთსა და ფინეთს. საქართველო იქნებოდა მესამე, რომელიც ამ უფლებას მიიღებდა და ამდენად შეიძლება ამის მსურველები გამრავლებულიყვნენ და, აქედან გამომდინარე, დაიშლებოდა რევოლუციის ერთიანი, მთლიანი ნაკადი.

სწორედ ამის საწინააღმდეგოდ, ქართული სოციალ-დემოკრატიის დიდი ნაწილი ებრძოდა ავტონომიის იდეას, და განსაკუთრებით, ამ მიმართულებით აქტიურობდა, როგორც ბოლშევიკური, ასევე მენშევიკური ფრთა და საერთოდ, 1917 წლამდე ქართული რევოლუციური მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული ხასიათის მოძრაობასთან ერთად იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთში კამათობდნენ, ერთნი რუსულ მენშევიზმს უჭერდნენ მხარს და მეორენი – რუსულ ბოლშევიზმს...

იმის გამო, რომ ეს მძლავრი ავტონომიური მოძრაობა შეეფერხებინათ, ჩაეშალათ, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო რაიმე პოლიტიკური აქტი. საქმე ისიც გახლდათ, რომ რუსეთშიაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს ავტონომიის მომხრენი იყვნენ. არ არის ოფიციალური დოკუმენტი, მაგრამ გადმოცემით, მემუარულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თითქოს მეფე ნიკოლოზ II-ც არ იყო ამის წინააღმდეგი. ეს მათთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ავტონომიის მინიჭების შემთხვე-

ილია ჭავჭავაძე

ვაში ის მძლავრი რევოლუციის ნაკადი დაიშლებოდა. რუსეთში მოღვაწე ჭკვიანი პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ იქნებ ამ ავტონომიის საშუალებით რევოლუციური მოძრაობაც დაესუსტებინათ და არსებითად დაეშალათ. ამიტომაც იყვნენ ამისი მომხრე.

ამავე პერიოდში მოხდა ილია ჭავჭავაძის არჩევა სახელმწიფო საბჭოს წევრად. ილიას სახელმწიფო საბჭოს დეპუტატად არჩევა იმას ნიშნავდა, რომ ის შეძლებდა იმპერატორთან უშუალო ურთიერთობას. რაკი ილიას ეკუთვნოდა ავტონომიის იდეა, ბუნებრივია, რომ ის უშუალოდ იმპერატორთან დასვამდა საკითხს იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც საქართველოს ავტონომია უნდოდა, გაერთიანებული ძალით, კიდეც შეეცდებოდნენ მიეღოთ ეს ავტონომია.

ამ პერიოდში დაიწერა თავად-აზნაურთა წერილი რუსეთის იმპერატორის სახელზე. ამ პერიოდში 1904 წელს დაიბადა ტახტის მემკვიდრე – ალექსანდრე, მისმა დაბადებამ დიდი სიხარული გამოიწვია მეფის ოჯახში.

ბუნებრივია, ქართველმა თავად-აზნაურებმაც მიულოცეს ეს მნიშვნელოვანი ამბავი მეფეს და სწორედ ამ მისალოც წერილში მათ სთხოვეს 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენა. და აქედან, არსებითად საქართველოში საკუთარი ხელისუფლების შექმნა.

ეს ტრაქტატი და ავტონომიის იდეა ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რადგან აქაც საქართველო ავტონომიურად დამოუკიდებელია, ოღონდ შედის რუსეთის სახელმწიფოში და რუსეთის პროტექტორატს აღიარებს. აი, ამგვარი მოვლენების დროს, ბუნებრივად, ალბათ გაჩნდა იდეა იმისი, თუ როგორ შეიძლებოდა ამ პროცესის შეჩერება.

ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი იყო, თუ საქართველოში არ მოხდებოდა რაღაც განსაკუთრებული მოვლენა და ეს მოვლენა არ ჩაშლიდა ქართველი ხალხის ერთიანობას, არ დააეჭვებდა, საერთოდ არიან თუ არა ქართველები ღირსნი და მომზადებულნი იმისათვის, რომ მიიღონ ავტონომიური მმართველობა.

ნამდვილი ავტონომია დიდი მონაპოვარია ამა თუ იმ ქვეყნისათვის, რადგან ეს არსებითად თვითმმართველობას ნიშნავს და ავტონომიის

მატარებელი ქვეყანა არსებითად დამოუკიდებელია განსაკუთრებით თავის საშინაო საქმეებში.

და აი, ამ დროს, ამ ვითარებაში, გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, რადგან ეს იქნებოდა ყველაზე დიდი დარტყმა საქართველოს ავტონომიის იდეისათვის და ეს ალბათ გამოიწვევდა ცუდ რეაქციას თვითონ რუსეთის სახელმწიფო წრეებში. და საერთოდ ყველგან, რადგან მოხდებოდა შემზარავი აქტი ეპოქისა და ბუნებრივია, გაჩნდებოდა კრიტიკული აზრი ამ იდეისადმი და ამავე დროს მოხდებოდა შინა აშლილობა, ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ ქართველებიც.

დაიწყებოდა ურთიერთგადაბრალება, – ვინ მოკლა, რაზე მოკლა (და ასეც მოხდა. მართლაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, ქართული საზოგადოება დაუპირისპირდა ერთმანეთს და ყველა პარტია ერთმანეთს აბრალებდა ამას, ცალკეული პირები მეორე პირებს. ერთი სიტყვით, დიდი ქაოსი შეიქმნა საქართველოში)...

საქართველოსათვის საბედისწერო ოციანი წლები დადგა, მოვლენები სწრაფად იცვლებოდა, 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიარა. მაგრამ ამ ახალი სახელმწიფოს ხანგრძლივობა მეტად მცირე აღმოჩნდა... „ახალშობილმა“ 3 წელი და რამდენიმე თვე იარსება...

1921 წელს 18 მარტს „ბოლშევიკურმა წითელმა ბორბალმა“ საქართველოს მიწაზეც გადაიარა...

ზინა მჭედლურმა

ცხოვრებაზე ვრ ფიქრობ ცხოვრებიდან ცხვიცი იმედით...

გთავაზობთ ნაწყვეტს გადაცემიდან, რომელიც 1994 წელს ჟურნალისტმა **ზინა მჭედლურმა** ჩაიწერა, სადაც აკაკი ბაქრაძე ლაპარაკობს ქართველი ხალხის ეროვნულ ენერგიაზე, ამ ენერგიის შენახვაზე, გაძლიერებასა და გადარჩენაზე... – წიგნიდან „გადარჩენა“.

აკაკი ბაქრაძე – 1918-21 წლებში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ იყო ოპტიმისტური, იმედიანი დამოკიდებულება. ამის დასტურია, თუნდაც გერონტი ქიქოძის წიგნი „ეროვნული ენერგია“ – სადაც იმ კუთხითაა დანახული და შეფასებული ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია, რაც იმ დროისთვის იყო აუცილებელი და საჭირო... რწმენით, იმედითა და მომავლისადმი კეთილგანწყობილებით...

მაგრამ ვითარება სერიოზულად შეიცვალა, როდესაც საქართველომ, ყველასთვის მოულოდნელად, დაკარგა დამოუკიდებლობა და ისევ რუსეთის ნაწილი გახდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა...

როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება არ მოელოდა ამას და ხალხის გულში ჩვენი ეროვნული ენერგიის მიმართ, გარკვეული სკეპსისი, სასოწარკვეთილება და უიმედობა წარმოიშვა...

ამაზე სერიოზული ფიქრი, სჯა-ბაასი მიმდინარეობდა სწორედ 20-იან წლებში... ეძებდნენ მიზეზებს იმისა, თუ რატომ არ აღმოგვაჩნდა ძალა, ის ენერგია, რომ დამოუკიდებლობა შეგვენარჩუნებინა და ჩვენი ქვეყანა არ გამხდარიყო სხვა ქვეყნის ნაწილი.

ქართულ მწერლობაშიც გაჩნდა „დაღლილი სისხლის თემა“, ანუ დაღლილი სისხლის პრობლემა“. გაჩნდა ეჭვი, თითქოს ქართველი ხალხი თავისი ისტორიის მანძილზე, დაიღალა ამდენი ბრძოლით, წინააღმდეგობებით... და ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია ვეღარ ახერხებს იმას, რაც აუცილებელია, რომ ქვეყანა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი... და არ იყოს სხვა დიდი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ...



ძველი თბილისი

ჩვენ მწერლობაში ამ „დაღლილი სისხლის“ თემა სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა ვარიაციით შემოდის... საკმარისია, გავიხსენოთ გიორგი ერისთავის, ავქსენტი ცაგარელის პიესები, აგრეთვე, შალვა დადიანის რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“ და სხვა. ამ ოჯახებიდან გამოსული ქალების უმრავლესობა არაქართველზე თხოვდებოდა, ჩინოვნიკებზე თუ სამხედრო პირებზე...

ეს პროცესი იმდროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდებოდა. თუ მე-19 საუკუნეში ეს იყო მხოლოდ ნივთიერი, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მე-20 საუკუნეში ეს პრობლემა სხვა ხასიათსა და სხვა სახეს იძენს (რაც შ. დადიანის რომანში ბახვა ფაღავას სიტყვებით არის გამოთქმული).

დემნა შენგელაიას რომანში „სანავარდო“ – ლაპარაკია სწორედ ქართული „სისხლის დაღლის პრობლემაზე“, ეროვნული ენერგიის დაქვეითებაზე, სადაც ერთი ოჯახის შვილი – ბონდო ჭილაძე, შეწუხებული თავისი – უღონობით, უძლურობით და უენერგიობით, მამას შესტირის:

– „თესლი ჩვენი შეჭმულია პლაზმებიებით, და სისხლი დალორწილი, ო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების, როგორ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას.

ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე – როგორც არსად. მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ „დაგვალული“ მოვლენილი ჭინკები და ამირანი შებოჭილია მათ მიერ“.

ლაპარაკია იმაზე, რომ დრომ, საუკუნეებმა „დაგვაბერეს“; დრომ, საუკუნეებმა „დააბერა ქართული სისხლი“, ქართული ენერგია... და ამირანი, რომელიც აკაკი წერეთელმა თავისუფალი საქართველოსათვის მებრძოლად აქცია, კლდეზე კი არ არის მიჯაჭვული და მტრები კი არ ბოჭავენ მას, არამედ თვითონ ჩვენი საკუთარი უძლურება, ჩვენი საკუთარი „მუნიანი ჭიები“, რომლებიც ჩვენსავე წიაღში არიან ამოზრდილნი და არ აძლევენ თავისუფლებასა და განახლების საშუალებას (რაც დღევანდელობისათვის ძალიან ნიშანდობლივია! ნ.დ.)!

* * *

... 20-იან წლებში, როდესაც შალვა დადიანის „უბედური რუსი“ (შემდეგ სათაური შეუცვალეს „გიორგი რუსად“) დაიბეჭდა, საქართველოში იყო სასოწარკვეთილი, უიმედო განწყობილება ჩვენი ეროვნული ენერგიის მიმართ. ამ ფონზე, ამ ნაწარმოების გამოჩენა, ბუნებრივია, ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი წარსული აწმყოშიაც გვაძლევდა იმედის საფუძველს... გვაძლევდა საყრდენს იმისას, რომ ჩვენ საზოგადოებაში გამქრალიყო სკეპსისური განწყობილება და გაცილებით უფრო იმედიანი ვითარება შექმნილიყო ჩვენს ქვეყანაში...

ნაჩვენებია თამარის საუკუნე, რომელიც რუს უფლისწულზე გაათხოვეს, რომელიც აღმოჩნდა ზნედაცემული ადამიანი, როგორც პოლიტიკოსი უუნარო, როგორც მამაკაცი – ავადმყოფი.

შალვა დადიანი ამ რომანით ქარაგმულად მიგვანიშნებდა იმას, რომ არ იყო აუცილებელი რუსეთის ნდობა და რუსეთი ვერ გაამართლებდა ქართველობის ნდობას, ისევე როგორც ვერ გაამართლა გიორგი რუსმა...

ეს რომანი თავისებურად პასუხს სცემდა იმ ყალბ აზრსა და იდეას, რომ თითქოს არსებობს ორი რუსეთი: ერთი – კეთილშობილური და წესიერი რუსეთი, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოს გასაჭირს და მეორე რუსეთი, რომელიც დამპყრობელია, ბოროტმოქმედი და შავია, მაგრამ ორად გაყოფილ რუსეთს შორის, ჩვენ თითქოს უნდა მოვძებნოთ „უკეთესი რუსეთი“.

თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდიამ გამოთქვა აზრი, რომელიც დღევანდელ დღესაც ღირებულია: დიმიტრი ყიფიანს ეგონა, რომ კარგია რუსის იმპერატორი, ხოლო ცუდნი არიან რუსის ჩინოვნიკები, რომლებიც იმპერატორის განკარგულებას არ ასრულებენ და აქედან გამომდინარეა საქართველოს ცუდი მდგომარეობაო.

მე-19 საუკუნის ქართულ ინტელიგენციას ეგონა, რომ კარგია რუსეთის პროგრესული ინტელიგენცია, ხოლო ცუდები არიან: რუსეთის მეფე, რუსეთის სამეფო კარი და ჩინოვნიკები...

ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეგონათ: კარგია რუსეთის სოციალ-დემოკრატია, ცუდია – ყველა დანარჩენი რუსეთი.

სწორედ ამ აზრის საპასუხოდ ამბობს კონსტანტინე გამსახურდია, რომ – ჩვენ, ახალი თაობა ვფიქრობთ, რომ: „ყველა კარგია თავის ქვეყანაში, თავის დროზე და თავის ადგილას და ჩვენ თუ გვინდა კარგად ვიყოთ, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ და სხვის იმედად ცხოვრება, ჩვენ ქვეყანას არ გამოადგებაო“.

შალვა დადიანის რომანშიც იგივე აზრია ალეგორიულად გადმოცემული, რომ „საქართველო არ უნდა ცხოვრობდეს სხვისი იმედით, საქართველო უნდა ცხოვრობდეს საკუთარი თავის იმედით, რადგან მას ამისი ძალა და უნარი ჯერ კიდევ აქვსო. და ეს ძალა და ღონე უნდა გაძლიერდეს და თანდათანობით განმტკიცდეს ჩვენში და წამწდაუწუმ არ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ თავს როგორც უძლურს, უუნაროსა და უმოქმედოს, სწორედ ამიტომ არის, რომ „გიორგი რუსის“ ფინალიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იღუპება ეს რუსი, ხოლო თამარ მეფის საქართველო არის გადარჩენილი, ძლიერი და ღონიერი თვითონ ფეხზე მყარად დგას სხვათა დაუხმარებლად!



კარლო ინასარიძე

თუ გიყვარით ცხემშობლო, უნდა დაიცვათ! — *გენერალი გიორგი კვინიტაძე*

საქართველოს რადიოს აუდიო ფონდი ინახავს მრავალი გამოჩენილი ემიგრანტის ხმას. ამჯერად, გთავაზობთ გენერალ გიორგი კვინიტაძის ინტერვიუს, რომელიც 1991 წლის 12 ივნისს მოგვაწოდა ბატონმა გურამ შარაძემ. ინტერვიუ ჩაიწერა „რადიო თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორმა **კარლო ინასარიძემ**.

გურამ შარაძე

– გიორგი კვინიტაძის მამა იყო რუსეთის არმიის გენერალ-პოდპოლკოვნიკი ივანე სვიმონის ძე კვინიტაძე, ხოლო დედა – პელაგია სულაძე.

გიორგი კვინიტაძე წარმოშობით ჩიქოვანთა გვარს ეკუთვნის. პაპამისი, სვიმონ ჩიქოვანი ამალაში გაჰყვა სოლომონ II-ს, როცა ეს უკანასკნელი იმერეთში რუსების შესვლის მერე იძულებული გახდა თურქეთს გადახვეწილიყო.

სვიმონ ჩიქოვანს თავისი ვაჟიშვილი ივანე, მომავალი გენერლის მამა აღსაზრდელად დაუტოვებია იმ თავადი ციციშვილებისთვის, რომლებიც ადრე დასავლეთში გადასახლდნენ, იმერეთის მეფის სამსახურში.

ივანე ჩიქოვანს გვარი კვინიტაძედ გადაუკეთებია და რუსეთის სამსახურში შესულა. იგი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში გავიდა ბრძოლის ველზე დაღესტანში და მონაწილეობა მიიღო შამილის დატყვევებაში.

მან სულ მოკლე ხანში სახელი გაითქვა, როგორც უშიშარმა მებრძოლმა. სცოდნია რამდენიმე უცხო ენა და ამიტომაც იყო, რომ ახლდა ცნობილ ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას კავკასიაში მოგზაურობის დროს.

სამხედრო მოღვაწეობისათვის სხვადასხვა დროს ის დაუჯილდოებიათ წმინდა გიორგის ჯვრით, ოქროს იარაღითა და წმინდა ვლადიმერის ჯვრით. ბოლოს დასახლდა თბილისში. ასეთი მამის შვილი იყო მომავალი გენერალი, ერთხანს დამოუკიდებელი საქართველოს მხედრობის მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც დაიბადა 1874 წლის 21 აგვისტოს.

მამის კვალობაზე მანაც სამხედრო კარიერა აირჩია. თავდაპირველად სწავლობდა თბილისის კადეტთა კორპუსში, შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის საოფიცრო სამხედრო სკოლა და ერთხანს მსახურობდა თბილისის გარნიზონში, მალე ვლადიკავკაზის პოლკში და მერე პოლონეთში.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას, 1904 წელს მისი სურვილით გაამწესეს შორეული აღმოსავლეთის ჯარებში. იყო მანჯურიაში, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში.

ომის დამთავრების შემდეგ 36 წლის გიორგი კვინიტაძე შედის პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში, სადაც სწავლობდა 1907-1909 წლებში, იქიდან მას გზავნიან ვარშავაში, ხოლო მალე გადმოჰყავთ კავკასიაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914-1917 წლებში, გიორგის ვხედავთ კავკასიის ფრონტზე, სადაც დააჯილდოეს წმ.გიორგის ჯვრით და ოქროს იარაღით. იგი პირველი შესულა 1916 წლის 16 თებერვალს არზრუმში. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გიორგი კვინიტაძე, სამშობლოს სამსახურში ჩადგა, რამდენჯერმე დანიშნეს სხვადასხვა თანამდებობაზე. მათ შორის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწედ და ჯარების მთავარსარდლად.

სოციალ-დემოკრატებთან მას სერიოზული უთანხმოება ჰქონდა, რის გამოც იგი მრავალჯერ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

დიდი ენერგია მოახმარა მან თბილისის სამხედრო სკოლის დაარსებას და მის წინსვლას.

გენერალი გიორგი კვინიტაძე

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გენერალი ემიგრაციაშია და ცხოვრობს საფრანგეთში. აქვე მან დაწერა რამდენიმე კვლევა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიიდან.

გენერალ გიორგი კვინიტაძის საუბრის ფრაგმენტი „რადიო თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორთან – **კარლო ინასარიძესთან.**

* * *

– ბატონო გენერალო, ხომ არ მოგვიყვებით თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებზე.

– დავბადებულვარ 1874 წელს ოდესაში, სადაც მამაჩემი მსახურობდა დაღესტნის ცხენოსანთა პოლკში.

მამაჩემმა იქ 40 წელი იმუშავა. 6-7 წლის ვიქნებოდი, როდესაც თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად.

– სად იყავით 1918 წლის 26 მაისს და როგორ შეხვდით საქართველოს დამოუკიდებლობას პირადად თქვენ?

– მე ვიყავი მთავარსარდალი კავკასიის ყველა ჯარებისა...

როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მე ვიყავი თბილისში სამხედრო მინისტრის თანაშემწედ.

– როგორ შეხვდა ამ დღეს ქართველი ხალხი და ქართული ჯარი?

– როცა გამოცხადდა ეს აქტი, ჩვენ თბილისში ჩავატარეთ მშვენიერი სამხედრო აღლუმი, ხალხი დიდი სიხარულით ხვდებოდა ქართულ ჯარს...

– საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელიც შეიქმნა იმ დროს, მედგრად იბრძოდა მაშინდელი საქართველოს საზღვრების დასაცავად.

რით ახსნით თქვენ ამ ფაქტს?

– მე წაგიკითხავთ ნაწყვეტს ჩემი პატარა მოთხრობიდან, სადაც ნათქვამია – „მე 15 წლის კადეტი შემხვდა და მითხრა: მე ვსწავლობო სამხედრო სკოლაში, როცა დავამთავრებ სკოლას წავალ რუსეთში, ვისწავლი კიდევ 2 წელიწადს და მერე ვიქნები ოფიცერიო... და თუ კარგად ვიმსახურებ გავხდები თქვენსავით ქართველი გენერალიო... მერე დააყოლა, ბატონო გენერალო, ეს ხალხი ალალი გლეხები არიან, იმათ დაუჯერეთ და არასოდეს გიღალატებენო“...

ჩემი დაკვირვებით ქართველი ხალხი თავისი ადათ-ჩვეულებით, თავისი მოწყობით არის ევროპელი და არა აზიელი.

უნდა განვმარტო რას ნიშნავს „მოწყობით ევროპელი და აზიელი“:

გიორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ის, რასაც ჩვენ „ფედერალიზმს“ ვეძახით, რუსეთში არასოდეს არ არსებულა, ხოლო საქართველოში – პირიქით, ყოველთვის გვქონდა „ფედერალიზმი“. ქართველი ხალხი, თავისი „მოწყობით“ არის უფრო ევროპელი, ვიდრე აზიელი.

როგორც გითხარით, რუსეთში, მუშებს შორის მიღებული იყო უფრო არასწორი, არათანაბარი ურთიერთობა, ვიდრე გლეხებში. გლეხებში იყო თანასწორობა ერთმანეთში...

საქართველო უფრო იყო მზად იმისათვის, რომ ვყოფილიყავით დემოკრატიული ქვეყანა, ვიდრე – რუსეთი.

– ბატონო გენერალო, მეც ასე ვფიქრობ, რომ ასეთი დემოკრატიული სახელმწიფო მართლაც გვქონდა ჩვენ იმ დამოუკიდებლობის პერიოდში... ერთი შეკითხვა მაქვს კიდევ თქვენთან:

– რას უსურვებთ თქვენ, ასეთი ცნობილი გენერალი, გამოცდილი ადამიანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით ჩვენ ქართველ მხედრობას, რომელიც, იმედი გვაქვს, დრო მოვა და ეყოლება თავისუფალ საქართველოს...

– ვუსურვებ, კარგად შეისწავლონ სამხედრო მეცნიერება!

თუ გიყვართ თქვენი სამშობლო, უნდა დაიცვათ კიდეც იგი მტრისაგან.



გადაცემის ავტორი ანზორ გელაშვილი (1967 წლის ჩანაწერი)

ცხოვრების მეგზურები

ისტორია წარსულს მოგვითხრობს, ჩვენ აწმყოთი ვცხოვრობთ, მომავლისთვის ვიბრძვით, დამაფიძრებელია და შთამაგონებელია წარსული გაკვეთილები. ისტორია დიდი სკოლაა, რომელიც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ხალხს – თვალისჩინზე უფრო მეტად. თუ როგორ გამოვიცნოთ შენიღბული მტერი და მისი გულისნადები. როგორ უნდა შევარჩიოთ მოკავშირეები და მეგობრები, რომელი გზაა გამარჯვებისაკენ მიმავალი და რომელ გზას შეუძლია დაამარცხოს და დაღუპოს ქვეყანა.

სიმონ ჯანაშია

პროფესორი შოთა მესხია იგონებს – „47 წლის ასაკში, მეცნიერული ნიჭის სრული გაფურჩქვნის ჟამს გარდაიცვალა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. იშვიათად თუ მიუღწევია ვინმეს ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ისეთი დიდი აღიარებისა და მეცნიერული ავტორიტეტისათვის, როგორც მას ხვდა წილად.

სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 18 ნოემბერს. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1918 წლის ოქტომბერში ს. ჯანაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. პროფესორ იოსებ ყიფშიძისა და პროფესორ ივანე ჯავახიშვილის რჩევით, მან გადაწყვიტა ერთდროულად 2 დარგზე ესწავლა, ისტორიულზე და ენათმეცნიერულზე.

ამიერიდან ს. ჯანაშიამ თავის უპირველეს მიზნად გაიხადა ქართველი ხალხის ისტორიის ღრმად შესწავლა და კვლევა-ძიება, რაც იმით დამთავრდა რომ 1922 წლის 30 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წინაშე, დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ჯანაშიას პროფესორად დატოვება უშუამდგომლა.

1926 წელს ს. ჯანაშიამ წარმატებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და ამ დროიდან გვერდით ამოუდგა თავის სახელოვან მასწავლებელს. 1935 წლიდან ის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ახალგაზრდა პროფესორი. 1941 წელს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაარსდა, იგი აირჩიეს ამ აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. ამ დღიდან სიცოცხლის დასასრულამდე ის იყო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის პირველი დირექტორი.

მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, სიმონ ჯანაშიამ, როგორც მკვლევარმა და ორგანიზატორმა, წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

ქართული ისტორიული, ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება, ისტორიული წყაროების ღრმა ანალიზი, დიდი ერუდიცია უქმნიდა საფუძველს ს.ჯანაშიას სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ასეთ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის მაგალითად: ქართველთა მონათესაობისა და განახლების, პირველი საცხოვრისის საკითხები. მან თავის შრომებში მეცნიერულად დაასაბუთა ქართველ ტომთა აბორიგენობა. მათი უფრო ფართო განახლება და ახლო აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან კულტურული სიახლოვე და შესაძლო ნათესაობაც. სიმონ ჯანაშიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა.

სიმონ ჯანაშია

დიდია ს. ჯანაშიას როგორც ენათმეცნიერის დამსახურება. ამის შესახებ გვესაუბრება პროფესორი **ქეთევან ლომთათიძე**:

„სახელოვანი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ს.ჯანაშია პირველ რიგში ისტორიკოსი იყო, მაგრამ ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილი, საისტორიო სკოლის აღმზრდელი და ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ. ის ქართველოლოგიისა და მრავალ სამეცნიერო დარგში წამყვან სპეციალისტად გვევლინება. ერთ-ერთ ასეთ დარგს წარმოადგენს – ენათმეცნიერება. ქართული ენისა და საერთო იბერიულ-კავკასიური ენის განვითარების საქმეში, დიდი ღვაწლი მიუძღვის სიმონ ჯანაშიას.

კვლევის საგნად ჰქონდა ქცეული სხვადასხვა ხასიათის ენობრივი საკითხები, აგრეთვე ქართველთა და მთლიანად იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაური პრობლემებიც. ქართული ენის აღორძინებისათვის, იგი პირველ ამოცანად თვლიდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას და სალიტერატურო ენის მონოლითურობის განმტკიცებას.

ს. ჯანაშია დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული სალიტერატურო ნორმების დადგენასა და მათი დანერგვის საქმეს. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ხელის შემწყობი დიდი ეროვნული წამოწყების – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენისა, რომელიც უკვე გამოვიდა 8 ტომად, არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით.

დიდი პრინციპული და თეორიული მნიშვნელობის მქონეა ჯანაშიას ნაშრომი სვანური ბუნების შესახებ. გარდა ქართულისა და ქართველური ენებისა, ს. ჯანაშიას დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზურ-ადიღეურ ენათა მეცნიერული შესწავლის საქმეში. იგი ამ ენების საუკეთესო მცოდნე იყო. წლების განმავლობაში კითხულობდა აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა ასპირანტების მომზადებას.

1929 წელს მხოლოდ ერთი თვით იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩერქეზ ტომთა ენობრივი სინამდვილის გასაცნობად. მიუხედავად მისი ხანმოკლე სიცოცხლისა და ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი საქმით დიდი დატვირთულობისა და როგორც თავად იტყოდა: „ქუდ-ბედად თანდაყოლილი ხანგრძლივი ავადმყოფობისა“, მან ენათმეცნიერებაშიც იმდენი გააკეთა, რომ ამ სამუშაოს ერთი მეცნიერის ხანგრძლივი სიცოცხლეც კი არ ეყოფოდა“.

ს. ჯანაშია – არქეოლოგი, ეს მთელი ეპოქაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. სიტყვა ეკუთვნის ს. ჯანაშიას მოწაფეს, მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების მონაწილეს პროფესორ **ანდრია აფაქიძეს**:

„არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა საქართველოში ს. ჯანაშიას საგანგებო ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად იქცა. 1936 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ქართველმცოდნეობის მძლავრი მეცნიერული კერა, ენის იტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, დაარსების დღიდანვე ფართოდ მოფიქრებული გეგმით დაიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა: ქვის ხანა, ბრინჯაოს კულტურა, კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა კულტურა; ანტიკური ხანის ქართული არქეოლოგიური ძეგლები; ძველი ქართული ქალაქები; უძველესი მეტალურგიის საწყისები; ფეოდალური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები.

– ასეთია მცირე ნაწილი იმ საკითხების, რომელთა ახლებურად გაშუქებისათვის ს. ჯანაშიას ვარაუდით, არქეოლოგიურ გათხრებს უნდა მიეცა უმნიშვნელოვანესი მასალები.

უპირატესი ყურადღებით სარგებლობდნენ: ბრინჯაოს კულტურისა და მისი მომდევნო ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ბუნებრივია, იმის გამო, რომ საკუთარ ქართველ ტომთა უძველესი და ძველი ისტორია არაერთი ბნელით მოცული საკითხი სწორედ ამ უკანასკნელით უნდა გაეშუქებინათ, ამ მხრივ თავის დროზე ფრიად მნიშვნელოვანი გამოდგა კოლხეთის გორა-საცხოვრისთა გათხრა, რომლის შედეგად აღმოჩნდა ნაშთები კულტურული პურეულისა, რომლებიც მოჰყავდათ საქართველოში უკვე ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში.

ს. ჯანაშიას გამოკვლევები, საისტორიო საკითხებზე, საფუძვლად დაედო კოლხეთის ფართო არქეოლოგიურ გამოკვლევებს: ვანის, ყულევის, ურეკის, ოჩამჩირის, ანაკლიის, კლდეეთის გათხრებს.

სიმონ ჯანაშიას სახელთან არის დაკავშირებული დიდი გათხრითი სამუშაოები ძველ დედაქალაქ მცხეთაში.

მცხეთა წარმოადგენდა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უძველეს კერას. უძველესი პერიოდიდან მოყოლებული მცხეთას არასოდეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ამ საკითხთა გამოკვლევა დაუსახა მიზნად 1937 წელს არქეოლოგთა ჯგუფს, რომლის საველე მუშაობას, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილთან ერთად თვითონ ხელმძღვანელობდა.

დგანან: ერეკლე ტატიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ს. ჯანაშია, ვ. კოტეტიშვილი, სხედან: ქრისტეფორე რაჭველიშვილი, პ. ინგოროყვა, თედო სახოკია, აკ. შანიძე, ალ. აბაშელი, 1928 წ.

თუ რა შედეგები მოჰყვა მცხეთის არქეოლოგიურ კვლევას, ეს საკმაოდ ცნობილია ყველასთვის.

სიმონ ჯანაშიაზე საუბრისას არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი ახალგაზრდა, დამწყებ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და, საერთოდ, ქართველოლოგთა კათედრების მომზადებაში.

ვისაც სიმონ ჯანაშიას მადლიანი ხელი შეხებია, მხოლოდ მისთვის შეიძლება იყოს ჯანაშიასეული გულისხმიერება, მომთხოვნელობა, მისი გასაოცარი პიროვნული ტაქტი, საქვეყნოდ ცნობილი მომხიბლავი და, შეიძლება ითქვას, უაღრესად მოწონებული ურთიერთობა უფროსი მასწავლებლისა – სტუდენტებთან, პირად თუ საზოგადო საქმეზე მოსულ მოქალქეებთან. 1947 წლის 15 ნოემბერს დილის 6 საათზე გარდაიცვალა სიმონ ჯანაშია.

გლოვობდა სრულიად საქართველო!

ნანა ტალახაძე

ყველი, რომელიც თვითონ ცვლიდით ცხოვრებიდან გვიხსნიდა ლაპარაკი (ნოდარ ლომსაძე)

„ძმა ინგოროყვა – ჩვენება არის,
და ტკბილი ტანჯვით მოსაგონარი,
მწველ ჰინდოსტანში ქართული ჯარი
და ტრაპიზონში – გარნიზონები.
დაგვიბრუნდება ის ნეტარება,
იმ ამაყ დღეებს გადაჩვეულებს,
თუ პოეზია შეედარება
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს?!
ძმავ, ინგოროყვა, პოეტო ადრევ,
და მერე ლანდო, წარსულ დიდების,
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს,
და სისხლს – დაპყრობა პირამიდების!“

პაოლო იაშვილი

პოეტის ამ საოცარი ლექსით ემშვიდოგეგოდა მწერალი გიორგი ნატროშვილი პავლე ინგოროყვას, 1983 წლის 24 თებერვალს. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო სიტყვას ამ დღეს წარმოთქმულს მწერალთა კავშირის სასახლეში, რომელიც ჩაიწერა ჟურნალისტმა **ნანა ტალახაძემ**.

გიორგი ნატროშვილი – პავლე ინგოროყვა, მართლაც რომ იშვიათი კაცი იყო, ფრიად თავისებური და ორიგინალური, ხოლო ძალა და ღონე მისი სულისა იყო უმაგალითო და განუზომელი, მიუხედავად მისი ფიზიკურად სუსტი აგებულებისა.

ეს საოცარი კაცი ნამდვილად ცხოვრობდა ორ განზომილებაში: ჩვენს დროში, XX საუკუნეში და ამავე დროს – თვალ და იმ გონმიუწვდომელ წარსულში, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება.

მას ფანატიკოსის ურყევი რწმენით სწამდა, რომ წარსული – წასული არ არის, რომ ის ცოცხალია და გაცისკროვნებულია მარადიული უკვდავი სულით, თვალით სახილველი და რეალური „ზენა სიცოცხლით“, რომელიც გადაქცეულია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავდადების, რაინდული სიმამაცის, ძმობისა და მხნეობის ცოცხალ სიმბოლოდ!

ბატონი პავლე, მთელი სიცოცხლე ტრიალებდა ამ ლანდების გარემოცვაში, ფერფლიდან იღვიძებდნენ აჩრდილები და იღვიძებდა ძველი საქართველოც: ისტორიული ბედუკუღმართობით, მტერთაგან აკლება-აწიოკების გამო სავსეა, „გაუხსნელი ქარაგმებით“, გამოცანებით, დახლართული საიდუმლოებებით და აი, ბატონმა პავლემ მთელი თავისი ტიტანური ენერგია შესწირა მათ ამოხსნას... თავისი გენიალური ინტუიციით მრავალი საინტერესო მიგნებებიც ჰქონდა...

შოთა ძიძიგური – დღეს სამუდამოდ ვემშვიდობებით დიდ მამულიშვილს, სასიქადულო სწავლულსა და მწერალს... მან მთელი სიცოცხლე შესწირა ქართული სულიერი კულტურის შესწავლას, და ისტორიის სიღრმეში გადგმული ფესვების წარმოჩინებას: „ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, კორნელი კეკელიძესთან ერთად პავლე ინგოროყვა ქმნიდა „ქართველოლოგიის“ ისტორიას... დღეს უნდა გავიხსენოთ 1913 წელს გამოსული მისი პირველი ფუნდამენტური წიგნი, სადაც მოძიებულია ქართული სასულიერო მწერლობის უძვირფასესი ნიმუშები: ფილოლოგიური შენიშვნებითა და ამომწურავი კომენტარებით.

პავლე ინგოროყვა

პავლე ინგოროყვა თავისი პირველივე ბრწყინვალე ფილოლოგიური ნაშრომებით ხელს უწყობდა ქართულ ტექსტოლოგიურ განვითარებას ეროვნულ ნიადაგზე.

მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ქვაკუთხედად გაიხადა ძველი „მანუსკრიპტების“ შესწავლა და პუბლიკაცია, ხოლო მისი ტექსტოლოგიური ძიებების გვირგვინს წარმოადგენს მე-5, მე-10 საუკუნის ძველი ქართული პოეზიის ახლახანს გამოვლენილი მასალების გამომზეურება. ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლების გაშიფვრა და მათი ანალიზი, დამადასტურებელი ქართული ლექსის ევოლუციის ხანგრძლივი გზისა.

ძველი ქართული პოეზიის, წყობილი სიტყვის ისტორია პავლე ინგოროყვამდე ბურუსით იყო მოცული.

პავლე ინგოროყვას, ეს ეპოქალური შრომა, სრულიად სამართლიანად მიჩნეულია ქართული წყობილსიტყვაობის ისტორიის ქრონოლოგიური ფარგლების დიდ გაფართოებად.

მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან ამაგი დასდო ჩვენი კლასიკური ლიტერატურის სხვა ძეგლების: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, „ვისრამიანის“, „შაჰ-ნამეს“, „ქილილა და დამანას“ და სხვათა მეცნიერულ გამოცემებისა და გამოკვლევებს...

განსაკუთრებულია პავლე ინგოროყვა ღვაწლი „რუსთველოლოგიაში“. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა, მისი მხატვრული აზროვნება, პოემის ტექსტის დადგენა. აი, ზღვა პრობლემისა, რომელზეც შექმნილი შრომები „რუსთველოლოგიის“ ოქროს ფონდს განეკუთვნება...

გვინდა შეგახსენოთ, თუ რას წერდა პავლე ინგოროყვა ძველი ქართული მუსიკის შესახებ:

საქართველოს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაში, ძველ ქართულ მუსიკას საპატიო ადგილი უჭირავს.

ჩვენ დრომდე მოღწეულ ძველ ქართულ ხელნაწერებში, ეტრატებზე და ტყავზე დაწერილია ძველ ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალური ნაწარმოებები. ეს ხელნაწერები შეიცავენ ძველი საკულტო გალობის ძეგლებს, ქრისტიანულ ჰიმნებს, რომლებსაც თან ახლავს თავისებური სანოტო ნიშნებიც – ჩაწერილი წითელი მელნით, სინგურით.

ჩვენ დრომდე მოღწეული პირველი ასეთი ჩანაწერები ეკუთვნიან მე-X საუკუნეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „საგალობელთა კრებული“, 978-988 წლებს შორის რედაქტირებული დიდი ქართველი პოეტისა და მუსიკოსის – მიქაელ მოდრეკილის მიერ; ასევე მეორე ხელნაწერი „ძველი ქართული მუსიკისა“ – გადაწერილი იორდანეს მიერ.

ქართულმა ქრისტიანულმა საკულტო გალობამ, რომელიც მე-4, მე-5 საუკუნეებში ჩამოყალიბდა, მემკვიდრეობად მიიღო სანოტო სისტემა ანტიკური ხანისა.

ძველი ქართული მუსიკა და მასთან ერთად ასეთი „არქაული ქართული სანოტო დამწერლობა“ ბოლო დრომდე ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩებოდა. ქართული სანოტო დამწერლობა – ეს არის მწყობრი, მკაცრად ნორმირებული მუსიკალური სისტემა. ძველი ქართული სანოტო სისტემა წარმოადგენს „მუსიკალური ბგერების ალფაბეტს“ დამყარებულს ოქტავაზე.

პავლე ინგოროყვა ქეთი და გიო მგელაძეებთან ერთად

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნით ჩვენ ვავსებთ ძველ ხარვეზებს ქართველი ერის ძველი კულტურის ისტორიაში, ვეცნობით სრულიად ახალ მსოფლიოს, ქართველი ხალხის უმდიდრეს მემკვიდრეობას...

მწერალი **ნოდარ დუმბაძე** – დღეს ქართველი ხალხი, ქართველი მწერლები და სამეცნიერო საზოგადოება ემშვიდობება დიდ მამულიშვილს, უაღრესად ღვაწლმოსილ მწერალსა და მკვლევარს, სამაგალითო ერისკაცს, საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელსა და უხუცეს წევრს – პავლე ინგოროყვას, სათნოებით, პატიოსნებითა და კეთილშობილებით განსპეტაკებულ წმინდა ადამიანს, რომელიც ყოველთვის გვაცვიფრებდა, მძიმე, უკურნებელი სენით შეპყრობილი, თავისი არაადამიანური შრომით (90 წლისა შესრულდა).

...სამშობლოს ყოველთვის უჭირს თავის ღვიძლ შვილთან განშორება, შვილთან, რომელიც სახელს დიდებას, გონებას, აზრსა და მიზანს უმრავლებს ერს. ამიტომაც, ბუნება მისხალ-მისხალ უმატებს და უხანგრძლივებს სიცოცხლეს მას, რათა ამით საკუთარი სიცოცხლეც გაიხანგრძლივოს და უკვდავყოს!..

ქართველ მამულიშვილთა გალერეა

„თავდაუღალავად ვშრომობდით მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ნახევრად მშივრები . . .“

მიხეილ ჭიაურელი

იგონებს **მიხეილ ჭიაურელი** (09.04.1969 წლის ჩანაწერი) – ექსპედიციებმა უფრო მეტად დაგვამეგობრა მე და ლადო გუდიაშვილი — საქართველოში, როდესაც საპატიო სტუმრები ჩამოდიან ხოლმე, მათ აჩვენებენ ჩვენს ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს, რელიქვიებს და შეუძლებელია, რომ ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში არ შეიხედონ, სადაც ისინი ეცნობიან მსოფლიოში ცნობილი მხატვრის ნამუშევრებს.

მინდა გავიხსენო ჩვენი მზიანი, მხიარული ახალგაზრდობა, როდესაც სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთს ვუზიარებდით ყველაფერს, ამიტომაც ყოველგვარ სიძნელეს ძალიან ადვილად ვძლევდით.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ის საქმე, რომელსაც ვემსახურებოდით, საჭირო იყო მომავლისთვის. ყველა ექსპედიციაში, რომელიც მაშინ ეწყობოდა საქართველოში, ერთად ვმონაწილეობდით!

გავიგეთ, რომ ინგრეოდა ქუცნა ამირეჯიბის მე-16 საუკუნის ეკლესია, იღუპებოდნენ შესანიშნავი ფრესკები.

ექსპედიციამ უფრო მეტად დაგვაახლოვა მე და ლადო. ექსპედიციაში იყვნენ: მოსე და მისი შვილი ირაკლი თოიძეები, გიორგი ერისთავი, რომელსაც მაშინ ჭუჭულია ერისთავს ვეძახდით; ექსპედიციას მეთაურობდა მშვენიერი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე და ჩვენ ორნი. ეს იყო გულმოდგინე, თავდადებული, ქართული კულტურის მოყვარული ხალხი, რომელიც დიდი სიხარულითა და სიყვარულით ეპყრობოდა თითოეულ ფრესკასა და ჩვენი წარსული ხელოვნების საოცარ ნიმუშებს. აზრადაც არ მოუვა დღეს ჩვენ მხატვრებს, თუ რა გაჭირვებით არიან ისინი მოპოვებული. ჩვენ თავდაუღალავად ვშრომობდით მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ნახევრად მშივრები.

ამ ექსპედიციიდან კიდევ დამამახსოვრდა ჩვენი „თვითმოქმედი წარმოდგენები“. ქოხი, სადაც ვცხოვრობდით, პატარა იყო და ხშირად ღია ცის ქვეშ ვმართავდით ქორეოგრაფიულ წარმოდგენებს, საღამოობით მთვარის შუქი გვიქმნიდა ე.წ. რომანტიკულ განწყობილებას და ჩვენც ვიწყებდით ცეკვას, ძირითადად ლადო, მე და ჭუჭულია ერისთავი ვცდილობდით ექსპედიციის წევრების გამხნევებასა და გამხიარულებას!

მეორე ექსპედიცია შედარებით უფრო დიდი იყო, დავით გარეჯის მონასტერში. მას ხელმძღვანელობდა ჩვენი უდიდესი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

დილის 5 საათზე გაგვაღვიძა ივანემ, ჩვენც ავდექით და გავუდექით გზას. ფეხით უნდა გაგვევლო მთელი უდაბნო, სანამ ჩამოცხებოდა. ომის პერიოდი იყო და უდაბნოც მოუვლელი და უპატრონოდ მიშვებული იყო. აუარებელი მწერითა და ქვეწარმავლით, ნადირით იყო სავსე.

დიდი სიფრთხილით მივიწევდით წინ. ცხენებიც კი არა გვყვავდა. მალე შემოგვიერთდა ალექსანდრე ციმაკურიძე, რომელიც ჩვენზე ადრე მივიდა ნათლისმცემელში.

დავით გარეჯში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყვნენ ბერები, რომლებიც დიდი სიფაქიზით უვლიდნენ იქაურობას. მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე: წვერმოშვებული, დიდრონი თვალებითა და სანთლისფერი სახით, საოცარი ზრდილობიანი ადამიანები იყვნენ. გაგვიმასპინძლდნენ თაფლით, ღვინითა და პურით. ეს იყო ნამდვილი ძველებური ტრაპეზი ბერების ხელით მორთმეული.

ივანე ჯავახიშვილის ჩამოსვლამ გარეჯში, მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამასთან დაკავშირებით გადაგვიხადეს პარაკლისი. ამ რიტუალმა ჩვენ ცრემლი მოგვგვარა.

თინა კობალაძე, რეზო გამცემლიძე , ვახტანგ კიკაბიძე, მიხეილ ჭიაურელი

ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა იმ ამბავმა, თუ როგორ რუდუნებითა და კრძალვით შემოუნახა ქართველმა ერმა, თავის მომავალს ეს უდიდესი განძი მხატვრობისა, არქიტექტურისა და სულიერებისა.

ბევრი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ყველაზე დიდი ექსპედიცია ყარსში. მაშინ ყარსი ჯერ კიდევ საქართველოს ეკუთვნოდა. ექსპედიცია უკვე რთული და ხანგრძლივი იყო. მას ხელმძღვანელობდა დიდი მოამაგე და მოყვარული ჩვენი ხუროთმოძღვრებისა, ქართული ხელოვნებისა, ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მას ფეხი სტკიოდა, უკეთ რომ ვთქვათ, კოჭლობდა, ყველაზე მეტს ის დადიოდა, ყველაზე მეტად ის აქტიურობდა, არ ზოგავდა თავის ძალასა და ღონეს, რათა ექსპედიციას, საქართველოს მოწყვეტილ ამ კუთხიდან, ჩამოეტანა ყველა ქართული წარწერა ფრესკებისა!

ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ ამ ექსპედიციაში ვიღებდი მონაწილეობას. ბევრი სიძნელე გადავლახეთ, რათა ჩვენც დავხმარებოდით ექვთიმე თაყაიშვილს ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში.

მე და ლადოს თანამშრომლობა ამით არ დამთავრებულა, მიუხედავად იმისა, რომ ის საფრანგეთში მხატვრობის შესასწავლად გაგზავნეს, მე კი გერმანიაში ქანდაკების სპეციალობას ვეუფლებოდი.

მალე ლადო დაბრუნდა საქართველოში გაასკეცებული ენერგიით აღვსილი. მან შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა. ვერაფერმა ვერ დაანგრია მასში ის სიმტკიცე და სიღრმე, რომელიც ჩაუნერგა ქართულმა ხელოვნებამ, ქართულმა ფრესკულმა მხატვრობამ, ვერც რენუარმა, ვერც ფრაგონარმა...

ლადო გუდიაშვილი მაინც ერთგული დარჩა ეროვნული ტრადიციებისა, მისი სულიერი სილამაზისა.

ნიკოლოზიდან მოყოლებული დღემდე, ვერც ერთ მთავრობას თავი ვერ შევაყვარე...

(გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის სიტყვას, წარმოთქმულს თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში 1968 წ-ის შეხვედრაზე)

შალვა ნუცუბიძე – მართალი გითხრათ, ეს შეხვედრები იუბილეებად გადაიქცა... მე ვშიშობ, რომ გამოჩნდება ჭკუით ბრიყვი, გულით მწარე ადამიანი და იტყვის: „ბიჭო, შალვას განგებ იმიტომ ალაპარაკებენ ამდენს, რომ ეს არის რეპეტიცია. მერე ნამდვილ იუბილეზე, ზედმეტი რამე, არასასურველი, არ წამოსცდესო...“

რა თქმა უნდა, გულუბრყვილო აზრია!

თუ ყურანში ჩავიხედავთ, ამოვიკითხავთ, რომ „ის, ვისაც ერთი კაცი მაინც გაუზრდია, ან ერთი წიგნი მაინც დაუწერია, მისი სახელი არასოდეს მოკვდებაო“.

მაგონდება, როდესაც ივანე ჯავახიშვილის წინადადებით მოსკოვში მიმავლინეს, რათა ჩვენი მეგობრებისთვის თავი მომეყარა და საქართველოში წამომეყვანა.

ვინ იცის, ერთი კაცი კი არა და რამდენი თაობა გამოუზრდიათ მათ ქვეყნისთვის, არაერთი წიგნი თუ სახელმძღვანელო დაუწერიათ თაობებისთვის.

მინდა ყველანი გავიხსენო დღეს.

პირველი ბალავარი, პირველი დასაყრდენი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნისა იყო – „სიბრძნის მეტყველება და ფილოსოფია“; პირველი ჩემი მოწაფეები სწორედ ფილოსოფოსები იყვნენ. იურისტები არა გვყავდა, ეკონომისტებიც – ნაკლებად...

ჩავედი მოსკოვში და დავუკავშირდი ერთ ცნობილ იურისტს ამბაროვს; უფრო თეორეტიკოსს ადვოკატობაში, ვიდრე პრაქტიკოსს; აგრეთვე ყველაზე გენიალურს თავის სტიქიაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. ხელი ჩავავლე მათ და ჩამოვიყვანე... ისე, მჩატეები იყვნენ, ტანზე არაფერი ემოსათ და ფეხთ არაფერი ეცვათ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო განსახიერება იმ დიდი ოსტატობისა, რომელსაც დაცვა ეწოდება, ნამდვილი იურიდიული, საზრიანი. ამბაროვი, როგორც თეორეტიკოსი.

ახალგაზრდებიდან მოვინახულე ტატიშვილი, რომელიც პეტერბურგში გამოჩნდა და იმასაც ჩავავლე ხელი და ჩამოვიყვანე.

ვაჩეიშვილი, რომელიც ოდესაში ცხოვრობდა და განსაკუთრებით ძლიერი იყო სისხლის სამართლის დარგში, ლუარსაბის რეკომენდაციით, ისიც საქართველოში წამოვიყვანეთ. კიდევ იყო ზოზო („ზოზოს“ შინაურულად ვეძახდით) ნანეიშვილი, პეტრაჟივსკის მოწაფე, რომელსაც მეცნიერებასთან სიახლოვის გარდა, ერთად საუცხოო იუმორის უნარიც ჰქონდა.

მე მაშინ მხოლოდ 29-30 წლის ახალგაზრდა ვიყავი; მინდა, რომ მომავალმა თაობამ იცოდეს ეს ამბავი. ეს უნდა დარჩეს ისტორიას, რომ 9 კაცმა, გენიალური წინამძღვრის – ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით შექმნა ცოდნის ეს ღვთიური ტაძარი.

18 წლის განმავლობაში მე ვიყავი ხელმძღვანელი დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის. ის ჯერ ფაკულტეტი არ იყო, მერე შეიქმნა ფაკულტეტად.

მე პირადად სამი სხვადასხვა რეჟიმის დროს მომიხდა მუშაობა; ნიკოლოზიდან მოყოლებული დღემდე, ვერც ერთ მთავრობას თავი ვერ შევაყვარე.

აიღო რუსეთმა და მომცა „მგლის ბილეთი“. ანუ ყოველგვარი მოტივების გარეშე დამითხოვეს სამსახურიდან. მოვიდა მეორე რეჟიმი, იმათაც დამავლეს ხელი და მომაცილეს საყვარელ საქმეს, მიმაყუდეს კედელთან.

ეხლანდელი მთავრობაა და ახლაც ვერ მოვახერხე მათი გულის მოგება, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი სკოლის მეგობრები და ახლობლები მეგულება.

არ მიდიოდა ჩემი საქმე კარგად, მაგრამ ერთი რამ კი ხდებოდა საინტერესო... მომხსნიდნენ, გამომაგდებდნენ და ცოტა ხნის შემდეგ, ისევ უკან მომაბრუნებდნენ და ზევით მაგდებდნენ...

როდესაც ნიკოლოზ მეფის ხალხმა მე „მგლის ბილეთი“ მომცეს და გადამისროლეს პეტერბურგში, იქ მე საშუალება მომეცა სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა, რომ იმ მომენტისთვის, როცა ივანე ჯავახიშვილი ავიდოდა საქართველოს სამრეკლოზე და დარეკავდა და იტყოდა – „აბა, ვინც მზადა ხართ, ჩემთან წამოდითო“, – აი ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. და აი, როდესაც მეორეჯერ მომხსნეს უნივერსიტეტიდან და პირადად მე სხვაგან წასასვლელი არ მქონდა, გადავწყვიტე შევსულიყავი ადვოკატთა, დამცველთა, კოლეგიაში, სადაც ყველაზე მეტად აღმოაჩნდათ პატიოსანი ადამიანისათვის თავშესაფარი.

ასე და ამგვარად, აღმოვჩნდი მეგობარ იურისტთა შორის; მალე ყველა დარწმუნდა, რომ მე ის ადამიანი არ ვიყავი, რომელიც მთავრობამ შეიძლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს. ყველამ დაინახა, რომ მე უღირსი კაცი არ ვიყავი და მალე დამაბრუნეს უნივერსიტეტში.

მე ვთხოვ ყველა პატიოსან მეგობარს, რომ ის საქმე, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა და სიცოცხლე შევწირეთ, გადასცეს მომავალ თაობებს, რომ მათ იცოდნენ უნივერსიტეტის შექმნის ნამდვილი ისტორია.

შალვა ნუცუბიძის მოსწავლის ისიდორე დოლიძის მოგონება – „მომაგეს მე ბოროტება, კეთილისა წილ“;

– შალვა ნუცუბიძე 35 წლის წინათ გავიცანი, რაინდულად რომ შემოვიდა აუდიტორიაში ლექციის წასაკითხად – პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში. ეს ნაცნობობა დღემდე გრძელდება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მას კარგად ვიცნობ.

მის საცნობად მისი გაცნობა არ კმაროდა. ის ამოსაცნობი იყო და არაფერი ადამიანური არ აკვირვებდა...

შალვა არავის არ ჰგავს, რადგან შალვა ფენომენია, ორიგინალური მეცნიერი და მოღვაწეა. მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად რთული გზა განვლო. შალვა თითქმის ათი წლის განმავლობაში ვითარცა მეცნიერი და პრორექტორი წარმართავდა უნივერსიტეტის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

ერთდროულად კითხულობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთელ ციკლს და ქმნიდა ორიგინალურ ნაშრომებს, რომელთა დიდმა ნაწილმა დროის გამოცდას გაუძლო.

30-იან წლებში შალვას სამეცნიერო ინტერესის სფეროში შემოდის „ქართველოლოგია“; იწყება ინტენსიური მუშაობა „რუსთველოლოგიაში“ და ქართული ფილოსოფიის ისტორიაში. ეს გაცხოველებული კვლევა-ძიება შეწყდა 30-იანი წლების მიწურულს.

შალვას გათავისუფლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს, მას თითქოს „ცოდვა შეუნდეს“, მაგრამ არ აპატიეს. იგი არც გაამტყუნეს და არც გაამართლეს. ეს იყო ყველაზე მკაცრი მსჯავრი, რომელიც უცნობია თანამედროვე პროცესუალური სამართლის მცოდნეობისათვის.

1944 წ. საქართველოში დაბრუნებული შალვა კვლავ აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. ის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ხდება.

ზედიზედ აქვეყნებს „აღმოსავლური რენესანსის შესახებ“ ნაშრომებს.

შემდეგ, 1953 წელს, ჩნდება საბრალდებო აქტი, რომელიც კვლავ „განკვეთს“ და „შერისხავს“ შალვას... მეცნიერი კი, პატიმრობის წლებში, როდესაც სასწორზე იდო მისი სიცოცხლე, ღირსება და ბედისწერა, აგრძელებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს, მუშაობს დიონისე არიოპაგელისა და ქართული რენესანსის საკითხებზე; უკვე მეორედ „შერისხვის“ წლებში იგი „ფილოსოფიის ისტორიის ფუნდამენტალურ კურსს“ ქმნიდა.

მე შევხვედრივარ შალვას 1953 წელს უნივერსიტეტის ეზოში. იმ მძიმე წლებში, როდესაც მას ახლოს არავინ ეკარებოდა, ყველა გაურბოდა, ყველას ეშინოდა მასთან დალაპარაკებისა. თვითონაც ყოველ წამს პატიმრობის მოლოდინში გარეთ თითქმის იშვიათად გამოდიოდა.

პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე

შევხვედრივარ და განცვიფრებულვარ ამ კაცის სულიერი სიმტკიცითა და შეუდრეკელობით.

„მომაგეს მე ბოროტი, კეთილის წილ და სიძულვილი სიყვარულისა წილ“ – ბევრჯერ უთქვამს შალვას: „სანამ ჩვენი „მასაზრდოებელი დედა უნივერსიტეტი“ მკვიდრად დგას, მე ჩემს თავს მკვდრად ვერ ჩავთვლიო“. თავდავიწყებით იყო „რუსთველით“ გატაცებული. საბედისწეროდ, სჯეროდა მისი სიბრძნისა, იმედად და საოცრებად კვლავ მას მიმართავდა:

„სიკვდილამდე ვის მოუკლავს,
თავი კაცსა მეცნიერსა,
რა მისჭირდეს მაშინ უნდა
გონებანი – გონიერსა“.

მოაზროვნისა და შემოქმედის უზენაესი განმსჯელი ხალხია და ნეტარ არიან ისინი, რომლებსაც აწმყოსა და მომავლის წინაშე მშვიდად შეუძლიათ წარდგნენ.

შალვა ნუცუბიძემ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მთელი ეპოქა შექმნა. მას თავის საქმეში წინამორბედიც კი არ ჰყოლია.

კლასიკური ხანის შემდეგ, საქართველო არ იცნობს ასეთი ფართო განათლებისა და ერუდიციის ფილოსოფოსს. და თუ მისმა მოწაფეებმა ფილოსოფია და ლოგიკის ძირითადი პრობლემების გამოკვლევა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს, ესეც უდავოდ პატივცემულ შალვას დამსახურებაა, ის ხომ ქართული ფილოსოფიის პატრიარქად არის აღიარებული!

ფილოსოფია, მისი ისტორია, ლოგიკა, ხელოვნების თეორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, მტკიცებათა სიმართლის ისტორია, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, რამდენი მეცნიერებით, ცოდნით გაუმდიდრებია შალვას ჩვენი ახალგაზრდობა!

– „პოეტებად იბადებიან, ორატორებად ხდებიანო“ – პოეტობა თანაშობილი მადლია, ორატორობა კი დიდი შრომის შედეგია. ორივე ეს მადლი იშვიათად, რომ წილად ვინმეს ხვდეს.

შალვას პიროვნებაში ორივე სიკეთე ჩინებულად შეთავსებადია. აბა, ვინ იტყვის, რომ „რუსთველის“ აღმდგენელი ჭეშმარიტი პოეტი არ არის!

საქართველოს არ ჰყოლია მისნაირი ოქროპირი. შალვას ხშირად უთქვამს: „ისტორიამ, დროთა მოწამემ, ჭეშმარიტების შუქმა, მეხსიერების წყარომ, ცხოვრების მასწავლებელმა, სიძველეთა მაცნემ, ისტორიის მჭევრმეტყველებით უნდა მიაღწიოს უკვდავებასო“.

შალვას თამამად შეუძლია თქვას:

– „არა გალავნებითა და ზღუდეებით ვიცავდი მე ჩემს სამშობლოს, არამედ ცოდნის საუნჯის უხვი თესვითა და ომახიანი ქართული სიტყვით – ყველაზე ბასრი იარაღი რამ არის და ყოველგვარ აბჯარს, ჯავშანს გაჰკვეთს!“

ჩემი აზრით, სხვა რომ არაფერი მიეცა შალვას, მხოლოდ თავისი ოსტატობით დაიმკვიდრებდა უკვდავებას თაობათა მეხსიერებაში.

თავისი ენციკლოპედიური ცოდნა და განათლება შალვამ მთლიანად ხალხის სამსახურს მოანდომა.

ბოლოს, მინდა მხცოვან მეცნიერს მივმართო – ნათლითა თქვენითა ვიხილეთ ჩვენ ნათელი. უკვდავია თქვენი შრომა და ღვაწლი, ვითარცა საღმრთო ზვარაკი, მსხვერპლად რომ მიიტანეთ ქართული მეცნიერების წმინდა საკურთხეველზე.



კირილე ზდანევიჩი

კირილე ზდანევიჩის და ლადო გუდიაშვილის მოგონებები ნიკო ფიროსმანზე (1962 წლის ჩანაწერი)

კირილე ზდანევიჩის მოგონება – ჩემი ლიტერატურული ნათლობა პოეტ სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის. მე იგი 1958 წელს გავიცანი, როდესაც მან დაჟინებით მთხოვა, დამეწერა სტატია ვინმე მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილზე. ამისათვის დიდი ძალისხმევა დამჭირდა, თუმცა მეხმარებოდა დედაჩემი, რომელიც იყო ხელოვნებასა და ლიტერატურაზე შეყვარებული ქალბატონი (დედა ქართველი მყავდა!).

დიდხანს ვუკირკიტე ამ სტატიას, და როდესაც ის დაიბეჭდა, ძალიან მომეწონა ჩემი ნაშრომი.

სიმონ ჩიქოვანმა კი მთხოვა, დამეწერა სხვა მხატვრებზეც: დავით კაკაბაძეზე, ლადო გუდიაშვილზე და სხვებზე.

ყველაფერი შევუსრულე, მაგრამ ბატონ სიმონს ეს მაინც ეცოტავებოდა. მთხოვდა, შემესწავლა ფიროსმანის ბიოგრაფია, მისი წარსული, მისი ახლანდელობა და დამეწერა წიგნი მის შესახებ.

მასალები ფიროსმანის შესახებ, მართლაც ბევრი დამიგროვდა. 2 წლის მანძილზე ვმუშაობდი ამ წიგნზე. დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მომიწია ამ დროის განმავლობაში.

ვცდილობდი, დავყრდნობოდი უტყუარ დოკუმენტებს, ფაქტებს. ვწერდი ფიროსმანის ნიჭზე, მის შემოქმედებით შესაძლებლობებზე... მე მაინტერესებდა მეპოვნა ის მიზეზი, თუ რატომ მიატოვა ამ კაცმა ყველაფერი, რაც და ვინც ებადა ამქვეყნად და მთლიანად შეეცვალა ნირი თავისი არსებობისა! ყოველდღიური ლუკმა-პურის სანაცვლოდ ეხატა შედევრები; შეექმნა ასეთი საოცარი ფერწერული ტილოები; გადაეტანა ცხოვრების უმძიმესი პირობები.

ნიკო ფიროსმანის ნახატებმა მოგვხიბლა მე და ჩემი ძმა ილია, როდესაც პირველად 1912 წელს ვესტუმრეთ მას შინ.

ჩვენთვის ეს იყო გასაოცარი სანახაობა. ასეთ უბრალო კაცში იდო ამხელა გენიალობა... ჩვენ ისიც გვეუცხოებოდა, რომ იმდროინდელი საზოგადოება ძალიან გულცივად, მტრულადაც კი შეხვდა ჩვენს ე.წ. „აღმოჩენას“, და რამდენიმე მხატვრის გარდა, ბევრი გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ფიროსმანის მხატვრობა უაზროა, გულუბრყვილოა, ყალბი ნათითხნია, რომელიც ანგრევს მხატვრობის ელემენტარულ წესებს.

კირილე და ილია ზდანევიჩები

მოსე თოიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ როდესაც მან ნახა ჩემი ძმის, ილიას მიერ მოწყობილი ფიროსმანის გამოფენა 1914 წელს, მან თავისი კომპეტენტური აზრი ჩამოაყალიბა და დაბეჭდა იმდროინდელ ერთ-ერთ გაზეთში. მან თქვა, რომ ფიროსმანის გენიალურ მხატვრობას ფესვები უდევს ქართული ხელოვნების სათავეებში.

იმ წლებში, როდესაც მე ვწერდი ფიროსმანის ნახატების სიას, ვადგენდი თითოეული სურათის კატალოგს, ზოგი სურათის მოძებნაში ვაღამებდი და ვათენებდი; მე ვიქეცი მხატვრის პირველ ბიოგრაფად, მის მემატიანედ და აი, ამდენი წლის მერე, მე ვთვლი, რომ ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე ნათელი და წარუშლელი მოგონება, რომელიც ასე აღებეჭდა ჩემს სულს!

სამი წიგნი, რომელიც სხვადასხვა გამომცემლობებში 1963 წლისათვის დაისტამბა, ეყრდნობა დოკუმენტურ მასალებს, მაგრამ შინაარსობრივად ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ისინი სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ მხატვარს.

50 წელი გავიდა ფიროსმანის სიკვდილის შემდეგ და დღესაც არ ნელდება ინტერესი მისი მხატვრობის მიმართ. დრო გადის, ბევრი ნიჭიერი მხატვარი მოდის მხატვრობაში და თავის ადგილს იკავებს, მაგრამ ფიროსმანი ერთადერთია და განუმეორებელი.

გასაკვირია ის ფაქტი, თუ როგორ შეძლო ამ სოფლელმა, უბრალო, უსწავლელმა გლეხმა კაცმა, ასე, მხოლოდ თავის ღვთიურ ნიჭზე დაყრდნობით, მსოფლიო არენაზე გამოსვლა.

ერთ ან ორ წელიწადში მეც ვაპირებ მოვაწყო ჩემი ნახატების პერსონალური გამოფენა, სადაც გამოვფენ ფიროსმანთან ნაცნობობის ზეგავლენით შექმნილ ტილოებს და ჩემს შემოქმედებით სახესაც საბოლოოდ იქ წარმოვაჩენ.

ლადო გუდიაშვილის მოგონება – მე ფიროსმანთან რამდენიმე პირადი შეხვედრა მქონდა. ის იყო მაღალი შეჭაღარავებული კაცი და ჰქონდა ოდნავ უკან გადავარცხნილი თმა. მის მკრთალ და მოტეხილ სახეს თან დასდევდა რაღაც კულტურული იერი სიმშვიდისა და სიწყნარისა. წვერი შეჭრილი, ულვაშები ქვემოთ დაშვებული ჰქონდა. ეცვა ნაცრისფერი სქელი პიჯაკი, საღებავებით დასვრილი შარვალი.

მახსოვს, ერთხელ შევიყვანეთ მხატვართა საზოგადოების კრებაზე. მთელი სხდომის მანძილზე გულზეხელებდაკრეფილი იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. მისი სახე ფარულ სიხარულსა და გაკვირვებას გამოხატავდა.

ლადო გუდიაშვილი



ნიკო ფიროსმანი (ფრაგმენტი)

სხდომის შემდეგ მას მხატვრები შემოეხვივნენ. ის კი პასუხობდა მოკლედ და ლაპარაკობდა ცოტას.

ჰოდა, რა გვინდა ძმებო, იცით, – ამბობდა იგი – უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადმე ქალაქის შუაში, რომ ყველასათვის იყოს ახლოს. შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ „სამოვარი“, ვსვათ ჩაი და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე.

ერთხელ შინ ვესტუმრე. ის კიბის ქვეშ ცხოვრობდა. ოთახი რამდენიმე ნაბიჯის სიგრძე და სიგანის იქნებოდა. ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში იდგა სანოლი, კედელზე პატარა კარადა ჰქონდა ჩამოკიდებული. ოთახის მეორე კუთხეში დაყრილი იყო საღებავები, „ვედრო“, მუშამბა, ფუნჯები.

მხატვრის სახელოსნო

– თქვენ იცნობთ ჩემს ძმებს ზდანევიჩებს? – მკითხა მან უეცრად – მათ ბევრი სურათები აქვთ ჩემი. მე ბევრს ვმუშაობდი. მთელი თბილისის სარდაფები ჩემი მოხატულია. ამითი ვცხოვრობ.

გაჩერდა. ჩაფიქრდა, უეცრად მონახა გაქონილი ქაღალდი.

ხედავთ, ჩემი პორტრეტია – გაშალა გაზეთ „სახალხოს“ ფურცელი.

მე გადამიღო ვიღაც გოგოლაშვილმა და გაზეთში დაბეჭდა.

– მე ვუპასუხე რომ ეს გაზეთი ნანახი მქონდა და ვკითხე, ახლა რაზე მუშაობთ-მეთქი.

– არაფერს არ ვაკეთებ. მხოლოდ ერთ-ერთი რესტორნის შეკვეთაზე ვმუშაობო. ძალიან ღარიბულად ვცხოვრობ. შემკვეთებიც მატყუებენ, ფულს არ მაძლევენ, მარტო საჭმელ-სასმელს მაძალებენო – გულდაწყვეტით მითხრა.

ილია ზდანევიჩი

მეც ამოვიღე მხატვართა საზოგადოებისაგან გადასაცემად გამზადებული ფული და ნიკოს დავუტოვე. ვუთხარი, ეს ფული ცოტა ხანს მაინც გამოზოგვით გეყოფა-მეთქი – საღებავები იყიდე, ფუნჯები და რაც გაკლია ტანსაცმელი-მეთქი. მადლობა გადამიხადა და კარებამდე მიმაცილა... ერთ კუთხეში კირი და მური შევნიშნე.

– რა არის ეს მეთქი? – შევეკითხე.

– ეს საღებავებია, ჩემო ძმაო. მუშაობა ასე უნდა: თქვენ კი კოსტუმებში და „გალსტუკებში“ მუშაობთ, „გოლოვინსკის“ პროსპექტზე დადიხართ. არა, არა, ასე არ შეიძლება!

უნდა ჩაიცვათ ძველი „ფართუკი“, აანთოთ ლამპა, მოაგროვოთ მჭვარტლი, უნდა ფეხით დაფქვათ კირი და გააკეთოთ მარილი. აიღოთ დიდი ფუნჯი, შეღებოთ კედლები, თეთრი ან შავი ფერით, ძირიდან ჭერამდე და ასე იმუშაოთ!

მაჩვენა თავისი ნამუშევარი „ლომი“ და „თამარ მეფე“. ბოლოს თავის გულისტკივილი ასე გამიმხილა.

– აქ ბავშვები მიშლიან ხელს, ყვირიან, ქვებს ესვრიან ფანჯრებს, მიტეხენ, ძალიან მაწვალებენ. სხვაგან მინდა გადასვლაო.

ამ სიტყვებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მას შემდეგ ვეღარასოდეს შევხვდით.

ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც მხატვართა საზოგადოებამ კიდევ გადმოგვცა 300 მანეთი ნიკო ფიროსმანაშვილისთვის, ის იმ ბინაში ვეღარ ვნახე. რამდენიმე ბავშვთან ერთად შემოვიარე რესტორნები და სარდაფები და მისი მნახველი არ შემხვედრია.

ნიკომ თავისი წუთისოფელი, ალბათ, სადღაც დიდუბის მიგდებულ სარდაფში დალია... როდის მოკვდა, რა პირობებში ან ვინ დამარხა, როგორ აუგეს წესი, არავინ იცის!

„თამარ მეფე“

„ლომი“

ჭეშმარიტების პოვნა უდიდესი და უძლიერესი სიხარულია

გააკეთე ისე, როგორც უყურებ, როგორიც არის, იმღერე მხოლოდ უფრო ხამამაღლა – ეს არის უდიდესი მიზანი ხელოვნებისა. ქანდაკებას არ სჭირდება ორიგინალობა, მას მხოლოდ სიცოცხლის მინიჭება უნდა“.

იაკობ ნიკოლაძე

იაკობ ნიკოლაძე

გადაცემის ავტორია თინა კობალაძე (1966 წლის ჩანაწერი)

ოთარ მეღვინეთუხუცესი

გადაცემის ტექსტს კითხულობს კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობი საქართველოს სახალხო არტისტი – **ოთარ მეღვინეთუხუცესი.**

– ბუნება მღერის. შენც იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა – ეს სიტყვები დიდ ფრანგ მოქანდაკეს როდენს ეკუთვნის და იაკობ ნიკოლაძეს თავის უბის წიგნაკშიც ჩაუწერია.

მე ეს სიტყვები მაგონდება, როცა რუსთაველზე აკაკი წერეთლის ძეგლთან ჩავლილი... და მაშინ, როდესაც მთაწმინდაზე „მწუხარე დედის“ ქანდაკებას ვხედავ.

იაკობ ნიკოლაძე ამბობდა, – „ხელოვნების პრინციპი ერთია – ესაა ჭეშმარიტების ძიება. ვინც ამ პრინციპს გაიგებს, გზასაც იპოვნის. თქვენ ვერ შეასწორებთ ბუნებას, ოღონდ ეცადეთ გადმოიტანოთ ის, რასაც ბუნება გვასწავლის.

ენდეთ ბუნებას, რასაც ის გადმოგცემთ, გაატარეთ ის თქვენ გულში და მიეცით ნება თქვენ ხელს აკეთოს, ქმნას.

ჭეშმარიტების პოვნა უდიდესი და უძლიერესი სიხარულია. თუ მაშინვე არ ჩაუდგი მარმარილოს სული, თავიდანვე არ გააღვიძე სიცოცხლე მასში და ბოლომდე არ მიჰყევით მას, ძალიან ძნელია ცივ ქვაზე მუშაობა.

მოქანდაკე, რომელიც „ქვას არ მიჰყავს“ – ხელოსანია. ასეთი მოქანდაკე ადვილად დაამტვრევს ქვას, მაგრამ შექმნაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

„ხელოვანმა მომავალი თაობისათვის უნდა იმუშაოს, საუკუნეთა წინაშე უნდა აგოს პასუხი არა მარტო ხელოვანმა, არამედ მისმა თაობამაც!“

აკაკი წერეთლის ძეგლის ავტორს უფლება ჰქონდა ასე ეთქვა ალბათ თავის დროზე, ქართველმა ხალხმა უდიდესი მოვალეობა დააკისრა ახალგაზრდა მოქანდაკეს. მას უნდა გამოეხატა მთელი ერის გულისტკივილი და მწუხარება. და მართლაც, ეს მწუხარება მოქანდაკემ „მგლოვიარე ქალის ქანდაკებით“ გამოთქვა.

ამ ძეგლის გახსნას თვით აკაკი წერეთელიც დასწრებია და ამ კომპოზიციისათვის უწოდებია: „გვირგვინი გულდაწყვეტისა და მწუხარებისა“.

იდეის მხრივაც დიდებულიაო – ჩაულაპარაკია დიდ პოეტს.

იაკობ ნიკოლაძეს სიცოცხლეშიც რამდენჯერმე უნახავს ილია ჭავჭავაძე, აი, რას იგონებს იგი – „პირველად ილია ჭავჭავაძეს 1901 წლის თებერვალში შევხვდი. რაფიელ ერისთავი ახალი გარდაცვლილი იყო. ახალგაზრდა 25 წლის „სკულპტორი“ ვიყავი. ერთ-ერთ საზოგადოების დაწესებულებაში შეკრებილნი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე და სოსიკო მერკვილაძე. მე მათ მივმართე წინადადებით რაფიელ ერისთავის ნიღაბს გადავიღებ-მეთქი. მაშინ ეს ჩვენში ახალი ამბავი იყო. სოსიკომ უეცრად შეადგინა ხარჯთაღრიცხვა – 17 მანეთი და მოახსენა დავით სარაჯიშვილს.

იაკობ ნიკოლაძის ძეგლი მთაწმინდაზე

დავით სარაჯიშვილმა ჯიბიდან ამოიღო ეს თანხა და მომცა. ვიყიდე საჭირო მასალა და მეორე დღესვე თელავისაკენ გავემართე. იქიდან ქისტებში წავედი და ნიღაბი გადავიღე, გასვენებასაც დავესწარი. ნიღაბი თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადავეცი. ილია შემხვდა და დანახვისთანავე მიცნო. მკითხა – ყმაწვილო, ბიუსტი გააკეთე? – დიახ, მეთქი ვუპასუხე – ბიუსტი კი არა ნიღაბი-მეთქი. მობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ-მეთქი. ილია ჭავჭავაძე უკან დაბრუნდა და ყურადღებით დაათვალიერა ნიღაბი. ეს იყო მეორე შეხვედრა.

მესამედ და უკანასკნელად ქუჩაში ვნახე. მარტოდმარტო იდგა; ძალზე დაფიქრებული სახე ჰქონდა.

ეტლს უცდიდა. ეს სახე ჩამრჩა მეხსიერებაში დღემდე.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ, წერა-კითხვის საზოგადოებამ, შემიკვეთა მისი ძეგლის გაკეთება. ამ საქმისათვის საზოგადოებამ გადასდო 5500 მანეთი. ეს თანხა ხელმოწერით იქნა შეგროვებული საქართველოში.

ძეგლი პარიზში გავაკეთე. მე თვითონ წავედი, რომ იქ ჩამომესხა. მახსოვს, რომ მხოლოდ „მწუხარე ქალის“ ჩამოსხმა 600 მანეთი დამიჯდა.

თბილისში ჩამოტანამდე ეს ძეგლი პარიზში გამოვფინე, პარიზის იმდროინდელმა გაზეთებმა აღნიშეს მისი ორიგინალობა და სისადავე.“

იაკობ ნიკოლაძე ხელოვნებაში მოვიდა მარტო, ძნელი და გაუკვალავი გზით, როდესაც საქართველოში არ იყო ქანდაკების სკოლა. იაკობს, როგორც პირველ პროფესიონალ მოქანდაკეს, წარსული უნდა აღედგინა, გაეცოცხლებინა ქანდაკების ჩაწყვეტილი ფესვები და ამით უნდა გაეცოცხლებინა თაობები.



მიხეილ ჭიაურელი

ცნობილი კინორეჟისორი **მიხეილ ჭიაურელი** იგონებს – სიჭაბუკის წლებში დიდად გატაცებული ვიყავი ფერწერით, მაგრამ როდესაც ვნახე იაკობ ნიკოლაძის, ჩემი ძვირფასი პედაგოგის სახელოსნო, ვიფიქრე, რომ ჩემი სული და გული აქ უფრო კარგად მოთავსდებოდა. უფრო კარგად გამოხატავდა-მეთქი იმას, რაც მე მაწუხებს.

იაკობი იყო შესანიშნავი პედაგოგი, კარგი მოსაუბრე. ეს იყო დაუსრულებელი იმპროვიზაციის სკოლა, რომელიც დღემდე გამომყვა: მისი ლაპარაკი, მისი რჩევები, მისი აზროვნების სტილი – ბევრი რამ არ შეეხებოდა მხოლოდ ქანდაკებას.

ეს არ შეეხებოდა თეატრს და მხოლოდ ქანდაკებას. ეს შეეხებოდა მუსიკას, პოეზიას, ცხოვრებას.

სხვათა შორის, ჩვენ ვიცნობთ იაკობს, როგორც მოქანდაკეს. მაგრამ ის იყო მშვენიერი მუსიკოსიც. თვითონ უკრავდა ვიოლინოზე, მღეროდა კიდეც. მუშაობის დროს ღიღინებდა. განსაკუთრებით უყვარდა იტალიური რომანსები. თავდავიწყებით უყვარდა კლასიკური მუსიკა.

ის არასოდეს გახვევდა თავს იმას, რაც თვითონ უკვე ჰქონდა მიღწეული, არამედ გზას ეძებდა იმისათვის, რომ შენც მიმხვდარიყავი და სწორედ „შემოქმედის სკოლაც“ იმაში მდგომარეობს, რომ გახდე როგორც აღმომჩენი, შენი საკუთარი უნარითა და ნიჭით!

მახსოვს, თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თვალსაჩინო მევიოლინე – გუბერმანი.

ეს ისეთი მაღალი ხარისხის არტისტი იყო, რომ ის თავისი დონით შეედრებოდა კრეისლერსა და ხეიფეტს... სამწუხაროდ, მე ვერ დავესწარი მის კონცერტს. როდესაც იმ კონცერტით მოხიბლული დაბრუნდა იაკობ ნიკოლაძე და მითხრა:

– მიშა, ეხლა ჩვენთან სახელოსნოში მოვა გენიოსი მევიოლინე და შენ უნდა მომეხმარო თიხის მომზადება-მოზელვაშიო. მე სიამოვნებით დავთანხმდი. – გუბერმანმა თანხმობა მომცა, რომ 1-2 საათის განმავლობაში დამიჯდესო და უნდა მოვასწრო მისი პორტრეტის გამოძერწვაო.

იაკობ ნიკოლაძე (ფრაგმენტი)

თავისთავად ცხადია, შევუდექით თიხის დამზადებას და არ გასულა ცოტა ხანი, რომ კარებზე დააკაკუნა ვიღაცამ. ოთახში შემოვიდა ტანმორჩილი, დიდთვალება კაცი, მეტყველი სახით, უზარმაზარი, ჩამოგრძელებული ნიკაპით, ისე იდგა და ეჭირა ინსტრუმენტი, რომ ალბათ ჩვეულებრივი ხელებით ის ასე ვერ დაიჭერდა.

იაკობმა საჩქაროდ დაიწყო მუშაობა. მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს და დიდად ბედ-

ნიერად ვთვლიდი თავს, რომ ამ ორ დიდ ქურუმს ვუცქერდი. მიხაროდა, რომ დამსწრე ვიყავი შემოქმედებითი პროცესისა. ეს იშვიათი ამბავი იყო, რომელსაც შემოქმედებით პროცესში ვიღაცა სხვა კაციც ესწრებოდა.

ბევრ დიდ შემოქმედს, ქურუმს, არ უყვარს მოწმეები, ამ შემთხვევაში, ჩემს თვალწინ უკვე გამოიკვეთა მრგვალი სახე მუსიკოსისა.

მე ბევრი წამიკითხავს პაგანინზე და გუბერმანი რაღაცით ჰგავდა მას. ამბობენ, რომ პაგანინი შემზარავი გარეგნობის იყოო. არც ეს იყო სახით მიმზიდველი გარეგნობისა, მაგრამ, როდესაც მან ტოსკანინის „სიცილიანა“ დაუკრა, მისი ამგვარი შესრულება მე არასოდეს მსმენია. ამ მუსიკის ფონზე იაკობის მოძრავი თითები ქმნიდა თავის საოცარ შედევრს.

მე როგორც ამ ყველაფრის დამსწრე, თავგზააბნეული ვუმზერდი მათ და ის პატარა სახელოსნო გაივსო დაუსრულებელი სიმფონიური მუსიკითა და შესანიშნავი ქანდაკებით დამშვნებული.

იაკობ ნიკოლაძე სახელოსნოში

ეს ის პროცესი იყო, როცა კი ყველაფერზე მეტად ამაღლებული ხდები, ყოფიერებაზე, ყოველდღიურობაზე, ბუნებაზე – ხელოვნებით შთაგონებული. დაუვიწყარი იყო ჩემთვის ეს შეხვედრა...

მეორე მოგონება. მინდა მოგითხროთ იაკობ ნიკოლაძის მოყოლილი ერთი ამბავი.

როდესაც იაკობი იტალიაში მოქანდაკე როდენთან ერთად სახელოსნოში მუშაობდა, მისულა თურმე მასთან ერთი იმდროინდელი კრიტიკოსი. როდენს უჩვენებია მის მიერ შექმნილი პორტრეტები. მას შეუნიშნავს მაგიდაზე თიხისგან გამოქანდაკებული პატარა ფიგურები და თვალი ვერ მოუწყვეტია. შემდეგ უკითხავს – ეს რა ფიგურებიაო.

– ეს ბალზაკის ხელებიაო – უთქვამს როდენს. ათრთოლებული კრიტიკოსი გადახვევია მოქანდაკეს და უთქვამს: – შენ, შენს სიცოცხლეში ამნაირი არაფერი გაგიკეთებიაო! – აქ მარტო ხელები კი არა მთელი ბალზაკიაო – მშვიდობით, მის ყურებას ვეღარ ვიტანო – და გავარდნილა აცრემლებული.

მობრუნებია როდენი იაკობ ნიკოლაძეს და უთქვამს – ჩქარა წადი, მიყიდე პატარა ვიტრინა, ბალზაკის თითები უნდა შევინახოო.

ეს ნაამბობი ჩემთვის დაუვიწყარი დარჩა. მე შემიძლია იაკობზე დაუსრულებელი ლაპარაკი. ის იყო გენიოსი მოქანდაკე, მან აღზარდა და ერთერთმა პირველმა შექმნა ქართული ქანდაკების რეალისტური სკოლა.

ლეო, იმღერეთ ერმეს, რომელიც თვალცი წარცყლითს ლს მომვლლით ყოველთვის ისმყრბს

ამ დღეებში სრულდება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაარსების 150 წლისთავი. გთავაზობთ რამდენიმე გამოსვლას (რადიოს ოქროს ფონდის ჩანაწერი) კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის 100 წლის იუბილეზე (1967 წლის ჩანაწერი) და მინდა ამით გავიხსენოთ პირველი მიღწევები ქართულ საოპერო ჟანრში.

ბათუ კრავეიშვილი, კ/ფ „ქეთო და კოტე“

საქართველოს სახალხო არტისტის, **ბათუ კრავეიშვილის** მოგონება:

თბილისში ელბაქიძის დაღმართი რომ იწყება, ხელმარცხნივ, პატარა ქუჩის დასაწყისში, საღამო ჟამს, თეთრ – საზაფხულო კოსტიუმში, ყველა გამვლელის ყურადღებას იქცევდა, ხანდაზმული, მაგრამ ახალგაზრდული, მღელვარე თვალებით, შუბლმაღალი, ჩიბუხით ხელში, მომხიბლავი, თეთრად თმაშევერცხლილი საშუალო ტანის ადამიანი, რომლის ყოველ მოძრაობაში და თუ გნებავთ, დგომაშიც კი იგრძნობოდა არტისტული და ეპიკური სიდინჯე.

მე, სხვებთან ერთად შემკრთალმა, შევიცანი ვის წინაშე ვიდექი, გავფითრდი და მისი ღრმა ნაოჭებით დაშთენილ თვალებს, სიხარულის ცრემლით სავსე სახე მივაპყარი – ეს ადამიანი გახლდათ მელიტონ ბალანჩივაძე.

მელიტონ ბალანჩივაძე

პირველი ქართველი კალმოსანი მუსიკოსი, საოპერო ჟანრის პირველი მშენებელი და მესაძირკვლე, ქართული მუსიკალური კულტურისათვის თავდადებული რაინდი.

ის იდგა ფიქრებით გარემოცული და მტკვრის დინებას გაჰყურებდა. ალბათ ამ დროს მას აგონდებოდა თავისი ახალგაზრდობა, როცა ცოდნას დაწაფებულმა ქუთაისის მყუდრო გარემო მიატოვა და თბილისში, ამ ბობოქარ ქალაქში, ამოჰყო თავი.

იქნებ აგონდებოდა მისი პირველი პირმშო „დარეჯან ცბიერი“ და მის შექმნაში დალეული პეტერბურგის ცივი და უძილო ღამეები?!

ან კიდევ სანუკვარ შვილთა ბედზე ოცნებობდა იქნებ... ანდრია, ხომ მამის თანამგზავრი იყო ყოველთვის, პეტერბურგიდან თბილისს, გიორგი კი მამაშვილური სიყვარულიდან მისთვის განკუთვნილ ბედის ტრიალმა მოაშორა საყვარელ ბუდეს და არწივის ფრთებით ზღვები და ოკეანეები გადააფრინა.

იქნებ, სწორედ ამ დანატრებულ პირმშოზე ფიქრობდა (ნაგულისხმევია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, დიდი ბალეტმეისტერი გიორგი-ჯორჯ ბალანჩინი. ნ.დ.).

ანდრია და ჯორჯ ბალანჩივაძეები

ეს არწივი, დღეს ჯორჯ ბალანჩინად წოდებული, „მსოფლიო კლასიკური ქორეოგრაფიის ჯადოქრად“ აღიარებული – ამერიკაში ცოცხლობს და იღვწის!

იდგა მოხუცი, მის წინ, ელვარებით დაღლილი მზე უსასრულობაში იძირებოდა, მისი მკრთალი

სხივი უკანასკნელად ეამბორებოდა მოხუცს, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანის სახეს.

ის იყო და ის, თბილისის საღამოები ისევ საღამოობენ. მოხუცი კი მზის სხივს გაჰყოლოდა საუკუნოდ!

ხოლო მისი დიდი შემოქმედება, ყოველთვის იყო და დღესაც არის ჩემი მისადმი დაუღალავი სიყვარულისა და პატივისცემის საგანი. მე „დარეჯან ცბიერის“ სამი ახალი დადგმის მონაწილე ვარ. სწორედ გოჩას მაღალმა პოეტურმა და მუსიკალურმა არსმა შთამაგონა, რომ დღეს სულნათელი მელიტონი მომეგონებინა.

კორნელი სანაძე – (მხატვართა კავშირის სახელით) – მელიტონ ბალანჩივაძე მუხაა, რომლის ნაყოფმა ააღორძინა და განავითარა ქართული მუსიკალური კულტურა. უკვდავია მისი რომანსები: „შენ გეტრფი მარად!“ – მართლაც, მასვე უნდა ვუმღეროთ. დაე, იდიდოს და იდღეგრძელოს შენმა სიმღერამ. დაე, იმღეროს ერმა, რომელიც თავისი წარსულითა და მომავლით ყოველთვის იამაყებს!

დავით თორაძე – კომპოზიტორი (საქართველოს სახალხო არტისტი) – კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის „დარეჯან ცბიერის“ პირველივე აკორდებიდან იწყება ქართული კლასიკური მუსიკის აღმავლობა.

მელიტონ ბალანჩივაძის მიერ მარგალიტებად ასხმული ქართული ხალხური მელოდიები, მთელი საქართველოს მეკვლე აღმოჩნდა! მ.ბალანჩივაძის ხალასი, წყაროსავით კამკამა შემოქმედება კამერტონივით დაირხა საქართველოში და ერთგვარი ტონი მისცა ოპერებს: „აბესალომ და ეთერს“, „დაისს“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტეს“ და სხვა. და ჩვენი ეროვნული პროფესიონალური კულტურა გამოიყვანა დიდ გზაზე.

დავით თორაძე ჯგუფთან ერთად

ქართული მუსიკის მამამთავრები მამა-შვილი – მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეები და მათი მადლკურთხეული ახალი მუსიკა საქვეყნოდ ახმიანდა და მსოფლიოს მოჰფინა ქართული მელოდიის სურნელება!

ცოტა რამ მელიტონ ბალანჩივაძის ბიოგრაფიიდან.

მელიტონ ბალანჩივაძე დაიბადა 1862 წლის 24 დეკემბერს, სოფელ ბანოჯაში, ქუთაისის მახლობლად, ღარიბი მღვდლის ოჯახში.

8 წლის მელიტონი მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი ჩარიცხეს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში.

8 წლის მელიტონს აღმოაჩნდა წკრიალა, ვერცხლნარევი ხმა, ამიტომაც ის ჩაირიცხა 25-ბავშვიან გუნდში, რომელსაც დიმიტრი აღნიაშვილი ხელმძღვანელობდა და ასე მოხდა მისი მუსიკალური ნათლობა.

მელიტონმა არ დაამთავრა სასწავლებელი, იქ გამეფებული აუტანელი პირობების გამო და წამოვიდა თბილისში, აქაც ჩაირიცხა სასულიერო სასწავლებელში და გალობდა „ეგზარხოსის გუნდში“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე – კიკნაველიძე და ერთ-ერთი ცნობილი ლოტბარი საეკლესიო საგალობლებისა – მამა-აუშევი.

აი, ეს აუშევი იყო მუსიკის პირველი მასწავლებელი თეორიისა, რომელმაც გონება გაუხსნა მელიტონს მუსიკის დიდ სამყაროში.

1880-83 წწ. მელიტონი პირველად გვევლინება, როგორც დამაარსებელი ქართული ეთნოგრაფიული გუნდისა. იგი ფილიმონ ქორიძის დახმარებით შედის თბილისის საოპერო თეატრის გუნდის წევრად და ასრულებს პატარ-პატარა არიებს, ე.წ. „კომპრიმარიებს“.

განსაცვიფრებელი იყო მაშინდელ რუსულ ოპერებში ქართველი მომღერლის გამოჩენა („ევგენი ონეგინში“ ზარეცკის თამაშობდა). მის პატარა რეპლიკაზეც კი ტაშით დარბაზი ლამის ჩამოიქცეოდა-ხოლმე.

ფილიმონ ქორიძე იყო შესანიშნავი მომღერალი, იტალიის ოპერების პრემიერი, ბრწყინვალე შემსრულებელი სუსანინის პარტიისა, პეტერბურგის სცენაზე...

ამ ადამიანმა შესანიშნავი მაგალითი მისცა მელიტონს, რომ იტალიაში „კორეჯიოდ“ ცნობილი საოპერო მომღერალი ტოვებს მსახიობის კარიერას და მიდის იმ დროს ყრუ პროვინციაში, როგორიც იყო ქუთაისი. იქ იწყებს მამულიშვილურ მუშაობას, როგორც ფოლკლორის შემკრები, როგორც ჩამომყალიბებელი გუნდებისა და ორგანიზატორი კონცერტებისა. მელიტონიც თან გაჰყვა მას და 2 წლის განმავლობაში (1884-1886 წწ.) დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს და დაარწმუნეს მთელი ქართული საზო-

გადოება იმაში, რომ ჩვენ ერსაც ჰქონია როგორც საერო, ასევე სასულიერო საგალობლები, ღირსი დიდი ყურადღებისა და მაღალი შეფასებისა!

1886-1889 წლები მელიტონმა თბილისში გაატარა. აქ, გუნდების წარმატებით წახალისებულმა, გადაწყვიტა, დაეწერა რაიმე ნაწარმოები ორკესტრის თანხლებით. ეს გახლდათ პირველი „ქართული პოპური“ – დაწერილი გუნდისა და ორკესტრისათვის.

ეს იყო პირველი მერცხალი საგუნდო-საორკესტრო ნაწარმოებისა, რომელიც კომპოზიტორის ცხოვრებაში ძლიერ წამახალისებელი აღმოჩნდა.

ამას მოჰყვა 3 რომანსი: „ოდესაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“ და „ნანა“. თვითონვე იყო მაშინ შემსრულებელი (ბარიტონი) და სწორედ ეს ნაწარმოებები იქცა ფუძემდებელ ნაწარმოებებად ქართულ სარომანსო ჟანრში.

ამ რომანსებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მხატვრული ღირებულება და ემოციური ზეგავლენის ძალა.

1889 წ. პეტერბურგი, კონსერვატორია. აქ იგი შედის ჯერ ვოკალურ ფაკულტეტზე, მერე გადადის საკომპოზიციო განყოფილებაზე – რიმსკი კორსაკოვის კლასში. ამ წლებში მელიტონი გაეცნო რუსულსა და უცხოურ კლასიკურ მუსიკას, გაეცნო კომპოზიციის ტექნიკას, გაორკესტრებას და სხვა.

1895 წლიდან იგი მართავს ქართული სიმღერის საღამოებს. იმდროინდელი გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ „მხოლოდ ახლა შევიგრძენით, თუ რა ყოფილა ნამდვილი ხალასი, ქართული სიმღერა და საგალობელი“. ამავე წლებში მელიტონმა პირველმა დაწერა ვრცელი წერილი ქართული ხალხური ე.წ. საერო სიმღერის შესახებ. დაწერა მთელი გულითა და სულით, დიდი პატრიოტიზმით და, რაც მთავარია, ამ წერილმა გააცნო რუსულ საზოგადოებას ქართული მუსიკის მშვენიერება და სილამაზე...

საინტერესოა ოპერა „თამარ ცბიერის“ შექმნის ისტორიაც. 1897 წელს 22 დეკემბერს, მაშინდელ კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში, ახლანდელ ფილარმონიაში, ოპერის ჰანგები წარმოდგენილი იყო ნაწყვეტების სახით. და მშვენივრად იყო გადმოცემული მელიტონის მუსიკის სილამაზე, მელოდიურობა, ქართველობა და გულის სიხალისე, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ კომპოზიტორისათვის.

ბოლო არ უჩანდა – ტაშისცემას, შეძახილებს ემოციებს. ქართულმა საზოგადოებამ იგრძნო, რომ აქ ჩაისახა ახალი მუსიკის, ქართული საოპერო მუსიკის ჟანრი, რომლის ფუძემდებელიც იყო მელიტონ ბალანჩივაძე. სამწუხაროდ, მელიტონმა ვერ შეძლო ამ ნაწარმოების დროულად დამთავრება... ან როგორ უნდა შეძლებოდა, რადგანაც ამისთვის არავითარი სტიმული, არავითარი საშუალება არ გააჩნდა, არავითარი მატერიალური დახმარება მთავრობისგან კომპოზიტორს არ გააჩნდა! უფრო მეტიც, მაშინ ოპერის თეატრში სპექტაკლის დასადგმელად საჭირო იყო 2000 მანეთის სალაროში შეტანა, იმის საგარანტიოდ, თუ სპექტაკლი „ჩავარდებოდა“, თეატრს ზარალი არ ჰქონოდა.

საიდან შეძლებდა ამ ფულის შოვნას ან ბალანჩივაძე, ან არაყიშვილი, თუნდაც ფალიაშვილი იმისათვის, რომ დაეზღვიათ თეატრი ჩავარდნისაგან! ჯერ ეს ერთი, „ჩავარდნა“ არც იქნებოდა...

ასე თუ ისე, 1926 წელს მელიტონმა შეძლო აესრულებინა დიდი ხნის ოცნება. ამ დროს, მართალია, ბუმბერაზი მთებივით აღიმართნენ ოპერები: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, იგივე „თქმულება შოთა რუსთაველზე“ – მელიტონი შესანიშნავი და პოეტური მუსიკით, რომელიც კომპოზიტორის დიდ შემოქმედებით ნიჭზე მიგვითითებს.

ეს ოპერაც განხორციელდა და საპატიო ადგილი დაიკავა ქართულ საოპერო ხელოვნების რიგებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ამბავი. 1929-31 წლები მელიტონს გატარებული აქვს ბათუმში, შალვა თაქთაქიშვილის მიერ დაარსებულ მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა იმ ხანად.

1933 წელს მიანიჭეს სახალხო არტისტის წოდება და გადაუხადეს იუბილე.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე მელიტონ ბალანჩივაძე მუშაობდა, მის მიერ დაარსებულ, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად.

1936 წელს გადაწყდა ქართულ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის გამართვა მოსკოვში. გადაწყდა „თამარ ცბიერის“ დადგმის განხორციელებაც.

მელიტონ ბალანჩივაძემ დაიწყო ინტენსიური მუშაობა ამ ოპერაზე თავის ვაჟთან – ანდრიასთან, აგრეთვე კოტე ფოცხვერაშვილთან, ალექსანდრე წუწუნავასთან ერთად, მის მესამე რედაქციაზე. გამოთქვა აზრი, ალბათ დროუ-

ალექსანდრე წუწუნავა

ლიც, რომ – ნუ დავარქმევთ ამ ოპერას „თამარ ცბიერს“, ნუ წარვადგენთ ამ სახელწოდებით, რადგან რუსული საზოგადოება იცნობს მხოლოდ შოთა რუსთაველის თამარს, რომელიც სწორედ ამ „დიდ მეფესთან“ გააიგივებდა იმ „ცბიერ თამარს“ და დავარქვათ „დარეჯან ცბიერი“. მართლაც, ასე მოხდა... რუსულმა საზოგადოებამ დიდი პატივისცემითა და სიხარულით მიიღო ეს ოპერა...

მელიტონ ბალანჩივაძე ძალიან თავისებური ადამიანი იყო. ძალიან უბრალო... აი, ერთი მაგალითიც: იუბილის დღეებში, როდესაც მთელი ქუთაისი სიხარულით შეხვდა მელიტონს და შეუძღვა დარბაზში. იქვე კიბეებთან კედელზე ეკიდა მისი გადიდებული სურათი და იქვე მცირე ფორმატის ბეთხოვენის სურათი. შეუხედავს მელიტონს სურათებისთვის და გაბრაზებით უთქვამს: – ამ წუთში, მოხსენით, ეს არამზადაო! – ხალხს ვერ გაუგია, ვისზე ყოფილა ნათქვამი.



ლადო აღნიაშვილის ქართული გუნდი

– გვითხარით, ბატონო რა გეწყინათო!

– რა და ჩემი სურათი რომ ჰკიდია კედელზე, მოხსენითო!

– რატომო? – უკადრებიათ მოკრძალებით.

– მე, ბეთხოვენის სურათის გვერდზე ცოცხლად რომ დამკიდოთ, იმისი ღირსი არა ვარო, თქვენ კი ჩემი სურათი ბეთხოვენის სურათზე 10-ჯერ მეტად გაგიდიდებიათო.

ძლივს დააწყნარეს მელიტონი და ძლივს დააჯერეს რომ მისი სურათი 2 დღით მაინც ყოფილიყო ჩამოკიდებული, იუბილის დღეებში.

მელიტონ ბალანჩივაძემ დაიმსახურა დიდი მუსიკოსის, გულწრფელი ხელოვანის სახელი იმით, რომ ის იყო მართლაც ალალ-მართალი გულის მქონე. მას ჰქონდა ის, რაც საჭიროა დიდი მუსიკოსისათვის – გამოთქმის გულწრფელობა, გამოთქმის უშუალობა! ხალხის წიაღიდან წარმოიშვა იგი, ბავშვობიდან შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართველი ერის მდიდარი სამუსიკო შემოქმედება.

ის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით, გულითა და სულით, ხალხს ემსახურებოდა, ხალხისკენ იყო მიმართული მისი ყურთასმენა მისი ინტერესი, რაც გამოსჭვივის მის ყოველ ნაწარმოებში.

ჩვენთვის უდიდეს სიამაყეს, ჩვენს დიდებას წარმოადგენს ზაქარია ფალიაშვილი, მისი უკვდავი შემოქმედება, ჩვენ დიდად ვაფასებთ – დიმიტრი არაყიშვილს, ვიქტორ დოლიძეს, ნიკო სულხანიშვილს, მრავალ სულმნათებს მუსიკის ოსტატებისა, მაგრამ სადაც ითქმის წარსულ დროში კომპოზიტორების სიდიადეზე, ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად პირველ ადგილზეა მელიტონ ბალანჩივაძე და მრავალი გულთბილი სიტყვა უნდა ითქვას ყოველთვის მასზე.

დარწმუნებული ვართ, რაც დრო გავა, მისი დიდებული სახელი ყოველთვის იცოცხლებს მადლიერი შთამომავლობის გულში, რადგანაც იგი ღირსია ხალხის სიყვარულისა, როგორც ხალხის მესაიდუმლე, როგორც დიდი და გულწრფელი ხელოვანი.

ვი, ცვლ ლვიფფრცლოვ მიცი ლვფნიც გვირგვინი პირველოვლ

მინდა ერთად მოვიგონოთ ჩვენი სასიქადულო მომღერალი – ნიკო ქუმსიაშვილი.

გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი წერილებიდან და დღიურებიდან; აგრეთვე მცირე ფრაგმენტებს ქალიშვილის, **როდამ ქუმსიაშვილის** მოგონებიდან.

გადაცემის ავტორი
ლალი ვარდანაშვილი
(ჩაწერილია 1969 წელს)

როდამ ქუმსიაშვილი – მე არა ვარ თეატრალური კრიტიკოსი, ხელოვნების ან მუსიკისმცოდნე, მე მხოლოდ გულშემატკივარი და გულმოდგინე მსმენელი ვიყავი მამაჩემისა. ნიკო ქუმსიაშვილი მიყვარდა, როგორც ადამიანი და მოქალაქე, მიყვარდა და მიყვარს, როგორც მომღერალი, ცხადია, როგორც მშობელი.

ვინც იცნობდით მას, როგორც ადამიანსა და მომღერალს, ვგონებ, ვერ მისაყვედურებთ, რომ ჩემს თხრობაში რაიმე გადავაჭარბე, ხოლო თუ რაიმეში ვცდები, – მომიტევეთ!

სოფელი ზემო ორხევი, მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე ცივ-გომბორის ტყიანი მთის კალთებზეა შეფენილი. ახალგაჭრილ შარა-გზაზე მიმავალი მგზავრი ადვილად შენიშნავს სოფლის ბოლოს, ბექობზე მწვანეში წამომდგარ სახლს, სადაც დაიბადა და დაასრულა თავისი სიცოცხლე ნიკო ქუმსიაშვილმა.

პაპა-ნადირამ, თავისი ყველა საუკეთესო თვისება მოჰმადლა ჯერ თავის ვაჟსა და მერე შვილიშვილს.

ნიკო ქუმსიაშვილი

ნიკოს მამა, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლე ცხვარში გაატარა, განათლებული, გაგებული და ჭკუასაკითხავი კაცი იყო. ნიკოც ექვსი წლიდან ცხვარში დაჰყავდა, მაგრამ მამას დიდი სურვილი ჰქონდა განათლება მიეცა შვილისთვის. ამიტომ, 1900 წელს პატარა ნიკო თიანეთში წაიყვანა, ორწლიან სამრევლო სკოლაში მიაბარა, საცხოვრებლად კი, პარასკევა და იოსებ ოზაშვილებთან დააყენა.

ეს ოჯახი დღემდე ჩემს საკუთარ ოჯახად მეგულება – ამბობდა ნიკო და მართლაც, სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია მათთან ურთიერთობა.

იოსების ძმისშვილი, თიანეთის სკოლის პედაგოგი, **ლევან ბორაშვილი იგონებს**:

– თიანეთის სამრეკლო სკოლიდან ნიკო წინამძღვრიანთ კარში მიიყვანეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. ამ პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელის სულისჩამდგმელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილი იყო. თვითონ მამაჩემი ნიკო ქუმსიაშვილი ასე მოგვითხრობდა-ხოლმე ჩვენს გვარზე: – „ყოფილა ვინმე რაზიკა, რომელსაც ჰყოლია შვილი ქუმსი. ქუმსის მეხუთე შტოს ეკუთვნის პაპაჩემი ნადირა, რომელსაც ფშაველთა ტრადიციის მიხედვით მიუღია თავისი საგვარეულოს სახელიდან წარმომდგარი გვარი – ქუმსიაშვილი.“

1892 წლის 18 ნოემბრის სუსხიან დილას პაპაჩემ ნადირას მახარობელი სწვევია, ჩემი დაბადების ამბავი მოუტანია და თან დაულოცივარ: „ღმერთმა გაგიზარდოს, ნადირავ, კარგ კაც გამოიყვანოს ქვეყნისა და ჩვენი გვარის სასახელოდ, თვითონაც იმრავლოს და ცხოვრებაც ამრავლოს“.

იმ დღეს პაპაჩემის სახლში სტუმარი არ გამოლეულა. მისი ზარიანი სიმღერა და მხიარული შეძახილები, ჩემი ტირილის ხმას ერთვოდა თურმე.

პაპაჩემი 4-5 წლის ასაკიდან მახსოვს. მაგონდება ქულაჯაში გამოწყობილი ჭრელი წინდა, ქალამანი. დავდევდი იმ ვეება კაცს და თვალებში შევციცინებდი. მხიბლავდა მისი ვაჟკაცური აგებულება, ტანზე ასხმული პრიალა ქამარ-ხანჯალი, დაუსრულებელი, მაგრამ თავშეკავებული ალერსი, მოტანილი ნანადირევი, საგმირო ამბები და ვინ მოსთვლის ...

პაპა ნადირა ცდილობდა ჩემში ჩაენერგა კარგი, ადამიანური თვისებები. ორჯერ მან სამაგალითოდ დამსაჯა ტყუილის თქმისთვის. ერთხელ დამუქრებით, მეორედ – სიცილით. თანაც დაატანა – შვილო, რომ გახრჩობდნენ, ტყუილი

არა თქვა, მას მოკლე ფეხები აქვს, და ისეთ დროს შეგარცხვენს, შენც რომ არ ელოდებიო.

პაპა ნადირა კარგი მოშაირე, ენამახვილი და მოსწრებული კაცი იყო. მას მეტად ლამაზი და ძლიერი ტენორი ჰქონდა. იმდენად სასიამოვნოდ მოსასმენი, რომ მე ყოველთვის ვცდილობდი, არ გამომპარვოდა მომენტი, როდესაც ის მღეროდა.

კვლავ ნიკო ქუმსიაშვილის ქალიშვილის, როდამის მოგონებიდან:

„ნიკოს ხსოვნაში თიანეთის სამრევლო სკოლაში გატარებული ბევრი დაუვიწყარი დღე აღიბეჭდა. წლების შემდეგ, ყირიმის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის კვლავ პედაგოგად დაუბრუნდა სკოლას.

ამ პერიოდში უკვე ბევრნი აღნიშნავდნენ ნიკოს კარგ ხმასა და კარგ სიმღერას, მაგრამ ბევრი არ მოელოდა, რომ მას საოპერო სცენაზე იხილავდნენ“.

კვლავ ნიკოს „წერილ-დღიურებს“ მოვიშველიებ:

– „ჩემი ახლო მეგობარი, მწერალი დავით ჩხეიძე გადამეკიდა, ზაქარია ფალიაშვილთან წამომყევიო. მე უკვე 28 წლისა ვიყავი და ამ ასაკში ახალი საქმისთვის ხელის მოკიდება, და ისიც „არტისტობისათვის“, მიუწვდომელ საქმედ მეჩვენებოდა. მაგრამ ჩემს კეთილისმდომ მეგობარს ხათრი ვეღარ გავუტეხე და გავყევი კონსერვატორიაში; რომ მკითხონ, შენს ცხოვრებაში რომელი მომენტი იყო ყველაზე მღელვარეო, მე დავასახელებდი იმ დღეს, როდესაც კონსერვატორიაში შევდგი ფეხი და ზაქარია ფალიაშვილის წინაშე წარვსდექი.

მომისმინა ზაქარიამ და მაშინვე მითხრა – მთიელო, კარგი ხმა გქონია, დაუყოვნებლივ წადი პროფესორ ევგენი რიადნოვთან და შეუდექი ხმის დამუშავებასო! – თან პატარა ბარათიც გამატანა.

ამ დღიდან დაიწყო ჩემი სწავლისა და ძიების წლები, სტუდენტური კონცერტები, პირველი საჯარო გამოსვლები და პირველი შეხვედრა ვანო სარაჯიშვილთან.

ერთხელ, მორიგი კონცერტისთვის ვემზადებოდით. სტუდიაში ვვარჯიშობდით, მე ვმღეროდი, უცებ, კარი გაიღო და ვანო სარაჯიშვილი შემოიჭრა და გაკვირვებულმა იკითხა – მაჩვენეთ, ვინ მღეროდაო?! – მე გახლდით, ბატონო ვანო-მეთქი, – ვუპასუხე დარცხვენილმა და თან შიშის ჟრუანტელმა დამიარა, რა ღმერთი გამიწყრა, რაღა ახლა ვმღეროდი, როცა ვანო სარაჯიშვილიც აქა ყოფილა-მეთქი! ვანო მომიახლოვდა და მკერდზე ხელი დამკრა, – შენ იმღერებ დიდ სცენაზეო! უსათუოდ იმღერებო, მითხრა და გამცილდა.

ეს იყო ჩემთვის ყველაზე სერიოზული გამოცდა, ასეთ მკაცრ შემფასებელს სხვა სადღა შევხვდებოდი! – როგორ მივედი შინ აღარ მახსოვს; ტახტზე დავემხე და ვგრძნობდი, რაღაც იდუმალი სიხარული მახრჩობდა. ჩემი პირველი შეხვედრა ვანოსთან და მისი გამამხნევებელი სიტყვები, გულში საიმედოდ მქონდა შენახული.

სამწუხაროდ, ვანო ვერ მოესწრო ჩემს დიდ სცენაზე გამოჩენას. ის 1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა. ვანო სარაჯიშვილი იყო ქართველი ერის დიდება და სილამაზე.

21 ნოემბერს ჩელოს მკვნესარე ჰანგმა უკანასკნელად დაიტირა „დაობლებული უფლისწულის“ ნაღვლიანი ხვედრი. მერე ყველაფერი მიწყნარდა და მინელდა.

ვანო სარაჯიშვილი

დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც მეოთხე კურსის სტუდენტს გამომიცხადეს, რომ მალხაზის პარტია უნდა მემღერა ოპერა „დაისში“.

არასოდეს დამავიწყდება 26 ნოემბრის ის სუსხიანი საღამო, ჩემი გამოსვლა „მალხაზის“ როლში. ერთი თვის შემდეგ, 1924 წლის 21 დეკემბერს „აბესალომ და ეთერი“ დაინიშნა. იქაც მივიღე მიწვევა და მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქართულ ოპერაში ვმონაწილეობდი.

გვიან ღამემდე ვიჯექი ინსტრუმენტთან და ყველა პარტიას მე თვითონ, დამოუკიდებლად ვსწავლობდი. ასე თანდათან მემატებოდა ძალა და ენერგია. როდესაც საოპერო სტუდიაში ვიმღერე რადამესის მთელი პარტია, ჩემი პროფესორის თვალებში შევნიშნე სიხარულის ნაპერწკალი.

მოკლე ხანში 1925 წლის 16 დეკემბერს წარვსდექი ქართველი მაყურებლის წინაშე ოპერა „აიდაში“, რადამესის როლში. ხალხი ჩემს გამოსვლებს წმინდა წყლის სასწაულს უკავშირებდა... შემდეგ რადამესს მოჰყვა ნიკოს პარტია ოპერა „დარეჯან ცბიერში“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, ვიქტორ დოლიძის „ლეილა და ცისანა“, „ჰუგენოტები“ და „ტურანდოტი“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ბიზეს „კარმენი“ და სენ-სანსის „სამსონი და დალილა“...

შემდეგ იყო 1932-33 წლები. მე და სანდრო ინაშვილმა ლენინგრადში გავატარეთ ეს თეატრალური სეზონი. სადებიუტოდ ჩვენ ავირჩიეთ ოპერა „აიდა“, რომელიც 1932 წლის 11 სექტემბერს დაიდგა. მანამდე კი, მე და სანდროს რეპეტიცია გვქონდა ორკესტრთან. ორივემ კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ. თეატრის მთავარი რეჟისორი, ერთ დროს, თვითონაც დიდებული რადამესი – ერშოვი, რეპეტიციას ესწრებოდა. შემდეგ ჩემთან მოვიდა და მითხრა – ყველაფერი რიგზეა, შენ ჩვენი ხარ!

ყველაზე საინტერესოა, რომ მკითხეს: რამდენ ხანს ვიყავი იტალიაში და ვისთან სწავლობდითო. მე ვუპასუხე: რომ იტალია მხოლოდ რუკაზე ვიცი სად არის, ვსწავლობდი თბილისში, პროფესორ რიადანოვთან-მეთქი. ჩემი პასუხი ყველას გაუკვირდა.

ლენინგრადის შემდეგ, ჩვენ მოსკოვის თეატრში მიგვიწვიეს საგასტროლოდ“.

კვლავ ნიკო ქუმსიაშვილის ქალიშვილის, როდამის მოგონებიდან:

1938-39 წლის სეზონის დასაწყისში ნიკო მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას. მაგრამ მისი რკინისებური ჯანმრთელობა ავმა სენმა შეარყია.

არასოდეს დამავიწყდება 1939 წლის 19 აპრილი. წინა ღამეს ნიკო ცუდად გრძნობდა თავს. იმ ღამეს ჩარგლიდან ვაჟა-ფშაველას შვილი, ვახტანგი ჩამოსულიყო ნიკოს სანახავად და ფშავური ფანდურითა და ლექსებით ართობდა მას.

გათენებისას, ისევ კარგ ხასიათზე იყო. თვითონაც თქვა – დღეს უკეთესად ვარ, მე მგონი, დღეს კარგად ვიმღერებო! დღეს ფატმან ოხტაროვას პირველი გამოსვლაა „აიდაში“, სწორედ გითხრათ, ძალიან მიმიწევს გული სასიმღეროდ, მწყურია სიმღერა, ისე როგორც არასდროს. თქვენ ხომ არა გგონიათ, სიმღერას ასე ადვილად მიატოვებს კაცი, ღმერთმა ნუ ქნას, ეს სიტკბოება იგემოთ და ბოლომდე ვერ იჯეროთ გულიო!

საღამოს 6 საათზე თეატრისკენ გაემგზავრა. წასვლის წინ დაგვიბარა – უეჭველად მოდით, მომისმინეთ და შემაფასეთ, როგორ ვიმღერებო!

მე რატომღაც ქანდარაზე ავედი, მარტოკა დავჯექი და მთელი ყურადღებით მოვემზადე მოსასმენად. რადამესის პირველივე ბგერები უჩვეულოდ მომეჩვენა. ჩემში აქამდე უჩვეულო მღელვარებამ დაისადგურა. ნიკოს ხმა ანკარა, წყაროს წყალივით წმინდა, დახვეწილი, მისი ჩამოქნილი თითოეული ბგერა გაბზარული მომეჩვენა, ხოლო რადამესის არიის ბოლო რე-ბემოლი ძლივსძლივობით „აზიდა“ და უმალ შეწყვიტა.

აი, სად დაიფურცლა მისი დაფნის გვირგვინი პირველად; უძრავად ვიჯექი, ცრემლები მახრჩობდა. მეორე მოქმედების დასაწყისს ველოდი, მაგრამ ამაოდ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოაცხადეს, რომ რადამესის პარტიას – კიპარენკო და მასკი გააგრძელებდა.

ამის შემდეგ, რამდენჯერმე ეცადა ნიკო ემღერა და ვერ შეძლო. ნიკოს ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. შემდეგ კი ამოიჩემა, მშობლიურ ორხევში წამიყვანეთო.

ძლიერ უყვარდა სიცოცხლე და განკურნების იმედი არასოდეს დაუკარგავს, სიმღერა ასულდგმულებდა და შვებას ჰგვრიდა. ხშირად დაგვიბარებდა და გვეუბნებოდა – „მართალია შვილებო, მძიმე ავადმყოფი ვარ, მაგრამ რა უფლება მაქვს 50 წლის ასაკში შევწყვიტო ბრძოლა სიცოცხლისათვის. მე ჯერ დაღლა არ მიგრძვნია. მე ხომ, ხელოვნების სიხარულით გული არ მიჯერებია. ხვალ წიფლანში სანადიროდ უნდა წავიდე, თოფი მომიმზადეთ. ახლა კი, როდამ, მეტყოდა მე – პატეფონი გამოიტანე აივანზე და ჩემი ფირფიტები მომასმენინეო“.

– მთელი ჩემი ცხოვრება ბუნების სილამაზე და სიმღერა იყო, – იტყოდა თვალცრემლიანი მამა და ასე ემშვიდობებოდა ქვეყნიერებასა და თავის სათაყვანებელ სიმღერას.



ვანო სარაჯიშვილი ჩემი მეგობარი იყო – იგონებს მიხეილ ჭიაურელი (1969 წ. ჩანაწერი)

მიხეილ ჭიაურელი – ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩემს წინაშე ძალიან რთული ამოცანაა, მე უნდა მოვიგონო ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე იყო ჩემი მეგობარი – ვანო სარაჯიშვილი.

ეს სახელი ხომ ასე ძვირფასია ქართველი ხალხისთვის. ვანო სარაჯიშვილი ნამდვილი გენია იყო სასიმღერო ხელოვნებაში. ცხოვრებაში მე არ მინახავს ისეთივე დიდი ოსტატი ვოკალური ხელოვნებისა, რომელსაც ასეთი აღიარება მოეპოვებინოს ქართველ ხალხში. მან ისე შემაყვარა ოპერა, საოპერო ჟანრი, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი პერიოდი იმასაც ვფიქრობდი, ყველაფერი მიმეტოვებინა და მეც ოპერის არტისტი გავმხდარიყავი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ მარტო ხმა საკმარისი არ იყო ამისთვის.

ვანო სარაჯიშვილის წარმოდგენები ოპერაში ნამდვილი ზეიმი იყო თბილისელი მაყურებლისათვის. ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით დადგმული სპექტაკლები უამრავ ხალხს იწვევდა თეატრში და ისეთი ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდნენ მის ყოველ არიას და რომანსს, რომ ჭაღებიც კი ქანაობდნენ დარბაზში.

მე მინახავს შალიაპინის მონაწილეობით დადგმული წარმოდგენები და ვანოს წარმატება იმაზე ნაკლები არ იყო.

ახალგაზრდობაში ოპერის ბაღში ვიკრიბებოდით ხოლმე. იქ ვლაპარაკობდით ხელოვნებაზე... ჩვენს სამომავლო გეგმებზე...

ვანო სარაჯიშვილი ახოვანი კაცი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული სილამაზისაც კი. მერე რა შესანიშნავი მოსაუბრე?! ერთხელ მიამბო, თუ როგორ დაიწყო თავისი კარიერა. მას შეხვდა შესანიშნავი რუსი მეცენატი ბორის უსატოვი, რომელსაც მრავალი მომღერალი ჰყავდა აღზრდილი. მოეწონა ვანოს ხმა და შესთავაზა თავის „სტიპენდიანტად“ გახდომა. რა თქმა უნდა, ვანო დათანხმდა და მალე გაემგზავრა პეტერბურგში. პეტერბურგი ვანოსთვის დიდი ქვეყანა იყო, ვოკალური კულტურის თვალსაზრისით. ამ დროს იქ მღეროდა ცნობილი იტალიელი მომღერალი, გენიოსი ტენორი ჯუზეპე მაზინი. ერთხელ უსატოვმა ვანოს გადასცა კუპონი ლოჟისა და უთხრა: „ყმაწვილო, დღეს უნდა თეატრში მობრძანდეთ და მოუსმინოთ ამ გენიოს მომღერალსო!“

ვანო სარაჯიშვილი

ფრიად აღელვებულა ვანო, ცოტა დაგვიანებით მისულა თეატრში, უსატოვს საყვედურით გადმოუხედავს მისკენ...

სცენაზე მოჩანდა პატარა ტანის, უგრიმო, წვერებიანი კაცი, რომელიც იტალიურ ენაზე მღეროდა... ვანოს თავიდან მაინცადამაინც არ მოწონებია მისი ნამღერი.

ერთ მომენტში, როდესაც უნდა დაწყებულიყო ყველასათვის ნაცნობი არია და ორკესტრმა შესავალი ნაწილი დაამთავრა, დარბაზში ხალხს სუნთქვა შეეკრა. გაისმა რაღაც ზებუნებრივი სიმღერა, ღვთაებრივი ხმა და მომღერალი ისე იდგა, თითქოს პირსაც არ აღებდა. ვანოზე ამან გამაოგნებლად იმოქმედა.

უსატოვმა როდესაც ჰკითხა, – აბა, ყმაწვილო, როგორ მოგეწონა ნამღერიო? ვანომ უპასუხა – ისე საოცრად მომეწონა, რომ ცუდ გუნებაზე დავდექი, მე ხომ ვერასოდეს ვიმღერებ ასეო?

– არა, მაგას ნუ იტყვით, თქვენც მშვენიერი ხმა გაქვთ და მაგაზე ნაკლები მომღერალი როდი გამოხვალო!

და აი, ჩვენი საყვარელი ვანო თბილისში დაბრუნდა და უნდა ემღერა აბესალომის პარტია!

საზოგადოება დიდი ინტერესით მოვიდა თეატრში მის მოსასმენად... ყველამ ხომ იცოდა, რომ ის პეტერბურგში მაზინისთან სწავლობდა... თბილისი ძალიან მუსიკალური ქალაქი იყო. საოპერო ხელოვნება დიდსა და პატარას უყვარდა. ასე განსაჯეთ, რომ შეითან ბაზრის ყარაჩოხელებიც კი ვანოს არიებს მღეროდნენ!..

თბილისის მუსიკალურობის ამბავი ხომ ყველამ იცოდა. თვით ფეოდორ შალიაპინს, ამ გენიალურ მომღერალს უთქვამს თურმე, „მე თუ თბილისში გავიმარჯვე, თუ თბილისმა მიმიღო, თამამად შემიძლია ლონდონშიაც ვიმღეროო.“

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ იმ დღეს გადაიქცა ვანოს ნამდვილ ტრიუმფად. ის სპექტაკლი იყო პირველი აღიარება სარაჯიშვილის ხელოვნებისა. ეს იყო შედევრი და გადაიქცა ყველასათვის საყვარელ პარტიად.

ვანო სარაჯიშვილი აბესალომის როლში

ოპერის თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლს, ქართული იქნებოდა ის თუ იტალიური, ესწრებოდა ერთი საზოგადო მოღვაწე, რომელიც ჩვენთვის იყო საოცარი ავტორიტეტი. ჩვენ იმას ვეძახით „არბიტრ-ელეგანტს“.

ეს იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე ილიკო ზურაბიშვილი. ის მე-3 რიგში იჯდა, და როგორც წესი, ყველა სპექტაკლს უცვლელად ესწრებოდა.

მას ჰქონდა მოსმენილი ტიტო რუფო, მაზინი, კარუზო, და ბევრი სხვა. ჩვენ გვაინტერესებდა, რა შეფასებას მისცემდა ის ჩვენი საყვარელი ვანოს ვოკალურ მონაცემებს.

ილიკო ზურაბიშვილი აღტაცებული იყო და სულ ამბობდა, რომ აბესალომი, ასეთი დონ ხოზე ქართულ ოპერას არ ჰყოლიაო. „უნდა ვთქვა, რომ მას შესანიშნავი ბარიტონი აქვს, – ამბობდა იგი ვანოზე, – რა კარგი ბელკანტოა, რა შეუდარებელი დიქცია აქვს, თითქოს კი არ მღერის, არამედ ლექსად კითხულობსო“.

ვანომ, ერთი შესანიშნავი, დაუვიწყარი ამბავი მიამბო, როდესაც ის იტალიის ერთ პროვინციულ ქალაქ პარმაში იყო. ყველა ურჩევდა, რომ იქ დაეწყო მას თავისი კარიერა.

პარმაში შეხვდებოდით როგორც ახალგაზრდა მომღერლებს ე.წ. დებიუტანტებს, აგრეთვე ძალიან ძველ საოპერო თეატრის ოსტატებს, რომლებმაც კარგა ხანია დაკარგეს ხმა და მათ ინახავდნენ როგორც უნიკალურ, დიდ ავტორიტეტებს და ოსტატებს. ერთი ასეთი მოხუცი მივიდა ვანოსთან სპექტაკლის შემდეგ, დაჰკრა ხელი და უთხრა:

– მე მინდა გითხრათ, რომ მომწონს თქვენი ხმა და ხმის ტემბრი, ამიტომ მე გაგაცნობთ ჩემს პროფესორებს, რომლებთანაც მე ვსწავლობდი, როცა თქვენსავით ახალგაზრდა ვიყავიო.

ვანო მეორე დღესვე წაყოლია ამ სიმპათიურ ჭაღარა კაცს, რომელსაც უცხოვრია სადღაც ბოლო სართულის მანსარდული ტიპის პატარა ოთახში. როცა ის შესულა, განცვიფრებაში მოსულა იმით, რაც უნახავს – მთელ კედელს ფარავდა ძვირფასი „ტროფეები“ – ოქროსა და ვერცხლის გვირგვინები, დიდი კარუზოსა და სხვათა, საუკეთესო მოღვაწეების პორტრეტები.

მან გადმოიღო ჯუზეპე ვერდის მიერ ნაჩუქარი „რიგოლეტოც“. დაინტერესებული ვანო გაფაციცებით თვალს ადევნებდა, მაინც რომელი პროფესორები უნდა გამაცნოსო – ფიქრობდა. ამ დროს მან გამოაღო ოთახის დიდი ფანჯარა, რომელიც მთელ ქალაქს გადაჰყურებდა. მრავალ მტრედს აქ დაედო თავისი ბუდე. ეტყობა ისინი ამ მოხუცს შეჩვეული ჰყავდა, აქედან საკვებს უყრიდა მათ. ისინიც: ზოგი მხარზე დაასკუპდა, ზოგი თავზე, ზოგიც მკლავებზე ჩაებღაუჭა. და ასე, სხვადასხვა ხმაზე დაუწყიათ ღუღუნი.

– შეხედე ვანო, ესენი იყვნენ ჩემი ნამდვილი მასწავლებლები, ჩემი კომპოზიტორებიც და დიდი პროფესორებიც. ნამდვილ სიმღერას ამათგან ვსწავლობდიო.

აი, უსმინეთ, თქვენც მათი ღუღუნიდან უნდა ისწავლოთ სიმღერაო!

დაარიგა ვანო.

და მართლაც, ვანო სხვებივით კი არ გაჰკიოდა, სცენაზე კი არ მღეროდა, არამედ მტრედივით ღუღუნებდა და ამიტომაც იყო მისი სიმღერა შთამბეჭდავი.

დრო გადიოდა. ერთხელ მსახიობად მიმიწვიეს ქუთაისში. არ გასულა ერთი-ორი სეზონი და საკმაოდ პოპულარული მსახიობი გავხდი ამ მშვენიერი ქალაქისა.

ვანო სარაჯიშვილი
რადამესი ოპერა „აიდა“

ერთ დღეს აფიშებზე ამოვიკითხე, რომ ქუთაისში ჩამოდიოდა ვანო სარაჯიშვილი. გამიხარდა, ბუნებრივია, ყველა ვანოსთან შესახვედრად ემზადებოდა. ვანომ იცოდა, მე რომ ქუთაისში ვმუშაობდი. ჩამოსვლისთანავე მომნახა, რამდენიმე კონცერტის შემდეგ კი მიგვიწვიეს ვახშამზე. წავედით, ცოტა ღვინო დავლიეთ და კარგ ხასიათზე დავდექით.

ვანო მღეროდა ბოშურ სიმღერებს, მეც ვეხმარებოდი. შთამბეჭდავი იყო ის საღამო.

სრულიად მოულოდნელად სუფრის ბოლოდან გაისმა მშვენიერი იმერული სიმღერა. ოთხი გოგონა, ოთხი და მღეროდა სიმღერებს: „სალამურმა დაიკვნესა“, „ტურფავ, ტურფავ.“ ესენი აღმოჩნდნენ დები იშხნელები.

დაუვიწყარი იყო მათი გამოჩენა. პირველივე ჰანგით დაიპყრეს ჩვენი სმენა. როცა ვანოს ვკითხე, კიდევ ხომ არაფერს იმღერებდა, მიპასუხა: – „რას ლაპარაკობ, კაცო, ამათ შემდეგ ვის რაში უნდა ჩემი სიმღერა, მოდი, ყური კარგად დავუგდოთ. რა მშვენივრად აქვთ ხმები შეწყობილიო!..“

ქალაქში ხმა დაირხა, რომ ვანო მძიმედაა ავადო. სად აღარ გაიგებდით მის ამბავს, ქუჩაში, თეატრში, სუფრასთან, ყველგან მასზე იყო ლაპარაკი...

აი, აღარ არის ვანო სარაჯიშვილი. ჩვენი ქვეყნის ბულბული, რომელიც დაცქრიალებდა ოპერის სცენაზე. კაცი, რომლის შემცვლელიც კარგა ხანს აღარავინ იყო...

ჩამოდიოდნენ საქართველოს ყოველი მხრიდან. ოპერის თეატრში იყო სამოქალაქო პანაშვიდი. ხალხს მოჰქონდა ყვავილები. საათობით ელოდებოდნენ მის გამოსვენებას.

თბილისი დასტიროდა საქართველოს ბულბულს. თბილისი ემშვიდობებოდა ვანო სარაჯიშვილს. თეატრში ისმოდა მისივე შესრულებით სევდიანი რომანსები, არიები „აბესალომ და ეთერიდან“, „დაისიდან“ ... მოჰქონდათ გვირგვინები, ყვავილები... ტიროდა თბილისი... თეატრმა საბოლოოდ ჩაიხუტა გულში თავისი მგოსანი. მისი მეგობრები შუაღამემდე შემოვრჩით მის სასაფლაოს... მერე ჩვენც დავიშალეთ.

შინ დავბრუნდი... ის ღამე თეთრად გავათენე... ინათა თუ არა, მაშინვე შევედი სახელოსნოში თიხა მოვამზადე და ვანოს სახე გამოვაქანდაკე. მის ნიღაბზე უფრო დიდი ზომისა, მომღიმარი და მომღერალი ვანოს სახე მინდოდა მეხსიერებაში აღმედგინა.

დღეს ეს პორტრეტი მიმაჩნია ჩემ საუკეთესო ნამუშევრად და იგი ამშვენებს ჩემს სამუშაო ოთახს. ამით ვანო მუდამ ჩემთან დარჩა!

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისთვის, არ დაავიწყდება მისი „ურმული“, „შენ გეტრფი მარად“, არც თეატრში სცენიდან ნამღერი, არც თბილისის ჩაბნელებულ ქუჩა-ბანდებში ხეტიალის დროს გაგონილი და არც სიღნაღის ვიწრო ორღობეებში ჩაკარგული მისი წკრიალა სიმღერა.

მოგონებანი ევგენი მიქელაძეზე

ბეჭერი მოთხრობა

(1981 წლის ალბომისწინა)

ირაკლი ანდრონიკაშვილი – მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

ევგენი მიქელაძე ბორჯომში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად 1935 წ.

ირაკლი ანდრონიკაშვილი – ევგენი მიქელაძე 1928 წლის შემოდგომაზე ლენინგრადში გავიცანი. მაგონდება ის დღე, როდესაც ოთახში შევედი ბალერინა ლილი გვარამაძესთან და კომპოზიტორ იოანე ტუსკიასთან ერთად და იქ დამიხვდა წაბლისფერთმიანი, სერიოზული სახის პიროვნება, ოდნავ გამობურცული ტუჩებითა და დიდი, მკვეთრი ნაკვთებით. ევგენი მიქელაძეს ჰქონდა საქმიანი და ნათელი მზერა...

ის წამოდგა ფეხზე და აღმოჩნდა, რომ ჩემზე ბევრად უფრო მაღალი იყო. ვაჟკაცური აღნაგობისა, ზუსტად ისეთი, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა ორკესტრის დირიჟორი.

მახსოვს მისი დიდი ხელის ლამაზი, არტისტული, გრძელი თითები და მისი მხურვალე ხელის ჩამორთმევა.

ევგენი მიქელაძე

მიჭირს აღვიდგინო, თუ რაზე ვილაპარაკეთ მაშინ, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში ის დარჩა, როგორც თავაზიანი მოსაუბრე, საკმაოდ კორექტული და ოდნავ ჩემკენ თავდახრილი... ძალდაუტანებელი, თავისუფალი მანერის...

საუბრობდა ზოგადად ადამიანებზე, ხელოვნებაზე... შემდეგ, როდესაც გავშინაურდით და ახლოს გავიცანით ერთმანეთი, ევგენიმ ნელ-ნელა უფრო მეტი ცეცხლოვანება, ქართული ტემპერამენტი გამოამჟღავნა.

– რა ინსტრუმენტზე უკრავს-მეთქი, ვკითხე იოანე ტუსკიას.

– შესანიშნავი ვალტორნისტია... ის ჯერ კიდევ თბილისში მოზარდების ორკესტრში მიზანდართან უკრავდაო, – მიპასუხა იოანემ, – ევგენი ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული დირიჟორიაო.

მე ისევ ევგენი მიქელაძეს მივუბრუნდი. ის ლაპარაკის დროს მზერას თითქოს წარსულისკენ მიაპყრობდა და რაღაც წარმოსახულს ესაუბრებოდა, ბოლოს კი ისევ ჩვენთან დაბრუნდებოდა ხოლმე.

საუბრისას იგრძნობდი მისი ხასიათის სიმტკიცესა და დამაჯერებლობას. მისი ყოველი სიტყვა, წყნარი ტონით იყო წარმოთქმული, მასთან კამათი კი – შეუძლებელი.

სანამ ჩვენ საკამათოდ საპასუხო არგუმენტებს ვეძებდით, ის სულ ახალ-ახალ ფაქტებს იყენებდა ხოლმე და ძალაუნებურად ჩვენც ვთმობდით ჩვენს პოზიციას და დავყვებოდით მის ნება-სურვილს...

მას ჰქონდა საკუთარი შეხედულება მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაზე, შემსრულებელზე, დირიჟორზე.

ის ჩვენზე უფროსი იყო, არა მარტო წლებითა და გამოცდილებით, არამედ შინაგანადაც...

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს – დილით კონსერვატორიაში, სადაც მე ვესწრებოდი მუსიკის ისტორიის გაკვეთილებს სადირიჟირო განხრით, საღამოთი კი – ლენინგრადის ფილარმონიის დარბაზებში, რომელიც ყველასათვის ღია იყო, როგორც მოყვარულისათვის, ასევე პროფესიონალთათვის! აქ გამოდიოდნენ ლენინგრადში საგასტროლოდ ჩამოსული დრამატული თეატრები და სიმფონიური ორკესტრებიც და კონცერტებს მართავდნენ.

ლენინგრადში, განსაკუთრებით 30-იან წლებ-

ში, კულტურული ცხოვრება არნახულად ჰყვაოდა, კამათობდნენ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების დასადგენად.

ჩამოსულ მუსიკოსებს შორის ევგენი მიქელაძეს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული.

მახსოვს, ის პარტიტურით ხელში, ახალგაზრდა დირიჟორებს შორის, როგორ ღირსეულად იცავდა თავის პოზიციას, როგორ არწმუნებდა ყველას თავის სიმართლეში.

ის დიდ პატივს სცემდა მუსიკოსის პროფესიონალიზმს და ვერ იტანდა მის სუბიექტურ, მიკერძოებულ შეფასებას. აკრიტიკებდა ისეთ დირიჟორებს, რომლებსაც არ ჰქონდათ გარეგნული არტისტიზმი, ანდა პირიქით, არ მოსწონდა მათი ზედმეტი განერვიულება, მაყურებელთა სიმპატიებით მანიპულირება.

ევგენი მიქელაძე ხშირად იმეორებდა, რომ – არ შეიძლება ყველა გახდეს ისეთი დირიჟორი როგორიცაა: კლემპერესი, ან ბრუნო ვალტერი... ისინი გამონაკლისები იყვნენ. ყველამ რომ მათ მიბაძოს, მაშინ ჭეშმარიტი მუსიკაც აღარ იარსებებს, როცა მიისწრაფი, მიაღწიო უფრო მაღალ პროფესიულ დონეს, ეს კიდევ სხვა საქმეაო...

1930 წელს, როდესაც ევგენი მიქელაძე თბილისში დაბრუნდა, მას დაავალეს საზაფხულო სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობა. მეც მალე ჩამოვედი თბილისში. ვთანამშრომლობდი გაზეთ „ზარია ვოსტოკასთან“, სადაც დამავალეს დამეწერა ამ საზაფხულო კონცერტების რეცენზიები. პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილთან, რომელიც იყო ამ გაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, რეკომენდაცია გამიწია თვითონ ევგენი მიქელაძემ.

კონცერტები ტარდებოდა სოლოლაკში „წმინდა სტელას“ სახელით ცნობილ ბაღებში. ბევრი კარგი მუსიკალური ნაწარმოები პირველად მაშინ აჟღერდა.

მთელი საკონცერტო რეპერტუარი ევგენი მიქელაძის ორკესტრმა თითქმის ზეპირად იცოდა. ევგენი მიქელაძემდე ასეთ სიმფონიურ კონცერტებს არავინ მართავდა.

თუ გადავფურცლავთ იმდროინდელი „ზარია ვოსტოკას“ უკვე შეყვითლებულ ფურცლებს, გავიგებთ ამ რეპერტუარის ჩამონათვალსაც:

მე ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბრამსის მე-3 სიმფონია. ბრამსი საქართველოში მანამდე არავის შეუსრულებია. ბრამსის სიმფონიური კონცერტების შესრულების გამოცდილება ორკესტრს არ ჰქონდა.

ბევრი მუსიკოსი ბრამსის შესრულებაზე თავის შეკავებას ურჩევდა ევგენის, იმ დროს არც ბრამსის ფირფიტები არსებობდა, მაგრამ მიქელაძე ჯიუტად განაგრძობდა ბრამსის მე-3 სიმფონიის შესწავლას.

დღეში ორჯერ ჰქონდათ რეპეტიცია. ჯერ ცალ-ცალკე ჯგუფებად, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ მთელ ორკესტრთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ ბრამსი შესრულდა ბრწყინვალედ, ბრამსისეული ყოველი ნიუანსითა და სიმსუბუქით. უხაროდათ ორკესტრის მუსიკოსებსაც!

მოკლედ, იმ სეზონზე ევგენი მიქელაძის ძლიერი ხელით საქართველოში შეიქმნა ერთ-ერთი ძლიერი სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც მოუტანა დირიჟორს დიდი სახელი და დიდება. თუმცა ბევრი მტერიც შესძინა!

ორკესტრთან მუშაობისას ის დიდად აფასებდა მუსიკოსის მაღალ პროფესიონალიზმს, გემოვნებას. ორკესტრს კი ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა.

ამავე წლის სექტემბერში ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ამჯერად, ლენინგრადის კონსერვატორიის საკონცერტო სტუდიაში მიქელაძე დგამდა ოპერა „ტოსკას“.

მე დავესწარი მიქელაძის რამდენიმე რეპეტიციას და შემდეგ პრემიერასაც.

ეს იყო ნამდვილ პოფესიულ დონეზე დადგმული სპექტაკლი. მიქელაძე როგორც ყოველთვის, იყო მომთხოვნი, თავის ქმედებაში მიზანმიმართული. პლასტიურად გადმოსცემდა თავის აზრებს. სარეპეტიციო დროც გონივრულად ჰქონდა განაწილებული.

ხშირად ერთვებოდა ოპერის სასცენო დეტალებშიც. ცდილობდა დაექვემდებარებინა სადირიჟორო პულტისათვის მთელი სპექტაკლის მიმდინარეობა.

თავის საკურსო სპექტაკლად ამზადებდა მოცარტის ერთ-ერთ ოპერას. იმ დროს უკვე სახელგანთქმულ მომღერალ ივან ვასილის ძე ერშოვთან ერთად, რომელსაც ასევე ძალიან მომთხოვნი და ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა, მალე გამოდიოდა მდგომარეობიდან...

ხშირად გაისმოდა ერშოვსა და მიქელაძეს შორის ხმაურიანი კამათი ამა თუ იმ მიზანსცენის გადაწყვეტის თაობაზე.

ერშოვთან კამათს მიქელაძის გარდა ვერავინ ბედავდა. მიქელაძის პრინციპულობის შესახებ მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ის, ვინც იცნობდა და ვინც არ იცნობდა!

მოცარტის ოპერის პრემიერა მშვიდობიანად ჩატარდა. მას თან ახლდა მოცარტისეული ზეიმი, მხიარულობა და აღმაფრენა. ორკესტრი უკრავდა ხმაშეწყობილად, ამაღლებული განწყობილებით... ყველაფერმა ამან განაპირობა სპექტაკლის საყოველთაო მოწონება. ეს უკვე მიქელაძისეული სკოლის გამარჯვება იყო. მან კონსერვატორია დაამთავრა და საქართველოში დაბრუნდა.

1933-34 წლებში მას საგასტროლო კონცერტები ჰქონდა ლენინგრადში. ის ცოლთან, ქეთევან ორახელაშვილთან ერთად, ჩამოვიდა. მე ასეთი სილამაზის ქალი ცხოვრებაში არ მინახავს.

ისინი სასტუმროში ვინახულე. რამდენიმე წუთში კი ევგენი უკვე თავის სადირიჟორო პულტთან იდგა. კონცერტის პირველ ნაწილში ის უკრავდა შუბერტის მე-5 სიმფონიას. ეს ნაწარმოები ჩვენს ქვეყანაში პირველად შესრულდა საერთოდ.

ევგენი მიქელაძე ოჯახთან ერთად

იმ საღამოს ჩვენ მოვიხიბლეთ მისი შესრულების სიმსუბუქით, ღრმა, სერიოზული ჩანაფიქრითა და რომანტიული თავისუფლებით.

მისი ჟესტიკულაცია მსუბუქი იყო. ნელი მოძრაობით ის კარნახობდა ორკესტრს ნახევრად დახუჭული თვალებით. მაყურებელთა დარბაზს, პუბლიკას თითქოს ვერც გრძნობდა, ის არ ცდილობდა ეფექტის მოხდენას, ამავდროულად ხელის აქნევითა და მკაცრი, მაგრამ დახვეწილი გემოვნებით წარმართავდა მუსიკას.

ძიებებით იყო აღსავსე ყოველი მისი წამი და წუთი. მიქელაძე არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა. მისი შემხედვარე მიხვდებოდით, რომ მუსიკა ამ კაცისათვის ყველაფერი იყო. ეს იყო მისი ერთადერთი მოწოდება. ბედისწერის მიერ არჩეული. მუსიკის გარეშე მიქელაძის წარმოდგენა შეუძლებელია.

მეორე განყოფილება მთლიანად ქართულ მუსიკას დაეთმო. პირველად გაისმა მაშინ ზ.ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ უვერტიურა, დ.არაყიშვილის „შოთა რუსთაველი“, და გრ.კილაძის არაჩვეულებრივი სუიტა, იოანე ტუსკიას „საზეიმო მარში“.

1936 წელს მოსკოვში ჩატარდა ქართული კულტურის დეკადის დღეები. ევგენი მიქელაძე კვლავ გამოჩნდა დიდი თეატრის სადირიჟორო პულტთან.

კვლავ ოვაციები, აპლოდისმენტები... ისე, როგორც არასდროს, შესრულდა ოპერა „დაისის“ უვერტიურა, აჟღერდა გმირული და ტრაგიკული აკორდები. გაიხსნა ფარდა და დაიწყო ოპერის პირველი მოქმედება.

ორკესტრთან ერთად დიდებით სხივმოსილი იდგა ევგენი მიქელაძე... ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა.

ფილიპე მახარაძე, ევგენი მიქელაძე, მუსიკოსები

ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ისეთი დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც იყო ევგენი მიქელაძე. სამწუხაროა, რომ მას არ დასცალდა თავისი დიდებული გეგმების განხორციელება.

ის შეიქმნა მსხვერპლი პიროვნების კულტისა და იმდროინდელი განუკითხაობისა...

ნათელში იყოს მისი სული.

მერაბ თაბუკაშვილი

მათ სიყვარულით „СЛУХАЧ"-ებს ვეძახდით

1982 წლის 21 იანვარს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა თამარ იშხნელის საღამო. საღამო მიჰყავდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს – **მერაბ თაბუკაშვილს**.

მან მოიგონა დებ იშხნელებთან თანამშრომლობისა და მეგობრობის რამდენიმე ეპიზოდი:

მერაბ თაბუკაშვილი – თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს, ომის მძიმე პერიოდში, ვმუშაობდი საქართველოს რადიოში დიქტორად. მაშინ მოგეხსენებათ, არავითარი მაგნიტოფონი არ არსებობდა. როდესაც დები იშხნელები მოდიოდნენ, იქვე ვაცხადებდით მუსიკალურ ნომრებს და, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ცოცხლად სრულდებოდა. გადაცემის შემდეგ კი, არც თუ იშვიათად, საგრიმიოროდან გვესმოდა დების გაცხარებული კამათი და დავა. დიქტორები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ – „გესმით, გესმით, „*СЛУХАЧ*"-ები ჩხუბობენო", – მათ სიყვარულით „*СЛУХАЧ*"-ებს ვეძახდით. მათ სმენას ელემენტარული დეტონაცია, ელემენტარული შეცდომა არ გამოეპარებოდათ და იყო დავა, თუ ვინ იყო დამნაშავე და ასე შემდეგ.

განა არის ისეთი ქართული სიმღერის მოყვარული და მოტრფიალე, რომელსაც არ უყვარდეს დები იშხნელები, – ვფიქრობ, არა!

დები იშხნელები

საქართველოს რადიომ მოჰფინა მათი შესანიშნავი სიმღერები მთელ ქვეყანას, მთელ მსოფლიოს. მე მინდა მადლობა ვუთხრა იმ ადამიანს, ვინც პირველმა მოიყვანა ისინი რადიოში, ვინც გაუთქვა სახელი მათ შესანიშნავ სიმღერებს, ვინც მთა და ბარი შემოიარა, რათა მოეძია ვანო სარაჯიშვილის ფირფიტები, ვინც ბრძოლით დაიყოლია ავადმყოფი უშანგი ჩხეიძე, რათა მისი ხმა დარჩენილიყო შთამომავლობას, ვინც პირველმა აღმოუჩინა ქართულ ესტრადას პირველი ვარსკვლავი ლილი გეგელია ... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მადლობა ამ საქმის სულისჩამდგმელს, ბატონ აკაკი ძიძიგურს, მისი ნამდვილი მამულიშვილობისთვის.

არ დაგიმალავთ, ძალიან ძნელი იყო ქალბატონ თამარის დათანხმება დღევანდელი საღამოს მოწყობაზე.

ასეთი უბადლო ტემბრის მქონე ორი პიროვნება მახსოვს საქართველოში – დაუვიწყარი მერი შილდელი და ქალბატონი თამარი... მე შემიძლია საათობით ვილაპარაკო მათ შესახებ...

ქალბატონი თამარი განსაკუთრებით წუხდა – „დედა, ამდენი ხალხი, ჩემი და ჩემი დების საპატივცემულოდ მოვლენ ჩემს ოჯახში, მერე პატივი ხომ უნდა ვცე და სად დავსვა ამდენი ხალხიო. ჩემი ოჯახი პურ-მარილის გარეშე რავა იქნება?! მომეჭრა თავი და ეგ არისო!" – მერე მე ვუთხარი: – „ქალბატონო თამარ, ფილარმონიის დარბაზში 2500 კაცი ეტევა და ყველა რომ აქ მოვიდეს, ხომ დავიღუპებით, კაცო ამას რუსთაველის პროსპექტიც ვერ დაიტევს-მეთქი" – თქვენ დამშვიდდით, მე ხმამაღლა გამოვაცხადებ, ქალბატონ თამარს უამრავი პურმარილი აქვს, მაგრამ ადგილი არა აქვს თქვენი მისაღები და ბოდიშს გიხდით-თქო.

მე შემიძლია საათობით მოგითხროთ ჩვენი მეგობრობის შესახებ, თუ როგორი ადამიანია, როგორი გულკეთილია. და აი, ამ პატარა საოცარი ეპიზოდით დაგიხატეთ ქალბატონი თამარის, როგორც გულუხვი მასპინძლისა და შესანიშნავი მეგობრის პორტრეტი.

რა დროსაც არ უნდა მიხვიდეთ მასთან წარმოუდგენელია, რომ იგი რაიმეთი არ გაგიმასპინძლდეთ.

ერთხელ ვეუბნები – „აბა, გავიქეცი თამარა ალექსანდროვნა, ძალიან მეჩქარება-მეთქი ..." – მეუბნება – „დედა, რავა სულ გეჩქარება, კაცო, ჩემს სახლში საჭმელი მოწამლული ხომ არ არის?! დაიცადე, დედა საქმე მაქვს შენთან!" – გავარდება გვერდზე ოთახში, გამოიტანს ხილს, ჩურ-

ჩხელას, მანდარინს ... ვეუბნები – „თამარა ალექსანდროვნა, თქვენი ჭირიმე, „იოლკაზე“ მოსული პატარა ბიჭი ხომ არა ვარ კაცო, არ მინდა თქვენს ბავშვებს მიეცით-მეთქი“.

მაგრამ ეს არაფერია, ყველაზე დიდი უბედურებაა ჩემთვის თუ მას ქუთაისიდან გამოგზავნილი ყველი აქვს და ხაჭაპურებს აცხობს. – „დედა, დედა, იმისთანა ხაჭაპური მაქვს, იმისთანა „ნეაბიკნოვენნი“ – ძლივს დავუსხლტები ხოლმე ხელიდან.

ყოველთვის, როცა თამარას ვსტუმრობ, წინა დღის ნანახიც რომ ვყავდე, ისე მხვდება-ხოლმე, თითქოს ჯარიდან ჩამოსული ოთხი წლის უნახავი ნათესავი ვიყო. მეუბნება – „დედა, შენ გენეცვალოს თამარი, გუშინ გიყურე ტელევიზორში ... დედა რას გავდი, რას გავდი, „პროსტო, ნეაბიკნოვენნი კრასავეც“. მე კი ვიცი, რა აპოლონიც ვარ, მაგრამ ასე მხედავს და, რა ვქნა?!

ცოდვა გამხელილი სჯობსო – ამბობენ! ოპერაში დავიბადე ლამის და იქ გავიზარდე! ყველა საოპერო არია ზეპირად ვიცი, მაგრამ ქართულ სიმღერაში პირველ, მეორე და მესამე ხმას ცუდად ვმღერი და ამიტომ, არც ვმღერი ხოლმე. ქალბატონ თამარს მაინც მოსწონს ჩემი სიმღერა და განსაკუთრებით, როცა მას ვბაძავ, თუ როგორ მღერის ის ძველებურ რუსულ რომანსებს.

დები იშხნელები

მეტყვის ხოლმე – „გამიკეთე ერთი, რომანსი „დრემლიუტ პლაკუჩიე ივი“ – თქვენ დამიკარით-მეთქი და ვმღერი „გდეჟე ტი გოლუბკა რადნაია“ – „უი, გადასარევია, გადასარევია, თქვენ გადასარევად მღერით“ – მეტყვის.

დრო გაივლის, წელი წელს მიჰყვება და ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ ღვაწლს, რაც დებმა იშხნელებმა დასდეს ქართულ სასიმღერო ხელოვნებას!

მით გიყვრავ მუდამ თვნ ვხლოდთ

გვინდა გავიხსენოთ ქართული ესტრადის პიონერები **ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე**, რომელთა სიმღერებს დღესაც ისეთივე სიამოვნებით ვისმენთ, როგორც ოდესღაც!

გადაცემის ავტორია ჟურნალისტი ზინა დიაკონიძე (1973 წ.)

ეს წყვილი ძაგნიძე და ჩხიკვაძე 1938 წელს, პირველად გამოვიდა საკონცერტო ესტრადაზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ნაბიჯს, პირველ გამოსვლას, მთავარი იყო ახალი გზის გამონახვა. მით უმეტეს, რომ ამ დროს ქართულ ესტრადას ამშვენებდნენ ისეთი ოსტატები როგორებიც იყვნენ: ვასო გოძიაშვილი, ემანუილ აფხაიძე, გიორგი საღარაძე, სტეფანე ჯაფარიძე, ოლღა დოლიძე და მერი შილდელი.

ორი ათეული წლის განმავლობაში მართლაც, წარმოუდგენელი იყო ამ ორი გვარის განცალკევება. პირველად ისინი 1937 წელს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. აი, როგორ იგონებს ამ შეხვედრას **შალვა ჩხიკვაძე**:

ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე

– „ვალიკომ თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება თავისი მუსიკალობით. ერთხელ შესვენებაზე მიუჯდა როიალს და იმ დროს ყველაზე პოპულარული ცეკვების: ფოქსტროტისა და რუმბას რიტმები საკმაოდ ოსტატურად შეასრულა. იმ დღეს მე ცეკვით ვისახელე თავი, ვალიკომ კი – დაკვრით.

როგორც მოგვიანებით გამოირკვა ვალიკოს ძალიან მოსწონებია ჩემი ცეკვა და ასე დავმეგობრდით. ახალბედა მსახიობები ერთად დავდიოდით თეატრებში, კონცერტებზე, ვკამათობდით, ვმსჯელობდით და ბოლოს დაგვებადა აზრი, თვითონ გამოვსულიყავით ესტრადაზე“.

შალვა ჩხიკვაძე: – „მაგონდება ჩვენი პირველი კონცერტი – კულისებში ვართ, მთელი გულისყურით ვუსმენთ კონფერენსიეს, ჩვენი გამოსვლაა, გამოაცხადეს გვარები. დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევს, სუნთქვა შეგვეკრა. გავედით სცენაზე და შევასრულეთ მუსიკალური ფელეტონი – „თბილისი“, რომლის ავტორი მე გახლდით. დამთავრდა ნომერი, გაისმა ტაში, კვლავ გვთხოვდნენ სცენაზე გამოსვლას, სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ერთი ნომერი გვქონდა რეპერტუარში და ამიტომ მისი გამეორება რამდენჯერმე მოგვიწია.

პირველი კონცერტის ასეთ წარმატებას არ ველოდით. ამით გათამამებულმა დავწერე ფელეტონები: „რესტორანში“, „ისევ ტრამვაი“, „რუმბა“ და ა.შ. რა სასიამოვნო იყო, როდესაც ქუჩაში გამვლელი წაგვიმღერებდა ხოლმე რომელიმე კუპლეტს ამ ფელეტონებიდან“.

ასე იზრდებოდა მათი რეპერტუარი და შესაბამისად მათი პოპულარობაც.

1941 წელი იყო, როდესაც სხვა თეატრების მსგავსად, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც შეიქმნა მხატვრული ბრიგადები, რომლებიც ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებს. ერთ-ერთი ასეთი ბრიგადა, რომელთა წევრებიც იყვნენ: გოგუცა კუპრაშვილი, მერი ღვინიაშვილი, თამარ ლივარდი, ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე – თვით მსახიობთა ინიციატივით ჩამოყალიბდა.

გოგუცა კუპრაშვილი

იგონებს მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი **გოგუცა კუპრაშვილი** (ვალერიან ძაგნიძის მეუღლე) – „ეს ბრიგადა მსახიობთა ინიციატივით ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებრივი დატვირთვა. სამხედრო ნაწილი ხშირად თვითონ გვიგზავნიდა საბარგო მანქანას. ამ მანქანის ძარაზე

ვაფენდით ქეჩას და ვმართავდით კონცერტს ღია ცის ქვეშ, სამხედრო ნაწილებისთვის.

ჰოსპიტლებში კი პირდაპირ პალატებში შევდიოდით დაჭრილებთან. მახსოვს, ერთხელ სამხედრო ნაწილმა ჩვეულებრივად მანქანა გამოგვიგზავნა. ჩვენს გარდა შიგ წითელარმიელებიც ისხდნენ, მათ ბენზინის ბაკიც ჩაედგათ.

საუბარში ვიყავით გართულნი, როცა უეცრად ბენზინის ბაკმა იფეთქა. ერთ-ერთმა ოფიცერმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინა და წითელარმიელების დახმარებით ცეცხლწაკიდებული ბენზინის ბაკი მანქანის ძარიდან გადააგდო, თვითონ კი ორივე ხელი სასტიკად დაიწვა.

რომ იტყვიან, იმ დღეს, ბეწვზე გადავრჩით. როგორც შემდეგ გამოირკვა, სიგარეტის ნამწვი იყო ცეცხლის გაჩენის მიზეზი. წითელარმიელის ასეთი გმირული საქციელი შემდგომში ძაგნიძემ და ჩხიკვაძემ გამოიყენეს თავიანთ ერთ-ერთ ფელეტონში“.

დღემდე ვერ დავივიწყებ დაჭრილ მეომართა სახეზე გამოხატულ იმ კმაყოფილ ღიმილსა და მადლიერებით სავსე გამოხედვას, მქუხარე ტაშსა და აპლოდისმენტებს, რომლითაც ისინი გვაჯილდოებდნენ. ხუმრობა არ იყო, იმ პერიოდში 600-მდე გასვლითი კონცერტის ჩატარება!..“

ომის დამთარების შემდეგ ძაგნიძე და ჩხიკვაძე მარჯანიშვილის თეატრში მიიღეს მსახიობებად. ქელბაქიანის პიესაში „შესაფერი ჯილდო“ - ასრულებდნენ რამდენიმე ლირიკულ სიმღერას. რადიოს მუსიკალურმა რედაქციამ ისინი თავის სტუდიაში მიიწვია. ამ სპექტაკლიდან სიმღერები პირდაპირ ეთერში გადაიცა გიტარების თანხლებით, რითაც დასაბამი მიეცა მათი დუეტის არსებობის ახალ ფორმას: ამ დღიდან ძაგნიძე და ჩხიკვაძე ესტრადაზე გამოდიოდნენ ლირიკული სიმღერებით.

ამ დუეტის დამსახურება ისიც არის, რომ ისინი ისეთი გამომსახველობით ასრულებდნენ აკომპანიმენტს, თითქოს ნაწარმოები საგანგებოდ გიტარისთვის იყო დაწერილი. ისინი არავის არ ბაძავდნენ, ჰქონდათ შესრულების თავისებური სტილი, თავისებური მანერა, მაღალი პროფესიული ოსტატობა...

შალვა ჩხიკვაძე – „მაგონდება, ერთხელ, ქუთაისში კონცერტის წინ გიტარის ტარი გადამიტყდა. ვიღაცამ შინიდან მომიტანა თავისი „ბანტიანი“ გიტარა. გავედით სცენაზე, ვალიკოს საკონცერტო გიტარა ეჭირა ხელში, მე – წითელბანტიანი. ქუთაისელმა მაყურებელმა ეს წინასწარ ჩაფიქრებულ ნომრად მიიღო და მეტად მხიარული, ჯანსაღი სიცილით შეხვდა ამ ამბავს.

იმ საღამოს, ძალიან გავწამდი; რომ იტყვიან, „ჩემი თოხით უკეთ ვთოხნიო“ – ის დამემართა. თურმე მხოლოდ ჩემს საკუთარ გიტარაზე შემძლებია კარგად დაკვრა“.

1952 წლიდან ძაგნიძემ და ჩხიკვაძემ საქართველოს ფილარმონიასთან ახალჩამოყალიბებულ მინიატურების თეატრში დაიწყეს მუშაობა. ეს პერიოდიც ნაყოფიერია მათ შემოქმედებაში. კვლავ ნაცად ჟანრს დაუბრუნდნენ. გამოდიოდნენ მუსიკალური ფელეტონებით, მაგრამ გიტარა მათი სიმღერის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ისინი თავის გამოსვლებში აქტიურად ეხმაურებიან მოვლენებს. კეთილი სიტყვითა და მხიარული სიმღერებით ხოტბას ასხამენ სწავლის მოწინავეებს, შრომის გმირებს, მშენებლებს... მათ ყველგან დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ. მათ სიმღერებს ყოველთვის ამშვენებდა ეროვნული კოლორიტი.

ვალერიან ძაგნიძის და შალვა ჩხიკვაძის დუეტს ქართულ კინოფილმებშიც ვისმენთ... და, რა თქმა უნდა, მათ გიტარა მუდამ თან ახლდათ.

ლილი გეგელია

რადიომ გვნახვინრობა ჩემი პროფესიის ვრცელვ (1987 წლის ჩანაწერი)

ლილი გეგელია – ქართული ესტრადის მშვენება!

ლილი გეგელია – პირველი ვარსკვლავი ქართული ესტრადის ცის კაბადონზე უეცრად გაჩენილი!...

ლილი გეგელია ქართულ ესტრადაზე ახალი საოცარი ლირიკული მანერით შემსრულებელი!

ლილის ხმა – ტკბილხმოვანი, გულში ჩამწვდომი, ციური ჰანგით შემკული!

სასიმღერო ლექსი – ჰაეროვანი, მსუბუქი, მელოდიური, ამაღლებული...

ლილის პიროვნება – სიკეთის, სათნოების, ძალურობის, გულისხმიერების განსახიერება.

...და კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება ამ უკვდავებასთან შერწყმულ, აწ უკვე უკვდავებაში გარდასულ შემოქმედზე!

მისი სიმღერები ხომ ბევრისათვის ახალგაზრდობასთან, სიჭაბუკესა და პირველ სიყვარულთან დაკავშირებული მოგონებაა!

ნახევარ საუკუნეს გაუძლო მისმა პოპულარობამ!

...და აი, ჩაესვენა ეს ვარსკვლავი... ძნელია მისი წასვლით მიყენებული ტკივილის გაძლება... ჩვენთან კი სამუდამოდ დარჩებიან მისი საოცარი სიმღერები! ისინი იარსებებენ მანამ, სანამ იარსებებს ქართული ესტრადა!

რადიოს ოქროს ფონდიდან ამოკრეფილი ეს ძვირფასი მოგონებები კი სულთა საუფლოში „უკან მიდევნებული ლამპარივით“ ჩაგვითვალეთ, ჩვენო მკითხველო!

ლილი გეგელია – „ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა იმიტომ, რომ ჩემს შემოქმედებით გზაზე შემხვდნენ არაჩვეულებრივი პედაგოგები. პირველიდან მეოთხე კლასამდე გალობის მასწავლებელი იყო დიდი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის ძმა – პოლიკარპე ფალიაშვილი. მე-4 კლასიდან გალობას მასწავლიდა იუსტინე კალანდაძე, არაჩვეულებრივი პედაგოგი. იმ დროს გალობა სასწავლო საგანი იყო. ატესტატშიც კი იწერებოდა მისი ნიშანი. ვერ დავიტრაბახებ, რომ წარჩინებული მოწაფე ვიყავი-მეთქი, მაგრამ გალობაში ყოველთვის ხუთიანი მეწერა.

შემდეგ, როდესაც ვოკალურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მუსიკალურ ტექნიკუმში – ეს იყო ნადეჟდა ივანოვნა ბუზოღლი. ის არაჩვეულებრივი, შესანიშნავი ადამიანი იყო, რომელმაც მარტო სიმღერა კი არ შემაყვარა, მან ადამიანებთან ურთიერთობა და სიყვარულიც შემასწავლა.

აი, ჩემი პირველი პედაგოგები, რომელთაც ვერასოდეს დავივიწყებ, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში.

ბავშვობაში ვმღეროდი ყველანაირ რუსულ

ლილი გეგელია რადიოსტუდიაში

რომანსებს, მაშინ ძალიან პოპულარული იყო ჩვენი ლეგენდარული მომღერლები: თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, ყველა მათ ბაძავდა, მე მათი რეპერტუარი სულ ზეპირად ვიცოდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და შემოქმედებით საღამოებზე გამოვდიოდი. ხშირად იმარჯვებდა ჩვენი ფაკულტეტი ჩემს გამო, რა თქმა უნდა, ეს იყო პირველი შეხება სცენასთან.

პირველი კომპოზიტორი, რომელსაც მოეწონა ჩემი სიმღერა და მომღერლობა მიწინასწარმეტყველა, ეს იყო კონსტანტინე პევზნერი. სწორედ მისი სიმღერა „შენი თვალების ბრალია“ ჩავწერე პირველად რადიოში.

ადამიანებს აქვთ ისეთი ბედნიერი დღეები, რომლებიც კეთილ და სანუკვარ მოგონებად რჩებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე. მეც იმ დღეს მივიჩნევ ბედნიერად, როდესაც საქართველოს რადიოში მივედი 1952 წელს. მაშინ რადიოგადაცემები რუსთაველზე კავშირგაბმულობის მე-4 სართულიდან გადაიცემოდა. მუსიკალური რედაქციის მთავარი რედაქტორი იყო ალექსანდრე ბუკია, კომიტეტის თავმჯდომარე ანტონ კელენჯერიძე. ბატონი აკაკი ძიძიგურიც იქ მუშაო-

ლილი გეგელია, ფორტეპიანოსთან გია ყანჩელი

ბდა და სწორედ მან მირჩია რადიოში მომესინჯა ჩემი ბედი.

შემიყვანეს პატარა 10 კვადრატულ მეტრიან ოთახში. რამდენიმე სიმღერიდან ერთი უნდა ამომერჩია და შემდეგ რადიოს ხელმძღვანელს უნდა მოესმინა ჩემთვის.

მე საშინლად ვღელავდი, ხან ერთ სიმღერას ვმღეროდი, ხან მეორეს. არ ვიცოდი, საბოლოოდ რომელი ამომერჩია. 5 საათი გავიდა. შემოვიდა ბატონი აკაკი ძიძიგური და მითხრა, ჩვენ უკვე ყველაფერი მოვისმინეთო, მე არ ვიცოდი, რომ მიკროფონი ჩართული იყო და ჩემი სიმღერები მეორე ოთახშიც მშვენივრად ისმოდა.

სწორედ რადიომ განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევანი. რადიომ შემძინა მილიონობით მსმენელი. ეთერში ჩემი სიმღერების გადაცემამ კი ბევრჯერ მომიტანა შემოქმედებითი სიხარული!

სიამოვნებით ვიგონებ ჩემს პირველ ნაბიჯებს ესტრადაზე, იმ პირველ სიმღერებს, რომელიც შექმნეს ბრწყინვალე ქართველმა კომპოზიტორებმა.

ამ წლეებში დაიწერა ლილი იაშვილის უბერებელი და მარად ახალგაზრდა სიმღერა „ია,ია“.

ალექსანდრე ბუკია (ცენტრში) რადიოკომიტეტში ლია მიქაძესთან (მარცხნივ), გელა ჩარკვიანთან (მარჯვნივ) და სტუმრებთან ერთად

ლილი იაშვილი უკეთილშობილესი ადამიანი იყო. ძალიან თბილი, კაცთმოყვარე, ინტელიგენტი – ბევრი მოგონება მაკავშირებს მასთან. მრავალი სიმღერა ჩავწერეთ ერთად.

მაშინ ქართულ ესტრადაზე რაღაც ახლის ძიება იყო. თუმცა გვყავდნენ არაჩვეულებრივი საესტრადო შემსრულებლებიც – ქეთო ჯაფარიძე, თამარ წერეთელი. ჯერ მარტო მერი შილდელი რად ღირდა! მაგრამ ის ჟანრი, რაც ჩვენ დავამკვიდრეთ ესტრადაზე ახალი იყო!

ამ პერიოდში გავიცანი სანდრო მირიანაშვილი. ეს იყო უაღრესად შრომისმოყვარე და ამავე დროს მკაცრი პიროვნება. ისეთ შენიშვნას მოგცემდა, გულს გატკენდა ხოლმე უნებურად. მაგრამ ჩემთან ურთიერთობაში სულ სხვანაირი ხდებოდა.

ერთხელ შემთხვევით წამოსცდა „ლილი, მე შენგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობო“. ის სიტყვები ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო... ბატონი სანდრო ბევრ სიმღერას ჩემთვის წერდა. მაგონდება ქართლოს კასრაძის ლექსზე დაწერილი სიმღერა „ქარი მღერის“, როდესაც სამივენი ვისხედით როიალთან და გატაცებით ვქმნიდით ამ სიმღერას. სიმღერაც მალე პოპულარული გახდა. შემდეგ კი გვიხაროდა, რომ ეს სიმღერა უცბად აიტაცა ხალხმა! მე მგონია, რომ ჭეშმარიტი სიმღერა არასოდეს კვდება, ის ყოველთვის გაუძლებს დროის გამოცდას!

მინდა დავლოცო დღევანდელი ახალგაზრდა შემოქმედნი! ვუსურვო, ჩემს საყვარელ რადიოს, რომ მრავალი მათგანი გაეხადოს ხალხის სათაყვანებელ მომღერლად!

ბედნიერება და სიხარული მოეტანოთ მათ იმ რადიომსმენელებისათვის, რომელთა მხარდაჭერა და სიყვარული მეც არასოდეს მომკლებია!

ქართული სიმღერისათვის არასოდეს ეღალატოთ.

სანდრო მირიანაშვილი, სულიკო გაწერელია, ვახტანგ მაღლაფერიძე

სოხუმი, 1979 წელი, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში. მარცხნიდან მარჯვნივ კომპოზიტორები: **ვაჟა აზარაშვილი, ოთარ გორდელი, არჩილ ჩიმაკაძე, გოგი ცაბაძე, ტარიელ ბაქრაძე, ლილი იაშვილი**

მერი შილდელი

სიმღერით გაყოყოცებული ცოცხალი

მერი შილდელის ცხმა გამორჩეული მოგონება (1970 წლის ვოდიოჩანაწერი)

საქართველოს დამსახურებული არტისტი ქართული ესტრადის მშვენება **მერი შილდელი** (ნამდვილი გვარი იყო მიჩილაშვილი). 1906-1937 წლებში მღეროდა სანდრო კავსაძის გუნდში. 1937 წელს გამოვიდა ქართულ ესტრადაზე.

მღეროდა (კონტრალტო) ძველებურ ქართულ რომანსებსა და სიმღერებს (გ. ჩუბინიშვილის.., ი. ჯაბადარის და განსაკუთრებით, გ. ცაბაძის ნაწარმოებები). მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია სიმღერები: „ხმა იდუმალი“, „შენ სიყვარულს დავიფიცებ“, „მუხამბაზი“ და სხვა.

მერი შილდელის მოგონება – ყველაზე ხშირად კურიოზული სიტუაციები ე.წ. „საშეფო“ კონცერტების დროს ხდებოდა ხოლმე. ეს კონცერტები უფასო იყო და მისი ჩატარება გმირობის ტოლფასად მიგვაჩნდა.

კონცერტებში მონაწილეობდნენ ისეთი დიდი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: აკაკი კვანტალიანი, თამარ ჭავჭავაძე, ალექსანდრე გომელაური, ემანუილ აფხაიძე, სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი საღარაძე და სხვანი.

მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში. ისინი კითხულობდნენ როგორც კლასიკოსთა ლექსებს, ასევე სატირულ-იუმორისტული ჟანრის ნაწარმოებებს, წარმოადგენდნენ სკეტჩებსა თუ ფელეტონს. ხშირად, ვერიკო ანჯაფარიძეს წაუყვანია ჩვენი საკონცერტო პროგრამა და თვითონაც წაუკითხავს რომელიმე სპექტაკლიდან მონოლოგი...

სანდრო კავსაძე

ამბავს, რომელსაც ახლა გიამბობთ, დაახლოებით ომის შემდგომ პერიოდში მოხდა. გურჯაანსა და თელავში გვქონდა დანიშნული კონცერტები, წასასვლელად კი არანაირი ტრანსპორტი არ გაგვაჩნდა. ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში ვისხედით სადგურში, ვერც სატვირთო მანქანა ვიქირავეთ (ინსტრუმენტები ხომ უნდა წაგვეღო თან!).

სად იყო და სად არა, ჩვენთან მოვიდა ერთი ჭარმაგი ვაჟკაცი და გვეკითხება:

– კაცო რამ დაგაღონათ, თვალს გადევნებდით შორიდან და რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვთო?

სტეფანე ჯაფარიძე უცბათ წამოხტა და უთხრა:

გოგი ცაბაძე

– თელავში გვაქვს კონცერტი დანიშნული და ვერაფრით ვერ წავსულვართ. ახლა 3 საათია და 6-ზე ხალხი გველოდებაო!

– მერე, რა გაღონებთ, მისმინეთ, აი, ახლა, მე ორთქლმავალი უნდა წავიყვანო წინანდალში, ქვანახშირი მიმაქვს იმათთვის, დასხედით უკან და თქვენც თელავში ჩაგიყვანთო.

მე მწარედ გამეცინა. ჯერ უარი ვუთხარი:

– ყველანაირ ტრანსპორტზე დავჯდები და, ღია ორთქლმავალზე არა მეთქი!

მაგრამ რა გინდა, რომ ქნა, იქით მიმავალი არაფერია?!

როგორღაც ავფოფხდით ვაგონზე – მოაჯირებს მაგრად ჩავჭიდეთ ხელი. სადგურზე ხალხი გამოეფინა, ყველა ჩვენსკენ იშვერდა ხელს!

დაიძრა ორთქლმავალი და ჩვენც გასამხნევებლად, სიმღერა შემოვძახეთ! და ასე, სიმღერ-სიმღერით ვიმგზავრეთ თელავამდე. სადგურზე ხალხი გამოცვივდა, ეტყობა, შორიდანვე შეგვამჩნიეს. იქვე დაკრიფეს ყვავილების თაიგულები და საჩუქრად მოგვართვეს სათითაოდ ყველას!

ერთმანეთს გადავხედეთ და, აგვიტყდა ისეთი სიცილი, რომ კარგა ხანს, თავი ვერ შევიკავეთ! ქვანახშირისგან მოთხუპნულ სახეზე თვალები ძლივსღა გვეტყობოდა!

იმ დღეს, მართლაც რომ, უჩვეულო, დაუვიწყარი კონცერტი ჩავატარეთ!

მეორე მოგონება, ისევ კახეთთანაა დაკავშირებული!

ერთი პატარა მდინარეა კახეთში, ალავერდის შენაკადი, გრემსა და ენისელს შორის – იწობა ჰქვია.

ნატო ვაჩნაძე, თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი, კირა ანდრონიკაშვილი, მწერლებთან ერთად კონცერტის შემდეგ

პატარას ვეძახდით, მაგრამ ხანდახან, ისე მოემატებოდა წყალი, რომ კარგა დიდ მანძილზე გაიშლებოდა ხოლმე. ახლა ზედ ხიდია აშენებული, ჩვენ დროს კი, სად იყო ხიდი.

ეს ამბავი ორი ათეული წლის წინ მოხდა.

ყვარელში მანქანით მივდიოდით კონცერტის ჩასატარებლად: პიერ კობახიძე, თამარ ჭავჭავაძე, ჩვენი კონცერტმაისტერი ვერიკო პეტრიაშვილი და მე. მძღოლმა მდინარე იწობას ისე გაბედულად მიაყენა მანქანა, რომ მისი ადიდება არაფრად ჩააგდო.

ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. მალე ჩვენი მანქანიანად შუა მდინარეში გავჩერდით. ვეღარც წინ მივდიოდით, და ვეღარც უკან ვბრუნდებოდით. მერე კი, ვაჟკაცურად წყალში გადასული მძღოლის იმედიც მოგვეცა, მაგრამ ამაოდ!

დიდი ხნის ჯაჯგურის შემდეგ, მანქანას ადგილიდან ძვრა ვერ უყო. ჩვენ ერთადერთ მამაკაცს შევხედეთ და, მძღოლმაც ამოგვძახა:

– პიერ-ბატონო, ჩამობრძანდით და დამეხმარეთ, ამ ტიალ-მანქანას ძვრაც ვერ ვუყავიო!

პიერმა თითქოს ჯერ იუკადრისა, მერე აწონდაწონა მდგომარეობა და ქალები გვერდზე მიგვახედა, ერთადერთი საგულდაგულოდ გატკიცინებული შარვალი გაიძრო და სიცივისაგან გალურჯებულმა (გაზაფხულის პირი იყო) ფეხები ნელ-ნელა წყალში ჩაუშვა.

მანქანაში დარჩენილი ქალები სიცილით ვიგუდებოდით. რა ვიცოდით, რომ სულ ცოტა ხანში, ჩვენც ყინულივით ცივ წყალში მოგვიწევდა ჩასვლა.

არც თამარ ჭავჭავაძე იყო მაშინ პატარა და, მით უმეტეს, არც მე. თამარმა კოხტად აიკეცა კაბის კალთები, ჩავიდა წყალში და ერთი ხელი მანქანას მიაბჯინა.

– დავძრათ ქაა, აბა, ერთად, თქვენც ჩამობრძანდით დაბლა! – ჩვენც გვაგულიანებდა.

ყველას სიცილისაგან ღონე გვქონდა გამოლეული. მშველელი კი, არსად ჩანდა.

პიერმა ძალიან შორს თვალი მოჰკრა ურემს, რომელსაც დროზე ხმას თუ ვერ მივაწვდენდით, სხვა გზაზე გადაუხვევდა.

ყველამ ერთხმად ავტეხეთ ყვირილი, ხელების ქნევა, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერ გავაგებინეთ. მაშინ, პიერის წინადადებით, წყალში მდგომმა კაბააკაპიწებულმა, სიცივით აცახცახებულმა, სიმღერა შემოვძახე!

ცოტა ხნის შემდეგ, მეურმემ ჩვენსკენ აიღო გეზი და რის ვაივაგლახით, ჩვენი მანქანა წყლიდან ამოათრია! ყველანი შინ მიგვიპატიჟა, გაგვათბო და გულმხურვალედ გაგვიმასპინძლდა!

დღესაც, ეს ამბავი მახსენდება, როცა ამ, თითქოსდა პატარა მდინარის ხიდზე გადავივლი!

მერი შილდელი

კიდევ ერთი, არც თუ ისე მხიარული მოგონება... ომის წლებთან დაკავშირებული! აფხაზეთში, სოხუმის ერთ-ერთ ჰოსპიტალს ვეწვიეთ.

მართალია, ჩვენ იქ ზარ-ზეიმითა და გაჩირაღდნებული დარბაზით არ დაგვხვედრიან, მაგრამ იმ ჰოსპიტალში, სადაც ჩვენ დავდიოდით, ყველასთვის დიდი სიხარული და შვება მოგვქონდა!

ერთხელაც, ჰოსპიტლის ერთ-ერთ ოთახში თეთრი ზეწრებით კულისები გამოვყავით, კარები ფართოდ გავხსენით, რომ საწოლსმიჯაჭვულ ჯარისკაცებს სიმღერა კარგად მოესმინათ. მაგრამ ერთ-ერთი პალატიდან ყვირილის ისეთი შემზარავი ხმა გამოდიოდა, რომ კარგა ხანს, კონცერტს ვერ ვიწყებდით. ომში დასახიჩრებულ ერთ ჯარისკაცს ტკივილებს წამლითაც კი ვეღარ უყუჩებდნენ! დრო აღარ ითმენდა, იძულებულნი ვიყავით, სიმღერა დაგვეწყო.

თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ დროს ჩვენ გვემღერებოდა?! – თვალები ცრემლით ამევსო, ყელში ბურთი გამეჩხირა, ხმა ძლივს ამოვიდგი... ჯარისკაცმა უფრო უმატა ყვირილს, მე კი, თითქოს ღმერთისაგან ძალა მომეცა და ხმას უფრო ავუწიე... ჩემი ხმა სჯაბნიდა მის ხმას... ბოლოს კი, სულ მიწყდა... მე დაჭრილ ჯარისკაცთან მივედი... ის კი, თურმე დამშვიდებით ყურს მიგდებდა... კონცერტი უფრო ხალისიანად გავაგრძელეთ. წამოსვლისას, დაჭრილ ჯარისკაცს შევთავაზე:

– თუ გსურთ, თქვენთვის ვიმღერებ მეთქი – მან მთხოვა:

– спой сестра что-нибудь теплое, за душевное!

მეც ავდექი და, „Катюша“ ვიმღერე.

ალბათ, ასე გულიანად ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მიმღერია!

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რა საოცარი შვების მოტანა შეუძლია ადამიანისთვის სიმღერას!

ნანი და მისი სიმღერის „ფენომენი"

მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი მას მხოლოდ სახელით მოიხსენიებს. ნანი – ესე იგი, ნანი ბრეგვაძე და მისი სიმღერის ფენომენი, მისი უზადო გემოვნება და მომხიბვლელობა და დიდი სიყვარულის დასტური.

გადაიცა „პიკის საათში" 21 ივლისს, მომღერლის დაბადების დღეზე. რედაქტორი – **მარიკა დარჩია**.

(გადაცემის ავტორი **ნუნუ დალაქიშვილი** 1992 წლის ჩანაწერი)

ნანი ბრეგვაძე – ახლა რომ ვუკვირდები, ძალიან საინტერესო ცხოვრება მქონია – შეხვედრები საინტერესო ხალხთან, ტურნეები, მოგზაურობები... რასაკვირველია, ბევრი სიხარული განმიცდია და ბევრი ტკივილიც.

დედა მიქელაძის ქალია და თავისი თავადური წარმომავლობით ძალიან ამაყობს. შეიძლება ითქვას, დედამ მთელი ცხოვრება მე შემომწირა. უნივერსიტეტში სწავლასაც ჩემს გამო დაანება თავი. ყოველნაირად ცდილობდა, კარგი აღზრდა-განათლება მიმეღო. ვფიქრობ, ცოტათი დავუფასე ამაგი.

მშობლები საკმაოდ ხანდაზმულები არიან, მაგრამ მხნედ გამოიყურებიან. ახლაც შინ ყველაფერს დედა აკეთებს. მას რომ ვუყურებ, გული მიკვდება – მთელი თავისი სიცოცხლე ხომ ბაზარი – სამზარეულო, ბაზარი – სამზარეულო. მხოლოდ არც ერთი ჩემი კონცერტი არ გამოუტოვებია. ამას წინათ ეკამ იხუმრა, შენ რომ არ მღეროდე, ბებო სამზარეულოდან არ გამოვიდოდაო.

სახლში ფუსფუსი მეც ძალიან მიყვარს, სადილს არ ვამზადებ, მაგრამ ჭურჭელს და ქვაბებს დიდი ხალისით ვრეცხავ. სულ მინდა სახლში ვიყო, ოღოდ გარეთ ნუ გამიყვანთ. თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, მით უმეტეს ახლა – დილიდან საღამომდე ნატალიას ვუვლი. ჩემს თერთმეტი თვის შვილიშვილს; რომ იცოდეთ, რა საყვარელია! სულ სიმღერით ვაძინებ, ისიც ამყვება. საოცარი სმენა აქვს. ეკას პატარაობას მაგონებს – თუმცა ის უფრო მუსიკალური იყო, ან რა გასაკვირია, ბავშვი სულ მუსიკის გავლენის ქვეშ მყავდა – მაშინ ერთი ოთახი გვქონდა და ეკას საწოლი ფორტეპიანოსთან მედგა.

კიდევ გიამბოთ ეკაზე? არა, უმჯობესია მას დაელაპარკოთ, ერთს კი გეტყვით: ჩემს შვილს დედა არასოდეს დაუძახია, არც უფროს შვილიშვილებს – ლევანს და გიორგის – ბებია. ყველა ნანის მეძახის. არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, ძალაუნებურად ასე ხდება...

სიმღერის გარდა არაფრის ნიჭი არ მაქვს. ვარ მხოლოდ შემსრულებელი. ოღონდ მამუშავე, შენ იყავი ინიციატორი და არ გიღალატებ. არც არავითარი ჰობი გამაჩნია. ჩემი ჰობი კიდევ და კიდევ სიმღერა და დაკვრაა. ალბათ, არ შეიძლება, სხვანაირად რომ იყოს – მე ხომ მუსიკალურ ოჯახში გავიზარდე. ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ პროფესიონალი მუსიკოსები; ის კი არა, დავით თორაძე რეპეტიციებს ხშირად ჩვენთან მართავდა.

დედას ექვსი და და ერთი ძმა ჰყავდა, ყველა საოცრად მღეროდა. ბაბუა, ბაბუის დედაც მომღერლები იყვნენ.

დეიდაჩემი ქეთევან მიქელაძე პროფესიონალ მომღერლად ითვლებოდა, მოსკოვში 1937 წელს ქართულ დეკადაზე ორდენითაც დააჯილდოეს. აი, ის მღეროდა თუ მღეროდა, ნეტავი მისი ხმის ტემბრი მე მქონდეს. ჰოდა, ქეთო დეიდა სიმღერებს როცა სწავლობდა, ჩემდაუნებურად ვიმახსოვრებდი. ექვსი წლისა გიტარაზეც ვუკრავდი (მერე არ მივაქციე ამას ჯეროვანი ყურადღება), მხრებზე მოსასხამს მოვიგდებდი და ძალზე მგრძნობიარედ ვმღეროდი ქართულ და რუსულ რომანსებს, ჩემი ჭკუით სტუმრებს ვბაძავდი, თან ვცდილობდი არტისტულად გამომსვლოდა, თუმცა არტისტიზმი ნაკლებად არ მქონდა, უფრო ლირიკული ვიყავი; ის მერე მოვიდა, თანდათან – პრაქტიკამ მოიტანა, სცენაზე ხშირად გამოსვლამ, საკუთარ თავზე მუშაობამ.

დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში „ორერასთან" მუშაობამ... 15 წელიწადს ბიჭებთან ერთად ვმღეროდი. ჩემი სტილი ამანაც რაღაცნაირად ჩამოაყალიბა. ბიჭები იმდენად დიდებულად მექცეოდნენ, რომ სცენაზე დედოფალივით ვგრძნობდი თავს. მაპატიეთ, რომ ასე ვამბობ, ამით მათ კეთილგანწყობას მინდა გავუსვა ხაზი. გული მწყდება, „ორერა" რომ დაიშალა...

მერე ჩემი სოლო კონცერტები დაიწყო. ეს მედიკო გონგლიაშვილის დამსახურება იყო. 1956 წელს ერთად მივედით პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმოქმედებით კოლექტივში. შესანიშნა-

ვი ჯაზი ჰყავდათ და ერთი წლის მერე ფესტივალზე პირველი ადგილი ავიღეთ. გავიდა დრო და მედიკო ჩემი კონცერტმაისტერი გახდა, როგორც თვითონ ხუმრობით ამბობს: „ჩვენი ანსამბლის მენეჯერიცაა და დირექტორიც“, თუმცა „ჩვენს ანსამბლს“ ხშირად არ უწევს გასტროლები. ჩვენი ერთობლივი მუშაობის დაწყებისთანავე მედიკოს ვუთხარი, – პერიფერიებში არ წავალთ-მეთქი. რომ მახსენდება მგზავრობა მატარებლით, თვითმფრინავით, ცუდი სასტუმროები და საერთოდ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, თავს დათრგუნულად ვგრძნობ; ამიტომ თითქმის არსად დავდივარ...

ბუნებით ესთეტი ვარ – ვეტრფი ყველაფერს კარგსა და ლამაზს. ძალიან მიყვარს ლამაზი ქალი. შეიძლება ქალს სახე არ ჰქონდეს ლამაზი, მაგრამ ჰქონდეს მოხდენილი ტანი, მოყვანილი ხელები ან მომხიბლავი მანერები – ესეც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. კაცი კი უფრო ვაჟკაცური, კარგად გაზრდილი, თავშეკავებული მომწონს.

თავს უფლებას არ ვაძლევ, მოვდუნდე. სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვცდილობ ფორმაში ვიყო, თუმცა დიეტა არასოდეს დამიცავს. ერთ დროს იოგით ვიყავი გატაცებული. ახლაც თუ მაქვს დრო და სუფთა ჰაერზე ვიმყოფები, იოგების სისტემით ვსუნთქავ.

მორწმუნე ვარ. მაშინაც მწამდა ღმერთის, როცა ეკლესიაში სიარული აკრძალული იყო. კონსერვატორიაში ოქროს ჯვრით დავდიოდი, ამის შესახებ გაზეთშიც დაწერეს. ვგრძნობ, რომ ღმერთი მწყალობს და მისი მადლი მფარავს. ბევრჯერ შემოუთავაზებიათ საზღვარგარეთ ცხოვრება. რა თქმა უნდა, იქ ათასჯერ უკეთესი პირობებია, მაგრამ ამის სურვილი არასოდეს გამჩენია! ემიგრანტები მოჭრილ ხეებს მაგონებენ, უფესვოდ დარჩენილებს...

რა შემიძლია ჩემი მამულისთვის გავაკეთო? – მხოლოდ და მხოლოდ კარგი სიმღერა. საამისოდ კი ბევრს ვმუშაობ.

ერთი აუხდენელი ოცნება დამრჩა – ოპერის მომღერლობა. ეს იმას ჰგავს, ჯარისკაცი გენერლობაზე რომ ოცნებობს... ამბობენ, ჰამლეტ გონაშვილიც ამას ნატრობდაო...

ნანი ბრეგვაძე და ანსაბლი „ორერა“

რას ვუყოთ ამდენ გაივრცოპოლიბოლ ქართულ სიმღერასა და „გამიქცერიბოლ" რიმიქცებს

მოვიდა ახალი საუკუნე, თან მოიტანა რეაქტიული პოეზია, ენერგიული როკით შემოარღვია ქართული ესტრადის კარი, ხალხური ცეკვა გალეტად აქცია, ხალხური სიმღერა ჯაზს შეურითმა, ძველი და ახალი შეეუღლა ერთმანეთს, აირია ყოველგვარი ღირებული და იაფფასიანი. ჩვენ კი შიშით შევცქერით ქართული ესტრადის „ცის კაბადონზე" ნაადრევად გაჩენილ ახალ ვარსკვლავთა „თანავარსკვლავედებს"... სათქმელი გვიგროვდება, ხმამაღლა ვფიქრობთ, ვმსჯელობთ, ვიწერთ, ვინიშნავთ, ვიკვლევთ, ვცდილობთ, რაიმე არ შეგვეშალოს შეფასებისას (გადაცემის ავტორი **ნუნუ დალაქიშვილი**. 2002 წლის ჩანაწერი).



იაკობ ბობოხიძე

ჩვენი სტუმარია კომპოზიტორი **იაკობ ბობოხიძე:**

– წლების მანძილზე ქართულ ესტრადას ვაკვირდები, ხშირად მაგონდება ანდაზა: „შეაყარე კედელს ცერცვიო". ამ თემაზე რამდენიც გინდა ილაპარაკო, ვერავის ვერაფერში დაარწმუნებ. ისინი მაინც თავისას აგრძელებენ.

რამდენიც გინდა ილაპარაკო იმაზე, რომ მომღერლისთვის და კომპოზიტორისთვის საჭიროა მუსიკალური განათლება, იმდენად ჭარბობს ესტრადაზე გამოჩენის, საკუთარი თავის, შესაძლებლობების წარმოჩენის სურვილი, რომ არაფრად დაგიდევენ ყველაფერ ამას.

როცა აღტაცებაში მოჰყავთ ახლობლები თავისი „შემოქმედებით", მათ წინ ვეღარავინ გადაეღობება. ყველაფერი დაინგრა თუ რამე იყო ქართულ ესტრადაზე გაკეთებული. ახლა მიმდინარეობს ე.წ. „დოღი" იმ ხალხისა, ვისაც არ შეუქმნია თვითმყოფადი, საკუთარი მუსიკა; ბევრი სიმღერა არის უცხოურიდან გადმოქართულებული, „ყურით მოთრეული", და ეს „მეორადი" სიმღერები მიბაძვით არის შექმნილი... მე მათ „უდღეურებს" ვუწოდებ.

თუმცა ბევრს ეს „უდღეურობა" არ ადარდებს. ისინი ტკბებიან დღევანდელი პოპულარობით. გავა დრო და დღევანდელ საესტრადო მუსიკას მომავალში მოიხსენიებენ, როგორც დეგრადაციას და ამ შეფასებას, რომ იტყვიან, „წყალი არ გაუვა".

მე მიკვირს, რომ ამას ხელს უწყობს დღევანდელი რადიო და ტელე არხები. მათივე დონის რედაქტორები და წამყვანები, ნებსით და უნებლიედ პოპულარობას უწევენ, როგორც საბავშვო, ასევე სხვა ჟანრის იაფფასიან მუსიკას...

მახსოვს, ძველ დროს, როდესაც რადიოსტუდიაში იწერებოდა რამე საესტრადო და სიმფონიური ნაწარმოები, მას ე.წ. ვიზას, ეთერში გადაცემის უფლებას, სამხატვრო საბჭო ანიჭებდა.

– ყველზე კარგი შემფასებელი და ცენზორი, ალბათ, ხალხიაო, ამბობენ, მაგრამ რა ვუყოთ ეთერში გასულ ამდენ უსახურ სიმღერას?

– ჩემი აზრით, ამ პროცესის დასარეგულირებლად მართლაც საჭიროა ცენზურა. ცენზურა აკრძალვას როდი ნიშნავს! პირიქით, ის უნდა დაეხმაროს ხელოვანთ – ნამდვილი, ჭეშმრიტი ფასეული მუსიკის შექმნასა და წარმოჩენაში.

ძალიან მომრავლდნენ თვითმოქმედი კომპოზიტორები, რომლებიც თვითონვე ასრულებენ საკუთარ სიმღერებს. მათ ჰყავთ საუკეთესო ნიჭიერი „არანჟიროვშიკები", რომლებიც წერენ თითოეულ ტაქტს, ასწორებენ... შეიძლება მომღერალს არ ჰქონდეს არც ხმა, არც სმენა... დეტონაციებს ხმის რეჟისორიც რის „ვაი-ვაგლახით" ასწორებს, დღევანდელი საესტრადო სიმღერები, რომლებსაც ჩვენ ვისმენთ ასეთი „გაკეთებულია", ათასჯერ ნაწვალებია... ეს მომღერლები რომ პირდაპირ სცენაზე გაუშვა ორკესტრთან ერთად, შეიძლება კონცერტი ჩაიშალოს!

ხშირად გაისმის უცხოური მუსიკა... თარგმნიან მის ტექსტს ქართულ ენაზე და ასე წარსდგებიან მაყურებელთა წინაშე... მერე იცით, რა მოჰყვება ამას? – მოჰყვება „ტორიჩელის" სიცარიელე... მე მამშვიდებს ის, რომ ეს ყველაფერი მაინც დროებითი მოვლენაა, თუმცა ათასში ერთხელ გამორევა ხოლმე კარგი, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული სიმღერა.

ნ.დ. – რას იტყვით ხალხური სიმღერების იმგვარ ე.წ. „არანჟირებაზე", როგორც ახლა მოდად ქცეულ კლიპებში გვხვდება, როდესაც

მთელი ყურადღება გამოსახულების ეფექტურობაზეა გადატანილი, მელოდია და რითმი შეცვლილია, გამოსახულების გარეშე მისი მოსმენა აუტანელია...

პირველი ხმა, რომელსაც უნდა მიჰყავდეს მელოდია, სადღაც იკარგება და გვესმის მეორე ხმა, ბანები და რიტმები...

ხალხური მუსიკა ამით ხომ არ „გვეჩაგრება?“

იაკობ ბობოხიძე – ქართული ხალხური მუსიკა იმდენად ძლიერია, მას საუკუნეებისთვის გაუძლია და დღეს ვერავინ დაჩაგრავს... ავიღოთ მაგალითად: „ლილე“, რაც გინდა გადააკეთო, შეცვალო, ჩვენ მივიღებთ სიმღერის „კარიკატურას“ (როგორც ახლა ხდება!). ხალხური მუსიკა იმდენად ძლიერია, მას ვერავინ მოერევა.



ჯანსუღ კახიძე

ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე

სხვათაშორის, დღემდე ეს ვერავინ შეძლო, გარდა ჩვენი აწ გარდაცვლილი დიდებული კომპოზიტორის ჯანსუღ კახიძისა. მისი „კრიმანჭული“, რომელიც ბუბა კიკაბიძემ შეასრულა, მართლაც ბრწყინვალე ნიმუშაია.

ნ.დ. – რა აზრისა ხართ ქართულ სიმღერაში აღმოსავლური მოტივების ნამეტნავად შემოჭრაზე ანდა პირიქით, ქართული სიმღერის გაევროპულებაზე, ანდა იქნებ „გემოვნებაზე არ დავობენ?“

– დღეს ქართული ესტრადის პრობლემებით შეწუხებულია ყველა მისი ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი. მაგრამ, მოდით, ჩემო კარგო, დავანებოთ სხვის სულიერ სამყაროს თავი (ვგულისხმობ აღმოსავლურ მუსიკას). ისინი ამას ბრწყინვალედ ართმევენ თავს და როცა ჩვენ ვბაძავთ სხვის მუსიკას, ეს მათთვის აღიქმება კარიკატურად და სიცილს თუ არა, ღიმილს უთუოდ იწვევს!

ისე კი ვურჩევდი ზოგიერთს, თუ აქვს ამის საშუალება, მოუსმინონ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტელევიზიის პროგრამებს, როგორ უფრთხილდებიან თავიანთ კულტურას, თავიანთ ესტრადასა და ხალხურ სიმღერებს, როგორი დონის მომღერლები ჰყავთ და როგორ ეფერება მათ ხალხი.

ის, რაც ჩვენს ესტრადაზე ხდება, მას მომავალი არ უწერია! მე მინდა, რომ საქართველოშიც ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდეთ, როგორც აქვთ საკუთარი ხელოვნების მიმართ ჩვენს მეზობლებს. ამას იმიტომ ვამბობ, დღეს საქართველოში ეროვნული ცნობიერების კომპოზიტორი, ჩემი გაგებით მცირედი თუ მეგულება!

აზერბაიჯანის რადიო და ტელევიზია თითქმის თავის პროგრამების ძირითად დროს ხალხურ სიმღერებს უთმობს. ამით კი არ აკნინებს სხვა ჟანრებს, არამედ ცდილობს, მომავალ თაობას გაუადვილოს მიახლოება თავისი უძველესი სიმღერის სიყვარულისაკენ.

დამეთანხმებით, რომ ცოცხლად შესრულებულ მუსიკას სულ სხვა ეფექტი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უკვე ჩაწერილ სიმღერას. კომპოზიტორისთვის, ალბათ, „ძვირადღირებული ფუფუნებაა“ ორკესტრის თანხლებით სიმღერის შესრულება...

ნ.დ. – თქვენ თვითონ რას აძლევთ უპირატესობას?

– ჩვენ ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, რომ სულ მუდამ გვეჩქარება. როცა პარტიტურა დაიწერება ორკესტრისათვის, ის უნდა შეისწავლოს ყველა ინსტრუმენტზე დამკვრელმა მუსიკოსმა, მერე მას უნდა რეპეტიციები და ეს ყველაფერი დიდ და ძვირფას დროს მოითხოვს.

ერთხელ ელისო ვირსალაძეს ჰკითხეს: რომელი გირჩევნიათ, კონცერტზე გამოსვლა ფონოგრამით თუ ცოცხლადო? – როცა ფონოგრამას ამზადებ, იქ რაც შეგეშლება, იმას შემდეგ ასწორებ, ხოლო ცოცხალი შესრულების დროს გადასცემ ზუსტად იმწუთიერ განცდებს, რაც ყველაზე ღირებულიაო – უპასუხიაო პიანისტს.

ჩვენმა სახელოვანმა საოპერო მომღერალმა ზურაბ ანჯაფარიძემ ვერ გადაიღო მის მიერ შესრულებული ბევრი ნაწარმოები მხოლოდ იმის გამო, რომ ფონოგრამის თანხლებით ხდებოდა მაშინ გამოსახულების გადაღება. ზურაბ ანჯაფარიძე იყო უდიდესი პროფესიონალი და ბრწყინვალე საოპერო მომღერალი და მაინც, ამის გამო ძალიან მცირე ჩანაწერები არსებობს მისი. ახლა ძირითადად „პლუსზე“ მღერიან. იცით, რა არის ეს? ჩაწერილია ფონოგრამაც და ხმაც, კონცერტებზე გამოდიან მომღერლები და მხოლოდ პირს აღებენ.

ზურაბ ანჯაფარიძემ

ეს არის ჩვენი კიდევ ერთი უბედურება!

ახლა მზადდება საზოგადოებრივი აზრი იმისათვის, რომ აკომპანიმენტი იყოს ჩაწერილი და კონცერტზე მომღერალმა იმღეროს ცოცხლად.

ნ.დ. – მაინტერესებს, არის თუ არა კანონით დაცული საავტორო უფლება, როცა ავტორის სიმღერას ამახინჯებენ?

– მე მქონდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა ანსამბლმა ჩემს დაუკითხავად ძალიან ცუდად იმღერა „ვერხვის ფოთოლი“, ვუჩივლე ამის გამო და პროცესიც მოვიგე. მათ კი, ჯარიმა დაეკისრათ.

ახლა თუ რომელიმე ანსამბლი ან მომღერალი დააპირებს რომელიმე კომპოზიტორის სიმღერის შესრულებას ან არანჟირებას, ამის შესახებ უნდა იცოდეს კომპოზიტორმა, თუ სიმღერის ავტორი გარდაცვლილია, მას ჰყავს მემკვიდრე, რომელზეც გადაცემულია საავტორო უფლება.

ნ.დ. – „რემიქსი“ – საიდან გაჩნდა ჩვენთან ეს ტერმინი და რამდენად გამართლებლია მისი გამოყენება ნებისმიერი სიმღერის „გადაკეთებისას“?

– მუსიკაში ყველაზე მთავარი კომპოზიტორია, მერე არიან დირიჟორი და შემსრულებელი. კომპოზიტორი ნაწარმოებს ქმნის თავის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე და ვისაც ეს არა აქვს ის, ძალით იბრალებს კომპოზიტორობას.

არიან უამრავი ე.წ. კომპოზიტორები, რომლებიც ვერ წერენ თავისთავად მუსიკას, სამაგიეროდ „თხზავენ“ სხვისას. ეს არის ვთქვათ, ზოგჯერ ბერძნული, ზოგჯერ იტალიური და სხვადასხვა ქვეყნის ესტრადიდან გადმოღებული მუსიკა.

ჭეშმარიტი კომპოზიტორის ხელწერა ყოველთვის გამოირჩევა ასეთი „მთხზველებისაგან“.

გლინკას აქვს ასეთი გამონათქვამი: „მუსიკას ქმნის ხალხი, ჩვენ მხოლოდ არანჟირებას ვუკეთებთ მასო“.

ჩვენი ბავშვების გემოვნების დამახინჯებაში დიდი როლი მიუძღვით მათ მშობლებს. ბავშვების გემოვნება ჯერ განუვითარებელია, დასახვეწია; არ იციან, რა იმღერონ, როგორ იმღერონ, რა მანერით იმოძრაონ სცენაზე.

ბრმა მიბაძვამ შეიძლება ცუდი შედეგები გამოიღოს.

ნ.დ. – რა აზრისა ხართ ისეთ გამოკითხვებზე, როგორიც არის: „ჰიტ-აღლუმები“, „ცხელი ათეული“ და „ცხელი ოცეული“?

– ამ შემთხვევაში მსმენელი ობიექტურ შემფასებლად ვერ გამოდგება. ხალხიც დაბნეულია, აღარ იცის, რა აირჩიოს, იმის გამო, რომ პროფესიონალი კომპოზიტორები ძალიან ცოტანი არიან, ამ მოვლენისადმი დაპირისპირება ვერ ხერხდება. აუცილებელი არ არის, დილიდან საღამომდე ისმოდეს მხოლოდ უნიჭოდ შეთხზული სიმღერები. ვიმეორებ, საჭიროა რადიო-ტელევიზიებში იყოს საიმედო ცენზურა, როდესაც დასხდებიან პატიოსანი პროფესიონალები და ნიჭისა და გემოვნების მიხედვით გადაარჩევენ სასიმღერო რეპერტუარს. დღეისთვის ქართულ ესტრადას, ქართულ სიმღერას კარგი მოვლა-პატრონობა სჭირდება...

ვასილ და ლევან მახარაძეები

ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი – ძმები ვასილ და ლევან მახარაძეები – ბეჭერი მემუსრები

რადიოს ოქროს ფონდში ინახება ძმები მახარაძეების ერთი ჩანაწერი, სადაც ისინი სიამოვნებით იგონებენ თავიანთ ბავშვობას, პირველ პედაგოგებს და ხალხისაგან ნასწავლ გურულ სიმღერებს (გადაცემა „ძმები მახარაძეები“ ჩაწერილია 1971 წელს. მისი ავტორია მუსიკათმცოდნე ლიანა აბულაძე).

ძმებს ვასილ და ლევან მახარაძეებს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც ხალხური სიმღერების: „ხასანბეგურას“, „ოდოიას“, „სიმონა დოლიძეს“, „მგზავრულის“, „ოსოს ვარადას“, „ია და ვარდის“ და სხვათა ერთ-ერთ უბადლო შემსრულებლებს.

ბევრმა არც ის იცის, თუ როგორ ჩამოიყვანა სიმღერის სიყვარულმა ძმები გურიიდან თბილისში. დღეს ეს სიმღერები მხოლოდ მათი შრომისა და „მეცადინეობის“ წყალობით არსებობენ.

ლიანა აბულაძე მოგვითხრობს – ხალხური სიმღერა მუდამ გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ქართული ხალხური სიმღერის ამ მოამაგეთა შორის არიან ძმები ვასილ და ლევან მახარაძეები.

ვასილ მახარაძე იგონებს: ხალხური სიმღერის სიყვარულმა ამაღებინა ხელი მშენებლის პროფესიაზე. ბავშვობიდანვე გადავწყვიტე, რომ ჩემი მთელი შეგნებული სიცოცხლე მიმეძღვნა ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შეგროვების, დაცვისა და გავრცელებისთვის.

ყოველ ზაფხულს, საკუთარი ინიციატივით მივემგზავრებოდი სოფლებში, სადაც კი გუმანით მეგულებოდა ქართული სასიმღერო მარგალიტები, რომლებიც დავიწყებას არ იმსახურებენ.

ჩვენ ვსწავლობდით ყველა უცნობ ვარიანტს, ვიწერდით და ვასწავლიდით ახალგაზრდებს.

ლიანა აბულაძე – ქართული ხალხური სიმღერების სიყვარული ლევანს და ვასოს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს მშობლებმა. მათი მამა იყო ივანე მახარაძე, რომელიც სახელგანთქმული ლოტბარი ყოფილა.

საღამოობით მათთან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი მომღერლები, ზოგი ნათესავი, ზოგი მეზობელი – ისეთი სიმღერის ხმა ისმოდა იქიდან, რომ მათ სახლს გვერდს გულცივად ვერავინ აუვლიდა.

ბავშვები სულგანაბულნი ისმენდნენ უფროსების სიმღერას. ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მათზე თურმე დედის, ქრისტინეს, სიმღერა ახდენდა ხოლმე.

ერთხელ, მათ სოფელში მეზობელმა გლეხებმა ცნობილი მომღერალი კოწია ხუხუნაიშვილი მოიწვიეს.

ვასილ მახარაძის მოგონება – ზამთარში, გურიის სოფლებში მოსწავლეთა არდადეგების დროს, ჩვეულებრივი ამბავი იყო, როდესაც ახალგაზრდებისათვის სიმღერების შესასწავლად, რომელიმე გამოჩენილ მომღერალს მოიწვევდნენ ხოლმე.

კოწია ხუხუნაიშვილი უკვე ცნობილი იყო გურიაში, როგორც საუკეთესო მომღერალი. ჩვენც გვქონდა მოსმენილი მისი სიმღერები. დიდი ხვეწნის შემდეგ მშობლებმა ჩვენც მოგვცეს სიმღერის სწავლის უფლება.

მაგრამ, როგორც გაირკვა, მეცადინეობაზე დასწრებას გარკვეული თანხა სჭირდებოდა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნდა. მაშინ კი ორივემ გადავწყვიტეთ ოდის ქვეშ დავმალულიყავით და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ზამთრის განმავლობაში ორ კილომეტრს გავდიოდით ფეხით და შემდეგ სიცივეში საათობით ვისხედით ოდის

კოწია ხუხუნაიშვილი მოსწავლეებთან

ქვეშ, სულგანაბულნი ვისმენდით ბატონ კოწია ხუხუნაიშვილის გაკვეთილებს.

მეცადინეობის დასასრულს მოსწავლეებმა გამოსათხოვარი საღამო გაუმართეს მასწავლებელს. მაშინ კი გამოვედით საფარიდან და ოთახში თბილ ბუხრის კედელთან მივიკუნჭეთ. იმ საღამოს კოწიამ ერთგვარი გამოცდა ჩაუტარა მოსწავლეებს. ერთმა მათგანმა ვერ შესძლო სიმღერის სწორად წამოწყება თავი ვერ შევიკავე და სიმღერაში შევეშველე.

მხოლოდ მაშინ შეგვნიშნეს უცხოები. კოწიამ ვინაობა გამოგვკითხა, როცა გაიგო რომ მის გაკვეთილს მთელი ზამთარი ოდის ქვეშიდან ვუსმენდით, დაინტერესდა და გამოგვცადა.

ჩვენი გამოცდა „ხასანბეგურათი“ დაიწყო, ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ბოლოს ორივე გადაგვკოცნა და გვითხრა:

– მაპატიეთ, ბიძიებო, შევმცდარვარ, სიმღერები ამათთვის კი არა, თქვენთვის უნდა მესწავლებინაო!

ლიანა აბულაძე – სიმღერის შემდგომი სკოლა ვასოსა და ლევანისათვის ვანის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი იყო.

გუნდს ხელმძღვანელობდა დ.მჟავანაძე. ამ გუნდში შეისწავლეს ძმებმა მრავალი ქართლ-კახური სიმღერა: „ლაჟვარდ ცაზე“, „ჩურჩულით ჩამორბოდა“, „შენ, შემოქმედო“.

მალე დ.მჟავანაძე წავიდა სკოლიდან და გუნდი ხელმძღვანელის გარეშე დარჩა. მაშინ ვასილ მახარაძემ განაგრძო გუნდთან მუშაობა. ვასო თავის თანატოლებს გურულ სიმღერებს ასწავლიდა, რომლებიც მას კოწია ხუხუნაიშვილისაგან ჰქონდა ნასწავლი.

20-იანი წლების მიწურულს ვასო და ლევანი ციხისძირში წავიდნენ, იქ მუშად მუშაობდნენ მეურნეობაში. მათ აქაც ჩამოაყალიბეს ვაჟთა გუნდი. ისინი ბევრს მეცადინეობდნენ, კონცერტებს მართავდნენ არა მარტო ციხისძირში, არამედ ქობულეთში, ბათუმში, მახინჯაურში, ჩაქვში და სხვა.

ციხისძირში ჩამოვიდა აგრეთვე სანდრო კავსაძის გუნდის ყოფილი წევრი – ლეონტი გამყრელიძე, რომელმაც კარგად იცოდა ქართლ-კახური სიმღერები. იგი მახარაძეების გუნდს შეუერთდა.

ამ მეგობრობის შედეგად ძმებმა აღმოსავლეთ საქართველოს მრავალი სიმღერა შეისწავლეს ხალხურ მომღერლებთან ერთად. ასეთი მეგობრობის მეშვეობით იზრდებოდა მათი რეპერტუარიც. ამ მხრივ ძმები მახარაძეების შემოქმედებით ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა სხვა შემსრულებლებთან: ნოკო ხურციასთან, ნიკოლოზ ხვიტიასთან, ვანო მჭედლიშვილთან თანამშრომლობამ.

ნოკო ჩაჩიბაია

ნიკოლოზ ხვიტია

ვანო მჭედლიშვილი

ლევან მახარაძე – აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების საინტერესო ვარიანტები ჩემი კარგი მეგობრისაგან, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისაგან, ვანო მჭედლიშვილისაგან შევისწავლეთ.

ჩვენ 3-4 წლის მანძილზე ერთად ვმღეროდით და რაც კი ვიცოდით აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერები, ვანო მჭედლიშვილის დახმარებით შევასწორე, დავაზუსტე და საუკეთესო ვარიანტები დავადგინე. მე კი მას გურული სიმღერები ვასწავლე.

ლიანა აბულაძე – ყველგან, სადაც ძმები მახარაძეები მოღვაწეობდნენ, მომღერალთა გუნდს აყალიბებდნენ.

ასე ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ვასო მახარაძე სწავლობდა. აქვე იყო ალექსანდრე მახარაძის გუნდიც, რომელთანაც შემდგომი წლები ერთად მუშაობდნენ.

ძმები თითოეული გუნდის წევრს ასწავლიდნენ რთულ პარტიებს. ალექსანდრე მახარაძის გარდაცვალების შემდეგ მომღერალთა გუნდს ვასილ მახარაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ინსტრუმენტულს – ლევანი.

გუნდს მრავალი წარმატება ხვდა წილად.

1946 წელს საქართველოს რადიოკომიტეტში მოწვეული იქნა ქართული ხალხური სიმღერის დიდი მცოდნე ავქსენტი მეგრელიძე. მას ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის ჩამოყალიბება დაავალეს. მეგრელიძემ ძირითადად ვასილ მახარაძის გუნდის წევრები მოიწვია. მათთან ერთად მოიწვიეს ვანო მჭედლიშვილი, ვარდენ ჟუჟუნაშვილი, ვანო ჯავახიშვილი, ილია ფალიანი, აკაკი ქარსელაძე, ნიკოლოზ ხვიტია, ნოკო ჩაჩიბაია, ელენე ჭუბაბრია და ავქსენტი მეგრელიძის მიერ ჩამოყალიბებული მეჩონგურე ქალთა ანსამბლი.

ავქსენტი მეგრელიძე

მეტად საინტერესოა ლევან და ვასილ მახარა-

ძეების მოღვაწეობა ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში, სადაც დავიწყებას ეძლეოდა ქართული სიმღერა. ძმებმა მიზნად დაისახეს, გაეღვიძებინათ ინტერესი ქართული ხალხური სიმღერისადმი.

ამ რაიონებში მუშაობა ცოტა რთული იყო. ვასო მეცადინეობებზე დიდხანს ესაუბრებოდა მათ ჩვენი ერის გმირულ წარსულზე. ქართველი ხალხის ვაჟკაცურ შემართებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, რაც ასე კარგად აისახა ჩვენი ხალხის სიმღერებში.

ძმები დადიოდნენ სოფლებში, ეცნობოდნენ ძველ მომღერლებს, პოულობდნენ ახლებს და მათგან იწერდნენ სიმღერებს. ასეთ გულმოდგინე მუშაობას შედეგიც სასურველი მოჰყვა.

სულ მოკლე ხანში გუნდები შესანიშნავად ასრულებდნენ მრავალ ქართულ ხალხურ სიმღერას. მათი შესრულებით მალე გაისმა ახალი სიმღერები რადიოში, მაგალითად: „ძმაო, რა სჯობია ძმობასა“, რომელიც ძმობასა და მეგობრობის დიდ ძალაზეა დაწერილი.

დიდ ენერგიას ანდომებდნენ ძმები ახალგაზრდა კადრების აღზრდას. კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დაარსებიდანვე ლევან და ვასილ მახარაძეები აქტიურად ჩაებნენ მის მუშაობაში.

ვასილ მახარაძე საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების კლასებს ხელმძღვანელობდა, ლევანი – კი მეჩონგურეთა და მეფანდურეთა კლასებს.

ლევან მახარაძემ ხალხში დამკვიდრებულ ჩონგურის სამ წყობას კიდევ ორი მიუმატა, რითაც საგრძნობლად გაზარდა ამ საკრავის საშემსრულებლო შესაძლებლობანი. ამ სასწავლებელში ძმებს საშუალება მიეცათ წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება ახალგაზრდობისათვის გადაეცათ.

ამავე სასწავლებელში ვასილ მახარაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ვაჟთა რვაკაციანი ანსამბლი, რომელიც მხოლოდ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა. ცნობილი ანსამბლი „გორდელა“ სწორედ მათ ნიადაგზე შეიქმნა.

ანზორ ერქომაიშვილი

ანზორ ერქომაიშვილის მოგონებიდან – პირველად ვასილ მახარაძე მაშინ გავიცანი, როდესაც ჩემმა ბაბუამ – არტემ ერქომაიშვილმა თბილისში ჩამომიყვანა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად მიმიყვანა.

ბაბუამ ვასილ მახარაძეს ჩააბარა ჩემი თავი. ვასილი განსაკუთრებული სიყვარულით გვასწავლიდა სიმღერებს. ისეთი სისათუთით გადმოგვცემდა თითოეულ ფრაზას, რომ არ შეიძლებოდა, რომ ეს სიფაქიზე შენც არ გადაგდებოდა და არ განგეცადა. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ მან შეძლო აღეზარდა მთელი თაობები ჩვენი ახალგაზრდა მომღერლებისა, რომლებიც ახლაც აგრძელებენ ძმები მახარაძეების დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს.

არტემ ერქომაიშვილი

და მართლაც, ვასილ და ლევან მახარაძის აღზრდილნი დღესაც დიდი ენთუზიაზმით აგრძელებენ თავიანთი პედაგოგების დაწყებულ გზას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებით ქმნიან თვითმოქმედ გუნდებს. „ხალხურ სიმღერას სჭირდება არა მარტო თაყვანისცემა, არამედ მოვლა-პატრონობა, დაცვა და გავრცელება, საშვილიშვილოდ გადაცემა“ – ასე თვლიდნენ ძმები ვასილ და ლევან მახარაძეები. ისინი ვალმოხდილნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან, სათუთად შემონახული მათი სიმღერები კიდევ დიდხანს შეგვახსენებენ ჩვენ, „ვისი გორისანიც ვართ!“

ნინო კრავეიშვილი

მეშინია, ვერ დავკარგო ნიჭი სიყვარულის...

ნინოს სკოლის მერხიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ, რომ მომღერალი გამოვიდოდა. ალბათ, კონსერვატორიაში გააგრძელებსო სწავლას, ვარაუდობდნენ მისი ხმის თაყვანისმცემლები.

გადაცემის ავტორია **ნუნუ დალაქიშვილი**. 2002 წლის ჩანაწერი.

ნინო კრავეიშვილი – სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპული ენების და ლიტერატურის ფაკულტეტზე ფრანგული ენის განხრით. აქვე დავამთავრე მეორადი ფაკულტეტი ხელოვნების განხრით.

სიმღერის სიყვარული, ალბათ, დაბადებიდანვე დამყვა. დედაჩემი სამედიცინო დარგის მუშაკი იყო, კარგად მღეროდა. დედის ხმა და ნიჭი გამოგყვაო, ასე მეუბნებიან ახლობლები.

ადრე მსახიობობაზე ვოცნებობდი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი ბავშვობა სულ ვმღეროდი, თურმე პატარაობისას, სანამ ლაპარაკს დავიწყებდი, სიმღერებს სულ იოლად ვითვისებდი. შემდეგ სიმღერისა და მუსიკის სიყვარული თავისებურ არტისტიზმსაც შეერწყა, რაც საოცრად გამომადგა, განსაკუთრებით კი, საზღვარგარეთ, როცა უცხოელების წინაშე წარვსდექი.

ნინოს ორი ვაჟი ჰყავს გიორგი და კოკა. შინ და გარეთ ყველაფრის ბატონ-პატრონი თვითონაა. თითქმის 8 წელია ოჯახურ უღელს მარტო ეწევა, მას ძალიან უყვარს ოჯახური საქმიანობა – სახლის დალაგება, სამზარეულოში ფუსფუსი. ნერვიულობს, თუ ყველა ნივთს თავისი ადგილი არ აქვს მიჩენილი. უყვარს წესრიგი სახლშიც და ცხოვრებაშიც, უებრო დიასახლისს მადლიანი ხელი აქვს და უბრალო სადილებიც კი გემრიელი გამოსდის.

ნ.დ. – ხელოვანისთვის, რომელსაც ოჯახურ ტვირთს არავინ უმსუბუქებს. ალბათ, ძნელია დროის განაწილება...

ნ.კ. – სიმღერასა და ცხოვრებისეულ სირთულეებს ბევრი ენერგია მიაქვს... თუკი თავისუფალი დრო მოვიხელთე, უბრალოდ ვისვენებ ხოლმე ყველაფრისაგან... ენერგიას ვიკრებ ბევრი სასიკეთო საქმისთვის. სიმღერა, მუსიკა ენით გამოუთქმელ თავისუფლებას მანიჭებს. როცა თავდავიწყებით ვმღერი, ჩემ გარშემო თითქოს ყველაფერი მშვენიერდება და მე თვითონაც ვერწყმი ამ მშვენიერებას. ხშირად აღნიშნავენ, რომ მე სცენაზე სულ სხვანაირი ვარ, გარდასახული, თვალის გუგების ფერიც კი გეცვლებაო, – მეუბნებიან, სიმღერის დროს შინაგანად ვვარდისფერდები!

გრიშა ქსოვრელი, ზაურ წერეთელი ნინო კრავეიშვილთან ერთად „თბილისობაზე“.

ნ.დ. – წელიწადის რომელი დრო გიყვართ?

ნ.კ. – გაზაფხული ჩემი უსაყვარლესი პერიოდია... სული ხარობს, ახალი, იმედიანი განწყობა მეუფლება შინაგანად, სულიერად, ჩემს ცხოვრებას თითქოს ახალი ფერები ემატება... ძალიან მიყვარს სიცოცხლე, დღის დასაწყისი, მიყვარს გარშემო აფეთქებული ფერები, ვარდისფერი, ცისფერი, მწვანე, წითელი – ეს ფერები მამშვიდებს.

ნ.დ. – სიყვარულზე რას იტყოდით?

ნ.კ. – სიყვარული? იგი საოცრად რთული ფენომენია, ბედნიერია ის ოჯახი, რომელიც სიყვარულით იქმნება. მე სულითა და გულით ვლოცავ ასეთ ოჯახებს. ბევრი ოჯახი მეგულება ასეთი...

ნ.დ. – პირველმა სიყვარულმა თუ გაგიმართლათ?

ნ.კ. – ჩემი პირველი სიყვარული იყო პლატონური, უსიტყვო, მე მიყვარდა და იმას კი ვერ გავუმჟღავნე. სხვანაირად ვერც კი წარმოვიდგენდი. რა თქმა უნდა, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე.

ნ.დ. – რატომ ინგრევა ოჯახები?

ნ.კ. – ეს, ალბათ, კონკრეტულ ოჯახურ სიტუაციებზეა დამოკიდებული... და საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ უსიყვარულოდ გათხოვებისა და დაქორწინებისა.

ნ.დ. – რა როლს თამაშობს ქალის ღირსება სიყვარულში?

ნ.კ. – მიმაჩნია, რომ ქალმა სიყვარულის დროსაც უნდა შეინარჩუნოს თავისი პიროვნული თა-

ვისთავადობა, ქალური ღირსებები, სხვანაირად ის, ალბათ ჭეშმარიტად არ ეყვარებათ.

ნ.დ. – საყვარელ ადამიანს აპატიებდით ღალატს, ტყუილს?

ნ.კ. – არა, მე ერთგული ადამიანებიდან ღალატს არა ვარ მიჩვეული. შეიძლება მათ არ უნდათ, რომ გული მატკინონ ... თუ თქვენ სიყვარული გაქვთ მხედველობაში, ჩემამდე ღალატი არასოდეს აღწევს. ყველაზე მეტად იცით რისი მეშინია? სიყვარულის ნიჭი რომ დავკარგო, სიყვარულის მოსვლა რომ აღარ მახარებდეს. აი, ამისი მეშინია!

ნ.დ. – უხერხულ მდგომარეობაში თუ ჩავარდნილხართ ცხოვრებაში?

ნ.კ. – თქვენ კურიოზებზე მეკითხებით, არა? – რა თქმა უნდა, ყოფილა ასეთებიც. მაგალითად, ერთხელ საზღვარგარეთ მოდელიორობაც კი შემომთავაზეს. მოეწონათ ჩემი კოსტუმების ცვლა სცენაზე...

ერთ სასიამოვნო ფაქტსაც გავიხსენებდი... კონცერტის დროს დარბაზიდან მომაწოდეს დაკეცილი ქაღალდი, იგი ჩემდამი მოძღვნილი ლექსი აღმოჩნდა. მე ისე მომეწონა, რომ შემდეგში ეს ლექსი ჩემს საყვარელ სიმღერად იქცა.

„ ფანდურით ხელში სცენაზე
იდექ ქალღმერთის დარადა,
საამო იყავ საცქერლად
და გულის გასხარადა.
გიყურე, მაგრამ მიწიერს
ვერაფერს მიგადარეო,
ვიფიქრე ცა თუ მობეზრდა,
ძირს ჩამოვიდა მთვარეო,
შენი ღიმილით მოხიბლულს
სიმღერა არც კი მესმოდის,
შენი ხნის რომ მქნა ქალაო,
ახლავ სიყვარულს გესროდი.
ვიცი, ორი გყავს ერთგული,
დღისით – მზე,
ღამით – მთვარეო.
მესამედ მე დამიგულვე
შენს ღიმილს ვენაცვალეო!“

ამ ლექსმა კვლავ გამახსენა, რომ ქალი ვიყავი, სიყვარულისათვის დაბადებული. მაშინ, თითქოს მომეხსნა ცხოვრებისგან გაჩენილი ტკივილები და დიდი შვებაც ვიგრძენი. თუმცა გავიდა დრო, ყოველდღიურობამ ეს ტკივილიც და შვებაც თან წაიღო...

მის დიდრონ თვალებს, მომხიბლავ სახეს, სევდის ჩრდილი გადაეფინა, მაგრამ შემდეგ თითქოს სევდა უკუაგდო, თავის მოხდენილი გაქნევით თითქოს უამური სტუმარი დააფრთხო და კვლავ შუქმფინარე თვალები და საოცარი ღიმილიანი სახე დაიბრუნა.

ნინო კრავეიშვილი

ასეთ თვალებსა და სახეს განა სიყვარული ზურგს აქცევს? – გავიფიქრე და ხმამაღლა ვუთხარი.

– ნინო, თქვენ არასოდეს დაკარგავთ სიყვარულის ნიჭს ...

მაყვალა გონაშვილი

ხმები, რომლებიც მოგვნდომებია

„პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“.

აი, წიგნი, ვითარცა თაყვანი უფლისადმი, წიგნი რჩეულთა ხმადქცეული სიტყვების, კვლავ სიტყვად ქცევისა, მწერალი ქალბატონის ნუნუ დალაქიშვილის მიერ დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აკინძული.

დღეს სიბრძნედაკარგულ, ხმაურიან საუკუნეში, როცა ხელში გვემსხვრევა სიტყვები და მავანნი სიტყვას ტყვიად აქცევენ, რაოდენ საჭიროა, წინაპართა თქმულს მივაყურადოთ, მოვუსმინოთ, წავიკითხოთ.

თვალს ვავლებ კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, გიორგი ლეონიძისა და ქართველ კლასიკოსთა მოგონებებს, ინტერვიუებს და ბედნიერი ვარ, რომ მათმა ხმებმა „ოქროს ფონდის“ ბნელი ოთახებიდან კვლავ გზა გაიკვლია ჭეშმარიტი მკითხველის გულამდე.

აფერუმ შენს ღვაწლს, შრომასა და მონდომებას, ჩემო ნუნუ.

ვიცი, სიტყვას რაოდენი ძალა აქვს და ჩემი პატარა წერილი გიორგი ლეონიძის დალოცვით მინდა დავამთავრო:

„დედავ მშობელო, ქართველო ხალხო!... გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალიტო ყმაწვილები, გიცოცხლოს დაკოკრებული, თვალგიშერა, იისთვალება ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები!

გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტკბილქართული „დედა-ენა“.

დაუშრეტელი იყოს შენი გონის მარაგი...

ქართველო ხალხო, სულ ძლიერებდეს ძალა შენი სულისა, შენი შემოქმედებისა, კიდევ დაგეპყროს ახალ-ახალი მწვერვალები, იხარე და იმრავლე ისე, რომ კერაზე ვეღარ ეტეოდე!

ამ ლოცვის აღსრულების ერთ-ერთი სხივი ნუნუ დალაქიშვილის ეს უმშვენიერესი წიგნია.

საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, 2010



როგორ ჩაიწერეს აკაკი წერეთლის ხმა

აკაკი და
ნატალია ბაზილევსკაია-წერეთლისა

აი, რას ვკითხულობთ რადიოჟურნალისტ თინა კოზალაძის წიგნში: „შენს მიწას მიმაბარეო“ (1990 წ., თბ.)

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ძველი ჟურნალ-გაზეთების თვალიერების დროს გაზეთ „თემის “ 1913 წლის 4 მარტის ნომერში წავაწყდი პატარა წერილს სათაურით: „მგოსანი აკაკი წერეთელი გრამოფონის საზოგადოების განყოფილებაში“. წერილს ხელს აწერს ვინმე „დამსწრე“. გაზეთის პირველ გვერდზე კი იოსებ გრიშაშვილს წითელი ფანქრით წაუწერია „აკაკი გრამაფონში“. აი, ეს წერილი:

„ჯერ კიდევ შარშანწინ, „გრამაფონის საზოგადოებას“ სურდა, როგორმე ჩაეწერა აკაკის სიტყვები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო საქმე ვერ მოხერხდა.

წელს, როდესაც ამ თვეში ინგლისიდან განყოფილებას ეწვია საგანგებოდ ტეხნიკოსი ბ. პირსი, მგოსანს მიჰმართეს განყოფილების მოხელემ ბატონმა ივანე ტაბლიაშვილმა თხოვნით, ეთქვა თავისი ლექსები და რამდენიმე სიტყვა გრამაფონში.

ბატონი აკაკი დათანხმდა და ოთხშაბათს 27 თებერვალს მივიდა განყოფილების კანტორაში, სადაც საგანგებოდ მოწყობილ მანქანაში ჩასძახა თავისი სამი ქვემოთ მოყვანილი ლექსი:

1. მომაკვდავის ფიქრები
2. ბავშვებისადმი
3. მგოსანი – ხან უგნური ვარ.

ეს სამი ლექსი დაეტია ფირფიტის ერთ გვერდზე. დაღლილობის გამო იმავე დღეს მგოსანმა ვერ მოახერხა ფირფიტის მეორე გვერდის შესავსებლად სიტყვის წარმოთქმა. ამიტომ, მგოსანი მეორე დღესაც მიიწვიეს კანტორაში. მანქანაში მან ჩასძახა ჯერ თავისი ცნობილი ლექსი „განთიადი“ (მთაწმინდა ჩაფიქრებულა), მერე კი შემდეგი სიტყვები: „გამარჯობათ თქვენ, ახლად მომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო... თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება, მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს. უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა და მშრომელს არ აქვს უფლება თქვას: „უფალი ჩემთანაა, ალილუია“.

აკაკის იუბილე

ამის შემდეგ მგოსანი მიიწვიეს გრამაფონში ჩაწერილი ქართული სიმღერების მოსასმენად. პოეტმა მოისმინა „ფერად შინდი“, „შვიდკაცა“, „ხასანბეგურა“, „სუფრული“, „ხელხვავი“, „კახური მრავალჟამიერი“ და სხვ.

აკაკის იუბილე. ქუთაისი 1908 წელი, 14 დეკემბერი

რეფერატი ილიაზე „ილიათობაზე" 1957 წელს

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად – მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი;
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე, გვძრახონ, – ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ილია ჭავჭავაძე

მოგონება პირველი – დიახ ილია, მახსოვს... მეზობელი ვიყავი ილიასი. დაახლოებით 10 წლის ვიქნებოდი, როცა ბავშვებთან ერთად წყალზე დავდიოდით ზევითა უბანში. ერთხელ მახსოვს ჩვენთან მოვიდა.... ჩვენც ყველანი ზეზე წამოვხტით.... გვითხრა – შვილებო, ნუ გეშინიათ, მოდით წყალი ბავშვებისა არისო!

მოვიდოდა მოურავი გაგვყრიდა იქიდან. ჩვენ მაინც მივდიოდით და მწვანე ბალახზე ვგორაობდით.

ილია მოურავს უჯავრდებოდა, რა გინდა მაგ ბავშვებისაგან, იგორაონო. მართალია თავადი იყო, მაგრამ კეთილი და თბილი კაცი იყო ილია.... მუდამ კეთილად მომაგონდება, ჩემს ბავშვობასთან ერთად!

„ილიაობა" ჩვენ დროს არ იყო, კარგია, ახლა დაიწყეს ამ დღესასწაულის აღნიშვნა იმიტომ, რომ ეს კაცი მოიგონონ.

ილია უბრალო ხალხის მოყვარე კაცი იყო და ხალხსაც უყვარდა ის, თავის სიცოცხლეშიც ბევრი მისდევ-მოსდევდა, ჭკუას ეკითხებოდა, კარგი ადამიანი ყველას უყვარს! .....

ყვარელი წინათ ძალიან ჩავარდნილი ადგილი იყო. 16 წლის ძლივს ვიქნებოდი, ილიამ რომ ეს დიდი ქვები მოიტანა

ილია ამბობდა, ყვარელი არ უნდა მივატოვოთო, უნდა ვუპატრონოთ ყველამო. ხალხიც მოდიოდა და მიდიოდა, აქ არა დგებოდა. ერთი კაცი იყო კირა ჭავჭავაძე. აი, იქ, ქვემოთ რომ სახლია, იქა ცხოვრობდა. თავისი კამეჩები გაყიდა და მერე ცოტ-ცოტა ფული გამოართვა, მამაჩემმაც, როგორც მახსოვს, 50 თუმანი მისცა და ეს დიდი დამბა მაშინდელი გაკეთებულია სოფლის თავში.

მე კიდევ დედა მომიკვდა და მამაჩემი აქ აღარ დადგა, სხვაგან გადავედით საცხოვრებლად.

მოგონება მეორე – მაგონდება 7-8 წლისა ვიქნებოდი, როცა პირველად ილია ჭავჭავაძე ვნახე. ზუსტად ისეთი იყო, როგორც სურათებშია. საშუალო ტანის კაცი იყო, ჭაღარა-თმიანი, სიმპათიური.

უბრალო ხალხთან ყოველთვის კარგ განწყობილებაში იყო. სოფელში „ოჯახის შვილებს", რომ ეძახდნენ იმათთან ხშირად ჰქონდა ურთიერთობა.

ჩამოდიოდა მოურავთან. აქა ჰყავდა მოურავი თავისი ოჯახით, იმათთან მოდიოდა ხოლმე. თუ ვინმეს რამე საქმე ჰქონდა ან საჩივარი, ანდა სათხოვარი, იმასთან მიდიოდა. ისიც დაუზარებლად პასუხობდა, ხშირად დადებითად გადაუწყვეტდა ხოლმე ჩახლართულ საქმეს.

ილიას დროს ყვარელი იყო ძალიან ჩამორჩენილი, თავისი ვიწრო ქუჩებით, ფიცრული სახლები იშვიათი იყო. უმრავლესად, ასეთი წნულები

ილიაობა

ოლღა გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძე

იყო ჩალით გადახურული, ძალიან იშვიათად რომ ქვითკირის სახლი ჰქონოდა ვინმეს.

წინათ გლეხი ფულს უფრო უფრთხილდებოდა, ბევრი ცხვარი, ბევრი ღორი და ბევრი ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ სახლი არ ჰქონდა, სახლშიც დიდი არაფერი ებადა, ფულს ძალიან მომჭირნედ ხარჯავდა.

დედაჩემი ილიას ცოლს კარგად იცნობდა – ოლღას. იმას ემსახურებოდა, როცა აქ იყვნენ, პურს უცხობდა, შემოდგომაზე თათარას უდუღებდა. ისეთ საუკეთესო ჩურჩხელებს უკეთებდა, უიშვიათესსა. ჰოდა, „კნეინა“ ხან ახალ კაბას უყიდდა, ხანაც პურის საცხობ ძვირფას წინსაფარს აჩუქებდა.

იშვიათი სიკეთის ქალი იყო ოლღა. სახელს კი არ ეძახდნენ წინათ – „კნეინას“ეძახდნენ, ილიას კიდევ „კნიაზსა“, მაშინ არ იყო, ახლა არის დეიდა და მამიდათი მიმართვა.

კვირაობით გლეხები რომ მოიცლიდნენ, მართავდნენ დღეობებს, სალამურსა და დოლ-გარმონზე, დაირაზე უკრავდნენ, იმათ მოსმენას არაფერი სჯობდა. ვისაც წვეტიანი ქალამნები ჰქონდა კოხტად დაუვლიდა საცეკვაოდა;

შეგეხარბებოდა ისეთი ლხინი იმართებოდა. ილიაც სხვა თავადებთან ერთად უყურებდა ამ სანახაობას. სპეციალურად ჩამოდიოდა ლხინისა და ჭიდაობის სანახავად ყვარელში.

ჩვენთვის ილიას ჩამოსვლა ყველაზე დიდი სიხარული იყო.

ილიას სახლ-მუზეუმის თანამშრომლის მოგონება – ცნობილია, რომ ილიას, სოფელზე ნაკლებად არც თბილისი ჰყვარებია.... ილია ადიდებდა თბილისის გმირულ წარსულს და მომავალზეც ზრუნავდა.....ილიას ახლახან გამოქვეყნებული უცნობი სტატიებიდან ვიგებთ, თუ როგორ აშუქებდა ის თბილისის მშენებლობის საკითხებს.

ილია მოითხოვდა თბილისის მშენებლობის პერსპექტიული გეგმის შედგენას. „ჩვენი აზრი და ფიქრი, იქით უნდა მივმართოთ, რომ თბილისი მომავალში კარგ საცხოვრებელ ქალაქად ვაქციოთ. ამისათვის ქალაქის გამგეობა უნდა ეცადოს, რომ მტკვრის სანაპიროები დასახლებას გადაარჩინოს. იქ, სადაც ამის გაკეთება შეიძლება, გააუქმოს ძველი სასაფლაოები; ქალაქი გარეთ გაიტანოს, გააფართოოს ბოტანიკური ბაღი. ესეც ძლიერ კარგი სასეირნო ადგილი იქნება. თუ სოლოლაკის კლდე გათხარეს და გვირაბით გზა გაიყვანეს“ – ამბობდა ილია.

„თბილისი ჩვენი მშობლიური ქალაქია. ვინც აქ ვშობილვართ და ვინც აქ ვტრიალებთ, რა მილეთის გინდა იყოს კაცი, ყველას ეხება მასზე ზრუნვა და მოვლა-პატრონობა. ამ ახალი მშენებლობების გამო დაიხშო ჰაერი, ადამიანი სულს ვეღარ იტრიალებს ზამთარ-ზაფხულ...

ეს ამბავი მდიდრისთვის ისე შემაწუხებელი არ არის, როგორც ღარიბისთვის! მდიდარი სუსხიან ზამთარშიც თბილ ადგილს იპოვნის და პაპანაქებაშიც გრილ ადგილს მოძებნის, მაგრამ რა ქნას მუშა ხალხმა, რა ქნან ამდენმა მშრომელმა ადამიანებმა?“

ილია მოითხოვდა ქალაქის ხელმძღვანელობისგან, რომ მშრომელი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინათ. გაეშენებინა ბაღები და პარკები და თბილისი ზამთარ-ზაფხულ გაეხადათ სასიამოვნო საცხოვრებლად!

ილიას სახლი საგურამოში



შალვა დადიანი

სიკვდილო, ნუ მეხვეწებიი...

ახალგაზრდა ჟურნალისტი **გურამ მღებრიშვილი**, „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციის დავალებით, შინ ეახლა ჩვენს სასიძადულო მწერალს შალვა დადიანს და საახალწლო მილოცვის ჩაწერა სთხოვა. მან ბოდიში მოუხადა, რომ თხოვნას ვერ შეუსრულებდა, სამაგიეროდ „გააბაასება სიკვდილთან“ ჩაწერა შესთავაზა. ეს შეხვედრა მწერლისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

(1958 წელი 20 დეკემბერი) ასე იტყვიან ჩვენში, კარგა მოწეულიაო. მეც ეგრე მოწეული ვარ, 84 წლის. შენ კი, სიკვდილო, არავითარი მკაცრი ზომები არ მიგიღია. სრულიად არ მესმის ჩემს ახლოს შენი ჩონჩხის ძვლების ჩხრიალი. პირიქით, მეტად ჯენტლმენურად მაგრძნობინებ დაუძლურებას, გულისცემის ზოგჯერ აჩქარებულ ძგერას და მოკლე ხნით თითქმის სულ შეკუმშვას. ხმა მშვიდი, ოდნავ ნელი, ოდნავ დაბალი, ჩემდამი რატომღაც მეტად ზრდილობიანი ხარ. არ გინდა დამაშინო, თუმცა, აგერ ერთი ხანია გავიძახი, სიკვდილის არ მეშინია-მეთქი და ეს მართლაც ასე მგონია. მოვიდეს თუნდა, აი ახლა, როდესაც ამ სიტყვებს მე თქვენ გეუბნებით. მართლაც, რა კარგი იქნებოდა, ეფექტური – მე ხომ თეატრის კაციცა ვარ, მიყვარს ეფექტები. მოვიდეს თუნდაც, რას დამაკლებს. დღეებს წამართმევს სასიცოცხლოს? ოჰ, დიდი ამბავი, განა არ ვიცი, რომ მე უკვე ჩემი კალო გავლეწე, მწერლობაშიც, საზოგადოებრივ მუშაობაშიც. მართალია, გასაკეთებელი კიდევ ბევრია ჩემს ქვეყანაში ჩემისთანა პიროვნებისთვისაც, მაგრამ ასე რომ გავყვეთ, აკაკის არ იყოს „რა მოჰკლავს მამულიშვილის სურვილსა“, დე, იყოს ესრეთ, სანამ ჩემი სხეულის კომპლექსს კიდევ შეუძლიან აიტანოს ცხოვრების ტარო-სი, მისი ავი, თუ კარგი დრო, შენ ნუ მეფერები სიკვდილო, ნუ მეხაფაციცები.

მიმართვა ახალგაზრდობისადმი – გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძე

მამული გულით გიხმობთ შორეთიდან ახალგაზრდებო! თუ ჩემი მწერლური ნათქმი უცნობია თქვენთვის, სახელი მაინც გაგეგონებათ ჩემი. შემეკითხებით: რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგითხრობთ. ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატიას“ ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს: „დემო“ ნიშნავს ბერძნულად ხალხს; მაშასადამე, „ხალხური დემოკრატია“ ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური, ხალხო-კრატია“. ვამყარებთ დემოკრატიასო, უფრო მართალი ვიქნებით ვთქვათ: „ვამყარებთ დემონოკრატიასო“. ეს არაა ხუმრობა. ადამიანისთვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესი – ღმერთია. საბჭოეთში ყოველი რწმენა ზებუნებრივისა დადაგულია ლენინის სიტყვებით: „ტრუპოლოჟესტვა“. ყურები გვაქვს გამოჭედილი, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძვითო, ამავე დროს, ხალხს როგორც ცოცხალ კრებულს ბასრი დანით სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაგას მასაა გამეფებული, რომელშიც პიროვნება, ეს უხვთიერესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არავითარი სახე აქ არაა და მაშასადამე, არავითარი სახიერი. დილითგან შუაღამემდე გაისმის: „დავეწიოთ, გავუსწროთ!“ ხალხი წელზე ფეხს იდგამს და ჭაპან-წყვეტაშია.

გულწრფელ იღეთ ყურად სიტყვა ესე, სიტყვა, რომელიც წრფელი გულიდგანაა წარმოშობილი და მამური გრძნობებით თქვენკენ მოშვებული. დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდგან; იქაა გულის ძგერა და მაჯისცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვრით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი – ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა. მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი – წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვრისათვის, იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წამოიჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართულთ თქვენ ვერა გძლევთ რა, იყვეს იგი თუგინდ დემონური ძალა ბოლშევიზმისა. დაიმყენით სიტყვა ესე თქვენ ყმაწვილნო გულებში, ახალგაზრდებო! ხალასო ნერგებო, საქართველოს მომავლისა! გესმით? გიხმობ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდათ აქვს ამართული მარჯვენათი მზიურ მეწამული ალამი საქართველოსი; ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელი იყავ საქართველო!

რევაზ ჯაფარიძე

მან ცოცხალივით იმიგრანტის პატეტორი ჭკონდა, ანუ რა ეფირებდა გრიგოლ რობაქიძეს

ნაწყვეტი მწერალ რევაზ ჯაფარიძის სიტყვიდან, რომელიც მან 1966 წლის 25 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის VI ყრილობაზე წარმოთქვა

რევაზ ჯაფარიძე – პატივცემულო ამხანაგებო! აქ უკვე ითქვა, რომ ქართველ მწერალთა ეს ყრილობა, ეროვნული კულტურისათვის ფრიად მნიშვნელოვან დროს შეიკრიბა. იგი თითქმის უშუალოდ უძღვება წინ დიდი რუსთაველის საიუბილეო დღეებს. ეს კი, ქართული ლიტერატურის, ქართული სიტყვის, უძველესი და უმშვენიერესი ქართული ენის მსოფლიო აღიარება გახლავთ.

მე მინდა ყრილობის წინაშე წარვსდგე ერთობ კონკრეტული წინადადებით.

ეს წინადადება, თუ არ ვცდები, ყოველი პატიოსანი ქართველისათვის თანაბრად საინტერესოა, ვინაიდან, იგი მშობლიურია და საერთაშორისო პრესტიჟსა და ქართველი კაცის ეროვნულ თავმოყვარეობას შეეხება.

ბევრ თქვენგანს, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ ამ ორი წლის წინათ, „ლიტერატურნაია გაზეტამ“ მეოთხე გვერზე გამოაქვეყნა ქართველი პუბლიცისტის მოზრდილი სტატია „ისევ წუმპეში“. მერე იგივე სტატია ჩვენშიც გადმოიბეჭდა, ყველამ წაიკითხა და ახლა დაწვრილებით აღარ მოგიყვებით მის შინაარსს.

ცნობილი სტატია შეეხებოდა ძველი ქართველი მწერლების– გრიგოლ რობაქიძისა და ალექსანდრე ჭეიშვილის ცხოვრებას და მათი შემოქმედების უკანასკნელ დღეებს უცხოეთში.

ალ. ჭეიშვილი ბევრი აქ მყოფის მეგობარი და ამხანაგი იყო. თუმცა, ასაკით უმცროსი გახლდათ. პირადად მე, ჭეიშვილს კარგად ვიცნობდი, და ასე განსაჯეთ, პატივსაც ვცემდი, როგორც განათლებულსა და სინდისიერ ადამიანს.

პირად ურთიერთობაში და გამოსვლებში, ალ. ჭეიშვილი ჩემზე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოღალატეობისა, საქართველოს და

სხედან: მიხეილ ჯავახიშვილი, არისტო ჭუმბაძე, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, ვანო წულუკიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, დგანან: ბესარიონ ჟღენტი, იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, 2 უცნობი. ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი, ბაქო, 1928 წ.

განსაკუთრებით ქართველი ხალხის სიძულვილისა, როგორც ლაპარაკობს ავტორი თავის სტატიაში, მას არაფერი ემჩნეოდა.

ამ მხრივ, მე თითქმის ვერაფერს დავამატებ იმ ტაქტიკითა და გულისტკივილით დაწერილ სტატიას, რომელიც ალ. ჭეიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა.

მე სრულებით ვერაფერს ვიტყვი, ალ. ჭეიშვილის იმ პოლიტიკურ შეხედულებებზე, რომელსაც ის სიცოცხლის ბოლო წლებში დაადგა. ამ უკანასკნელთა გარშემო, არც მე, და წარმოიდგინეთ, არც თვით სტატიის ავტორს ხელჩასაჭიდი საბუთი არ მოგვეპოვება. მაშასადამე, რადგანაც, ალ. ჭეიშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს არ ვიცნობ, დიდი სურვილიც რომ გამაჩნდეს, არც დაცვა არ შემიძლია მათი, და არც ძაგება.

მაშ, რაღა დარჩა სადაო რუსეთის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორთან?

დავიწყებ ყველაზე მთავარით, და ჩემის აზრით, ყველაზე ელემენტარული სტატიის წაკითხვის შემდეგ, შეუძლებელია კაცმა რაიმე სერიოზული აზრი გამოიტანო. ავტორი უგემური იუმორით შეზავებულ სალაფავს გვთავაზობს, მოგწონთ, თუ არ მოგწონთ, შესვით, და შეჭამეთო!

მადლობა ღმერთს, რომ ამნაირი განუსჯელი სვლების დრო კარგა ხანია წავიდა. დარწმუნების ძველებური მეთოდებით ფონს გასვლა არც თუ ისე ადვილია. აქ, ამხანაგებო, საკითხს მეორე მხრიდანაც უნდა შევხედოთ. დღეს, ჩვენს პატივცემულ პუბლიცისტს უჭირს „დიდმნიშვნელოვან“ საკითხზე დიდმნიშვნელოვნად წერა.

კაცს, როგორი უარყოფითი შეხედულებაც უნდა ჰქონდეს ზოგიერთი ნაწარმოების მიზანსწრაფვაზე, ერთი რამ მაინც უეჭველია, გრ. რობაქიძე, მწერლის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ლიტერატორი, უაღრესად განათლებული და მშობელი ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავი მოღვაწე იყო, ხოლო თუ გრ. რობაქიძის ნიჭის ნაყოფი, მისი ზოგიერთი ნაწარმოები, დღეს არ მოგვწონს იმის გამო, რომ ავტორის მსოფლმხედველობამ და ფორმალისტურმა გადახრებმა, ენისა და ნაწარმოების აგების სფეროში იგი სხვა მიმართულებით წაიყვანა და შემოქმედებასაც სხვა სახე მისცა, მსგავსად დიდი რუსი მწერლის ივანე ბუნინისა, რომელმაც რევოლუციურ რუსეთს გაჩენის პირველივე დღეს ზურგი შეაქცია და მთელი შეგნებული სიცოცხლე სოციალისტური სისტემის (და არა რუსეთის) მტრების ბანაკში გაატარა, ეს სხვა საქმეა.

გრ. რობაქიძე, ისევე როგორც მაშინდელი რუსეთის ძველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ბუნებრივია, ძალზე დრამატულად განიცდიდა თავისი სამშობლოს, საქართველოს აწმყოსა და ხვალინდელ ბედ-იღბალს. ბოლოს და ბოლოს, საყოველთაოდ ცნობილია, რობაქიძემ გადაწყვიტა, რომ ვისაც საქართველოს კეთილდღეობა სწადდა, მას ბოლშევიკების წინააღმდეგ ხმალი უნდა ეშიშვლებინა. მაგრამ ქვეყნის შიგნით, ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. საჭირო იყო მძლავრი გარეშე ძალა, გრ. რობაქიძე ასე ფიქრობდა და, მეც წუთით, ამხანაგებო, მის პოზიციაზე ვდგები, რათა საკითხის გამოსარკვევად, მწერლის აზრთა მსვლელობა, პოლიტიკურ დანაშაულებამდე მისვლა, თქვენს თვალწინ ნათლად აღვადგინო!

რაინდულმა სიამაყემ რობაქიძეს ნება არ მისცა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ფარული ბრძოლა გაემართა. მან სამშობლო დატოვა და პოლიტიკური თავშესაფარი ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე ბანაკში ჰპოვა. სულხან-საბა ორბელიანივით სამშობლოს ბედ-იღბლის მაძიებელს, გერმანიის იმედი ჰქონდა, ეს ამბავი 1931 წელს მოხდა. ამ დროს, ფაშიზმი ჯერ კიდევ არ იყო გამარჯვებული.

გერმანიაში მყოფი რობაქიძე პოლიტიკურ მოღვაწედ არ ქცეულა. ის თავისუფალი პრესის მოქალაქედ დაიბადა. რაიმე პოლიტიკურ და სახელმწიფო სამსახურში არც მაშინ, და არც მერე, არ შესულა. ქვეშევრდომობაც კი, რომელიმე უცხო სახელმწიფოსი და, მათ შორის გერმანიისა, არ მიუღია.

მას სიკვდილამდე ემიგრანტის პასპორტი ჰქონდა!

ამაოდ ცდილობს სტატიის ავტორი, გულუბრყვილო მკითხველის მიმხრობას. გრ. რობაქიძის ლიტერატურული კარიერა დასავლეთ ევროპაში და თვით გერმანიაში, სრულიად არ არის რაიმეთი დაკავშირებული ფაშისტურ პარტიასთან და ფაშისტების დიქტატურასთან.

მისი პირველი წიგნი გერმანულ ენაზე შტეფან ცვაიგის რედაქციითა და წინასიტყვაობით 1928 წელს გამოქვეყნდა ქალაქ იენაში. ფაშისტების პირველი მოსვლა ხელისუფლების სათავეში 1932 წლით აღნიშნა. ამ წელს დაეცა ვაიმარის რესპუბლიკა და დიდი გოეთეს ვაიმარი ფაშისტური მთავრობის რეზიდენციად გამოცხადდა.

გრიგოლ რობაქიძე (მარჯვნივ) და შტეფან ცვაიგი (ცენტრში) ლევ ტოლსტოის 100 წლისთავზე, მოსკოვი, 1928

ამ დროს რობაქიძე უკვე ცნობილი მწერალი იყო საბჭოთა კავშირშიც და დასავლეთ ევროპაშიც. მას იცნობდნენ და უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ მეოცე საუკუნის დიდი ჰუმანისტები – რომენ როლანი, შტეფან ცვაიგი; დიდი ნიჭითა და ტიტანური შრომისმოყვარეობით, ადამიანური მომხიბვლელობით აღჭურვილ მწერალს ფაშისტების დახმარება არაფერში ეჭირვებოდა.

პირიქით, გერმანელებს მისი სახელი პირზე მაშინ ეკერათ, როცა ჰიტლერისა და როზენბერგის გვარიც კი არავის გაეგონა. გერმანელმა ფაშისტებმა საკვირველი დანაშაულებანი კაცობრიობისა და საღი აზრის წინააღმდეგ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ჩაიდინეს და არა მანამდე.

ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ფაშისტები ფრიად ჰუმანური პროგრამით გამოდიოდნენ: გერმანელ მუშათა კლასს სამუშაოს და მსოფლიოს დამონებულ ხალხებს – ტირანიის ბრჭყალებისაგან გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. გრიგოლ რობაქიძეს თავისი მშრომელი ხალხი დამონებულ ხალხად მიაჩნდა. თავისი ფარული იმედი გერმანელი ნაციონალისტ-სოციალისტები იყვნენ, რომელთა შემწეობითაც, თუკი ისინი თავიანთ საზეიმო დეკლარაციას არ უღალატებდნენ, მოსახერხებელი იქნებოდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაც.

რობაქიძე დარწმუნდა, ალბათ, რომ ფაშისტებმა ხალხი მოატყუეს, რომ ჰიტლერის სახით კაცობრიობას ადამიანის სისხლისმსმელი ნადირი შემოესია, მაგრამ მისი აზრით, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული სატრფოს დახსნის იმედს, მწერალი მაინც არ კარგავდა და იმ ქვეყანაში ცხოვრობდა, სადაც ბოლშევიკების მტრების სამხედრო ბანაკი იყო გამართული.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, თქმა არ უნდა, უმძიმესი პოლიტიკური დანაშაულია. უმძიმესი პოლიტიკური დანაშაულია ისე, როგორც ივანე ბუნინის, თევდორე შალიაპინის, სერგეი რახმანინოვის და სხვათა განდგომა და თავის ამოყოფა კონტრრევოლუციის რიგებში, მაგრამ მსგავსად გრიგოლ რობაქიძისა, ბუნინსა და სხვებს თავიანთი აზრი ჰქონდათ თავიანთ სამშობლოს დღევანდელ დღეზე.

მათ მთელი არსებით სძულდათ ბოლშევიზმი, ებრძოდნენ მას, ყოველ მომენტში და ყოველი საშუალებით.

როდესაც იდეურ მოწინააღმდეგეზე ლაპარაკობ, კაცს დიდი სიფრთხილე გმართებს. პარტიულობის პრინციპის წინდაუხედავმა გამოყენებამ ხალხსა და ქვეყანას სარგებლობის მაგიერ ვაითუ ზიანი მიაყენოს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ამის მაგალითი ცოტა როდი მოგვეპოვება.

კაცი მარტო იმის გამო, რომ ის ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეა, სამშობლოსა და ხალხის მოღალატედ გამოვაცხადოთ.

ნურავის ჰგონია, თითქოს სამშობლოს მოღალატეობა, ისიც საქართველოში, ეგრე ადვილად ხელწამოსაკრავი სიტყვა იყოს. თუ სტატიას მივენდობით და მისი მიხედვით ვიმსჯელებთ, ვერც სტრიქონებში და ვერც სტრიქონებს შუა ვერაფერს ვიპოვით ისეთს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ რობაქიძე მართლა სამშობლოს მოღალატე იყო, რომ მან მართლა გაყიდა სამშობლოს ინტერესები და მშრომელ ხალხს მტრად გადაეკიდა.

ცნობილია, რომ რობაქიძე სიკვდილამდე თავისი ქვეყნის ერთგული გახლდათ. პუბლიცისტი უნებლიედ მოგვითხრობს რომ რობაქიძე კუბოს ფიცრამდე საქართველოზე ფიქრით ცოცხლობდა, რომ მხოლოდ საქართველოზე ოცნება ასულდგმულებდა, თავის შრომებში მას გაჰყავდა თურმე პარალელი გერმანელი და ქართველი ერების ისტორიის, მათი ცხოვრების წესის, ხელოვნების, რელიგიასა და საერთოდ კულტურებს შორის. ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურა სინთეზია აღმოსავლური და დასავლური კულტურებისა, რომ ამ სპეციფიკურობის თავისებურების მიუხედავად, ის მაინც ევროპული კულტურებისაკენ იხრება და ევროპულ კულტურათა პლანში უნდა იყოს განხილული.

გრიგოლ რობაქიძე ამუშავებდა თურმე ძველ ქართულ თქმულებებს, თვითონაც თხზავდა. ამგვარად, მისი გული და გონება მთლიანად საქართველოზე ფიქრით და ზრუნვით იყო სავსე.

ნუთუ ამას ეძახის (სტატიის ავტორი) სამშობლოს ღალატს?! ქვემოთ ავტორი ფერებს ამუქებს და წერს: „ნაცისტების ბანაკში მწიფდებოდა იდეა, ფაშისტების გამარჯვების შემდეგ ქართველების გადასახლებისა შორს, ჩრდილოეთში“. თუ ავტორს თვალებდახუჭული ვერწმუნებით გრიგოლ რობაქიძემ კარგად იცოდა ჰიტლერული სამხდრო მანქანის ყველა შავ-ბნელი ზრახვა, საქმით თანაუგრძნობდა მას. მაგრამ აქვე ისმება კითხვა, შეიძლებოდა თუ არა უპარტიო უცხოელს, ემიგრანტს საბჭოთა საქართველოდან, ვინ იცის რა მიზნით მოსულს, სცოდნოდა გერმანიის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის საიდუმლოება?

ჩვენს პუბლიცისტს დაავიწყდა თავისი მთავარი დებულებაც. აი, რას წერს ის რობაქიძის უკანასკნელ წლებზე: „რამდენიმე წლის წინათ იგი ყოველდღე იჯდა ხოლმე შვეიცარიაში საგასტროლოდ მყოფი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებზე და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე“. ავტორი ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ფაქტს: – „ასე დაემართება ყველას, ვინც სამშობლოს უღალატებსო!“. როგორ შეიძლება, ამხანაგებო, ასე წერა? განა შეიძლება წიგნიერი კაცი იცინოდე მაშინ, როცა ხედავ, რომ მოხუცებული კაცი, შენი თვისტომი, რომელსაც დრომ, ადამიანთა გაუტანლობამ და დიდმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა გზა-კვალი აუბნია. სამშობლოს მოაცილა და სადღაც შორს გადაჰკარგა...

მამაჩემმა ბევრი ეროვნული ენა იცოდა

გადაცემის ავტორი
ლამარა კიკილაშვილი

მინდა შემოგთავაზოთ ნაწყვეტი წიგნიდან „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური რადიოჩანაწერია ოქროს ფონდისა და კიდევ ერთხელ სანიმუშოდ და სამაგალითოდ გავიხსენოთ, გენიალური პოეტის, ვაჟა-ფშაველასა და მისი ვაჟიშვილის, ვახტანგის მამაშვილური დამოკიდებულების ის სიფაქიზე, რაც მათ შორის არსებობდა. მოგონება ჩაწერილია 1961 წელს.

ვაჟა-ფშაველა

პირველი ანბანი – ჩარგლის სკოლა

ვახტანგ რაზიკაშვილი – მამაჩემი 5-6 წლიდან მახსოვს, ძუძუსა ვწოვდი ისევ და მიშლიდა. დედაჩემს ეუბნებოდა: ნუღარ აჭმევ ძუძუს მაგ ბავშვსაო.

ანბანი შინ მასწავლეს, სკოლა იქვე ახლოსა მქონდა, სასწავლებელში პირველად ჩემმა ბიძამ – ბაჩანამ წამიყვანა. 6 წლისა რომ ვიყავი, დედაჩემსა სთხოვა – რძალო, ეს ბავშვი გამოუშვი სკოლაში ასოების წერას შეეჩვიოს, კითხვასაც ისწავლისო.

მამა ხანდახან რვეულს გამისინჯავდა და დაწერილს შემისწორებდა. სისტემატურად არ მასწავლიდა. მოუთმენელი კაცი იყო, თუ სწრაფად ვერ გავიგებდი, გამიჯავრდებოდა. არ მახსოვს რომელი წელი იყო, მამამ გადამიშალა ლექსების წიგნი, გაჩერდა იმ ადგილას, სადაც მისი ლექსი „კლდე და მდინარე“ იყო დაბეჭდილი. ეს ლექსი თვითონ მამაჩემმა მასწავლა და როგორ უნდა წარმომეთქვა, ამასაც აქცევდა ყურადღებას.

– დუნედ ნუ ამბობ, ხმამაღლა ცოცხლად წარმოსთქვი სიტყვებიო: „ხალხსა ასპიტსა დიდრონსა“. „დიდრონის“ გამოთქმა მიჭირდა „დიდლონს“ ვამბობდი.

ვაჟა-ფშაველას ოჯახი

– გაიტეხე ენა და მკვეთრად გამოთქვიო – მეუბნებოდა.

სკოლაში მასწავლებლად ბიძაჩემი ბაჩანა გვყავდა, იმისი ლექსიც ვისწავლე:

„მუხავ, მიყვარხარ ტიალო,
განმარტოებით მდგომარევ,
ერთი შენ გპოვე გულისა
ქვეყანა შემოვიარე“.

ეს ლექსი „მუხა“ მამაჩემს ძალიან უყვარდა და ხშირად წარმოსთქვამდა მას. თავისი ლექსებიდან მამამ მასწავლა „არწივი“ და „ქორმა წიწილა წაიღო“.

სათამაშოებიდან მამამ პირველად შვილდ-ისარი გამიკეთა, მერე დანა და მომცრო ხანჯალი, პატარა ცულიც მომიტანა ქალაქიდან. ხანჯალს უბრალო რკინის რბილი პირი ჰქონდა. იმითი ვერაფერს ვერა ვთლიდი, მარტო შნოსთვის ვირტყამდი წელზე. დანა კი ფოლადისა იყო და მშვილდ-ისრებს, წნელებს ვთლიდი ლასტებისთვის.

„მამაილა“

ბავშვობაში ძალიან თამამი ვიყავი, მოძრავი და გაბედული. ამის გამო მეზობლები „მამუას“, ზოგი კი „მამაილას“ მეძახდა.

უფრო კაცები მეტყოდნენ – როგორ ხარ „მამაილაო“!

პატარაობასაც ძალიან მიყვარდა ჩექმები და დანა, როცა მამა ქალაქში მიდიოდა, სულ ერთთავად ამას ვაბარებდი: – შენი ჭირიმე, მამა ჩექმები და „ზავიალოვის“ დანა მიყიდე მეთქი.

„ზავიალოვის“ დანას მაშინ ფოლადის შავტარიან დანას ეძახდნენ. ის კვესადაც გამოდგებოდა, ტალკზე აბედს უკიდებდა, საქონლის მწყემსობის დროს, როცა გინდოდა ცეცხლს მაშინ გააჩენდი, ჭრაც კარგი ჰქონდა.

ჩექმას ჩემთვის ყოველთვის ვერ შოულობდა. დანები კი მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ დანებს მე

ვაჟა-ფშაველა მეუღლე – თამართან ერთად

მალ-მალე ვკარგავდი, სულ ერთავად ჩხირებს ვთლიდი. ტყეში მეკარგებოდა და დღენიადაგ მე და დედაჩემი მისი ძებნით ვიყავით გართული.

სოფელში გამოერეოდნენ ისეთებიც, ვისთვისაც მიუწვდომელი რჩებოდა ვაჟას დიდი ნიჭი და მაღალი გონება. სამაგიეროდ, ბევრი იყო მოხიბლული მისი ვაჟკაცობითა და გამბედაობით. ამბობდნენ ხოლმე:

– ჩვენმა ვაჟმა ბოქაულს ერთი მაგრად დასთხლიშაო, ჩვენს ვაჟას „პასრედნიკისთვის“ გაურტყამსო. – ა, ბეჩავ, ეგეთი უნდა იყოს ვაჟიაო, – ვაჟა რომ არ გვყავდეს რა გვეშველებოდაო. – იტყოდნენ ხოლმე ფშავლები.

– შენ კი ვერ იქნები, ბალღო, ეგეთიო! – სიცილით მეტყოდნენ.

– მეც დავთხლიშავ ბოქაულსა-მეთქი, – ვუპასუხებდი ყველას და იმათაც უხაროდათ ჩემი ასეთი პასუხი.

ერთხელ დედის ძმებში წავედით მე, დედაჩემი და მამაჩემი. ჩემს პაპას, დედაჩემის მამას – გიორგი დიდებაშვილს ბევრი ფუტკარი ჰყავდა. სახლის წინ ვთამაშობდი ბავშვებთან ერთად. გიორგის სტუმრები ჰყავდა თბილისიდან, მათ შორის იყო ცნობილი მეცნიერი აკაკი შანიძე.

თამაშობის დროს თავზე ფუტკარმა მიკბინა. მოვრთე ტირილი და მოვკურცხლე მშობლებთან შინისაკენ.

– რა მოგივიდაო? – მკითხეს სტუმრებმა და მამაჩემიც შეწუხდა.

– ფუტკარმა მიკბინა და „ძოლი“ გამიტეხა მეთქი, – ვუპასუხე.

ბევრი იცინეს მამაჩემმაც და დამსწრეებმაც. – ფუტკარს ძვალი გაუტეხიაო, – იმეორებდნენ სიცილით ჩემს ნათქვამს.

ერთხელ, მახსოვს პატარა მხრის გუთანი გავაკეთე. მივედი და მამაჩემს ვაჩვენე. მამაჩემი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და ფანჯარა ღია ჰქონდა. ზაფხული იყო, ცხელოდა. მივედი ახლოს და შევძახე.

– აი, მამი, როგორი გუთანი გავაკეთე-მეთქი.

ჩემს დაძახებაზე მამამ სათვალის ზემოდან გადმომხედა. ჩემი ნაოსტატარი გუთანი გამომართვა და გულმოდგინედ სინჯვა დაუწყო.

– კარგი ნახელავიაო, მითხრა. – დაიდო მაგიდაზე გვერდით და უკან აღარ დამიბრუნა. არ ვიცი რისთვის, ხშირად დაჰყურებდა ხოლმე.

მამის საქმიანობა ოჯახში

რაც მამა მახსოვს, არც უმასწავლებლია და არც რაიმე სამსახურში ყოფილა. ფშაველი გლეხი, მიწის შვილი იყო, მხვნელ-მთესველი და მთიბავ-მომკელი. როგორც ახლა ვაკვირდები მამაჩემი მაინცა და მაინც კარგი მეურნე არ გახლდათ. თუმცა ყველაფერი ემარჯვებოდა. იმისი ხელით გაუკეთებელი აღარაფერი რჩებოდა. თვითონ აკეთებდა უღლებს, ტაბიკებს, ცულის ტარებს, წნავდა და ლასტებს მართავდა საბძელში. აწყობდა ლატანს, სთლიდა საბძლის კარებსა და მარხილებს...

ყველაფერს თავისებურად აკეთებდა. სხვების ნახელავს არა ბაძავდა, რაღაც ახალს შექმნიდა. დღესაც არის დარჩენილი ვაჟას ხელით აგებული ქვის ყორე.

უსაქმოდ არასოდეს არ იყო. სულ საქმეში იყო გართული. ჩვენც ხშირად გვასაქმებდა.

შემოდგომა იყო, ზამთრის პირი. მახსოვს მე და ჩემი დები, გულქანი და მარიამი ჩვენი სახლის წინ ვთამაშობდით. მამამ საჩეხიდან დამიძახა. ჩვენ ყურები ვცქვიტეთ.

– რაა, მამავ, არა გაქვთ საქმეო? – არა-მეთქი, – ვუპასუხე. ყველაზე პატარა ვიყავი და ცოტა თამამად მეჭირა თავი.

– არა და მე გაგიჩენთ საქმესაო, – მითხრა მამამ და მხარზე ცულგადებული გაგვიძღვა იქვე, სახლის გვერდით პატარა ტყისკენ.

– აი, ახლა მე კუნძებსა და ხის ძირებს ჩამოვამტვრევ, თქვენ კი შინ მიზიდეთ. მხოლოდ მძიმეს ნუ ასწევთ. რასაც მოერევით ის წაიღეთ. მალ-მალე გამოდით, სიარული ნუ დაგეზარებათო. ცულის ყუით არტყმევინებდა ხის ძირებს საბუხრედ და ჩვენ კი ბავშვები შინისაკენ ვეზიდებოდით.

ერთი ამბავი მახსენდება კიდევ. ისე ნათლად, თითქოს გუშინ ყოფილიყოს. 9 წლის ვიქნებოდი, მკათათვე იყო, სოფლად მკა იყო გაჩაღებული.

მამაჩემი სათიბზე დადიოდა. სულ პატარა ცელი მომიტანა. თიბვაც არ ვიცოდი. ან კი რა უნდა მცოდნოდა 9 წლის ბავშვს. მამამ ცელი გამომართვა და მეტად მსუბუქი და ლამაზი ტარი გაუკეთა.

წამიყვანა სათიბზე, ცულკურდღელას გორებზე, საგზლით, წყლის ჭურჭლით და სალესავით. დავიწყეთ მამა-შვილმა თიბვა. აქ ქუჩიანი ბალახი იცის. აქ კარგ ვაჟკაცსაც გაუჭირდება თიბვა.

მაია წერეთელი, ნანა ტალახაძე,
გულქან რაზიკაშვილი და ლამარა კიკილაშვილი

ვთიბავთ. ჭაღარა მამა თავის ლეგა ჩოხით და მე პატარა ბიჭი, ძველი ახალუხით, მაგრამ რას გავთიბავდი იმდენს. ვთელავდი ბალახს ნახევარსაც ვერ ვაჭრევინებ ცელს. რჩება მეტი წილი გაუთიბავი. გადამდის ხვითქი, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ჩემი თავი ვაჟკაცი მგონია. მამა ხშირად მილესავს ცელს, ყოველ შუა ნაფთევზე გაულესავად ერთი ნაფთევიც ვერ გამაქვს. ცალკურდღელას გორაკზე რომ მივაღწიეთ მამამ დაისვენა. მე ისევ ვთიბავდი. მიცქერდა ფიქრში გახვეული და მე დღესაც ვერ ამიხსნია, რას ნიშნავდა მისი მოწყენილი სახე.

მე ხომ არ შევებრალე ან იქნებ თავისი თავი ეცოდებოდა. ერთი წელიღა იცოცხლა მას შემდეგ. ვინ იცის იქნებ მე მაჩვევდა შრომას, თორემ მე რა უნდა გამეთიბა. ჩემი შრომით რა ბარაქა შეემატებოდა ოჯახს.

მამაჩემმა ბევრი ალერსი არ იცოდა. შვილები კი ძალიან ვუყვარდით და ვეცოდებოდით. განსაკუთრებით როცა ხედავდა, რომ კარგად არ გვეცვა. ან კი რა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გაგვიძლებდა ჩვენ.

ძროხასა და თხა-ცხვარს დავდევდით ტყეღრეში. ჩვენი მოსვენება არ იყო. არც გაფრთხილება არაფრისა არ ვიცოდით. ფეხშიშველობა მაინცა და მაინც დიდად სათაკილო და დამაღონებელი არ იყო ჩვენთვის. რადგან ფეხის გული ისეთი გამაგრებული და „დაკალებული“ გვქონდა, რომ სიცხესა და სიცივეს, გზასა და უგზოობას ერთნაირად ვიტანდით, არ ვიცი ბავშვობის ბრალი იყო, თუ შეჩვევის.

წიგნების კითხვა

მამას ფანდური ყოველთვის გვერდით ედო, მაგრამ ხანგრძლივი დაკვრა და სიმღერა არ უყვარდა, ერთი ჩაჰკრავდა თითებს და უმალ დადებდა გვერდით. უმალ წერას მიუბრუნდებოდა, ან ბოლთას სცემდა მცირე ხნით, ან კიდევ დაწვებოდა გულაღმა, ბალიშს ბალიშებზე დასდებდა, მუხლებზე რამდენიმე წიგნს გადაიშლიდა და ასე კითხულობდა. ძალიან ბევრს კითხულობდა. მწოლიარე ავადმყოფიც რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოიხვევდა იმერულ ბაშლაკს და დაწოლილიც კი დროს არ კარგავდა და კითხულობდა.

იმ წიგნებიდან ერთი ყველაზე დიდი წიგნი იყო. მერე ამოვიკითხე, რომ ის ლევ ტოლსტოი იყო.

მამის ხასიათი

მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თუ გული რამეზე მოუვიდოდა, იყო მძვინვარე, როგორც ვეფხვი. იმ დროს ახლოს ვერ გაეკარებოდი. იყო სრულიად უშიშარი და უკან დაუხეველი, თვით სიკვდილის წინაშეც კი. მეტწილად კი მამა იყო მშვიდი, წყნარი, დარბაისელი, გულალალი, უეშმაკო, ბავშვივით მიამიტი, მაშინვე თვალზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე, თუ ვინმეს სიკვდილს გაიგებდა, ჭირისუფალივით შეწუხდებოდა.

სოფელს ჭირშიც და ლხინშიც გვერდით ედგა. არ დააკლდებოდა არც ხატობას, არც ქორწილს, არც ხალარჯობას, ყველგან გაჩნდებოდა თავისი ხარჯით. ყველაფერში მონაწილეობას იღებდა, თავის წილს არვის არ აკლებდა, არც ხატსა და არც ხალხსა.

თუ „დასტურობა“ ევალებოდა – ლუდის დუღება, სამარიამებოდ „დასტურობდა“, მასპინძლობდა, რომ სხვა გლეხებივით მისთვისაც არ დაებრალებინათ გადაგვარება და დიდკაცობა.

ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მცირე თქმაშიც ბევრს იტყოდა. ადამიანის დაჩაგვრას ვერ იტანდა. იტყოდა ხოლმე – კაცნო, ერთმანეთს ნუ ჩაგრავთ. ერთურთი უნდა გავიტანოთო.

ძლიერ აფასებდა ოჯახს, მშობლიურ კერას, შვილებს...

ყვრცვ ხანც ყანწით ხელში ვლოცავდი „ცისფერყანწელებს“



ილია ერენბურგი

ილია ერენბურგი (1891-1967წ.) მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 1908 წელს წავიდა ემიგრაციაში – პარიზში. მის პირველ ლექსებს დეკადენტობის დაღი აზის... ამ წლებში შეხვდა პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ზეპირი მემუარებიდან, რომელიც რადიოს ოქროს ფონდში ინახება (მონოლოგი ჩაიწერა **თინა კობალაძემ**).

პაოლო იაშვილი

ილია ერენბურგი – პაოლო იაშვილი პირველად პარიზში 1914 წელს გავიცანი. პაოლო იყო გამხდარი, ძალიან მოძრავი, ცოცხალი, ახალგაზრდა კაცი. ყოველ შეხვედრაზე მეკითხებოდა: რომელ კაფეში იჯდა პოლ ვერლენი, როდის შემოვა აქ პიკასო? მართალია, რომ თქვენც კაფეში წერთ ლექსებს? თან თვითონვე პასუხობდა – მე ვერ შევძლებდიო, მე უფრო სიმშვიდე მირჩევნია მუშაობის დროსო.

– ნახეთ, ნახეთ, როგორ კოცნიან ქალ-ვაჟი ერთმანეთსო – პირდაპირ აღშფოთებული მეჩურჩულებოდა ხოლმე...

– მე კი პირიქით, ეს შთამაგონებს-მეთქი, ვპასუხობდი.

როცა თბილისში პაოლო ვნახე, ისე გამიხარდა, კაცს რომ თანამებრძოლის შეხვედრა გაუხარდება, თუმცა პარიზული შეხვედრა ძალიან შემთხვევითი და უცაბედი იყო... მაინც კარგად დაგვამახსოვრა ორივეს თავი...

პაოლო და ტიციანი თბილისში გამაცნეს, როგორც ახალი ლიტერატურული, „ცისფერყანწელთა“ ორდენის ხელმძღვანელ-დამაარსებლები.

ჩვენ მაგიდასთან დასხდომა ვერც კი მოვასწარით, რომ მედუქნემ უზარმაზარი, ღვინით სავსე ყანწი შემოგვიტანა, ყანწი ხომ ჭიქა არ იყო, რომ მაგიდაზე დამედგა, კარგა ხანს ყანწით ხელში ვლოცავდი „ცისფერყანწელებს“, შემდეგ კი სულმოუთქმელად გამოვცალე იგი.

ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ, როდესაც ქართველმა მეგობრებმა წამიყვანეს კონსერვატორიაში, ერთ-ერთი ვირტუოზის კონცერტზე დასასწრებად, სკამზე ჯდომაც კი არ შემეძლო და მახსოვს მეორე დღეს, როგორ გამომეღვიძა კონსერვატორიის ერთ-ერთ სარეპეტიციო ოთახში, არფებსა და ყვავილების თაიგულებს შორის.

მაშინ თბილისის სასტუმროებში თავისუფალ ნომერს ვერ იპოვნიდი, ამიტომაც მეორე დღეს პაოლომ და ტიციანმა ძველი თბილისის ერთ მიყრუებულ უბანში გვიქირავეს ბინა...

მე და ჩემს მეუღლეს, ძმებ – მანდელშტამებთან ერთად, ერთ ოთახში გვეძინა. ზოგი იატაკზე, ზოგი კი მაგიდაზე მოეწყო დასაძინებლად...

თბილისში ორი კვირა დავყავით. ეს დღეები ჩემი ცხოვრების „ლირიულ გადახვევად“ მოვნათლე.

ყოველდღე ერთად ვსადილობდით და ვვახშმობდით. პაოლოსა და ტიციანს, მართალია, ბევრი ფული არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი მაინც შუა საუკუნეებრივი თავადური ხელგაშლილობით გვმასპინძლობდნენ.

მივყავდით ყველაზე ცნობილ დუქნებში, გვთავაზობდნენ ყველაზე გემრიელ, კოლორიტულ კერძებს.

დუქნიდან დუქანში გადავყავდით, სადილი ხშირად ვახშამში გადაიზრდებოდა ხოლმე. ქართულ კერძებს ძალიან პოეტური ჟღერადობა ჰქონდათ: სულგუნი, საცივი, ლობიო, ფ-ხალი, მწვა-დი, კალ-მახი, ნი-გვზი-ანი, ბარ-ბა-რისი...

ხშირად ვაჭაშნიკებდით კახურ ღვინოებს, რომელი სჯობდა: „თელიანი“ თუ „ყვარელი“.

პირველად ვიყავი თბილისში და ძველმა თბილისმა მე მომაგონა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრული ქალაქი...

მთელი დღეები ჩვენ დავეხეტებოდით „მაიდანზე“ – გალავინსკის პროსპექტზე, ზეზეულად მივირთმევდით ცხელ-ცხელ ღვეზელებს, ტკბილ ფუნთუშებს...

რას არ ნახავდით აქ ჩარიგებულ სახელდახელო ბაზრობაზე: ინგლისურ კოსტიუმებს, ვერცხლის ქამარ-ხანჯლებს, გრამაფონებს, თამარ მეფის პორტრეტებს, უძველეს ხელნაწერ წიგნებს და სხვა... ყველაფერ ამას, დიდის მოწადინებით, გთავაზობდნენ იქაური ვაჭრები... იყო ყაყანი და გნიასი...

ბოლოს შევედით გოგირდის აბანოებში... მახსოვს, როგორ შემდგა ერთი უზარმაზარი მექისე და ძვალი და რბილი გამიერთიანა... პაოლო კი მარწმუნებდა, რომ მიწიდან ახლად თავწამოყოფილ ნარცისს ვგავდი...

შემდგომ, ღვინის სმით ორთაჭალის აყვავებულ ბაღებს გავუყევით... ქვევით კი წითელ-ყვითელ ფერებად იფრქვეოდა მდინარე მტკვარი, მოლზე გაშლილ სუფრაზე თავს იწონებდნენ ტარხუნა და წითელი ბოლოკი...

უძველეს ეკლესიას ვესტუმრეთ მამადავითზე... მოწიწებით შევცქეროდით კედლებზე ამოტვიფრულ წმინდანთა სახეებს...

შემდეგ დღეებში ისევ დუქნიდან-დუქანში დავდიოდით თვითნასწავლ მხატვარ – ფიროსმანაშვილის ნახატების სანახავად.

ეს იყო უბრალო და ამავე დროს პათეტიკური მანერით შესრულებული, დამატყვევებელი ფერებითა და კომპოზიციურობით სავსე ნახატები.

ჩვენ თითქოს სხვადასხვა საუკუნეში ვმოგზაურობდით: ვიხილეთ ძველ თბილისში ქრისტიანული და მუსულმანური დღესასწაულები. გვერდითა ქუჩიდან კი ფურცელმომარჯვებული „მასტერავოი“ კითხულობდა, რომ ბაქოს თავზე ფრიალებენ წითელი დროშები და მალე თბილისის თავზეც აფრიალდებიანო.

პაოლოსთან და ტიციანთან განშორებისას მათ მაჩუქეს ქართველი პოეტების ლექსთა კრებული, რომელშიც იმ წუთში ჩახედვაც ვერ მოვასწარი. შემდეგ კი, როცა გავეცანი, დავასკვენი, რომ ეს იყო ერთმანეთთან პოეტური შეხედულებებითა და ბედისწერით დაკავშირებული ორი პიროვნება... მათი მეგობრობა მუდმივი და განუყოფელი იყო... და სიკვდილიც ასევე განუყოფელი გამოდგა!

გარეგნობითა და ხასიათით სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს: პაოლო იყო მაღალი, მოუსვენარი და კოხტა აღნაგობისა, უაღრესად ენერგიული და კარგი ორგანიზატორი, „ცისფერყანწელთა“ ლექსების დეკლარირებაც შეეძლო – და დუქნებში სადილისა და მაგიდის შეკვეთა... ლექსები ცოცხალი, ჭკვიანური და შემტევი ჰქონდა.

ტიციან ტაბიძე

ტიციან ტაბიძე მხიბლავდა თავისი სიმსუბუქით, მეოცნებობით, სილამაზით, გულზე დამაგრებული წითელი მიხაკით, ტბებივით მოელვარე ცისფერი თვალებით.

მე ვისმენდი მათ ლექსებს, თარგმნილსაც და ქართულ ენაზე ნათქვამსაც... მე მომწონდა მათი მელოდიურობა და ავანგარდი...

ტიციანი მიყვებოდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის ლექსის წერა. ის შთაგონებას მეხის გავარდნას ადარებდა. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, და ტიციანი ხშირად მახსენდება ამ ერთი ლექსით: „ლექსი მეწყერი“:

„ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,..
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს!“

სწორედ ამ სიტყვებშია, ჩემი აზრით, პოეზიის არსი ჩადებული, მისი სულის სისპეტაკე და ამაღლებულობა...

პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ ბრწყინვალედ იცოდნენ რუსული და ფრანგული პოეზია... თარგმნიდნენ კიდეც მათ, პუშკინს და ბოდლერს, მაიაკოვსკისა და აპოლინერს...

ისინი ანგრევდნენ ძველ ლექსებს, ძველ „ვერსიფიკაციას“ და ქმნიდნენ აქამდე უცნობ, ახალ ლექსს...

დღეს ძნელია სამშობლოზე ასთი მოტრფიალე პოეტების ნახვა, როგორებიც ისინი იყვნენ... და კიდევ დაუმატებდი მათი გულკეთილობასა და სტუმართმოყვარეობას!

1937 წელს, როდესაც კვლავ ჩამოვედი თბილისში რუსთაველის იუბილეზე და ისინი არ დამხვდნენ. გული დამწყდა მათი გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე...

მე მხოლოდ ერთი ნაცნობი პოეტიღა ვნახე „ცისფერყანწელებიდან“ – ეს იყო გიორგი ლეონიძე, რომელმაც შემდეგ მიმიპატიჟა თავისთან და ჩვენ უსიტყვოდ შევსვით უდანაშაულოდ დაღუპულთა სადღეგრძელო!

მე ხშირად ვფიქრობ პაოლოს მიერ დაწერილ ერთ უკანასკნელ ლექსზე, რომელიც მან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა, რომლის შინაარსიც ასეთია: „ნუ გეშინია ძმაო ჭორების, სიჩუმე უფრო უარესია, ის ხომ ტყვიაზე საზარელია!“ და მართლაც, ამ პრინციპით იცხოვრა...

ტიციანი და პაოლო ბევრ მწერალს უყვარდა: ესენინს, პასტერნაკს, ტიხონოვს, ზაბოლოდსკის, ანტოკოლსკის – ჩვენ ვიყავით ის პოეტები, რომლებმაც თბილისში ვიპოვნეთ სულის სიმშვიდე, რომანტიკა, ამაღლებული გრძნობები და ჭარბი ჟანგბადი...

მე ვამბობ საქართველოს არა მარტო საოცარ ბუნებასა და მთიან კოლორიტზე, არამედ ადამიანებზე, ვერის ბაღში აკვნესებულ დუდუკზე, რომელსაც ალბათ 100 წლის შემდეგაც ამოიცნობ და ვერ დაივიწყებ.

„ცისფერყანწელთა“ დაუღლელ, განუმეორებელ სულზე, გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის საფლავებზე, დუქნის კედლებიდან მომზირალ ფიროსმანის მორჩილ თვალებზე...

დღეს მოვიგონე ჩემი ორი ქართველი მეგობარი, რომლებიც აღარ არიან ცოცხლები და მინდა თავი დავხარო მათი წმინდა პოეზიის წინაშე და მათ მაგივრად თაყვანი ვცე საქართველოს ბუმბერაზ მწვერვალებსა და ღრუბლებს. მათ შემხედვარეს ყოველთვის მაგონდება ტიციანის მჭექარე, ომახიანი ხმა:

„წამექცა თავზე ცა გარღვეული,
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა,
დარიალივით გადარეული
თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“.

და საქართველოს სამხედრო გზა, გველივით მიკლაკნულ-მოკლაკნული, სადაც ჩვენ საბოლოოდ დავცილდით ერთმანეთს, სადაც საბოლოოდ გამოვემშვიდობე ჩვენს ძვირფას მეგობრებს, პაოლოსა და ტიციანს!

პირველ რიგში: არისტო ჭუმბაძე, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ეული, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მეორე რიგში: მარტინი, ვიქტორ გოლცევი, არაზი, დემნა შენგელაია, ბესარიონ ჟღენტი, კარლო კალაძე, იონა ვაკელი, ბენიტო ბუაჩიძე, სილიბისტრო თოდრია, ვანო წულუკიძე, შაქრო ნავთლუღელი, მესამე რიგში: სიმონ ჩიქოვანი, პეტრე სამსონიძე, სანდრო შანშიაშვილი, შალვა რადიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი. ამიერკავკასიის ხალხთა მეგორობის კონგრესი, ბაქო 1928 წ.

იოსებ გრიშაშვილი

ვყვიმ „ოცნიც პოეტი" შემვრჩვ...

„ᲥᲣᲩᲐᲑᲐᲜᲓᲘᲓᲐᲜ – ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲐᲛᲓᲔ" – ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ (გადაცემის ავტორი **თინა კობალაძე**).

იოსებ გრიშაშვილი – „მამაჩემი გრიშა მამულაშვილი კალატოზი იყო, მოკრივე. პაპა – დათია, გურული გლეხი ყოფილა. ბატონს გამოქცევია. ურემში, თივაში დამალულა და ისე ჩამოსულა თბილისში. მოუნახავს ქალაქგარეთ უბანი და ორთაჭალაში, მებაღედ დამდგარა. მოსწონებია ბაღის პატრონის ეშხიანი ქალიშვილი იაგუნდა და მასზე დაქორწინებულა. მე მამაჩემის მესამე ვაჟი ვარ. დამარქვეს იოსები. შემდეგ ქართული თეატრის არტისტებმა სოსო მიწოდეს და დღევანდლამდე სიამაყით ვატარებ ამ სახელს.

მამაჩემმა წერა-კითხვა არ იცოდა. დედაჩემს წერა-კითხვა მეზობელი ტოლებისაგან შეუსწავლია. 7 წლისა რომ გავხდი, თავიანი შაქრის სქელ ქაღალდზე, დედაჩემმა იაკობ გოგებაშვილის ანბანი დამიწერა, როცა სკოლაში მიმაბარეს, „ნუცას სკოლა" უკვე გავლილი მქონდა.

როცა დავობლდი... მე დამრჩნენ ჩემი მეგობრები – წიგნები. წიგნებიდან გავიგე ჩემი ქვეყნის ისტორიაც. მაშინ ერთი ფეხშიშველა ბიჭი ვიყავი. მე დავდიოდი ძველი თბილისის დუქნებში, ბაზრებში და მშრომელ ხალხს ვუკითხავდი წიგნებს. ზღაპრებს დევებსა და ნაცარქექიაზე, სულელ ვაჭრებსა და ჭკვიან გლეხ-კაცებზე... მათ ეს ყველაფერი მოსწონდათ და სპილენძის შაურიანით მასაჩუქრებდნენ!

„მე ტიფლისი მიყვარს! უცნაურია აფერადებული სისრულე თბილისისა. მის სიღრმეში გამოჩნდა ანკარა წყარო ჯადოსნური, ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს.

თბილისის სადღეგრძელოებზე გაზრდილი კაცი ვარ! ყოველი კენჭი, ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი. მიყვარს პოეზიის ეს ძველი აკვანი. ეს დარდიმანდული ბოჰემა. ეს საქართველოს მთრთოლვარე გულია, ეს დასაწყისი დასასრულია ჩემი არსებობისა".

„როდესაც ვალერიან გუნიამ ყურად-იღო, ერთ-ერთ მაშინდელ გაზეთში დაბეჭდილი განცხადება, მიაქციეთ ყურადღება განაპირა უბნებსო და თავისი დასით ავლაბარს ეწვია, მაშინ იქ ერთ პატარა კლუბში, სადაც მუშები თავიანთ წარმოდგენებს მართავდნენ ხოლმე. მე სუფლიორობას ვეწეოდი. ერთ დღეს, გუნიას დასის სუფლიორი არ მოვიდა, გუნიამ დაიბარა იქაური მსახიობი – ბაღაშვილი, სპარტაკ ბაღაშვილის მამა და დაავალა, თქვენი სუფლიორი მომიყვანეო. წარმადგინეს მე. ვალერიან გუნიას სიცილი აუტყდა, რომ შემხედა და გაჯავრდა „კაცო, მე სუფლიორი მინდა, სუფლიორიო!"

ვალერიან გუნია

მე მაშინ 15-16 წლის ბიჭი ვიყავი. გვერდზე შეკრული ხალათი მეცვა, ძველებური ვერცხლის ქამარი მქონდა წელზე შემოჭერილი. ვალერიან გუნია ოდნავ დამშვიდდა, როცა გამომელაპარაკა. აბა, შენ იცი, როგორ უკარნახებო, მითხრა, ჩავჯექი, ვუკარნახე. იმ ღამეს დავით ერისთავის „სამშობლო" – გადიოდა. ვალერიან გუნიას მოეწონა ჩემი კარნახი, თავისთან დამიბარა, მივედი. მას მერე ქართულ დასს არ მოვცილებივარ.

ვსუფლიორობდი. გუნიამ შემაჩვია ლექსების გასწორებას, კორექტურასაც ვაკეთებდი. ცოტაოდენი ხელფასიც რომ მოეცა სცენაზე გამოვყავდი, უსიტყვო როლებში. მათამაშებდნენ ლაქიებს, გლეხის ბიჭებს, მესაფლავეებს. ზოგჯერ ორიოდე ფრაზაც მქონდა ხოლმე სათქმელი. ოღონდ ეს იყო, ყოველთვის მეორე ლაქია ვიყავი... ან მესამე მესაფლავე. პირველი ლაქიობა ან პირველი მესაფლავეობა ჩემი სანატრელი იყო... იქიდან მომდევს თეატრისა და მსახიობობის სიყვარული. რა დამავიწყებს ვასო აბაშიძეს, რომ ჩაცუცქდებოდა და მეტყოდა, სოსო, აბა შენ იცი, დღეს როლი კარგად არ ვიცი, კარგად უნდა მიკარნახოო".

ლადო მესხიშვილის თამაში კი ზოგჯერ ისე მიტაცებდა, რომ კარნახი მავიწდებოდა...

სუფლიორობას ის სიკეთეც ახლდა, რომ მსახიობებთან ერთად საქართველო შემოვიარე... იქამდე დიღომს არ ვიყავი გაცილებული. ვიყავით ბათუმში, ქუთაისში. ქუთაისმა პირველად გა-

მიცნო როგორც მსახიობი, ეს იყო 1910 წელი, 13 მარტი. ვთამაშობდი მეორე მესაფლავის როლს „ჰამლეტში“.

სამაგიეროდ, იმავე წელს, 7 თვის მერე, მიწვეული ვიყავი როგორც პოეტი-დეკლამატორი, ილია ჭავჭავაძის ტრადიციულ საღამოზე.

ქართული თეატრი იყო ჩემი განვითარების კერა. რაც სკოლამ დამაკლო, ის თვითგანვითარებით შევიძინე. თუ ჩემი გულის სიღრმეში რაიმე



ლადო მესხიშვილი
და ვასო აბაშიძე

კარგი სუფევს, ეს ჩემი კორიფეებთან სიახლოვის ნაყოფია. განსაკუთრებით მიყვარდა ვასოს ღიმილი და ლადოს ცრემლები (ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი)!

აკაკი წერეთელი ჩემ მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოებში ხშირად მონაწილეობდა. დამამახსოვრდა ორი საღამო: 1912 წელს და 1914 წელს 23 აპრილს ქუთაისში გამართული.

ჩემი მოგონების ეს პატარა ფურცელი, აკაკის ამ უკანასკნელ გამოსვლას ეხება. ეს საღამო გავმართე ქართველთა კლუბში. აკაკი დაუზარებლად დამთანხმდა მოსვლაზე და მხცოვანმა პოეტმა პირობა შეასრულა კიდეც. სცენიდან მართლაც, პატარა და სათუთი სიტყვა წარმოთქვა საღამოს გამმართველზე. ბოლოს იგი შეეხო სიყვარულის საკითხავს და წაიკითხა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“. შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და თავისი ლექსები წაიკითხა; როცა ამ ლექსების წარმოთქმნა მოათავა, აკაკიმ ჩემი ლექსიც ახსენა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ... მეტი რა უნდა ახალგაზრდა მგოსანს. იმ საღამოს ერთიორად გავიზარდე, თითქო სიმაღლეც მომემატა. ეს ლექსი იყო „შენ ოცნება ხარ, ნაზი, ციური“...

აკაკიმ ხუმრობით „კოცნის პოეტიც“ შემარქვა... იმდენი ლექსი მქონდა სიყვარულზე დაწერილი.



მიხეილ თარხნიშვილი

ლაჩრებიც გაბედავენ ჭეიმაბზე... – იეთიმ გურჯთან (ობოლ ქართველთან)

საქართველოს რადიოს აუდიო ფონდში არის 1971 წელს ჩაწერილი გადაცემა სათაურით: „მშრომელ ხალხთა ტრუბადური“. გადაცემის ავტორია **მიხეილ თარხნიშვილი**. ტექსტს კითხულობს საქართველოს სახალხო არტისტი ოთარ მელვინეთუხუცესი.

– ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებს ბევრი უცხოელი მოგზაური მოუხიბლავს. მაგრამ უკან დაბრუნებისას უფრო მეტი შთაბეჭდილება გაჰყოლია ძველი თბილისის იმ ქუჩებიდან, სადაც ქიმმომტვრეული პატარა სახლის „იაქათალი“ ირიბადაა გადაზნექილი და რომლის „ფოლორციდან“ ამქრის უსტაბაშისა და ყარაჩოხელის სიტყვათა ჭიდილი „იჩუქურთმებოდა“.

ძველი თბილისი: თათრის მოედანი და კლდის უბანი, ავანაანთ ხევი და ისნის ყელი, დიდი სირაჩხანის არემარე, მეტეხის ორივე ხედის ფარგლები, მტკვრის მორებიდან – „ბაკალ-ხანამდე“ და აბანოების მიდამო, ერეკლეს აბანო, ორბელიანთა აბანო, ჭრელი აბანო, აგერ სეინაბადი, ორთაჭალა და მისი მიჯნა – განჯის-კარი – ძველი თბილისი – რომანტიზმის უბადლო მხარე!

ძველი თბილისი – ამქრობა, ხელოსნობა და ყარაჩოხელობა... კრივის ბიჭები, დარდიმანდები, ერის „მურაზტი“ და სალბუნები, საიანთოვას, გივიშვილის, ჰაზირას, უწიგნურ ბეჩარასი და იეთიმ გურჯის ქნარზე „ჯომართად გაზრდილნი“.

იეთიმ გურჯი, ძველი თბილისის, უკანასკნელი ტრუბადურია:

„რახანი არის, ჩაატარა მტკვარმა ტივები,
თან გაიყოლა სევდიანი დუდუკის კვნესა,
ქალაქში მაინც დარჩა მისი უცხო სურნელი,
თითქოს იეთიმ გურჯს მოელიან
ბავშვები დღესაც“.

ბევრს კარგად ახსოვდა შავნაბდიანი მგოსანი-მომღერალი, ყოველ ცისმარე დღეს, ისნისა თუ ხარფუხის ვიწრო უბანში, შეგუბებულ აისს ნება-ნება რომ მიჰყვებოდა ხამუშ-ხამუში ღიღინით, ვიდრე ბინდშეპარულ ვერის ბაღებში დილის გრილ სიოს დაისამდე არ მიაცილებდა და „ბიჭო გოგიასავით“ – გალობა არ ამოხდებოდა.

თუ სიყვარულით განებივრებულმა ბესიკმა ან თარზე დამღერების დიდოსტატმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ და „ყარაჩოხელთა სუფრის აპოლონმა“ – გრიგოლ ორბელიანმა – კლასიკურ მწერლობაში „მუხამბაზის“ ფორმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს, იეთიმ გურჯი – ძველი თბილისის ორფეოსად გვევლინება, რომელიც ფარვანასავით გადაეფარა ამ ფერგაუხუნარ ქარვასლას, დაასრულა სათქმელი და „აშუღური პოეზია“ წიგნში საძებარ ისტორიად აქცია.

იეთიმ გურჯი

მისი „პოეტური მანძილი“ თუმცა გასული საუკუნიდან იწყება, მაგრამ თავისი სახელის დიდებას მან მე-20 საუკუნის პირველ წლებშივე მიაღწია და უბადლო სახელი დაიმკვიდრა.

მის გამოჩენას პროსპექტებსა თუ ქუჩაბანდებში ხალხი აღტაცებით ხვდებოდა. იეთიმ გურჯს კარგი სასიმღერო ხმა ჰქონდა და ლექსის მელოდიასაც ხომ საკუთარი „გულის ბუხრიდან“ იღებდა.

ბედის უკუღმართობის შედეგად, მგოსანი ვერსად ვერ პოულობდა მსაჯულს და ილაჯგაწყვეტილი ისევ რუსთაველისაგან მოელის მშველელს და ქომაგს, რადგან ის იყო მისი „გულის მურაზი“, ჩირაღდანი და სალოცავი ხატი.

იეთიმ გურჯი თურქულად – „ობოლ ქართველს“ ნიშნავს, მგოსნის წინაპრებისთვის მტრებს ქართული გვარი წაურთმევიათ, „ჯვარზე საფიცარ“ სამშობლოს მოუწყვეტიათ და „ნახევარმთვარის მაცქერლებად“ გადაუქცევიათ.

იეთიმის მამას – იბრაგიმს – თავისი გუმანით თბილისამდე მოუღწევია და თავის წინაპართა ბუდეში ბარტყები დაუჩეკია. ჭაბუკი იეთიმი ოსტატს შეგირდად აუყვანია. აქ უსწავლია თარისა და ჭიანურის გამოთლა და თავისი საზიც ისე ლამაზად მოუმინანქრებია, რომ მის კვნესა-სიმღერას ქალაქის ბაღებიც „ათას ერთი ღამის“ – შეჰარაზედად გადაუქცევია.

ლექსის მარცვლები ქარვის კრიალოსანივით

„შეუნაზუქებია“ და „ყაითანზე“ ასხმული ოქროს მძივებად ჩაუბულბულ-ჩაუჩუქურთმებია.

მომავალი ბოჰემა 15 წლისა დაობლებულა და მამის სიკვდილის შემდეგ, დედა და დაიკო მისი სარჩენი გამხდარა. დედის სიკვდილის შემდეგ კი ხარფუხიდან მეტეხის უბანში გადასახლებულა, ყარაჩოხელთა დავთარში საპატიო მოქალაქედ ჩაწერილა და ერთ პატარა ქოხში დაბინავებულა.

იეთიმ გურჯი თავადაც ყარაჩოხელი კაცი იყო და „ამქრის დროშა“ და ადათ-წესები საფიცარივით სწამდა. ვერ იტანდა ცრუ და გაუტანელ ადამიანს:

„ყარაჩოხელ კაცმა შემქმნა,
ყარაჩოხელებმა გამზარდეს,
რაღად მინდა მე კალამი,
მათი ქება რომ დამზარდეს!..
ამხანაგის მოღალატეს
დამმარხველი არა ჰყავდეს,
ვინც პურ-მარილს დაივიწყებს
სუფრა ზედ თვალთ დაუბრმავდეს...“

დარბაისლები საფლავის ქვაზე წმინდა სანთელს დაანთებდნენ, ანდერძის დაცვის ფიცს უსიტყვოდ დადებდნენ, მერე ბაღდადებს გაშლიდნენ და ზედ დააწყობდნენ: კარგ გუდის ყველს, შოთის პურებს, ცივად მოხარშულ დედალს, შამაიას „ალათმალათს“, გოგჩის ტბაში დაჭერილ – იშხანს, მტკვრიდან ამოყრილ – ჭანრებს, ალაზნის – ლოქოს ტუტებს, მუხრანის ცივ-ცივ შუშა კიტრებს, „ჭიაფერში“ დავლებულ ორთაჭალის ბოლოკს, მწვანილს, პიტნას, ტარხუნას – კოხტა ვირით მოტანილს!

ბოლოს, ღვინით სავსე ტიკს მოაგორებდნენ და ღმერთსაც პირველ რიგში ახსენებდნენ.

ცხოვრებისაგან გატანჯული, მწველი სიმღერებით გავარვარებული გულიდან, სურნელოვანი შოთის პურივით, ცხელ-ცხელ ლექსს ამოიღებდა, ჩასთვლემდა და განთიადამდე ასე გოდებდა...

დაუდგრომელი სულის მგოსანი, ვაჟკაცური სულის შემართებით შეხვდა რუსეთის რევოლუციას... თავისი საკუთარი ბაირაღიც კი გამოიტანა ქუჩაში წარწერით: „მიხარია – არ კი მჯერაო!“

მართლაც, იეთიმ გურჯის სიხარული ზამთრის დღესავით ხანმოკლე აღმოჩნდა. ბრძოლის ყიჟინა მატარებლის კვამლმა და ბორკილების ჩხარუნმა შეუცვალა და საქართველოს მცხუნვარე მზე პოეტს სანატრელი გაუხდა. შორეულ მადნებში ყინვისაგან ითოშებოდა. მაგრამ მის ჩანგს „მდუმარების ჭია“ ვერ მიეკარა და სამშობლოსაგან მოშორებულს „არაგვის კალმახივით“ მოქნილობამ სილამაზე და სიცოცხლე ვერ მოუშლია.

გადასახლებიდან დაბრუნებულ იეთიმ გურჯს მთელი ქალაქის ხელოსანთა ამქრები და მშრომელები ტრიუმფით შეხვედრიან და გულში ჩაუკრავთ:

„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი, მოვედიო“...

აღმოხდენია თვალცრემლიან მგოსანს.

მართალია, არ არსებობს დოკუმენტური წყაროები, თბილისის ორი ალალი მომღერლის: – ნიკალა ფიროსმანისა და იეთიმ გურჯის ურთიერთობაზე, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია, შეუძლებელია, რომ თბილისის ეშხით გულ-დამწვარი ეს ორი ტრუბადური, მარკოზაშვილის შეჭვარტლულ დუქანში ან კოლა რუსიშვილის ლუდხანაში ერთმანეთს არ შეხვედროდნენ, როგორც დარდების განსაქარვებელ პაემანზე:

შეუძლებელია, რომ შემთვრალ ნიკალას არ ეჩვენებინა, აშუღისათვის, ახალდამთავრებული სურათი: „ქეიფი ვირის ხიდთან“ და იეთიმ გურჯსაც ექსპრომტად არ ეთქვა:

„დაილოცოს გურჯისტანი, კარგი შვილების
მომყვანი,
თვალები გაქვს ცაზე ლურჯი, შენი ხელი
ოქროს ფუნჯი,
ნიკალ-ქვიტკირისა ბურჯი, გენაცვალოს
იეთიმ გურჯი“...

იეთიმ გურჯის პოეტურ ხედვას ლიბრი არასდროს გადაჰკვრია, ქართული მიწისაგან მომადლებული ნიჭი, საშუალებას არ აძლევდა „მგოსანს, ჭოგრიტით ჩაეხედა“ ცხოვრების სიღრმეში და ფიროსმანის საღებავებით დაეხატა ცხოვრება, ბალღის აკვნიდან მოყოლებული – ბებრის ჩაკეტილ სკივრამდე.

ძველი თბილისი

ცხოვრების გზაზე მგოსანი ხშირად შეუპყრია მარტოობის გრძნობას, მიზეზი ამისა იყო მოწყვეტა საზოგადოებისგან, რაც თავის მხრივ, ამ საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობით იყო გამოწვეული. ასეთ მძიმე წუთებში, იეთიმ გურჯი, ღმერთთან დაახლოებას ეძებდა და ეს დაახლოება სულიერი კრიზისის გადატანაში ეხმარებოდა:

„ღმერთმა ჩემთვის მოიცალა,
მცირედიც არ მაპატია,
ყველას მისცა სიხარული,
მე კი ერთი ნაბადია!..“

მაგრამ დადგა დღე სიხარულისა, ნიკოლოზ მეფის დიქტატურის დამხობისა, და იეთიმიც თავისი პოეზიით შეეხმიანა ამ მოვლენას. დაილეწა ის ბორკილი, საუკუნეების მანძილზე, რაც ხუნდად აწვა მშრომელ კაცს გულზე.

იმ დღეს, როდესაც ზაფხული ზაფხულობდა, და ისნის და ტუბერის უბნებში დიდძალი ღვინო იღვრებოდა, მადლიერმა ხალხმა, მხურვალედ დაიტირა და უკანასკნელ გზაზე გაისტუმრა თავისი მგოსანი.

წავიდა იეთიმ გურჯი და სათუთად დახურა თავისი „აშუღური პოეზიის“ ეშხით აღსავსე „დავთარი“, რომლის ბოლო ფურცელზე ეპიტაფიად იყო მიწერილი მისივე სიტყვები:

„კაცი მისთვის დაიბადა,
ნამუსის ქუდს ატარებდეს,
თავის სუფთა, ლამაზ სახეს,
არაჭუჭყს არ აკარებდეს“...

სანამ წინანდლის ვარდების ბაღებს სურნელება და ანდამატის ძალა არ დაეკარგება, მანამ იეთიმ გურჯის სიმღერებს ეშხი არ ჩაუქრება, ვიდრე თბილისში უკანასკნელ მედუდუკეს „ყამიში“ არ გაუტყდება, მგოსნის სიმღერები შუბლის ქინძისთავივით მიბნეული იქნება ნარიყალას დაბასრულ კედლებზე.

იეთიმ გურჯი და პაოლო იაშვილი

გალაკტიონი ცოცხალია და ნიჭვთლოვდ ლაპარაკობს

გთავაზობთ, ჟურნალისტ **თინა კობალაძის** მიერ (1959-1972 წლებში) გალაკტიონისადმი მიძღვნილ საღამოებზე გამოსვლების ფრაგმენტებს.

გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე

აფხაზი პოეტი **ივანე თარბა** – ძვირფასო მეგობრებო, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას აფხაზ და ქართველ ხალხთა მეგობრობაში დიდი ადგილი უკავია. გალაკტიონ ტაბიძე გულმხურვალე მომღერალია ქართველი ხალხისა და ამავე დროს ის ყველაზე მახლობელი და მშობლიურია აფხაზი ხალხისათვის!

ივანე თარბა

ადამიანს, რომელსაც თავისი მოძმე არ უყვარს, ის ვერც თავის კერას შეიყვარებს.

აფხაზეთში გალაკტიონი ხშირად ჩამოდიოდა და დიდხანს რჩებოდა.

გალაკტიონი კარგად იცნობდა მთელ აფხაზეთის კუთხე-კუნჭულს, აფხაზი ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრებას, ეტრფოდა მის წარმტაც ბუნებას!

გალაკტიონმა სოხუმში აიშენა სახლი და სიცოცხლის ბოლო წლები იქ გაატარა. ის ხშირად ხვდებოდა და მეგობრობდა სახალხო პოეტს – დიმიტრი გულიას და სხვა მრავალ აფხაზ მწერალთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი.

გალაკტიონმა სოხუმში გამოსცა წიგნი სათაურით: „ზღვა ახმაურდა“, რომელშიც დაბეჭდილი პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე აფხაზეთს და აფხაზ ხალხს ეძღვნება.

გალაკტიონი სიამაყით, დაუფარავად უცხადებდა სიყვარულს აფხაზეთის მიწასა და აფხაზეთის ხალხს! გავიხსენოთ მისი მიძღვნილი ლექსები: „რიწა“, „კოდორი“, „გამარჯობა აფხაზეთო“ და სხვა. მათში უაღრესად მუსიკალური, რითმული ენით გადმოცემულია მისი უანგარო გრძნობები.

სიტყვათა კალეიდოსკოპური ცვლა, ყოველ ლექსში, იძენს ახალ შინაარსსა და ხატოვანებას. განუმეორებელ პოეტურ ხედვებს წარმოაჩენს, თვით ჩვეულებრივ მოვლენებსაც კი არაჩვეულებრივად აქცევს.

ძნელია მოიძებნოს ქვეყნად საგანი ან მოვლენა, რომელზეც არ წერდეს პოეტი, არ არეკლილიყოს მის პოეტურ სამყაროში.

რომ წარმოვიდგინოთ გალაკტიონ ტაბიძის მიერ შექმნილი ფერთა პალიტრა, ჩვენ დავინახავთ რომ „პოეტური ფერები“ ბევრად აღემატება ბუნებაში არსებულ „ფერთა გამას“...

მისი ლექსთა წყობა ყველაზე კარგად ჩანს ლექსში „რიწა“. პოეტი ისე განალაგებს სიტყვებს, რომ ისინი ახალ აზრსა და შინაარსს იძენენ ყოველ მომდევნო სტრიქონში.

ყოველი ჩვეულებრივი სიტყვა ახლად იბადება და ჩვენს თვალწინ იძენს – ახალ მარადიულ სიცოცხლეს, რომლის შეცვლა შემდეგში არავის ძალუძს...

ჩვენს კოსმიურ საუკუნეში, გალაკტიონის ლექსიც, კოსმიური სიჩქარით მიჰქრის, კოსმიური სიმაღლეების დასაპყრობად და ამით კი არ გვცილდება მიწაზე დარჩენილებს, არამედ უფრო და უფრო გვიახლოვდება და ფართოდ, უშურველად გვიხსნის თავის პოეტურ სულს!

გალაკტიონ ტაბიძე არის და იქნება, მარადიულად მოციმციმე, ჩაუქრობელი ვარსკვლავი, საქართველოს პოეზიის ცაზე!

გიორგი ლეონიძე – სამშობლო, პოეზია მოულოდნელი ძაძით შეიმოსნენ. საქართველოს საჭირისუფლო სახლში დღეს ასვენია გედი მთაწმინდისა! ჩვენი დროის უდიდესი პოეტი და მედროშე გალაკტიონ ტაბიძე.

წყეული მარტის ავი თვალით ვნებული, დამარცხებული წევს მშვენება და სიამაყე ქართული პარნასისა!

აკი, მან თვითონვე იწინასწარმეტყველა:

„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
შავი ტანსაცმელით მე მოვირთვები“.

საქართველოს წმინდა მთამ კვლავ ახალი, მოულოდნელი ხარკი მოგვთხოვა, უძვირფასესი, სპეკალი ქართული პოეზიისა დაე, მიიღოს, ჩაიბაროს ეს განძი, დაე, გამდიდრდეს ძველი ქართული მიწა, პოეტის გულის ფერფლით.

წინაპართაგან დაცრემლილ-დატირებულ საფლავთა შორის, ამ ღვარჩარეცხილ კლდეების გადასაკრავში, ამ ბუმბერაზთა ხერხემალზე ამოიზიდა ახალი ბორცვი, რომელშიც ჩამარხული იქნება ჩვენი თაობის განვლილ დღეთა ფიქრი, თრთოლვა, ცრემლი და ოცნება. მიდის, სიკვდილზედ წილნაყარი, გალაკტიონი! ძნელია ამ სიმწრით სავსე ფიალის შესმა!

გალაკტიონის შემოქმედება ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე – მუსიკა ჩვენი სულისა!

გალაკტიონის ლექსში ქართული პოეზია ისევ დაუბრუნდა მშობლიურ, მუსიკალურ სტიქიონს! ჩვენ ვიყნოსეთ გალაკტიონის ნატიფი ლირიკის უკვდავი სურნელება, სავსე ქართული პატიოსნებით!

და თუ პოეზია უმაღლესი წარმოსახვაა ადამიანების ფიქრებისა, გალაკტიონმა უკვდავი გახადა თავისი ოცნება. გ.ტაბიძე პირველი მოინათლა პოეზიის ცეცხლის ემბაზში, მან პირველმა აღაგზნო პოეზია ახალი პათოსით!

მიდის ჩვენგან საყვარელი გალაკტიონი... მიწაში ჩადის მისი ღიმილი... დავკარგეთ დიდი მომღერალი ქართველი ერისა, სამაგიეროდ ის იპოვნა, დაიბრუნა მთაწმინდის მთვარემ, იქ ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი – შეითვისტომებენ, შეიმატებენ თავის რიგებში, მთვარის ფერებით აზიდულ გალაკტიონს, ქართველთა უკვდავ სავანეში, როგორც მოძმეს და რაინდს!

მეგობრებო, დღეს ჩვენ დავკარგეთ დიდი სიმდიდრე ჩვენი პოეზიისა და ამიერიდან, ქართული მწერლობის დიდ ქედზე, გალაკტიონ ტაბიძე აღიმართება როგორც სპეტაკი, მიუდგომელი მწვერვალი.

მშვიდობით, გეთხოვები, უდროოდ გათავებულო, სიკვდილისათვის აჩქარებულო, როგორ არ იცოდი, რომ სიკვდილი შენ ვერ მოგერეოდა, რომ არასდროს არ დაჭკნება შენი ლექსის ყვავილოვნება! რომ არასოდეს არ დაირღვევა ჰარმონია შენი სიტყვისა! აჟღერებულ სივრცეში წავიდა შენი სულის ძახილი! ხალხის გულში მარგალიტად ასხმულია შენი სიტყვები! ჩემზე უფროსო ძმაო, მიიღე ეს ჩემი მცირე სიტყვა ცრემლში გატარებული, როგორც ნიშანი ჩვენი ძმობისა, სიყვარულისა, პატივისცემისა და იმ რწმენის დასტურად, რომ შენ იყავი ის ხმა, რომელსაც ეძებდა ქართველი ხალხი თავისი გრძნობების გამოსახატავად, გამოსათქმელად და შენც გამოიძახე იგი შენებურად; აკი, თითოეული ხე ნაყოფს ისხამს ისე რომელიც მას შეეფერება.

მშვიდობით, დიდო პოეტო, მიდიხარ და უკან მოგდევს ზღვა ცრემლი ერისა, დაე, ჩვენი ცრემლის სხივმა გაგინათოს გზა შავეთის წყვდიადისა!

მშვიდობით, ძმაო, უკვდავო მომღერალო, საუკუნეს თან გაჰყვება შენი ქართული ქნარი!

გურამ ასათიანი

კრიტიკოსი გურამ ასათიანი – დიდი პოეტის ხსოვნისადმი პატივისცემა, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს მის წინაშე ქედის მოხრით შეიძლება გამოიხატოს. ეს ხსოვნა ჩვენგან მხოლოდ დაფნას და გუნდრუკს როდი მოითხოვს, მისი მთავარი საზღაური რწმენა და ფიცია:

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა
მეგობრებო სიკვდილამდის მექნება,
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება,
პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“

ახალი სამყაროს შენება მხოლოდ სუფთა ხელებს, მხოლოდ სიკეთისა და მშვენიერებით გაფაქიზებულ შთაგონებას, მხოლოდ ნათელი იმედით ანთებულ გულებს შეუძლიათ, ჩვენ ახალ წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის მიწურულში მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც ეპოქის ტვირთის ბოლომდე მიტანა გვხვდა წილად, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანური სულისა და გონების რა საოცარი, რა თვალისმომჭრელი საოცრებებით დაიწყო ჩვენი საუკუნე!

პოეტები, რომლებიც ამ დროს დაიბადნენ, დაჯილდოებულნი იყვნენ არა მხოლოდ ჟამთა შეჯამების უნარით, არამედ ახალი სივრცეთა ხილვის განსაცვიფრებელი ნიჭითაც; მათ არ გაუუქმებიათ ის წყეული კითხვები, რომლებიც მემკვიდროებით გადმოეცათ!

ვერჰარნი, ბლოკი, აპოლინელი, ლორკა, ელიოტი, ისაკიანი, გალაკტიონ ტაბიძე – ისინი თითქოს კანგადაგლეჯილი თითებით ეხებოდნენ სამყაროს ცოცხალ საგნებს და ამის გამო უფრო მძაფრად გრძნობდნენ იმ შინაგან ენერგიას, რომელიც ამ საგანთა სიღრმეში იყო მომწყვდეული.

ის, რასაც წინათ გონების თვალით წვდებოდნენ, მათ საკუთარი ნერვების ხარჯზე, აუტანელი შინაგანი ტკივილის წყალობით დაადგინეს:

„ძაფი ნერვიც არ არის ჩემში არაქართული...“
„ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის!“ – ამბობდა გალაკტიონი.

მოვა დრო და გენიალურ პოეტად აღიარებს ამ სიტყვების ავტორს, ვინაიდან სხვანაირად შეუ-

ძლებელია იმ მაგიური ზემოქმედების ახსნა, რომელიც მის სტრიქონებს ახლავს.



გალაკტიონი

გალაკტიონმა ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა ქართულ პოეტურ აზროვნებაში. ქართული სიტყვის „ბგერადმატერიაში“ მან აღმოაჩინა ახალი ენერგია, რომელსაც მოქმედების მანამდე უცნობი სარბიელი გაუხსნა.

ის ძალაც, რომელიც მისი რანგის პოეტებმაც გამოათავისუფლეს სიტყვიდან, თავისი შესაძლებლობით, ტოლს არ უდებს ჩვენს დროში დაშლილი ყველა ატომგულის ერთად აღებულ ენერგიას!

თავისი აღმომჩენური გენით მხარს უსწორებდნენ საუკუნის ყველაზე დიდ მეცნიერებს, სამყაროს აგებულების შესახებ ყველაზე გაბედული, ფანტასტიკურ მოძღვრებათა ავტორებს. ეს მათ განჭვრიტეს და გამოამზეურეს, სრულიად ახალ განზომილებათა მთელი რიგი ადამიანის მიკროკოსმოსი და ამ გზით, მისი სივრცის განუზომლობა წარმოაჩინეს.

ეს მათ გვაუწყეს, რომ კაცობრიობის ისტორიაში იწყება არა საყოველთაო ნიველირების, არა უსულო პრაგმატიზმის, არა ძღომისა და მცონარობის, ან სულიერი ავტომატიზაციის ეპოქა, არამედ ნამდვილი სულიერების, ჭეშმარიტი სულისმიერი თავისუფლებისა და აღზევების ხანა.

ისინი ამ დიდი იმედის ნამდვილი რაინდები იყვნენ. „ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი!“ – ასე მიმართავდა ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძე უახლესი დროის პოეზიის მამამთავარს – ალ. ბლოკს.

„წვეთი სისხლიც არ არის ჩემში არაქართული!“ – ამბობდა გალაკტიონი და ცხადია ის შემოქმედის სისხლს გულისხმობდა; სისხლს, რომელიც ცეცხლად იქცა და სინათლედ დაიღვარა!..





ის მაინც ლაბრუნდება...

„მოძებნის გზას, რომ კიდევ ერთხელ გვამცნოს თუ რა უმწეოა ბნელი, უგუნური ძლევამოსილება – სიჭაბუკის ყოვლისშემძლე ძალის წინაშე“- **გურამ ასათიანი**.

გურამ ასათიანი

(გთავაზობთ გურამ ასათიანის სიტყვას, წარმოთქმულს გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის საღამოზე 1984 წელს).

გურამ ასათიანი – თბილისი შემოდგომის პირზე ლამაზდება. განსაკუთრებით აგვისტოს დამლევს რუსთაველის პროსპექტი ივსება ახალგაზრდა, მზისგან დამწვარი სახეებით. ამ ქუჩაზე გავლა კარგია თბილისთან ხანგრძლივად განშორების შემდეგ. გურამ რჩეულიშვილი სწორედ აქ გავიცანი. ის მაშინ ხევსურეთიდან ახლად დაბრუნებული იყო, ცნობილ გერმანელ მწერალთან ერთად ემოგზაურა და მისი პირადი ტრაგედიის მომსწრე ყოფილა. ამ ამბავზეა დაწერილი მისი მოთხრობა „სიკვდილი მთებში“.

გურამ რჩეულიშვილი მშობლებთან ერთად

თავისი გარეგნობით გურამ რჩეულიშვილი საგრძნობლად გამოირჩეოდა ზედმიწევნით გამოწყობილ სხვა ახალგაზრდა თბილისელებისაგან. ფართოდ გაღეღილი, თითქმის შარვლის ქამრამდე პერანგის ღილი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ძლიერი, დაჟინებული გამოხედვა. დიდი, უხეში, მძიმე ფეხსაცმელები თითქოს მიწისაკენ ეზიდებოდნენ მის სხეულს და ამავე დროს, მთელს მის პიროვნებაში იგრძნობოდა მოუსვენარი, ამტყდარი, თითქოს უცნაური ნახტომისათვის გამზადებული ძალა.

ის პირველი შეხედვისთანავე იწვევდა ინტერესს, თითქოს დაჟინებით მოითხოვდა ყურადღებას თავისი პიროვნებისადმი. როგორც ამბობდნენ, ახლო მეგობრებს იგი გამორჩევით უყვარდათ და ხშირად უთმობდნენ მისი ძლიერი ხასიათის უჩვეულო გამოვლინებებს.

გურამ რჩეულიშვილი

გურამ რჩეულიშვილმა პირველ მოთხრობაშივე გაგვანდო თავისი ადამიანური იდეალი: ზღვის ულმობელ სტიქიასთან შერკინებული ძლიერი და სულმთელი მამაკაცი, რომელიც თავისიანთა გადასარჩენად სწირავს სიცოცხლეს, – ბნელ, დაუნდობელ სტიქიასთან ჩუმი ბრძოლა, მის უგუნურ ძლევამოსილებასთან ადამიანის შეუდარებელი ნებისყოფის დაპირისპირება.

იგი იყო ერთი იმათგანი, რომელსაც უკანმოუხედავად შეეძლო შეეწირნა მთელი თავისი პიროვნება ამგვარი უთანასწორო ბრძოლის თავდავიწყებისთვის. მაგრამ 26 წლის ასაკში მან, როგორც ჩანს, უკვე განიცადა ფხიზელი დაფიქსირების საკმაოდ მწვავე შეტაკება.

უკვე მისი დაღუპვის შემდეგ, ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ერთ-ერთი მისი უკანასკნელი მოთხრობა „ალავერდობა“, მოულოდნელად გვაგრძნობინა თუ რა გამანადგურებელი ცეცხლი ღრნიდა ახალგაზრდა მწერლის შეგნებას; შეუძლებელია ჩვენი თაობის ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს ეს მოთხრობა. არ ეცნაუროს ის ჭაბუკური ჟინი, რომელმაც მისი გმირი ალავერდის გუმბათზე აიტაცა და ის სულის სიღრმემდე შემძვრელი გრძნობაც ახალ სივრცეებთან შეხვედრისა, რომელიც მას ამ სიმაღლეზე დაეპატრონა.

გურამ რჩეულიშვილს ჩვენს მწერლობაში თან მოჰყვა თანამედროვეობის სუნთქვა. მას ღრმად ჰქონდა განვითარებული ფორმის სიახლის

გრძნობა. ამიტომ შეითვისა მან ასე ბუნებრივად მხატვრული პოეზიის დიდოსტატთა თავისებური, ნერვიული მანერა, მაგრამ ამავე დროს მთელ მის ადამიანურ იერში და მწერლურ ბუნებაში იყო რაღაც შორეული, ძველ ქართული.

თანამედროვე ქალაქის შვილს, თბილისში გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, თითქოს ევიწროებოდა აქაურ ქუჩების რკალი. დიდხანს ვერ ეგუებოდა ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნების რიტმს და პირველი შეძლებისთანავე მარტო, ან ვინმე შეჩვეულ მეგობართან ერთად

გურამი უშბის ფონზე

გურამი და იუზა ხუსკივაძე ბაკურიანში, სტუდენტობის წლები

მიიჩქაროდა მთებისკენ, ზღვისკენ...

ბევრს დადიოდა თავისი განუყრელი მძიმელანჩებიანი და დიდი ფეხსაცმელებით. ესწრებოდა ხევსურულ ხატობას, დოღს, ალავერდობის დღესასწაულს, ერეოდა ქართველ გლეხკაცობაში, ყველგან იჩენდა მეგობრებს, მეტოქეებს. ის თითქოს გამძაფრებით დაეძებდა რაღაცას, რის გარეშეც მისი ძლიერი მთრთოლვარე სხეული შეიძლება გამხდარიყო და გამოფიტულიყო...

ქალაქური ღამეების დაძაბულ სიმყუდროვეში მას, ალბათ, ხშირად აღვიძებდა ძარღვებში მომწყდარ წინაპართა სისხლის ამბოხი და მეორე დილით ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა მცხეთის გზას. ჭაბუკური დაჟინებით ცდილობდა დავიწყებიდან გამოეწვია უფლისციხის იდუმალი აჩრდილები. მარტოდმარტო მისდევდა ვაჟა-ფშაველას ნაკვალევს ან კიდევ მასავით თავზე ხელაღებულ მთიელ ბიჭებთან ერთად სიპ ბილიკებზე დააჭენებდა გაუხედნავ ფეთიან კვიცებს...

აი, ასე დაიწერა მისი „თრთვილა“, „ალავერდობა“, „უფლისციხე“. მას ბევრი რამე იტაცებდა. სრულიად ახალგაზრდამ, ბევრი ნახა, კიდევ უფრო მეტი განიცადა. ყოველი ეს მასში დუღდა და ამოხეთქვას ლამობდა და ხშირად უცნაურ ფორმას იღებდა.

ცნობილია ზოგიერთი მკითხველის კონსერვატორული უნდობლობა. ხშირად ბიოგრაფიულ ნაწარმოებში კი, ვინმე უცხოელი მწერლისადმი მიმბაძველობას ხედავდნენ. გურამ რჩეულიშვილი საკმაოდ მდიდარი იყო თავისი საკუთარი შინაგანი ცხოვრებით და სინამდვილის ცოცხალი შთაბეჭდილებებითაც, რომ ამ მხრივ სხვისაგან რაიმეს დასესხება დასჭირვებოდა.

დღეს, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს, როდესაც ყოველი მისი სტრიქონი მისივე პიროვნების ნაწილად იქცა. უცნაურად უყვარდა ზღვა. მოთხრობა „ირინა“, რომელიც ახლახანს გამოქვეყნდა, გაჟღენთილია ზღვის სუნთქვით. ზღვა ადამიანივით ცოცხლობს, იცინის, სულში შემოდის. ზღვა არის ფონი სიყვარულისა, ტკბილი და მწარე, დამშოშმინებელი ორთა სიყვარულისა და ის თითქოს ქალივით იზიდავს, ათბობს და ეალერსება ამ მოთხრობის გმირს და აქაც როგორც „ნელ ტანგოში“ ნამდვილად იგრძნობა ფარული ძრწოლა ზღვის მიმართ.

მასში რაღაც მტრული, ვერაგი ძალის შეგრძნებაა. „ირინას“ პირველ ვარიანტში იყო ისეთი ადგილები, რომელიც დღესაც უცნაურ შთაბეჭდილებას იწვევს ჩვენში. იმდენად ცხადად გვანან ისინი განწირული ადამიანის აკვიატებულ წინათგრძნობას.

უკანასკნელად ის ზღვაზე წასვლის წინ ვნახე, შუა ივლისის მცხუნვარე დღეს, როდესაც თბილისის ასფალტი ადუღებას აპირებდა.

მწერალთა სასახლის კიბეებზე ამოვიდა ამჯერად სრულიად უჩვეულოდ გამოწყობილი. შავ, მკაცრად შეკერილ კოსტიუმში, ნაცრისფერი

ალპური ბანაკი ნაკრა, გურამ რჩეულიშვილი, გურამ თიკანაძე

კეპით. სასახლე თითქმის ცარიელი იყო. დიდხანს არ გაჩერებულა. იგი გასვლისას კარებში ერთი წამით შემოტრიალდა და შემდეგ ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა მაჩაბლის ქუჩას. მე მაშინ არ ვიცოდი ვის ეკუთვნოდა მისი შავები და ეს მის მორიგ უცნაურობას მივაწერე.

ვიცოდი, თბილისში ის დიდხანს არ გაჩერდებოდა და კვლავ ველოდი შემოდგომის დამდეგს, რუსთაველის პროსპექტზე ძველებურად მზეში გარუჯულს, გულგაღეღილს, მოგზაურის დიდი და უცნაური ფეხსაცმელებით.

და აი, მისი უკანასკნელი აგვისტოს დამლევი, ახალგაზრდა ადამიანებით სავსე თბილისის ქუჩებში დაბნეული მსვლელობა პეტრიაშვილის აღმართზე და შავი, შემზარავად ლამაზი კუბო, რომელიც აქ ჩამოიტანეს.

ჩვენ, მწერლობაში მასთან ერთად მოსულთ, იგი ჩვენს ფალავნად მიგვაჩნდა. შორიდან შევხაროდით მისი ძლიერი და ლამაზი ნიჭის ზრდას. იმედი გვქონდა, რომ სულ მალე მთელი მისი მდუღარე და დაუხარჯავი ჟინი და გატაცება თავაუღებელ მწერლობაში დაიღვრებოდა.

დღეს ყველა ჩვენი იმედი მწვავე სინანულის წყაროდ იქცა და იმას, რაც ჩვენს თვალში შეუზღუდავი, მომხიბვლელად აკაშკაშებული სისცოცხლის განსახიერებას წარმოადგენდა, ანგარიშმიუცემლად ვურჩევთ ბორკილებივით ცივ და ულმობელ სიტყვებს...

მე მაინც ვფიქრობ, რომ ის დიდხანს ვერ მოისვენებს საფლავის ლოდის ქვეშ. არ ვიცი, აგვისტოს მზისაგან გავარვარებულ მიწის ალმურად, გაზაფხულზე ლოდებს შუა ამოსულ ჯიუტ ბალახად, მოულოდნელად ამომწყდარ წყაროდ თუ შემოდგომის პირზე ხევსურეთიდან მოდენილ ლეგა ღრუბლებად, – ის მაინც დაბრუნდება, მოძებნის გზას რომ კიდევ ერთხელ გვამცნოს რა უმწეოა ბნელი, უგუნური ძლევამოსილება – სიჭაბუკის ყოვლისშემძლე ძალის წინაშე.

მწერალთა შორის ვინც თავის თავს „პოლიტიკურს" დაარქმევს, იგი ან ხეპრეა ან „შარლატანი" – კონსტანტინე გამსახურდია

მცირე შემოკლებით გთავაზობთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვას წარმოთქმულს 1966 წელს საქართველოს მწერალთა VI ყრილობაზე.

კონსტანტინე გამსახურდია – მე ისე ვღელავ, ასე მგონია, ეხლა დავიწყე ორატორობა! მე არავითარი ორატორი არა ვარ, მაგრამ ვცდილობ ჩემი სიტყვა ზუსტად გამოხატავდეს ჩემ აზრს და მე მქონდა ბედნიერება და კომპარტიას მოთმინება, ისინი ყოველთვის ისმენდნენ ჩემს სიტყვას...

ჩვენ გვიხდება მოღვაწეობა ფრიად და ფრიად გამძაფრებულ პოლიტიკურ ვითარებაში.

მწერალთა შორის ვინც თავის თავს „აპოლიტიკურს" დაარქმევს, იგი ან ხეპრეა ან „შარლატანი". ეგეც არის ამხანაგებო, რომ...

(„დარბაზში ჩოჩქოლი და ჩურჩული გაისმის...)

ჩვენს საუკუნეში, ჩვენდა საუბედუროდ, პოლიტიკამ წაიღო და წალეკა კაცობრიობის მთელი გულისყური. თვით ისეთი უვნებელი ინსტიტუტი, როგორიცაა — სპორტი, ისიც პოლიტიკის საგანი გახდა.

ახლა პოლიტიკაში თვით კათალიკოსები და პატრიარქებიც კი ერევიან.

ბრძენკაცები, დიახაც წინასწარმეტყველებდნენ, რომ მე-20 საუკუნე იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის დამხობის ეპოქა იქნებაო, ასრულდა კიდეც ეს წინაწარი თქმა!

თავისუფლება მოიპოვეს თვით ოქროს ნაპირის ხალხებმა, ჯუნგლებში მოხეტიალე ფეხშიშველა ტომებიც კი გათავისუფლდნენ.

გათავისუფლდნენ ისეთი ხალხებიც, რომელთაც ენაში რამდენიმე ასეული ძირითადი სიტყვა გააჩნიათ!

„ბოროტების ინსტიტუტი" ყველგან უნდა დაემხოს და მეც იმედი მაქვს ამისი...

ქართული ენის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა – შეუქმენით თქვენს ბავშვს შესაფერი პირობები, რათა ქართულად შეძლოს განათლება, ეს დაიმახსოვრეთ!

რუსული ენა ყველამ უნდა შეითვისოს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საკუთარი ენის გადავიწყების ხარჯზე.

ასეთი „აბსურდის მოციქულები" ჩვენს რესპუბლიკებშიც გამოჩნდნენ, მაგრამ იმედი მაქვს მათ მალე ალაგმავენ!

ყოველი კეთილშობილი რუსი პატივისცემით ექცევა ქართულ ენას. თქვენ ალბათ გსმენიათ, პავლე ვასილის ძე კოვალიოვთან, მის კაბინეტში ჩემი პაექრობა, ეს შემდეგ თითქმის ანეკდოტად იქცა, თითქოს მე თარჯიმანი წავიყვანე ცენტრალურ კომიტეტში...

მე ამისთანა რამეს არ ვიკადრებდი...

მე მისი ჩამოსვლის პირველ დღესვე ვინახულე და ვუთხარი ჩემი სათხოვარი: თუ გინდათ ქართველმა ხალხმა შეგიყვაროთ, ისწავლეთ ქართული ენა-მეთქი.

მე ბრწყინვალედ ვისწავლე რუსული ენა-მეთქი, 6 წლისა ვიყავი, როცა მე რომ ლევ ტოლსტოის პატარა მოთხრობები ზეპირად ვიცოდი-მეთქი.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ პავლე ვასილის ძე კოვალიოვმა სიყვარულით სავსე წერილი მომწერა, ქართულად. თურმე ჩემს წიგნებსაც ქართულ ენაზე კითხულობს!

აი, ნამდვილი ადამიანი ეს არის...

(დარბაზში გაისმის ტაშის ხმა)

ასეთივე პატივისცემისა და სიყვარულის ღირსია: ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსეი სურკოვი, ჩვენი ცნობილი პოეტები: ბორის პასტერნაკი, ზაბალოცკი – რუსთაველის შესანიშნავი მთარგმნელი და სხვა.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა დავაფასოთ ჩვენი რუსი მეგობრები, რომლებიც გვეახლნენ ყრილობაზე: ალექსეი სურკოვი, ბორის პოლევოი, ბორის ბიკოვი, ალბერტ ბელიაევი, ათანასე სალინსკი, ანდრეი ვოზნესენსკი – ეს პირველხარისხოვანი ჩვენი ინტელიგენტები, ჩვენი შემოქმედი ამხანაგები.

ქართულ ენას თითქმის დაეკარგა ფუნქცია. ჩვენ სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებებში არ არის რუსულ ბლანკებზე ქართული წარწერა.

ალბათ ცხოვრებამ უნდა აიძულოს ამ დაწესებულებების ხელმძღვანელები ქართულად აწარმოონ საქმე.

რატომ უნდა ეწეროს ჩვენს ავტომანქანებზე რუსულად და არა ქართულად?

ქართულად უნდა ეწეროს სავაჭრო დაწესებულებებზეც – ყბა მომექცა ამის გამო ლაპარაკით!

მთელი ფელეტონები ვუძღვენი ქართულ ენაზე წერასა და ლაპარაკს... გიორგი ნატროშვილმა დამიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ ამას წინათ!

ამ 25 წლის წინათ ქართველ მწერალთა ერთ-ერთ პლენუმზე ვთქვი: ნუ დავემსგავსებით აფრიკის იმ თუთიყუშებს, რომლებსაც სხვისი გამეორების მეტი არაფერი შეუძლიათ. ჩვენ ყველაფერში სხვას არ უნდა მივბაძოთ და უშნოდ უნდა მივბაძოთ!

კარგ რამეში დიახაც არ უნდა მივბაძოთ, იმაში, რაც სასარგებლოა ჩვენთვის...

რუსეთს უდიდესი და უმდიდრესი გამომცემლობა გააჩნია, ჩვენი გამოცემები მათ ვერ შეედრება... ახლა შემოიღეს – „წიგნის ფასების ნომინალი“ – ეს ის ფონია, სადაც ნიჭიერი იხრჩობა და უნიჭო გადის ფონს...

ჩვენს პირობებში დიახაც ესაჭიროებათ „ხალტურისტ“ მწერლებს ეს ე.წ. ნომინალი, მაგრამ ნამდვილ და დიდ მწერლებს, ის არა სჭირდება.

ვის უხაროდა, როცა ჩემს წიგნს 25 მანეთი ეწერა! – ეს გამოცდა იყო წიგნისა და ავტორისა!

„ნომინალი“ – ხელსაყრელია ხელმოცარული მწერლებისათვის, თუმცა მათ ხშირად „ნომინალიც“ არ შველით...

ერთმა „გაცინიკებულმა“ ავტორმა ასე უთხრა „სახელგამის“ დირექტორს: „თქვენ მე ფული მომეცით და ჩემი წიგნები, თუ გნებავთ, ტუალეტებში წაიღეთო“. – ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის, მაგრამ ეს შემთხვევა ძალზე გამოდგება იმ უნიჭოთა დასახასიათებლად...

ასეთი ავტორები რყვნიან, ღლიან ჩვენს ახალ თაობას, რყვნიან ხალხის ესთეტიკურ გემოვნებას. დიდი ხანია აგრე ვამბობ, მაგრამ ამ „ხალტურისტების“ მომრევი ჯერ ვერა ვნახე!

ამ ბოლო ხანს გახშირდა ჟურნალისტებისა და ნარკვევების „მჯღაბნელების“ – მიერ ატეხილი აურ-ზაური რომანის ვითომდა კრიზისის გამო. უნდა მოგახსენოთ ერთხელ ნათქვამი მაქვს და კიდევ ვიმეორებ, რომ კრიზისი ავტორების უცოდინართა თავშია და არა რომანების წერაში.

რომანი, როგორც ჟანრი, განვითარდა და თავის აპოგეას მიაღწია ბურჟუაზიული ევროპის მეცენატობითა და გამომცემელთა მეოხებით.

საქართველოში მოხდა დაფუძნება და აღორძინება თანამედროვე რომანისა... ეს მე არაერთხელ გამიცხადებია...

მე უკვე მოვიპოვე უფლება, ყოველ კაცს იმდენი უფლება ვუძღვნა, რამდენიც მას დაუმსახურებია...

თუ ჩემმა რომანებმა მსოფლიო რეზონანსი მოიპოვეს, ეს გახლავთ ჩემი გამომცემლობების ხელმძღვანელების: მამია მეგრელიშვილის, ელგუჯა მაღრაძის, ხუტა ბერულავას, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილის და სხვათა მფარველობის შედეგი. ისინი კარგად მუშაობენ, მაგრამ ისინი შეზღუდულნი არიან თავიანთი შესაძლებლობებში.

ეს ანომალია არ მოისპობა, სანამ არ მოისპობა უნიჭო ლექსების ნიაღვარის ბეჭდვა, ჩვენი გამომცემლობები ისე ფონს ვერ გავლენ...

„რკინის ცოცხია“ საჭირო, რომ ეს „წუნდებული“ პროდუქცია განიდევნოს მწერლობიდან, თეატრიდან და მეცნიერებიდან!

საჭიროა ტელევიზიასა და რადიოსაც მოვუქნიოთ თითო წკეპლა!

თავი წაგვჭამეს უნიჭო უცხოური და რუსული გადმოცემებით. აქაც შენიშვნები მაქვს ქართული ენის, სიმღერებისა და მუსიკის მიმართ!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტრიბუნიდან აღვნიშნე ერთხელ: ჩვენი აკადემიის ჟურნალები ნამეტანი მიეძალნენ ქართულად და რუსულად პარალელურად ტექსტების ბეჭდვას.

სჯობს ქართულად დაბეჭდონ ცალკე, რუსულად კი – ცალკე გამოცემებში.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა პრაქტიკაც არ უნდა დაგვავიწყდეს – პირდაპირ გაუგებარია ის გარემოება, რომ არც საქართველოს აკადემიას, არც თბილისის სახელმწფიო უნივერსიტეტს, არა აქვს მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება!

ისევე ვკითხულობ, ნუთუ ეს არის საქართველოს ნაციონალური პოლიტიკა?

ასეთი რიტორიკული შეკითხვით დაამთავრა ბატონმა კონსტანტინემ თავისი გამოსვლა, შეკითხვით, რომელიც თავის თავში პასუხსაც შეიცავდა... (ნ. დ.)

კონსტანტინე გამსახურდია ქართველ მწერლებთან

ზინა დიაკონიძე

ცოცხალთვალოს მეჯოჯოლეთუხუცესი

მინდა შემოგთავაზოთ კონსტანტინე გამსახურდიას საინტერესო მოგონებები გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილზე – ექვთიმე თაყაიშვილზე, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა ჩვენთაგანისთვის დღემდე სამაგალითოა. (გადაცემის ავტორია ჟურნალისტი **ზინა დიაკონიძე**, ჩაწერილია 1967 წელს).

კონსტანტინე გამსახურდია – ახლო წარსულში სამმა დიდმა მამულიშვილმა კიდევ ერთხელ დაამშვენა ჩვენი საქართველო. ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ძველ ეპოქებში რომ ეცხოვრათ, მათ უეჭველად წმინდანებად შერაცხდა ჩვენი ხალხი და ჩვენი ტაძრების ძვირფას ფრესკებს მიემატებოდა სამი სათაყვანებელი ხატება.

კონსტანტინე გამსახურდია

სამივე გმირულად დაიღუპა. დიდი და მძიმე შრომით დამძიმებული მათი ცხოვრება, მოწამებრივი სიკვდილით დასრულდა.

აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი გავიცანი 1918 წელს. ისე მეგობრულად მექცეოდა, თითქოს მე მისი თანატოლი ვყოფილიყავი.

მთავრობის სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომ წლებში საჯარო ბიბლიოთეკად იქცა, მის განკარგულებაში იყო. ის დაბეჯითებით მირჩევდა ქართული ქრონიკები საფუძვლიანად შემესწავლა და მათთვის პოეტური ეკვივალენტები შემექმნა.

იმჟამად, მე უპირატესად იტალიისა და საერთოდ ევროპის ისტორიით ვიყავი გართული. მიუხედავად ამისა, ენერგიულად მივყავი ხელი ქართული ქრონიკების შესწავლას. ამავე ხანებში დამიმეგობრდა ივანე ჯავახიშვილი. ორივენი მთხოვდნენ, ევროპაში მიმავალს: ვატიკანის, ბერლინის და პარიზის ბიბლიოთეკები შემესწავლა და შემდგომ ამისა, მოთხრობები და რომანები დამეწერა.

ივანე ჯავახიშვილი მთხოვდა ნიურბერგს ვწვეოდი, რადგან იქ ეგულებოდა შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ ცნობები. მე წავედი კიდეც ნიურბერგს, მაგრამ იქ წავაწყდი მხოლოდ ჯვაროსანთა ისტორიებსა და ქრონიკებს.

1923 წელს პარიზში ვინახულე ექვთიმე თაყაიშვილი. ის ხანგრძლივად მესაუბრებოდა საქართველოს საკვანძო საკითხების გამო. ცნობილია, რომ 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილი თან გაჰყვა მენშევიკების მიერ წაღებულ საქართველოს სიძველეთა საგანძურს და „ცერბერივით“ დარაჯობდა მას მრავალი წლის მანძილზე.

იმ წელს, მე თითქმის 8 თვე ვმუშაობდი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იმ ხანებში „დიონისეს ღიმილს“ ვწერდი, თანაც აღმოსავლეთის ისტორიას ვსწავლობდი, მაგრამ ჯერ არც კი მქონდა კონკრეტულად განზრახული რაიმე დამეწერა ჩემი ქვეყნის ისტორიის შესახებ.

წლის ბოლოს მე ტოკიოში მიწვევდნენ გერმანული ლიტერატურის კათედრის დასაკავებლად. ბოლოს მდგომარეობამ მოითხოვა ჩემგან სამშობლოში დავბრუნებულიყავი და ერთ საღამოს საბოლოოდ ვეწვიე ექვთიმეს. მან ძალიან გაიხარა, ჩემი განზრახვა როცა გაიგო – შენისთანა ახალგაზრდა რომ ვიყო – და აქ მან სიტყვა ტალანტი ახსენა, შენისთანა წერის ტალანტი რომ გამაჩნდეს, მე დაუყოვნებლივ წავიდოდი და მხოლოდ საქართველოს შევალევდი ჩემს ძალასა და ღონესო. ხომ ხედავ, რა განსაცდელშია ჩვენი სამშობლოს უძვირფასესი საგანძურები? სანამ პირში სული მიდგას, მე მათ უნდა ვუდარაჯო აქაო!

1940 წელს მე ვიმოგზაურე სამხრეთ ოსეთში, მოვინახულე შესანიშნავი ქართული ტაძრები და სამი უძველესი ბაზილიკა. თან დამყვებოდა ერთი ცალთვალა მოხუცი ოსის კაცი, რომელმაც 4 საათის მანძილზე მომატარა 14 კილომეტრი ფეხით. როცა ერთ უძველეს ბაზილიკას მივადექით, ჩემმა მეგზურმა ვერ მითხრა ამ ტაძრის სახელი – დღესაც არ ვიცი რა ერქვა ამ ძეგლს. ესღა მითხრა მხოლოდ:

ექვთიმე თაყაიშვილი

– აქ არავინ ამომიყვანია თქვენი და კიდევ ერთი კოჭლი კაცის გარდა, რომელიც 20 წლის წინათ მოგზაურობდა, გამოვკითხე სხვა დეტალებიც და მივხვდი, რომ ეს „კოჭლი კაცი“ – ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

აგრე დაუღალავად დადიოდა მთელს საქართველოში და ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს პროვინციებში, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, მისი კულტურისათვის თავდადებული ექვთიმე თაყაიშვილი, მრავალი ათეული წლის განმავლობაში, გულმოდგინედ აგროვებდა უძველესი ქართული კულტურის ძეგლებსა და ძეგლთა ნამუსრევებს.

ის იყო დიდი მკვლევარი, უდიდესი არქეოლოგი, წყაროების უბადლო მცოდნე, შესანიშნავი ანალიტიკოსი. მისი დიდი მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, ჯერაც მთლიანად არაა გამოცემული.

ექვთიმე თაყაიშვილმა დაღუპვას გადაარჩინა უბრწყინვალესი ისტორიული ძეგლი – „ხელმწიფის კარის გარიგება“ – უბადლო დოკუმენტი, სადაც პირდაპირ მხატვრული სიზუსტითაა აღწერილი ქართველ მეფეთა ცერემონიალები და „კარის წესრიგი“.

ჩვენი წარსულის ისტორიული საბუთების დაღუპვის მიზეზი იყო ის კატასტროფიული „ინვაზიები“, რომელთაც შემუსრეს ისინი, გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი – ჩვენი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გულგრილად უყურებდა ჩვენს ძეგლებს.

როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილმა „ხელმწიფის კარის გარიგება“ იპოვნა ერთი დიდაზნაურის კარის ზღურბლთან. როდესაც ვიღაც უცნობი, გარეთ ყრიდა ამ შესანიშნავი ძეგლის ფურცლებს.

თავად ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხელნაწერის სასწაულებრივ გადარჩენას ჩვენი ისტორიის ზეიმს უწოდებდა. ამ ძეგლის სათანადოდ შესწავლამ, მე დამაწერინა – კონსტანტინეს „დიდოსტატის მარჯვენისა“ და „დავით აღმაშენებლისა“ ზოგ-ზოგი პასაჟები.

„კარის გარიგების“ წინასიტყვაობაში ავტორი სამართლიანად ახსენებს – არსენ იყალთოელს და მის 16 მარცვლოვან ლექსს, დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას:

„როს ნაჭარმაგევს მეფენი,
შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი,
საზღვართა გარეთ გამეხსნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან,
იმერთა წყალში შთამეხსნეს,
აწრე ამათსა მომქმედსა,
გულზედა ხელი დამეხსნეს“.

ეს ლექსი საყურადღებოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ეხება ჩვენი ქვეყნის უდიდეს მოამაგეს – დავით აღმაშენებელს, იგი დაწერილია ცნობილ მწიგნობრის – არსენ იყალთოელის მიერ, ამ ლექსმა საუკუნე-ნახევრით გადასწია ქართული „ბოლო რითმოვანი“ ლექსის გამოჩენა.

„ბოლო რითმოვანი“ ლექსი არა ჰქონია არც ერთ ევროპელ ხალხს. თვით იტალიური პოეზიის გენიამ, ამგვარი ლექსი შექმნა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში, იგულისხმება დანტე და პეტრარკა.

ჩვენი თაობების თვალწინ მოღვაწენი და მწერალნი განა ყველანი იყვნენ ღირსნი სახელწოდებისა – მამულიშვილნი?! ბარე ორმა მეცნიერმა შეირცხვინა თავი უსაგნო და ამორალური კვლევით.

ამ კოსმოპოლიტებს არც კი ესმოდათ, რომ იმ მეცნიერსა და მწერალს არ სცემდნენ თაყვანს, ვინც თავის მოღვაწეობაში ჭეშმარიტ მამულიშვილურ პოზიციებზე იდგა.

ყოველივე მეცნიერება, ყოველგვარი მწერლობა, უსაზმნოა – თუ ეს კეთილშობილური ზრახვებით არაა გასხივოსნებული! ხალხი მისანია თავის მოღვაწეთა შეფასებაში და ნურვის ეგონება – მე დიდი მოღვაწე ვარ და პატრიოტიზმი რა ბედენაარ!

საგაზეთო წერილში შეუძლებელია აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა სრულყოფილი მიმოხილვა; მან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეალია ქართული კულტურის ძეგლთა აღმოჩენასა და შესწავლას. მარტო მისი მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში კოლოსალური ცოდნითა და სიყვარულითაა დაწერილი; ისე, როგორც ჩვენი დიდი ილია და სულმნათი ივანე ჯავახიშვილი წავიდნენ ჩვენგან გულნატკენნი, მაგრამ მადლიერნი ქართველი ხალხისა, დღეს მთელი ერი მუხლს იყრის სამივე მამულიშვილის საფლავის წინაშე.

როლანდაც ერი თავის გმირებს ვერ ივიწყებს

1965 წლის აუდიო ჩანაწერის
ავტორია, ჟურნალისტი,
გივი დვალიშვილი

ანა ანტონოვსკაია

„ამ წიგნმა სიცოცხლე შემინარჩუნა“ – იგონებს სამამულო ომის მონაწილე, მემანქანე **ალექსანდრე მნათობიშვილი**.

– ეს მოხდა 1942 წელს, ქ. მოსკოვის მისადგომებთან... ამ პერიოდში, ჩვენმა ჯავშნოსანმა მატარებელმა დიდი ბრძოლები ჩაატარა... ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენ ცეცხლმოდებულ პატარა დაბა კლანში შევიჭერით და ეს ქალაქი გერმანელებისაგან გავათავისუფლეთ... ცოტა შევისვენეთ და მეორე დღესვე გერმანელებმა დამატებითი ძალები მიიღეს და ტანკებით შემოგვიტიეს... ჩვენ ლამის ტყვიის წვიმაში მოგვაქციეს... ტყვიამ ჩემი ჯავშნოსანი მანქანა შემოანგრია და ანა ანტონოვსკაიას წიგნი „დიდი მოურავი“ გამოგლიჯა... წიგნი უბეში მედო და ვკითხულობდი-ხოლმე...

– როგორ მოხვდა ეს წიგნი თქვენთან?

– იმ დროს, როდესაც ჩვენ უკან დახევის ბრძანება მივიღეთ, ჩვენმა კომისარმა დაგვიძახა და ყველას, გულის გასამაგრებლად, სხვადასხვა წიგნი ჩამოგვირიგა. მე „დიდი მოურავი“ ავირჩიე წასაკითხად.

იმ ბრძოლების შემდეგ, როდესაც ჩემი ჯავშნოსანი მანქანა მოსკოვში შესაკეთებლად დავაბრუნეთ, ჩვენთან იყვნენ ჩამოსული მწერლები საქართველოდან, პოეტ ირაკლი აბაშიძის ხელმძღვანელობით. ისინი ხვდებოდნენ ქართველ მეომრებს, ამხნევებდნენ, უკითხავდნენ ლექსებს. ეს ჩემი ნატყვიარი წიგნიც კომისარს ირაკლი აბაშიძისათვის უჩვენებია. ირაკლის წამოუღია ის საქართველოში და ლიტერატურის მუზეუმისთვის უჩუქებია. ახლაც, როგორც მე ვიცი, იქ ინახება სათუთად.

ამ წიგნის შესახებ მე მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაზეთის საშუალებით შევიტყვე, სადაც ეწერა ჩემი საბრძოლო ისტორია და ჩემი მინაწერი...

ბრძოლის დროს ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ წიგნზე ჩემი სამადლობელი სიტყვა დავწერე. მადლობა ამ წიგნს, რომ მე სიცოცხლე შემინარჩუნა მეთქი; მადლობა ქალბატონ ანა ანტონოვსკაიას ასეთი შესანიშნავი წიგნის დაწერისათვის. ის რომ უინტერესო ყოფილიყო, დამერწმუნეთ უბეში არ შევინახავდი და გულამდე ტყვიას კი სულ 7 მილიმეტრი ჰქონდა დარჩენილი...

(ინტერვიუს ანა ანტონოვსკაიასთან აგრძელებს ჟურნალისტი გივი დვალიშვილი)

მწერალი ანა ანტონოვსკაია – წერა 7 წლის ასაკიდან დავიწყე. ვწერდი, ვთხზავდი ათასგვარ ზღაპრებს, რომლებიც ჩემს გარშემო მყოფ ბავშვებს ძალიან მოსწონდათ!

გადიოდა დრო და მინდოდა შემექმნა, რაღაც უფრო ღირებული, ამაღლებული, როგორ დავწერე „დიდი მოურავი“? მიჭირს ახლა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვიტყვი: საქართველო 350 წლის განმავლობაში არ ივიწყებდა თავის გმირს, დიდებულ მხედარმთავარს, გიორგი სააკაძეს.

მე საქართველოს, კერძოდ კი, თბილისის გაზრდილი ვარ და სხვებთან ერთად თაყვანს ვცემდი ამ დიდებულ პიროვნებას. ბევრი მონოგრაფია დაწერილა გიორგი სააკაძეზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინმე იოსელიანის მიერ 100 წლის წინანდელი გამოცემა, ის სულ 83 ფურცლიანია... მე კი გიორგის სახის შესაქმნელად დამჭირდა 200 გვერდი და 30 წლის სიცოცხლე...

მე დამაფიქრა იმ ამბავმა, რომ გიორგი სააკაძეზე ამ წიგნში ეწერა მხოლოდ ძუნწი ბიოგრაფიული ცნობები. ძუნწად იყო მოთხრობილი მის საბრძოლო ამბებზე, თანამებრძოლებზე, იმ ციხე-მონასტრებზე, სადაც ის იმალებოდა. იმ გზებზე, სადაც მას გაუვლია... და მეტი არაფერი... მე შევეცადე ჩავწვდომოდი მის პიროვნებას, მის გამარჯვების სურვილს... და აი, ამ თემაზე სამუშაოდ მიბიძგა ერთმა შეხვედრამ...

ერთ დღეს გიორგი სააკაძის მოხსენების დღეებში მეგობრებთან ერთად ჩავედი სოფელ ნოსტეში, სადაც ვნახე მე-13 საუკუნის ციხე-სიმაგრე. დილაადრიან ავდექი, მინდოდა მზის ამოსვლა მენახა, თან ტაძარს ვათვალიერებდი. აქ მზის ამოსვლა ძალიან უჩვეულო იყო, რაღაც ღვთიური, მადლიანი. ამ სისხამზე უცნობი მოხუციც შევნიშნე.

– ამ ალიონზე ლოგინიდან ვინ წამოგაგდოთ? – ხუმრობით მკითხა მოხუცმა...

– თქვენ რაღამ მოგიყვანათ ტაძარში-მეთქი – დავუბრუნე შეკითხვა...

– მე გიორგი სააკაძესთან შესახვედრად აგერ უკვე რამდენი წელია დავდივარ და ვერა და ვერ შევხვდი – მიპასუხა მოხუცმა და სევდიანად ჩაიღიმა.

– ის ხომ 300 წლის წინათ მოკვდა, აქ როგორ მოვა-მეთქი?

– მანამ ერთ ქართველს მაინც ემახსოვრება მისი სახელი, ის ყოველთვის იცოცხლებსო – ჯიბრიანად მიპასუხა მოხუცმა.

დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე, მხატვარი ირაკლი თოიძე



სპარტაკ ბაღაშვილი და აკაკი ხორავა (კ/ფ „გიორგი სააკაძე“)

მე მომეჩვენა, რომ სწორედ მაშინ გამიჩნდა გიორგი სააკაძის „გაცოცხლების“ საოცარი სურვილი. მინდოდა რაიმეთი მაინც დავხმარებოდი ამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცს.

– სწორედ ამ დღეს წავიდა საქართველოდან, შვილო, და დაიბარა, რომ უკან უეჭველად დაბრუნდებოდა, ის ისეთი პიროვნება იყო, პირობას, სიტყვას არ გასტეხდაო... – თქვა მოხუცმა. თავზე ქუდი მოიხადა ელოდა საყვარელი მხედრის გამოჩენას... მერე ჩუმად ჩაილაპარაკა – 20 წელია, რაც აქ დავდივარ, კიდევ ვივლი, სანამ მუხლი მემორჩილება... და მაინც შევხვდებიო...

მზე ნელ-ნელა გადაიხარა და მთებს მიეფარა... გიორგი სააკაძე კი არსად სჩანდა!

მერე მომიყვა თავისი მამა-პაპისაგან გაგონილ ამბებს, რომლებიც ჩემს წიგნში შესანიშნავ ნოველებად იქცა. ერთ-ერთი ნოველა მოგვითხრობს, თუ როგორ ეკამათა მზე ღმერთს და ღმერთმა როგორ დამალა მისი სინათლე ბროწეულში, როგორ გაწითლდა შიგნიდან მზისგან ბროწეული...

განშორებისას მოხუცმა მითხრა, როცა აქ მოხვალ უსათუოდ შემომიარე, კიდევ ბევრ ამბებს მოგიყვებიო. ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ისე წამოვედი იქიდან, არავისთვის მომიყოლია ეს შემთხვევა.

ასე მეგონა, ამ მოხუცმა მთელი ქართველების უზარმაზარი საიდუმლო გამანდო... ის ოცნება, რომ ოდესმე მოვა ადამიანი, რომელიც ქართველ ხალხს დაუბრუნებს მზის სინათლეს და თავისუფლებას!

გავიდა დრო... ეს თემა არ მასვენებდა... დავიწყე ისტორიული ლიტერატურის ძებნა, მატიანეებს გადავხედე, 13 წელიწადს ვსწავლობდი იმ ეპოქას, რომელშიც გიორგი სააკაძე ცხოვრობდა. თავიდან ვსწავლობდი ქართული ენის გრამატიკის ფორმებს, მე ვიცოდი ლაპარაკი ქართულად, ვწერდი როგორც ქართულად – ასევე რუსულ ენაზეც, ვთარგმნიდი. მინდოდა, რომ თხრობა ყოფილიყო მეტად დამაჯერებელი, მეტყველება გამართული.

ვიგრძენი, რომ მძიმე სამუშაოს შევუდექი, ღამეებს ვათენებდი... მაგრამ ვიცოდი, რომ მხოლოდ ამ წიგნით გადავუხდიდი სამადლობელს იმ ქართველ მოხუც კაცს... ჩემს წიგნში დახატული ყოველი მოხუცი თავისი სულიერებით, ამ ნოსტელი გლეხის პროტოტიპია... მე დავხატე მისი მანერები, მისი პორტრეტი... ამ საქმეში გვერდით მედგნენ ქართველი პოეტები და მწერლები, რომლებიც, როგორც სიტყვით, ასევე საქმით, გამოხატავდნენ ჩემს თანადგომასა და მხარდაჭერას...

გივი დვალიშვილი – ქალბატონო ანა, გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს და მინდა გისურვოთ კიდევ ერთხელ დაიპყროთ მილიონობით მკითველის გული...

ამ წიგნით, „დიდი მოურავით“, თქვენ ქართულ ლიტერატურაში დარჩებით არა მარტო როგორც წიგნის ავტორი, არამედ როგორც ერების დამაახლოვებელი... გიორგი სააკაძე და მისი საგმირო საქმეები თქვენი წყალობით გაიცნო არა მხოლოდ რუსმა ხალხმა, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხებმაც...

თქვენი დიდი მოწადინებით გახდა გიორგი სააკაძე ქართველი ერის ტკივილი და სიამაყე, მრავალი ადამიანის სიყვარული.

ჩანაწერის ავტორია
სოსო სიგუა

...ლირიკა „ლიტერატურულ-ჰეგემონისტებმა" მოიხსნან მაგიურობის დაძველებული სათვალე...

მინდა შემოგთავაზოთ 1986 წელს, საქართველოს X ყრილობაზე საბავშვო მწერლობის პრობლემებზე, რევაზ ინანიშვილის საინტერესო სიტყვა, რომელიც დღესაც ყველასთვის თანადროულია.

მწერალი რევაზ ინანიშვილი – ამ რამდენიმე წლის წინათ, აქ ამ ტრიბუნაზე, მწერალთა ყრილობაზე გამოვიდა მომხსენებელი, რომელიც საბავშვო ლიტერატურაზე ლაპარაკობდა. მან თქვა, რომ განა საბავშვო არ არის: გალაკტიონის – „ნიკორწმინდა", მ.მაჭავარიანის – „სულხანსაბა", რ.მარგიანის – „მირანგულა", ო.ჭილაძის – „თაკო და ზაზა"?! თითქმის ყველა გამორჩეული ლექსი, ყველა გამორჩეული პოეტებისა, ლექსების განხილვის შემდეგ კი იმსჯელა ნ. დუმბაძის „დიდროზე".

რევაზ ინანიშვილი ოჯახთან ერთად

ტრიბუნის იქით კი ყოველთვის ისმის, რომ საბავშვო მწერლობა ნამდვილ ლიტერატურაში ხელმოცარულთა, უნიჭოთა, ნამდვილ თავშესაფარიაო. ეს სიცრუეა! იყო კურიოზული ვითარებაც. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას წლების მანძილზე განაგებდა საბვშვო ლიტერატურის არმცოდნე... სამწუხაროდ, მათ წინააღმდეგ მხოლოდ ისინი იბრძვიან, რომლებიც თვითონ მუშაობენ საბავშვო მწერლობაში და „ლიტერატორ ჰეგემონისტთა" თვალში, ნამდვილ მწერლობაში ხელმოცარულ უნიჭოებად სჩანან.

თვით ასტრიდ ლინდგრენიც კი, როცა ხმას იმაღლებს საბავშვო მწერლობის დასაცავად, თავის თავს იშვიათად ენდობა და ნობელის პრემიის ლაურეატს მიმართავს, ისააკ ბაშეკი სინგერს, რომელიც ამბობს:

„ხუთასამდე მიზეზი მაინც არსებობს იმისათვის, თუ რატომ დავიწყე წერა ბავშვებისათვის და აქედან მხოლოდ რამდენიმეს ვიტყვიო: – იმიტომო, რომ ბავშვები თავიანთ წიგნებს კითხულობდნენ და არა რეცენზიებს ამ წიგნებზეო; აინუნში, რომ არ მოსდით კრიტიკოსების ნალაპარაკებიო, ფსიქოლოგია რომ არ აინტერესებთ, სოციოლოგიას რომ ვერ იტანენ. თავს რომ არ იჭყლეტენ, რომ გაიგონ კაფკა და ძველებურადვე რომ სჯერათ: – საიდუმლოებებისა, ოჯახისა, ანგელოზებისა, ეშმაკებისა, კუდიანებისა, გნომებისა... ლოგიკისა, სინათლისა, პუნქტუაციისა და სხვა ასეთი „ძველმოდური" გამონაგონებისა. ბავშვებს წარმტაცი ამბები რომ უყვართ და არა სქოლიოები, კომენტარები..."

ეს არის გულწრფელი ღაღადისი იმისა, რომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ბევრი, რაც შეიძლება ბევრი, მაგრამ ვასწავლოთ იმგვარად, რომ არ წავართვათ ადამიანის უძვირფასესის მონაკვეთი – ბავშვობა.

ბავშვობის წლები, დღეებიც კი მთელ წელიწადად სჩანს, დროთა სვლის კიბიდან.

არ წავართვათ პატარებს მიამიტობა, ბუნებრიობა, თავისთავადობა, სამყაროს გაოცებული თვალებით შეგებების უმშვენიერესი უნარი. არ წავართვათ უცნაურობაც... თავისებურებაც, ამასთანავე შევუნარჩუნოთ ინდივიდუალიზმი...

მოვიგონოთ რას ამბობდა ვაჟა-ფშაველა „...და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს, სულით მდიდარს, რაიც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალიო..."

ხალხო, XX საუკუნეა ჩახჩახა ელექტრონიკის ეპოქა და უკვე დროა „ლიტერატორ-ჰეგემონისტებმა" მოიხსნან „მაგიურობის" დაძველებული სათვალეები. ცოტა „მოუბრალოვდნენ", ცოტა მუხლებში ჩაიხარონ, დაბლაც, მიწაზეც, უამრავი რამ არის საინტერესო, თორემ ეს „ციურ ღრუბლებში თავშებრძოლება" ცუდ გავლენას ახდენს „სუსტებზე".

ასეთი „სუსტები" კი მრავლად არიან ყველგან: ისინი ბროშურას უწოდებენ მერაბ ელიოზიშვილის „დიდედებსა და შვილიშვილებს", თვით

ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობსაც“ და დიდად არ იცხელებენ თავს თუ ეს „ბროშურები“, როგორ მოევლინებიან ქვეყანას: რა ნახატით, რა ყდით, რა ქაღალდით, რა ტირაჟით და საერთოდ მოევლინებიან თუ არა ქვეყანას!

მე-20 საუკუნის ბოლოა და „გულუბრყვილო, კეთილი დიასახლისები“ კიდევ ჩაუღრმავდებიან ათასობით ტირაჟით გამოსულ შავყდიან ტომებს... ჩემი აზრით, ზურგი უნდა შევაქციოთ ცალკეულ უბირთ, უნიჭობას, და არა მთელ ლიტერატურულ დარგს. სხვა არა იყოს რა, საბავშვო ლიტერატურა ხმით ყველაზე უმცროსია, სხვა დარგთა შორის უმცროსებს კი მეტი მოფერების მიღების უფლება მიჰმადლა ღმერთმა.

ჩვენ ბევრნი ვართ. ჩვენს ნაწარმოებებს ბეჭდავენ საგანგებო გამომცემლობები. გამომცემლობა „ნაკადულმა“ უკანასკნელი 5 წელიწადში 712 დასახელების წიგნი დაბეჭდა მოზარდისათვის. ამ წიგნებში დიდია ქართველი მწერლების წილი...

წარმოებს მუდმივი ბრძოლა, რომ ჩვენს მიერ გამოცემული წიგნების პოლიგრაფიული დონე კოშმარულად არ ჩამორჩებოდეს თანამედროვეობის მოთხოვნილებას. რომ 20 000 ცალად გამოშვებული წიგნი არ ყოფნის თვით თბილისის ბავშვებსაც კი! ასეთია გამოცემული წიგნების უმაღლესი ტირაჟი. (დღეისათვის არც ეს აქვთ ქართველ ბავშვებს! ნ.გ.)

ჩვენ ვცდილობთ წინ აღვუდგეთ თვითნებობას საგამომცემლო საქმეში, ვინც „რიგს, ჯერს აწესებენ და პირველნი თვითონვე ჰყოფენ ხელს „თაფლიან ჯამში“. ვაღიაროთ, რომ მთავარი მაინც ეს არ არის... უნდა ჩავუფიქრდეთ თუ რას ვწერთ, როგორ ვწერთ... რა წარმატებები გვაქვს...

ნამდვილად თუ ვიკითხავთ, გვაქვს მკერდის გამობერვისა და ხმის დაბოხების უფლება? დამაეჭვებს თამამი პასუხი – დიახ. ჩვენ ბევრი მოგვეთხოვება და გვთხოვენ კიდეც – დიდებიც და პატარებიც კი, გარკვეული ასაკიდან... და ეს არც არის გასაკვირი, მათთვისაც არსებობს საერთო, მსოფლიო ლიტერატურა, კარგად, ხარისხიანად დასურათებული, და რაც მთავარია, გვერდით ჰყავთ ადრინდელთათვის სრულიად უცხო და ახლანდელთათვის ნაცნობი, „ფენომენალური აღმზრდელი“ – ტელევიზორი.

აი, ეს არის მთავარი, მეგობრებო, ამ პოზიციებზე გვაქვს მთავარი საბრძოლველი.

ჩვენი ნაწერები გულგრილად არ უნდა მიატოვოს ბავშვმა, როცა თავისკენ ეწევიან სხვათა მიერ უკეთესად შექმნილი წიგნები, ტელევიზორი კი კიდევ უფრო მაცდუნებელი ძალით იზიდავს თავისკენ!

ნუ გვატყუებს საბავშვო ნაწარმოებთა გარეგნული სიმარტივე! ნუ ვაკეთებთ უკვე თქმულით „იოლ ვარიაციებს“; ნუ ვიყენებთ საკუთარ და მით უფრო, სხვათა მიერ შექმნილ თარგებს!

ნურავინ დაისახავს ეტალონად საკუთარ „საამქროსეულ მიღწევებს“... ვიყუროთ ფართოდ და გამუდმებით ვიმუშაოთ საკუთარ თავზე... გამუდმებით შევიცნოთ და ვისწავლოთ, თორემ ერთხელაც გავიმეორებ, მე-20 საუკუნის ბოლოა „დიდთავიანი ბავშვების“ ერა, ამ ბავშვებს უფრო უჭირთ გულისა და ნერვიული სისტემის მხრივ, ადრინდელ ადამიანებთან შედარებით, მაგრამ გონებით... ტყუილად არ დადის ერთი, მეტად საყურადღებო, ლეგენდა:

– ფოტოგრაფი ბავშვს სურათს უღებდა და ძველებურად იძახდა: – აბა, ჩიტი, ჩიტი გამოფრინდება ახლაო...

ბავშვმა კი უთხრა: – ბიძია, ობიექტივი გაქვს გასასწორებელიო...

არც ერთ მწერალს არ ვუსურვებ ამ ფოტოგაფის დღეში ჩავარდნას...

თამაზ ხმალაძე

ყიდევ ერთხელ სიყვარულზე

გთავაზობთ მწერალ რევაზ ინანიშვილის 2 მინიატურულ მოთხრობას ხალხურ მოტივებზე, რომელსაც რადიოს ოქროს ფონდი დიდი რუდუნებით ინახავს. მოთხრობებს კითხულობს ავტორი თავისებური იუმორით, მადლიანი ქართულით... ჩანაწერის რედაქტორია – **თამაზ ხმალაძე**.

(1984 წელი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი „სიყვარულის საღამო“).

„დახასიათებული“

ავტობუსი კახეთიდან მოდის... ზის ერთი, მთვარესავით განათებული, ჩასაფერავებული კაცი და მთელი ქვეყნის გასაგონად ლაპარაკობს:

– მე ჩემი ცოლისა ისიც არ ვიცი, რა ფერის თვალები აქვს. რაც ჩემი ცოლი გახდა ჩემთვის სახეში არ შეუხედავს. დგას – თავდაღუნული დგას, დადის და – თავდაღუნული დადის...

– ერთად ხომა წევხართ, კაცო? – კითხულობს წინიდან ვიღაცა...

– მაშინ კიდევა ბნელა, გათენებას კიდევა ის არ აცდის. რაც არ უნდა ადრე ავდგე, ის უკვე ფეხზეა და ან ღუმელში აქვს ცხვირი წაყოფილი და უბერავს, ან არადა ცხენს მიუძღვის ჩუსტის წვერებზე ყურებით, წყალზე მიჰყავს.

– აი, ჭამის დროსა, ჩვენ რომ დაგვსხავს, ჯამებზე გადმოგვიღებს კერძსა, დაიმკლავებს ქვაბზე, წამოუსვამს პურის ნატეხს და ისევე ქვაბში ჩაშტერებული შესჭამს...

რასაც რომ კოვზი ვერ მოსდებს პირსა, ის არის იმისი სარჩო და მარჩენალი.

45 წლისაა და წონით კიდევ ორი ინდაური უფრო მძიმე გამოვა იმაზე... ლაპარაკი არ იცის. მარტო ერთხელ გავიგონე იმისი მასლაათი.

ძალიან მთვრალი მივედი შინა, ვენახში ბობღვით. გამიხდა გული ცუდად, ის კიდევ მიბრუნდა და მიდის.

– სად მიხვალ მეთქი, ქალო? – ვუყვირე.

– შენ დამბადებელთან უნდა გადავიდე და ვირი უნდა მოვთხოვო, შენ ხომ ხელს ვერავინ მოგკიდებს, ისე უნდა აგათრიო სასაფლაოზეო!

ჩემი ცხენი ბიძაშვილსა ჰყავდა მთაში, ამის თქმა იყო და თოფდაცემულსავით გამოვფხიზლდი, წამოვდექი და „აუღე ჩესტი“. რომ არ გამომფხიზლებოდა, რაცა თქვა, იზამდა კიდეცა.

მე შენ გეტყვი გადახედვა-გადმოხედვას დაიწყებდა გზაში და ვინმე გადაათქმევინებდა. თავდაღუნული რასაც იტყვის, აასრულებს კიდეცა!

უჩემოდ ორი ხანჯალი მაინც ექნება დამალული სადმე. გოგო ძალიან ლამაზი გვყავს, რა ვიცი ვისი წყალობითაა...

შავთავსაფრიანი დედაბერი ეუბნება:

– აი, შე, ფინთო, ფინთო დამხასიათებელო!

– ეს რაღას ნიშნავს? – ვეკითხები დედაბერს.

– რასა და სულ სხვებს რომ ახასიათებს და ყველაფერს ამრუდებს, აუკუღმართებს...

მთვარესავით განათებული კაცი უფრო ნათდება და მაღლა და მაღლაც კი იწევს...

– აი, იმდენი შველა მე, რომ სულ სწორეებსა ვლაპარაკობდე!..

მთელ ავტობუსში რაღაც სასიამოვნო ნათელი დგება!

„ბებია და შვილიშვილი“

ბებია ხორბალს არჩევს, შვილიშვილი კაბას იუთოებს. – ხვალაო ვენახი გავთოხნოთო – მეტყოდა სულნათელი პაპაშენი. შემომღიმილებდა, მეც შეუღიმილებდი, და ამით ვეუბნებოდით მთელ ჩვენ სათქმელს ერთმანეთსა.

– რას ვეუბნებოდით ახლა იცი?

– შენ რომ იცი, ისე მოემზადეო – მეტყოდა. მე ვეუბნებოდი – მზადა ვარ, მეთქი, ბიჭო!

რით უნდა მოვმზადებულიყავი, რითი უნდა მოვრთულიყავი, რა მქონდა?

ერთი ლამაზი ჩითის კაბა მქონდა, ნეკერჩხლისფერ ფოთლებდაყრილი, გულისპირზე ზოლგადავლებული, წელში გამოყვანილი. ის კაბა უნდა ჩამეცვა და იმწამსვე მოსახვევი უნდა შემომეხვია.

იტყოდა ხოლმე ცხონებული:

– მაგ კაბაში და მოსახვევში რომ გხედავ, თაფლივით ტკბილი რაღაც ჩამდის გულშიო!

გაიღვიძებდა... დილა ბინდ-ბუნდში, დამყურებდა სახეგანათებული, დიდი რომ პატარას დააჩერდება, თან სიბრალულითა და თან სიამაყითა.

– ადექი, გენაო, ადექიო! – მეც წამოვდგებოდი, მართლაც პატარასავით, თვალების ფშვნეტით, ძილიანი, ღიმილიანი, ჩავიცვამდი, მე შენ გეტყვი ან კორსეტი დამჭირდებოდა ან სხვა ეგეთი რამე.

ერთმანეთს დავუსხამდით წყალსა. ჯერ მე დავუსხამდი, ბოლო ტოლჩას რომ ჩავცლიდი, განზე გავიწეოდი, შემომაწუწებდა, ყელის პირზე ცივ წვეთებსა.

მე წავთვლემავდი, თან მსიამოვნებდა, თან მაინც წავთვლემავდი... დავიბანდით ხელ-პირსა, წავიდოდით ვენახში.

იმას დიდი, გრძელტარიანი თოხი მოჰქონდა გალესილი, გაალმასებული, ხელით ორხელადიანით ღვინო. ისეთი ლაღი სიარული იცოდა, ხელმწიფის შვილი გეგონებოდათ. მე კიდევ კალათითა და პატარა სკამით მივდიოდი. კალათაში მეწყო ცოტა რამ წასახემსებელი და ჩემი ხელსაქმე.

მიმიყვანდა ვენახში. მე დამსვამდა რიგში, ვაშლსა და ვაშლს შუა, დასაწყისში ოციოდე ნაბიჯზე დაიწყებდა თოხნას, მაგრამ რანაირ თოხნას.

– ნეტავ კიდევ ორი თვალი მომცა, რომ მაგისთვის მაყურებინაო, სიმღერა არ იცოდა, მაგრამ ყველაფერი უმღეროდა: თოხიცა, მხარ-მკლავიცა, ტუჩ-კბილიცა, გამომხედავდა ეგრე გაცინებული, მეც გაუცინებდი.

ჩემი საქმით ვიყავი გართული, ანდა ვქსოვდი, ანდა ვქარგავდი და უფრო გახალისდებოდა!

– ტატა, ტატა, ტატა... – უფრო თავმომწონეობდა, მოვიდოდა, მომიახლოვდებოდა, სიცილ-სიცილით შემომითოხნიდა აქეთ-იქიდან, მერე ჩაიჩოქებდა ჩემს მუხლთან – როგორი ბიჭი ვარ, ჰა? – მკითხავდა.

– კარგი, კარგი მეთქი – ვეტყოდი.

– მაშ, მაკოცეო, რომ უფრო გავკარგდეო! ვაკოცებდი ერთსა, ვაკოცებდი და დავავლებდი ხელს სკამს და სხვაგან გადავინაცვლებდი... ახლა იქიდან გამოუღიმილებდი.

მიყურებდა გადაბადრული სიცილითა, მერე მოიწაფებდა ხელადას, ისევ ფოთლებით დაუგმანავდა პირსა, წამოუსვამდა თოხსა, წამოუსვამდა და სულ ელვათ აქცევდა თოხსაც!

მოვიდოდა ეგრე თოხნა-თოხნითა, ჩემს „საბრძანებლომდე“ – ისევ წამოიჩოქებდა, ისევ მეტყოდა – როგორი ბიჭი ვარ? – აბა, მაკოცეო – და მეც ვაკოცებდი...

სანამ სათოხნი იყო, მანამდე მეც იქვე ვიჯექი, სულ ერთმანეთის „შეღიმილებაში“ ვიყავით და იმის გაკეთებულ საქმეს რომ ნახავდა ვინმე, არ იჯერებდა. ერთი კაცი სამი კაცის გასაკეთებელ საქმეს აკეთებდა.

ნამუშევრებით დაღლილი შინ მივდიოდით ტკბილად! – ერთმანეთის სილამაზის დანახვა ყველაზე დიდი ქონებაა ცოლ-ქმრობაში! ცოლისთვისაც და ქმრისთვისაც! – ეს უნდა იცოდეს ყველამ.

რაღაცა ვერ მიყვარს მიკროფონი...

ბლიც-ინტერვიუს უძღვება ჟურნალისტი **გივი დვალიშვილი**
(ჩაიწერა 1966 წლის ზაფხულში).

ნოდარ დუმბაძე

ნოდარ დუმბაძე – „მიმართვა ახალგაზრდებისადმი“ – ყველაფერში, რითაც სუნთქავს დღეს ჩვენი სამშობლო, რასაც – კოსმოსი, ვაზი, ჩაი, პურის თავთუხი, ხელოვნება და მეცნიერება თუ სახელმწიფოს ძლიერება ჰქვია – ახალგაზრდობას უდევს წვლილი.

არ არის ქვეყნად უფრო მდიდარი კაცი – ვიდრე ახალგაზრდობა, რადგან ეს ქვეყანა თავისი უდიდესი წარსულითა და მომავალით, მცხეთის ჯვრიდან, გელათიდან და იყალთოდან დაწყებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით დამთავრებული – მათია.

ახალგაზრდობისაა ყველაზე დიდი საგანძური – ხელოვნება, ჰომეროსიდან და რუსთაველიდან დაწყებული, ფიროსმანითა და გალაკტიონით დამთავრებული.

თქვენია ეს დალოცვილი დედამიწა მთლიანად – მთით, ბარით, ტბითა და ზღვით, მდინარეებითა და ნადირ-ფრინველით, და არა გყავთ სხვა ვინმე თქვენი მოცილე, დაბოლოს, თქვენია კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი – სიყვარული და თავისუფლება! განუსაზღვრელია თქვენი ქონება და საკუთრება, რადგან ნერგი ხართ კაცობრიობის მომავალისა, გაუფრთხილდით ამ სიდიდეს, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

გივი დვალიშვილი – ვინ იყავით ვიდრე სატირიკოსი ან იუმორისტი გახდებოდით?

ნოდარ დუმბაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრის მუშაკი.

– ძნელია თუ არა წერა და რატომ?

– წერა არ არის ძნელი, ძნელია ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა დაწერო.

– რა წინააღმდეგობებს აწყდებოდით, ვიდრე ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი გახდებოდით?

– წინააღმდეგობებს ახლა უფრო ვაწყდები, როდესაც რედაქტორი გავხდი. ადრე უფრო მშვიდად ვიყავი.

– გყავთ თუ არა მტრები, როგორც სატირიკოსს და ვინ არიან ისინი?

– მყავს, ეს ის ხალხია, რომლებსაც „ნიანგის“ ფურცლებზე ვაკრიტიკებ.

– ვის წინააღმდეგაა მიმართული თქვენი სატირა და იუმორი?

– ჩემი მთავარი მტერი, იგივე საზოგადოების მტერია.

– როგორც სატირიკოსს, რას გავალებენ თქვენი მეგობრები, ამხანაგები?

– ვიყო ობიექტური.

– როგორ გრძნობთ თავს სხვა პროფესიის ადამიანებთან?

– მე პროფესიით ეკონომისტი ვარ, მწერლებთან კი თავს მშვენივრად ვგრძნობ.

– რას გრძნობთ სხვა ავტორის კარგი ფელეტონის წაკითხვის შემდეგ?

– პროფესიულ შურს. სულ ასე ვფიქრობ, ნეტავი მე დამეწერა-მეთქი.

– როგორ უყურებთ აზრს „სატირა ჩამორჩება“?

– თუ იტყოდით, რომ დღევანდელი სატირა ჩამორჩება მწერლობის სხვა ჟანრებს, მაშინ სადავო არაფერია.

– თქვენი რომელი ნაწარმოები გიყვართ და რატომ?

– მიყვარს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, იმიტომ რომ ამ ნაწარმოებმა პოპულარობა მომიხვეჭა. ისე „მზიან ღამეს“ მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ. ასე მგონია, მწერლობას ახლა ვიწყებმეთქი.

– სხვისი ნაწარმოებებიდან?

– მე გამოვარჩევდი „დონ-კიხოტს“. ასე მგონია, კაცობრიობას მსგავსი არაფერი შეუქმნია. ისე მრავალი კარგი წიგნია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

– თქვენი ნაწარმოებებიდან რომელი გმირი გიყვართ და რატომ?

– ბეჟანა მიყვარდა ძალიან, ბავშვივით უშიშარი და საყვარელი იყო.

– გყავთ თუ არა ისეთი გმირი, რომელიც არ გიყვართ?

– არა, ასეთი გმირი არა მყავს. ისე კი, ყოველი გმირი მეცოდება.

– როგორც რედაქტორი, როგორ ებრძვით უნიჭო ნაწარმოებებს?

– ვცდილობ არ დავბეჭდო, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებ ამას.

– რას გრძნობთ, როცა კრიტიკოსები ახალგაზრდა მწერალს გიწოდებენ?

– ადრე მწყინდა, ახლა, რაც ხანში შევდივარ, მიხარია!

– რას უსურვებდით თქვენს თავს?

– ვწერო რაც შეიძლება კარგი ნაწარმოები. დამწყებ მწერლებსაც იგივეს ვუსურვებ.

– რა გახარებთ ყველაზე მეტად?

– ძალიან მიხარია, ჩემი გოგონას დღიურში ხუთიანს როცა ვნახავ ხოლმე, თავისი ჩაწერილი თუ არ არის, რა თქმა უნდა.

– რა გაღელვებთ?

– როცა ვერ მიგებენ, ანდა პირდაპირ ესმით ჩემი ნათქვამი.

– რატომ არ გიყვართ მიკროფონი?

– იმიტომ რომ მიკროფონთან ყოველთვის ვფიქრობ, ჭკვიანური რამე ვთქვა და არ გამომდის, ქაღალდი გაცილებით უფრო მოსახერხებელია.

– ოპტიმისტი ხართ თუ პესიმისტი?

– პესიმისტურ ნაწარმოებში ჩვენთან პრემიებს არ იძლევიან, პესიმისტები ლაურეატები არ ხდებიან, ამიტომ ვცდილობ ვიყო ოპტიმისტი.

– რა სახის იუმორს ანიჭებთ უპირატესობას, სიტუაციით გამოწვეულს თუ ხასიათის მიხედვით?

– სუფრაზე ზეპირ იუმორს, სალაღობოს, ისე კი ბრძნულ იუმორს, ღრმად რომ ჩაგაფიქრებს.

– თვლით თუ არა ვინმეს თქვენს მასწავლებლად?

– ყველა კარგ მწერალსა და მეგობარს ჩემს მასწავლებლად ვთვლი.

– არსებობს თუ არა თქვენთვის ცუდი ან კარგი მკითხველი?

– არსებობს, ვისაც მოსწონს ჩემი ნაწარმოები კარგ მკითხველად მიმაჩნია, ვისაც არა – ცუდად.

– დაგვისახელეთ მეგობრები, რომელთა აზრსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თქვენთვის.

– დასახელება შორს წაგვიყვანს, ისე კი კრიტიკოსების გარდა – ყველას ვუწევ ანგარიშს.

– რა თქმა უნდა, სახელმწიფო პრემიის მინიჭების შემდეგ თქვენი პოპულარობა გაიზარდა, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს თქვენზე?

– გავლენას არ მოახდენს, როგორც პიროვნებაზე, როგორც მწერალზე – მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

– რა სახის ტრანსპორტი გიყვართ?

– ძალიან მიყვარს ველოსიპედი, მაგრამ თბილისში მოუხერხებელია მისი ტარება, ამიტომ ვოლგა ვიყიდე.

– სპორტის რა სახეობა გიტაცებთ?

– მიყვარს ფეხბურთი და ცურვა. სპორტის შედარება მწერლობასთან, ალბათ, უხერხულია, მაგრამ ზოგიერთი სპორტსმენი ბევრ მწერალს სჯობია!

– უსმენთ თუ არა რადიოს „სატირისა და იუმორის“ რედაქციის გადაცემებს და მოგწონთ?

– საერთოდ ვუსმენ და მომწონს, და განსაკუთრებით აღტაცებული ვარ დღევანდელი გადაცემით.

– რომელი მუსიკალური ნაწარმოები მოგწონთ, რომელ ჟანრს ანიჭებთ უპირატესობას?

– თავთავის ადგილზე ყველა კარგია. ძალიან მიყვარს ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, „ავე მარია“ და „ჰარირა“ – ნოკო ხურციას შესრულებით.

– ზაფხულობით ალბათ ძნელია წერა, როდის უფრო გეადვილებათ მუშაობა?

– წერა მაშინ არის კარგი, როდესაც გეწერება. სიცხეს და სიცივეს არა აქვს მნიშვნელობა.

– სურვილის შესრულებას ითხოვდით?

– ნეტავი შეკითხვები გაგითავდებოდეთ.

ჩვენ ფიქრობს ვრცა გვაქვს რუსთაველიც მიერ დასრულ ცხოვრებაზე და ყველაზეც ხეც ფიცი გვუხმოთ და ნაყოფი გვუმწვანოთ



ნოდარ დუმბაძე

ისევ ნოდარ დუმბაძე ... ისევ მისი ნათელი და თამამი სიტყვა... ეს ალბათ, მისი მონატრებით ხდება...

ნეტავი, რას გვეტყოდა ნოდარი დღევანდელ დღეს?

თუმცა, საქართველოს მწერალთა IX ყრილობაზე, 1981 წელს ნათქვამი, ჩვენთვის დღესაც საგულისხმოა!

ნოდარ დუმბაძე: ძვირფასო მეგობრებო, გასრულდა კიდევ ერთი მცირე მონაკვეთი ჩვენი მუშაობისა, სისხლიანი ბრძოლებისა თუ ერთმანეთის ხოტბისა თუ განქიქებისა, და დადგა ჟამი – ტრიბუნიდან ხმამაღლა თქმისა და აღსარებისა, ანუ საანგარიშო პერიოდი, როგორც ჩვენ მას ვეძახით-ხოლმე.

რაც დრო გადის მწერალთა რიცხვი იზრდება, შესაბამისად იზრდება საანგარიშო მოხსენებებიც, მათ მოცულობას, სამყაროსი არ იყოს, დასასრული არ უჩანს – ჩვენ თვითონ თუ არ შემოვხაზეთ რაღაც რკალი. ეს რკალი გახლდათ კიდეც პერიოდი ყრილობიდან-ყრილობამდე. და ნურავის ეწყინება მისი „ღვაწლის“ მოუხსენებლობა თუ ამ პერიოდში არაფერი გაუკეთებია.

თუმცა, არც სახელოვან წინაპართა მოუხსენიებლობა მოუხდებოდა ჩვენს ზრდილობასა და კაცობას. ამიტომ, შინაგანად ასე შევთანხმდეთ: რუსთველი – იყო განსაცვიფრებელი მასის მატარებელი კვაზარი, იგი აფეთქდა და დაიშალა პლანეტებად ანუ ცდომილებად, თვითონ შუაში ჩადგა, როგორც მზე, შექმნა საკუთარი გალაქტიკა და დაიწყო ცხოვრება. აი, ისინიც: გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და ჩვენთვის ყველასათვის ახლობელი – გალაკტიონი. ახლობელი კი არა, პლანეტა, რომელზეც ჩვენ მწერლები ვცხოვრობთ და რომლის საიდუმლოს ამოხსნა სულ ახლახანს დავიწყეთ, რადგანაც აქამდე სულ კოსმოსში ვიყურებოდით!

სალაპარაკო ისედაც დიდი გვაქვს, ამ 5 წლის განმავლობაში საქართველოსა და მწერლების ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, ისეთი საყურადღებო, რაც ადრე არც თქმულა და არც გაგონილა. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ იმ – კონსტანტინე ლორთქიფანიძის, რევაზ ჯაფარიძის, ნოდარ წულეისკირის და სხვათა კოლხიდაზე, ალაზნის ველზე, აბაშაზე, თერჯოლაზე თუ სხვა ელექტროსადგურებზე შექმნილმა მხატვრულმა ნარკვევებმა დიდად შეუწყო ხელი, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებას!

ნურავის ჰგონია, რომ საქართველოს მწერლობა რიგში იდგა და ისე ერგო თავისი „ჩინმენდლები“, ყველაფერი სისხლითა და ოფლითაა მოპოვებული... ძნელია ერის ცხოვრებაში მწერლის დანიშნულებისა და მოვალეობის შესახებ რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: „არასდროს, ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ მოიძებნებოდა მილიონობით ადამიანი, რომელთათვის საინტერესო იქნებოდა ჩემი მონათხრობი, ჩვენ მივდივართ ერთმანეთის შესახვედრად ნელი ნაბიჯით და სიყვარულით და თუ ვერ შევხვდით ერთმანეთს იმის გამო კი არა, რომ ხალხს მოკლე ხელები აქვს, პირიქით, ეს მე მაქვს მოკლე მკლავები, მაგრამ სიყვარული და პატიოსნებაა იმის თავდები, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივწვდებით ერთმანეთს და გადავეხვევით“ – ეს სიტყვები ტენერი უილიამსს ეკუთვნის, თანამედროვეობის ყველაზე ნიჭიერ და პოპულარულ მწერალს. იმ ქვეყნის შვილს, სადაც წმინდა ხელოვნებისათვის საეჭვო ნიჭის ადამიანები, საერთოდ უარყოფენ მკითხველს.

ხალხი – უმაღლესი მსაჯულია ყველაფრისა! არასდროს არ ეკითხება არც კრიტიკოსსა და მწერალს, რომელი ჟანრს მიაკუთვნოს ესა თუ ის ნაწარმოები: ეროვნულ-პატრიოტულს, წმინდა ლირიკას, რომანტიკას თუ აბსტრაქციას, ასე დაემართა: ვაჟა-ფშაველას – „დაჭრილ არწივს“, აკაკი წერეთლის „სულიკოს“, რომლებიც, როცა დასჭირდა ხალხს, ეროვნულ ჰიმნად აქცია. ისე კი, თქვენ იცით, ორთავე ლექსი რა მიზეზითაც იყო დაწერილი.

ასე რომ, ლიტერატურა ხალხს ეკუთვნის, ის ანიჭებს ხარისხსაც და ადგილსაც ერის ისტორიაში. ერთი ნაკლი კი აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებას, მისი ასეთი დემოკრატიული ბუნება

ბევრს აბრიყვებს და აცდუნებს, რის გამოც „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მცოდნესა და წამკითხველს, თავი „რუსთველოლოგი“ ჰგონია, ხოლო დემეტრე მეფის ღვთისმშობელზე დაწერილი ლექსი: „შენ ხარ ვენახი“, მებაღე-მევენახეობაზე გამოშვებულ პოპულარულ ბროშურაში შესატან ლექსად მიაჩნია. ამით იმის თქმა მინდა, რომ არაკომპეტენტურ კრიტიკასა და „ქების კრიტიკას“ დიდ ენერგიას ნუ შევალევთ, რადგან ეს ენერგია სხვა საქმეებში უფრო გამოგვადგება!

სხვათა შორის ხელოვნების არც ერთ დარგში იმდენი „ჩამოსიძებული“ კაცი არ მეგულება, რამდენიც ლიტერატურაში. ზოგიერთმა პატარძალი და ტანსაცმელი რომ წაგვართვა, ახლა „საცხოვრებელი ფართიც“ მიაქვს – ქაღალდის სახით. და თუ არ გჯერათ ჰკითხეთ ელგუჯა მაღრაძეს.

თაობებისა და ე.წ. დაჯგუფებების შესახებ

პოეტმა იზა ორჯონიკიძემ დაიჩივლა ერთხელ – ერთმანეთის მიმართ ყურადღება დაგვიჩლუნგდაო.

ირაკლი აბაშიძის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭელიძის, შოთა ნიშნიანიძის, რევაზ მარგიანის სიჭარმაგეში დაწერილი ლექსების, თუნდაც ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“, ოთარ ჩხეიძის, „ბორიაყს“, რეზო ჭეიშვილის „მურიკა ქარში“, არჩილ სულაკაურის „ბრმა ლეკვებს“, თამაზ ჭილაძის „აუზს“, რევაზ ინანიშვილის, ვოვა სიხარულიძის, გიორგი ბაქანიძის, ნუგზარ შატაიძის ან ახალგაზრდა კაცის – გოდერძი ჩოხელის მოთხრობების ან გურამ პეტრიაშვილის საბავშვო მოთხრობების კითხვისას ჟრუანტელი რომ მივლის ტანში, ეს თუ დავმალე – მაშ, მე რაღა მწერალი ვარ!

რომელ თაობებზე, დაჯგუფებებზე თუ სექტებზეა ლაპარაკი?! არჩილ სულაკაური, რევაზ თვარაძე, სარგის ცაიშვილი, ედიშერ ყიფიანი, ნოდარ ჩხეიძე, გიგლა ხუხაშვილი, ძმები ჭილაძეები,

არჩილ სულაკაური და ნოდარ დუმბაძე

ჯანსუღ ჩარკვიანი და ნოდარ დუმბაძე

ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ელგუჯა მაღრაძე და მე, თითქმის ერთად გავიზარდეთ, – რატომ უკვირს ვინმეს ჩვენი მეგობრობა?

გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი, ნოდარ დუმბაძე, გივი მეტრეველი, მუხრან მაჭავარიანი

უფროსებისადმი პატივისცემა და სიყვარული ჩვენ არასოდეს დაგვიკარგავს! მაგალითად, მე, ვახტანგ ჭელიძის დასტურის გარეშე, ჯერ არც ერთი მოთხრობა თუ რომანი არ დამისტამბავს, დედანში ვაკითხებდი-ხოლმე, იმდენად ვენდობი მის ნიჭსა და პროფესიონალიზმს!

ალბათ, ყველა თქვენგანს ჰყავს ასეთი მეგობარი, და საერთოდ, ვინ აკრძალა მეგობრისა და ახლობლის ქება, თუ ის ამ ქებას იმსახურებს?!

ლიტერატურის ეროვნულობის შესახებ ...

მეცხრამეტე საუკუნის კლასიკაზე არაფერს ვამბობ. თქვენ თუ დაკვირვებიხართ, რომ გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, პოლიკარპე კაკაბაძე და სხვა კიდევ ზოგიერთი. მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდნენ თავიანთი კონტაქტებით უცხოელებთან და კერძოდ, მოსკოვთან.

ახლა კი, რომელიმე ქვეყანაში თუ გვთხოვენ რომელიმე პოეზიისა თუ პროზის ანთოლოგიების შედგენას, რატომღაც, პირველ რიგში, ამ მწერალთა ნაწარმოებები ხვდება...

აქ არაფერი საიდუმლო არ არის, ყველაფერი ხელის გულზე დევს, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების ნაწარმოებები ეროვნული პლაზმიდანაა აღმოცენებული და მსოფლიო ტკივილებით არის დამუხტული.

ხალხს, რომელმაც პირველად დაუდგა პუშკინს ძეგლი, თბილისელ მოქალაქეთა შეწირულობათა ხარჯზე, ხალხს, რომელმაც შვილივით დაიტირა – გრიბოედოვი, ხალხს, რომლესაც ერთნაირად უტირიათ საიათნოვასა და ეთიმ გურჯის ბაიათებზე და ფიროსმანის მიამიტ შედევრებზე რუსულად წარწერების

გამო – კეთილად გაუღიმია, საცოდაობაა ნაციონალობა დააბრალო!

აქვეა სამშობლოს სიყვარულიცა და პატრიოტიზმიც.

მას შემდეგ, რაც საქართველოში „განთიადი“ დაიწერა და რაფიელ ერისთავმა თქვა: „როგორც უფალი, სამშობლო – ერთია ქვეყანაზედაო“ – მე, მაგალითად, მრცხვენია და მეშინია კიდევაც,

ბორის მესერერი, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ბელა ახმადულინა, ნოდარ დუმბაძე

ვინმეს სამშობლოს სიყვარულში გავეჯიბრო. ამიტომ, მოდით, ნუ შევიყვანთ შეცდომაში გულუბრყვილო ხალხს!

გონიერი და თავშეკავებული მშობელი, უფრო ხშირად, მოფარებულში ან სულაც ღამით, ძილის დროს, ჰკოცნის თავის შვილს და არა რუსთაველის პროსპექტზე ხალხის დასანახავად, დღისით კი – სიბეჯითეში, მწიგნობრობაში და პატიოსნებაში წვრთნის მას.

ახალგაზრდობისა და ვერლიბრის შესახებ

ეს ორი ცნება იმიტომ შევაერთე, რომ ვერლიბრს ახლა მხოლოდ ახალგაზრდობა ეტანება. „ცისკრიდან“ დავიწყებ და ისევ ვახტანგ ჭელიძეს მოვიშველიებ. თურმე როდესაც ის „ცისკრის“ რედაქტორად დანიშნეს, 34-35 წლისა ყოფილა. ჩვენ კი მისი თანამშრომლები შესაბამისად 22-25-30 წლისანი. რა თქმა უნდა, რედაქტორი ყოველთვის ბრძენი, გამოცდილი და ასაკოვანი სჯობია, მაგრამ „ცისკრისა“ და ახალგაზრდული გამომცემლობის რედაქტორების ასაკობრივი გადახალისება აჯობებდა.

ვფიქრობ, ახალგაზრდობას ესაჭიროება ასაკოვანი, გამოცდილი და ბრძენი კაცის წვრთნა და მეთვალყურეობა. მაგრამ ინფანტილიზმის ხელოვნური წარმოქმნა ტრაგედიაა ერისთვის და ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს!

რაც შეეხება ვერლიბრს – ახლა მოდაშია „ვერლიბრის გინება“ – რაღა დაგიმალოთ და ხანდახან მეც გამექცევა ხოლმე ენა. არ არის ეს სწორი და სამართლიანი. მით უმეტეს, რომ „სახარება“, რომელზეც ჩვენი მამა-პაპა გაიზარდა, თავიდან ბოლომდე ვერლიბრია. ნურც ვერლიბრისტებს გაუკვირდებათ, რომ ასე ხმალამოწვდილნი ებრძვიან კლასიკური და რიტმიანი ტრადიციის ქვეყანაში!

საუბედუროდ, ამ ვერლიბრს ათასი ჯურის უნიჭო კაცია ამოფარებული, მაშინ როდესაც დღესდღეობით ვერლიბრი თვითონ ჰგავს იერიშზე გადასულ ფეხოსან ჯარს, სატანკო დივიზიის წინააღმდეგ. და მსხვერპლიც დიდი ექნება!

ვინ იცის ეს „ვერლიბრისტები“ იქნებ ფეხოსნები კი არა, სულაც, მეზღვაურები არიან, ზურგის ქარსა და ხომალდებს ელოდებიან, რომ აფრა გაშალონ და თავიანთ სტიქიაში შესცურონ. ამიტომ ვაცალოთ და თუ არც მიწიერნი არიან და არც ცისანი, თავად წავლენ. ხელის წაჯიკავება აღარ დასჭირდებათ.

კრიტიკაზე

როდესაც ჩვენ დღეს, ზედმეტი გულმოდგინების გამო, ან ბევრს ვაქებთ ან სულაც უზნეობას ვეძახით, ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ!

ვაითუ, დღეს გაკიცხული საქციელიცა და ნაწარმოებიც ისტორიულ მოვლენად იქცეს ისე, როგორც ისტორიულ რელიკვიად იქცა სუნიონის კონცხზე, პოსეიდონის წმ. ტაძრის კედელზე, ბაირონის ავტოგრაფი ან რაიხსტაგის კედელზე ჯარისკაცის ხიშტებით ამოკაწრული გვარები.

სიტყვას მოჰყვა და ვიტყვი, ჩვენ ისე უნდა ვწეროთ, რომ ჩვენზე ძალიან ბევრი წერონ და იკამათონ სხვა რესპუბლიკებსა და ქვეყნებში!

კიდევ ერთი უხერხული ამბავი გვჭირს, ქართულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს იმდენი პანთეონი – რამდენიც ჩვენთან. გაიხსენეთ მეგობრებო, რა მძიმე და ეკლიანი გზა გაიარეს ბარათაშვილმა, ილიამ და აკაკიმ მთაწმინდამდე. ისიც გაიხსენეთ, რამხელა მთიდან დაეშვა ვაჟაფშაველა, რომ ამ პატარა მთაზე ასულიყო!

კაცობრიობის სიამაყემ – ფირდოუსმა ბრძანა: „როდესაც ხეს რგავენ, რომლის ფესვებიც სისხლით იკვებება, რა დროც არ უნდა გამოხდეს, ეს ხე ბოროტ ნაყოფს გამოიღებსო“. მაგრამ არა ნაკლებ საამაყო კაცმა, – შოთა რუსთაველმა, დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვა მან ისეთი უკვდავი ნერგი დარგო დედამიწაზე, რომ 8 საუკუნე მისი კეთილი ნაყოფით იკვებება კაცობრიობა. 8 საუკუნე ამ სიცოცხლის ხის ფესვებს ოფლისა და სიყვარულის ცრემლით რწყავს ქართული მწერლობა და თუ ოდესმე შეხებია მის ფესვებს სისხლი, მხოლოდ სამშობლოსათთვის დაღვრილი სისხლი ყოფილა.

ამიტომ, მის მოდგმას მორალური უფლება არა გვაქვს ფესვი გავუხმოთ, ან ნაყოფი გავუმწაროთ რუსთაველის მიერ დარგული სიცოცხლისა და უკვდავების ამ ხეს. ამ რწმენით მოვდიოდი მე ყრილობაზე და ამ რწმენით წავალ ყრილობიდან!

ორი ზანგი ბავშვი „ზურიკელოვ" და „ზურიკელო" ყუბაში დღეცაც ცხოვრობენ

თავისი მოთხრობების გმირებზე გვესაუბრება მწერალი ნოდარ დუმბაძე.



საუბარს უძღვება
დავით მჭედლური
(1981 წლის ჩანაწერი)

ნოდარ დუმბაძე – ლაქსნესმა, როდესაც ნობელის პრემია მიიღო, თავის საპასუხო სიტყვაში თქვა: „მე მეგონა, ჩემი პატარა ხალხისთვის ვწერდი და აღმოჩნდა, რომ ეს საკაცობრიო ტკივილი ყოფილაო". როგორც ჩანს, ჩვენთანაც იგივე რამ მოხდა... როდესაც იაპონელმა კრიტიკოსმა თქვა, რომ „ზურიკელა" ტიპური იაპონელი ბიჭიაო, ალბათ, ბებიებისა და შვილიშვილების ურთიერთდამოკიდებულება იგულისხმა.

ასე კონკრეტულიდან ზოგადდება სხვა ტკივილებიც და ამით შეიძლება აიხსნას ის, რაც ფრანგებმა და გერმანელებმა დაწერეს ამ ნაწარმოებზე.

ამას წინათ, კუბიდან მივიღე ერთი წერილი. ჩემი მეგობარი მწერდა, თურმე: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" უჩვენებიათ იქ და ერთ ზანგს ისე მოსწონებია ფილმის გმირი, რომ ცოლს მისწერა სამშობიაროში, ბავშვი რომ შეგვეძინება ზურიკელა დავარქვათო. ტყუპები გასჩენიათ და ერთს „ზურიკელა" დაარქვეს, მეორეს – „ზურიკელო". ასე რომ, ზანგი ბავშვი იზრდება ზურიკელას სახელით.

სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, შენს ნაწარმოებს როცა ასე აზოგადებენ და ასეთი დიდი მასშტაბური სახე ეძლევა.

თქვენ მეუბნებით, რომ ჩემს ნაწარმოებებში ავტობიოგრაფიული მომენტები მრავლად მაქვს გამოყენებული, – მაგრამ არა იმდენით, რომ ეს იყოს ნარკვევი ჩემი ცხოვრებიდან, ერთი 20 პროცენტი არის და ისიც ლიტერატურულად გადამუშავებული, ეს ის თემაა, რომელსაც უაღრესად კარგად ვიცნობ. არაფრის შეთხზვა და მოგონება არ მჭირდება, სიყალბის ნოტი თუ ემატება ნაწარმოებს, დამაჯერებლობა აკლდება.

კადრი კინოფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"

თქვენ იცით, რომ მწერალს თავისი სახელოსნო, სამზარეულო აქვს, და იქ ხდება გადამუშავება მასალის, და შთაბეჭდილებებისაც და მერე ყალიბდება ერთ გამოკვეთილ ნაწარმოებად.

მე არასოდეს ვცდილობ ჩემ ნაწარმოებში დავხატო იდეალური ადამიანი და საერთოდაც, წინააღმდეგი ვარ, რომ ადამიანები დავყოთ დადებით და უარყოფით გმირებად. თვითონ ადამიანში, შიგნით, როგორც დადებითში, ისე უარყოფითში არის კონფლიქტი. ერთ მხარზე რომ სატანა უზის კაცს, მეორეზე ანგელოზი ჰყავს და სულ ბრძოლაა მათ შორის.

არ ვცდილობ, ჩემი გმირი იდეალური იყოს, მაგრამ ბოლოს, როდესაც საერთო მაჩვენებელი გამომყავს, იმ უარყოფით გმირს ბევრი დადებითი თვისება აღმოაჩნდება-ხოლმე.

„თეთრ ბაირაღებში„ ვამბობ: „ადამიანი ფრესკა არ არის, არამედ არის ქანდაკება და ძეგლივით უნდა შემოუარო მას და იმ წერტილიდან უნდა უყურო, საიდანაც ის კარგად იმზირება და მშვენიერია".

აი, ასე უნდა მივუდგეთ სხვა საკითხებსაც და ჩვენს გარშემო ვეძებოთ იდეალები.

ერთ კაცს ვუთხარი ერთხელ, რომ „ნაგვის ზვინში ოქრო უნდა ვეძებოთ და არა პირიქით, ოქროს ზვინში ნაგავი".

მე ხშირად, ნაგვის ზვინში ვცდილობ ოქროს აღმოჩენას და ეს ძალიან ძნელია. აი, როგორც მარგალიტის მაძიებელი ყვინთავს და თავისი ჯანმრთელობის ხარჯზე პოულობს-ხოლმე მარგალიტს და შეიძლება ფეხი მოაჭამოს ზვიგენმა, ან დაბრმავდეს, ან დაყრუვდეს, ასეა მწერალიც.

როგორც საჰარის უდაბნოში ჭა რომ ამოთხარო, არ იცი, აღმოჩნდება თუ არა იქ წყალი და თუ აღმოჩნდება, რა სიღრმეზე იქნება, მეც ასე

ვარ: თუ ლიტერატურულ გმირს ვიპოვნი, მერე ეს ზნეობრივი კოდექსი ხომ, ადამიანების მიერაა მოგონილი და ვალდებულია, რომ ეს საუკუნეების მანძილზე შემუშავებული მისივე დადგენილი და გამოგონილი ზნეობრივი კოდექსი დაიცვას მორალურად, სისხლითაც და ფიზიკურადაც, რადგან მან საუკუნეებს გაუძლო და ეს საჭიროა ადამიანის მაღალი ზნეობისათვის და ამის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ყველას მოვალეობაა – ასე ხდება თაობის აღზრდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრესი არ იქნებოდა.

გოეთე ამბობდა: „აღმოჩენას უნდა იღბალი, გამოგონებას ნიჭიო, ორივეს ერთად სული სჭირდებაო“.

ესე იგი, წმინდა სამებაა და ამის გარეშე არ არსებობს მწერლობა... და ეს კანონი, ბაჩანამაც აღმოაჩინა ცხოვრებაში კი არ გამოუგონია, არამედ ის ცხოვრებაში თავისთავად არსებობდა და მან იპოვნა.

როცა რუსთველმა თქვა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, – მან ამით მთელი საქართველოს და ალბათ, მთელი კაცობრიობის უზარმაზარი სიბრძნიდან ჩამოაყალიბა ეს ფორმულა, თორემ, ეს რომ არ სცოდნოდათ ქართველებს, რუსთველამდეც ვერ მოაღწევდნენ, ხომ მართალია!

რუსთველის დამსახურებაც სწორედ ეგ არის, რომ მან ხალხის სიბრძნე „მარგალიტებად აასხა და ისევ ხალხს დაუბრუნა“.

ბაჩანას დამსახურება ის იყო, რომ დაინახა თავის თავში ნიჭი სიყვარულისა. ეს უკვე დიდი თვისებაა ადამიანისა და ამით არის ის ბედნიერი, მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ფიზიკური ტკივილი გადაიტანა ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე, აღმოაჩინა „მარადისობის კანონი“ ინფარქტთან ერთად.

„კუკარაჩას“ დაწერის იდეა, სულ შემთხვევით დამებადა. მე ვარ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებობს.

ერთხელ, შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა: იქნებ, კონკურსი გამოგვეცხადებინა საუკეთესო ნაწარმოების გამოსავლენად, რომელიც მილიციელის ცხოვრების შესახებ დაიწერებაო.

არ არის დასამალი, რომ მილიციას ცოტა შელანძღული სახელი ჰქონდა ბოლო წლებში და ახლა საგრძნობლად ამაღლდა მისი ავტორიტეტი და, მე მაგონდება, ახალი ამერიკული ფილმი „ახალი ცენტრიონები“, სწორედ პოლიციის მუშაკთა შესახებ და ვურჩევ ტელევიზიას, რაც შეიძლება ხშირად უჩვენონ ეს ფილმი.

უცბად დავწერე ეს მოთხრობა. მასშიც არის ავტობიოგრაფიული ელემენტები და ის ყველაფერი, რაც იქ არის, რა თქმა უნდა, შეკრებილია ჩემ მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას ჩემ მიერ ნანახი და განცდილია. თუნდაც, აი, ის მაგალითი: ბრძოლის დროს კუკარაჩა რომ ორ ტანკს მოიყვანს.

სწორედ, 1939 წელს ფინეთთან ომის დროს, საბჭოთა კავშირის გმირმა სულაბერიძემ ჩაიდინა ეს გმირობა და მე კუკარაჩას მივაწერე.

ჩემ ახალგაზრდობაში მართლაც იყო ერთი ასეთი მილიციელი, ჩვენი უბნის ინსპექტორი და საოცრად უყვარდა ბავშვები, მერე ბანდიტმა მოკლა.

ის ამბავი, ქალი რომ, შვიდ ტყვიას ააცილებს კუკარაჩას მკვლელს სასამართლოზე, მართლაც მოხდა. ბავშვობაში აჭარაში ერთ-ერთ სასამართლოს ვესწრებოდი, როდესაც დედამ შვიდივე ტყვია ააცილა თავისი შვილის მკვლელს. ეს ყველაფერი ლიტერატურულად გადავამუშავე.

ეს მოთხრობა იაპონურადაც კი ითარგმნა. დაიბეჭდა ჟურნალ „სოვეტსკაია ლიტერატურაში“, რომელიც 70-მდე ქვეყანაში ვრცელდება და 40-მდე ენაზე იბეჭდება.

ლევან უჩანეიშვილი, კინოფილმი „კუკარაჩა“

„კუკარაჩას“ დაბეჭდვის შემდეგ, ხალხი მართლაც დაინტერესდა მილიციელის ბედით და მის მიმართ სიმპათიით განიმსჭვალნენ. ერთხელ, პატარა ბიჭმა ტელეფონზე დამირეკა – ბატონო ნოდარ, როგორ ააცდინა ასე ახლოდან იმ ქალმა შვიდივე ტყვიაო? მე ვუპასუხე, რა თქმა უნდა ხუმრობით, – შვილო, ჩვენი დათო ყიფიანი ორი მეტრიდან ცხრამეტრიან კარში აცილებს ბურთს და ის რატომ არ გიკვირს მეთქი... ბავშვს ამაზე მაგრად გაეცინა (ხუმრობის გარეშე, დათო ყიფიანი ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელია, უბრალოდ, მისი გვარი გამახსენდა უცებ...); მერე ვკითხე – ბიძიკო, რამდენი წლისა ხარ მეთქი? – შვიდისო, – მიპასუხა. – მერე, ვინ მიგიშვა შენ ტელევიზორთან...

ასე იყო ჩემო დავით, ეს ისტორია, რაც ახლა გამახსენდა.

გალაკტიონს „პოეზიის პოლის“ ცვრებს ლაბა-ხარივით დაჩოქილს მოუხდა...

მინდა შემოგთავაზოთ **ნოდარ დუმბაძის** ორიგინალური სიტყვა წარმოთქმული გალაკტიონ ტაბიძის 90 წლის იუბილეზე 1982 წელს.

ძვირფასო მეგობრებო, 1959 წლის 17 მარტს ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა გალაკტიონ ტაბიძე. ეს შემზარავი ამბავი იმ დროისთვის საქართველოში არსებულმა ყველა საინფორმაციო საშუალებებმა შეიცხადა. დაიწყო სამგლოვიარო განცხადებათა უსასრულო მდინარება, რომელიც თანდათან მწუხარების უზარმაზარ ზღვად იქცა და ადიდდა, და სრულიად საქართველოს ყველა სოფელი და ქალაქი დატბორა.

დამწუხრებული საქართველო გალაკტიონ ტაბიძეს დასტიროდა. მგლოვიარე საქართველო გალაკტიონის გარდაცვალებას იუწყებოდა.

გალაკტიონი საავადმყოფოს მე-4 სართულიდან გადმოიქცა! ზოგს ეგონა, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა. ზოგს ეგონა, რომ მან ექსტაზში მყოფმა მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა, ზოგს ეგონა, რომ იგი აგონიაში მყოფი გადმოვარდა.

სინამდვილეში კი აი რა მოხდა: გალაკტიონი პარნასზე ავიდა, მან უზენაესი მწვერვალი დაიპყრო. მისთვის არც წერაყინს, არც წრიაპს, ბაწარს არ უღალატნია. იგი დიდი ხნის წინ ავიდა ამ მწვერვალზე. გენიოსები კი დაპყრობილი მწვერვალებიდან აღარ ბრუნდებიან! ყოველივე ის, რაც ხელს უშლიდა მას, აღარ სჭირდებოდა. მწვერვალიდან დაბლა გადმოყარა, თავად კი დარჩა თავის სწორთა მარადიულ სამყოფელში!

ვინ იცის, იქნებ იჩქარა და არ გაუწია ანგარიში იმ ელდას, რომელმაც შესძრა მისი თაყვანისმცემლები?!

მაგრამ, როგორ შეიძლება ადამიანს, რომელმაც ჯერ კიდევ როდის თქვა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობაო“ – აჩქარებაში ჩაუთვალო ისეთი საქციელიც კი, რომელსაც გამართლებაც კი არ მოეძებნება!

ლიტერატურის მცოდნეები გალაკტიონის გზას უამრავ პერიოდად ჰყოფენ: სიმბოლიზმი გალაკტიონის შემოქმედებაში, იმპრესიონიზმიო, რომანტიზმიო, მისტიციზმიო, პესიმიზმიო, კლასიციზმიო და სულ ბოლოს, სოც.რეალიზმიო.

პირადად ჩემთვის, გალაკტიონის შემოქმედება ორ ძირითად პერიოდად იყოფა: პირველი – როდესაც იგი ჩემსავით და თქვენსავით ჩვეულებრივ ლექსებს წერდა და მეორე – როდესაც მან არაჩვეულებრივი ლექსების წერა დაიწყო. ეს მოხდა 1919 წელს, როდესაც მისი „არტისტული ლექსები“ დაიბადა, როდესაც იგი „გარემოების საყვირად“ იქცა. აკაკი წერეთელივით ხალხსა და ღმერთებს შორის გააბა კავშირი და ხან მიწისა და ხან ცის საკუთრებად იქცა.

ქართული პოეზიის ისტორიაში პირველად რუსთაველს დააკისრა შემოქმედმა მძიმე უღელი. რუსთაველმა თავისი მაგნიტური ველით ჩამოუარა მანამდე არსებულ მითოსს, შთანთქა იგი და ერთ ოქროს ზოდად „ვეფხისტყაოსანად“ დაუბრუნა ხალხს.

შოთას შემდეგ ასეთი მისია დავით გურამიშვილს დაეკისრა. დავითის შემდეგ აკაკიმ, ვაჟამ და ილიამ იკისრეს ეს ტიტანური ტვირთი და როდესაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ამ უღელში გალაკტიონი შეება, ეს სადიდო საზიდი ისე იყო დამძიმებული ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურით, რომ გალაკტიონს მისი ტარება უღლის ლაბა-ხარივით დაჩოქილს მოუხდა.

დიახ, დაჩოქილს, ოფლად გაღვრილსა და თვალებში ცრემლჩამდგარს მოუხდა.

გალაკტიონი ერთადერთი პოეტია საქართველოში, რომლის ლექსების განხილვისას არ უნდა შეგვეშინდეს: ანარქიზმის... დააკვირდით... მან თავისი შემოქმედებითი კრედო მხოლოდ მიწიერებაში გამოამჟღავნა:

გალაკტიონ ტაბიძე

„მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი – როგორც მინდა“

დიახ, „როგორც მინდა“ – ეს მხოლოდ გალაკტიონის კი არა, მთელი კაცობრიობის ოცნების ღაღადისია და გალაკტიონმა შესძლო ასე სხარტად და უბრალოდ თქმა!

მარტო ამის მთქმელს შეეძლო, რომ იმავე ლექსში ეთქვა:

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა,
საშველი არ არის, არ არის!“

ეს საოცრად ჰგავს გოლგოთაზე ასულ 33 წლის ჭაბუკის დაეჭვებას:

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,
რაისთვის დამიტოვებ მე?!“

როდესაც იგი მიხვდა, რომ დრო მისთვის არ არსებობდა და თავად „ის იქცა დროდ“, ანუ „უჟამურ ჟამად!“ მან თქვა:

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინისფერია
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე,
მასში დიდება პოეტისა მე დავამკვიდრე,
რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია.
თქვენთვის, რომელთა გატაცებაც არაფერია
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია!“

ქარი, რომელიც ასე უსასრულოდ დაჰქრის გალაკტიონის შემოქმედებაში, ისე უსაშველოდ, რომ ხშირად წიგნი თავად იფურცლება თითქოს და რომ ქარმა და გრიგალმა არ გამოგტაცოს ხელიდან, წიგნი გულზე უნდა გქონდეს მიკრული მაგრად, ისე, ვით ხატი და ძვირფასი ავგაროზი.

გალაკტიონი ყველას თავისად მიაჩნია! ყველა თავისებურად კითხულობს და მათ შორის მეც, და ამიტომაც არის გალაკტიონი სახალხო პოეტი. ალბათ ამის გამო ქართულ პოეზიაში არავის არ ჰყოლია იმდენი ეპიგონი, რამდენიც გალაკტიონს. ალბათ, ქართულ პოეზიაში არავის არ ჰყოლია იმდენი მოჯიბრე და მტკაველის დამზომველი, რამდენიც გალაკტიონს.

რიგში იდგნენ და დღესაც დგანან მთელი თაობები და აზომებენ თავის პატარა მტკაველს მის დედამიწის გულივით გაშლილ, უსაშველოდ დიდ და თბილ ხელისგულს. ის კი დგას დალოცვილი და ღიმილიან თვალებში ეშმაკური ელვა დაუთამაშებს და გაქეზებს: „კი, ძამიკო, შენმა აჯობაო!“.

ყოველივე ზემოთქმული, რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოთ, მისი შემოქმედების დემოკრატიზმისა და თვითონ გალაკტიონის ბრალია.

ღრმად, წმინდად ეროვნულია თუ არა გალაკტიონის შემოქმედება? ლიტერატურათმცოდნეები ლაპარაკობენ, რომ მისმა შემოქმედებამ განიცადა დასავლეთ ევროპისა და 20-იანი წლების რუსეთის დეკადენტური და სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლების გავლენა.

გავლენა რას მიქვიან?!

უნდა ყველას გვახსოვდეს, რომ ყველა გენიოსის ლიტერატურა მიწიერიცაა და ზეციურიც! იგი, როგორც ატმოსფერო ისე აკრავს მთელს დედამიწას.

ერთნაირად კვესავს ყველა სულდგმულს და ერთნაირად იკვებება მათი სიცოცხლითა და ჰაერით.

ისინი ერთმანეთის სუნთქვით სუნთქავენ: ამიტომაც არ არსებობს დედამიწაზე ადამიანური ვნება, განცდა, მელოდია, ჰარმონია, გალაკტიონის შემოქმედებაში რომ არ სუნთქავდეს, არ მოძრაობდეს და არ ცხოვრობდეს!

თამადის ლოცვა

ვასო გოძიაშვილი ლუარსაბ თათქარიძის როლში

მინდა ამჯერად შემოგთავაზოთ ვასო გოძიაშვილის მიერ წაკითხული ხალხური სიბრძნითა და იუმორით გაჯერებული სიტყვა, რომელიც საახალწლოდ ყველას ოჯახს დაამშვენებს.

(1965 წლის ჩანაწერი მოამზადა – **ლამარა კიკილაშვილმა**)

(ხალხური)

ღმერთო, შენ სწყალობდე
აქ მბრძანებელ ყველასა:
გაჭირვებულს ბრალობდე,
არ აკლებდე შველასა.
შეაწიე ღვთის მადლი,
დღევანდელი დღის მადლი.
უცოცხლე სახლში მყოფი,
ჯანმრთელი, ავადმყოფი,
შინაური, გარეული,
თბილი კერა,
მისი შემყურებელი ყველა.
გაგიმარჯოს თქვენა,
ეს ჩარექი – მენა,
ალავერდი – შენა,
დაილოცოს ეს სახლი:
საძირკველი და ჭერი,
ფილაქანი და სხვენი,
ფიცრული და კირული,
სპილენძი და ჩინური,
გეჯა და თაფლი,
ცომი და ვარცლი,
გუთანი და კევრი,
ქოცო და ქვევრი,
თაბახი და ქილა,
ჯამი და ჯამ-ფილა,
კოშკი და ოთახი,
შენობა და ოჯახი,
საბძელი და მარანი,
სანთელი და ფარანი,
სუფრა და მარილი,
პური და მწვანილი,
ბაღი და ბაღჩა,
თარო და თახჩა,
ყანწი და ჯიხვი,
ქათამი და იხვი,
ნავი და ლასტი,
ფილი და ავანდასტი,
ტუბკირი და ხაპირი,
ჩამჩა და ქაფქირი,
ვირი და ჯორი,
ცხვარი და ღორი,
წისქვილი და კალო,
მარგილი და პალო,
ფიჩხი და შეშა,
კულა და აზარფეშა,
კამეჩი და ხარი,
ქვაბი და ზედადგარი,
ქოთანი და დო,
ფური და ხბო,
მიწა და ქვა,
თესვა და ხვნა,
მინდორი და ველი,
ნამგალი და ცელი,
კოფო და ლართხი,
იონჯა და ხვართქლი,
ბოსტანი და ნესვი,
ჩიბუხი და კვერი,
ღმერთს – დიდება,
თქვენ – მშვიდობა!

ღმერთმა გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ, უსტაბაში შეგეწიოთ. სოფლის თავი გწყალობდეთ, გუთნის დედა, მეხრე, მეარზე იყოს თქვენი შემწე!

შეგეწიოთ ყველა წმინდა, მთაწმინდა, ნინოწმინდა, ველისციხე, ტურისციხე, ბაკურციხე, ორთაჭალა, სართიჭალა, შავტყე, გარეტყე, ჭიანტყე, ვარდის უბანი, არტას უბანი, ძაღლის უბანი, ალმატი, დალმატი, ხახმატი, ხობოტა, ლოპოტა, ჭოპორტა – აი, შეგეწიოთ კოჭა-კოკათი, ცლუნკაანი, ოზაანი, მაშნარი, ტიბაანი, პრასიანი, ჭინჭრიანი, შაშიანი, ვაჩნაძიანი, მელაანი.

შეგეწიოთ, რომლებიც კარგი მეგობრები გეგულვებიან: აღმა-დაღმა, წაღმა-უკუღმა, ზევით-ქვევით, ოღრო-ჩოღრო, გარდი-გარდმო, წინ და უკან, სულ ყველანი იყვნენ თქვენი შემწენი.

ღმერთმა იმდენ ხანს გაცოცხლოთ, სანამ კუ კურდღელს მოეწეოდეს, კაპოეტი – კოზალასა, ვირი – ჯამბაზობდეს, დათვი – ხაბაზობდეს, აქლემი – დალაქობდეს, ჯორი – ნალბანდობდეს, ცხენი – ხარაზობდეს, ბატი – სამართლობდეს, ინდაური – ადვოკატობდეს, პეპელა – ტოლმასა სჭამდეს, მგელი – გუთნითა ხნავდეს, კატა – ასასობდეს, ძაღლი – დაბაღობდეს, მელა – დიაკვნობდეს, თაგვი – გაიკრიჭებოდეს, ხალიჩა – დაინვნებოდეს და ზედ დაიჯდომებოდეს, წისქვილი – ფქვავდეს, გუთანი – ხნავდეს, ჭიანჭველა – ხმალს შემოირტყამდეს და დაღესტანში საომრად მიდიოდეს!

შეგეწიოთ – ხევისბერი, ახტალელი თათარი, წოვა – თუში, ერწოს – ქისტი, კაპუჭელი – ლეკი, ხიტრიყოს – დიდო, ბოჭორმელი – ფშაველი, კურდღელაულელი – დედაკაცი!

ღმერთმა მოგცეთ გული – მხიარული, ხელში – ჭიანური, ჯიბეში – ფული, ბეღელში – პური!

ღმერთმა გამოგიყვანოთ – თვალადი, ტანადი, პურადი, გულადი!

ღმერთმა სახლი აგივსოთ შვილებითა, კერა – შვილიშვილებითა, თქვენი მტერი დაამარცხოს – ეზიდებოდნენ ვირითა!

ცვლილების დალოცვა

გიორგი ლეონიძის საახალწლო დალოცვა
1965 წლის 31 დეკემბერს ჩაიწერა **ლამარა კიკილაშვილმა**

გიორგი ლეონიძე

დედავ, მშობელო, ქართველო ხალხო, შენი მეკვლე ვარ!

შემოვდგი ფეხი, მოგილოცავ ახალ წელს, სავსე ხონჩით და სავსე ჯამით ვსვამ შენი გამარჯვების სადღეგრძელოს!

გილოცავ, ახალი ნაბიჯის შედგმას მომავალში და გისურვებ, რათა მომავალ წელში, შენი სახელისთვის კიდევ ახალი, კარგი სახელი მიგემატებინოს!

ჩემო ტკბილო სამშობლოვ, საქართველოვ!– ცართლო, კახეთო, იმერეთო, გურიავ, სამეგრელოვ, აჭარავ, სვანეთო, რაჭა-ლეჩხუმო, ხევო, ფშავ-ხევსურეთო, თუშეთო, აფხაზეთო!

მოგილოცავთ ახალ წელს, ახალ დიდებას, ახალ სიცოცხლეს, მაჯის სიმაგრეს, სულის სიმტკიცეს.

გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალოტო ყმაწვილები, გიცოცხლოს დაკოკრებული თვალგიშერა, იისთვალება ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები! თვალცეცხლა, ტალიკი ბიჭები, გიმრავლოს და გიბედნიეროს!

გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტკბილქართული დედაენა, სულ ვარდი ეფინოს საქართველოს, სულ ღადღადებდნენ ბრძმედები, ელავდნენ ნათურები, სულ გუგუნებდნენ ჩარხები, მანქანები.... გაგეჭიმოს ახალი ხნულები, ახალი ფესვები ჩაებას მშობლიურ მიწას, სულ ფოლადიანობდეს შენი მარჯვენა, სულ ელვარებდეს შენი სადროშე ფარჩა. გიცოცხლოს ვაზის დედა, მზეკაბანი!

სულ თავს დაგნათოდეს გამარჯვების დღე, სულ ჰყვაოდეს შენი სიჭაბუკის ყვავილი, შენი მტევანმოსხმული ვაზი, უშრეტელი რძით სჩქებდეს შენი მიწის ძუძუ, სულ მნათობდეს შენი გონების ნათელი!

დაუშრეტელი იყოს შენი გონის მარაგი, ქართველო ხალხო, შენამც იდიდე შენი შრომით, გიმრავლოს შუქის კაცები, ჯაფის კაცები, შემოქმედნი გულისა, გონებისა, შრომისა, გვიმრავლოს ხელხვავიანი შრომის გმირები და გმირები ვაჟკაცობისა!

გიცოცხლოს მეკვლე, მეჭაშნიკე, მახარობელი, მეერთჯამე, ძმა და მეგობარი, მეუღლე სიყვარულისა!

სულ ვარდული განთიადი მწვერვალებზე და ველებზე, სულ იცინოდეს შენს მკერდზე თვალმაისი გაზაფხული, სულ მზეობდეს შენი ზურმუხტი ტევრები.

აივსენით მზის ჯანითა და ბედნიერებით!

ძმათა და მეგობართა თანამყოფობით! იყავ უძლეველი, მყარი და მტკიცე. წყალი მიდის წყლისაკენ და ძმობილი კი, ძმას დაეძებს. ია – მომგონებელსა, ვარდი – მახსენებელსა!

გიცოცხლოს წინაპართა დიდი სახელი! არწივზე დამდგარ გმირთა, სამშობლოს დამცველთა სახელი. შინმოუსვლელთა, ტყვიაასხმულთა, სამშობლოსათვის სისხლდანთხეულთა სახელი, მუდამ გედიდებინოს!

სულ ელავდეს ბედაური, ოქროს ენა, შენი პოეტებისა! ოქროს ძაფზე დათვლილიყოს ახალ-ახალი ლექსები! მუდამ ისევე გვესმოდეს სეფესიტყვა რუსთაველისა. დიდება სახელსა მისსა, ნურც გაგვცვეთოდეს ქართველებს ტყავი ვეფხისა!

შენი ხელოვნება, მეცნიერება და შენი ხარაჩოები უფრო მაღლა ასულიყოს, საქართველოს გარეთ გასულიყოს, ქართველ დიდოსტატთა, დიდ მეცნიერთა ქართული სახელი!

ქართველო ხალხო, აღარ გენახოს ყამირი, ტრამალი, ნაბაღარი, ნავენახარი, აღარ იყოს „არაშენდა“, სულ „აშენდა“ ყოფილიყოს!

მრავალი გქონდეს სახნელი, სამკალი, გასალეწი, დასაკრეფი, დასარგავი, გიმრავლოს ზვრები, ხოდაბუნები, პლანტაციები, წალკოტები, ბაღნარები, სიუხვე არ მოჰკლებოდეს შენს მაღაროებს, შახტებს, მადნებს!

კიდევ მეტად გასარწყავდეს ურწყული და უდაბური ადგილები! მეტი დაგედგას ბარაქის ზვავები, ზვინები, წითელი მაჭრით გიმღერონ მარნებში ღარებმა!

სულ რძე გასდიოდეს შენს მინდვრებსა და იალაღებს, სულ მარჯნით დახუნძლულიყოს შენი ხეხილის ტოტები!

ბარაქის ხვავით ბრწყინავდნენ ოქროს ფერებით სავსე შენი ქვევრი და გოდორი!

დილა ვარდისა გაშალოს ნიავმა, პირიმზე დაგნათოდეს ღიმილით, არ გამოლეოდეს მეწველი ფური, რქადაქნილი ჭედილა. შენს ტყეებს – რქამაღალი ირემი, შენს ჭალებს – ტურფა ხოხობი, შენს მდინარეებს – დაჩითული კალმახი!

გაუმარჯოს შენს სუფრას, სულ სადღეგრძელოთი ყოფილიყოს ავსებული მამეულ-პაპეული ჯამი, ყანწი, ფიალა, კაჩხა, კათხა, ფარფლა, აზარფეშა, სულ დღეგრძელობასა, კოცნასა და სიყვარულში შესმულიყოს, სულ მოსალხენადა!

ძმებო და დებო, ვიშრომოთ და გავაბარაქოთ ჩვენი მიწა, ავწიოთ დროშა ჩვენი შემოქმედებისა და კიდევ უფრო ავამაღლოთ ქართველი ერის სახელი!

ვისურვოთ ჩვენს სამშობლოში მუდამ ტრიალებდეს საამო საყნოსელი სურნელებისა და ელავდეს ვარდული ბრწყინვალება!

ქართველო ხალხო, სულ ძლიერებდეს ძალა შენი სულისა, შენი შემოქმედებისა, კიდევ დაგვეპყროს ახალ-ახალი მწვერვალები, იხარე და იმრავლე, ისე რომ კერაზე ვერ ეტეოდე!

ქართველო ერო, იყავი ღონით ძლიერი, ლაღი, ბედნიერი, კერა-ოჯახი, სამშობლო გიბედნიეროს!

თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი, მზეგრძელობასა, სიყვარულში და დაულეველ სიხარულში!

ვაჟა ოთარაშვილი

ცა – ჩვენი ცოლიც მიცვამსრთია

– ასე დავარქმევდი ჩემს, რეცენზიასა თუ მოკრძალებულ ნააზრევს, ახლახან გამოსულ ვაჟა ოთარაშვილის პოეტურ კრებულზე: „ხეკორძულელის აღსარება“.

2002 წელი. ჩანაწერის ავტორია **ნუნუ დალაქიშვილი**

ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა ისე წარიმართა, რომ დღემდე წიგნის შეფასება არასოდეს მიცდია. დღეს კი მინდა, ჩემი მცირე ნაფიქრი, თქვენს წინაშე წარმოვაჩინო, რადგანაც, როგორც თვით ავტორი ბრძანებს წიგნის წინასიტყვაობაში: „ყოველი დიდი თუ მცირე შემოქმედი თავის ტაძარს აგებს“.

ვაჟა ოთარაშვილის ეს წიგნიც თავისებურ ტაძარს მაგონებს, ლექსით ნაშენებ, ტკივილით, კალმით, სტრიქონით, ცრემლითა თუ სიხარულით ნაშენებ ტაძარს... სიტყვით ჰქმნის საოცარ პოეტურ ხატებს: წარსულის, აწმყოსა და მომავლის ისტორიას ჰქმნის ძალიან ნიჭიერად, პოეტურად, ინტელექტუალურად, რითმულად... გრძნობით, ფერებით, საქმის და არსის სიღრმის ცოდნით, პატრიოტიზმით... ეს მართლაც, რომ ჭარბად იგრძნობა ყოველ ლექსში და ყოველ სტრიქონში.

კალმით და სიტყვით ჩაებმება ხოლმე თემურ ლენგთან ომში, ბერი თევდორეს კუთხის დასაცავად, კასპის გადასარჩენად, თუმცა ისიც იცის რომ: „ერთად მარხია ერის ერთგული და მოღალატე“...

ვაჟა ოთარაშვილი მაგონებს იმ მხედარს, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „მარადისობაში მიქრის მერანთან ერთად“ და თან მიაქვს ლექსი, როგორც ცხოვრების დღიური, აღსარება უფლისა და მკითხველის წინაშე“.

ყველა ლექსს თავისი მისამართი აქვს, თავისი დაწერის დრო და ადგილი. თითქოს ყოველი ლექსი, წინა ლექსის გაგრძელებაა... პოეტი იცვლის თავისი მზერის, ტკივილის, სათქმელის რაკურსს... ლექსს უძღვნის პაპა-ბებიას, დედას, შვილს, მეგობრებს და მთელ ქვეყანას, მთელ სამყაროს... (წიგნს უძღვნის თავის მეუღლეს რუსუდან ხუციშვილს – ოთხი შესანიშნავი შვილის გამჩენსა და გამზრდელს...).

თითოეულ პორტრეტს ჰქმნის რუდუნებით, ვნებით და თრთოლვით, სათქმელს სიღრმით, ლირიულად, ნათელი ფერებით.. პოეტის გულს აკვნესებს 9 აპრილის ტრაგედია, ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, აუწყობელი ქვეყნის ბედი.. პოეტმა იცის, რომ „დროშების შეცვლა ვერ ცვლის თაობებს, ზოგმა რომ დროშის ფასიც არ იცის“, ებრძვის ქალაქში, მტვერში და ჭუჭყში გაჩენილ ვამპირებს, იგი თითქოს მთელ ქვეყანას დუელში იწვევს..

პოეტი „ცოდვიან ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც ძმა ძმის ქელეხში „წინწყაროს“ მღერის და ამ ყველაფრის მოწამეა თვით ქაშუეთი. და რუსთაველის ცივი პროსპექტი, ნამუსახდილი ქალივით მოსჩანს“. და უჭირს „ამ ცოდვიანი ერის და ბერის ატანა“.. და „ყოველ ღამე ძმათა მტრობას გლოვობს“.. უწყდება გონება და აზრი, გულისტკივილით, განშორებით, ქართველის მიერ ქართველის არ გატანით, ღალატით.. ებრძვის სიმახინჯეს, სიბნელეს სულისას და უთანასწორო ბრძოლაში, არ არის მარტო. მასთან არის მისი უერთგულესი იარაღი –კალამი.. წრფელი სიტყვით გასპეტაკებული, ბასრი და მჭრელი..

ვკითხულობთ მართლაც ალალი, აღსარებით დაწერილ ლექსებს და ვრწმუნდები, რომ ისინი დიდი შემოქმედებითი ენერგიით, დიდი ძალისხმევით, ახალი პოეტური ფერებით შექმნილი სასწაულებია.

ვაჟა ოთარაშვილი არ ივიწყებს თავის ისტორიულ გმირ წინაპრებს. არსენას, გიორგი საააკაძეს, თავისი მამა-პაპის, „ნახმლევივით“ დარჩენილ ფერადოვან ბავშვობას, გიგა პაპასადმი, ბებიასადმი და დედ-მამისადმი მიძღვნილი აქვს არა ერთი ლექსი:

„ა, ემ ცასა და მიწას შევაცვდი
და უცვეთელი დამრჩა ორივე..
მაგათ შემყურე ისე შევნაცრდი,
რომ საამქვეყნოთ მალე მომრთავენ“..

ვაჟა ოთარაშვილის წიგნში „ხეკორძულელის აღსარება“- ორასზე მეტი ლექსია, მათ მკითხველი ერთი ამოსუნთქვით ვერ წაიკითხავს, წაიკითხავს გამოზოგვით, დაფიქრებით და საკმაოდ დინჯადაც.. ნაიარევს და „ნატკივილარს,“ აღმოაჩენს...

ცოცხალი პოეტური შთამბეჭდავი სახეები კრებულში მრავლად არის: სიყვარული, ერთგულება, მამა-შვილობა, დედა-შვილობა, ერისკაცობა, სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილი, ღვთის რწმენა და ურწმუნოება – ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის მარადიული თემებია.

დაბოლოს, ჩემი წერილი მინდა დავამთავრო იმ საოცარი სტრიქონებით, რომლებიც „ნატურმორტებს“, „პეიზაჟებს“, „ფრესკებს“ მაგონებს ისეთი ოსტატობით, ჟრჟოლვით, განცდით არის დაწერილი: „სხვილოს ციხესთან, როგორც ლეკვები, ჩუმად მიცოცდნენ ლეგა ნისლები“... „თოვლი შეავსებს ცარიელ ჭიქებს, ჟრჟოლვით გადავკრავ შიშველ სიცივეს“, „გადაწინწკლულან ყაყაჩოებით ქართლის ველები“... „თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს და ენძელების დაქალწულება“, „ქართველები ერთი კონა ია ვართ, ვერ გაგვყიდეს ისპაჰანის ბაზარზე“... „დაბლა, მწვანეში, ღვივის ქალაქი და მზის სხივებით თვრება“, „ჩუმად ცვივიან ფოთლები ხიდან, მოწყვეტამდეა ერთი შეკრთომა... ქარი ურჩ ტოტებს მიწისკენ ხრიდა, ეომებოდა ცას შემოდგომა“...

მინდა აღვნიშნო, სპარტაკ ცინცაძის მიერ გუაშით, ლამაზი მრავლისმთქმელი შტრიხებით, ნიჭიერად შესრულებული ნახატები, რომლებიც თავისებურ იდუმალებას მატებენ ამ წიგნს... გავა დრო და „ხეკორძულელის აღსარებაზე“ თავის სიტყვას იტყვიან კრიტიკოსები და უფრო ღრმად და პროფესიულად შეაფასებენ პოეტის ნაღვაწს, მე კი ერთს დავძენდი, ვისაც პოეზია უყვარს, ვინც ნიჭიერი პოეტის და კარგი წიგნის დამფასებელია, უთუოდ შეიძენს და სამაგიდო წიგნად აქცევს „ხეკორძულელის აღსარებას“.



ჯემალ მონიავა

ფოთოლთ გადაშრიალებაში

საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის“ ჟურნალისტს, მკვლევარს ნუნუ დალაქიშვილს

ნუნუ დალაქიშვილი

„ფოთოლთ გადაშრიალებაში“ მას ფოთოლთა იდუმალი დიალოგის მოსმენა ძალუძს, ასფალტში ამოჭრილი ბალახის მარტოობა სტკივა.

ველის ნიავის კარდიოგრამას დაგიდგენთ,
ყვავილს ცრემლს მოსწმენდს და ცას დავარცხნის.

საოცარი მხედველობა აქვს, საოცარი სმენა. მისი ნოველებისა და ჩანახატების წიგნი „უფრთო ჩიტები“ სავსეა ნათელი სხივით, უიშვიათესი თანაგანცდით.

ამგვარი სულის ადამიანი, საქართველოს რადიოს არქივში გამოკეტილი, როცა ამ ბუმბერაზ ადამიანებთან პაემანზე გახლდათ, ცხადია გულგრილი ვერ დარჩებოდა და აი, მისი ფიქრი, განცდა თუ დარდი ამ წინგში ჩამოყალიბდა. ერთხელ კიდევ მოგვეცა საშუალება ერის რჩეულთათვის თვალი გადაგვევლო და ჩვენთვის დანატრული მათი ხმა წიგნში „საუკუნის ხმები“ კვლავ „გაჟღერებულიყო“.

უღრმესი მადლობა ნუნუს, ამ საჩუქრისთვის.

კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო
თეატრის მსახიობი, მწერალი,
დრამატურგი – ჯემალ მონიავა

ვერიკო ანჯაფარიძე

დიდი ჯადოსტური ვერიკო იხსენებს

სიტყვა წარმოთქმული მოსკოვში 1962 წელს კოტე მარჯანიშვილის 90 წლისთავის საიუბილეო საღამოზე.

გადაცემის რედაქტორია **სულიკო გაწერელია**.

ვერიკო ანჯაფარიძე – კოტე მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში შემოიტანა დიდი განახლება. სადღესასწაულო და სასიამოვნო გახადა მისი სცენა. მუსიკის ჰანგებით აავსო და გააცოცხლა ძველი აჩრდილები. ყოველ წვრილმანს შთაბერა სიცოცხლე, მისცა ახალი შინაარსი და დატვირთვა.



კოტე მარჯანიშვილი

კოტე მარჯანიშვილი იყო ყოველთვის შთაგონებული, აღელვებული და გატაცებული თავისი დადგმებით. ის ეძებდა სიახლეს, არ ეშინოდა ექსპერიმენტების, მიისწრაფოდა ყოველთვის განახლებისაკენ; ის დღე და ღამე მუშაობდა. ჩვენთან ერთად შრომობდა და იხარჯებოდა. არც თვითონ ისვენებდა და არც ჩვენ გვასვენებდა, დაუსრულებლად ძიების პროცესში იყო ჩაბმული. „კმაყოფილება – ეს სიკვდილიაო“ – ამბობდა ხშირად.

მან გვასწავლა ყოველი წარმოთქმული სიტყვის ძალიან ღრმად და მძაფრად შეგრძნება... ათი წელი ვიმუშავე კოტე მარჯანიშვილთან და ყოველი დღე იყო სავსე და დაძაბული ჩემთვის. იყო აღმაფრენის, დაცემისა და შეცდომების ხანაც, მაგრამ ყოველი მისი სპექტაკლიდან ისმოდა შთაგონებული შეძახილები.

ჩვენმა ერმაც დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით მიიღო მისი სპექტაკლები, მას გარს ეხვეოდნენ მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, დიდი გემოვნებისა და კულტურის ადამიანები. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს ახალი თეატრის დაარსებაში მთელი საქართველო იღებდა მონაწილეობას!

მისი ყოველი რეპეტიცია მსახიობში კიდევ ერთი ღირსების აღმოჩენა იყო, სამსახიობო ოსტატობის კიდევ უფრო დაუფლება, მისი რეპეტიცია ჩვენთვის იყო ბრწყინვალე სკოლა.

ჩვენ ახალგაზრდა მსახიობებს ყვერლაფერი მოგვქონდა სცენაზე, რაც გაგვაჩნდა და არ გაგვაჩნდა.

ივდითი – ვერიკო ანჯაფარიძე, „ურიელ აკოსტა“

მისი რეპეტიციები – ეს უბრალო რეპეტიციები არ იყო. თუ მას არ ჰქონდა შემოქმედებითი განწყობა, შთაგონება, ის რეპეტიციებს არ ატარებდა.

ეს რეპეტიციები ყველაზე ძვირფასია ჩემთვის, რაც კი რამ შემორჩენია ჩემს მეხსიერებას იმ წლებიდან!

მე მინდა ერთი ეპიზოდი მოგითხროთ ოფელიას როლზე მუშაობისა... (ჰამლეტს – უშანგი ჩხეიძე თამაშობდა), როდესაც მან ოფელიას პორტრეტი დამიხატა თქვა, რომ მე ოფელიას სახეს ვხედავ სიცილის, ირონიის ფონზეო. სიცილი კი მე მაშინ საერთოდ არ შემეძლო. მანამდე 2 წელი ვთამაშობდი სცენაზე და ყველა როლში მე ვკვდებოდი, ვტიროდი, მოვთქვამდი...

ასე რომ, მე სიცილი სცენაზე საერთოდ არ შემეძლო და მომეჩვენა რომ მე ოფელიას ვერ ვითამაშებდი. ვერაფერი ვუთხარი, იმიტომ რომ მეშინოდა მისი მრისხანებისა. ის იყო ძალიან მკაცრი, დესპოტივით გვექცეოდა მსახიობებს. მალე ავად გავხდი. მან იგრძნო რომ ეს ჩვეულებრივი ავადმყოფობა არ იყო და როცა მნახა,

ივდითი – ვერიკო ანჯაფარიძე, „ურიელ აკოსტა“

ჩამეკითხა: „რა დაგემართაო?!“ მე ბოლოს და ბოლოს გამოვუტყდი რომ სცენაზე სიცილი არ ვიცოდი და ოფელიას როლს ვერ ვითამაშებდი. მან არაფერი მიპასუხა. შემდეგ რეპეტიციას ჩვეულებრივად გავდიოდით მე და უშანგი, მხოლოდ „ოფელიას გაგიჟების“ სცენას ჯერ არ მაკარებდა, იფიქრეო – მითხრა, შენ როგორ ხედავო“.

ერთხელაც რეპეტიციაზე, როდესაც ის უშანგის მონოლოგით მოხიბლული ბრწყინვალე განწყობილებაზე იყო, დამიძახა: „აბა, ვერიკო, მოდი გვაჩვენე, შენ როგორ გაქვს ეს სცენა ჩაფიქრებულიო“.

მე ძალიან ავღელდი, მუხლები ამიცახცახდა. ყველა გენიალური, დამსახურებული არტისტი თვალყურს ადევნებდა ჩემს ყოველ მოძრაობას.

გავედი სცენაზე, დავხუჭე თვალები და ენის ბორძიკით დავიწყე ტექსტის კითხვა... როცა თვალები გავახილე, დავინახე კოტე სულ ახლოს მოსულიყო ჩემთან, ისე რომ მისი სუნთქვაც კი მესმოდა...

მას ჰქონდა რაღაც არაჩვეულებრივი მანერა მუშაობისა... თავისი სკამით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მსახიობს და მასთან ერთად მიმოდიოდა სცენაზე... მას არ უნდოდა გამორჩენოდა მსახიობის სულის რხევის მოძრაობის არც ერთი წამი...

თვალი გავახილე და დავინახე მისი სიბრალულითა და თანაგრძნობით ანთებული მზერა... მე ავტირდი... ცრემლები მახჩობდა, სიტყვის წარმოთქმას მიშლიდნენ... მე მათ ვყლაპავდი, ვიმშრალებდი და მაინც ვერ ვაჩერებდი... მარჯანიშვილმა რამდენჯერმე გამატარა ეს სცენა და ვამჩნევდი რომ ჩემთან ერთად მოემატა მასაც აღელვება... როგორ მიმიღებდა მე პუბლიკა, მაყურებელი... დაინიშნა პრემიერის დღე...

მთელი თეატრი აღმოჩნდა ხალხის ყურადღების ცენტრში... კოტეს სწერდნენ, ურეკავდნენ... არ ეთამაშებინათ ჰამლეტის როლში ახალგაზრდა, გამოუცდელი, საზოგადოებისათვის უცნობი მსახიობი – უშანგი ჩხეიძე... ის როლს ჩააგდებდა, „ჩააფლავებდა“ და ეს ქართველი მაყურებლისათვის საშინელი ტრაგედია იქნებოდა... ურჩევდნენ როლები მიეცათ უკვე გამოცდილი მსახიობებისთვის...

და აი, პრემიერის დღეც დადგა ... ჩემი სცენაზე გასვლის დროა, იწყება ოფელიას „სიგიჟის სცენა“ – კვლავ მუხლები მიკანკალებს, ხმაც მითრთის... ვიგრძენი კოტეს მოახლოება... მოვიდა გრიმი შემისწორა, ცოტა ხნით სკამზე დამსვა, შემდეგ კი სცენაზე გასვლის წინ ყურთან ჩამჩურჩულა: „ღმერთი იყოს შენი მფარველი!“ ...

უშანგი ჩხეიძე
ჰამლეტის როლში

ვერიკო ანჯაფარიძე
ოფელიას როლში

მე გავედი სცენაზე და თითქოს უცბად დავიცალე ენერგიისაგან, ენას და ფეხს ძლივს ვიდგამ... კოტე კი საღღაც შუქ-ჩრდილებში ჩაკარგულა და შემომცქერის თავისი დიდრონი თვალებით... და ჩუმად ჩურჩულებს „ვერიკო, აბა შენ იცი“... და აი, მეც გონზე მოვდივარ, ცრემლის ღვარი მდის სახეზე... ხან ვიცინი, ხან ვტირი... ისეთი ბუნებრივი ვხდები... ისე ძლიერად ვფლობ ჩემს თავს... გრძნობებს ვმართავ... და ყოველთვის, ახლაც როცა სცენაზე პირველად შევდგამ ხოლმე ფეხს, ყოველთვის მაგონდება მისი ღვთიური სიტყვები – და ლოცვა: „ღმერთი იყოს შენი მფარველი!“ და კვლავ და კვლავ ვგრძნობ მისი სულის საოცარ თრთოლვას! ვიხსენებ იმ არაჩვეულებრივ, თავისი ნატურით თეატრალ, შემოქმედ ადამიანს, ვისი გულისათვისაც თითოეულ მსახიობს სიცოცხლის გაწირვა შეეძლო.

მისი რეპეტიციები ჩემთვის იყო უდიდესი სამსახიობო სკოლა, „რომლითაც დღემდე ვსაზრდოობ!... და რაც არ უნდა მრავალი სატელევიზიო გადაცემა გაჩნდეს ამ ქვეყანაზე, თეატრი არასოდეს დაკარგავს თავის დიდ ადამიანურ დანიშნულებას, მასში ყოველთვის იცოცხლებს იმ დიდი პედაგოგის სული, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ჰქვია.

თეატრისაგან ხალხი მართალ სიტყვას მოითხოვს

ვერიკო ანჯაფარიძე – „მარგარიტა გოტიეს“ როლის თამაშის დროს, წონაში ერთი კოლოგრამით ვიკლებდი...“

გადაცემის ავტორია
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი **მედეა გეგეშიძე** (1972 წლის ჩანაწერი)

აი, რას ურჩევს ახალგაზრდა მსახიობებს საქართველოს სახალხო არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე:** – „თეატრი უდიდესი ფაქტორია ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. თეატრის ამოცანაა პასუხი გასცეს იმ საკითხებს, რომელიც ჩვენმა ცხოვრებამ წამოაყენა. ხალხი თეატრისაგან მოითხოვს მართალ სიტყვას!..

მართალს, მაგრამ ამაღლებულს, პოეტურს, მძლავრსა და ზეშთაგონებულს, იმისათვის რომ ეს საპასუხისმგებლო ამოცანა შეასრულო, მსახიობს მოეთხოვება უდიდესი შრომა.

ხშირად გამიგონია: „მთავარია რომ მსახიობს ჰქონდეს ნიჭი და სცენისადმი მიდრეკილება, სწორედ ნიჭი წყვეტს მსახიობის ბედსაო“.

ვერიკო ანაფარიძე – მარგარიტა გოტიე

მე ამ სიტყვებს ვერ დავეთანხმები.

ბევრი მინახავს თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ ისინი საშუალო მსახიობის დონეს არ გასცილებიან... იოლი გზით სიარულით ღირებული არაფერი შექმნილა.

ჭეშმარიტი შემოქმედის გზა რთულია. მსახიობის ცხოვრება კი საოცარია, როცა ახალგაზრდა ხარ, თეატრში სცენაზე მუშაობა თითქოს არც ისე ძნელია. ბევრ ნაკლს ახალგაზრდული მომხიბვლელობა ფარავს; სულ მალე რწმუნდები, რომ ეგ არ კმარა. წლები წლებს მისდევს და მსახიობობა მოითხოვს შინაგან დიდ ყოველდღიურ წვრთნას, დაუღალავ ფიქრს, მთელი არსების დაძაბვას, უდიდეს ფიზიკურ შრომას; და რაც უფრო მეტად ეუფლები მსახიობის ოსტატობას, მით უფრო შორს მიიწევს ჰორიზონტი.

რაც უფრო მეტ ცოდნას იძენ, უფრო მეტად გრძნობ ცოდნის უსაზღვრობას. ამაშია მსახიობის პროფესიის უცნაურობა!

სცენაზე მოვხუცდი და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მრავალი რამ დამრჩა აუხსნელი და ერთი სიცოცხლე არ მეყო, რათა ბოლომდე ჩავწვდომოდი თეატრის რთულ ამოცანებს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე 100-მდე როლი ვითამაშე, ეს ნიშნავს 100 სხვადასხვა ერის, რჯულის, ეპოქის, ბედის, ხასიათის ადამიანის გაცნობას, შეთვისება-შესისხლხორცებას.

როცა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ გმირს ვთამაშობდი წავიკითხე მისი თითქმის მთელი შემოქმედება. ჩავწვდი ამ ბუმბერაზი მწერლის მსოფლმხედველობას. სხვაგვარად ვერ მიხვდება მსახიობი მისი ფიქრის „ქვეტექსტებს“, მისი განცდების სიღრმეს ვერ გაიგებს.

შექსპირის დრამატურგიიდან 4 როლი მაქვს ნათამაშები. შექსპირმა საოცრად კარგად იცოდა თეატრი, სცენა... მეც შესაბამისად გავეცანი იმდროინდელი ინგლისის ისტორიას, რომელსაც ჩემი გმირები ეკუთვნოდნენ.

„კლეოპატრას“ განსახიერებისას საჭირო შეიქმნა, რომ შემესწავლა ეგვიპტელთა ზნე-ჩვეულებანი, რომელიც აღბეჭდილია იმდროინდელი ხელოვნების ნიმუშებზე.

ვერიკო ანჯაფარიძე კლეოპატრას როლში

თუ მსახიობი არ იცნობს იმას, ვისაც ასახიერებს, არ იცის თუ რა ასულდგმულებს მის გმირს, სულ ადვილად შეიძლება „დაამახინჯოს“, „დაამციროს“ მისი ბუნება. შენს გმირსა და შენს შორის მანძილი არ უნდა იყოს; მან უნდა გაგიტაცოს, თავდავიწყებამდე უნდა შეიყვარო იგი. ამას კი დიდი შრომა სჭირდება!

ვითამაშე „ოთარაანთ ქვრივი“. მაგრამ ჩემი გმირის შექმნისათვის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის თხზულებების ცოდნა არ კმაროდა. მე ვეცადე შემეცნო ზოგადად ქართველი დედის ხასიათი, მისი ზნეობრივი ძალისა. „ოთარაანთ ქვრივი“ თითქოს ტიპური სახეა ქართველი დედისა, მაგრამ მას ჰქონდა კიდევ რაღაც სხვა, რაც მას განსაკუთრებულ არსებად აქცევდა. ის, რაც თვით ჩვენ ქართველ ერშია... სიამაყის, ღირსების გრძნობა. მსახიობი ამას აზრით, ჭკუითა და გუმანით უნდა ჩაწვდეს. ეს კი ტიტანურ შრომას მოითხოვს!

მახსოვს, შილერის „მარიამ სტიუარტზე“ მუშაობისას, რომელშიც მარიამის როლს ვასრულებდი, რთულ პრობლემებს წავაწყდი: ისტორიული მასალა სხვაგვარად აშუქებდა მარიამის სახეს, ვიდრე ეს შილერს ჰქონდა აღწერილი.

მე არ მინდოდა დავცილებოდი „შილერის-მარიამს“, ამიტომ ვიპოვნე რაციონალური მარცვალი ამ ორ მარიამს შორის...

აგერ კიდევ ესპანელი ბებია – პიესაში: „ხეები ზეზეულად კვდებიან“ – ამ ქალსაც ჰქონდა თავისი ეროვნული თავისებურებანი ხასიათში. ეს სახე ვეცადე რომ კონკრეტულიდან ზოგად სახემდე ამეყვანა...

ვეცნობოდი ესპანურ ლიტერატურას, ამ ადამიანთა შინაგან სამყაროს, მათ გარეგნობას და სხვა და სხვა... რომელი ერთი გიამბოთ!..

უდიდესი შრომის გარეშე ვერ გახდები მსახიობი; შემოქმედი – ეს უძილო ღამეები და შფოთვაა;

არც მარტო აზროვნება გამოგვადგება და არც მარტო გრძნობა; ორივე ერთად უნდა იყოს შერწყმული.

თუ შენ არ გიყვარს შენი ქვეყანა, შენი ხალხი, შენი დღეები, შენი აწმყო;

თუ შენ ადამიანებს არ გაუხსნი მთელ გულს... ვერასდროს გახდები კარგი მსახიობი!

ვერ გახდები „ადამიანთა სულის ინჟინერი“.

მე პირადად ყოველი წარმოდგენა ძვირად მიღირს, იმიტომ რომ ჩემი თავის დაზოგვა არ შემიძლია!

მაყურებელი ყოველთვის გრძნობს, როდესაც მსახიობი ნახევარი გრძნობით, ნახევარი ენერგიით, ნახევარი ტემპერამენტით თამაშობს... და ის, ამ შემთხვევაში, ვერ თანაუგრძნობს მას.

მინდა გავიხსენო, „მარგარიტა გოტიეს“ ვთამაშობდი, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ჩემთან შემოვიდა ერთი მოქალაქე, პროფესიით ფსიქოლოგი, მან მკითხა: – „რამდენი გაკლდება წონაში, ამ როლის თამაშის დროსო?“

მე გამაკვირვა ამ შეკითხვამ. არასდროს მიფიქრია ამაზე. ჩვენ შევთანხმდით, რომ შემდეგ ამავე სპექტაკლის დაწყებისას და წარმოდგენის დამთავრებისას, შევამოწმებდით ჩემს წონას. ასეც მოხდა!

წარმოდგენის დამთავრებისას გამოირკვა, რომ „მარგარიტა გოტიეს“ ყოველი სპექტაკლის თამაშის შემდეგ, მე ერთ კილოგრამს ვიკლებდი წონაში.

განა ეს ფაქტი არ მოწმობს იმაზე, რომ მსახიობის პროფესია საკმაოდ რთული საქმეა?!

მსახიობმა აგრეთვე უნდა გამოიმუშაოს გამძლეობის უნარი!

მახსენდება კ/ფ „ოთარაანთ ქვრივის“ გადაღება. იღებდნენ „გიორგის გამოსვენებას...“

თუ თეატრში, სცენაზე, შორსა ხარ მაყურებლისგან, შეიძლება მაყურებელს გამოეპაროს ყოველი წვრილმანი შენი სახის მოძრაობისა, თვალების გამომეტყველება და სხვა... ეკრანისათვის ფარული არაფერია... „მსხვილი პლანი“ აშიშვლებს ყველაფერს: ყოველ წვრილმანს შენი სახისას, თუ გულის სიღრმემდე არა ხარ მართალი, შენ განცდას ვერავის დააჯერებ!

ჩემთვის ამ სცენის თამაში ძალიან ძნელი იყო: მე უნდა მთელი ჩემი არსებით მეგრძნო ტანჯვა დედისა!

გადაღება დღის 12 საათზე დაიწყო. მე უკვე ნაპოვნი მქონდა განწყობილება: ჩემი გული თითქოს სისხლისაგან იყო დაცლილი! ვერავითარ ფიზიკურ ტკივილს ვერ ვგრძნობდი! ასე მეგონა, რომ ასეთ ყოფაში დიდხანს ვეღარ გავძლებდი...

დაიწყო თუ არა გადაღება, მზე ღრუბლებში შეიმალა... და მზე ხომ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია კინოგადაღებისათვის!

გადაღება შეჩერდა. უამრავი ხალხი მონაწილეობდა ამ ფილმში. ყველა დაიშალა, წავიდ-წამოვიდა... ატყდა მხიარული ჟრიამული. გაიშალა პატარა სუფრა, წამოიწყეს სიმღერა...

მე გავქვავდი იმ ადგილას, სადაც ვიდექი და ვერ ვინძრეოდი...

მეშინოდა ასე ძნელად ნაპოვნი, მორგებული განწყობილება არ დამეკარგა, არ გამეფანტა... განძრევისაც კი მეშინოდა... სხვებიც მორიდებით გარს მივლიდნენ!

კადრი კინოფილმიდან „ოთარაანთ ქვრივი“

მზე დიდხანს არ გამოდიოდა ღრუბლებიდან. საათები გადიოდა და დამჭირდა არაადამიანური ნებისყოფა, გამძლეობა, რათა შემენარჩუნებინა „ნაპოვნი განწყობილება“. მხოლოდ საღამოს 5 საათზე მოხერხდა ამ სცენის გადაღება...

განა სიტყვებით შემიძლია გადმოგცეთ, თუ რა ძვირად დამიჯდა მე ეს გადაღება?

რა ჰქვია ამას? თუ არა უდიდესი შრომა!

ჩემო ძვირფასებო, შემოქმედი ადამიანი ხომ იმიტომაც მოდის ამქვეყნად, რომ თავისი წმინდა მოვალეობა მოიხადოს მშობლიური ხალხის წინაშე... ბედნიერია ის, ვისაც უქმად არ გაუტარებია თავისი სიცოცხლე და ნათელი კვალი დაუტოვებია ხალხის კულტურის ისტორიაში!

უშანგი ჩხეიძე

თეატრის დიდი ჯვარი და მშვენება

უშანგი ჩხეიძე – „ხალხის სიყვარული არის უჭკნობი და მარადიული. ამ სიყვარულისათვის სწირავდნენ სიცოცხლეს უხსოვარი დროიდან ჩვენი გამოჩენილი წინაპრები – ზოგი ბრძოლის ველზე – იარაღით ხელში, ზოგიც კიდევ სიტყვითა და კალმით!...

... განა ამ სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე შესაძლებელია, რომ ადამიანმა შენი გული გადაუშალო უცხო ხალხით სავსე დარბაზს?!

ანდა უსათუთესი გრძნობები დაუფინო მათ ფეხთ ქვეშ, ჩაახედო შენი სულის ისეთ ფარულ ხვეულებში, რომელთაც საყვარელ ადამიანსაც კი არ გაუმჟღავნებდი!

მარტო ტაშისა და ანგარების გულისათვის შეიძლება ეს ჩაიდინოს მხოლოდ უპრინციპო, უთვისტომო, უგულო ადამიანმა! მაგრამ ასეთი ანგარებიანი მსახიობი რა მაღალ ოსტატობითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ის ვერასოდეს დაამჩნევს ღრმა კვალს ხალხის კულტურულ ცხოვრებას და ვერც თავისი ერის კულტურულ საგანძურს შემატებს ღირებულს! მათი სახელები მხოლოდ დროებით გაიელვებენ თეატრის სცენაზე და მალევე ჩაჰქრებიან სამუდამოდ.

დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდათ უშანგი ჩხეიძესა და ვერიკო ანჯაფარიძეს. ვისაც ერთხელ მაინც უხილავს სცენაზე უშანგი ჩხეიძის ურიელი და ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი ან ჰამლეტი და ოფელია, მისი მეხსიერებიდან არ ამოიშლება ამ ორი ნიჭიერი ხელოვანის მიერ შექმნილი სახეები.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული ვერიკო ანჯაფარიძის მოგონება, რომელიც მან წარმოსთქვა **უშანგი ჩხეიძის 65 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე**:

ვერიკო ანჯაფარიძე – ვისაც უნახავს უშანგი სცენაზე, მათ კარგად იციან რა ამაღლებული, ღრმა, შთაგონებული და ძლიერი ნიჭით აღსავსე იყო მისი ხელოვნება. რა დიდი წვლილი შეიტანა მან ახალი ქართული თეატრის შექმნაში და ამ თეატრის საოცარი სისწრაფით ხელოვნების მაღალი მწვერვალების დაუფლებაში, ხოლო ვისაც არ უნახავს იგი, დე, მათაც გაიგონ ეს!

უშანგი ჩხეიძე მხოლოდ 13 წელიწადს მოღვაწეობდა თეატრში, მაგრამ ის ამ წლების განმავლობაში გახდა მრავალი ადამიანის ფიქრისა და გრძნობების დამატყვევებელი. უშანგი მეფობდა სცენაზე. თუმცა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მან შეწყვიტა სცენური არსებობა, მაგრამ მისი ხავერდოვანი ხმა დღესაც ჩაგვესმის ხოლმე თეატრის კედლებიდან!

იგი არასოდეს არ მოკვდება, ისევე როგორც მზის შუქი, რომელიც გუშინ, გუშინწინ გვათბობდა, მუდამ ჩვენში რჩება სითბოდ და სინათლედ! უშანგი მანამ იცოცხლებს, სანამ იცოცხლებს ქართული თეატრი!

ვასო გოძიაშვილი – უშანგი ჩხეიძე – აი, სახელი, რომელიც დამკვიდრდა ყოველ ჩვენგანის გულში და გონებაში, უშანგი – სახელი, რომელიც ყოველ ჩვენგანში იწვევს სიამაყის, სიხარულისა და სევდიან გრძნობებს!

არიან ხელოვანნი, რომელთა სახელებიც ათეული წლების შემდეგაც არა ქრებიან... ისინი მარადიულნი არიან, მშობელ ერთან, მშობელ ქვეყანასთან ერთად!“

ნატო, ვასო, ლადო – აი, სახელები რომლებიც გვამცნობენ, თავიანთ სიდიადეს, სილამაზესა და მშვენიერებას! და რა ბედნიერია უშანგი, რომ მან თეატრის ასეთი კორიფეების გვერდით დაიმკვიდრა სამუდამო ადგილი!

ქართულმა თეატრმა ბრწყინვალე ოსტატები მისცა მშობელ ერს და ჩვენი დრამატული ხელოვნება, ქართველ ხალხთა „აქტიორთა“ გრძნობა და გული ჩვენი სამშობლოს საზღვრებსაც გასცდა. უშანგიც ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი გახლდათ, რომელმაც გაიბრწყინა, გაიელვა და ჩაქრა.

ხანმოკლე იყო უშანგის სიცოცხლე საკუთარი თავისთვის და ქვეყნისთვისაც!

უშანგი მახსოვს ვაჟკაცური მხარ-ბეჭით, ირიბად ჭრილი თვალებით, ქვედა ტუჩი ჩამოწეული, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მსხვილი წარბები, ძარღვიანი მკლავებითა და კარგი, მაგარი მუშტით.

დიდ შემოქმედებასთან, დიდ შემოქმედთან გატარებული ყოველი წუთი ძვირფასი ხდება ხოლმე მისი წასვლის შემდეგ. ამის დასადასტურებლად მაგონდება ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი შთაბეჭდილება.

„ჰამლეტმა“ გაიმარჯვა და მასთან ერთად უშანგიმ... თეატრმა სხვა დრამატულ პიესაზე დაიწყო მუშაობა... მონაწილეობდა უშანგიც... არასოდეს დამავიწყდება, როცა ის რეპეტიციაზე შემოდიოდა, წინა ღამით „ჰამლეტისგან“ გადაქანცული, მაგრამ მაინც მუდამ ფორმაში იყო... თითქოს მისი თვალები სულ სხვანაირად გვიყურებდნენ, სხვანაირად ელვარებდნენ, უფრო ალერსიანი, უფრო თავაზიანი, თითქოს სახეც ნაზი და სათუთი უხდებოდა, თითქოს შუბლიც გაეხსნებოდა და რეპეტიციაზე კი კვლავ ფიქრითა და ჭმუნვით იყო დამძიმებული.

მაშინ დავწრმუნდი რომ ხელოვნება მსახიობს გონების თვალს უხსნის, სულს უმაღლებს და გულს კი უკეთილშობილებს და ასეთი იყო თავის მაღალ შემოქმედებაშიც უშანგი!

დავით ჩხეიძე – (დავითი იყო წლების მანძილზე რუსთაველის თეატრის დირექტორი და უშანგის უფროსი ძმა) – უშანგი იყო უკეთილშობილესი ადამიანი და ამასთან დიდი მსახიობიც.

უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ყველაზე ახლობელი იყო და ძმაზე ლაპარაკი, მოგეხსენებათ, ყოველთვის ძნელია და ერთგვარად ადვილიცაა, რადგანაც მისი ბავშვობა, ყრმობა და დავაჟკაცება ახლაც თვალწინ მიდგას...

მე მგონია, რომ ქართულ თეატრს უშანგიზე უფრო პოპულარული მსახიობი არა ჰყოლია. მას, როგორც უნიჭიერეს მსახიობს, ეხერხებოდა, როგორც ტრაგიკული, ასევე კომიკური როლების უზადო შესრულება!

უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე და დავით ჩხეიძე

უშანგი იყო არა მარტო კარგი მსახიობი, არამედ კარგი დრამატურგიც, მხატვარიც და მასწავლებელიც, ჩვენი ახალგაზრდობისა! იგი თავს არ ზოგავდა, ბევრს მუშაობდა უფრო მეტს ვიდრე მას შეეძლო, ის წერდა:

„იმისათვის, რომ დიდხანს იმოღვაწეო სცენაზე, სწრაფად არ ამოწურო შენი სცენური შესაძლებლობები და შემოქმედებითი ენერგია, საჭიროა ზომიერად, გამოზოგვით, ბოლომდე დაუხარჯავად თუმცა ერთგულებით იმუშაო როლზე...“

თუმცა მან ეს ვერ შეძლო და თავისი გული და სული გამოუზოგავად, ენერგიის ბოლომდე დახარჯვით მიუძღვნა სცენას, თეატრს!

უშანგის ახასიათებდა ადამიანისადმი დიდი სიყვარული, მეგობრობა, სათქმელის პირში თქმაც იცოდა, უფროსებთან მოკრძალებული იყო, თანატოლებთან სასიამოვნო ოხუნჯობაც შეეძლო. უყვარდა მუსიკის მოსმენა, სიმღერა, მოხდენილად ცეკვავდა.

უშანგი ყოველთვის გულწრფელად იღებდა მეგობრულ შენიშვნებს. თავის გამოჩენასა და განდიდებაზე ნაკლებად ფიქრობდა. უშანგის შემოქმედება, თავისი ორიგინალური რეპერტუარით, დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს!..“

ნინო ჩხეიძე

ნინო ჩხეიძე – (უშანგის და) – „მე რომ თბილისში უშანგისთან ჩამოვედი, ჩემს ძმას „გიორგი სააკაძის“ პიესის 2 მოქმედება უკვე დაწერილი ჰქონდა. უშანგი თანდათან ხვეწდა, აზუსტებდა თითოეულ ფრაზას, თუ გამოთქმას. გიორგი სააკაძეზე, 15 წლის ასაკში მქონდა „დიდი მოურავი“ წაკითხული, მაგრამ ახლა, როდესაც უშანგის ჩემი დახმარება დასჭირდა პიესაზე მუშაობის დროს, მე იძულებული ვიყავი შემესწავლა მთელი ისტორიული მასალები. გადამეწერა და გადამეთეთრებინა სააკაძის ბიოგრაფიის დეტალები და აჰა, პიესაც მზად იყო.

პიესა მიიღო მარჯანიშვილის თეატრმა და მზად იყო დასადგმელად. დაიწყო რეპეტიციებიც, დამდგმელ რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილს შორის მიწერ-მოწერა, აზრის გაზიარება, მონაწილე მსახიობების სტუმრიანობა და ათასი სხვა სამზადისი.

„გიორგი სააკაძეზე“ მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა შემოდგომის ერთ თბილ საღამოს ჩვენი სახლის შუა ოთახში, სადაც იდგა მოქანდაკე სანდრო რაზმაძის სამუშაო დაზგა და უშანგის ბიუსტი, რომელზეც მოქანდაკე მუშაო-

ბდა, ამ მშვენიერ საღამოს უშანგის ესტუმრნენ ვერიკო ანჯაფარიძე და სერგო ზაქარიაძე. მათ უნდოდათ ეჩვენებინათ „სააკაძიდან“ – მზევინარისა და ბახუტას დიალოგი.

უშანგი ტახტზე მოეწყო მოსასმენად, ვერიკომ და სერგომ მოქანდაკის დაზგა გამოიყენეს დეკორაციად და დაიწყო მზევინარისა და ბახუტას შეხვედრის ინსცენირება პიესიდან.

სასწაულის მოწმენი ვიყავით. ორი უნიჭიერესი მსახიობი იდგა და გატაცებით თამაშობდა: ცეცხლით, ტემპერამენტით, მიმზიდველობით, ქალური სინაზითა და ვაჟკაცური კლდემამოსილებით, სიყვარულით ალმოდებული ქალვაჟის სცენას.

ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნოდა!

მათი დიალოგი გათავდა და გახვითქული შემოქმედნი სავარძელში ჩასხდნენ და უშანგის მიაჩერდნენ თუ რას იტყოდა იგი. და მგონია მსახიობებზე ნაკლებად არც ის ღელავდა. და უცებ ისეთი ტაშისცემა გაისმა ეზოში, რომ ყველა დიდ თეატრს შეშურდებოდა.

ჩვენს ეზოში 60-მდე ოჯახი მაინც ცხოვრობდა, რომ გადავიხედე მესამე სართულიდან ყველა მობინადრე, დიდ-პატარიანად აივანზე იყო გამოფენილი და ეტყობა იქიდან ყურს უგდებდნენ მსახიობებს და როცა დიალოგი დამთავრდა ტაში დასცხეს.

ყურთასმენა აღარ იყო! ტაშის გრგვინვა მგონი ფუნიკულიორის პლატომდე აღწევდა. უშანგი, ვერიკო და სერგო გაკვირვებულნი იყვნენ ამ მოულოდნელობის გამო.

როცა ტაშისცემა შეწყდა უშანგიმ თქვა – „მე რაღა ვთქვა ან რა გითხარათ იმაზე მეტი, ვიდრე ამ მაყურებელმა შეგაფასათო“.

სრულიად ახალგაზრდა წავიდა თეატრიდან უშანგი ჩხეიძე. სწორედ მის უდიდეს ღვაწლზე მოგვითხრობს მწერალი და საზოგადო მოღვაწე **შალვა დადიანი.**

– „უშანგი ჩხეიძე მართლაც დიდი ჯავარი და მშვენება იყო ქართული თეატრისა. მას არა მარტო სასცენო მონაცემები ჰქონდა, არამედ ის შემკული იყო მაღალხარისხოვანი სამსახიობო ნიჭით და დიდი ტემპერამენტით. ის იყო მაყურებლისა და მსმენელთათვის აღმაფრთოვანებელი არტისტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ის იყო დიდი დიაპაზონის სასცენო ხელოვანი. ეს როგორც ტრაგიკული, ასევე კომიკური როლებით აუდიტორიას უმალ იპყრობდა!

ვაი, რომ მისი სამსახიობო ოსტატობის ამსახველი მხოლოდ რამდენიმე კინოფირი არსებობს და მეტი არაფერი. მაგრამ მისი საშუალებით ჩვენ კიდევ და კიდევ ვხედავთ ხოლმე მისი ლამაზი, საოცარი თვალების გაელვებას.

სიცოცხლე მისი ხანმოკლე იყო, შემოქმედება კი – ბრწყინვალე, მან დატოვა დიდი და ნათელი კვალი ქართულ თეატრში რომლის ერთ-ერთ ფუძემდებელიც ის იყო.

13 წელი ბრწყინავდა სცენაზე და 34 წლის ასაკში ჩამოშორდა საყვარელ საქმეს.

საზოგადოება მოუთმენლად ელოდა უშანგის კვლავ გამოჩენას სცენაზე, მაგრამ ამაოდ, ის სცენას აღარ დაბრუნებია.

ხალხის სურვილი და განწყობილება კარგად გამოთქვა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა:

„ნუთუ უშანგი არ გამოვა კიდევ სცენაზე?!
ნუთუ მის ხმას ორფეოსი არ გაგვაგონებს,
თითოეულ ჩვენგანს ეს მღელვარე
ფიქრი გვაღონებს“.

მართალია, ვეღარ დაუბრუნდა უშანგი სცენას, მაგრამ დარჩა დაუვიწყარი მოგონება დიდ ხელოვანსა და პიროვნებაზე.

ცოცხლობა ჩვენც ცხოვრებისეულ ფიქრზე წამოდგომით ცვამდა...

(იგონებს ეკა ხორავა)

გადაცემის რედაქტორი
– ეკა მიქაბერიძე
(1972 წლის ჩანაწერი)

ეკა მიქაბერიძე – როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა თეატრთან?

აკაკი ხორავა – 1909-1917 წლებში ქუთაისში ვსწავლობდი. იმ დროს, ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდნენ: ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, ალექსანდრე იმედაშვილი. ჩემი ერთადერთი გასართობი და გატაცება, თეატრი იყო. ჩემს მეგობრებთან ერთად დავდიოდი თეატრის გამგესთან, ვინმე შარაბიძესთან. ის ძლიერ კულტურული კაცი იყო, სიმღერასთან ერთად, თეატრის სიყვარულსაც გვასწავლიდა.

აკაკი ხორავა

ცხაკაიიდან ვარ წარმოშობით და როცა არდადეგებზე შინ ვბრუნდებოდით, (ბევრი ვსწავლობდით ქუთაისში) საბავშვო წარმოდგენებს ვმართავდით და ასე ნელ-ნელა შევეჩვიეთ სცენაზე დგომასა და თამაშს!

მთელი ქუთაისი თეატრის სიყვარულით ცოცხლობდა! ჩვენ საშუალება გვქონდა, ჩუმად დავსწრებოდით რეპეტიციებს, ნელ-ნელა ვერკვეოდით მსახიობის პროფესიაში. იქაურმა თეატრალურმა ატმოსფერომ იმდენად ჩაგვითრია ყველა, რომ მახსოვს, ერთ ზაფხულს შინაც კი არ ჩავედი ჩემიანების სანახავად!

გიმნაზია მალე დავამთავრე და სწავლის გასაგრძელებლად კიევის უნივერსიტეტში წავედი. თუმცა თეატრზე ფიქრისათვის თავი არ დამინებებია!

როცა თბილისში დავბრუნდი, სახალხო თეატრში დავიწყე მუშაობა. 1922 წელს ა. ფაღავას თეატრალურ სტუდიაში ჩავირიცხე და პირველად მაშინ გამოვედი პროფესიულ სცენაზე. ამ ხანებში ხალხი აღაფრთოვანა თეატრის კორიფეების: კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის გამოჩენამ საქართველოში.

მანამდე თბილისში ქართული თეატრი თითქოს არ არსებობდა. კოტემ შესანიშნავი ძალები მოიკრიბა თავის გარშემო, და მეც იმ დღიდან „თეატრის მონა ვარ!“

ეკა – კოტე მარჯანიშვილთან დაკავშირებით, ხომ არაფერს მოიგონებდით?

აკაკი – კოტე მარჯანიშვილი ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი იყო, ნამდვილი პედაგოგი და მსახიობის აღმზრდელი... სპეციალურად რეპეტიციას არასოდეს ნიშნავდა, მაგრამ მასთან ყოველი შეხვედრა, ჩვენ დიდ სიამოვნებასა და გამოცდილებას გვმატებდა!

კოტე იმპროვიზატორი იყო, მისი თეატრალური მოღვაწეობა სცილდებოდა ვიწრო რეჟისურულ ჩარჩოებს.

მარჯანიშვილმა ძირფესვიანად გარდაქმნა ქართული თეატრი. მას გვერდით ედგა სანდრო ახმეტელი. ესეც უნიჭიერესი კაცი. კოტე მის ნიჭიერებას ეყრდნობოდა, კოტე უფრო კარგი თეორეტიკოსი – პედაგოგი იყო, ვიდრე ახმეტელი. ის სტანისლავსკის იდეებს წარმოადგენდა.

ამ იდეების გამფურჩქვნელი ფრთებშემსხმელი კი სანდრო იყო... კოტე, რომ რუსეთში არ მომკვდარიყო, მჯერა, რომ ისევ საქართველოში დაბრუნდებოდა. ჩვენ სიხარულის საოცარი წლები ერთად განვლეთ!

ეკა – საკმარისია თუ არა მსახიობის ოსტატობის სწავლა?

აკაკი – არაჩვეულებრივი რამ მინდა მოგახსენოთ: შეიძლება კაცს ჰქონდეს ნიჭიერება,

მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ირაკლი გამრეკელი, ლიდა გასვიანი, რუსთაველის თეატრის მსახიობებთან, 1935 წ.

სცენისადმი მიდრეკილება, მაგრამ ახალგაზრდა კაცს „გზაზე დაყენება სჭირდება!“ უპირველეს ყოვლისა, თორემ შეიძლება, ის 5 წელიწადი, ტყუილად დაკარგოს!

ყოფილა შემთხვევა ხელი ჩამიქნევია „ამისაგან არაფერი გამოვა მეთქი!“ მაგრამ აი, გაიხედავ და სპექტაკლში ქუხს, ხალხს მოსწონს მისი ნათამაშები როლები! ანდა პირიქით, იმედით ყოფილხარ სავსე და სცენაზე კი ეს იდეები არ გამართლებულა!..

ეკა: – ყველაზე ბედნიერი ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან რომელი ყოფილა, რომელს გამოყოფდით?..

– ყოველი შეხვედრა სტალინთან, ჩემთვის დაუვიწყარი იყო! დამიძახა ერთ ზაფხულს სტალინმა თავის აგარაკზე, გაგრაში. წავედით 10 კაცი: მე, აკაკი ვასაძე, სპარტაკ ბაღაშვილი და სხვა ქართველი მსახიობები!

როცა ჩავედით გაგრაში, წამოდგა სტალინი და ყველანი გაშლილ სუფრასთან მიგვიპატიჟა! ერთ გვერდზე მე მომისვა, მეორეზე კი – ვინმე სირაძე – სტალინის ამხანაგი განთქმული მოჭიდავე.

მე საზოგადოდ ვცდილობდი ხოლმე, რომ ასეთ სიტუაციებში ღვინო არ დამელია. ჯერ ისედაც არ ვიყავი ღვინის სმას აყოლილი! მერე, ამხელა ბუმბერაზი კაცის გვერდით. შეიძლება ღვინომ უღირსი საქციელიც კი ჩაგადენინოს! ეს სირაძე გადამეკიდა: დავლევდი თუ არა ჭიქას, მყისვე შემივსებდა...

ფეხზე წამოდგომით სვამდა სტალინი სადღეგრძელოებს, წამდაუწუმ გადმომხედავდა და თითქოს „გამეთამაშებოდა“ ხოლმე, მკითხავდა:

– შენ კაცო, აკაკი, ღვინოს რატომ არა სვამ?

ი.ბ. სტალინი

– ეტყობა ჩემი დათრობა უნდოდათ.

– ჩემი სადღეგრძელო, შენ არ შეგისვამსო? – სავსე ჭიქაზე მიმითითებდა!

ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი: – დავლიე, ბატონო სოსო, და ეს მისხამს ჩქარ-ჩქარა მეთქი. სტალინმა კიდევ ერთხელ შემივსო ჭიქა და მის საპატივცემლოდ ერთი სადღეგრძელო ორჯერ შევსვი.

– აი, ეს მესმისო – თქვა და გადამკოცნა. თან დააყოლა: – შენ მე ვერაფერს მომატყუებო!.. გულში ვიფიქრე: ემანდ „ღვინის უსმელობისთვის“ არ დამიჭიროს მეთქი.

კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“

როგორ დამავიწყდება, მერე, სტუმრების სადღეგრძელო შესვა. დაიწყო ჩემი ქება, პირდაპირ ცაში ამიყვანა, რაღა აღარ გამხადა! – წავხდი კაცი, სტალინი მაქებდა, კაცო!

სპარტაკ ბაღაშვილი არსენას როლში

მერე სპარტაკ ბაღაშვილს მიადგა, ისიც ძალიან აქო...

ბოლოს შეაჯამა: „საქართველოს ნომერ პირველი მსახიობი – აკაკი ხორავაა, მეორე – სპარტაკ ბაღაშვილიო“ – ასე გაანაწილა ადგილები. მერე კი უკვე უზომოდ დავიწყეთ სმა და ქეიფი. დილის 2 საათზე დავსხედით და ღამის 4 საათზე ავდექით!..

ეკა – ბატონო აკაკი, როგორ გესახებათ ქართული თეატრის მომავალი?

აკაკი – ქართული თეატრი ყოველთვის იყო ბურჯი საქართველოსი, ერის ჩირაღდანი. მის გარშემო იყო შემოკრებილი მთელი მაშინდელი ინტელიგენცია.

ქართულ თეატრს კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის დროს ჰქონდა ბრწყინვალე პერიოდი, შემდეგ თეატრის სვლა თითქოს დაღმავალი გზით წავიდა...

ახლა ქართულ თეატრში შეიმჩნევა სიახლე... თეატრში არიან კარგი ახალგაზრდა მსახიობები: ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე და სხვები.

სანამ ადამიანი არსებობს თავისი გრძნობებით, ავითა და კარგი ბუნებით – მანამ იარსებებს თეატრიც!

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის მადლი, რაც თეატრს აქვს, დაიკარგოს!

ვასო გოძიაშვილი – ძველი თბილისის ბოჰემა (1962 წლის ჩანაწერი)

იგონებს ვასო გოძიაშვილი – 1922 წელი იყო, წითელი არმიელის ფორმაში, 44 ნომრიან „ბატინკებით“ გამოწყობილი ისნიდან, ავლაბრიდან დავეშვი თავქვე. პირველი ლეგიონის მაშინდელი მეთაურის იოსებ ბრეგვაძის და სამკითხველოს გამგის ქეთო ქავთარაძის (ახლა დამსახურებული ექიმია თელავში) აგრეთვე პოეტ სეზმან ერთაწმინდელის დაჟინებით, გადავწყვიტე პროფესორ აკაკი ფაღავას დრამატულ სტუდიაში გამომეცადა ჩემი თავი.

და აი, მივემართები ჩემთვის ტუჩების ცმაცუნით, ლექსებს ვიმეორებ, ხან თვალებდაჭყეტილი, ხანაც თვალებგადმოქაჩული თავქვე მივდივარ... მივედი გაჩირაღდნებულ, მოვარაყებულ დარბაზში, მომწვანო-მოლურჯო მაგიდასთან ზის თბილისში ახლად ჩამოსული კოტე მარჯანიშვილი თავისი ელვარე თვალებით, მხოლოდ სანდრო ახმეტელი ვიცანი, ჩემს უბანში ცხოვრობდა.

გაისმა ჩემი ხმა, ჩემი საყვარელი მგოსნის, სოსო გრიშაშვილის ლექსით წარვსდექი მათ წინაშე და ეს ლექსი ტკბილად დამეკვება. ამ ლექსმა წელში გამმართა, გამათამამა.

და აი, მე ჩავირიცხე ამ სტუდიაში, დავამთავრე კიდეც. 1924 წელს რუსთაველის თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა. მე მივიღე მსახიობის ტიტული დიდ კოტე მარჯანიშვილთან! დამინიშნეს 40 მანეთი ჯამაგირი. ზაფხული გავიდა, ნელ-ნელა დავლაგდით, სარეპეტიციო დარბაზიც ნაშოვნია, სასადილოც გაგვიხსნეს, რეპერტუარი ყველას

სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“ – ელენე ყიფშიძე, ვასო გოძიაშვილი, ნანა მამალაძე , გოგი გელოვანი

ვასო გოძიაშვილი, ელენე ყიფშიძე, გოგი გელოვანი, მარჯანიშვილის იუბილეზე

გაგვაცნეს... როლები გაანაწილეს და ვაიმე, დედავ, რას ვხედავ, პრემიერიც გავხდი!

ო, თეატრო, თეატრო, რა იდუმალი რამ ხარ! რა ჭრელი ხარ, საკუთარი ინტერესებით, საერთო საქმით და გენიალური რეჟისორით! როლები გაგვინაწილეს და დაიწყეს ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობა.

– აბა, გოძიაშვილო გამოდი, მაჩვენე შენი გმირი... – მომიხმო კოტემ... მეც დავიწყე, გავიარ-გამოვიარე, რა არ გავაკეთე, ვერ მოვაწონე თავი... კვლავ დამიყვირა და მეც გავბრაზდი, არც ვაციე – არც ვაცხელე, შემოვიყარე დოინჯი, თავი მედიდურად ავწიე, თვალები დავაჭყიტე, ფეხის ტერფით დავუწყე ბრახუნი იატაკს და ვგრძნობ რომ არაფერი არ გამომდის!

მიყვირის – „ვოტ კაკ ბეზდარნა იავლიაწე სვაიხ ჩუსტვ, ეტა პოლნი პროვინციალიზმ!“...

წარმოგიდგენიათ, ჯერ მსახიობობა არ დამეწყო და ვიღუპებოდი, მაგრამ რას ვიზამდი, მასწავლიდა, ხომ უნდა მომეთმინა, ამეტანა ყველაფერი! დაუძახა ჩემს დუბლიორს – მოდი, ერთი აჩვენე ამ „დურაკს“ როგორ დადის ის მოსულელო ფრანგიო!

აი, ნამდვილი სიკვდილი თუ გინდა ეს იყო!.. გათავდა ჩემი ოცნება დიდი არტისტის პროფესიაზე, შავებში ჩაცმული, დიდი, თეთრი შლიაპით, ყვავილებით, უკან კიდევ ხალხი მოსდევს! ის კი მედიდურად სწვავს ხალხს თავისი მზერით – აბა, ერთი მიყურეთ, ეს მე ვიყავი წუხელის რომ დაგაგიჟეთ ყველანიო!

რამდენიმე წუთი დამჭირდა, თეატრიდან გათავისუფლების განცხადება მზად მქონდა.

დამიძახა კოტემ და სიცილით დამიხია განცხადება, მომეალერსა, თავზე ხელი გადამისვა



სანდრო ახმეტელის თეატრი

და მეც ცრემლები წამომსკდა, რაღაცის იმედი მომეცა, ბოლომდე არ გამწირავს-მეთქი, გულში ვიფიქრე.

ერთხელაც, მე დამნიშნეს „დეფილშიგელ მენში“, დაიწყო კოტეს რეპეტიციები... უშანგი შემობრძანდა, მთელი დასი თვალწინაა, სიჩუმეა ისეთი, რომ ბუზის გაფრენას გაიგებთ... დაირეკა ზარი და კოტემ დაიყვირა: – „გოძიაშვილი, პუსწ პრაიდიოტ რეპეტიციუ“ – სითამამე არასოდეს არ მაკლდა, მაგრამ ამ პირველმა რეპეტიციამ, ასეთი პიროვნების წინ... ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია!

ბავშვობაში ვნახე ალექსანდრე იმედაშვილის „ოტელო“ და სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში მისი მხატვრული მეტყველების ნიუანსები და მეც ყველაფერი ეს გამოვამჟღავნე ხმის ინტონაციის აწევ-დაწევით...

და უცებ დაირეკა რეჟისორის ზარი – სტოოპ, სტოოპ! დაიქუხა და ჩემსკენ გამოემართა კოტე! – ერთხანობა ამ ზარით დაშინებულიც კი ვიყავი...

– „ტი შტო, ზდეს პახარონნოე ბიურო უსტროილ, ია წებე დამ იმედაშვილი!“ – ყვიროდა რეჟისორი გაცეცხლებული.

მე ასე სირცხვილნაჭამი, გაბითურებული გამაგდო სარეპეტიციო დარბაზიდან!

კოტეს რეპეტიცია ცეცხლი იყო, მისი მიზანსცენები საათივით აწყობილი. მე კი სირცხვილისაგან ვიწვებოდი, რომ ასე დამთავრდა ჩემი სადღეასასწაულო დებიუტი და ვგრძნობდი ინსტიტუტში გალაღებულს, გამეტიჩრებულს, ნიჭიერად შერაცხულს, როგორ მეკვეთებოდა ფეხები. ჩემი ზევით აწეული ცხვირი დაბლა ეშვებოდა და ვგრძნობდი, რომ არტისტობა არც ისეთი ადვილი რამე ყოფილა.

ჯერ კარგად გამოფხიზლებული არ ვიყავი და მეორე მეხიც დამატყდა თავს. კოტემ დაიწყო შექსპირის „უინძონის მხიარული ქალების“ რეპეტიციები... შეიქმნა ესკიზები, ექსპოზიციები... – აი, ხომ დაინახე, რომ შენ ჯერ არტისტობამდე ბევრი რამ გიკლიაო, პატარა როლიდან უნდა დაიწყო, თუ გინდა რაიმეს მიაღწიოო – მითხრა კოტემ. ამის შემდეგ რეპეტიციები ნორმალურად წავიდა!

ერთხელ კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა შექსპირის „მეფე ლირის“ დადგმა. სპექტაკლის მსვლელობისას გამომიძახეს რეჟისორის ოთახში.

შიშით, მოკრძალებით შევაღე კარები. კოტემ გაცეცხლებული მზერა შემომანათა. ოთახში, იქვე სანდრო ახმეტელი ატუზულიყო.

კოტე მიყვიროდა, თეატრიდან გაგდებით მემუქრებოდა და ვინ მოსთვლის კიდევ რა სიტყვებით არ „მამკობდა“. იმ დროს მე ვიყავი ყოვლად უბედური, უმწეო და თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით წამომცვივდა. ალბათ იგრძნო მე რომ გულწრფელი ვიყავი და თურმე მგრძნობიარეც.

მიუბრუნდა სანდროს და წასჩურჩულა – „დაა, და ონ მოჟეტ სმოჟეტ... აპსოლუტნო სმოჟეტო!“ – მოვკარი ყური...

მეც რაც ძალა და ღონე მქონდა, ავუშვი და ავუშვი ცრემლები. სტუდიაში, სხვათა შორის, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით „ცრემლების ფრქვევაში“, ყველას უნდოდა „ტრაგიჩესკი“ არტისტი გამოსულიყო, დანარჩენ როლებს ყველაფერს ვუკადრისობდით.

გიორგი შავგულიძე და ვასო გოძიაშვილი, კადრი კინოფილმიდან „ქეთო და კოტე“

აფსუს ახალგაზრდობავ! როგორ ვცდებოდით!...

ჩემი ტყუილი ცრემლი კი არ ნელდებოდა... მაგრამ რას გამოვაპარებდი ამ უდიდეს ოსტატს და მანაც, სულ მუჯლუგუნის კვრით გამომაგდო ოთახიდან... – ახლა გეყოფაო!

ვასო გოძიაშვილის გამოცამშვილობებელი სიტყვა პოეტ იოსებ გრიშაშვილის ლაყრძალვაცა (1965 წლის ჩანაწერი)

ვასო გოძიაშვილი – ჩვენში იტყვიან „მაგ კაცს სიკვდილი თუ მოასვენებსო“ – ეს წყევლა არ გეგონოთ, წყევლა არ არის, მით უმეტეს ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც შენ განეკუთვნებოდი, შენი ალალმართლობით, შენი გრძნობებით, შენი შრომით, ჯაფითა და ტანჯვით, შენი ოფლით, შენი მონაგარით, შენი ხვავითა და ბარაქით, ავლადიდებით – სამშობლოს, შენი ერის, სამსხვერპლოზე რომ მოგიტანია.

სახელი და დიდება ჭეშმარიტად სახელოვანო შვილო, საქართველოსი!

იოსებ გრიშაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე

ჩვენში დიდად მიღებულია, როდესაც უცხოელი, პოეტი იქნება ის თუ მწერალი, მეცნიერი თუ ხელოვნების მუშაკი, დახლართული გზებით იკაფავს გზას, თავისი მეობის დასამკვიდრებლად, და რაღაც განსაკუთრებულს ემოციებს იწვევს ჩვენში – ჩვენსას, ჩვენებურს, ჩვენს მიწაზე „დამყნობილს“, და ამოსულს, ხანდახან შენდობასაც არ აღირსებენ ხოლმე...

დიახ, ჩვენს წინ განსვენებულის, მოკლე ბიოგრაფიაც კი მსოფლიოში სახელს მოუხვეჭდა, დიდებით პატივითა და შარავანდედით შემოსავდა! მე როგორც სცენის მუშაკს, მინდა გონების თვალით წარმოვიდგინო, ჩვენი დედაქალაქი: ოდესღაც ოკრო-ბოკრო, აღმართ-დაღმართიანი, წვეტიანი ქვებით მოვარაყებული ქუჩებით, ბანიანი სახლები და ნაირფერი აივნების ქვეშ ათასი რჯულისა და ჯურის ხმების აკომპანიმენტით იალაღად გამართული ცისფერ, შავღილებიანი, ლურჯი ხალათით, პატარა ბიჭუნა ხელში წითელმომწვანოყდიანი ანა-ბაჯის, თუ გეორქ-აღაზას შანტაჟისტების, არსენას, თუ ზაქარია ჭიჭინაძის ჭყპყ-წელს გამოცემული პატარა წიგნებით მიემართებოდა... და მერე საით, არ იტყვით?!

– რა თქმა უნდა, ხარფუხისკენ! ხარფუხის სახალხო თეატრისკენ, მუშა-ხელოსნებისკენ, საიდანაც ხშირად, ქართული პროფესიული თეატრის კორიფეები, პატარა სცენიდან პირველად წარმოთქვამდნენ ქართულ სიტყვებს, ქართულ ენაზე იფრქვეოდა გრძნობები და იღვრებოდა ქართული სიტყვა და ოფლი!..

და დღეს განსვენებული, ამ წმინდა ადგილას, მთაწმინდის პანთეონში ქართველ მწერალთა ნავთსაყუდარში, გარს შემოხვევიან ქართველი მწერლები, მისი მეგობრები, მისი მეცხედრენი, საზოგადო მოღვაწენი, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები... პირველი ქართული თეატრის ფუძემდებლები, პირველი ქართული, მადლიანი სიტყვის ჯადოქარნი!

დღეს, სრულიად საქართველო, უკანასკნელად მიაგებს პატივს ჩვენი დროის ბრწყინვალე პოეტს და ქართული სიტყვის მესაიდუმლეს!

დოდო ანთაძე, ვასო გოძიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი

ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, იოსებ გრიშაშვილი ...

გზას გინათებენ, ხალხში კელაპტრებივით ანთებულნი: შოთა, ილია და აკაკი! ბარაქალა და დიდება, შენს შრომასა და ჯაფას, რაც შენ ქართულ მწერლობაში იღვაწე!

თურმე სიკვდილ-სიცოცხლე ორნი ყოფილან, და ტოლნიც ყოფილან: უვიცებისთვის, უქნარებისთვის და არაკაცებისთვის და არარაობისთვის – ერთნაირი ყოფილა, სიცოცხლეში მკვდარი და სიკვდილში კი არავინ უტოლდება.

შენ კი დაუვიწყარო, სიცოცხლეში – ცოცხალი იყავი, და სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს შენი ალალი სიტყვა, შენი სპეტაკი ლექსი, ნამდვილი მამულიშვილური სიყვარულით.

აი, ამაზე იტყვიან: „კაციც შენა ყოფილხარ და ნათელ შუბლზე ნამუსის ქუდი, შენა გხურებიაო!“

შენზე ამბობდნენ, ამბობენ და მუდამ იტყვიან ალბათ, „დიდი პატრიოტი საქართველოს დიდი თაყვანისმცემელი და დიდი თეატრალი იყოო“, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით!

მე მომსწრე ვარ იმ ყველაფრისა და ვიზიარებ ამ აზრს: ჩემთვის სულ ერთი იყო, მომღერალი იქნებოდი თუ დეკლამატორი, ცირკის „ჟონგლიორი“ თუ ესტრადის მსახიობი... შენი ხელოვნება „გავლებული იყო“ მაღალი ხელოვნების „სუფთა და ტკბილ ბადაგში“.

ძვირფასო სოსო, შენი დაღვინების წლებშიც კი არასოდეს ყოფილხარ ერთხელ აკვიატებული აზრის ჯიუტი დამცველი. რამდენჯერ გითქვამს: „იცით, რას გეტყვით, მე არც მემარცხენე ვიცი, არც მემარჯვენე. მე არ ვიცი, ეს ახალი მოდაა თუ ძველია. პოლიტიკა – ფოკუსნიკებისა და ჭორიკანების საქმეაო!..“

სულ ახლახანს აღტაცებული იყავი სამხატვრო საბჭოზე წარმოდგენილი სპექტაკლით: „ძია ვანო“ და ვახტანგოვის – „პრინცესა ტურანდოტით“.

ხედავდა ნამდვილ, ჭეშმარიტ ხელოვნებას და მისით იყო გატაცებული!

განა ლადო მესხიშვილს არ აღმერთებდი? განა ვასო აბაშიძეს არ ეთაყვანებოდი?

კოტე მარჯანიშვილის გარშემო შემოხვეულ ქართველ ახალგაზრდობას გვერდით ამოუდექი, გაიზიარე მისი დაარსებული ახალი ქართული თეატრის შემოქმედებითი მიღწევები და დამარცხებები!

შენ, ძვირფასო სოსო, სამეცნიერო გამოკვლევებთან, ისტორიულ მასალათა აღმოჩენებთან და სხვა სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, შენი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ – ეს არის ღრმად შესწავლილი და დიდი მხატვრული გემოვნებით მოტანილი ხელოვნების მუშაკთათვის „ნობათი“; შენი „ლიტერატურული ბოჰემა“ – სარკეა ყველა ხელოვანთათვის; თუ ოდესღაც კოტე მარჯანიშვილი აპირებდა მამადავითის კალთებზე ერთი პიესის დადგმას, დიდი და მძლავრი ელნათურებითა და რადიოთი, და თბილისის ქუჩები, შენობები და აივნები, სარკმელები ერთ მთლიან კულისებად გადაიქცეოდა, ალბათ დადგება ოდესმე დრო და იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ ბოჰემას ახალი პატრონი გამოუჩნდება და ბრწყინვალე სცენარის შედეგად თვალით უნახავი თეატრალური სანახაობა გადაიშლება აქ, თავისი არნახული გრანდიოზულობით!

ძვირფასო და განუმეორებელო სოსო, ერთხელ დაიბადე და აი, ახლაც უკანასკნელად ემშვიდობები შენს გამზრდელ დედაქალაქს, თბილისს. არ გინდა თავი მოაბეზრო, შენ ხომ ყოველთვის მორიდებული და მორცხვი იყავი, გულს ნუ გაიტეხ, ტკბილად მოგიგონებს ყოველთვის შენი თბილისი, ქართველთა დიდო მგოსანო, ქართველი თეატრის დიდო მოამაგევ!

კულტურის მოღვაწეებთან ერთად, თავს ვხრი შენი წმინდა საფლავის წინაშე, განისვენე მშვიდად, მთაწმინდის ცრემლით დამბალი მიწა მიგიღებს შენ, ღირსეულს ღირსეულთა შორის!

ვასო ყუშიტაშვილი – ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა და ყოთილიყო ხელოვნებაში ძალიან (1967 წლიან ჩანაწერი)

რედაქტორი – თეატრმცოდნე
სულიკო გაწერელია

ვასო ყუშიტაშვილი

ვასო ყუშიტაშვილი (დაიბადა 1894 წელს, თბილისში, გარდაიცვალა 1962 წელს სოხუმში).

1918 წელს შედგა მისი პირველი სარეჟისორო დებიუტი.

1919-30 წ. მოღვაწეობდა საფრანგეთში და აშშ-ში;

1919-21 წ. ანტუანის თეატრ-სტუდიაში.

1921 წ. შ.დიულენთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულ ფრანგულ თეატრს „ატელიეს“ (პარიზში).

დგამდა პიესებს პარიზის ცნობილ თეატრებში, „ელისეის მინდვრების“ თეატრში.

1929 წ. – ნიუ-იორკში დადგა ოფენბახის „დიდი ჰერცოგინია“, 1932 წ. ნიუ-ორლეანში ჩეხოვის „ალუბლების ბაღი“, 1936 წ. დაბრუნდა საქართველოში. კ.მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: „ჩატეხილი ხიდი“, „კაცია ადამიანი?!“, „მარიამ სტიუარტი“, „ზვავი“, „რიჩარდ III“...

ვასო ყუშიტაშვილი სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ზუგდიდის, გორის, ქუთაისის, სოხუმის თეატრებს.

ამჯერად, გვინდა შემოგთავაზოთ რადიოს ოქროს ფონდში არსებული რამდენიმე საინტერესო მოგონება ვასო ყუშიტაშვილზე, რომელიც ახლებურად შექმნის, წარმოაჩენს ამ მუდამ მშფოთვარე, თავისი საქმით გატაცებულ, დიდი ერუდიციის მქონე ბრწყინვალე შემოქმედის პორტრეტს.

ვერიკო ანჯაფარიძე

ვერიკო ანჯაფარიძესა და ვასო ყუშიტაშვილს, მჭიდრო შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან, რომლებიც წლების მანძილზე თავისი ერთობლივი ნამუშევრებით ხიბლავდნენ მაყურებელს.

გთავაზობთ ვერიკო ანჯაფარიძის წერილს ვასოსადმი გაგზავნილს (წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია, სოხუმში სამუშაოდ წასული ვასო ყუშიტაშვილი უეცრად გარდაიცვალა):

ვერიკო ანჯაფარიძე – *შენ წასვლის წინ მითხარი: რატომღაც, მე მგონია, ვერიკო, შენ ისე არ გიყვარვარ, როგორც მე მიყვარხარო...*

– მე ამაზე, იმ წუთში, არაფერი გიპასუხე – მივხვდი, რომ გეწყინა ჩემი „თავდასხმა“, მაგრამ განა მე სიმართლე არ გითხარი?! შენ ხომ მუდამ სადღაც გარბიხარ, მოუსვენარი ხარ; საკმარისია, მცირე მიზეზი, რომ ყველაფერზე გული აიყარო და გაქანდე სხვაგან. მერე იქაც ვერა სძლებ, კვლავ შინ ბრუნდები. და ასეა მუდამ... ბოლოს იმიტომ გელაპარაკე უკმეხად, რომ არ მინდოდა წასულიყავი. ნუთუ ვერ მიხვდი, ვასო?..

მიყვარხარ ვასო, ჩემო კარგო, ძალიან მიყვარხარ და იმიტომ ვიყავი შენთან გულახდილი... რომ წახვედი შენი საყვედური გულს ჩამრჩა... იცოდე, რომ ნურასდროს დაეჭვდები ჩემს სიყვარულში...

გინდა იცოდე, რადა ხარ ჩემთვის ასე ძვირფასი? აღარც მახსოვს, პირველად როდის შეგხვდი, პარიზიდან ახალი ჩამოსული იყავი, მშვენივრად გამოწყობილი, საოცრად დახვეწილი და პლასტიკური, თავით-ფეხამდე ჯენტლმენი, თეატრით უზომოდ გატაცებული, საოცარი ფანტასტიკური გეგმებით, მოუსვენარი, მოძრავი, აღტკინებული, სულსწრაფი.

შენი ქართული სიტყვაც უცხოურად ჟღერდა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა თითქოს, ფრთებ-

გაშლილი ჰაერში დაფრენდი. უკვე საშინლად მომეწონე და გამიხარდა შენი მოსვლა ქართულ თეატრში. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო... მე შენ პიროვნებაში ბევრი რამ ისეთი ამოვიკითხე, რომელთა წინაშე დღეს ქედს ვიხრი. ეხლა ვიცი, რა უზომოდ კეთილი გული გაქვს, თუმცა არ გიყვარს, რომ შენს გულში ვინმემ ბოლომდე ჩაიხედოს.

ვიცი, რანაირი მეგობარი შეიძლება იყო, თუკი მოინდომე. საკვირველია, რამდენ კეთილ საქმეს უკეთებ ადამიანებს და არ გიყვარს მათზე ლაპარაკი, გამომზეურება... კარგი ხარ, ძვირფასი ხარ, იშვიათი ადამიანი ხარ, იშვიათი, შესანიშნავი შემოქმედი ხარ! შენ სუნთქავ თეატრით, შენ გაცოცხლებს თეატრი, შენი ცხოვრება ამიტომაც ყოველთვის დაულაგებელია, აფორიაქებულია, მოკლებულია ყოველგვარ ფუფუნებას, მაგრამ ამას შენთვის არა აქვს მნიშვნელობა... იმიტომ, რომ ბედნიერებას, სიხარულს, კეთილდღეობას ხელოვნებაში ეძიებ! მჯერა შენი გემოვნებისა და უტყუარი ალღოსი... ერთი სიტყვით, ჩემო ვასო, ძალიან ძვირფასი ხარ ჩემთვის და ვიცი, რომ თეატრისათვის აუცილებელი ხარ... გკოცნი ბევრს და ველი, როდის მოგბეზრდება სოხუმი და ისევ ჩვენს კარს მოადგები!..

შენი ვერიკო.

გიგა ლორთქიფანიძე

იგონებს გიგა ლორთქიფანიძე – ვასო ყუშიტაშვილს, ძალიან მძიმე პერიოდში მოუხდა ქართულ თეატრში მოსვლა. შემოქმედისათვის მძიმე პერიოდში...

ის მოვიდა სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის შემდეგ, ამიტომ მისთვის ავტორიტეტის მოპოვება ძნელი იყო. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მან მოიპოვა აბსოლუტური ავტორიტეტი, იმიტომ რომ მასთან მუშაობა ყველასთვის სასიხარულო იყო.

ერთი პატარა საოცარი ამბავი მინდა მოვიგონო: – ვასო ყუშიტაშვილი მუშაობდა ზუგდიდში, ერთი-ორი წელიწადი. შემდეგ როცა დააპირა იქიდან წამოსვლა... ამ დროს, იქ იყო რაიკომის მდივანი, ვინმე – ჩაჩიბაია, საკმაოდ ცნობილი კაცი, რომელმაც უთხრა, რომ მე თქვენ არ გაგიშვებთო...

– მე ავდგები და უთქვენოდაც კარგად წავალო, – უპასუხია ვასოს...

– როგორ წახვალ, მატარებელში არ შეგიშვებენ გამცილებლები, შენ რომელ მანქანაშიც იჯდები – იმ მანქანას, არც ერთი ინსპექტორი არ გაატარებს, ისე რომ შენ ვერ გახვალ ქალაქიდანო...

იმხანად, ვასო იღებდა თურმე განსაკუთრებულ თანხას (2000 მანეთზე მეტი მაშინ ხელფასი საერთოდ არ არსებობდა, და 4000 მანეთი ჰქონდა ხელფასი) – ესეც ჩაჩიბაიამ დაუნიშნა. თანაც მას განკარგულება ჰქონია გაცემული ყველა რესტორნებსა და სასადილოებში: „სადაც უნდა შემოვიდეს ვასო ყუშიტაშვილი, რამდენი მეგობარიც არ უნდა მოიყვანოს, რამდენიც არ უნდა ჭამოს და სვას – კაპიკი ფული არ გამოართვათო“.

ჩაჩიბაია ბრძენი კაცი ყოფილა, რომ ვუკვირდებით დღეს: როდესაც ჩაჩიბაია ზუგდიდიდან აღარ უშვებდა ვასოს, ვასომ წაუყენა ულტიმატუმი: – მაშინ მე არაფერ სპექტაკლს აღარ დავდგამ და თქვენ რა ტყუილად ხომ არ მომცემთ ამ 4000 მანეთსო?!

ჩაჩიაბაიამ ამაზე ასე უპასუხა, თურმე: – შენისთანა კაცმა ზუგდიდში რომ გაიარ-გამოიაროს, მე ეგეც მიღირს 4000 მანეთიო!

ვასო ყუშიტაშვილი სადაც მიდიოდა, კულტურა ჰყვაოდა იმ ქალაქში, კულტურა მიდიოდა იმ ქალაქში... იმ ქალაქში იქმნებოდა წრე მხატვრების, მსახიობების, ვიღაცა პიესების წერას იწყებდა, ვიღაცა მოთხრობებს წერდა... მთელი ქალაქის ინტელიგენციის წარმოჩენა ხდებოდა ამ დროს.

გადაცემის ავტორია შოვინა ქაცარავა

იწყებოდა ლაპარაკი თეატრზე... ხალხი წიგნებს კითხულობდა... კამათობდა ჭეშმარიტ ხელოვნებაზე, ასე იქმნებოდა იმ ქალაქში კულტურული ცენტრი... ამას ყველაფერს ქმნიდა საოცარი ერუდიციისა და უდიდესი კულტურის ადამიანი – ვასო ყუშიტაშვილი.

მემწვანილის დუქანს და ბაზრის ხმაურში დანახული შედევრები

მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე

ნაწყვეტები მიხეილ ჭიაურელის ზეპირი მემუარებიდან (1965 წლის ჩანაწერი)

„მიხეილ ჭიაურელი უპირველესად გვიყვარს. შემდეგ კი იწყებ ფიქრს, რომ ის კარგი მხატვარი და შესანიშნავი ოსტატია, აქვს საუკეთესო ფილმები, მაგრამ ის გვიყვარს, რადგან მის ხასიათსა და ქცევაში, სიმღერასა და თხრობაში, საუბარსა და ჩანაფიქრში, ცხოვრების სითბო და სიყვარულია...“

სერგეი ეიზენშტეინი

ჩვენ გვინდა გავიხსენოთ, ზოგი რამ მიხეილ ჭიაურელის ცხოვრებიდან, გიამბოთ ქართული სახალხო თეატრის პირველ ნაბიჯებზე, გავიხსენებთ ქართული კინოს წარსულს, რადგან ყველაფერი ეს, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სახელთან.

დაბადებულა თბილისში. ბავშვობის ადრინდელი წლები ხელოსანთა წრეში გაუტარებია. მამას პატარა დუქანი ჰქონია, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანები.

დუქანში პარკებისათვის ძველი ჟურნალები მოჰქონდათ. ბავშვი ხარბად ათვალიერებდა ჟურნალში მოთავსებულ მდიდარ საილუსტრაციო მასალას, მაკრატლით ჭრიდა და ინახავდა რეპინისა და სხვა მხატვართა რეპროდუქციებს. შემდეგ კი ცდილობდა, ფანქრით გაეკეთებინა მათი ასლები და ასე, მემწვანილის დუქანში, შუა ბაზრის ხმაურში, იგი თავისთავად ეცნობოდა მხატვრულ შედევრებს, სწავლობდა ფანქრისა და ფერების ხმარებას.

12 წლისა, სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს, მშობლების სურვილი იყო, შვილს ზეინკლის ხელობა ესწავლა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი რკინიგზის დეპოში მუშაობდა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე „ქეთო და კოტეს“ გადაღებებისას

მიხეილ ჭიაურელი – ხელოვნების სიყვარულმა თბილისის სახალხო სახლში მიმიყვანა, სადაც ჩავები სცენისმოყვარულთა წრეში. ჩვენ ვდგამდით მოლიერის, შილერის, გოგოლის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს.

საღამოს, სცენის გმირთა ცხოვრებით ვცხოვრობდი, დღისით, სახელოსნოს სასწავლებელში დავდიოდი, იქვე ვმუშაობდი ზეინკლად. მაგრამ ჩემი არსებით სახელოსნოში არ ვიყავი და ვოცნებობდი, რომ ოდესმე შევქმნიდი ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს ან მომღერალი ვიქნებოდი, ან დრამატული მსახიობი.

მიხეილ ჭიაურელი სიამოვნებით იგონებს ზუბალაშვილის სახალხო სახლის მაშინდელ წარმოდგენებს... სცენის მოყვარულთა გამოსვლებსა და მაყურებელთა ტაშისცემას.

ამ პერიოდში იგი მხატვრობითაც იყო გატაცებული. „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ ფურცლებზე შეხვდებით მის ილუსტრაციებს, ყველაზე მეტად მაინც ქანდაკება იტაცებდა. ამავე დროს, იგი იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში მოხვდა, რომელსაც მოეწონა მ. ჭიაურელის ნამუშევრები. აქ გაეცნო იგი მიქელანჯელოსა და როდენს.

მიხეილ ჭიაურელი – „მე ვიგრძენი, რომ ეს ნაწარმოებები გადმოსცემდნენ უსაზღვრო შინაგან ძალას და მათი შემქმნელი ადამიანი, უდიდესი შემოქმედია. შემიყვარდა ქანდაკება, ნიკოლაძის რჩევით, სამხატვრო სკოლაშიც კი შევედი. ვსწავლობდი ძერწვას, შინ მიმქონდა თიხა და საათობით ვმუშაობდი.

ერთხელ დედაჩემმა დიდხანს უცქირა ჩემს მუშაობას. მაშინ მე შეკვეთილი მქონდა მსახიობ კოტე მესხის ქანდაკება – პორტრეტი. უეცრად

მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე ვენეციაში

შევამჩნიე, რომ დედაჩემი ტიროდა, ვკითხე, – რა გატირებს-მეთქი. – როგორ რა მატირებს შვილო, ბედნიერი ვიყავი, სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრე, ვფიქრობდი, კარგი ზეინკალი გამოხვიდოდი, შენ კი, ყველაფერს თავი მიანებე და მთელი ღამეები ტალახსა ზელავ. რა ნახე მაინც მაგ ტალახში, ან რა შენი საქმეა თიხის ზელვა, ველარ გავიგე?!“ – ღიმილით იხსენებს მიხეილი.

გავიხსენოთ ერთ-ერთი მისი სურათი „საბა“, რომელშიც მსახიობთა მოძრაობები, სახეები ფრესკულ ნახატებს, ფიროსმანსა და გუდიაშვილს გვაგონებს. ასევეა გადაღებული მისი სხვა ფილმებიც.

მიხეილ ჭიაურელი ხელოვნებაში მოვიდა ძიების შედეგად, იგი თავად იყო მსახიობიც, მხატვარიც და მუსიკოსიც.

პირველად კინოში პრესტნიანს მიუწვევია, უთამაშია კ/ფ „არსენა ჯორჯიაშვილი“. აი, რას იგონებს თვითონ მიხეილ ჭიაურელი ამ როლის შესახებ: – „კინომსახიობ მოსიუხინმა წრეგადასული თამაში იცოდა, თვალებს აბრიალებდა, აპარატის წინ ტრიალებდა, რომ ყოველმხრივ გამოჩენილიყო. ამ დროს მე ყველანაირად ვხატავდი მას. როდესაც სურათი გამოუშვეს ეკრანზე, ჩემმა ძმამ წაიყვანა მამაჩემი კინოთეატრში. სურათში არის ერთი ეპიზოდი, როდესაც მე, ჯორჯიაშვილი, გრდემლს ვესვრი გენერალ გრიაზნოვს, მცემენ და ფეხით მითრევენ. იმ დროს, კინოგადაღებისას, მართლაც სცემდნენ კინომსახიობს, თუკი ამას ეპიზოდის საჭიროება მოითხოვდა. მამაჩემი დიდი ინტერესით უყურებდა სურათს, მაგრამ როდესაც დაინახა, თუ რა გამეტებით მირტყამდნენ, უეცრად წამოიჭრა სკამიდან და მთელ ხალხში დაუყვირა ჩემს ძმას – რას ზიხარ მანდ, ვერა ხედავ, რა ამბავია; მოკლეს ბიჭი, მიეშველეო“.

ამავე პერიოდში მიხეილ ჭიაურელი კინოფილმში „სურამის ციხე“ ასრულებს ოსმან-აღას როლს, – „მაგრამ ჩემი თავი, როგორც კინომსახიობი, ამ როლში თანდათან არ მომეწონა და მალე, მსახიობობაზეც ავიღე ხელი“.

„პატარა, ჭერამდე შუშაბანდიანი ფოტოატელიე და მასზე მიდგმული ოთახები ფოტო და კინოლაბორატორიებისათვის. ასეთი იყო ჩვენი კინოსტუდია მაშინ, როდესაც ქართული ფილმების შესაქმნელად მივედით მსახიობები, რეჟისორები და მწერლები“ – იგონებს მიხეილ ჭიაურელი, ქართული კინოხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი.

მიცი ციყვლილი იყო ვზა ფყვლოვვებიცვყენ

სანდრო ახმეტელი

ნაწყვეტები აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისა და რეჟისორ **არჩილ ჩხარტიშვილის** გამოსვლებიდან... სანდრო ახმეტელის 80 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე (1967 წლის ჩანაწერი)

არჩილ ჩხარტიშვილი

რეჟისორი **არჩილ ჩხარტიშვილი**, სანდრო ახმეტელის მოწაფე – სანდრო ახმეტელი და კოტე მარჯანიშვილი – ეს ორი სახელი არის მთელი ეპოქა, ეს არის ქართული თეატრის პირველი ნაბიჯები, მისი ყრმობა და დავაჟკაცება.

კოტე მარჯანიშვილი – უკვე საქვეყნოდ აღიარებული, გამობრძმედილი, დაბრძენებული, მაგრამ მუდამ მჩქეფარე შემოქმედი...

ს.ახმეტელი – ასევე დაუდგრომელი, ჯიუტად მაძიებელი, მწვერვალთა დაპყრობის დიდი მოსურნე, ერთის მხრივ ცოდნა-გამოცდილება, დიდი კულტურა, კაშკაშა ნიჭი, მეორეს მხრივ – ვაჟკაცური შემართება.

ხელოვნების არსში ჩაწვდომის წყურვილი, ბუნებრივ ნიჭიერებასთან შეზავებული, დიდი მასწავლებელი და ღირსეული და ერთგული მოწაფე.

ორივესათვის საერთოა ეპოქის სულისკვეთების დიდი შეგრძნება. ეპოქის მოთხონილებათა სიმაღლეზე დგომა...

1921-26 წლები ახალი ქართული თეატრის ოქროს ხანა... ახალი სახელები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, ავტორები...

ორივე შემოქმედი მასწავლებელი და მოწაფე ერთად იბრძვიან, ერთად ქმნიან... ერთად გვაკვირვებენ!

გვაკვირვებენ ნიჭის ბრწყინვალებით... ყოველი სპექტაკლი ზეიმია, საოცრება... მასწავლებელი წვრთნის, მოსწავლე – იწვრთნება...

შემდგომ მოწაფე ხდება მასწავლებელი და ახალი ახმეტელისეული გამომსახველობითი საშუალებების ძიება და გათიშვა... ეს ცხოვრების განვითარების გარდუვალი კანონია, შეგირდი – ოსტატი ხდება...

წარმოდგენის შემდეგ არის ლექციები და ექსპერიმენტები: განცდის ფიზიკური გამოსახვის თემაზე. შემოქმედებითი მეგობრობა მხატვარ ირაკლი გამრეკელთან, კომპოზიტორ ივანე გოკიელთან, იოანე ტუსკიასთან, ახალ ავტორებთან – გლებოვთან, შანშიაშვილთან, ლავრენიევთან და შალვა დადიანთან.

მასწავლებელი ტოლს არ უდებს მოწაფეს...

ბებერ ლომს ჯერ კლანჭები არ დასცვეთია... ახალ თეატრში ის ახალ შედეგრებს ჰქმნის: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ „ურიელ აკოსტა”.

ორი დიდოსტატი ეჯიბრება უკვე ერთმანეთს...

თეატრის მასშტაბურობაც დიდია... ხალხით გაჭედილი დარბაზები... ავსებული პროსპექტები...

კამათი, დისკუსიები, სადღაც შუღლიც იჩენს თავს... მაგრამ თვითონ ოსტატები მასში უბრალონი არიან!

ქართული თეატრის ოქროს ხანა გრძელდება – გასტროლები მოსკოვში – ლუნაჩარსკი წარმოსთქვამს თავის ისტორიულ სიტყვას ქართულ თეატრზე... ეს უკვე საქვეყნო აღიარებაა... ყველაფერი 9 წელიწადში... და ყველაფერი მოულოდნელად მთავრდება!

მას შემდეგ გადის დიდი დრო...

სცენა სპეკტაკლიდან „ჰამლეტი“



სცენა სპეკტაკლიდან „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“

რას ვიზიარებთ დღეს მისი მემკვიდრენი?!

ვიზიარებთ ეპოქის სულისაგან წარმოქმნილი ხელოვანის მოქალაქეობრივ პოზიციას!

ვიზიარებთ ეროვნული კულტურისადმი უსაზღვრო სიყვარულს!

ვიზიარებთ ვაჟკაცურ შემართებას, პრინციპებისათვის ბრძოლაში! და ამაშია დიდი ხელოვანის უკვდავება!

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის გამოსვლა

– ჩვენ თითქმის ერთი ხნისანი ვიყავით... სულ რაღაც ერთი წლით ის ჩემზე უფროსი იყო და მე ვფიქრობ, მას შეეძლო დღეს, აქ ჩემს გვერდით დგომა... რომ არა ის ავბედითი წლები...



შალვა ნუცუბიძე

1906 წელს ჩვენ ერთად დავამთავრეთ საშუალო სკოლა... შემდეგ პეტერბურგში ჩამოვიდა სასწავლებლად და იქ შევხვდით ერთმანეთს... ის საათობით იჯდა ბიბლიოთეკაში და დღე და ღამე წიგნებს უკირკიტებდა...

გავხედე და ვკითხე აქ რას აკეთებთ მეთქი. მან მაჩვენა გაზეთში თეატრის შესახებ დაბეჭდილი თავისი სტატიები... და წერილები, სადაც მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი კონცეფცია... ამას მე სრულიად არ მოველოდი მისგან.

მე ვიცოდი, რომ მას იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და როგორც იმდროინდელი გაზეთები წერდენენ მაშინ, ის თითქოს თეატრისთვის მომზადებული არ იყო... მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ ის უამრავ ლიტერატურას ეცნობოდა თეატრის შესახებ...

მინდა გავიხსენო ერთი კურიოზული ამბავი, რომელიც ჩვენ ორივეს თავს გადაგვხვდა პეტერბურგში, სადაც ტრამვაი ახალი დაარსებული იყო. ერთხელაც, 1909 წელს, ძველ პეტრებურგში, გამოცხადდა „საავიაციო კვირეული“. ავიაციის საქმე ძალიან აინტერესებდა ხალხს. საფრანგეთისა და გერმანიის ავიატორები ჩამოვიდნენ და ხალხს უჩვენებდნენ თავიანთ მიღწევებს...

მე და სანდროც ამ ხალხის ნაკადში მოვხვდით, როდესაც წარმოდგენა დამთავრდა და ჩვენც შინ უნდა დავბრუნებულიყავით აღმოჩნდა რომ, ყველა ტრამვაი მგზავრებით სავსე იყო...

სანდრომ მითხრა, რაც იქნება იქნება, ერთი ვაჟკაცურად, ქართულად შევახტეთ ვაგონსაო...

მე პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ ის ტრამვაის შეახტა და ვაგონიც მაშინვე გაჩერდა (მაშინდელი ბრძანებით ვინც ტრამვაის შეახტებოდა, მას ციხეში მიაბრძანებდნენ!).

– სანდრო რა მიქენი, ბიჭო, – რა უბედურ მდგომარეობაში ჩამაგდე-მეთქი?! – შევძახე – გიჟად უნდა გამოგაცხადო, ბიჭო და შენ ხმა არ ამოიღო მეთქი.

მივედი გადარეულ ხალხთან, რომლებიც სანდროს ჩაჭიდებოდნენ და ძვრაც ვერ უყვეს ადგილიდან!

– ხალხო, ეს კაცი ახალი გამოსულია საგიჟეთიდან, თავი დაანებეთ, თორემ თავის თავზე პასუხს არ აგებს მეთქი...

ყველამ მე დამიწყო ყურება, დამიჯერეს იმ წამს, მობრძანდით, თქვენც აირჩიეთ რომელი ადგილი გინადთ, ოღონდ მაგას მიხედეთო და ჩვენც ასე დავბრუნდით შინ...

ეს ამბავი, რამდენიმე შეკრებაზე, თბილისშიც მოვიგონე და სანდროს კი უთქვამს: აი, შალვა ნუცუბიძეს კითხეთ, რა ვქენი მე “ლესნოი”-ში მთელი მოძრაობა რომ შევაჩერე პეტერბურგშიო. ორივენი ყოველთვის ღიმილით ვიგონებდით ამ შემთხვევას...

მაშინ სანდრო იქნებოდა 21-23 წლის ახალგაზრდა კაცი... ბრგე და გასაოცრად გაბედული ყველა სერიოზულ საქმეშიც. ეს ამბავი ფსიქოლოგიურადაც საინტერესოა... მან ეს გამბედაობა თავის სპექტაკლებშიც გვაჩვენა...

გავიდა დრო... ჩვენ დავბრუნდით საქართველოში, დავიწყეთ მუშაობა, მე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მან კი, თეატრში...

თითქოს ჩვენი გზებიც გაიყო, მაგრამ აი, ერთხელ, სანდრო მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– შალვა, დადგა მომენტი, როცა შენ მე მჭირდებიო.

– რატომ მეთქი, ჩავეკითხე. კოტე მარჯანიშვილთან ისე მაქვს საქმე, მინდა სამედიატორო სასამართლოს მივმართო და შენ უნდა იყო ჩემი მხარეო. კოტეს მხარეს – ცნობილი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი წარმოადგენდა. ერთი კი შევცბუნდი, ლუარსაბი ისეთი იურისტი იყო საქმეს ყოველთვის თავის სასარგებლოდ წარმართავდა.

იმ დროს გავლენიანი კაცი იყო, დავით კანდელაკი, მე და ის შევხვდით ერთმანეთს და მან მითხრა:

– ბატონო შალვა, ეს ორი ადამიანი, კოტე და სანდრო, ხალხის თვალში დიდად საპატიო პიროვნებებია... მთელი საქართველო მათ უყურებს, როგორც თეატრის აღორძინების მამამთავრებს, არ ივარგებს, რომ სასამართლოზე „გამოვაჭენოთ" ისინიო...

მე ვუპასუხე – შენ წადი კოტეს მოელაპარაკე, მე სანდროს დავარწმუნებ ამაში მეთქი. მართლაც, ეს კაცი მეხივით გავარდა გარეთ... ორივენი დავითანხმეთ ადამიანურ შეხვედრაზე და კოტემ და სანდრომ მეგობრულად გადაკოცნეს ერთმანეთი...

ორივე იყო წესიერი, ზრდილობიანი, კულტურული, უბოროტო პიროვნება, მათ საზოგადოების აზრსაც გაუწიეს ანგარიში და ამ კომპრომისზეც ამიტომ დათანხმდნენ...

. . .

გავიდა დრო, და შევხვდი ისევ ახმეტელს, მკითხა – ამ ზაფხულს სად მიდიხარო? მე მიყვარდა აბასთუმნის ბუნება და იქ ვაპირებდი დასვენებას. ერთად წავედით... წამოიღო აუარება წიგნი თეატრის შესახებ, დრამატული ლიტერატურა... მთელ დღეებს თეატრზე კამათს ვანდომებდით... შემდეგ გავდიოდით მთებში, ვსეირნობდით, ვთევზაობდით... ერთ დილას სანდრო არ მოვიდა დანიშნულ ადგილას და როცა შინ მივაკითხე, ნაღვლიანად შემომხედა და მითხრა, ერთ-ერთ ჩემს მსახიობს შვილი გარდაეცვალა და ახლავე უნდა ვიშოვო რაიმე მანქანა და თბილისში წავიდეო, ხომ ვიცი, ამ უბედურებას ის უჩემოდ ვერ გადაიტანსო, მე ეხლა მის გვერდით უნდა ვიყოვო...

ისე უყვარდა სანდროს თითოეული მსახიობი, რომ მზად იყო გაეწირა თავისი საკუთარი, ყველაზე ძვირფასი რამ, რაც გააჩნდა თეატრისათვის, თვით სიცოცხლეც კი...

დღესაც ებრძვიან მარჯანიშვილი და ახმეტელი ერთმანეთს... ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს, რომ ეს არის შეჯიბრი შემოქმედებისა, უკეთესის შექმნისათვის...

ქართველი ხალხი თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე რუსიფიკაციის გზას დაადგა და ეს, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ბევრმა შემოქმედმა თავის გვარს კუდი წააჭრა და რუსული დაბოლოება გაუკეთა.

ახმეტელი კი ახმეტელად დარჩა!

კოტე მარჯანიშვილი სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, მარჯანოვი იყო, აქ გახდა მარჯანიშვილი.

გარდასული დიდება ჰქონდა მარჯანიშვილს, მომავალი დიდება ხელთ ეპყრა – ახმეტელს!

ამიტომ სრულიად არ უშლიდნენ ერთიმეორეს!

ისინი დღესაც ცოცხალნი არიან, იმიტომ რომ, მათ მონახეს ქართული ხასიათი, ქართული სულის შინაგანი რითმი და განწყობილება! ერთხელ სანდრომ მითხრა: – „აი, შეხედე ჩვენში რომ ფეხსაცმელს იცმევენ, „საცვეთებზე" საპონს ისმევენ, რომ ჩაეტიოთო, რუსებს შეხედე – ისეთ ჩექმებს იცმევენ, ლამის ორი ფეხი ერთად ჩაეტიოთო!

ასეთ ხალხს არ შეუძლია იმ სტილის ცეკვა, რომელსაც ქართველები ასრულებენო. ცეკვაში მჟღავნდება ეროვნული ხასიათი. ცეკვის დროს ქუსლის ბრახუნით, ხტუნვით მოძრაობა და ფეხის წვერებით ნარნარი ერთი და იგივე არ არისო!

სანდრო ახმეტელი არის ის კაცი, რომლის საფლავიც არ შემორჩა ქართველ ერს. ეს იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ დაამარცხა სიკვდილით სიკვდილი. მისი სიკვდილი იყო გზა უკვდავებისკენ!

გადაცემის ავტორი
ლია ძიძიგური (1970 წ.)

ვიდრე „ოლოლ ბებია" გავხდებოდი...

სესილია თაყაიშვილი – ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი. მის შემეოქმედებას ახასიათებდა გულწრფელობა, ფსიქოლოგიური სიღრმე, მაღალი პროფესიული კულტურა, დახვეწილი იუმორი და ჩინებული აქტიორული ტექნიკა.

სესილია თაყაიშვილი.
სპექტაკლი „მარგარიტა გოტიე"

ქალბატონმა სესილიამ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით შეასრულა ბებიას როლი ნოდარ დუმბაძის პიესაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

საქართველოს რადიოს აუდიო ფონდში არის ჩანაწერი, სადაც ქალბატონი სესილია მოგვითხრობს, თუ როგორ მუშაობდა ამ როლზე და როგორი ძვირფასი და თანამდევი გახდა „დუმბაძის ბებია" მისი ცხოვრებისთვის.

(1970 წელს ინტერვიუ-მონოლოგი ჩაიწერა **ლია ძიძიგურმა**).

სესილია თაყაიშვილი – ახლა, ამ სტუდიაში, თითქოს თავიდან ვუბრუნდები ჩემს როლს. მახსენდება, როდესაც თეატრიდან შინაც „ოლღა ბებიად" ვბრუნდებოდი. ძილის წინ კი უნებურად ზურიკელას ვეძებდი მეზობელ ტახტზე, საბანი რომ გამესწორებინა მისთვის.

სადილობისას თვალთ მაკლდნენ ხოლმე ილიკო და ილარიონი. მინდოდა კარი გამეღო და დამეძახა – ჩემთან ამოდით-მეთქი. თუ სარკეში ჩემს თავს თვალს მოვკრავდი მეუცხოებოდა უთავსაფრო, უძაძებო ქალი. ვიდრე „ოლღა ბებია". გავხდებოდი, ბევრი რამ გადავიტანე: ბევრი ვედავე რეჟისორს, ოპერატორს, დეკორატორს, ყველაზე მეტად კი ჩემს თავს...

პიესის წაკითხვისთანავე სიმპათიურად განვეწყვე ბებიას მიმართ. საერთოდ პიესა, რა თქმა უნდა, მომეწონა. თანაც იმდენად, რომ გვიან ღამით ვკითხულობდი და აზრის გასაზიარებლად ყოველ 5 წუთში ერთხელ ვურეკავდი კაკო კვანტალიანს. ისიც შინ კითხულობდა პიესას.

ჰოდა, ძალიან მომეწონა ბებიას როლი. როცა ეს როლი მე მართლაც შემომთავაზეს, მე უარი ვთქვი. უარი ვთქვი იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდა მისი შესრულება, – არა. გაგიმხელთ ჩემს საიდუმლოებას, ჩემი ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე, ვერ დავძლიე „არაჩვეულებრივი შიში" ახლად შემოთავაზებული როლის მიმართ, რაც არ უნდა მარტივად განსახორციელებელი ყოფილიყო, ესა თუ ის როლი, მაინც მეგონა, რომ ვერ დავძლევდი, ამიტომ, ჩვეულებრივ ვითარება ასე იწყებოდა: ჯერ მთავაზობდნენ ხოლმე რაიმე როლს, მე სასტიკ უარს ვამბობდი, მერე ძალით მაჩეჩებდნენ, ვწუწუნებდი ამის გამო, ბევრს ვნერვიულობდი, პიესასაც და როლსაც ერთნაირად ვიწუნებდი.

მაგრამ როლზე მუშაობას მაინც ვიწყებდი.

– რეპეტიციებზე არაფერი გამომდიოდა!

– რაღაც უხერხულობისა და მორცხვობის გრძნობა მბოჭავდა.

– მხოლოდ ბოლო დღეებში, პრემიერის წინ, გრიმსა და კოსტიუმში ვცილდებოდი ჩემ საკუთარ თავს, ვივიწყებდი სესილია თაყაიშვილს.

– ვხდებოდი ძიძა... ბებია... დედოფალი.

კინოში გადაღებაზე უარი ვთქვი იმიტომ, რომ უნდა შევხვედროდი ახალ მონაწილეებს, ახალ პარტნიორებს.

ძველები ისეთი მახლობლები იყვნენ ჩემთვის, რომ მათთან დროებით განშორება გამიჭირდა. განსაკუთრებით ვერ შევეგუე ჩემს „ახალ შვილიშვილს" – ზურიკელას როლის შემსრულებელს იოსებ ორჯონიკიძეს. სულ ძველზე.... ვფიქრობდი და იმას ვეძებდი თვალებით.

ბოლოს, კინოფილმით ძლიერ კმაყოფილი დავრჩი... მანამდე კი, მე და გიგა ლორთქიფანიძე, დაუსრულებლად ვკამათობდით. ამ დავაში იბადებოდა ჭეშმარიტი, მართალი მიზანსცენა თუ კინოკადრი... ამ დავას სარგებლობა მოჰქონდა ორივესთვის, როლის ჩამოქნაში გვეხმარებოდა.

თეატრში როლზე მუშაობის დროს პირველი კონფლიქტი რეჟისორთან და მხატვართან მომივიდა.

მახსოვს, გენერალური რეპეტიცია იყო დანიშნული, ყველანი ვღელავთ, მოდის კომისია...მე დეკორაცია არა მქონდა ნანახი და ჩემი ოთახის მოწყობილობის დათვალიერება პარტერიდან გადავწყვიტე.

და აი, რა მოხდა, წონასწორობიდან გამომიყვანა დაბალმა და გრძელმა, თითქოსდა ქვისგან

გამოთლილმა სკამლოგინმა. და უცებ ისეთი აურზაური ავტეხე, ახლა რომ ვიხსენებ მე თვითონ მეღიმება. დავიწყე ყვირილი:

– არა, მე ამ ქვის საწოლზე არ მოვკვდები! მომიტანეთ ნამდვილი ტახტი, ნამდვილი საბანი და ლეიბი!

„ოლღა ბებია“

ასე ჩავშალე პირველი გენერალური რეპეტიცია. ორი დღის შემდეგ, როცა ვერაფრით დამითანხმეს, სცენაზე დამიდგეს ნამდვილი ტახტი, თავისი საბნითა და ლეიბით.

კიდევ მაგონდება ორი ამბავი, ამ სპექტაკლთან დაკავშირებით: სპექტაკლის დაწყება დავაგვიანე, იმიტომ რომ ჩემი „სამფეხა“ სკამი დამიკარგეს. სცენის მუშებს მთელ თეატრში ვაძებნინე და ზარის დარეკვის ნება არ მივეცი.

ერთხელ კი ჩემი გრძელი ნარმის პერანგის მაგივრად, ვიღაცის ყვავილებიანი პერანგი მომიტანეს. აქაც ჩემი პრინციპი გავიყვანე...

დგანან: თუთი გაბუნია, მზია ჟღენტი, მარინე დარბინიანი, ლია წკეპლაძე, იური ნუცუბიძე. სხედან: ლამარა კიკილაშვილი, სესილია თაყაიშვილი, ლია ძიძიგური

თქვენ ჭირვეული ქალი არ გეგონოთ, მაგრამ ყოველთვის მეგონა: თუ სულ მცირეც რომ შემეცვალა ჩემს ჩაცმულობაში, გარშემო განლაგებულ საგნებში, ასე მეგონა ამით ჩემი „ოლღა ბებია“ აღარ იქნებოდა ისეთი, როგორც ნოდარ დუმბაძემ დაგვიხატა, რაღაც დააკლდებოდა მის სათნო სახეს, რაღაცა დაუზიანდებოდა... ერთი ხელის მოქნევით, ჩემივე დაუდევრობით, დამენგრეოდა ასე რუდუნებით შექმნილი გმირის არქიტექტონიკა..

მე მინდა, რომ ჩემმა მაყურებელმა ეს გამიგოს! და ასეთი საქციელი ჭირვეულობაში და უხასიათობაში არ ჩამომართვას!

ამ სპექტაკლში ფინალური სცენის გარდა, კიდევ ერთი კულმინაციური სცენა მქონდა, შეიძლება თქვენ გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს მატყლის ჩეჩვა იყო. ომში წასულთათვის რომ უნდა მომექსოვა წინდები. მე მატყლს ვაცლიდი ჩემს ლეიბს, სითბოსა და სირბილეს ვაკლებდი ჩემს ბებერ ძვლებს და ალბათ, ამიტომ მეგონა, რომ ძალიან დიდსა და მნიშვნელოვანს ვაკეთებდი.

ხელს ძლივს ვიწვდენდი ლეიბისაკენ, მერე ერთ მუჭა მატყლს დინჯად ვშლიდი, გახევებული თითები სიცივისაგან მეკრუნჩხებოდა და იმ რამდენიმე წუთში თვალს რული მერეოდა. დილისათვის წინდები მზად უნდა მქონოდა. ეს სცენა ჩემი მოგონილი იყო და დიდ ძალისხმევასა და ოსტატობას ითხოვდა ჩემგან!

მეორე კულმინაციური სცენა სიკვდილის სცენა იყო. სრულიად გასაგებია, რომ თვით შინაარსი ბადებს ამ კულმინაციას და დაძაბულობას, მაგრამ მას აძლიერებდა კიდევ ერთი ფაქტორი. „ოლღა ბებიამდე“ მე არასოდეს მოვკვდარვარ. არ ვიცოდი, რა იყო სცენაზე სიკვდილი. ამიტომ ეს სცენა ყველაზე საშინელი იყო ჩემთვის.

ყოველთვის შიშით ველოდი ამ სცენის მოახლოებას, ფრთხილად და დინჯად ვემზადებოდი... ბალიშს, ნამდვილი მომაკვდავივით, მაღლა ვწევდი, რომ სული არ შემხუთვოდა, მაგრამ მხოლოდ ფარდის დაშვების შემდეგ, მაყურებელთა ტაშით ვგრძნობდი, რომ ყველაფერმა დამაჯერებლად, კარგად ჩაიარა!..

სესილია თაყაიშვილი იყო ხალხის საყვარელი მსახიობი დაუშრეტელი იუმორითა და კაცთმოყვარეობით ქმნიდა განუმეორებელ შედევრებს ქართულ სცენაზე. „ოლღა ბებია“ ამის საუკეთესო მაგალითი იყო და ამ ღირსებით, ამ სახეს ველარავინ გაიმეორებს!

ერი ფნლა შეინახოს ზნეობრივმა სიცოცხლემ

„ისევ მე ვიყავი ამ ბედკრული ქვეყნის საბოლოო ჭირისუფალი“

ლევან გოთუა

გადაცემის რედაქტორი
შოვინა ქაცარავა

„მეფე ერეკლე“ კოტე მარჯანიშვილის თეატრში მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიდგა. ეს იყო ნამდვილი ეროვნული სულისკვეთების მქონე სპექტაკლი. მეფე ერეკლეს ბრწყინვალედ განასახიერებდა ვასო გოძიაშვილი, საიათნოვას – გიორგი შავგულიძე, ხოლო ბესიკის როლში იყო – სერგო ზაქარიაძე, სპექტაკლს ამშვენებდნენ ვერიკო ანჯაფარიძე და შალვა ღამბაშიძე...

დღეს გთავაზობთ 1992 წლის ხსოვნის საღამოს რადიომონტაჟს, მოგონებებით გამოდიან კინორეჟისორი **ვახტანგ ტაბლიაშვილი** და მსახიობი **ელენე ყიფშიძე**, რომლებიც ახალ შტრიხებს მატებენ ვასო გოძიაშვილის სამსახიობო და ადამიანურ პორტრეტს.

ვახტანგ ტაბლიაშვილი – მინდა ჩემი მოგონება ცოტა შორიდან დავიწყო, მამაჩემი და სანდრო ახმეტელი თელავის სასულიერო სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მამაჩემი მღვდელი გახდა, სანდრო კი – ცნობილი დიდი რეჟისორი. ერთ პერიოდში მამაჩემმა მღვდლობას თავი დაანება ჩემი გულისთვის (თბილისში სასწავლებელში არ მიღებდნენ) და ერთხელაც შევიდა რუსთაველის თეატრში, კარი შეაღო ახმეტელის კაბინეტში და უთხრა: – კოტიტ, გამარჯობა ვერ მიცანიო! (ახმეტელს ერთი თითი აკლდა და „კოტიტას“ ეძახდნენ).

– ცუცა, ბიჭო როგორ არ გიცნობო – უთხრა და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ჩემი თავიც გააცნო და ამის შემდეგ „კონტრამარკებით“ დავდიოდი მის სპექტაკლებზე.

გადამრია მისმა „ანზორმა“. ახმას როლში იყო ვასო გოძიაშვილი. სპექტაკლის რიტმი აგებული იყო ვასოს ახმაზე. ეს იყო ძვირფასი თვალი სპექტაკლისა, ეს იყო ბრილიანტი, ამ დიდი სანახაობისა!

მერე ვასო, როცა წავიდა თეატრიდან, აკაკი ვასაძემ შეცვალა. უდიდესი მსახიობი იყო ისიც, მაგრამ ჩემი აზრით სპექტაკლი უფრო დამძიმდა, დაკარგა ის ბრწყინვალება.

ერთხელ უშანგი ჩხეიძემ მომწერა წერილი: „მე რომ რუსთაველის თეატრიდან არ წამოვსულიყავი დღესაც სცენაზე ვიქნებოდიო. სანდრო ახმეტელი მე მომივლიდაო ფიზიკურად, მომიფრთხილდებოდა, მაგრამ შემოქმედებითად ვერ გავიზრდებოდი და ამიტომ ვარჩიე კოტე მარჯანიშვილი, რაც მე ძვირად, ჯანმრთელობის ფასად დამიჯდა. ახლა კი სცენაც დავკარგეო. შემოქმედებითი ზრდის ინტერესით „უღალატა“ უშანგი ჩხეიძემ სანდრო ახმეტელს.

არჩილ კერესელიძე და ვახტანგ ტაბლიაშვილი

ასევე განმეორდა ეს ისტორია ვასო გოძიაშვილის ცხოვრებაშიც, როდესაც ის ქუთაისიდან სესილია თაყაიშვილთან ერთად გადმოვიდა თბილისში და ისეთი მრავალფეროვანი სახეები შექმნა, რომ შეუძლებელია მათი ერთად აკინძვა.

მე ბედნიერება მხვდა წილად, მემუშავა ისეთ ბრწყინვალე მსახიობთან, როგორიც იყო ვასო გოძიაშვილი.

ვასო იყო დიდი გარდასახვის მსახიობი. უბრალო კაციდან – ავეტიკიდან წარმოიდგინეთ მისი გარდაქმნა ბერნარდ შოუს – „კეისრამდე“. რასპლუევი და რობინზონი. მაგრამ მთავარი როლი მაინც ჩემთვის იყო „მეფე ერეკლე“.

ეს იყო ლევან გოთუას საუკეთესო პიესა. მაშინ ომი ანგრევდა ქვეყნიერებას. ის ჩვენს საზღვართან იყო უკვე მოსული და ეს სპექტაკლი იყო ჩვენთვის ერთგვარი გამხნევება, გამხნევება მებრძოლებისა, მშრომელებისა, ინტელიგენციისა. აი, რა შეეძლო ჭეშმარიტ ხელოვანსა და ჭეშმარიტ თეატრს.

მინდა მისი განსახიერებული ორი როლი ერთმანეთს შევადარო კ/ფ „ქეთო და კოტე“ – სიკო და კ/ფ „დიდოსტატის მარჯვენაში“ კათალიკოს-პატრიარქი, სულიერი მამა საქართველოსი, რომელსაც მოაქვს ის აზრი, რომ: „თუ ერი ზნეობრივად წახდა – დაეცა, მას ვერ უშველის ვერც ზარბაზნები და ვერც ის ციხენი, რომელსაც შენ, მეფეო, აგებ ფარსმანის მეშვეობითო“.

– ერი უნდა შეინახოს ზნეობრივმა სისპეტაკემ!

– ამ როლით ეს აზრი მოჰქონდა ბრწყინვალედ ვასოს...

ის იყო საქართველოს ინტელექტი და სინდისი!

ვასო გოძიაშვილი, როგორც შემოქმედი, ამ ორი კინოროლითაც კი დაიმკვიდრებს ადგილს ხელოვნებაში, როგორც გარდაქმნისა და პლასტიურობის უდიდესი მსახიობი.

ელენე ყიფშიძე: – სკოლის მოსწავლეობიდან მოყოლებული ვიყავი დიდი თაყვანისმცემელი ვასო გოძიაშვილისა და საერთოდ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებისა, რომელთაც შემაყვარეს თეატრი და გამხადეს მსახიობი.

მე მინდა ჩემს დამოკიდებულებაზე და იმ როლებზე მოგახსენოთ. რომლებშიც რომ, მე ვასოს პარტნიორი ვიყავი, რაზეც წინათ ოცნებაც არ შემეძლო.

სურათი სპექტაკლიდან „ნანა“.
ნანა – ჟანეტა არჩვაძე და მზია – ელენე ყიფშიძე

ვითამაშე მასთან შემდეგი როლები: „მზის დაბნელება საქართველოში“ დედა ვიყავი მისი, მაშინ 30-32 წლის ვიქნებოდი, აგრეთვე ვითამაშე მისი ქალიშვილის როლი სპექტაკლში „როცა ბავშვები ფრინველებს ჰგვანან“, მისი ძმისშვილი ვაჟი – „რიჩარდ III“-ში. ჩემი საყვარელი სპექტაკლი „მეფე ერეკლე“ იყო.

ვითამაშე მისივე დადგმული კრონინის „ბროუდის ციხე-სიმაგრეში“ საყვარელი როლი. მე „მეფე ერეკლეს“ როლის ბევრი შემსრულებელი მყავდა: გრიშა ტყაბლაძე – ჭიათურაში, შურა ქელბაქიანი – ქუთაისში, ბათუმში – მურად სინიკაძე... და მაინც ნამდვილი მეფე ერეკლე – ვასო გოძიაშვილი იყო...

იყო ტარიელ საყვარელიძეც ამ როლზე დანიშნული, მაგრამ ვასოსთან ვერც ერთი მეფე ვერ მოვიდოდა. დაბოლოს „ძველ ვოდევილებში“ – სონა ვითამაშე. როცა მარინე თბილელი რუსთაველის თეატრში გადავიდა სამუშაოდ, ვასო გოძიაშვილს უთქვამს:

– „კეკელას როლზე ელენე დანიშნეთ, ეგ ისეთი ქალია, უკეთესად ვერავინ ითამაშებსო.“

ტექსტი უკვე ყურში მქონდა გამჯდარი და მაინც შევუდექი მუშაობას... თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არცერთ რეპეტიციაზე არ მოვიდა და ლადო ცხვარიაშვილმა და გოგი ტატიშვილმა გამატარ-გამომატარეს სცენაზე. აქედან შეხვალ, იქიდან გამოხვალ, აქ გაჩერდები, მერე დაჯდები სკამზე. ერთი სიტყვით, შემიყვანეს სპექტაკლში... ქ-ნი მარინე თბილელი ამ როლში არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩემი ამოცანა იყო, მას არ დავმსგავსებოდი და რაღაც ახალი შტრიხი შემეტანა.

მახსოვს, 300-ჯერ ვითამაშეთ „ძველი ვოდევილები“, 300 ანშლაგი იყო და იმ ადგილას, სადაც მე – კეკელა გავწიწმატდი და ვამბობ: „მესროლა აქანდაზი – ვესროლე „მაშა“, მესროლა ტაფა – ვესროლე ქვაბი, მესროლა თუშფალანგი – ვესროლე რაღაც“ და დარბაზში მაყურებლებმა ატეხეს ტაშისცემა. ვასო ჩემს უკან დგას და ამბობს – აქ, ტაში არ უნდა ყოფილიყო, აქ რად იყო ტაში?!

კაცო, მე გავგიჟდი, ძლივს მოვახერხე რაღაც თითქოს მასთან გათანაბრება და ახლა მე ამიტყდა ამაზე სიცილი. ამ სპექტაკლის თამაშის დროს ბევრი საინტერესო კურიოზული ამბავიც ხდებოდა ხოლმე.

პეტრე გრუზინსკიმ დაწერა შესანიშნავი სასიმღერო ლექსები ამ სპექტაკლისათვის, უკვე ყველა მონაწილემ ვიცოდით დუეტები, ცეკვები და სცენარიც ზეპირად ვისწავლეთ... ველოდებოდით, რომ პეტრე გრუზინსკი მოიტანდა ფინალის ტექსტს და ამით დავასრულებდით სპექტაკლზე მუშაობას... ვასო გოძიაშვილი კი თვითონ დგამდა მიზანსცენებს და იმ ადგილას, სადაც უნდა ეთქვა: – „მერე რა რომ წლები გავიდა, ბზარი გამიჩნდა ხმაში“, ჩაათავა ლექსი და სპექტაკლის ყველა მონაწილე, საბავშვო ბაღის ბავშვივით, სცენაზე ჩაგვამწკრივა და გვითხრა: „ჩემო კედლებო ისევ მიყვარხართ, როგორც მიყვარდით მაშინ“ – ამ ფრაზას ერთად იტყვითო... მე მორიდებით მივმართე: „ბატონო ვასო, ეს ჩვენი სათქმელი არ არის, ეს თქვენ უნდა თქვათ“-მეთქი.

ვასო გაბრაზდა – „შენ, ჩემს რეჟისორულ ფუნქციებში რას ერევიო“ – მითხრა და ერეკლე მეფესავით მრისხანე გახდა... მეც მათე ბიჭივით მოვიბუზე... პეტრე გრუზინსკიმ კი დარბაზიდან

დაუძახა: – „ბატონო ვასო, ლენა მართალია, ეს მართლაც თქვენი სათქმელი სიტყვებია და მარტო თქვენი სიმღერაააო“. მერე კი მოლბა და დაეთანხმა და თქვენც მომსწრენი ხართ, თუ რა საოცრად ლოგიკური ფინალი ჰქონდა ამ სპექტაკლს... რამდენადაც სცენაზე პლასტიკური და რბილი იყო, იმდენად მკაცრი იყო ურთიერთობაში.

მაგონდება ძალიან ცხოვრებისეული ამბავი – „ტაკიმასხარას“ ვდგამდით, იური ზარეცკიმ დადგა ტანგო. მე და ირაკლი უჩანეიშვილი ვცეკვავდით ერთად. ჩვენი კონცერტმაისტერი იყო ევგენია აგაბეკოვა, ვასოს მეუღლე. ერთ დღესაც მოვიდა ჟენია სრულიად მოუწესრიგებელი, გამოუძინებელი სახით. შევხედე და ვკითხე: – ჟენია, რაშია საქმე, რატომა ხართ მოწყენილიმეთქი?

– ლენა, რეპეტიციის შემდეგ გეტყვი რაც მოხდაო – მიპასუხა და თავისებურად, რიხიანად დაუკრა ტანგო, ის არა მარტო ბრწყინვალე კონცერტმაისტერი იყო, არამედ სულ ზეპირად იცოდა ვასოს რეპერტუარი.

ჰოდა, როგორც იქნა, რეპეტიციის შემდეგ დავსხედით და ჟენია მომიყვა რუსულქართულად.

– შენ ხომ იცი, ჩვენთან თითქმის ყოველ საღამოს იმართება ვახშამი, მოდიან მოწვეული სტუმრები და მე კი რეპეტიციიდან ან კონცერტიდან დაღლილი ვბრუნდები შინ.

ვასოს კახეთიდან ყოველთვის უგზავნიან ხოლმე წითელ ღვინოს „წარაფს“, ის მიირთმევს ნელნელა, წრუპ-წრუპით ამ ღვინოს და იმართება ღამის შოუ-კონცერტი. ჭამა მაინცა და მაინც არ უყვარს, საერთოდ უჭმელი კაცია, და ხშირად არც სძინავს ღამით და წუხელისაც არ დაგვაძინა. ჩაატარა კონცერტი, მოჰყვა: „რუსთაველის ნაკვალევიდან“, გადავიდა ძველ თბილისში „კინტო-ყარაჩოხელზე“. აღარ შემეძლო უკვე დაკვრა, მკლავებიც დამეღალა, ღამის 3 საათია-მეთქი – ვეუბნები, მაგრამ არ დამიჯერა, გათენებამდე, სანამ თვითონაც ძალა არ გამოელია, სიმღერასა და ცეკვაში გაათენაო.

ასეთი ენერგიული, ბოლომდე დაუხარჯავი წავიდა ვასო გოძიაშვილი ამ ქვეყნიდან, იმპროვიზაციის დიდოსტატი და ბრწყინვალე იმიტატორი.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები: თამარ თეთრაძე, ავთო ვერულეიშვილი, ელენე ყიფშიძე, ვასო გოძიაშვილი, მედეა ჯაფარიძე, სტუმრებთან ერთად

მერი დავითაშვილი – დიდებულ შესანიშნავი მოხილული ჯეროვანი

ნინო შვანგირაძე

მერი დავითაშვილი (01.11.1907-04.08.1975) საქართველოს სახალხო არტისტი. 1921 წლიდან მონაწილეობდა სცენისმოყვარულთა წარმოდგენებში. 1926 წელს დაამთავრა დრამატული სტუდია. 1927 წელს მოღვაწეობდა თბილისის მუშათა თეატრში. 1928 წელს მიიწვიეს კოტე მარჯანიშვილის თეატრში, სადაც განასახიერა როლები: ხორეშანი („კაცია-ადამიანი“), ნანინი („მარგარიტა გოტიე“), დედა („შემოსევა“) და სხვა. კინოში შეასრულა – ქაბატო („ქეთო და კოტე“), თიმსალ-მაქო („ბაში-აჩუკი“), მარიამი („ნინო“) და სხვა.

მერი დავითაშვილი

თეატრმცოდნე **ნინო შვანგირაძის** გამოსვლა (მერი დავითაშვილის 60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე. 26.02.1968 წლის ჩანაწერი).

ნინო შვანგირაძე – საქართველოს სახალხო არტისტმა, მერი დავითაშვილმა, პირველი თეატრალური ნათლობა მიიღო ხაშურის დრამატულ წრეში. მანამდე კი ბავშვობის წლებში (10 წლის ასაკში) ის მღეროდა ბაქოს ერთ-ერთ ეკლესიაში (ფსალმუნს გალობდა) საქმე იმაში გახლავთ, რომ მერის მამა, პეტრე დავითაშვილი სამხედრო მღვდელი იყო და მისი ოჯახიც 1914 წლიდან 1920 წლამდე ბაქოში ცხოვრობდა.

პეტრეს მრავალშვილიან ოჯახს (4 ძმა ჰყავდა, და მეხუთე თვითონ იყო) ყველა წევრს შესანიშნავი ხმა ჰქონდა და თითოეული მათგანი კარგად მღეროდა.

ერთხელ, როდესაც მერიმ განაცხადა, რომ მამასთან ერთად ფსალმუნს იგალობებდა ეკლესიაში, მრევლი იმდენად დაინტერესდა ამით, რომ ხალხი სპეციალურად მის მოსასმენად მივიდა ეკლესიაში. ამ საოცარმა ფაქტმა გამოამჟღავნა ერთი დიდებული მხარე მომავალი მსახიობისა.

1920 წლიდან მერი დავითაშვილის ოჯახი საქართველოში, ხაშურში ბრუნდება. ნიჭიერება, როგორც იტყვიან თავის გზას მიიკვლევს და მერიც გიმნაზიაში სწავლასთან ერთად მიდის ხაშურის თეატრში სამუშაოდ.

თვითმოქმედ წრეში, რომელსაც სოსო მებურიშვილი ხელმძღვანელობდა იმჟამად, 14 წლის გოგონა მონაწილეობას იღებს სპექტაკლებში და ეს იმდენად საინტერესო იყო, რომ დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა მაყურებელში.

ეს იყო: ტრიფონ რამიშვილის, გუგული ბუხნიკაშვილის თუ სხვათა პიესები. როდესაც მერის ოჯახმა თბილისში გადასვლა გადაწყვიტა, გულდაწყვეტილ მაყურებელს მერიმ და ისე, როგორც დიდ მსახიობს ეკადრება, „ბენეფისიც“ კი გაუმართა – ქებათა-ქებით გამოაცილეს ხაშურიდან!

1922-24 წლები – თბილისში კვლავ დიდი ლტოლვა სცენისაკენ! ეს ის დროა, როდესაც ქართული თეატრი ძიების პროცესშია, როდესაც დროებით გაწყვეტილია ხიდი ძველსა და ახალ თაობებს შორის. მერი დავითაშვილიც რუსთაველის თეატრის მსახიობი ხდება.

ნინო დავითაშვილმა, შიო დავითაშვილის ქალიშვილმა, დააფასა თავისი ბიძაშვილის ნიჭიერება, უპატრონა, ისევე, როგორც თავის დროზე 22 წლის წინათ, მარიამ დემურიამ დააყენა ის სამსახიობო გზაზე.

მერი დავითაშვილი მივიდა აკაკი ფაღავასთან – სამსახიობო სტუდიაში. ცნობილია, რომ ამ სტუდიამ შესანიშნავი თეატრალები გამოუზარდა დღევანდელ პროფესიულ თეატრს.

მერი დავითაშვილის პედაგოგები იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, ნიკო შიუკაშვილი, სამსახიობო ოსტატობაში წვრთნა მიიღო – ჩვენი სასახელო ოსტატისაგან – აკაკი ვასაძისაგან!

სტუდიაში მასთან ერთად სწავლობდნენ: სერგო ჭილაძე, თამარ თვალიაშვილი, მედეა ქორელი, ელგუჯა ლორთქიფანიძე.

მოგეხსენებათ, რა ძნელია აკადემიურ თეატრში ახალგაზრდა მსახიობისათვის გზის გაკვლევა, მაგრამ მერი დავითაშვილისთვის ყველა კარი ღიაა. მიხეილ ჭიაურელი მერის იწვევს, საქართველოში პირველად გახსნილ „მუშათა თეატრში“, ე.წ. „წითელ თეატრში“ სამუშაოდ. ასევე იწვევენ ბათუმის დრამატულ თეატრში, რომელსაც აკაკი ფაღავა ჩაუდგა სათავეში.

მიხეილ ჭიაურელის თეატრში მიღწევებისაგან თავბრუდახვეული მერი, მოკრძალებით უარს უთვლის აკაკი ფაღავას. 1927 წელს „წითელ თეატრში“ მუშაობენ ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიცაა – შოთა აღსაბაძე, ვახტანგ აბაშიძე, გრიგოლ სულიაშვილი, იდგმება საინტერესო სპექტაკლები: გიორგი ერისთავის „გაყრა“, ლუნაჩარსკის „ამფეთქებლები“, ფრანგი დრამატურგების თარგმნილი პიესები, რომლებშიც დიდ მოწონებას იმსახურებს მერი დავითაშვილი.

1928 წელს ქართული თეატრის ისტორიაში ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით შეიქმნა „მოგზაური დასი“. ამ დასში შევიდნენ ჩვენი სახელოვანი მსახიობები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, დავით ჩხეიძე.

და აი, აქ მიიწვიეს მერიც, მშვენიერ სპექტაკლში „რღვევა“.

1928 წლის თეატრები განსაკუთრებით საინტერესოა თავისი რეჟისურით. ჩვენი ორი ბობოქარი პიროვნება კოტე მარჯანიშვილი და მისი მოწაფე სანდრო ახმეტელი ქმნიან ორ სრულიად ახალ, დამოუკიდებელ თეატრს.

ისინი გაითიშნენ, იმიტომ რომ ამ ორ გენიოსს ერთ ფიცარგანზე, ერთ სცენაზე დგომა არ შეეძლოთ. ისინი ერთი მიზნისაკენ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ!

კოტე მარჯანიშვილი მიდის ქუთაისის თეატრში და ქმნის სრულიად ახალი ტიპის საოცარ თეატრს.

ქუთაისში ხდება ამ სპექტაკლების რეცენზირება, განხილვა. ამ შემოქმედებით ციებ-ცხელებაში ინტენსიურად ებმება მერიც. ის ქუთაისშიც დიდებულად მიიღეს.

კოტე მარჯანიშვილის თეატრს ამშვენებდნენ ჩვენი თეატრის კორიფეები – უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, პიერ კობახიძე და სხვანი...

მერის შესთავაზეს ივდითის როლი, მაგრამ საოცრად მოკრძალებული ბუნების ქალმა, კარგად იცოდა თავისი შესაძლებლობები, იცოდა, რომ ამ როლის განსახიერებისათვის საჭირო იყო ღრმა, ტრაგიკული ხასიათის მსახიობი... მან ამ როლზე უარი თქვა.

მერე 1931-32 წლები. ქუთაისში მოღვაწეობს ახალგაზრდა რეჟისორი – არჩილ ჩხარტიშვილი და ვახტანგ აბაშიძესა და ალექსანდრე მიქელაძესთან ერთად ქმნის საინტერესო სპექტაკლებს, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მერი დავითაშვილი.

არჩილ ჩხარტიშვილი ქმნის შესანიშნავ სპექტაკლს „შვეიკს“, გრ.სულიაშვილი – „მუნჯები ალაპარაკდნენ“. ეს სპექტაკლი დაამშვენა მარიამის სახემ, შვეიკს ასახიერებდა – მსახიობი ალექსანდრე გომელაური.

ქუთაისში, როდესაც ალექსანდრე გომელაური და მერი დავითაშვილი ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე, ქუჩაშივე იწყებოდა ოვაციები. ისინი ბრწყინვალე დუეტს ქმნიდნენ სცენაზე. და შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მერიმ მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა ალექსანდრეს, ნიჭიერ მსახიობსა და საინტერესო შემოქმედს, ბუნებით მიმნდობსა და ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანს.

ამის შემდეგ მერი ერთმანეთს შესანიშნავად უთავსებს მსახიობობასა და დედობას.

1935-37 წლებში მერი დავითაშვილი კვლავ თბილისშია. ის მუსკომედიის თეატრის მსახიობი ხდება. მას ჰქონდა ვოკალისა და პლასტიკის დიდებული მონაცემები; ის, რაც სჭირდებოდა მუსიკალური თეატრის სცენას.

1938 წელს – კვლავ კოტე მარჯანიშვილის თეატრშია. ვინ იცის, რამდენი სიხარული მოუტანია მას მაყურებლისათვის და პირიქით მაყურებელს – მისთვის!

მ. დავითაშვილი – ზომიერების მქონე ქალი იყო, თუმცა ის საშუალო დონეზე როლს არასოდეს მოამზადებდა.

დამეთანხმებით, თუ რა ბეწვის ხიდზე დგას სახასიათო როლების შემქმნელი მსახიობი.

ყველა მსახიობს ეშინია ამ ბეწვის ხიდზე გასვლისა! მერი დავითაშვილი კი ამ ხიდზე გაბედულად და ლაღად გადიოდა და ჩვენც თან გვატარებდა.

მისი შემოქმედების ანალიზის დროს ჩვენ თვალწინ აღიმართებიან შესანიშნავი სცენური სახეები. მის მიერ განსახიერებული ნანინი („მარგარიტა გოტიედან“), ილია ჭავჭავაძის – „სუტკნეინას“, მარგარეტი „ბროუდის ციხიდან“ და სხვა. ეს უკანასკნელი ანშლაგით მიდიოდა.

ცალკეა აღსანიშნავი მერის კინოროლები: ქაბატო („ქეთო და კოტე“), თიმსალ-მაქო („ბაში-აჩუკი“), მარიამი („ნინო“) და სხვა.

მერი დავითაშვილი ქაბატოს როლში კ/ფ „ქეთო და კოტე“

მერის საშემსრულებლო მანერა გამოირჩეოდა გულწრფელობით, უშუალობით. ძირითადად ქმნიდა სახასიათო, კომიკურ როლებს. მერი იყო შესანიშნავი მეგობარი და პარტნიორი. ყველას უყვარდა მასთან მუშაობა, იმიტომ რომ, იგი როგორც სცენაზე იყო მტკიცე და ერთგული, ასევე – ცხოვრებაში.

ჩემი ლირი ლაჟვარდებული იყო ძალაუფლებით...

აკაკი ვასაძე

აკაკი ვასაძე (25/07/1899-23/03/1978)– ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
1961 წელს ქუთაისში დაიწყო სასცენო მოღვაწეობა. 1918-20 წელს სწავლობდა თბილისის ა. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში. 1920-58 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. შემდეგ იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და კვლავ რუსთაველის თეატრის მსახიობი. 1974 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია.

აკაკი ვასაძე იგონებს: შექსპირის „მეფე ლირს“, ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

1925 წ. ქართული სცენის რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა ედგარის როლი მომცა „მეფე ლირში“. სამწუხაროდ, წარმოდგენა არ შედგა.

1927 წ. ქართული სცენის უნიჭიერესმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა კვლავ ედგარის როლი დამაკისრა. წარმოდგენა არც ამჟამად განხორციელდა.

1941 წელს, როდესაც თბილისში ევაკუაციაში მყოფი სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ვლადიმერ ივანეს ძე ნემეროვიჩ-დანჩენკო დაგვეთანხმა რუსთაველის თეატრალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაზე, პირველი რაც მას შევთავაზეთ ეს იყო – „მეფე ლირის“ დადგმის ხელმძღვანელობა.

მე ხუმარას როლზე წარმადგინეს, ლირის როლში კი აკაკი ხორავა ჰყავდათ გათვალისწინებული.

ეს წინადადება ნემეროვიჩ-დანჩენკომ არ მიიღო. ჯერ ერთი „მეფე ლირი“ არ სცნო აკაკის როლად. „ამ პირქუშ ტრაგედიაში იშვიათად თუ ვინმეს გაუმარჯვნიაო, თვითონ კი შექსპირის „ანტონიო და კლეოპატრა“ შემოგვთავაზა.

1943 წელს ნემეროვიჩ-დანჩენკო გარდაიცვალა და არც ერთი დადგმა არ განხორციელდა...

ჩვენ „მეფე ლირს“ 1948-49 წ. სეზონში ისევ დავუბრუნდით, მაგრამ წარმატება არ ხვდა წილად. ხოლო მისი დეკორაციული მორთულობა, ჩვენი სახელოვანი მხატვრის სერგო ქობულაძის მიერ შესრულებული, 1949 წელს, რუსთაველის თეატრის ხანძრის დროს დაიწვა.

და აი, 1972 წელს, სავსებით მოულოდნელად, ნიჭიერმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ 74 წელში გადამდგარ მსახიობს მითხრა:

– ბატონო, აკაკი, თქვენ მეფე ლირი უნდა ითამაშოთ!

– მე გამეღიმა და ჩემდაუნებურად ვთქვი:

– „მეფე ლირმა“ იარა, იარა ქართულ სცენაზე და ბოლოს ისევ მე მომნახა-მეთქი.

– მაინც როგორა გყავს ლირი წარმოდგენილი-მეთქი შევეკითხე გიგას. მან მოკლედ მიპასუხა – „ლირი დაავადებულია ძალაუფლებით და ამისათვის სწირავს ყველაფერს...“

იმ დღიდან დიდი საზრუნავი გამიჩნდა: ვყოყმანობდი, შევძლებდი ამ რთული როლის ტვირთის ზიდვას? რთული იყო – ახალგაზრდა პარტნიორების მონახვა და პიესის ხელახალი „მონატრება“ – აკინძვა.

როლზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რეჟისორმა სწორად განსაზღვრა „მეფე ლირის“ გამჭოლი ხასიათი – „ძალაუფლებით დაავადება!“

ლირის მეფური, ქედმაღლური მყუდროება იმდენად ზვიადია, რომ არც მისი შვილების გულმართლობას და პირდაპირობას არ ძალუძს ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა.

პირიქით, იმდენად განარისხა ლირი კორნელიას ნათქვამმა სიტყვამ, რომ წართმეული ქონების მესამედი არ იკმარა, თავისი გვირგვინი გამწარებით თავიდან მოიგლიჯა და მათ შესთავაზა. შემდეგ კი კენტს სამეფოდან გაგდების სასტიკი განაჩენი გაბოროტებით გამოუტანა.

ჩვენ, ქალების გასამართლების სცენა, მთელი ქვეყნიერების გასამართლებისა და მაღალზნეობრივი ხილვების სცენად გადავაქციეთ! ლირი ჭეშმარიტებამდე მიჰყავს უფრო მაღალ ღირებულებებს – ვიდრე გონებაა, ეს არის ზნეობრივი სიმართლე! ლირი გონების დაკარგვასთან ერთად, თავისუფლდება ძველი შეხედულებებისაგან და თავის ხუმარასთან ერთად ასამართლებს არა მარტო თავის ქალიშვილებს, არამედ – ხელისუფლებას, ზოგადად!

ის ახლა ტახტისთვის, მეფური უფლების აღდგენისათვის კი არ იბრძვის, არამედ – სამართლიანობისათვის!

უბედური მეფე ლირი მზადაა გაჩუმდეს და საუკუნოდ დაიძინოს, იმ იმედით მოკვდეს, თუ სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

თითქმის წელიწადნახევარი ვმუშაობდით პიესაზე და ყოველი რეპეტიცია იყო ახალ-ახალი

აღმოჩენებისა და დიდი შემოქმედებითი იმპულსის მომცემი.

როდესაც მე ახალგაზრდა მხატვრის გოგი გუნიას მიერ შესრულებული საოცარი ესკიზები ვნახე, გავოცდი. ამ 15-20 წლის მანძილზე მე ასეთი დეკორაციული გაფორმება არ მენახა.

იმდენად უბრალოდ და სადად სჩანდა ესკიზები ქაღალდზე, რომ ვერ წარმოვიდგენდით თუ მისი სცენაზე გადატანა ასეთი რთული იქნებოდა.

თუ მსახიობმა შექსპირის გრძნობათა სამყაროში ვერ შეაღწია, ყალბი იქნება! მისი მეტყველება გულის ამრევ დეკლარაციად გადაიქცევა.

ქართული ენის ჟღერადობა, ფონეტიკურად, არც ერთი ენის ჟღერადობას არ ჩამორჩება. ზოგიერთ შემთხვევაში უნიკალურიც არის. კითხვითი ნიშნის დასმა, ლოგიკური მახვილის კავშირების წარმოთქმის დროს სასვენი ნიშნების: მძიმე-წერტილის გამოხატვის კანონები და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენია ინტონაციების სისტემის სხვა ხერხები...

ეს ყველაფერი დიდ, დაუღალავ, ყოველდღიურ ვარჯიშს მოითხოვდა და მეც ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რომ ჩემი ახალგაზრდა მეგობრებისთვის, ჩემი თაობის გამოცდილება გადამეცა და ამით სპექტაკლის დადგმის ტვირთი ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა.

პირველად 1883 წელს დაიდგა „მეფე ლირი“ დიდოსტატ კოტე ყიფიანის „საბენეფისოდ“.

დიდ ვასო აბაშიძის მონათხრობიდან და იოსებ გრიშაშვილის მოგონებებიდან ვიცით, რომ თავის დროზე რეჟისორებსა და მსახიობებს კონსულტაციას უწევდნენ: ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.

ვალერიან გუნია

1914-15 წლის სეზონში ბედნიერება მერგო წილად „მეფე ლირის“ როლში მეხილა ქართული თეატრის დიდი მოღვაწე ვალერიან გუნია, ედგარში – ლაუვიწყარი – ალექსი მესხიშვილი და კენტის როლში – ვალერიან შალიკაშვილი – მაღალნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი.

ლადო ალექსი-მესხიშვილი და კოტე ყიფიანი სპექტაკლში „და ძმა“

1941 წლის ივნისში თბილისში ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს, ლირის როლს ასრულებდა ცნობილი მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი.

მართლაც, ამ მცირე ჩამონათვალიდანაც შეიძლება ითქვას, თუ რა უზარმაზარი საშემსრულებლო ტრადიცია დაუგროვდა შექსპირის ამ უდიდეს მხატვრულ სახეს.

„სულიერ სამყაროში ყველაფერი კანონზომიერად ვითარდებაო“ – ამბობდა ლესინგი თავის დრამატურგიაში. მეც აქედან დავიწყე ძებნა იმისა, თუ რა გამორჩათ მხედველობიდან ამ მხატვრულ სახეში ჩემს წინაპარ მსახიობებს და როგორ გამეხადა იგი თანამედროვე ჟღერადობისა.

მე არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ამოვწურე ამ სახეში, როგორც მსახიობმა და არაფერი დავუტოვე მომავალ თაობას გასაკეთებლად.

მოგეხსენებათ, შექსპირი ყველა დროისა და ყველა ეპოქის მხატვარია, ხოლო როგორ შთაბეჭდილებას ან ზეგავლენას ახდენს ის მაყურებელზე ჩემი „სცენური თხზულება“ „მეფე ლირისა“, ამის შესახებ დაე, მაყურებელმა და თეატრმცოდნეებმა მოგვითხრონ!



სერგო ზაქარიაძე

სერგომ ოთხცვალთიანი რეპეტიციის განმავლობაში ორი წყვილი ფეხსაცმელი შეიცვალა

მინდა რამდენიმე საფონდო ჩანაწერით ჩვენს წარმოსახვით გალერეას შევმატო ქართული თეატრის კიდევ ერთი დიდი კოლორიტული მსახიობის პორტრეტი, რომელსაც სერგო ზაქარიაძე ჰქვია. (1984 წელი, გადაცემის ავტორი და რედაქტორი **შოვინა ქაცარავა**).

გურამ საღარაძე – მე მიმაჩნია, რომ ბატონ სერგო ზაქარიაძის შემოქმედებითი ცხოვრება ორ დიდ პერიოდად იყოფა. ეს იყო კოტე მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის თეატრი.



გურამ საღარაძე

როდესაც ჩვენ შევხვდით სერგო ზაქარიაძეს, უკვე ვიცოდით მისი დამოკიდებულების ამბავი თითოეული ახალგაზრდა მსახიობის მიმართ. გარკვეული თბილი დამოკიდებულება, ბატონ სერგოს ჩემს მიმართაც გააჩნდა. მე ამას ყოველი წუთს ვგრძნობდი. ვუყვარდი კიდეც – როგორც პიროვნება, როგორც მსახიობი, როგორც მკითხველი-დეკლამატორი.

სერგო ზაქარიაძე იყო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მსახიობი სცენაზე, როგორ უნდა ემუშავა საკუთარ თავზე და მსახიობებთან. მე არ მეგულება ქართულ თეატრში მეორე მსახიობი ისეთი, როგორიც ბატონი სერგო იყო – შრომისმოყვარე და დიდი პროფესიონალი. მასთან მრავალი შესანიშნავი მოგონება მაკავშირებს, როგორც ადამიანთან და შემოქმედთან.

გიგა ლორთქიფანიძე – სერგო ზაქარიაძე საოცარი მომთხოვნი პიროვნება იყო თავისთავის და გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ.



გიგა ლორთქიფანიძე

მე მქონდა ბედნიერება, რომ ბატონ სერგოს შევხვედროდი შ. რუსთაველის თეატრში, სპექტაკლ „მეტეხის ჩრდილში“ – შაქროს როლი ითამაშა. იმერელმა, ზესტაფონელმა კაცმა, ეს თბილისელი მეწაღე განასახიერა ძალიან ზუსტად, სახოვნად.

ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით მაგიდასთან და ერთ დღეს ვთქვით, რომ ხვალიდან ავიდეთ სარეპეტიციო დარბაზში მიზანსცენებისთვის და დავიწყოთ სპექტაკლის დალაგება-თქო.

მეორე დღეს 11 საათზე ყველა მსახიობი გამოცხადდა სარეპეტიციო დარბაზში, ჩვეულებრივად თავის კოსტიუმებში. ზოგი ტექსტს იმეორებდა, ზოგი ზეპირად სწავლობდა ადგილებს. უცებ გაიღო კარი და შემოვიდა სერგო ზაქარიაძე ანუ ის ძია შაქრო, ისე ჩაცმული, იმ ტანსაცმელში და ჩექმებში გამოწყობილი, როგორც შემდეგ იყო სპექტაკლში. თან შემოიტანა მეწაღის ყველა მოწყობილობა, თავის სკამიანად და ინსტრუმენტებიანად. თურმე ჩვენ რომ 2 თვე მაგიდასთან ვმუშაობდით, ამ დროს ის ყოველი რეპეტიციის ბოლოს მიდიოდა მეწაღეებთან სახელოსნოებში და სწავლობდა კერვას. ისწავლა კიდეც. ისე კერავდა, როგორც ნამდვილი ოსტატი. ე.ი. ამოიტანა სცენაზე „სტელკა“, ტყავი, ჩექმების შესადგმელი მოწყობილობა და პირველსავე რეპეტიციაზე, ჩაიწყო კბილებში ეს წვრილი ლურსმნები და ისე რომ დაიწყო ლაპარაკი, მსახიობები ჯერ დაბნეულები დადიოდნენ, ვერც რეპლიკა მისცეს, ვერც ტექსტს ამბობდნენ. სიმართლე გითხრათ, მეც დავიბენი. არ ვიყავი მზად ავყოლოდი ამ მიზანსცენაში, როცა სერგომ მოიტანა აბსოლუტურად დამთავრებული როლი.

4-საათიანი რეპეტიციის განმავლობაში – 2 წყვილი ფეხსაცმელი შეკერა, გეფიცებით ყველაფერს, თავიდან დაწყებული – ბოლომდე. ამ რეპეტიციაზე თვალწინ წარმომიდგა ჩემი ბავშვობა, როდესაც ვერაზე ყოველ კუთხეში მეწაღეები ისხდნენ. ჩვენც გვიყვარდა ერთ მეწაღესთან ყოფნა, გარდა იმისა რომ კარგი მოსაუბრე კაცი იყო, ისე ლამაზად ჭრიდა და ისე ლამაზად კერავდა, რომ ეს თვითონ პიროვნება იყო ძალიან ესთეტური. ასე ლამაზად ისწავლა სერგო ზაქარიაძემ – შაქროს როლთან ერთად მეწაღეობა...

რამაზ ჩხიკვაძე – სერგო ზაქარიაძე დიდი პედაგოგი იყო ჩემთვის. ამისთვის მე მისი მადლობელი ვიქნები მთელი სიცოცხლე.

– ჩემი მწვალებელია რამაზიო – ამბობდა ხოლმე და თანაც ღიმილით დააყოლებდა, თუ რუსთაველის თეატრიდან წავედი, წავალ, იმიტომ რომ რამაზი არის აქო...

რამაზ ჩხიკვაძე „კავკასიური ცარცის წრე“

ცოტა ახირებული და თავისნათქვამი კაცი იყო. ეტყობა ბევრს ფიქრობდა თავის სათქმელზე და მერე ძნელად თმობდა თავის აზრს.

ჩვენს თეატრში სერგო ჯერ მსახიობი, შემდეგ კი – დირექტორიც იყო. ამიტომ სცენაზე ძალიან იხარჯებოდა, არ ზოგავდა არც ხმას, არც ენერგიას... თავისი მეთოდი ჰქონდა თუ „ხმაზე არ იყო“ – ბლოკნოტში ჩაწერდა – ხმა არა მაქვს და სპექტაკლს ვერ ვითამაშებო – ეტყოდა დირექტორს.

ე.ი. ჩვენც გვიხსნიდა, რომ ხმის ერთადერთი მკურნალი – გაჩუმება არისო. ის დღე უნდა გაჩუმდე და მეორე დღეს უკვე ხმა მოგივაო.

ერთხელ, როცა სერგო გახდა დირექტორი და მეც შევედი მასთან კაბინეტში, დავჯექი და ხმას არ ვიღებ.

– საციგნოთა ხარ, გეტყობა, შემოსულიო – მითხრა. – თქვი რა გინდა, ნუ გამაგიჟეო.

მეც ამოვიღე ბლოკნოტი და ვუთხარი – ცუდადა ვარ, სპექტაკლს არ ვითამაშებ, ხმა არა მაქვს-მეთქი.

გაბრაზდა. – ის მაშინ იყო, ასე აღარ იქნება, ახლა მე დავადგინე, – რაც ბევრს ილაპარაკებ, ხმა უფრო მალე მოგივაო.

როცა „ჭინჭრაქაში“ შემოვიდა სერგო, ის ძალიან სასიხარულო და საინტერესო პარტნიორი გახდა ჩემთვის. სპექტაკლი აგებული იყო სრულ იმპროვიზაციაზე და სერგოც პატარა ბავშვივით გახდა სცენაზე. არ იცოდა რა გაეკეთებინა, უნდა გესწავლებინა ყველაფერი.

თავის შვილიშვილს ბაძავდა, რომელიც მაშინ კულისებში დარბოდა...

გენერალური რეპეტიცია იყო და მახსოვს, უნდა ეთქვა რეპლიკა, „მოდის ამირანი“... მე ვეკითხები ვინ?.. რატომღაც ეშლებოდა ეს სახელი, მერე შევცვალეთ სხვა სახელით... როცა იმ ადგილს მივადგებოდით – მოდის ვინ? – მე არ ვკარნახობდი და ვაბრაზებდი ამით, იმასაც არ აგონდებოდა ეს სახელი. სპექტაკლის გასინჯვაზე ვართ, მოვიდა კომისია უნდა ჩაიბარონ წარმოდგენა და როცა იმ ადგილს მივადექი, როდესაც უნდა თქვას – „მოდის“... მე ვკითხე – ვინ მოდის მეთქი? და ვეღარ უპასუხა, გადმომხედა... „ვუპასუხე“ – ბემურაზი- მეთქი, მანაც გაიმეორა... ატყდა დარბაზში სიცილი, სერგო მიხვდა რომ სწორედ არ ვუკარნახე და მუშტები დამიქნია...

მაგონდება, ვთამაშობდით ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონს“. სერგოს ერთ მომენტში ლამის ხუთწუთიანი მონოლოგი ჰქონდა სცენაზე. მე უკვე მთავარ როლებს ვთამაშობდი და მაინც „მასოვკაში“ ვიდექი ... 44 მანეთი მქონდა ხელფასი და არც ერთ კაპიკს არ მიმატებდნენ.

ერთხელაც, მიმდინარეობს სპექტაკლი, ვდგავარ „მასოვკაში“ ბოლოში და ძალიან არ მინდა იქ დგომა. სერგოს მონოლოგი მიდის, დავდექი მეც სხვებთან ერთად და უცებ მესმის იატაკის ჭრაჭუნი. გადავედი სხვა ადგილზე იქაც ჭრაჭუნებს. მოვინიშნე ის ადგილი და ვაჭრაჭუნე და ვაჭრაჭუნე ამ სიჩუმეში. დაიწყებს სერგო დიალოგს მეც ვიწყებ იატაკის ჭრაჭუნს და ბოლოს სერგომ ჩუმად დაიძახა – გააგდეთ ჩხიკვაძე და გაჩერდება იატაკის ჭრაჭუნიო...

მეც ეგ მინდოდა, გავედი სცენიდან და მას შემდეგ „მასოვკაში“ აღარ დავბრუნებულვარ...

სერგო ზაქარიაძე

რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი

სანდრო ჟორჟოლიანი

ხშირად იუმორით ვლიანდება პიროვნებისა და ერის ცხოვრება...

ვახტანგ ტაბლიაშვილის სიტყვა წარმოთქმული სანდრო ჟორჟოლიანის ხსოვნის საღამოზე.

1993 წლის ჩანაწერი. რადიომონტაჟის ავტორი და რედაქტორი – ქალბატონი **შოვინა ქაცარავა**.

ვახტანგ ტაბლიაშვილი

ვახტანგ ტაბლიაშვილი – უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, მთავარი ღირსება სანდრო ჟორჟოლიანისა: ის იყო ძალიან განათლებული პიროვნება. ალბათ იცით, რომ მან დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი, ისტორიულ-ფილოლოგიის განხრით. შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ ენას. მან მოღვაწეობა დაიწყო ბაქოში – პედაგოგად. თქვენ წარმოიდგინეთ, იქიდან ეკამათებოდა ვ.ი.ლენინს, პრესის საშუალებით. დამერწმუნებით, რომ ადვილი არ იყო ვ.ი.ლენინის სტატიებზე კამათი.

როგორც კი საბჭოთა სისტემა დამყარდა საქართველოში და რუსთაველის თეატრი გაიხსნა, სანდრო მაშინვე ჩამოვიდა თბილისში. სანდრო იქაც იღებდა მონაწილეობას ქართულ სცენისმოყვარულთა თეატრის ჩამოყალიბებაში.

თეატრში მაშინ მუშაობდნენ, როგორც კოტე მარჯანიშვილი, ასევე სანდრო ახმეტელი. იმ პერიოდში ვნახე სპექტაკლი „ამერიკელი ძია“, – სადაც სანდრო თამაშობდა კვაჭი კვაჭანტირაძის მსგავს სახეს... ის ფეხდაფეხ დაჰყვებოდა შალვა ღამბაშიძეს, რომელიც „ამერიკელი ძია“ იყო და მათი ერთობლივი სცენები იწვევდა „ჰომერულ“ სიცილს!

ეს იყო მართლაც კვაჭის მსგავსი „კვაჭი“ – პიროვნება, რომელმაც არ იცოდა ინგლისური ენა და შალვა ღამბაშიძეს ელაპარაკებოდა ვითომ ინგლისურად და ეს იყო სიტყვების ისეთი ნაერთი, რომ იწვევდა კომედიურ სიტუაციას, ხარხარს...

მაგალითად, ასე: „ზაკავტო-პრომ-ტორგს“ – აჰა, – ეტყოდა შალვა ღამბაშიძე დაფიქრებული სახით, თითქოს დაუდასტურებდა – „ჩიჩერი-ბუდემ-უბიკანი“.

იყო ამ სიტყვების წინ და უკან ტრიალი. თვითონაც ეტყობოდათ ძალიან მოსწონდათ ამ როლის თამაში. მეც პატარა ბავშვი ვიყავი იმ დროს და მახსოვს გულიანად ვიცინოდი.

სანდრო ჟორჟოლიანის ფასი მე გავიგე მას შემდეგ, რაც მან დაიწყო მუშაობა კოტე მარჯანიშვილთან. ამის შემდეგ დამკვიდრდა ის სცენაზე, როგორც „მარჯანიშვილის არსტისტი“.

აი, დავაკვირდეთ მის ნათამაშებ როლებს: უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას მისი ერთი თვისება – სიკეთე.

სანდრო ჟორჟოლიანის კეთილი იუმორი მოსწონდა ხალხს და მას ეს უადვილებდა კიდეც თამაშს და მეტ პასუხისმგებლობის გრძნობასაც ანიჭებდა. სანდრომ შექმნა ბევრი კონტრასტული სახე.

კოტე მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის შემდეგ მსახიობები თითქოს ერთ ყალიბად – დაიშტამპნენ. „აი, ეს მხოლოდ დრამატურგიაშია ძლიერი, – ის კი კომედიაშიო!“

კოტე მარჯანიშვილს მსახიობის ამდაგვარი „დაშტამპვა“ არა სწამდა. იყო ერთი კირშოვის პიესა „პური“, – სადაც პიესის გმირი კვასოვი კულაკი იყო. მას თამაშობდა ვასო გოძიაშვილი და სანდრო ჟორჟოლიანიც. ერთ როლზე დანიშნა ორივე, თუმცა მათ ხასიათებს არაფერი ჰქონდათ საერთო.

ვასო გოძიაშვილმა მოინდომა ივანე მრისხანეს ნიღბის მორგება, მარჯანიშვილმა მისცა ამის ნება. ვასო ხიბლავდა ამ როლით მაყურებელს.

სანდრომ უფრო სხვანაირად ითამაშა, იმიტომ რომ, ის იყო უაღრესად განათლებული, უყვარდა ხალხს და ამ სიყვარულმა აიძულა ეფიქრა და დიდი ფიქრის შემდეგ შექმნა კვასოვის აბსოლუტურად განსხვავებული სახე.

ჩემი აზრით, ეს იყო მსოფლიო მასშტაბის ნა-

მუშევარი. ამ სახეში შეერთდა მისი იუმორი და მაღალი ინტელექტი.

პირველად, როდესაც ეს სპექტაკლი ვნახე, ყველამ მომხიბლა: ვერიკო ანჯაფარიძემ, უშანგი ჩხეიძემ, შალვა ღამბაშიძემ, ალექსანდრე იმედაშვილმა, ქიქოძემ. როდესაც სანდრო ჟორჟოლიანი გამოჩნდა, ვიკითხე ეს ქართველი მსახიობია-მეთქი. და იცით, გერმანელებს არც დაესიზმრებათ ასეთი სპექტაკლი – კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“ იყო ქართული თეატრის დიდება!

ავიღოთ: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – გიგა ლორთქიფანიძეს უნდა ვუმადლოდეთ რომ ნოდარ დუმბაძე „გახსნა“ – როგორც დრამატურგი; მან მშვენივრად იცის, რომ როლზე მსახიობის დანიშვნის დროს წყდება სპექტაკლის ბედი.

უკვე იმან, რომ ჟორჟოლიანი დანიშნა ამ როლზე, სპექტაკლის წარმატება განსაზღვრა. ეს სახე შემდეგ კინოშიც წაიღო და სანდრო ყველგან კარგი იყო.

– ვიღაცამ თქვა, რომ – „იუმორი ეს არის პიროვნების ღირსების გამომჟღავნებელიო“. დიახ, იუმორით ვლინდება პიროვნებისა და ერის სულიერება, მაგრამ არის „მაღალი დონის იუმორი“ და იაფფასიანი „ვულგარული“ იუმორი.

სანდრო ჟორჟოლიანს ჰქონდა ღვთით მინიჭებული მაღალი დონის იუმორი და მას ემატებოდა სცენური უცნაური მომხიბვლელობა. მისი სცენაზე გამოჩენა მაყურებელს უხაროდა.

თუ გახსოვთ მისი „კაკალ გულში“ – შირმის თაობაზე რომ ჩხუბობენ სანდრო და შაქრო გომელაური. ერთხელ თურმე ვიღაც ბიჭი ისე იცინოდა, რომ იარუსიდან კინაღამ ჩამოვარდა და ახლა ამაზე ამტყდარა დარბაზში სიცილი.

ხელოვნებაში უშანგი ჩხეიძე არის ჩემი სალოცავი ხატი... მარჯანიშვილის ხატთან ერთად განუყოფელია უშანგიც, რომელმაც „ყვარყვარე თუთაბერიც“ ითამაშა, მაგრამ მისი სტიქია მაინც ტრაგედია იყო. გოეთე ამბობდა, რომ „სერვანტესმა და ლოპე დე ვეგამ მოკლეს შემდგომში დრამატურგიაო“.

მაღალი დონის კომედია ცოტა იყო ქართულ დრამატურგიაში, საერთოდ კომედიებით ღარიბია ის. მაგრამ სანდრო ჟორჟოლიანის ყველა სპექტაკლი იყო ხალასი კომედიით სავსე. ძალიან სამწუხაროა, რომ ბევრი სპექტაკლი მომავალი თაობისათვის დაიკარგა.

მე მიყვარდა ეს ადამიანი გულწრფელად, მთელი შეგნებით. ამას წინათ „ქეთო და კოტე“ აჩვენეს ტელევიზიით და მეც, როგორც მაყურებელი, ისე ვუყურე და ვიფიქრე – სანდრო ჟორჟოლიანი, რომ არ ყოფილიყო რამდენ ღიმილიან კადრს დაკარგავდა ეს ფილმი?!

მაგონდება, როდესაც მოსკოვში პირველი ღია ჩვენება, გასინჯვა იყო. მოწვეულნი იყვნენ თეატრისა და კინოს მსახიობები. დარბაზში დიდხანს იყო სიჩუმე, ფილმის იმ ადგილას, სადაც სანდრო დაიძახებს – არიქა, სახლი ინგრევაო და თოფნაკრავივით გაიქცევა – დარბაზში ატყდა „ჰომერული სიცილი“, იფეთქა დარბაზმა, თითქოს ამ სიცილმა გადაწყვიტა ამ ფილმის ბედი, უცბად მოიხსნა დარბაზის დაძაბულობა.

აი, ამაზეა ნათქვამი, რომ დიდი და პატარა როლი არ არსებობსო. მახსოვს უკვე 81 წლისა იყო, ავადმყოფობდა. „დიდოსტატის მარჯვენას“ ვიღებდი და ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე მიმყავდა გადაღებაზე ყაზბეგის ზევით, სადაც ერთი კარგი ადგილი მეგულებოდა, დატირების სცენა უნდა გადაგვეღო.

ფასანაურში გავჩერდით და რესტორანში ვსადილობდით, როცა გამოვედით გარეთ სანდრო ვნახე...

– ვაა, მაქსიმიჩ (ასე ვეძახდით სიყვარულით!) როგორა ბრძანდებით-მეთქი...

სანდრო ჟორჟოლიანი კ/ფ-დან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

– ვიცოდი, რომ აქ იყავით და შინ ვერ მოვისვენე და მოვედიო. – მერე ჩამჩურჩულა – ჩემთვის არ არის რაიმე პატარა როლი „დიდოსტატშიო“...

– ბატონო, სანდრო, ეს სხვა ჟანრის ფილმია-მეთქი, – ვუპასუხე.

ნაწყენმა გადაულაპარაკა იქვე მდგომ ვერიკო ანჯაფარიძეს – ვახტანგს ჰგონია, რომ მე მხოლოდ კომედიური როლების თამაში შემიძლიაო...

თქვენ იცით, ის მართალი იყო, იმიტომ, რომ კოტე მარჯანიშვილმა იგი ტრაგედიაში ათამაშა, დიდებული სახე მოუძებნა.

გული მწყდება, რომ ეს მე ვერ შევძელი.

ლენინის როლზე ყველა ყვანცალიანი მე დავალხარელი

აკაკი კვანტალიანი (14.12.1907- 27.07.1967) – საქართველოს სახალხო არტისტი. 1928 წლიდან იყო კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრის წამყვანი მსახიობი.

აკაკი კვანტალიანი

გთავაზობთ ერთ-ერთ საინტერესო სიტყვას, რომელიც ვახტანგ ტაბლიაშვილმა წარმოთქვა 1993 წელს, აკაკი კვანტალიანის ხსოვნის საღამოზე (გადაცემის რედაქტორი ქალბატონი შოვინა ქაცარავა).

(16 მაისი ტაბლიაშვილის დაბადების დღეა).

ვახტანგ ტაბლიაშვილი – მოგახსენებთ, რომ კოტე მარჯანიშვილის სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ღირსება იყო ღვთით ბოძებული ნიჭიერება...

ისინი მძლავრი ბურჯები იყვნენ თეატრისა. კოტე მარჯანიშვილი კი იყო მათი გუმბათი და ამ ბურჯებს ეყრდნობოდა კოტეს ნიჭიერებაც!

მე ვიტყოდი, რომ იუმორი არის ღირსება ადამიანის მაღალი გონიერებისა...

იუმორი – კოტე მარჯანიშვილის თეატრის ღირსებაც იყო... აკაკი კვანტალიანი იყო ამ სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი... ჩვენ ვმეგობრობდით და მე მას ზედმიწევნით კარგად ვიცნობდი... ის საკმაოდ ნაკითხი, მწიგნობარი და ამავე დროს კეთილი გულის კაცი იყო...

როდესაც მოსკოვიდან ჩამოვედი, დიპლომიანი ახალგაზრდა ვიყავი და პირველი დადგმისთვის უაღრესად ძნელი თემა – „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, წარვადგინე.

მივხვდი, რომ ამ სცენარმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ისეთ დიდ მსახიობზე, როგორიც იყო სერგო ზაქარიაძე, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემდი. მან თქვა:

– ვახტანგ, როგორ გინდათ ეს პიესა დადგათ ამ ერთი ბეწო სცენაზე?

და მართლაც, 37 სურათი იყო და 103 მოქმედი პირი. მაშინ მე ნაკლები გამოცდილება მქონდა...

თავდაჯერებული ახალგაზრდა ვიყავი და წარბიც არ შევიხარე ამაზე.

მსახიობები უკმაყოფილოდ დაიშალნენ, ჩემთან მოვიდა აკაკი კვანტალიანი და მითხრა:

– ყმაწვილო, ამ პიესას ვერ მათხოვებთ ხვალამდეო.

პიესა, რასაკვირველია, მივეცი, მეორე დღეს მომიტანა და გვქონდა კიდევ შეხვედრა მსახიობებთან და მე დავიწყე პიესის კითხვა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, როგორი იქნებოდა სიუჟეტი, მოვიდა კაკო ჩემთან და ასე საჯაროდ, სახალხოდ მითხრა:

– ვახტანგ მე გუშინ ძალიან შემეშინდა ამ პიესისა... დღეს კი დავრწმუნდი რომ ყველაფერი შესანიშნავად გამოვა... ჭურუმე შენიო! – მხარზე დამარტყა თავისი ხელი. თქვენ არ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დამწყები რეჟისორისათვის თანადგომას, პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმისას, გამხნევებას!

დიდი ადამიანური სითბო აკაკი კვანტალიანისა მაშინ ვიგრძენი. კაკომ პატარა ეპიზოდური როლი ითამაშა ამ პიესაში, მაგრამ ის დიდი მოწადინებითა და სიყვარულით მუშაობდა, ყველა რეპეტიციას სისტემატურად ესწრებოდა.

სპექტაკლი საზოგადოებამ კარგად მიიღო და კაკო ამით ძალიან გახარებული იყო. ამის შემდეგ შალვა ღამბაშიძემ დამიძახა თავის კაბინეტში და მეუბნება:

– ვახტანგ, ჩვენ მივიღეთ დიდი, სერიოზული დავალება მთავრობიდან, უნდა დავდგათ პიესა, რომლის გმირებიც ლენინი და სტალინი იქნებიან.

მე ლენინის როლზე კაკო კვანტალიანი დავასახელე. თქვენ მასხარად იგდებდით ლენინსო – ბუნებრივად ებადებოდა ეს შეკითხვა ყველას!

– აი, ხომ ხედავთ, თქვენც გაიცინეთ!

მოვიდა კაკო და მეკითხება – ვახტანგ, ყველა-ყველა და რა ვუყო ამ ცხვირსაო?

აქედან დაიწყო ჩვენი წვალება! ყოველ დღე დავდიოდით ერთ-ერთ ფოტოატელიეში ალექსანდრე ომიაძე, კაკო კვანტალიანი და მე... ისინი იკეთებდნენ სხვადასხვა გრიმს, გრიმიორი მოგვყავდა თეატრიდან, იღებდნენ ფოტოებს პროფილში, ანფასში და სხვა.

ამ დროს დამიძახეს ცეკაში და მეუბნებიან:

– კაცო, შენ რას შვრები? კაკო რომ სცენაზე გამოვა, ხალხი სიცილს დაიწყებს ლენინზე და მერე სად მიდიხარო?

უარი მათქმევინეს და კაკოს ეს ძალიან ეწყინა, ისე განიცადა, რომ მე ვამშვიდებდი:

– კაკო, მოდი ვაჩვენოთ ყველას, რომ შენ დიდი მსახიობი ხარ-მეთქი და შევთავაზე ბალზაკის გრანდეს როლი. თუ გახსოვთ, ეს ძლიერ დრამატული სახეა. მაგრამ ამისი ხალისი და სურვილიც არ ჰქონდა...

იდგმებოდა სპექტაკლი „დავით აღმაშენებელი“ – კაკოს არა ჰქონდა როლი ამ სპექტაკლში.

ამ სპექტაკლს ლამის გადავყევით. მე თითქმის მშიერ-მწყურვალი ვმუშაობდი... მაშინ საერთოდ შიმშილობა იყო... ახლანდელ დროსთან როგორ შევადარებ.

ტრამვაი მაშინ სამი კაპიკი ღირდა და მე ფეხით დავდიოდი, ბილეთის საყიდელი ფულიც კი მიჭირდა!

ნიკოლაძის ქუჩიდან ფეხით მივდიოდი თეატრამდე... იქ ახლოს პურის საცხობი იყო და მახსოვს, ვიღაცა კურტნის მუშა იჯდა და შავ პურსა ჭამდა. პურის სურნელი მომივიდა და შიმშილისაგან ლამის წავიქეცი. შინიდან მშიერი ვიყავი წამოსული.

ძლივს მივლასლასდი თეატრამდე. იქ სუმბათაშვილი და ლაპიაშვილი სპექტაკლისთვის პანოს ხატავდნენ და იქ რომ შევიხედე, ის ცხელი პურის ნატეხი დავინახე... იმ დღეს ძლივს გავიარე რეპეტიცია...

აი, ასეთი მუშაობით იქამდე მივედი, რომ ფილტვები დამიავადდა, შიმშილმა თავისი ჰქნა...

მაშინვე წამოიჭრა თურმე აზრი, რომ (სპექტაკლი „დავით აღმაშენებელი“ შემოსავლიანი იყო) ყველა მონაწილეს ეთამაშა ჩემს სასარგებლოდ...

შინ ვიწექი, ავად ვიყავი, რომ მომივიდა წერილი თეატრიდან, შალვა ღამბაშიძე მწერდა:

– ვახტანგ, გამაგრდი, ნურაფრის გეშინია, კაკო კვანტალიანმა ყველაფრის ორგანიზება თავის თავზე აიღოო...

ჩაატარეს სპექტაკლი, მოვიდა აუარება ხალხი და შემოსული თანხით გამგზავნეს გაგრაში 2 თვით და წაღვერშიც 2 თვით. სრულიად განვიკურნე და აი, დღეს თქვენს წინაშე ვარ...

ასეთი იყო კაკო, კეთილი, ყველაზე მზრუნველი... და გულუბრყვილო... მახსოვს, წყნეთში აგარაკს აშენებდა და მუშახელი უჭირდა ძალიან... ჟორა შავგულიძეს ყველას გამასხრება უყვარდა და კაკოს მიადგა:

– კაკო, წამოვალთ წყნეთში ბიჭები და ვიმუშავებთ, რასაც გვეტყვი იმას გავაკეთებთ, შენი დაქირავებული მუშები ვიქნებითო.

კაკომ უპასუხა, ოღონდ თქვენ დამეხმარეთ და კარგ პურ-მარილს გაგიმართავთო.

კაკომ, მართლაც, კარგი პურ-მარილი გაუმართა, ისინიც ჩასხდნენ და ვიღას ახსოვდა სამუშაო!

კაკო იყო და დარჩა ჩემს უსაყვარლეს მეგობრად. აი, მე ხანდაზმული ვარ და იცით, რა მაწვალებს? – ეხლა მახსენდება, რომ ზოგიერთ მსახიობთან ვერ გამოვამჟღავნე უფრო მეტი სიყვარული, ვერ გავუნაწილე მეტი ყურადღება, რაღაც დავაკელი ჩემთან ურთიერთობაში, რისთვისაც დაგვიანებით ბოდიშს ვუხდი მათ!

კადრები კინოფილმიდან „უდიპლომო სასიძო“

„ცომით – ფცხო ლა გფლოით ქარითვეილი ვარ" – ფფვარლა თქმა იყოფ ტრიპოლფცკიც



იაკობ ტრიპოლსკი

31 დეკემბერი იაკობის დაბადების დღეა... რამდენიმე საფონდო ჩანაწერით გვინდა მოვიგონოთ და ახალი შტრიხები შევმატოთ მის არაჩვეულებრივ არტისტულ პორტრეტს. (1993 წლის ჩანაწერი. გადაცემის რედაქტორია **შოვინა ქაცარავა**).

გოდერძი ჩოხელი – დედაჩემი და ძია იაშა, და-ძმის შვილები იყვნენ. როცა მე და ძია იაშა თბილისის ქუჩებში ერთად დავდიოდით ხოლმე, ლამის მთელი ქუჩა ჩვენსკენ შემობრუნდებოდა და ეგრე უყურებდნენ... ალბათ ამით გამოხატავდნენ დიდ სიყვარულს მისადმი და ეს გრძნობაც უსიტყვოდ მე გადამედებოდა ხოლმე.

გოდერძი ჩოხელი

მერე ძია იაშა გარდაიცვალა, დედაჩემიც მალე წავიდა ამქვეყნიდან და დავრჩი მარტოკა... ეტყობა ძალიან მომენატრა მისი თავი და ერთხელ სიზმარში ვნახე, – ძია იაშა. თითქოს და იმქვეყნიდან მირეკავდა და არ მელაპარაკებოდა... და ასე უთქმელად, მზერით მესმოდა ყველაფერი, რაც მას უნდა ეთქვა და დაებარებინა ჩემთვის... მადლობელი ვარ ხალხისგან მისი ასეთი დაფასებისა და სიყვარულისათვის... მეც ძალიან მიყვარხართ ყველანი...

მედეა კუჭუხიძე (მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი) იგონებს – აფორიაქებული იყო და გატაცებული, ხალისიანი და კეთილი, გულმხურვალება იყო მისი მიმზიდველობის მთავარი მიზეზი... მაგონდება, როცა მარჯანიშვილის თეატრში ახალი მისული ვიყავი, მაშინ ყოველ წარმოდგენაზე დანიშნული იყო სამხატვრო საბჭოს მორიგეობა. 31 დეკემბერს მომიწია

მედეა კუჭუხიძე

იქ ყოფნა. ახალი წლის ღამეს, ამ დღეს, თეატრს ყოველთვის უჭირდა მაყურებელთა მოზიდვა. იმ საღამოს სულ რამდენიმე ადამიანი იჯდა მაყურებელთა დარბაზში. ეს ამბავი კარგა ხნის წინ მოხდა, 1965 წელს.

რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი" გადიოდა. ბატონ იაკობს ყოველთვის ტაშით ხვდებოდა მაყურებელი. ამჯერადაც ასე მოხდა. დაიწყო პირველი სცენა ქალბატონ დოდო ჭიჭინაძესთან ერთად, ბატონი იაკობის პირველივე რეპლიკის შემდეგ, მაყურებელთა დარბაზიდან ქალის ხმა მოგვესმა. ჯერ ვერ გავიგონე სიტყვები, მერე კი გავარჩიე ნათქვამი:

– შენ გენაცვალე, შენი ჭირიმეო! – მიმართავდა იაშას ვიღაც ქალი.

შემეშინდა, სპექტაკლის მსვლელობას ხელი არ შეეშალოს-მეთქი და „უწესო" მაყურებლის ძებნა დავიწყე. ქალი მარტო იჯდა, საშუალო ასაკის იყო, დარბაისელი, შესაძლოა – დიასახლისი. ოჯახი უეჭველად ეყოლებოდა: ქმარი, შვილები. წესით ახლა საახალწლო სუფრის სამზადისში უნდა ყოფილიყო. მას კი, როგორც მომეჩვენა, დიასახლისობისთვის მიენებებინა თავი და საშინაოდ ჩაცმული, ხალათით, სამზარეულოს ოხშივარმოკიდებული სურნელით, წამოსულიყო თეატრში.

ვინ იცის, იქნებ ძალიან აწყენინეს შინაურებმა და გამწარებულმა თეატრს შეაფარა თავი. არც გაწბილდა, სცენაზე საყვარელი მსახიობები იხილა და ვერც გრძნობდა რომ „უწესოდ" იქცეოდა. მის შეძახილებში, აღტაცების გარდა, საკუთარი, ადამიანური გულისტკივილიც იგრძნობოდა. რაღაცის მიმართ პროტესტი და თავდავიწყების წადილი.

მისი რეპლიკები მხოლოდ მსახიობებისთვის არ იყო „გამიზნული", ის თავისდაუნებურად და თავისთვის ლაპარაკობდა, თითქოს წარმოდგენაში დროდადრო თვითონაც ერთვებოდა.

იმ საღამოს, 31 დეკემბერს (თავის დაბადების დღეს) იაკობ ტრიპოლსკი, მთელ სპექტაკლს განუ-

წყვეტელი – „შენი ჭირიმე და შენ გენაცვალეს“ თანხლებით თამაშობდა.

მე დაბნეული ვიყავი და არ ვიცოდი შემეჩერებინა სპექტაკლი თუ მიმეცა ამ მაყურებლისთვის სპექტაკლში ჩართვის, განმუხტვის საშუალება. ბოლოს კი უკანასკნელი ავირჩიე. დღეს ვრწმუნდები, რომ სწორად მოვიქეცი, თორემ იაკობის დიდ რისხვასაც დავიმსახურებდი „ზოგჯერ ღირს, რომ სპექტაკლი ერთი მაყურებლისთვის ჩატარდეს. თუკი ეს მას ცხოვრების კრიტიკულ მომენტში დაეხმარება“ – მითხრა იაკობმა ამ სპექტაკლის ბოლოს. იაკობ ტრიპოლსკი ხომ ბუნებით რომანტიკოსი იყო. სპექტაკლის დროს, რაც უნდა დიდი წარმოდგენა ყოფილიყო, არ ჩამოჯდებოდა კულისებში, სულ ფეხზე იდგა, სრულ მზადყოფნაში იყო...

მედეა ჯაფარიძე – თითქმის ერთ დღეს მოვედით მე და იაშა თეატრში. არც მე და არც იაშას არ ჰქონდა თეატრალური განათლება ერთმანეთს თეატრში შევხვდით.

მედეა ჯაფარიძე

„ერეკლე მეფე“ იდგმებოდა. მაშინ თეატრის ხელმძღვანელი იყო – შალვა ღამბაშიძე, გულთან მიქონდა ყველაფერი, რაც თეატრში ხდებოდა და ნამდვილად შენირული კაცი იყო. პირველად „მასოვკაში“ შემიყვანეს და ვხედავ ერთხელ სცენაზე შემოვარდა ვიღაცა, საოცრად რიხიანად, ძლიერი ხმით, დიდი გრძნობით ეახლა მეფე ერეკლეს. ბატონ შალვა ღამბაშიძეს გაუნათდა სახე, თვალები გაუბრწყინდა და ლმობიერი სახით შეაჩერდა იაშას. თურმე ერთი მსახიობი ავად გახდა და საჩქაროდ მას ჩააცვეს, გაუკეთეს გრიმი და შემოუშვეს სცენაზე, იგი რამდენიმე დღის მოსული იყო თეატრში და ბატონმა შალვამ გააკეთა პაუზა, მშვენიერი ღიმილით. ამის შემდეგ იაკობ ტრიპოლსკი თითქმის 40 წელი იყო სცენაზე. გარდა თავისი როლებისა ზეპირად იცოდა თითქმის ყველა როლი და თუ ვინმე ავად გახდებოდა მას „შეაგდებდნენ“ ხოლმე ამ როლის სათამაშოდ. მოგეხსენებათ, რეპეტიციის გარეშე თამაშს ორმაგი, სამმაგი შრომა და დაძაბულობა სჭირდებოდა, მაგრამ ბატონ იაშას ეს არ უჭირდა, პირიქით – ძლიერ ეადვილებოდა.

თამარ თეთრაძე – ერთი ამბავი მინდა დღეს მოვიგონო. გიორგი შატბერაშვილის პიესა იყო „ძველი სახლი“ და ლეო შატბერაშვილი დგამდა ამ პიესას. მე და იაშა შეყვარებულებს ვთამაშობდით. ყველა სცენა უკვე გაითამაშეს, ჩვენი სცენის გარდა „შეყვარებულების სცენა“ – ვერა და ვერ გამოგვდიოდა. ყოველ რეპეტიციაზე მიმდინარეობდა ბჭობა: „იცი რა – სჯობია? შენ ადექი, ის – დაჯდეს, შენ შემოხვალ ის შემოგხედავს“... მოკლედ აღარ გაათავეს მიზანსცენები, ამას ჩვენ ყველაფერს მოთმინებით ვასრულებდით... მსახიობებიც ერთვებოდნენ რეპეტიციაში და ასე სჯობია, არა ისე სჯობიაო – გვირჩევდნენ...

თამარ თეთრაძე

იაშას მობეზრდა ეს ყველაფერი და უთხრა ლეო შატბერაშვილს – კარგი, კარგი, გვასწავლე რამდენიც გინდა... გავალ სცენაზე და მე როგორც მინდა ისე მოვეხვევი და მოვეფერები ჩემს შეყვარებულს. იქაც ხომ არ ამოხვალ და არ შემისწორებ როგორ მოვიქცეო... ასეც მოიქცა... იაშა ამ როლში იყო ძალიან სათნო და მოსიყვარულე პარტნიორი...

ვენაცვალე იაშას მოსვლას თეატრში... ძალიან ვუყვარდით შალვა ღამბაშიძეს მე და იაშა. მე მიყვარდა იაშას ლაპარაკი ინგლისურ ენაზე... მეც ცოტაოდენი ვიცოდი ინგლისურად და ხანდახან ვსაუბრობდით ხოლმე განცალკევებულად... ვჩურჩულებდით... ბევრს ეს ენა არ ესმოდა და ძალიან ეჭვიანობდნენ იაშაზე და ჩემზე. ჩვენ კი ეს სასაცილოდ არ გვყოფნიდა.

იაშამ თავისი მოსვლით თეატრში შექმნა დიდი მეგობრული ატმოსფერო, თავისი ხმით, დიდებული გარეგნობით და ფენომენალური მეხსიერებით. ერთი გადაკითხვაც საკმარისი იყო მისთვის, რომ თავისი ტექსტი ზეპირად სცოდნოდა... არავითარი რეპეტიციები მას არ სჭირდებოდა.

ჩვენ ყველას გვიყვარდა იაშას ანეგდოტების მოყოლა... თეატრში ისე არ შემოვიდოდა, რომ ახალი ანეგდოტი არ მოეტანა... ჯერ აუთამაშდებოდა ულვაშები, მერე გაიღიმებდა და უკვე რაღაც სახალისო, სადღესასწაულო ყველას ამით გვიქმნიდა განწყობილებას.

ნინო ჩხეიძე

ნინო ჩხეიძე – მეც მაქვს პატარა სახალისო მოგონება იაშაზე... მარჯანიშვილის თეატრს ჰქონდა პატარა მიკროავტობუსი და „მიგვქონდა“ ხოლმე საქართველოს სხ-

ვადასხვა კუთხეში „მინი-სპექტაკლები“... იყო შემთხვევები, რომ შინ, თბილისში, დაღლილები და მშივრები ვბრუნდებოდით. მაშინ გვეტყოდა ვასო გოძიაშვილი – აბა, იმერლებო, მოდით აქაო – იმერლები მე და ნათელა მიქელაძე ვიყავით.

– ახლა გაგვიშალეთ არნახულ სუფრაზე, არნახული პურ-მარილიო.. მოგვქონდა მე და ნათელა მიქელაძეს: საცივი, ჩახოხბილი, შემწვარი და მოხრაკული, ღვინო – კახური; ერთხელ დაგვაგვიანდა მაყვალში ჩაწყობილი ვარიების შემოტანა სუფრაზე და ვასო გაგვიბრაზდა:

– ხაშურის „ტუნელი“ უნდა ამოვქოლო, რომ იმერლების სინსილა არ ვნახო თბილისშიო...

ვასოს თავზე ტრიპოლსკი ედგა, დიდი ხათრი ჰქონდა ვასოს იაშასი... იაშამ უთხრა მორიდებით:

– ბატონო ვასო, „ტუნელი“ რომ ამოვქოლოთ, რა ეშველება ჩვენს თეატრს: უშანგი ჩხეიძეს, შალვა ღამბაშიძეს, გიორგი შავგულიძეს, აკაკი კვანტალინს, ალექსანდრე წუწუნავასო...

– როგორ თუ რა, მე აქ არა ვარ? უშანგის ჰამლეტი „ზესტაფონსკი“ ჰამლეტი იყო, ყველა ისინი „ზესტაფონსკი“ იყვნენო... მერე იაშას სთხოვა „ცირა“ წამიკითხეო... იაშას ეს ლექსი გამორჩეულად უყვარდა და განსაკუთრებულად კითხულობდა... ამ ლექსის თქმა ძალიან უყვარდა და მართლაც დიდებულად წაიკითხა... მივიდა ვასო, გადაეხვია და ასე განმუხტა სიტუაცია...

იაშა იყო დიდებული მსახიობი და ადამიანი, მას თეატრი ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს.

მანანა თევზაძე და ოპერატორი
რომეო ტერ-გრიგორიანი

ტარიელ საყვარელიძე ჩვენი „მამა ლა მარჩენელი" იყო...

იგონებენ თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის რეჟისორი – თემურ ჩხეიძე და მსახიობები – ელენე ყიფშიძე, გოგი გელოვანი და თამარ სხირტლაძე. (გადაცემა ჩაიწერა **მანანა თევზაძემ** 1994 წელს).

ტარიელ საყვარელიძე

ბატონი ტარიელ საყვარელიძე 1993 წლის 23 აპრილს, თავის დაბადების დღეს, გარდაიცვალა. ის ხშირი სტუმარი გახლდათ რადიოსა და ტელევიზიისა და მრავალი აუდიო-ჩანაწერი და სატელევიზიო სპექტაკლი დარჩა მისი მონაწილეობით.

ნათელა ურუშაძე

ნათელა ურუშაძე – ტარიელ საყვარელიძის მიერ სცენაზე თუ კინოში განსახიერებული როლები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მათ ყველას ერთი საერთო თვისება ჰქონდათ – განსაცვიფრებელი უშუალობა!

ტარიელ საყვარელიძეს უყვარდა ყველა როლი – მოცულობით დიდი და დრამატული, თუ მცირე, კომედიური, ეს იმიტომ, რომ ყველანაირი ადამიანის სულიერი სამყარო აინტერესებდა: ის მრისხანეც ყოფილა სცენაზე და თვალცრემლიანიც, გულიანად მოხარხარე, დიდი იუმორიც ჰქონდა ცხოვრებაში და სცენაზეც არ მოგაწყენდა, გულს არ გატკენდა, აუცილებლად მოგეფერებოდა. ძნელია ასეთი ადამიანის დაკარგვით მიყენებული ტკივილის გაძლება.

თემურ ჩხეიძე – ბატონ ტარიელზე ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი. იგი იყო სრულიად გამორჩეული პიროვნება, ადამიანი, რომელიც არავის ჰგავდა, მე მსახიობობას ვგულისხმობ. ალბათ, ამის გამოც გააჩნდა მკვეთრად გამორჩეული თავისი ადგილი და მისი წასვლის შემდეგაც არ გვავიწყდება. ამოუვსებელი დარჩა მისი ადგილი.

თემურ ჩხეიძე

მოვიდნენ სხვები, უარესი თუ უკეთესი, ამას არა აქვს მნიშვნელობა... ისინი ტარიელ საყვარელიძეს ვერასდროს შეცვლიან! მაგონდება, როდესაც კოტე მარჯანიშვილის თეატრში მე დავდგი ოტია იოსელიანის პიესა – „ადამიანი იბადება ერთხელ" – იქ, ერთ-ერთ მთავარ როლს ასახიერებდა ტარიელი. სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი მისთვის ბოლო აღმოჩნდა.

სულ ცდილობდა, რომ ის საჭირო ყოფილიყო თეატრისათვის, ხალხისათვის, ამიტომაც სიკვდილამდე ის სცენაზე იდგა, სანამ ფიზიკურად შეეძლო.

განსაკუთრებით, აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ. ტარიელს პატივს სცემდნენ იმის გამო, რომ არავის არაფერს დაუკარგავდა. ხშირად ახალმოსულზე იტყოდა ხოლმე – „იმ ბოვშვს რაღაცა აქვს გამორჩეული, მიაქციე ყურადღებაო" – მეტყოდა და არც დამიზუსტებდა რა ჰქონდა ასე გამორჩეული და საყურადღებო.

ყველას უადვილდებოდა მასთან პარტნიორობა და მეც რამდენჯერაც მიმუშავია, ყოველთვის დიდი სიამოვნება მიმიღია მასთან ურთიერთობაში.

ერთხელ, მახსოვს სატელევიზიო სპექტაკლი გადავიღეთ ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება", შესანიშნავი იყო აქ ტარიელი. მისი საოცარი ღიმილიდან ისეთი ენერგია გამოსჭვიოდა, რომ დადებითად მუხტავდა მაყურებელს. ჰქონდა თავისი სითბო და რაღაცა ადამიანური მიმზიდველობა...

უარყოფითი პერსონაჟის თამაშის დროსაც ჰქონდა თავისებური სცენური მომხიბვლელობა, რომელიც კეთილად განგაწყობდა და მისი პერსონაჟის მიმართ სიმპათიას იწვევდა.

ახლაც ისე ლაპარაკობენ მასზე, როგორც ცოცხალზე: – „გახსოვს, ტარიელმა რომ ასე თქვა რაღაც", „ტარიელმა ასე იხუმრა". მე მგონია, რომ სანამ იარსებებს მარჯანიშვილის თეატრი, ტარიელის სულიც და გულიც მის კედლებში დარჩება.

იმიტომ რომ, ტარიელ საყვარელიძე ითვლებოდა და ითვლება იმ მსახიობთა წრის წარმომადგენლად, ვისაც ჩვენ „მარჯანიშვილელთა საუკეთესო თაობად“ მოვიხსენიებთ. თუმცა ის ხშირად თავმდაბლობით იტყოდა ხოლმე, რომ „ჩვენ მათ ჩრდილადაც არ ვღირვართო“. დიდად გამორჩეული მსახიობი და დიდებული პიროვნება იყო, თუმცა ის თავის თავს არ აყენებდა თავისი სათაყვანებელი მსახიობების გვერდით, და ამით ის ჩვენ თვალში კი არ მცირდებოდა, პირიქით, უფრო მაღლდებოდა.

მსახიობი ელენე ყიფშიძე – მახსოვს, როცა მე და ტარიელი ერთად ვთამაშობდით „მაია წყნეთელში“ – ის ჩემი მეფე ერეკლე იყო. მაშინ სულ მთლად ახალგაზრდები ვიყავით და ორივე წარგვადგინეს ერთ-ერთ თეატრალურ ფესტივალზე, მერე ჯილდოებიც დავიმსახურეთ. ორივენი ისე ვღელავდით, რომ ხმა გვიწყდებოდა და სცენაზე ერთმანეთს ვამხნევებდით, ერთმანეთის პაუზებს ვავსებდით. კარგი პარტნიორობა გამოგვივიდა და პირველი ჯილდოც, პირველი სცენური ნათლობაც ერთად მივიღეთ!

ელენე ყიფშიძე

ტარიელი ბუნებით ძალიან მიამიტი, გულუბრყვილო კაცი გახლდათ. ის ბოლომდე გულწრფელ ადამიანად დარჩა და მასთან თამაშს არაფერი სჯობდა. შემდეგ ერთად მოგვიხდა ბევრ სპექტაკლში მონაწილეობა. მასთან ერთად სცენაზე დგომისას სიცრუესა და ყალბ თამაშს, ვერ გაბედავდი. ის თუ ყალბ ნოტებს შენიშნავდა პარტნიორის ხმაში, ისეთი თვალებით გადახედავდა, რომ აგრძნობინებდა:

– რას მაიმუნობ ზედმეტს, აბა, აბა, ხომ არ გავიწყდება სადაცა ხარ, ან რომელი თეატრის სცენაზე დგახარო.

– რატომ დროზე რეპლიკას არ მაწვდიო, – თვალებით გეტყოდათ, სიტყვები საჭირო აღარ იყო!

გვქონდა გულგატეხილობის მომენტებიც, როცა მე და ტარიელი რომელიმე სეზონში ახალ რეპერტუარში არ აღმოვჩნდებოდით. მე ესტრადაზე გადავერთვებოდი ხოლმე: ვსწავლობდი მონოლოგებს, სკეტჩებს ვთამაშობდი, ამ დროს ბატონი ტარიელი პოეზიას უბრუნდებოდა. შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა მხარეს დავდიოდით და კონცერტებს ვმართავდით.

ტარიელი ჩუმად, თავისთვის, თანმიმდევრობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ეუფლებოდა მხატვრულ კითხვას და გახდა კიდეც მხატვრული კითხვის დიდოსტატი.

ტარიელი უფრო დრამატული, დრამის მსახიობი იყო, მაგრამ სახასიათო როლებიც „ჩაუხვევია“ – ჩვენებურ ენაზე რომ ვთქვათ. მშვენიერი იყო გოგოლის „ქორწინებაში“ „მეთორმეტე ღამეში“ – ტობის როლს თამაშობდა. მასთან კურიოზული სიტუაციები არ ხდებოდა, რადგანაც ის თვითონ იყო ძალიან მოწესრიგებული, პუნქტუალური კაცი. სცენაზე ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაგრამ სცენის მიღმა ძალიან ყურადღებიანი და მოსიყვარულე.

ჩვენ როცა თეატრში მივედით, კედელზე ავიწურებოდით ხოლმე ტიტანური მსახიობების წინაშე. მოვიდა ახალი თაობა და ეს მოწიწება საღღაც დაიკარგა და ტარიელმა იცოდა ახალგაზრდების დარიგება. გააჩერებდა და ესაუბრებოდა, ეტყოდა – ბიძიკო, აქ ასე არ უნდა მოიქცე, იქ კიდევ – ისეო.

ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ძალიან იმოქმედეს მის ფსიქიკაზე.

საჯაროდ მას არ შეეძლო თავისი აღშფოთების გამოხატვა, ამან დაადნო, ამ უთქმელობამ დაავადა და ბოლო მოუღო. ის შინაგანად განიცდიდა და ვერ გამოხატავდა სხვებთან ყველაფერს. რა დროს მისი სიკვდილი იყო...

მას კიდევ მრავალი კარგი როლის შესრულება შეეძლო...

გოგი გელოვანი

მსახიობი **გოგი გელოვანი** – ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ერთად ვიყავით თეატრის სცენაზე, შინ თუ გარეთ...

ტარიელმა არაჩვეულებრივი სიყვარული დატოვა ჩვენში. კარგი ოჯახის შვილი იყო. მისი დედა გახლდათ ცნობილი ალპინისტის, ალექსანდრა და სიმონ ჯაფარიძეების და.

თვითონ ტარიელი და მისი შესანიშნავი ვაჟიშვილი – რამაზ საყვარელიძე (ყველასათვის ასევე საყვარელი პიროვნება) მთასვლელობას მისდევდნენ, ერთი პერიოდი. მეც მიყვარდა მათთან ერთად მთებში სიარული.

მახსოვს მესხეთში წავედით, ერთ ზაფხულს და ყველა ღირშესანიშნავი ძეგლი ფეხით შემოვიარეთ. როგორ უყვარდა სიცოცხლე. უცნობ ადამიანებთან კი არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა. სოფლის გლეხებს ესაუბრებოდა – ისინიც გულწრფელად უყვებოდნენ თავიანთ პრობლემებზე.

ალბათ ბევრმა არც იცის, რომ ტარიელი ძალიან კარგად ხატავდა. მისი ნახატები, ერთი პერიოდი, თეატრშიც კი იყო გამოფენილი. განსაკუთრებით მოსწონდა ალექსანდრე იმედაშვი-

ლის პორტრეტი, რადგანაც ეს მსახიობი გამორჩეულად უყვარდა, აღმერთებდა, თაყვანს სცემდა.

ხშირად გვიყვებოდა თუ როგორ მივიდა პირველად ტარიელი ქუთაისის თეატრში და როგორ შეხვდა იქ ამ დიდებულ მსახიობს.

კოტე მარჯანიშვილის თეატრში თითქმის ერთდროულად მოვხვდით მე, ტარიელი და იაკობ ტრიპოლსკი და თითქოს ჩვენმა „სამეულმა", რაღაც ცალკე „საძმაკაცოც" კი შევქმენით.

ძალიან მოულოდნელი იყო მისი ავადმყოფობა. მახსოვს მთაში ვიღებდით კინოფილმს: „მწვერვალთა დამპყრობნი" – იყო ასეთი სურათი. ეს ფილმი თითქოს ვერ გამოვიდა ისეთი კარგი. ის ალპინისტ ალექსანდრა ჯაფარიძეს ეძღვნებოდა, დვალს ასახიერებდა ტარიელი, სიმონ ჯაფარიძეს – ჟორა შავგულიძე.

ვცხოვრობდით იალბუზზე 4200 მეტრზე „თერთმეტის თავშესაფარში" – იქ დაიღუპა 11 ალპინისტი. გადაღებისას პატარა ქოხში ვცხოვრობდით. როდესაც ალპინისტები იალბუზზე ადიან, იქ ისვენებენ. მერე იქიდან მიდიან მწვერვალის დასაპყრობად.

ჩვენ ერთი თვე ასე ვცხოვრობდით ერთად და ჩემს ცხოვრებაში ის დრო ყველაზე ნათელ და ლამაზ მოგონებად დარჩა.

ძალიან სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა. ლხინი უყვარდა, სუფრასთან – სიმღერა. თვითონაც მღეროდა და ხანდახან ჩაერთვებოდა ხოლმე, კარგი ბანი თუ ჰყავდა გვერდით. ხმა დიდებული ჰქონდა, რამდენიმე სიმღერის ბანი ვასწავლე და უხაროდა...

ერთ სპექტაკლში („გაზაფხულის დილა" ერქვა თუ არ მეშლება), ჩემს უფროსს თამაშობდა, მე მისი მძღოლი ვიყავი. მე მავალებდა ყველაფერს და ძალიან უარყოფითი როლი ჰქონდა. სპექტაკლის ბოლოს მე ვამხელდი მას, როგორც უპატიოსნო კაცს.

ტარიელი იყო არაჩვეულებრივი პარტნიორი. მას ბევრი ტრაგიკული როლი აქვს ნათამაშევი. მაგრამ მე მახსოვს ახალგაზრდობაში ლომკაცა რომ ითამაშა „კოლმეურნის ქორწინებაში". გრიმს გაიკეთებდა თუ არა, საოცარი გარდასახვა შეეძლო. რატომღაც იშვიათად ახსენებენ ამ როლს. ამ როლში ძალიან რაფინირებული იყო, გაწონასწორებული, მორგებული... არც აჭარბებდა თავის გმირს და არც არაფერს აკლებდა.

ტარიელი სამ დღეში სწვალობდა ვეებერთელა პოემებს, უცებ შევატყვეთ, რომ ტექსტი რამდენჯერმე შეეშალა – ეს უჩვეულო იყო მისთვის. მერე და მერე უცებ მოეძალა ავადმყოფობა და ხელიდან გამოგვეცალა, ეს უსაყვარლესი პიროვნება.

მსახიობი თამარ სხირტაძე – როგორ მახსოვს, ტარიელმა თავისი უკანასკნელი როლი ჩემთან ერთად ითამაშა, ოტია იოსელიანის სცენარის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში: „ადამიანი იბადება ერთხელ" – ანუ „ვარსკვლავთცვენა". იქ ცოლ-ქმარს ვთამაშობდით მე და ტარიელი. არ დამავიწყდება ერთი მოგონება – ძალიან რთული სცენა გვქონდა: ცოლ-ქმარს არ შერჩა ომის გამო არც ერთი შვილი და რძალს უნდა უთხრან – შვილო, ადექი და გათხოვდიო. ტარიელი მეუბნება, მე ვერ ვეტყვი, მიდი და შენ უთხარიო. ამას ისე შესაბრალისად, თანაგრძნობით მეტყოდა, რომ ნამდვილად შეგებრალებოდათ... ამის მერე, მე საკმაოდ დიდი მონოლოგი მქონდა და ხანდახან ტარიელს გავხედავდი ხოლმე, მას კი თვალზე ხშირად ცრემლი ჩამოსდიოდა. ახლაც, იმ შეხედვას, როცა გავიხსენებ – მეტირება.

ჩვენ ისე ნიუანსებში გვქონდა ეს უსიტყვო შეხედვა აწყობილი, რომ ხშირად მეკითხებოდა – „ბოშო, შენ თამაშობ დღეს თუ შენი დუბლიორი?„ – ვიცოდი, ჩემთან თამაში სიხარულს ანიჭებდა.

ტარიელი ცხოვრებაში იყო ყველას დამხმარე, ჭირში და ლხინში გვერდით ამოგიდგებოდა. ხან ვისი ბინის საკითხი ჰქონდა მოსაგვარებელი, ხან – ტელეფონის დადგმაში ეხმარებოდა. ის ჩვენი „მამა-მარჩენალი და", „მამა-მასწავლებელი" იყო – ასე ვეძახით სიყვარულით. ვიცოდით ყველამ, რომ მის ნათქვამ სიტყვას სხვა ფასი და სხვა წონა ჰქონდა.

შეეძლო თავისუფლად შესულიყო მინისტრთან, შეეწუხებინა ის, სხვისი გაჭირვებისათვის და ხალხსაც ამ თვისების გამო გამორჩეულად უყვარდა. ის გრძნობდა ამას და როცა ვეტყოდი – ტარიელ, ნახე რაღა გიჭირს, ხომ ხედავ ხალხს როგორ უყვარხარ, როგორ გცემენ პატივს-მეთქი.

– ხო, ხო უყვარვარო – გაებადრებოდა სახე და მასზე ბედნიერი არავინ იყო იმ წუთას.

რეპეტიცია ჰქონდა თუ არა, ყოველთვის ნახავდი თეატრში, სანამ ფიზიკურად შეეძლო აქ იყო. მისი სითბო და ყურადღება თითოეულ ჩვენგანს დღესაც აკლია.

სცენა სპექტაკლიდან „აქ, ამ სავანეში". მედეა ჩახავა და თამარ სხირტლაძე

ემანუელ აფხაიძის პროლიები

აკაკი ხორავა, ემანუელ აფხაიძე და ეროსი მანჯგალაძე – სპექტაკლის შემდეგ

ემანუელ აფხაიძე – (1899-1970 წ.) 1917 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სუფლიორად ქუთაისის თეატრში. შემდეგ, 1923-24 წლებში – ქუთაისის და თბილისის რუსთაველის თეატრებში, 1926 წელს დაამთავრა აკაკი ფაღავას დრამატული სტუდია. იგი კომედიური ჟანრის მსახიობი იყო. მან შექმნა მკვეთრი სცენური ფორმითა და არტისტიზმით აღბეჭდილი მრავალფეროვანი რეალისტური სახეები – საქმისაი – შალვა დადიანის „თეთნულდი“, სოლომონ მორბელაძე – დავით კლდიაშვილი „შემოდგომის აზნაურები“, ნესტორი – შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“, გონჯა – სანდრო შანშიაშვილის „არსენა“, ბესო – სუმბათაშვილის „ღალატი“, მირზა – მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, მრავალი როლი აქვს შესრულებული ქართულ კინოშიც.

მან გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ საესტრადო ხელოვნებაში. კითხულობდა საკუთარ იუმორისტულ ლექსებს, რომლებიც თავისი პოლიტიკური სიმახვილითა და თანადროულობით დღესაც აქტუალურად ჟღერს. გთავაზობთ 1964 წლის ჩანაწერს, რომელიც რედაქტორმა **სულიკო გაწერელიამ** მოამზადა.

ჩემი მიმართვა უფროსებს

მივმართავ საქმის უფროსებს:
ამ წელს, ამ თვეს და ამ რიცხვით,
მივმართავ, მაგრამ თანაც ვთხოვ
ნუ შემიტევენ გაკიცხვით!
ძალიან გადავიღალე
ამ ცხარე ლექსის აკინძვით,
რომ გავამართლო წარწერა,
რომლითაც ფრთები ავისხით.
ვაშენოთ სწრაფად, იაფად,
„საუკეთესო ხარისხით!“
სულ ყოველ დარგში ისეთი
ერთგული კაცი დაგვისვით,
რომელიც არც სკამს გააცდენს
და არც ქაღალდებს დაგვისვრის.
ერთ კაცს ვიცნობდით ოჯახით,
ყველას დასცქერდა მაღლიდან,
საკუთარ კუჭზე ზრუნვაში
რა ეშმაკები დაღლიდა?!
გამხმარ ტარანზე აღზრდილი
ვერ ნაყრდებოდა კალმახით
ერთ ნაბიჯს თვითონ წასდგამდა,
სამ ნაბიჯს – ცოლის კარნახით.
როცა „ვალეტად“ არ ვარგა
ნეტავი რა „ეტუზება“,
წამხდარი საქმე ასეთ კაცს
ცხვირის წინ აეტუზება.
უწესო მოქმედებაში
როცა ყელამდე ეფლობი,
ჯერ კარგად გაიწკეპლები
და მერე ჩაიფერფლები.
ჰოდა, ეს კაცი, რომელიც
„პოსტით“ ცას ებჯინებოდა,
როგორც წესია, ყოველთვის
ავტომობილში ჯდებოდა.
თუ ფეხით შემომხვდებოდა
მომდურავივით მხვდებოდა,
თითქოს არ მცნობდა, სრულიად
განდაგან იხედებოდა!
ახლა კი, როცა „მოაძრეს“
იგრძნო „ნიჩაბზე დადება“,
როგორც თვალს მომკრავს შორიდან
ღიმილის ფრქვევით დადნება.
„შლაპას“ მოიხდის ქუჩაში
კორიანტელი დადგება
ასეთი კაცი მერწმუნეთ
არავის გამოადგება.
განა დღეს სათაკილოა
რაიმე თანამდებობა?
ყოველი თანამდებობა
როცა პარტია გენდობა.
უნდა შეიგრძნო, შეიშნო,
გამოამჟღავნო შენიშნო,
რომ ხელმძღვანელმა საქმეში
არ გაგიკეთოს შენიშვნა.
სხვისი გალანძღვა, დაჩაგვრა
არასდროს არ მინატვრია,
ამ ლექსს მივუძღვნი მოხსნილს და
ვინც მოხსნის კანდიდატია!

ჩემი გამოძიება:

არც ერთი თანამშრომელი
სხვადასხვა სამინისტროდან,
მე კმაყოფილი არა მყავს,
ეს აფხაიძემ იცოდეს.
სულ ჩემი ენის ბრალია,
რადგან სიმართლეს ისროდა
ჰოდა, არ მინდა შეიქმნას
რომ თითქოს მეხერხებოდეს
მარტო ლანძღვა და გინება.
ეს თვითონ საქმემ ინება
და ჩემმა გულმოდგინებამ.
ბევრი თავს იზღვევს,
თქვენც იცით,
თავის ნაჭუჭში მიძვრება.
ასეთს ხომ უნდა დარტყმა და
დროული გამოღვიძება.
და თუ დარტყმაა დროული
ყოველგვარ საქმეს მოუვლი.
არ მსურს ჩემს მხარეს იცნობდნენ
მარტო ხანჯლებით, ყანწებით,
აყალ-მაყალით, მწვადებით,
გოგონებს წითელ ღაწვებით.
ეჰ, ყველაფერი რომ გითხრათ
დაგღლით და დაიქანცებით,
„გასტროლიორებს“ არ ვერჩი,
აქ ჩამოსულებს – სრულებით,
მაგრამ რად უნდა მჩაგრავდეს
მკვიდრთ მცხოვრებს ჩამოსულები?!
რაც უნდათ იმას ამბობენ
სცენიდან ცხარეს, გაბედულს,
მე მეასედიც რომ გითხრათ
მყისვე მივიღებ საყვედურს.
ქართული ძვირად ესმოდათ,
და თუ ვეტყოდით ვიღაცას,
ისეთ მყრალ სიტყვებს მესროდა
სულ ჯიგარს შემიბრუნებდა,
გამომშიგნავდა სრულიად.
საბედნიეროდ ეს ხანა
დღეს უკვე გადასულია
ახლა მთავრობა ხელს გვიწყობს
ირგვლივ გვევლება მესრადა.
მხოლოდ ცნობილი მწერლები
არ სწყალობს ქართულ ესტრადას,
და მოხალისე მწერლები
ვინც ნიჭზე არის ქესატად
ფილარმონიის საზღვრებში
წყვილ-წყვილად „ჩამოდესანტდა“
არა ყოველთვის დატუქსვა,
რისხვა, დარტყმა და შეპყრობა...
ბოდიში, უკვე მოთავდა
ეს ჩემი გამოძიება.
და ვშიშობ მეც არ დამარტყან
„კეთილშობილმა ძიებმა“.
თუმცა კურდღელი არა ვარ,
ფოთლების შრიალს ვუფრთხოდე.
ვინც მირტყამს იმას გავუწვე?
მოკითხვის ბარათს ვუთვლიდე?
მაწუხებს, ერთი-მეორეს ძირს
რატომ უნდა ვუთხრიდეთ?
ცოტა ვართ, ცოტა და
ერთმანეთს უნდა ვუფრთხილდეთ!

თამარ თეთრაძე

გიორგი შავგულიძე – „ჩვენი ეთრა"

იგონებს მსახიობი თამარ თეთრაძე (1993 წლის რადიო ჩანაწერი)



გიორგი შავგულიძე

თამარ თეთრაძე – მე მოგიყვებით ჩემს მოსვლაზე თეატრში, გიორგი შავგულიძესთან პირველ შეხვედრაზე. იმ დღეს წითელი კაბა მეცვა, თეატრის ბოლო სართულზე თეატრალური სტუდია იყო განთავსებული... მეც ლექციაზე მივიჩქაროდი... შევაღე თეატრის კარები, ვხედავ „ჟორჟიკა" დგას, წელგამართული, ღიმილიანი, რაღაც ქორივით გამოხედვა აქვს, თავისებურად უყვარდა დგომა... მე გვერდით ჩავუარე, შევხედე, როგორც ჩემს საყვარელ მსახიობს, გავუღიმე და გზა განვაგრძე... გავიარე ფოიე, გავიხედე უკან მომყვება, უკან ამედევნა. ავედი ზევით სართულზე ავირბინე, ამომყვა... ის კიბის თავში გაჩერდა, მე გავრბივარ ზევით... გულამოვარდნილი... კიბის თავში დადგა მიყურებს და ჩაილაპარაკა თავისთვის:

– ამისაგან არაფერი არ გამოვაო! – მივხვდი რომ გამეთამაშა და უკან გაბრუნდა. ჩემი ემოციურობის ამბავი მოგეხსენებათ, როგორი იქნებოდა, რომ გავიგონე „არაფერი არ გამოვაო" – ცრემლები წამომცვივდა და ასე ტირილ-ტირილით ავირბინე ზემოთ ოთახში... მომეხვივნენ ჩემი სტუდიის გოგონები – რა იყო, რა გატირებსო?

– ჩემგან არაფერი არ გამოვა, ასე მითხრა - გიორგი შავგულიძემ-მეთქი. ვთქვი და ტირილს მოვუმატე – აბა, მე სად წავიდე, თეატრი ისე ძალიან მიყვარს-მეთქი...

ჩაუტანეს გოგონებმა ეს ამბავი შალვა ღამბაშიძეს. ჩამიყვანეს მეც მის კაბინეტში. შემომხედა გამომცდელად შალვამ და მკითხა: – აბა, გოგონი, რა გატირებს, ვინ გაწყენინაო? – ვუთხარი – ასე მითხრა გიორგი შავგულიძემ, „შენგან არაფერი გამოვაო"...

გაიცინა შალვამ, შემოცვივდნენ თეატრის მსახიობები და ყველამ გაიცინა ჩემს სიტყვებზე... მე ისეთი გამწარებული ვიყავი, რომ ეს სიცილი უფრო მაბრაზებდა...

– დაუძახეთ ჟორას! – დაავალა შალვამ ერთ-ერთ მსახიობს. შემოიყვანეს ჟორა, შალვამ დაყვავებით უთხრა: – ჟორა, ხომ გითხარით, დაანებეთ თავი ამ სტუდიის გოგონებს-მეთქი? ნუ გასცემთ საერთოდ ხმას, არ შეიძლება?!

– ბატონო შალვა, მე ისეთი არაფერი მითქვამს ამ გოგოსთვის რომ... – დაიწყო თავის მართლება ჟორამ.

ერთი სიტყვით, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა... მე თეატრის მსახიობი გავხდი... ერთ სპექტაკლშიც ხშირად ვთამაშობდით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვმოგზაურობდით და ერთხელაც „ხარატაანთ კერაში" ვთამაშობდით ბედნიერ ცოლ-ქმარს... ჟორა შემოვიდა სცენაზე, მე კულისებიდან გავდივარ და ძალაუნებურად გიორგი მეხვევა და გულში მიკრავს... ის პირისახით მაყურებლებისკენაა მიბრუნებული, მე კი ზურგით ვდგავარ, ის მიხსნის სიყვარულს, ერთგულებას მეფიცება და მეუბნება: „მე დაჭრილი ვარ და ჩემი სიცოცხლე შენ ხელშიაო, თუ მეტყვი, დავრჩები შენთან და შენ ხეიბარი ქმარი გეყოლება, თუ არა და წავალო!"

მე ჩუმად ვუყურებდი თვალებში და ვეუბნებოდი: – გახსოვს ჟორა, რომ მეუბნებოდი, შენგან არაფერი გამოვაო, ხომ გამოვიდა?! – ნიშნის მოგებით გავიცინე. მან თავისი ტექსტი ბოლომდე ჩაათავა და სცენაზე სიცილს ძლივს იკავებდა... იმის მერე, ხშირად ვიგონებდით ჩვენი გაცნობის ამ ეპიზოდს...

ანეტა დონჟანელი, შალვა ღამბაშიძე, ცეცილია წუწუნავა

ხომ ამბობდნენ, რომ ჟორას ქალები უყვარდაო, მე კი ვიტყოდი, რომ ის იყო უაღრესად ვაჟკაცური, თავისი სიცოცხლე ისე გაატარა, რომ მან იცოდა ნიჭიერი, ლამაზი ქალის ფასი... იმას შეეძლო კაცური კაცობა, ვაჟკაცობა და გატანა... ტყუილია, ნურავინ შეედრება მას!.. მართალია, უყვარდა ხუმრობა, იუმორი, მაგრამ ეს სიცოცხლის ხალისით მოსდიოდა.

გიორგი შავგულიძე
კ/ფ „გაზაფხული საკენში“

მოგონება მეორე – ერთხელ ცხაკაიაში წავედით გასტროლებზე, წავიღეთ სპექტაკლი – „მათი ამბავი“. ყველა მსახიობი შევიკრიბეთ: მე, ალექსანდრე ომიაძე, ალექსანდრე გომელაური, ჟორა და ლიზიკო ვაჩნაძე. ვიყიდეთ ბილეთები, ჩავედით ცხაკაიაში და რას ვხედავთ?! რა აფიშა, რის აფიშა, არც თეატრია გაფრთხილებული, არც მაყურებელი. მოგვიბოდიშეს და გამოგვიშვეს უკან!

– „თქვენ ვიცით, რა საპატივცემულო ხალხი ხართ, მაგრამ ამ სპექტაკლისათვის მომზადებას ველარ მოვასწრებთო“...

რაღა ვქნათ, არ ვიცით. ჯიბეში კაპიკი ფული არა გვაქვს. ამ სპექტაკლის იმედითა ვართ ყველა წამოსული.

რას ვიზამდით? ვისხედით სადგურში სკამებზე, მშიერ-მწყურვალები, ნერვებდაწყვეტილები, საგონებელში ვართ ჩავარდნილი, როგორ მოვიქცეთ, არ ვიცით! ჟორა დადის ბაქანზე წინ და უკან, რაღაცაზე ფიქრობს და უდარდელად უსტვენს თავისთვის... იმას გაბრაზება არ ეტყობა.

ამ დროს, ბედად, სადგურის რესტორნიდან ვიღაცა უცნობი კაცი გამოვიდა, ჟორას ჩაეხუტა, მოეხვია და სთხოვა:

– წამოდი, გენაცვალე, ჟორა, დამიმშვენე პურ-მარილიო! ჟორამ ჩვენსკენ გამოიხედა და ეუბნება:

– მე აქ ხალხი მყავს ჩამოყვანილი, აი, ეს ჩემი თეატრის ქალები არიან, ვერ მივატოვებო!

ჩვენც ვისხედით ჩამწკრივებულები, ჩვენ ვინ გვიცნობდა... არაფრით არ წაჰყვა ჟორა. შევარდა ეს კაცი რესტორანში, გამოიტანა ორი ფილა შოკოლადი და დაგვირიგა ქალებს, პატივისცემით.

ეხვევა ჟორას, გულში იხუტებს... ბოლოს როგორღაც დაიყოლია და ჩვენც ჟორასთან ერთად სუფრასთან მიგვიწვია, ყველა მსახიობი კაციც და ქალიც. კარგი მეგრული სუფრა იყო გაშლილი ჩვენთვის „გადაახალისეს“... ამ ქეიფის დროს გაირკვა ჩვენი გაჭირვებაც, რომ თბილისში დასაბრუნებელი ფული არა გვაქვს... ბილეთებიც აგვიღეს, მატარებლამდე მიგვაცილეს და თბილისისკენ გამოგვისტუმრეს... შესანიშნავ ხასიათზე დავდექით. მთელი გზა მატარებელში ჟორა გვაცინებდა, სპექტაკლის ჩასატარებლად ვიყავით წამოსულები და კარგი ქეიფი კი „ჩავატარეთო“, ამაზე კარგ დროს ჩვენ სად გავატარებდითო?!

მოგონება მესამე – მაგონდება გასტროლები ფოთის თეატრში. იყო იქ ვინმე კირილე, მაპატიეთ, გვარი არ ვიცი, მას ძალიან ეჯავრებოდა რუსული სიტყვების არევა სალაპარაკო ქართულ ენაში. მაგალითად: სიტყვა „ქილა“-ს მაგივრად „ბანკა“ რომ გეხსენებინა – ძალიან გაბრაზდებოდა.

როგორც გითხარით, ფოთის თეატრში ვართ და ერთი ჩვენი მსახიობი, ჟორა შავგულიძის მეუღლე – ლიზიკო ვაჩნაძე უნდა ჩამოსულიყო, მატარებელს დავხვდით – მე, ჟორა და ეს კირილე.

ბატონი კირილე სულ ყველგან თან დასდევდა ჟორას, ისე უყვარდა, რომ არ იცოდა რითი ეცა პატივი.

გიორგი შავგულიძე და მისი მეუღლე ლიზი ვაჩნაძე

მოკლედ, ჩამოვიდა ლიზიკო, ჩვენ ყველამ გადავკოცნეთ, მივესალმეთ ერთმანეთს. ჟორამ ლიზიკოს ჩემოდანი ჩამოართვა, კირილე ხელში ეცა ჟორას, თქვენ როგორ გეკადრებათ, მაგას მე წამოვიღებო და გამოართვა ჩემოდანი...

კირილე წინ წავიდა, ჩვენც უკან მივყვებოდით, ჟორა ცოტა ჩამორჩა და ლიზიკოს ეუბნება:

– ძალიან ცხელა, არა, ლიზიკო აქ? კირილე ისეთი კეთილი კაცია, უთხარი ერთი „ბანკა“ მაწონი მიშოვნე სადმე-თქო და იმ წუთში გაშოვნინებს.

ლიზიკომ ეს მიამიტობა დაიჯერა, მიუახლოვდა კირილეს და გაპრანჭვით უთხრა:

– ბატონო, კირილე, ერთი „ბანკა“ შინაურული მაწონი შეიძლება სადმე ვიშოვნოო?

– უყურე ამას, რას მეუბნება, ის ხომ ვიცი რა „ციგანია“ და შენც მისნაირი ყოფილხარო...

შუა გზაზე დააგდო ეს ჩემოდანი და მიგვატოვა კირილემ. ჩვენ კი მუცლები ხელით გვეჭირა!

ასეთი იყო ჟორა. სადაც ის იყო, იქ არ მოიწყენდი.

ამიტომაც, მისი გახსენება იუმორის გარეშე წარმოუდგენელია. მისი მოგონება ყოველთვის სევდანარევი სიხარულის მომგვრელია ყოველი ჩვენგანისთვის!

მცხეთიდან ერთხელ მწერალ ცილოც ყი ვიგემე

აკაკის ხელში უკავია პაწია გოგუცა

გოგუცა კუპრაშვილი თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ჩემ თაობას ის განსაკუთრებით ახსოვს ბიჭების როლის განსახიერებით: თუმანიანის „გიქორი“ – გიქორი, ალიოშა პეშკოვი – „გორკის ბავშვობა“, გრიშუტკა – „კიკვიძეში“, ვახუშტი – „ნაცარქექიაში“ და სხვა.

გოგუცა კუპრაშვილი იგონებს – თეატრში ჩემი მუშაობის შესახებ როდესაც მეკითხებიან ხოლმე, იმ წუთში გამახსენდება ერთი ფოტოსურათი, რომელიც თავის დროზე „საყმაწვილო ჟურნალში“ იყო დაბეჭდილი: თეთრად შეევრცხლილ, ბრგე მოხუცს ხელში ატატებული ჰყავს პატარა გოგონა. ეს ფოტოსურათი ახლაც ჩემს ალბომს ამშვნებს, დავხედავ ხოლმე ამ სურათს და ყველაფერი თვალწინ წარმომიდგება. ქუთაისი, ეკატერინე გაბაშვილის საიუბილეო საღამოზე, ჩემი პირველი საჯაროდ გამოყვანა და ლექსის თქმა. ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოზე ჩემი გამოსვლა. მგოსნების: ირ.ევდოშვილისა და შიო მღვიმელისადმი მოწყობილ დილაში მონაწილეობა. შემდეგ კი აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში და მასთან გადაღებული დაუვიწყარი ფოტო.

საქართველოს სახალხო არტისტის, გოგუცა კუპრაშვილის, 1973 წლის აუდიო-ჩანაწერი

ზემოთ ხსენებული ფოტოც სწორედ ამ შეხვედრისას არის გადაღებული. თქვენ ალბათ უკვე მიხვდით რომ ის თეთრწვერა, ბრგე მოხუცი აკაკი წერეთელია, ხოლო ხელში ატატებული პატარა გოგონა – მე ვიყავი.

არც ახლა ვარ მაღალი და მაშინდელი ჟურნალ-გაზეთებიც „თითის ტოლად“ მიხსენიებდა. აი, ამ წლებიდან ჩაინერგა ჩემში თეატრისა და ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული.

სკოლაში სწავლისას მახსოვს, ერთ-ერთი გამოსაშვები საღამოს პედაგოგი დგამდა პიესას: „თავისუფლების მოტრფიალე“, სადაც ყველა მონაწილე, გარდა პატარა ბიჭისა, გოგონა იყო. ვერა და ვერ გამოინახა ეს პატარა ბიჭი.

ბევრი მსჯელობის შემდეგ, სკოლის დირექტორმა გამოსავალი იპოვნა:

– მოდი, ვათამაშოთ მეხუთეკლასელი გოგუცა კუპრაშვილი! – თქვა მან.

ბიჭის როლის შემოთავაზება მე დიდ შეურაცხყოფად მივიღე. ბევრი ვიტირე, გოგო ვარ და ბიჭი რატომ უნდა ვითამაშო-მეთქი, მაგრამ ბოლოს მაინც გამომიყვანეს ბიჭის როლში.

„გიქორი“ გიქორი – გ. კუპრაშვილი

ალბათ იქიდან დამებედა ბიჭების როლის თამაში. დავამთავრე სკოლა, მაგრამ ისეთი მკაცრი მშობლები მყავდა, რომ თეატრზე ფიქრი ზედმეტი იყო. სწორედ ამ ხანებში მომივიდა დეპეშა პატივცემულ აკაკი ფაღავასაგან. იგი კარგად მიცნობდა მწერალთა საზეიმო დილა-საღამოებში მონაწილეობიდან.

აკაკი ფაღავა იწერებოდა, რომ გოგუცა საჩქაროდ თბილისში გამომიგზავნეთო. მეც ჩამოვედი და სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ დრამატულ ფაკულტეტზე მისაღებ კონკურსში გამარჯვებულს, ნიკო გოცირიძის სტიპენდიაც დამინიშნეს.

გოგუცა შიო მღვიმელთან

ჯერ კიდევ მეორე კურსზე სწავლისას, კოტე მარჯანიშვილმა წამიყვანა შოთა რუსთაველის თეატრში და პიესა „მზეთამზეში“, პატარა ზანგი ბიჭის როლი მათამაშა.

ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა თბილისის თეატრის სცენაზე და ეს პირველი გამოსვლაც ბიჭის როლით დაიწყო. არა მარტო სცენაზე, როდესაც კოტე მარჯანიშვილმა გადაიღო კ/ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“, იქაც კი ბიჭის ეპიზოდურ როლში გამომიყვანა.

ამრიგად, დიდი კოტეს მადლიანი ხელითაც ბიჭების როლებზე ვიქენი დალოცვილი.

დრამატული ფაკულტეტი წარჩინებით დავამთავრე და მსახიობად მიმიღეს შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში. შემდეგ ვმუშაობდი თბილისის მუშათა თეატრში, ხოლო როდესაც დაარსდა ჩვენი საყვარელი მოზარდმაყურებელთა თეატრი მეც იქით გავეშურე და დღემდე მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე ვარ.

ჩემო მეგობრებო, მე მინდა გავიხსენო შალვა დადიანის პიესა „ბოთე და კუსპარა“. იმიტომ რომ, ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართული ორიგინალური საბავშვო პიესა, რომელიც ჩვენი თეატრისათვის დაწერა მწერალმა და დრამატურგმა შალვა დადიანმა.

ამ პიესაში პირველად განვასახიერე სოფლელი ბიჭის ბოთეს როლი და, რაც მთავარია, ამ პიესაში მონაწილეობისათვის მწარე სილაც ვიგემე... რატომ? ამას ახლავე მოგიყვებით.

ეს პიესა დადგა რეჟისორმა ალექსანდრე თაყაიშვილმა. მაგონდება ჩემი თავი სოფლელი ბიჭის ბოთეს როლში. აი, იგი დახეული ტანსაცმლით. ფარაჯანამოხურული ძლივს მიაბიჯებს ქუჩაში. მისთვის ყველაფერი უცხოა. ბიძამ იგი მიკიტან შაშოს მიაბარა მოსამსახურედ. ის კიდევ ტანჯავს და ავიწროებს.

ნორჩმა მაყურებელმა სპექტაკლი კარგად მიიღო, პრესამ კი – დადგმა შეაქო და მსახიობებიც არ დაივიწყა, მაგრამ ისიც ნათქვამია, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. მე კიდეც მოგახსენეთ, მამაჩემმა არ იცოდა, რომ მე თეატრში ვმუშაობდი.

იგი დარწმუნებული იყო, რომ მე უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი, ჰოდა, ერთხელაც ჩამოვიდა თბილისში და გაცეცხლებული მომვარდა:

– აბა, მითხარი ერთი, რომელ კურსზე ბრძანდები ქალიშვილო?! – თან უბიდან გაზეთი ამოიღო და რეცენზიაზე მიმითითა. – ხომ არ იცი, ეს რომელი გოგუცა კუპრაშვილია ამ რეცენზიაში რომ ახსენებენო?

მე ენა ჩამივარდა, დავიბენი... ბოლოს ძალა მოვიკრიბე, დავხედე და დავინახე: „ბოთე და კუსპარას“ – რეცენზია.

მამა კი არ მშვიდდებოდა.

– სიგანე შენ არა გაქვს და სიგრძე, შენგან რა არტისტი უნდა გამოვიდესო! – თქვა და ერთი ლაზათიანად სილა გამაწნა.

სამი დღე არაფერი მიჭამია, სულ ცრემლად ვიღვრებოდი, მაგრამ გავიდა დრო და მამის გულმაც გამოიდარა. ერთხელ ჩემმა ძმამ მოახერხა და ერთ-ერთ ჩვენ სპექტაკლზე მოიყვანა.

მამას თურმე სპექტაკლიც მოეწონა და ჩემი თამაშიც. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მამამ მთელი დასის წინაშე ბოდიში მომიხადა წარსულში შეურაცხყოფისათვის.

– მაპატიე, შვილო, ლამის შენს გზას აგაცდინე! მხოლოდ იცოდე, რაკი ეს დარგი აგირჩევია, მხოლოდ პირნათლად და ნამუსიანად ემსახურეო!

ძვირფასი მამის ამ დარიგებას მე არასოდეს ვივიწყებ. ხშირად მეკითხებიან ხოლმე, რომელი როლი უფრო გიყვარსო. მე, რა თქმა უნდა, მიყვარს

ფირუზა – გ. კუპრაშვილი „შეხვედრა“

ყველა როლი, რომელიც კი განმისახიერებია, მაგრამ არის ისეთი როლი, რომელიც ბევრ რამეს მომაგონებს. აი, მაგალითად: პატარა ჯონის როლი – პიესიდან „რობინ ჰუდში“ – მე მაგონებს ჩვენი თეატრის დაარსების პირველ წლებს, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი ექსპერიმენტულ საბავშვო თეატრში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები: დოდო ანთაძე, ალექსანდრე თაყაიშვილი და გრიგოლ მიქელაძე.

ამ როლს მე ყოველთვის სიამოვნებით ვთამაშობდი. განსაკუთრებით მიყვარდა ჯოს დაკითხვის სცენა. ეს ის მომენტია, როდესაც სასახლეში მოყვანილ პატარა ჯოს ალაპარაკებენ და ცდილობენ ათქმევინონ რობინ ჰუდის შესახებ. მე ხან ვტიროდი, ხან ვზლუქუნებდი, ვთვალთმაქცობდი. ამ დროს დარბაზში იყო ბავშვების სიცილ-ხარხარი და მხიარული შეძახილები.

ეს მე მამხნევებდა და დიდ სიხარულს მანიჭებდა. ბევრი კარგი როლი შემისრულებია, ისინი ჩემთვის მშობლიურია, მაგრამ მინდა მოვიგონო კიდევ ერთი: ვთამაშობდი პატარა ჩინელ ბიჭს „ხოს“, შესტაკოვის პიესაში „შორეული გზით“.

მართალია, ეს როლი ტექსტის მიხედვით პატარა იყო, მაგრამ „ხო“ მთელი პიესის მანძილზე მოქმედებს სცენაზე, დაძვრება და მთავარ მოქმედ პირს უკან დასდევს. ეს მოითხოვდა მსახიობისაგან დიდ მუშაობასა და დაკვირვებას.

რეპეტიციების დროს დამდგმელი რეჟისორი კმაყოფილი იყო ჩემით, მაგრამ მე კიდევ მეტად მინდოდა ჩემი „ხოს“ სრულყოფა. ერთხელ მაღაზიაში შევედი და ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩინელმა ახალგაზრდამ, რომელიც გამყიდველს ელაპარაკებოდა, მე სმენად გადავიქეცი.

დავაკვირდი ჩინელის ლაპარაკის მანერას. ხელების მოძრაობას, მისი სახის მიმიკას. როგორ უძნელდებოდა რუსულად ლაპარაკი, როგორ ეძებდა სიტყვებს. მე მას თარჯიმნადაც კი დავუდექი და მაღაზიიდან საუბრით გამოვედით. ამის შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით. ის მოდიოდა ჩემს სპექტაკლებზე და ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე და თეატრზე.

ჩინელ ახალგაზრდასთან შეხვედრა და საუბარი ბევრ რამეში დამეხმარა და ჩემი „ხოც“ – უფრო სრულყოფილი გახდა.

გ. კუპრაშვილი როლებში: ზემოდან 1. „კომბლე“ – წუნია; 2. „თამარის ბაქანი“ – ვიტკა; 3. „არსენა მარაბდელი“ – ერეკლე; 2. „მარსელელი ბიჭები“ – ჟანი

კოტე მახარაძე

ეროსის ხშირად გვიხსენებენ

21 ოქტომბერი ეროსი მანჯგალაძის დაბადების დღეა.

ეროსი მანჯგალაძემ დიდი და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო.

გთავაზობთ მისი უახლოესი მეგობრებისა და პარტნიორების მოგონებების ნაწყვეტებს, მისი ხსოვნის საღამოდან (1992 წელი, გადაცემის რედაქტორია **შოვინა ქაცარავა**).

ეროსი მანჯგალაძე

კოტე მახარაძე – თქვენ ალბათ იცით, რომ რადიოს სპორტული რეპორტაჟის ისტორია, პრაქტიკულად, ეროსი მანჯგალაძიდან იწყება. თუმცა მანამდე ბევრმა სცადა ბედი. კომენტატორობდნენ: ბატონი პიერ კობახიძე, დავით ძიგუა, ერთხანს აკაკი ძიძიგურიც ჩაება ამ საქმეში. ეროსიმდე იყო ძებნა კარგი კომენტატორებისა.

აკაკი ძიძიგურს, სპორტის შესანიშნავ მცოდნეს და ტკბილმოუბარ ქართველს, საერთოდ, უგანათლებულეს კაცს, ყველა თვისება ჰქონდა, რომ გაძღოლოდა სპორტულ რეპორტაჟს, მაგრამ ქართული ანდაზებით იყო გადატვირთული მისი კომენტარები, ბ-ნი პიერ კობახიძე, იგავ-არაკებით იყო გატაცებული. მაგალითად, გაიოზ ჯეჯელავას – ბებერ მელას უწოდებდა, ფროლოვი – ცენტრალური მცველი გვყავდა „სირაქლემა“ იყო ბ-ნი პიერისთვის და მახსოვს, პირველად რომ სცადა ბედი ეროსიმ რადიოში, მითხრა: – „მივდივარ, ბიჭო, და არ ვიცი რა გამომივაო“! და პირველივე ფრაზიდან გადაწყდა ქართული სპორტული რეპორტაჟის სამომავლო, სამერმისო ბედი. მისი ხმა და იუმორი შეუდარებელი იყო! მაშინ არ არსებობდა არანაირი სპორტული გაზეთი, ანდა ქართული სპორტული ტერმინოლოგია, ის დიდი რუდუნებით იქმნებოდა ეროსის მიერ და მკვიდრდებოდა. მცირე ეჭვის დროსაც კი, როდესაც უკვე მასთან ერთად ჩავერთე ამ საქმეში, ვამოწმებდით ხოლმე ნათქვამს. მახსოვს, ვუკოლ ბერიძესთან მივედით საკონსულტაციოდ, რომელმაც გვითხრა: – „რატომ ამბობთ – „გვერდითი მსაჯი“ ან უნდა თქვათ „ლაინცმანი“ – მსაჯი ხაზზე – ეს არ ვარგა, რუსები ამბობენ: „ბაკავოი სუძია“ და თქვენ იმეორებთ, შემოგვთავაზა – თანამსაჯი. ამის შემდეგ ყველგან იწერება და ითქმება – თანამსაჯი.

ეროსი მანჯგალაძის პირად ცხოვრებაზე სულ ორიოდე სიტყვით გეტყვით იმას, რაც ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია: ეროსის მამა-ბატონი აკაკი რეპრესირებული იყო, ჩვენ მეგობრებს ის არ გვენახა და ბოლოს სიბერეში ვნახე, ეროსის დედა – ქალბატონი თამარი, რაჭაში, ბლის ხიდან ჩამოვარდა, დაუზიანდა ხერხემალი და 26 წელი ლოგინზე იყო მიჯაჭვული.

ის ძალიან გულდასმით ადევნებდა თვალყურს ეროსის მთელ შემოქმედებით ცხოვრებას. როცა ეროსი ძალზე პოპულარული მსახიობი გახდა, რაც ქ-ნ თამარს დიდ სიხარულს გვრიდა, ერთ საღამოს დაიბარა თავის საწოლთან და უთხრა:

– ეროსი, არავინ არ უნდა შეგამჩნიოს, რომ შენ თავში აგივარდა წარმატებაო.

– რატომ ამბობ ამას, დედა! – ჰკითხა ეროსიმ.

– რომ დაამტკიცო, რომ შენ ისევ უბრალო და სადა ეროსი ხარ (მაშინ ისინი ცხოვრობდნენ სერგეი მესხის ქუჩაზე) წადი, თავისუფლების მოედანზე, სამხედრო მაღაზიაში იყიდე „ლეჟანკა“, არ გაარჩერო მანქანა, იმ „ლეჟანკით“ ხელში მოდი სახლამდე, რომ ყველამ დაგინახოს, რა უბრალო და თავმდაბალი კაცი ხარო!

ეროსის, მართლაც, ძლიერ უყვარდა დედამისი და გულმოდგინედ შეასრულა ეს თხოვნა... იყიდა „ლეჟანკა“ და მიართვა დედას შინ.

ეროსის უფროსი ძმა – რეზო 1941 წელს პირველივე ბრძოლების დროს დაიღუპა...

ეროსის დიდი სიყვარულით სავსე ცხოვრება ახლდა თან, ლეგენდად დადიოდა თეატრალურ ინსტიტუტშიც და დღემდე მოდის – ელენე ყიფშიძისა და ეროსი მანჯგალაძის „საინსტიტუტო“ დიდი სიყვარული, რომელიც ქორწინებით დამ-

თავრდა, არ შედგა მათი ერთად ცხოვრება, მაგრამ უკანასკნელ დღეებამდე ისინი დარჩნენ ერთმანეთის ნიჭის უდიდეს თაყვანისმცემლებლად...

ეროსის დარჩა უმცროსი და – ქალბატონი ბელა, რომელიც თავის თავს ერჩივნა, რომელიც გათხოვდა შეეძინა შვილები და მისი უფროსი ვაჟი – რეზო, ეხლაც იქ ცხოვრობს, სადაც ცხოვრობდა ეროსი.

რამაზ ჩხიკვაძე – ეროსიზე ბევრი რამ გვაქვს მოსათხრობი, გასახსენებელი. ის იყო საყვარელი კაცი, ჩვენი დიდი მეგობარი. 1946 წელი იყო, პირველად რომ გავიცანი... ის მაშინ სახელგანთქმული დიქტორი გახლდათ, მსახიობი რუსთაველის თეატრისა... შეყვარებული ვიყავი მასზე, როგორც ნიჭიერ მსახიობზე (ის ჩემზე სამი წლით უფროსი იყო) ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენ გვერდი-გვერდ მოგვიწია სცენაზე ყოფნა... მინდა მასთან უკანასკნელ შეხვედრაზე მოგითხროთ:

სწორედ 10 წლის წინ, მის გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე, რადიოში ვწერდით რევაზ გაბრიაძის „თავადი ფანტიაშვილის ბრილიანტებს“, ჩვენთან ერთად იყვნენ სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა და სხვა მსახიობები. 10 სერიალი გვქონდა ჩასაწერი და ეროსი რატომღაც საშინლად ნერვიულობდა. ყველაზე დიდი ტექსტები მე და ეროსის გვქონდა...

მესამე დღე იყო ვწერდით... ეროსის ხანდახან რაღაცა კაპრიზი დაემართებოდა და იტყოდა:

– აღარ ჩავწერ, დედაჩემი რომ ადგეს საფლავიდან, მე აქ აღარ მოვალო!

– რა იყო კაცო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ნუ იზამ მაგასო! ყველანი შევეხვეწებოდით, ნუ დაგვღუპავო... მოხდა ისე, რომ ჩავწერეთ ყველაფერი, ერთიც არ შეგვშლია (ხომ იცით, იქ როგორ არის – ერთი ენა თუ აგერია, ყველა დიალოგის ჩაწერა თავიდან უნდა დაიწყოს).

დავამთავრეთ ტექსტის ჩაწერა, ბოლოს მე ვიმღერე, ეროსიმ დაიძახა – „ბრავო, ბრავოო“ და ესეც რომ მორჩა, სიხარულისგან შეხტა ეროსი. მეც შევძახე: – „მაშ დავლიოთ თითო შუშამეთქი!“ – დავლიოთო დამეთანხმა.

სალომე ყანჩელი ჩავისვით მანქანაში და „კუკლიკასთან“ (ვიქტორ ნინიძესთან) შევიარეთ და დავუყევით მანქანით გზას მტკვრის სანაპიროზე. მივდივართ, ვერის ხიდთან, სასწრაფო დახმარების მხრიდან დიდი სისწრაფით, შუა ხაზზე მოჰქრის მანქანა... რაღაც სასწაულებრივად, ორ მეტრში, ჩაგვიქროლა ამ მანქანამ და შევარდა ხალხით სავალ გზაზე... ეროსიმ დაუსიგნალა, ჩვენც შიშისაგან შევძახეთ და დავამუხრუჭეთ.

მანქანა გაჩერდა, გადმოვიდა მძღოლი, ბოდიშების მოხდით მოგვიახლოვდა და ლამის დაგვიჩოქა, გვითხრა: „მე გეოლოგი კაცი ვარ, შორიდან მოვდივარ, უძინარი ვიყავი და რულზე ჩამეძინა, თქვენმა სიგნალმა გამაღვიძა, თორემ ვინ იცის, რას შევასკდებოდიო“ – იქით გახდა ეს კაცი დასაწყნარებელი.

– რას იზამ, ყველაფერი ხდებაო! – ჩაიბურტყუნა ეროსიმ... წავიდა ის კაცი. დაძრა მანქანა ეროსიმ. ჩვენც შევუდექით ვერის აღმართს და ყველანი ჩუმადა ვართ, ხმას ვერ ვიღებთ... მიგვყვება ეს დაძაბულება და ეროსი ამბობს:

– წარმოიდგინეთ ერთი, რა სასაცილო გასვენება გვექნებოდა, არა?!

– რატომ იქნებოდა სასაცილო?– ჰკითხა სალომე ყანჩელმა.

– სამ კუბოს რომ გამოიტანდნენ, რუსთაველის თეატრიდან – ხანუმას, „კნიაზისა“ და აკოფდარდიმანდიანცისაო, თქვა. და უცებ მოგვეხსნა რამდენიმე წუთის წინ მიღებული სტრესი... სამწუხაროდ, 3 დღის შემდეგ, ხელიდან გამოგვაცალა სიკვდილმა ეროსი.. ეს შემთხვევა მწარე წინათგრძნობად მომეჩვენა შემდეგ...


რუსლან მიქაბერიძე

რუსლან მიქაბერიძე – ეროსი მანჯგალაძე საოცარი სილაღე და ბუნებრიობა იყო, ეროსი ჩვენს მეხსიერებაში და შემდგომ თაობაშიც სწორედ ასეთად დარჩება...

ერთი პერიოდი, როდესაც ეროსი თეატრში ისე აქტიურად აღარ ფიგურირებდა, მე დავუწერე:

„გვენატრები როგორც გემო,
ნაღდი, ძველი, საეროსი,
სხვა საქართველო, სად არის?
ან სად არის სხვა ეროსი?!“

ჰოდა, ძალიან გაუხარდა, გამხნევდა... მრავალი ექსპრომტის მიძღვნა მახსენდება დღეს ეროსისადმი, ერთი ასეთია: მოგეხსენებათ, ძველ დროს „პარადებზე“ უნდა გვევლო, ის იყო პარტორგი და ამაზე გული უღონდებოდა. ერთხელაც, ასეთ „პარადზე“ ვართ, სიცხე იყო საშინელი და დავუწერე ასე:

„შვილი ღანირის ჩეროსი,
სიცხეს ვერ იტანს ეროსი!“

(ეროსი სოფელ ღანირიდან იყო წარმოშობით). მერე იყიდა ეროსიმ „ნივის“ მარკის მანქანა და დავუწერე:

„გამოიყვანა ეროსიმ „ნივა“
აწი, ღანირში მოვა და მივა“.

მაინც, ყველაზე კულმინაცია იყო მისი ძაღლთან დაკავშირებული პატარა ისტორია. ბატონ ეროსის ჰყავდა ძაღლი „ტანგო“. ამ ძაღლს, ასა-

კის გამო (ბებერი იყო), სჭირდა ყველა ძაღლური დაავადება: სინტი, კოლიტი, რევმატიზმი და სხვა. ეროსი ძალიან უფრთხილდებოდა ამის გამო, ძვლებს არ აჭმევდა, კარგად უვლიდა და ერთხელაც, ეს ძაღლი სხვა ძაღლს აედევნა და დაიკარგა სახლიდან. მოვიდა დაღონებული ეროსი თეატრში და ძალიან განიცდიდა... მეც რაღაცა მინდოდა ამ „ფაქტთან“ დაკავშირებით „მიმეძღვნა“ და იმდენად შემეცოდა და პატივს ვცემდი, ვერ გავუბედე რაიმის თქმა...

შემდეგ უპოვნეს ეს ძაღლი, შინ მიუყვანეს, განახლდა ისევ ის სიყვარული-ზრუნვა. ბოლოს „ტანგო“ მაინც გარდაიცვალა. ეროსიმ ქელეხი გადაუხადა ამ ძაღლს და ძალიან დარდობდა. მე „ტანგოს“ შინ დაბრუნებისას მივწერე ბარათი:

„ო, კინაღამ მსხვერპლი შეიქმენ,
შემთხვევის, ანაწეროსი,
ამბობენ, კბილს არ უხსნიდა,
იმ დილით დანა ეროსის.
გიპოვნეს, ისევ ცუნცულებ
ვაკის ჭალას და ჩეროში,
შენ ბედს ინატრებს
ყველა „მურია“ საქართველოში.
და დგას გადუჭრელ პრობლემად
მთელი არტისტულ სფეროსი,
ვინ უფრო ცნობილი არი:
„ტანგო“ თუ თვითონ ეროსი?!“

ბოლოს ჩემი შთაბეჭდილება ეროსი მანჯგალაძის მიმართ, აი, ასე მინდა გამოვხატო:

„ეროსის ხშირად გაიხსენებენ,
მტერ-მოყვარენი დაცლიან ყანწებს,
მერე სიკვდილი ყველას წაიყვანს,
მტყუანს და მართალს,
დინჯებს და ანცებს,
მე კი ერთს ვიტყვი,
რომ ძირითადად,
გული უსკდებათ
გულკეთილ კაცებს“.

მსახიობთა ჯგუფი რუსთაველის თეატრის ეზოში

კოტე მახარაძე

ჩვენ „ყოველიფერი" მეგობრობამ გვაყვავილებდა...

... ამ სიტყვებით ახასიათებდა ეროსი მანჯგალაძე კოტე მახარაძესთან ურთიერთობას.

ამ მოგონებით გვინდა უანგარო მეგობრობის აუცილებელი შტრიხი შევმატოთ გატონ კოტეს პიროვნულ პორტრეტს.

1977 წლის ჩანაწერის ავტორი თეატრთმცოდნე **სულიკო გაწერელია**.

ეროსი მანჯგალაძე – აგერ უკვე 35 წელია, რაც მე და კოტე მახარაძე საქმეში – კოლეგები, ცხოვრებაში უახლოესი და უანგარო მეგობრები ვართ. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი წუთი, რომ ჩვენს შორის რაიმე გაუგებრობას ან უთანხმოებას ჰქონოდეს ადგილი.

ეროსი მანჯგალაძე

ეს ალბათ იმიტომ, რომ ერთი თეატრალური სკოლა გვაქვს გავლილი. ორივეს ბევრი ისეთი ცხოვრებისეული თვისება აღმოგვაჩნდა, რომ ყველანაირ გამოცდას და, მათ შორის, დროის გამოცდასაც გაუძლო... ჩვენ, შეიძლება ითქვას, რომ „კლასიკური" მეგობრობა და ძმური დამოკიდებულება გვქონდა. როცა მასზე ვფიქრობ, ან მის შესახებ ვინმეს ვესაუბრები, მისი როგორც პიროვნების, მოქალაქის, მსახიობის შეფასებისას არასოდეს მღალატობს ობიექტურობის გრძნობა.

ამ 35 წლის განმავლობაში იშვიათად შემხვედრია ასეთ „პოლიფონიურად", ასე ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, უაღრესად ერუდირებული, ნათელი გონების, ხალასი ნიჭის მქონე, კაცური კაცის მაღალი თვისებებით შემკული ადამიანი.

ჯერ იყო და ბავშვობაში ბალეტს მისდევდა და ამ საქმეში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, როგორც მერე გამოერკვა, გუნებაში სულ სხვა რამ ედო. მიატოვა ბალეტი და თეატრალურ ინსტიტუტში „გადმობარგდა". და აქაც, წარმატებების ბილიკზე რომ ფეხი შედგა, აგერ სამი ათეული წელია, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს.

50-იან წლებში მიკროფონს დაუმეგობრდა, ისე გრძნობს თავს როგორც „თევზი წყალში".. სპორტი რომ მისი სიცოცხლეა, ეს მე კარგად ვიცი... ეს ყოველ მის გადაცემაში თუ რეპორტაჟში აშკარად იგრძნობა და იკითხება...

კოტე ახალგაზრდობაში თვითონ იყო შესანიშნავი სპორტსმენი, კალათბურთელი – რამდენიმე ხანი თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდშიც გამოდიოდა და აი, ახლა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი სპორტული კომენტატორია...

ეს ისეთი კაცია... ბუნებისაგან ისეთნაირად შემკული, ბედნიერი, ქართველი კაცი, რომ რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, გამარჯვება ყველგან გარანტირებული ჰქონდა...

ერთი რამ მინდა მოვიგონო... ერთხელ სკოლაში სწავლისას, კოტე მაშინ უკვე გამოჩენილი მეცნიერის, ამჯერად აკადემიკოს – ალექსანდრე ბარამიძის ოჯახში მოხვდა, მის ვაჟთან მეგობრობდა... და ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. ოჯახში რაღაც კამათი წამოიჭრა ბატონ ალექსანდრეს თანდასწრებით და ამ კამათში ჩაერია თვით ალექსანდრეც და პატივცემული პროფესორი ფრიად გაოცებული დარჩა, კოტეს ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნით. მერე, როცა გაიგო, რომ კოტე თეატრალურ ინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად, ბატონი ალექსანდრე ძალიან ნაწყენი დარჩა და სინანულით თქვა:

– შეცდა, აშკარად შეცდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში შევიდა... აუცილებლად უნივერსიტეტში უნდა შესულიყოო...

მე მინდა შევეკამათო ბატონ ალექსანდრეს... კოტე არ შემცდარა, როდესაც თეატრალური განათლება მიიღო, განსაკუთრებით ბოლო წლების მისი სცენაზე მოღვაწეობა ამის დადასტურებაა...

ბევრი სიხარული და გამარჯვება განიცადა კოტემ და კიდევ ბევრს ნახავს ალბათ თავისი ნიჭის წყალობით.

მე მინდა ვუსურვო ჩემს მუდმივ ძმასა და მეგობარს ამ 50 წლის გარდა დარჩენილი წლები ცხოვრებისა მთლიანად მოახმაროს და შესწიროს ამ ჩვენს საამაყო და საყვარელ საქმეს... ცოტა

სპორტი, ცოტა კომენტატორობა და ბევრი, ძალიან ბევრი როლი თეატრში – ჩვენი მთავარი საფიქრალი და საზრუნავი.

კოტე მახარაძე ასე იგონებს თავის პირველ ნაბიჯებს ხელოვნებაში – რამ განაპირობა ჩემი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შესვლა? 7 წლის ბიჭუნასათვის დამერწმუნეთ არჩევანი არ არსებობს, ეს მშობლების სურვილით მოხდა – დედას ძალიან უნდოდა, რომ მეც და ჩემი დაც ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შევსულიყავით. ქორეოგრაფიულ სტუდიას ხელმძღვანელობდა, ქართული საბალეტო და ქორეოგრაფიული სწავლების ამაგდარი – დავით ჯავრიშვილი.

14 წლის ბიჭუნამ დავამთავრე ეს სასწავლებელი. სკოლის დამთავრებისთანავე შევედი თეატრალურ ინსტიტუტში დრამის მსახიობის პროფესიის შესასწავლად. დაუვიწყარია ქორეოგრაფიულ სტუდიაში გატარებული წლები – ჩემი პედაგოგი მარიამ ბაუერი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი – ვლადიმერ ივაშკინი, ლენინგრადელი ბალეტმეისტერი – სერგეი სერგეევი. მან დადგა დელიბის ბალეტი „კოპელია“, რითიც ჩვენ დავამთავრეთ სასწავლებელი.

ამ სადიპლომო სპექტაკლში მე 2 როლს ვასრულებდი: კოპელიუსის და ფრანცისის. ჩემთან ერთად იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ კიკალეიშვილი.

მე-4 კლასში ჩვენ ერთად ვიცეკვეთ ჩაიკოვსკის ბალეტ „შელკუნჩიკში“ – ამ სპექტაკლში 2 როლს ვთამაშობდი თვით „შელკუნჩიკისა“ და ფრიცისა. ყველაზე მთავარი ამ საკურსო სპექტაკლისა გახლდათ ის რომ, მას დირიჟორობდა, ლეგენდად ქცეული ქართველი დირიჟორი, ევგენი მიქელაძე. მე წილად მხვდა ბედნიერება, მისი ხელმძღვანელობით წარმართულ პატარების ბალეტში, მთავარი პარტიები შემესრულებინა.

ეს იყო ჩემი ბავშვობის დაუვიწყარი შთაბეჭდილება: შთაბეჭდილება იმ კაცისა, რომელიც ყოველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩაგვკიდებდა ხელს და მოგვატარებდა მთელ თეატრს, აუცილებლად ყველას ეტყოდა:

– აი, ჩემი ფალავანი მომყავსო სულ პატარა ბიჭუნაზე და გოგონაზე მიუთითებდა...

ასეთი დიდებული კაცი იდგა პულტთან, როდესაც ჩვენ ვასრულებდით „შელკუნჩიკს“.

ვახტანგ ჭაბუკიანი

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა ვახტანგ ჭაბუკიანი და პრაქტიკულად მაშინ ჩაეყარა საფუძველი ქართულ საბალეტო თეატრს...

ახლა ვფიქრობ, რომ იმ დროს რომ ყოფილიყო საბალეტო ხელოვნება ისე განვითარებული, როგორიც დღესაა, იქნებ სხვაგვარად წარმართულიყო ჩემი სამსახიობო კარიერა...

პირველიდან ბოლო კურსამდე ჩემი პედაგოგი გახლდათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი – დიმიტრი ალექსიძე, რომელიც არა მარტო პედაგოგი არამედ ჩემი „სულიერი მამაც“ გახლდათ...

ტელეოპერატორი ხაჩიკ ვართანიანცი და კოტე მახარაძე

მედეა ჯაფარიძე

ღვთაებრივი მედეა

გთავაზობთ მედეა ჯაფარიძის ერთ-ერთ უკანასკნელ ავტობიოგრაფიული შინაარსის ჩანაწერს, რომელიც გატონმა **ზაზა სიამაშვილმა** გადასცა რადიოს ოქროს ფონდს. ეს, ჩემი აზრით, ყველაზე ძვირფასი და უნიკალური ჩანაწერია, რომლის მოსმენის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა საოცარი შინაგანი სილამაზისა და ტკივილის მატარებელი ყოფილა, ღვთაებრივი გარეგნობის ქალბატონი – მედეა ჯაფარიძე.

(საუბარი ჩაწერილია 1993 წლის დასაწყისში. გადაცემის რედაქტორია – **შოვინა ქაცარავა**).

მედეა ჯაფარიძის მოგონებიდან – ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, როდესაც დედაჩემი, თავისი ძმის ალექსანდრე ჯაფარიძის დახვრეტის შემდეგ ავად გახდა. მისი გული და სული ვერ ეგუებოდა ძმის ულმობელ სიკვდილს...

ბიძაჩემი იყო აზნაურიშვილი. მიწებიც ჰქონდა, რომელიც მან რევოლუციის დროს დაურიგა გლეხებს და გახდა რევოლუციონერი; ის ფიქრობდა, რომ ასე შეეძლო მოეპოვებინა ყველა ადამიანისთვის ბედნიერება. მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ეს იყო შეცდომა...

მედეა ჯაფარიძის დედა – ვერა ჯაფარიძე

დედას კიდევ ორი შვილი ჰყავდა მკვდარი და ის მხოლოდ ჩემით ცოცხლობდა. რაღაც უცნაურად ვუყვარდი, ღრუბლებში მახვევდა და მანებივრებდა!

ცოტა ხანში დედის ძმისშვილებმა წამიყვანეს რუსეთში: ელენე და ლუცია ჯაფარიძეებმ. ისინი იყვნენ ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის მქონე არაჩვეულებრივი, ლეგენდარული, კეთილშობილი ადამიანები.

ლუცია ჯაფარიძე იყო უფროსი და, მასზე წერდა შემდეგ ანრი ბარბიუსი, რომ ი. სტალინმა შინ წაიყვანა და ზრდიდა მას. ლუცია ისეთი დაუდეგარი იყო, რომ მას უყვარდა ხალხი და შინ მოჰყავდა ტროცკი და მისი შვილები. ეს ვერ აპატია შემდეგ სტალინმა, რომელიც თავის დროზე ანებივრებდა. ის დაჭერილი იყო 1937 წელს და მისი გვარის გასწვრივ სტალინმა ჩაწერა – „ხვაწიტ პიან ლეტ“.

ელენე ჯაფარიძე იყო – მოვლენა. ის ეხლაც ცოცხალია (85 წლისაა), ეხლაც მდიდარი და ვაჟკაცური სული აქვს. მაგნიტოგორსკის მშენებლობაში მას დიდი როლი მიუძღვის. ამას წინათ, ერთი რუსი პოეტი ქალი იგონებდა ელენე ჯაფარიძეს, რომელსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. 22 წლის ასაკში ჩაურთავს მაგნიტოგორსკის დომბი.

ელენე, მედეა და ლუცია ჯაფარიძეები

ელენე ჯაფარიძე მართლაც, ლამის შეეწირა მის მშენებლობას, რადგანაც ის მუშებთან ერთად კოტეჯში ცხოვრობდა და ძლიერ ავად გამხდარა, ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს ხელიდან. ამის შემდეგ, ის დანიშნეს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ. ეს უზარმაზარი დატვირთვა და ნდობა იყო ქალისთვის. ის ამ პოსტზე 15 წელი მსახურობდა.

საქართველოში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შუა ქალაქში რომ არ არის აშენებული, ეს ელენეს დამსახურებაა.

ჩემთვის მტკივნეული იყო რუსეთში მოხვედრა, დედაჩემის სიტკბოსა და განებივრების შემდეგ, ბიცოლაჩემის სიმკაცრე. დილაადრიან ლოგინიდან მაყენებდნენ, თმებს მიწნავდნენ და სკოლაში დავყავდი ჩემს ძიძას. მაგრამ, მე მგონი, ამან მიშველა, ცოტათი მიწაზე დავეშვი მყარად. იმიტომ, რომ იმ ვითარებაში, რომელშიც მე ვიზ-

რდებოდი, საქართველოში – დედის კალთის ქვეშ, ეს შემდგომში ძალიან გამირთულებდა ცხოვრებას. ბოლომდე დავიჯერებდი, რომ მე ვიყავი არაჩვეულებრივი მოვლენა, ვერ დავამყარებდი წესიერ კონტაქტს ადამიანებთან. რუსეთში ძალიან გამიჭირდა სულიერად, მაგრამ მიშველა წიგნებმა, რომლის კითხვაც დღესაც მიყვარს და სამხატვრო თეატრმა, რომელიც მართლაც მშვენიერი იყო მაშინ.

1933 წელს დედა უკეთ გახდა და მეც წამოვედი თბილისში საცხოვრებლად. იქ იღებდნენ ქართულ კინო-ფილმს „აბესალომ და ეთერი“.

მთელი საქართველო ამ ფილმზე ლაპარაკობდა, მართლაც, მშვენიერი მსახიობები იყვნენ ამ ფილმში თავმოყრილნი: დედოფლის როლში იყო განუმეორებელი – ნუცა ჩხეიძე, აბესალომის როლშიც ძალიან კარგი ტიპაჟი იყო შერჩეული – გვარად შაქარაშვილი (შემდეგ ექიმი გახდა ეს კაცი). მას ბიბლიური სილამაზე ჰქონდა და ძალიან უხდებოდა ამ როლს. მეც მიმიწვიეს ფილმში ეთერის როლის სათამაშოდ.

მაშინ კინოსტუდიის ცხოვრება სისხლსავსე იყო, ერთდროულად იღებდნენ 11 ფილმს, ერთი მეორეზე უკეთესს. 20%-იც არ იყო ფილმისა გადაღებული, როცა აირია ყველაფერი.

მანამდე, გადაღების დროს, ყველანი ვიყავით ბედნიერნი და სულ გვესმოდა ოპერის შესანიშნავი მელოდია... რეჟისორი იყო ლევან ესაკია, დიდებული პიროვნება, კეთილშობილი და პატიოსანი კაცი. ყველა დიდი მოუთმენლობით ელოდა ფილმის დასრულებას. და აი, ერთ დღეს, მეხივით გავარდა იოსებ სტალინის ახალი ბრძანება:

– შეჩერდეს ყველა ფილმის გადაღება, გარდა რევოლუციური და საკოლმეურნეო შინაარსისაო!

ე.ი. 11 ქართული ფილმის გადაღება გაჩერდა. ამის შემდეგ, მე ვთვლი, რომ კინოში არ გამიღიმა ბედმა. როცა ამას ვამბობ, ბევრს ეს არ ესმის. მე ვთვლი, რომ „ქეთო და კოტეში“ არაფერი ისეთი ღირებული არ შემიქმნია.

საერთოდ მიმაჩნია, რომ კომედიებში დადებითი როლის შესრულება ადვილია ხოლმე, უფრო ძნელია – სახასიათო როლების შესრულება...

მედეა ჯაფარიძე „კლეოპატრა“

თეატრში უფრო საინტერესო, ნამდვილი როლები მქონდა, როგორიც იყო: „რომეო და ჯულიეტა“, „კეისარი და კლეოპატრა“, ბერნარდ შოუს – „პიგმალიონი“, შექსპირის – „ბეატრიჩე“, და სხვა.

როცა ქეთოს როლი შემომთავაზეს არ ვაპირებდი დათანხმებას, მაგრამ ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს პატივს ვცემდი. ის მომიყვა „ქეთო და კოტეს“ ღამის სერენადის რომანტიულ ეპიზოდს და მეც დავთანხმდი...

მედეა ჯაფარიძე კ/ფ „აბესალომი და ეთერი“

„აბესალომ და ეთერის“ გადაღების შეწყვეტის შემდეგ მე გადავწყვიტე კვლავ მოსკოვში დაბრუნება და სწავლის გაგრძელება.

ახალგაზრდობაში ბევრი გათხოვებაზე ოცნებობს, მე კი სწავლაზე ვფიქრობდი. მოსკოვში მივდიოდი სწავლის გასაგრძელებლად, როცა მოულოდნელად მატარებელში გავიცანი ერთი მშვენიერი მსახიობი, დიდად პატივცემული ადამიანი, მერაბ კოსტავას მამის ძმა – გრიგოლ კოსტავა და ჩვენ შევუღლდით. ამის შემდეგ დაიწყო ჩემთვის საინტერესო ცხოვრება მარჯანიშვილის თეატრთან ერთად.

თეატრი სავსე იყო ნიჭიერი მსახიობებით. პირველ წარმოდგენაში, სადაც მე დამაკავეს ეს იყო „მასოვკა“ (მასიური სცენები), ორი ფრაზა მქონდა სათქმელი და მახსოვს, ძალიან ვღელავდი, ამ ორი ფრაზის წარმოთქმაზე მთელი დღე ვფიქრობდი.

შემდეგ, როდესაც გამოვედი სცენაზე და ვთქვი ეს ორი ფრაზა, სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“, მეორე დღიდან უკვე ვიყავი საყვარელი მსახიობი თბილისელი მაყურებლისათვის.

ამ როლის შემდეგ, უკვე მქონდა ბევრი შემოთავაზება სხვა სპექტაკლებშიც. ვითამაშე „ბაგრატიონში“, მოკვეთილში“ – გულსუნდას როლი. ეს იყო ჩემთვის ძვირფასი საჩუქარი. პირველად ამ როლზე მუშაობისას შევხვდი ვაჟა-ფშაველას.

ამ დროს მოხდა უბედურება ჩემს ცხოვრებაში. მერაბ კოსტავას ბიძა, ოდესღაც იყო ფედერალისტი, 1924 წელს ყოფილა კიდეც ამისათვის დაჭერილი. დღეს, ალბათ, ამისთვის არავის არ სჯიან, მაგრამ მაშინ ეს იყო საშინელი ბრალდება ადამიანისათვის.

ის დაიჭირეს, წაუყენეს ეს ბრალდება და როგორც შემდეგ მიყვებოდნენ, ჩეკისტები მას ძალიან აწვალებდნენ. ჩეკისტი აჭერდა თურმე ხიშტს ფეხზე, თვითონ კი ზედ იყო დაყრდნობილი ამ ხიშტს.

შემდეგ საკანში, შეშინების მიზნით შეუშვეს მასზე 20 წლით უფროსი მამაკაცი. მაგრამ დაშინების მაგივრად, შეუყვარდა გრიგოლი, რადგანაც ხედავდა რა ვაჟკაცურად იტანდა ამ საშინელ წამებას!

მერაბ კოსტავას ძალიან ყვარებია თავისი ბიძა: „თუ რამე კაცურია ჩემში, ეს ბიძაჩემის დამსახურებაა“ – მომწერა ერთხელ მისი სიკვდილის შემდეგ.

როცა მე პირველად ჩავჯექი თვითმფრინავში, 20 წლისა ვიქნებოდი მაშინ. ვიფრინე 8 საათი. 8 საათიდან 4 საათი თვითმფრინავი ე.წ. „ორმოებში“ ხვდებოდა და იყო საშინელი გადასატანი, იყო ფრენისათვის შეუსაბამო ამინდი. მე მქონდა ორი დღის ვადა, რომ მომესწრო გრიგოლის გადარჩენა. ის უკვე სასიკვდილო კამერაში იყო გადაყვანილი. გაფრენის წინ, თან გამატანა წერილი – მარგარიტა მუსხელიშვილმა, ჩვენი დიდი მეცნიერის ნიკოლოზ მუსხელიშვილის დამ; ეს იყო უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ქალი. წერილი უნდა მიმეტანა ადმირალ – ისაკოვთან, მარგარიტას ბავშვობის მეგობართან. ეტყობა, პატივს სცემდა მას. წერილში სთხოვდა, რომ მე ურიგოდ მივეღე, იმიტომ, რომ რიგის მიხედვით მე ექვსი თვე მაინც დამჭირდებოდა მასთან შესაღწევად.

ისაკოვის წყალობით დახვრეტა შეიცვალა 10 წლის პატიმრობით. ეს იყო იოსებ სტალინისა და ბერიას დროს. შემდეგ პატიმარი გადაიყვანეს თბილისის ერთ-ერთ კოლონიაში. მერე კი დავიწყე ბრძოლა იმისათვის, რომ არ გადაესახლებინათ საქართველოდან. იცვლებოდნენ დიდი თანამდებობის მინისტრები და ყველა ცდილობდა, გადაესახლებინათ ის, როგორც საშიში დამნაშავე. მე რამდენჯერმე მომიწია კიდევ მეთხოვნა, რომ არ გადაესახლებინათ საქართველოდან გრიგოლი.

ამ სიტუაციაში, მე მინდოდა დავბრუნებოდი ჩემს უდარდელ ბავშვობას, მოსკოვს, გამეგრძელებინა სწავლა... მართლაც, მე ჩავედი მოსკოვში, ვცხოვრობდი ჩვენებთან, თითქოს გამთელდა ის გაწყვეტილი ბავშვობა და მივედი სამხატვრო თეატრის სტუდიაში – უბრალოდ თავისუფალ მსმენელად. ჩემს გარდა იქ იყვნენ სხვადასხვა ეროვნების, თეატრზე შეყვარებული ადამიანები და ვიყავი ძალიან ბედნიერი. დედაც კარგად იყო და ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვში ჩემს სანახავად.

ამ დროს გავიცანი კიდეც რეზო თაბუკაშვილი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. თბილისიდან მოვიდა დეპეშა – „დედა ავად გახდა, სასწრაფოდ ჩამოდიო!“ ეს იყო 7 ნოემბერი, მე ბუნებრივია, დემონსტრაციაზე არ წავედი, წვიმდა. შინ ხმამაღლა ტირილი არ შემეძლო, არ მინდოდა ბიცოლას შეწუხება და წავედი – „არბატზე“, სადაც ჩემი მეგობარი ქალი ცხოვრობდა, მიმძიმდა იმასთან განშორება. მინდოდა სწავლა სტუდიაში, ჩემებთან ცხოვრება...

რევაზ თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე

მახსოვს, გზაში, როცა მივდიოდი წვიმაში თან ვტიროდი. მეგობრისაგან დავურეკე რეზოს (რეზო თაბუკაშვილი – მედეას ჯაფარიძის მეუღლე. ნ.დ.) იმ წუთას მინდოდა ჩემთან ყოფილიყო ვინმე ძალიან ახლობელი. მოვიდა რეზო და მეც მოვუყევი რაც მაწუხებდა: ჩემი მძიმე ბავშვობა და ახლანდელ ბედნიერებასთან განშორება.

აქამდე ჩვენ ვიყავით უბრალო მეგობრები და ყოველთვის ვფიქრობდი მასზე, როგორც მეგობარზე, ახლა კი დავინახე რეზოს საოცარი თანაგრძნობა ჩემს მიმართ.

წამოვედი საქართველოში. ძალიან უბედურ ადამიანად ვგრძნობდი თავს... მოვედი დედასთან, დედას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა.

ამ დროისათვის ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო კ/ფ „ქეთო და კოტეს“ გადაღება. როცა მოსკოვში წავედი შეჩერდა ფილმის გადაღება, როცა ჩამოვედი – ფილმის გადაღება განახლდა.

თეატრში ვერ მივედი იმიტომ, რომ იქ უკვე განაწილებული იყო როლები. ნათესავები მეუბნებოდნენ, რომ დედა საავადმყოფოში მომეთავსებინა და მე სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ ბავშობიდან მახსოვდა, როგორ სძულდა დედას საავადმყოფო – და ვერ გავიმეტე საამისოდ.

ასე გავიდა ჩემთვის მძიმე ექვსი თვე. ათასში ერთხელ დავდიოდი კ/ფ „ქეთო და კოტეს“ გადაღებაზე და აი, დადგა ფილმის პრემიერის დღეც...

სამ თვეში დაიხურებოდა სამხატვრო სტუდიაც და მე გადავწყვიტე დედასთან ერთად წავ-

მედეა ჯაფარიძე კ/ფ „ქეთო და კოტე“

სულიყავი მოსკოვში და სტუდია მაინც დამემთავრებინა. ჩავედით მე და დედა მოსკოვში, ბიცოლასთან ვერ მივედით, იმიტომ რომ იქ არ იქნებოდა საამისო პირობები. ვცხოვრობდით ჩემს მეგობარ ქალთან – „არბატზე“.

სანამ მოსკოვიდან წამოვიდოდი, გორკის ქუჩაზე გაიხსნა „კოკტეილ ჰოლი“. მაშინ ეს იყო დიდი მოვლენა. კაფეში კოკტეილს სვამდნენ და თან კარგ მუსიკას უსმენდნენ. საღამოს მე და რეზო შევხვდით ამ „კოკტეილ ჰოლში“ ერთმანეთს, თუმცა იმ დღეს მუსიკას არ უკრავდნენ, მაგრამ ჩვენ ორივენი მივხვდით, რომ არანაირი მუსიკა ჩვენ არ გვინდოდა, იმდენად ძვირფასი იყო ის წუთები ჩვენთვის, რომელსაც ასე ველოდით. მე კვლავ სტუდიაში დავდიოდი. მერე დავამთავრე სტუდია. დავბრუნდი თბილისში და დავიწყე კოტე მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა.

კ/ფ „ქეთო და კოტეს“ პრემიერა უჩემოდ შემდგარიყო და ყველა მილოცავდა მის წარმატებას. ამის შემდეგ, ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მეორე სიხარული მომიტანა: რუსთაველზე ვცხოვრობდი და აივნიდან ვუყურებდი ხოლმე, ჩვენთან მოსულ სტუმრებს ერთხელ ბატონმა ვახტანგმა ქვემოდან ამომხედა და მითხრა — მინდა თეატრში დავდგა „რომეო და ჯულიეტაო“. ეს დიდი სიხარული იყო ჩემთვის. მთელი წელიწადი ვმუშაობდი ჯულიეტას როლზე.

პრემიერის დღეს რეზო მოსკოვიდან ჩამოფრინდა. ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მან შექსპირის სონატები თარგმნა და მე მომიძღვნა.

შოთა ქოჩორაძე, მედეა ჯაფარიძე – „რომეო და ჯულიეტა“

ჯულიეტა ჩემი ერთ-ერთი საპასუხისმგებლო როლი იყო, სამწუხაროდ, ფოტოების გარდა ამ სპექტაკლიდან არაფერი შემომრჩა..მხოლოდ 10-15 წლის შემდეგ სპექტაკლის აღდგენისას ჩაიწერა ის, რასაც ახლა მაყურებელი ხედავს ხოლმე ტელევიზიის საშუალებით.

საინტეროსოა ისიც, რომ ჩემს წარმოდგენას დედა არ დასწრებია . ის ვერ მიმეტებდა იმ წვალებისათვის, რაც მსახიობის პროფესიას თან ახლდა. ერთხელ „პარტიზანებში“ ბიჭის როლს ვთამაშობდი – მიშკას. სცენაზე ბარიკადებზე დავბობღავდი, ეს რომ ნახა, შემდეგ თეატრში სულ აღარასოდეს მოსულა. მერე შალვა ღამბაშიძისათვის ტელეფონზე დაურეკავს და საიდუმლოდ უთხოვნია: „ძალიან გთხოვთ, ბატონო შალვა, ჩემს ბავშვს ნუ აწვალებთო.“

ვლადიმერ ადამაძე

რა მასმევს ღვინოს

ეს ჩანაწერი, რადიოს ოქროს ფონდში 1971 წლიდან ინახება. ტექსტის ავტორი **არტემ ახნაზაროვია** (1866-1942) – მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. ხშირად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები, ლექსები, სცენარები, ფელეტონები.

1896-1902 წლამდე თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ფსევდონიმებით : „ჩიორა“, „ალფა“, „მანოელიძეს “ და სხვ.

ყარაჩოხელის ამ რიტორიკულ მონოლოგ-აღსარება-პაროდიას კითხულობს რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვლადიმერ ადამაძე.

(ჩანაწერს ახლავს დუდუკის ტკბილი ხმა).

დიდი და პატარა ჩამციებია, – კაცო, რა ღმერთი გიწყრება, მუცელში რა გიენა მოგკიდებია, რომ ყოველდღე მაგოდენა ღვინოსა სცეცხლამო?!

დაბეჟილ პანტა-ჭანჭურივითა და მაჟალო ვაშლივით დაგლურჯებია ლოთობისაგან ცხვირ-პირი, მაგრამ მაინც ვერ იქნა, კუჭს პირი ვერ შეაკვრევინე, წყურვილი ვერ მოჰკალ!

რა გასმევს მაგდენს?!

„სტომაქში“ გაუმაძღარი ზვავი ჩაგდგომია, თუ რა ღვთის წყრომა დაგმართვიაო?

რა მასმევს ღვინოს?

რა და: შუშა კიტრი, კომბოსტოს ფოთოლში გახვეული „ბოთარი“, წინწკალშეყრილი ხელადა, დუდუკის ტკბილი კვნესა-ტირილი...

რა მასმევს ღვინოს?

შენ ისა თქვი, რა მიშლის, თორემ რა არ მასმევს: რა და, შენი კარგი ძმა-ბიჭობა, გენაცვალე სულის „კლიტეში“!

შენი ლოთურ-შფოთურობა, ქვეყნის სრჯული და ადათი, ჭირი და ლხინი, მტერი და მოყვარე, ვინ მოსთვლის, კიდევ რა...

აბა, მე რა ვიცი, ღმერთმა უწყის, მაგისი ეშმაკი და ქაჯი...

რა ვიცი, რა მასმევს?

რა მასმევს და, ჩვენებური ჭიჭყინა თევზი, მელქუას „ჩიჟი-ბიჟიანი“ ხაში, შამაიას ალათ-მალათი, შაშხი და ცვრიანი ღორის მწვადი, ცივად მოხარშული დედალი, მუცელში რომ ყვითლად დანაჭუჭებული კვერცხები გამოსჩენია...

წითლად დაბრაწული ინდაურის ფრთა-ბარკალი, ალზე გატრუსული ბურვაკის ნეკნები, მარილში დახალული „ფრთანუში“...

და კიდევ, სად მახსოვს, რა მასმევს ღვინოს... იქნებ, ერთმანეთში საყვარლად ჩახუტული ვაზის რქა-ფოთოლი?! პატარძლის ხელით დაკრეფილი და კოხტა ვირით მოტანილი პრასა-მწვანილი?!

აღდგომის კვერცხივით ჭინქვეშ ამოვლებული ბოლოკი, ქორფა ხახვი, კბილებში რომ კნაწაკნუწი გააქვს!

ჩაბუჟბუჟებული და ძმარ-გამჯდარი მუჟუჟი, შენ დათვალე!

რა მასმევს ღვინოს?! – ჩემი ტოლ-ამხანაგები, ჩემსავით „ბეჰნია“ – ლოთი, სიყრმე-მკვდარ ყარაჩოხელივით „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ ჰალალები... რა უნდა მასმევდეს?

დუდუკის ტკბილ ხმაზე ატეხილი ეშხი მასმევს, აბა, ერთი „თათარიახნად“ ორი ჩარექა გადაჰკარ, მერე ყური დაუგდე „კუპრია“ რომ დუდუკს ჩაუშაქრებს და ჩაუტკბილებს, ჩააკაკან-ჩაარაკრაკებს, ასწევს, აიტანს, ჰაერში წავა, შენც თან წაგიღებს და მაშინ შეიტყობ, რაც მასმევს...

გული, ჭიანურივით კვნესას რომ დაგიწყებს, ზურნის ეშხიანი ჰანგი გვერდებში რომ გაგიჯდება, სული კი, საცაა ყანყრატოში ამოგივა...

ფიალა ხელში გიჭირავს და გონებით ვარსკვლავებში არც სხვა გახსოვს, არც შენი თავი. გარშემო მხოლოდ დაფრენ, ღრუბლები გახვევია, გული ლამის ისე ამოგივარდეს საგულედან, როგორც მელქუას ბადიდან ჭიჭყინა ამოუფართხალდება ხოლმე!... ის მასმევს, ის...

ნიკო ფიროსმანი, „ბეგოს კამპანია“

რა მასმევს? – შე დალოცვილო, უზმოზე რად მეკითხები, როცა ღვიძლ-ჯიგარზე ობი მომკიდებია...

მაშინა მნახე, როცა საკინძეჩამოწყვეტილი და გულგადაღეღილი, მტკვრის პირას ვუჯდე ფოთლებში გაშლილ სუფრას, რომ მთვარე დაჰკაშკაშებდეს...

თითო ხელადაზე 12 წყვილი წმინდა სანთელი ლაპლაპებდეს, გარს ანგელოზები დამტრიალებდნენ, ცალ-ფეხზე ჩუსტი არ მეცვას...

შუბლს გაციებული კიტრის ნაფცქვენი მიგრილებდეს... ორთავ ყურში დუდუკი ჩამკვნესოდეს, ჩარექა მოყუდებული მეჭიროს...

აბა, მაშინა მნახეთ, აღარ მკითხავთ, რა მასმევს ღვინოს?!

მარტოობის ბინადარი

ამ წერილს რეცენზიის პრეტენზია არა აქვს, ეს არის ერთი სპექტაკლიდან (რეზო კლდიაშვილის – „მარტოობის ბინადარი“) მიღებული შთაბეჭდილება ანუ ფიქრები ხმამაღლა. ჩანაწერის ავტორი **ნუნუ დალაქიშვილი**, 2004 წ.

ქუჩაში დაკარგული თუ ნაპოვნი სიკეთე...

ნუნუ დალაქიშვილი – ახლად მოასფალტებულ გზას მივუყვები ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრისკენ. ეს ახალი, სასიამოვნო გზა „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მემორიალიდან“ ფიქრის გორამდე გრძელდება. ფიქრის გორაზე მოჯარებული სასახლეების და „თეთრი ტიტანიკივით“ წამოჭიმული მრავალსართულიანი სახლი მრავალ საფიქრალს უჩენს იქ მისულ ადამიანს...

ეს პატარა თეატრი დიდი საგანძურის მფლობელია... აქ უცხოვრიათ და უღვაწიათ ისეთ კორიფეებს, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი თეატრისა და კინოს ისტორიაში. როგორია დღევანდელობა?.. ეზოში შესვლისთანავე ცისფერი აუზი, ყვავილები და ფერადი ქოლგები შეგიქმნით განსაკუთრებულთან შეხვედრის სიხარულს.

ცისფერი აუზი – ეს სოფიკო ჭიაურელის ერთ-ერთი ახდენილი ოცნებაა... „მინი ბარი“, მიხეილ ჭიაურელის ქანდაკებები და კოტე მახარაძის გადიდებული ფერადი ფოტო შუქ-ჩრდილების

ვერიკო ანჯაფარიძე

იდუმალებაში გვაქცევს... ინთებიან თეატრის რამპებიც... სულ რამდენიმე საფეხური და შენ „წარსულის ტყვეობით ტკბები“, რაღაცა გითბება სულში. დიდებული ვერიკო ანჯაფარიძე თავისი არტისტული, ამაყი პროფილით გხვდება, გმასპინძლობს, სახეზე გაჩენილი ნაოჭები – სცენის ფარდებივით ასხმულ-დაღარული აქვს. შინ, შვილთან თვინიერი, მორჩილი და მოალერსე დედაა, გრიმის გარეშე უფრო მეტად ლაღი და თავისუფალი...

წარსულში დარჩენილი კერპები... ნახატები, ფოტოები, ქანდაკებები – მიხეილ ჭიაურელი და თავისთავადობაშენახული – შენარჩუნებული, განუმეორებელი სილაღითა და ღიმილით... მარადიულობასთან წილნაყარი ბრწყინვალება და მშვენიერება წამებისა – ჩვენ გასაოცებლად საუკუნოდ შეჩერებული...

მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი

ვერიკო და სოფიკო ერთ ჩარჩოში ჩასმული, თუმცა ერთად ვერდატეული... თეატრისა და კინოს ეპოქით სუნთქვაშეკრულ-შედუღაბებულნი...

დედის როლები, მამის კინოროლები, ნეფერტიტები, ოფელია, ივდითი... ურიელი – კოტე უკვე მარადისობასთან წილნაყარი... მის პორტრეტს საღებავების სურნელი ჯერ არ დაუკარგავს. ისიც თამამად, თანასწორ-თანაზიარად იკავებს ამ „უტყვ არბიტრშემფასებელთა“ გვერდით ადგილს... აქვეა მისი „უკანასკნელი მარადიული დუმილის ნიღაბიც“.

იწყება სპექტაკლი და თითქოს ამ სიჩუმეში მაყურებელთან ერთად ისინიც იკავებენ ადგილს.

...ეს თეატრი ყოველთვის დარჩება ხიდად წარსულსა და აწმყოს შორის... ეს თეატრი ყოველთვის იქნება ფიქრისა და ჭეშმარიტი აზრის, პოეზიის და სიტყვის ზეიმის, ზეობის თეატრი... ჭკვიანური ექსპერიმენტების, ძიების, აღმოჩენის თეატრი...

„მარტოობის ბინადარის“
– სიყვარულის სევდიანი სერენადები

იწყება სპექტაკლი – სოფიკო მარტოსული ქალია, პოლიტიკურ „ალიაქოთში“ გაჩენილი დამფრთხალი ბეღურა, უსუსური ჩიტი, რომელსაც მომიტინგეებთან ერთად უცერემონიოდ უკრავენ თავს მიკროავტობუსში და ქალაქგარეთ გაჰყავთ. პოლიტიკურებიც და აპოლიტიკურებიც, მორჩილნიც და ჯიუტნიც – ერთი უხეში ძალის წნეხის ქვეშ ხვდებიან...

თეატრის მცირე სცენა მოფენილია ორკესტრისათვის გამზადებული სანოტე ფურცლებით „პარტიტურით, „დროდადრო ნოტების ფურცლებიც „უფრო ჩიტებივით“ დამფრთხალნი დაფრენენ... ძველი მელოდიების „სურნელით“ იჟღინთებიან დარბაზის კედლები...

ძველი ჰანგების გახსენებასთან ერთად წარსულში გადავყავართ „მარტოსულს“, რომელიც ცდილობს წარსულით ძველი, ტკბილი მოგონებებით სულის განახლებას...

მოგუგუნე ორკესტრი დაიშალა. აღარ არსებობს, სამაგიეროდ, მევიოლინე – ეკა ცდილობს უმწეო მერცხალივით „ჭიკჭიკს“, ვიოლინოზე დაკვრით – გაზაფხულის მოყვანას ზამთართან გაბრძოლებას... გვიყვება თავის ტრაგიკულ ამბავს...

ეკა – მოფერებით – ეკუშა მამიდას გაზრდილი გოგოა – მშობლები რეპრესიების მსხვერპლნი შეიქნენ... რუსთაველზე კონსერვატორიაში მარტო მიმავალი გაიცნობს ლადოს – „რუსთაველის ყოჩს“ – დღეიდან ხმას ვერავინ გაგცემსო! – პირდება ვაჟი (ისმის კოტე მახარაძის ხმის ჩანაწერი – ეს საოცარ ეფექტს ახდენს მაყურებელზე) კოტე თითქოს სოფიკოს „წარმოსახვითი პარტნიორია“ – მთელი სპექტაკლის განმავლობაში არ ტოვებს მისი აჩრდილი სცენას.

სოფიკოც საოცრად კარგად ხედავს, გრძნობს მას, სახე, თვალები, მიმიკა, ხმა დროდადრო ეცვლება... ხან სევდიანი, ხან მხიარული ხდება... ლადო თავს იკლავს, ეკას მამის იარაღით – ზარში წაუგია ეკას სიყვარულიც!

კვლავ ნოკაუტი, ცხოვრებისგან მიღებული კიდევ ერთი სასიკვდილო დარტყმა... მამიდას მიჰყავს ოპერა „ტრავიატაზე“... ეკა ცდილობს პოეზიით, მუსიკით, მელოდიით განიკურნოს...

1956 წლის 9 მარტის მსხვერპლი ხდება მამიდაც...

...და კვლავ ამქვეყნიდან გარდასულთა აჩრდილებთან გაისმის მარტოდდარჩენილი ქალის „მონოლოგი-აღსარება“. ჩნდება კიდევ ერთი იდეალი – ცისფერთვალება ნიკა, რომელიც ხელში აყვანილი დაატარებს. საქართველოს მთასა და ბარში... და ისინი ბედნიერებით გაბრუებულნი ცეკვავენ...

ეკა-სოფიკო ბედნიერი ქალია, ის საოცრად გარდაისახება ამ როლში და ცეკვით, პლასტიკით, მიმიკით, ქალური მომხიბვლელობით კვლავ თავის „წარმოსახვით პარტნიორთან“ ერთადაა... ნიკას მოულოდნელად და უკანონოდ აპატიმრებენ.

ნავთლუღის სადგური. ნიკასთან და სიყვარულთან საუკუნოდ განშორების მწარე წამებია. – რეჟისორი ამ სცენის გამძაფრებას ფერადი სლაიდებითა და ხმაურით, სევდიანი მუსიკით ცდილობს... ორკესტრი უკრავს რახმანინოვის №2 კონცერტს – ეს სპექტაკლის კულმინაციაა, თუ შეიძლება ითქვას – მისი „ოქროს კვეთი“... დრო დროებით ამ ბაქანზე შეაყოვნებს... სევდიან ბაქანზე...

სცენაზე საათის ორი შავი ისარია გაჩერებული... კარგი იქნებოდა სპექტაკლის ბოლოს მაინც ამუშავებულიყო მისი ზამბარა... ამით სპექტაკლი ერთ, კარგ მაჟორულ „აკორდს“ შეიძენდა...

სპექტაკლის, ერთადერთი გმირი კვლავ უიმედობის ვაკუუმში ექცევა... ცხოვრება მას ყველა სასიცოცხლო დარაბას უკეტავს, ღმერთი კი პატარა „სარკმელს“ უტოვებს საარსებოდ... ეს არის მისი ვიოლინო, რომელიც ქალს 10 წელია ხელში არ აუღია.

სასოწარკვეთილს გარდაცვლილი შვილის „ფანტომიც“ ეცხადება – ისიც ცდილობს დედის

სოფიკო ჭიაურელი

თვალზე ცრემლის შემშრალებას, აცეკვებს ისე, როგორც მამა აცეკვებდა ოდესღაც... მაგრამ ამაოდ...

ეკას ისე გაუჭირდა არსებობა, ნიკას ნაჩუქარ ძვირფასი ფინჯანის გაყიდვას აპირებს, მაგრამ ხელიდან უვარდება და ეს სიხარულის ნატეხებიც ხელში ჩაეფშვნება... ვიოლინოს ამარადღა რჩება...

(უნებლიედ მაგონდება პაგანინის ვიოლინო, მევიოლინეს სიკვდილის შემდეგ „პაგანინის ქვრივად“ წოდებული)...

ვიოლინო – ქალის ერთადერთ საარსებო წყაროდ ქცეულა... ქალი უკრავს ჩარლი ჩაპლინის ერთ-ერთ ნაცნობ სევდიან მელოდიას... და რამდენიმე გროშს ამით იშოვის... მისი ყიდვა კი არავის უნდა...

ვიოლინო – ხელოვნებისა და სიკეთის სიმბოლოდ მენიშნა. ის ქალისთვის წმინდა საკრავია და მხოლოდ პატარა ბიჭისთვის ემეტება. ბავშვი გულში იხუტებს ძვირფას საჩუქარს და ქალბატონს ჰპირდება, რომ აუცილებლად ისწავლის ვიოლინოზე დაკვრას...

კვლავ ქუჩის ანაბარა დარჩენილი ქალი – ასოციაციით მაგონდება პატარა ჩარლი და ქუჩაში ნაპოვნი თუ დაკარგული მისი სიკეთეც... და ბოლო, ფინალური სცენა – ქალი შავი ვუალით, სახე შენიღბული, ხელგაწვდილი რჩება ხალხისა და ბედის პირისპირ...

ხელოვნება დღესაც ხელგაწვდილია

21 მაისი სოფიკოს დაბადების დღე იყო. ის სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე.

კოტე და სოფიკო

– როგორ გაჩნდა ამ სპექტაკლის დადგმის იდეა? – ვეკითხები ქ-ნ სოფიკოს, ის ჯერ კიდევ გრიმშია, დაღლილი და კმაყოფილი საოცრად ჰგავს თავის გმირს.

– ჯერ კიდევ კოტე ცოცხალი იყო, როდესაც ჩვენთან თითქმის ყოველდღე სტუმრობდა რევაზ კლდიაშვილი, ამ პიესის ავტორი. ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორ გაუჭირდა ხალხს არსებობა. როგორ გაჩნდა ამდენი უმუშევარი, მათხოვარი...

ვისხედით და თითქმის ზეპირად ვთხზავდით ამ პიესას, მის გმირებს, რეჟისურას... (რეჟისურა ეკუთვნის ნანა ჯანელიძეს).

– თუ ჰყავს პროტოტიპი თქვენს „მზრუნველ მამიდას“ და ვინ არის ის?

– ჰყავდა, ის მართლაც ჩემზე მზრუნველი, ჩემი საყვარელი – ნატაშა მამიდა იყო, რომელიც იყო გასათხოვარი და ბოლოს, სიბერეში, ლამის 60 წლისა გათხოვდა. ჩემს მშობლებს მაშინ ჩემთვის არ ეცალათ და ყველგან მამიდა დამყვებოდა.

დედაჩემი ერთხელაც არ ყოფილა ჩემს სკოლაში. მე გაქანებული „ხულიგანი“, ახტაჯანა გოგო ვიყავი, სკოლაში ცუდად ვსწავლობდი და არც მინდოდა მისი სკოლაში გამოჩენა. ჩემი ნამდვილი ამბავი რომ გაეგო, ალბათ გული გაუსკდებოდა დარდისაგან. ასე რომ, დიდხანს ნატაშა მამიდა იყო ჩემი პატრონი.

– თქვენი მარტოსული – მევიოლინე ქალბატონი ნაწილობრივ თქვენი და საზოგადოდ ხელოვანის პროტოტიპია თუ ვინმე სხვა იგულისხმება?

– ნაწილობრივ, მართლაც, ჩემს სატკივარსაც ეხება ეს გმირი, მაგრამ ერთხელ ბაზარში ვნახე მშვენიერი, წარმოსადეგი, დახვეწილი მანერების, არისტოკრატული გარეგნობის ქალი, შავი ვუალით. მან აკანკალებული ხელით აიღო ერთი ვაშლი და ჩანთაში ჩაიგდო, მოიპარა... შინ როცა დავბრუნდი, სულ თვალწინ მედგა მისი სახე... და ეს გამოვიყენე კიდეც ამ სპექტაკლში...

სულ ვფიქრობ იმაზე, რომ არავინ უწყის, თუ რა გველის წინ. ვინ რითი და როგორ დავამთავრებთ ცხოვრებას!

– როგორ ფიქრობთ, რა ელის თქვენს გმირს, ინტელიგენციას და ხელოვნებას სამომავლოდ?

– ყოველი ხელგაწვდილი მათხოვარი – ცოცხალი ძეგლია დღევანდელი სასოწარკვეთილი ყოფისა... მაგრამ ხალხს თითქოს გაუჩნდა იმედი სულიერებისაკენ, ხელოვნებისაკენ, განათლებისაკენ შემობრუნებისა. ცხოვრება გრძელდება და არ ჩერდება არასოდეს, ყველაფრის მიუხედავად.

ელდინო საღარაძე

ლალიწილი ცოცხალ ვიცხვრებს – ანუ ჩვენი გვიოცდიონი

გალაკტიონის პოეზიასთან შეხვედრა ყოველთვის დიდი სიხარულიცაა და დიდი სულიერი კათარზისიც!..
(ჩანაწერის ავტორია **ნუნუ დალაქიშვილი**)

გალაკტიონი

ნუნუ დალაქიშვილი – ვგრძნობდი, რომ სწორედ ასეთი შეხვედრა გველოდა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში იმ დღეს და ჩვენც სიამოვნებით ვესტუმრეთ თეატრს. გალაკტიონის პოეზიასთან შეხვედრის მოლოდინით...

სდუმდნენ ერთ დროს ერთი ფანდურის, ამჟამად კი ერთი ფარდის ქვეშ, ერთ ეპოქაში მობობოქრე, მოპაექრე პოეტები, პოლიტიკოსები, არტისტები, შემოქმედნი იდეოლოგიისა, კინოს, თეატრის, ქანდაკების, ჭეშმარიტი სიტყვისა... აწ უკვე მარადიულობაში გადასული მათი დიდებული პორტრეტები, ფოტოები გაცრეცილიყვნენ, ამაყი პროფილები, ნიღბები – ყალბი, მორგებული, მოურგებელი, მორჯულებული და დღემდე მოურჯულებელი ვნებები და სულები.

უჩვეულოდ პატარა დარბაზი, როიალის ფორმის სცენა ხვეული რომანტიული კიბე და პატარა ქანდარა – ყოფიერებაზე ამაღლებული, პოეტის სულივით აყვავებული ატმის რტო – აწ უკვე გარდაცვლილი პოეტის სულის მარადიულ უკვდავ სიმბოლოდ ქცეული... შავ წამოსასხამში გამოწყობილი პოეტის ამჟამინდელი ჭირისუფალი თეთრი მანდილით შემოსილი – ელდინო საღარაძეც გალაკტიონის პოეზიასთან შეხვედრის მოლოდინით თრთოდა.

ვიოლინო შემპარავ ხმასთან „ბედავს“ დაარღვიოს ავბედითი სიჩუმე და იწყება – გალაკტიონის დალეწილი სულის აღსარება – რადიო გვამცნობს გალაკტიონის გარდაცვალებას – და ელდინო საღარაძე (იგი ტექსტისა და იდეის ავტორი თავად ბრძანდება) თითქოს ხედავს „ყვავილების მდინარეს“, რომელიც პოეტის კუბოს მთაწმინდისკენ მიაქანებს... პოეტის ჯიუტ და ჟინიან პროფილს, რომელიც ამ პროცესიას იდუმალად მართავს... (საათის წიკწიკის ხმა თითქოს სიმბოლოა იმისა, რომ მთხრობელი, თუ გნებავთ წამყვანი თუ დეკლამატორი – ელდინო საღარაძე საათის ისრებს უკან სწევს ანუ გადავყავართ იმ დროში, როდესაც პოეტი ცოცხალი იყო... და ჩვენც თითქოს ბეწვის ხიდზე გავლით აღმოვჩნდებით იმ სამყაროში, რომელიც ღმერთსა და კაცს შორის, ეშმასა და ანგელოზს შორის გაუვლია დიდ პოეტს და საბოლოოდ პოეზიის ღმერთკაცად ქცეულა!

საათის ორი უდღეური ისარი დაუნდობლად ზომავს უკვდავებაში შესაღწევ წამებს... საათის წიკწიკს ახლა მატარებლის ბორბლების ხმა უერთდება, ელდინო საღარაძეც, თითქოს უმისამართოდ უგზო-უკვლოდ აწყვეტილი ორთქლმავლის ერთ-ერთ ვაგონში ზის და იმ საბედისწერო სადგურს ელოდება, როდესაც ის ჯოჯოხეთის უფსკრულებშემოვლილი ღმერთს მიეახლება...

გალაკტიონის საფლავი 41 წლის შემდეგ აკურთხეს... 41 წელი დასჭირდა იმას, რომ ეღიარებინათ: – გალაკტიონს თურმე თავი კი არ მოუკლავს, არამედ მოკლეს.

ზარი სევდიანად წკრიალებს დარბაზში... ლოცვა მცირე ხნით ანელებს პოეტის ადამიანურ ტკივილებს. როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?

– კვლავ რიტორიკულ კითხვას უსვამს პოეტი თავის თავსა და სამყაროს... (გაისმის მტვრევის, მსხვრევის ხმა... თითქოს პოეტი თავისი სხეულის საკანიდან გარეთ გაღწევას ლამობს და უმალ ფრთაშესხმულ თუ ფრთამოტეხილ ფრინველს ემსგავსება).

გალაკტიონის ხმას მთაწმინდის მთვარით განათებული ბილიკებისკენ მივყავართ... ელდინო საღარაძეც საოცარ ქანდაკებასა თუ ფრთოსანს ემსგავსება თავისი საოცარი კოსტუმითა და თეთრი მანდილით. ის ცდილობს დაინახოს თავისი წარმოსახვითი პარტნიორი... თუმცა მხოლოდ მის თოვლის ფიფქივით უსპეტაკესი სულის შეხებას გრძნობს...

ყოველ მოძრაობაში, ყოველ სტრიქონში დავანებულ, ჩაწნულ, ჩატანებულ პოეტის სისხლსა და ცრემლიან ტკივილს ერწყმის.

მსახიობი – დეკლამატორიც არის, პოეტის ბიოგრაფიც, მისი ადვოკატიც და ჭირისუფალიც... თითქოს ის მთელი თავისი არსებით ერთვება პოეტური სულის პულსაციას, მას შესისხლხორცებია – სადღაც შორიდან იღებს სათავეს სიტყვა... მსახიობიც რის ვაი-ვაგლახით ადგამს ნაბიჯს პოეტის სულის ლაბირინთებში. ლექსის ჩამქრალ ნაკვალევს ბილიკ-ბილიკ მიუყვება... მაინც საიდან გაჩნდა ესოდენ დიდი სევდა სიმარტოვისა, სიმარტოვისა!.. სულის რომელი ნაპრალიდან, ნაბზარიდან შეაღწია და გულში დაიბუდა – დაიხავსა ტკივილმა?!

სიჩუმეში სანთელივით ინთება, თითქოს თავიდან იბადება ლექსის სტრიქონი, უსამართლობით გაჩენილ სიბნელეს სულ ზევით და ზევით მიჰყვება ღმერთისკენ, ბოლოს კი ქვითინით სიჩუმეშივე იფერფლება და ფურცლებზე სტრიქონებად იღვენთება კაცთაგან შეურაცხყოფილი...

მეჩვენება, რომ ამ წუთებში გალაკტიონთან ერთად ქალბატონი ელდინო საღარაძეც პოეტური სივრცით დარბაზის მონუსხვასა და დაპყრობას, – დაუფლებას ცდილობს.

ყოველი ლექსიდან თითქოს მერის თვალები იმზირება იმედად...

ელდინო საღარაძე – მთხრობელი – პუბლიცისტი – ჟურნალისტი – იგონებს მწერალთა სასახლეში ცინიზმით ჩატარებული სხდომების ქრონოლოგიას. „სულ სხდომა, სულ სხდომა – ეს არის სულხდომა“.

გარდასახვისთვის რეჟისორი გიორგი სიხარულიძე და მხატვარი ვანო ხუციშვილი იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: პანტომიმას, განათებითა და სხვადასხვა სცენური ბუტაფორია – აქსესუარებით, რეკვიზიტით ქმნიან გალაკტიონისეულ სამყაროს (ცილინდრი, თეთრი ხელთათმანი, ვიოლინო...) ხმაურით, მუსიკით, სიჩუმითაც კი მეტყველებს თეატრალური მონო-კამერული სახე არტისტისა.

ელდინო საღარაძის დღევანდელი პოეტური პარტნიორი მისივე ჩრდილია, უფრო სწორედ – გალაკტიონის აჩრდილი. ის ხან დიდდება, ხან პატარავდება, ხანაც საერთოდ იკარგება და ასე ლანდების ლაციცში გადის ერთი საათი. მონუსხული მაყურებელი, ზედმეტ სუნთქვასაც კი ერიდება... იმდენად თანაზიარია სპექტაკლისა...



გალაკტიონი

ელდინო საღარაძე ქალური და ლირიულია, თუმცა გალაკტიონის პოეტური მანტია მარჯვედ აქვს მორგებული და ღირსეულად ატარებს სპექტაკლიდან – სპექტაკლამდე.

საოცარია ფინალური სცენა – კვლავ გალაკტიონის ხმა „მთაწმინდის მთვარე“ – გალაკტიონის საფლავზე აყვავებულან ატმის დაღარული რტოები. მათ წინაშე მუხლზე პატიებისა და შენდობისათვის დაჩოქილა მისი ჭირისუფალი – მთელი საქართველო!

1989 წლის 9 აპრილის ლამის მიტინგის რეტროსპექტივა

(ნაწყვეტი)



– დამშვიდდით, ხალხო, აქ ისეთი არაფერი მომხდარა! – მიტინგი მიჰყავს **მერაბ კოსტავას**.

– კიდევ მოდიან ტანკები! – **ზურაბ ჟვანიას** ხმას ჰგავს...

– მამაო ჩვენო! – ლოცვას წარმოსთქვამენ **ირაკლი წერეთელთან** ერთად (ხალხი თითქოს ერთნაირად, პაუზით სუნთქავს).

– ხალხო, ჩვენ არაფერი არ მოგვივა, ჩვენთან არის სიმართლე! – კვლავ **მერაბ კოსტავას** ხმა ეხმიანება ჩურჩულს.

– ტელევიზიასთან წავიდეს ნაწილი! – არის **გია ჭანტურიას** შეძახილი.

– ვაჩვენოთ ხალხს ერთიანობა ქართველი ერის, სულიერი სიმშვიდე ჩვენი... ტანკებმა ჩაიარეს, პროვოკაციამ ჩაიარა – მეგაფონით მიმართავს ხალხს **მერაბ კოსტავა**.

– ჩვენ გამარჯვებული ვდგავართ აქ!

მიტინგის ამ მონაკვეთში ერთვება **გია ჭანტურია**:

– ხალხო, ერევანი გაფიცულია, ის უთანაგრძნობს საქართველოს – ლაპარაკობს ტანკების შემოსვლაზე.

– ხალხო, ნუ გეშინიათ, ნუ წამოეგებით პროვოკაციაზე!

– **ჯუმბერ ჭუმბურიძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემოგიერთდათ ოფიციალურად!

– ხელისუფლების თანხმობით შემოდიან ტანკები, ისინი, ვინც ამ შენობაში არიან, უნდა თვითონაც ხალხთან დადგნენ!

– ეს არის ჩვენი მოთხოვნები, რისი გულისთვისაც ვშიმშილობთ!

– გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

(თითქოს მთელი საქართველო ამას სკანდირებს)

– მე ვთხოვ ყველა ქართველ მწერალს დადგნენ თავისი ხალხის გვერდით! – (პოეტ **იზა ორჯონიკიძის** ხმა).

– ხალხო, არ აყვეთ პროვოკაციებს, ტანკების გამომგზავნელს რა უნდა ეფიქრა, უნდათ ხალხს გადაუარონ, ბავშვები გაიტანონ! – ისმის უნივერსიტეტის პროფესორ **სოლომონ ხუციშვილ**ის ხმა (ბ-ნი სოლომონი უნივერსიტეტში XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურას მიკითხავდა – მიყვარდა, ხმით ვიცანი ნ. დ.)

უსინათლო მომღერლები ჯიუტად მღერიან: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, – ჩვენი ძალა ღვთიურ სიმშვიდეშია, გავიხსენოთ ქრისტე, ლოცვა – „განვიწმინდეთ ცოდვათა ჩემთა“...

– ლოცვას უერთდება **მერაბ კოსტავას** ხმა.

– ტანკები უკან გაბრუნდებიან, ხალხო, ჩავხერგოთ გზა! – (მიტინგი კვლავ **გია ჭანტურიას** მიჰყავს).

– ქართველი ხალხი თავისუფალია ტირანიისგან! ის ადგილი, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, წმინდა ადგილია.

ამ ადგილზე მარხია ტაბახმელაზე დახვრეტილი ხალხი!

– წარსული და მომავალი ერთადაა! – **ზვიად გამსახურდიას** შეძახილს ენაცვლება **გია ჭანტურია** – გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

– არავითარი შეურაცხყოფა არ მიაყენოთ რუს ჯარისკაცებს. – კვლავ **გია ჭანტურია**.

– ხალხო, ეს არის ჩვენი შეშინების ცდა, მათ არა აქვთ უფლება ესროლონ უიარაღო ხალხს... ერიდეთ პროვოკაციებს... არ ისროლოთ ქვები – **ნოდარ ნათაძის** ხმა – ჩავხერგოთ ყველა მისასვლელი და გზა გავუხსნათ სასწრაფო დახმარების მანქანებს...

– მოდიან ცრემლსადენი გაზით. გთხოვთ, მოშიმშილეებს ზემოთ გავაკეთოთ კორიდორი! – კვლავ **გია ჭანტურია** აქტიურობს.

– წინადადება შემომაქვს, საქართველოს კომუნისტური პარტია გამოცხადებულ იქნეს დანაშაულებრივ და ანტიეროვნულ დაწესებულებად და ამისათვის მოელის შეჩვენება! (**ზვიად გამსახურდია** გრძნობს მოვლენის კულმინაციას!).

მღერიან „მრავალჟამიერს“, „ჩემო კარგო ქვეყანას“, „შავლეგოს“ – ქართველი ხალხი, როგორც ერთსულ, ისე ერთხორც, ერთ მუშტად შეკრული დგას დარბევის, გაზით მოწამვლის, სიკვდილის ნიჩბებით დაჩეხვის მოლოდინში გაყურსული... გარინდებული...

2004 წელს მოისმინა ***ნუნუ დალაქიშვილმა***

საქართველოს რადიო 85 წლისაა

საქართველოში პირველი მაუწყებლობა 1925 წლის 23 მაისიდან დაიწყო. დიქტორმა ბოიარსკიმ ქართველ ხალხს მიულოცა რადიოს გახსნის დღე და გამოაცხადა პროგრამა. 8 კაცისაგან შემდგარ ვოკალურ ჯგუფთან ერთად მომღერალმა მარო თარხნიშვილმა პირველად შეასრულა „ურმული“, შემდეგ გამოვიდნენ სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, ლადო გერმესაშვილი (ოპერიდან) და პიანისტი ბარათოვა. მაუწყებლობის გახსნის აღსანიშნავად კომუნარების ბაღში უამრავი ხალხი შეგროვილიყო.

1936 წელს რადიო კიროვის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის შენობაში გადავიდა, ხოლო 1956 წლიდან საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა უკვე (ლენინის) ახლანდელი კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობიდან მაუწყებლობს...

მარო თარხნიშვილის ხმა და მისი შესრულებული „ურმული“ – რადიოს დაბადებასთან ასოცირდება...

2010 წლის 23 მაისს საქართველოს რადიო 85 წლის გახდა. ეს წიგნიც ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება.

თარხნიშვილების ქართლ-კახური სიმღერების მომღერალთა გუნდი, 1927 წ.
(ცენტრში მარო თარხნიშვილი)

აკაკი ძიძიგური

ვყვი ძიძიგურის მოგონება

დღემდე სათუთად ვინახავ უშანგის ნაჩუქარ წიგნს, რომელსაც აწერია: „თუ ჩემზე ცუდი წარმოდგენა დარჩა ხალხს, როგორც მსახიობზე, ეს იძნება არა მარტო ჩემი, არამედ შენი ბრალიც“

თუ როგორ ჩაიწერა რადიოში უშანგი ჩხეიძის მონოლოგები... (1963 წლის ჩანაწერი)

აკაკი ძიძიგური – 1937 წლის ზაფხული ბორჯომში გავატარე. ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა სასტუმროში, სადაც იმხანად უშანგი ჩხეიძეც ისვენებდა. მას მოწაფეობის წლებიდანაც ვიცნობდი, ხოლო მამაჩემი უშანგისთან მეგობრობდა კიდეც.

უამინდობამ, ერთხანს, ყველანი სასტუმროში გამოგვკეტა. საღამოობით, ხან ერთი სასტუმრო ოთახის ფოიეში ვიყრიდით თავს, ხან – მეორეში. შეძლებისდაგვარად ვერთობოდით.

უშანგი ჯერ ფრთხილად, ხოლო შემდეგ თამამად შემოუერთდა ჩვენს წრეს. მახსოვს, ერთ საღამოს, ჩვენთან რამდენიმე კაცმა მოიყარა თავი, სიცილით და სიმღერით გავათენეთ.

უშანგი თავისი ლამაზი, მომხიბვლელი ხმით მღეროდა იმერულ, ტკბილხმოვან სიმღერებს. განსაკუთრებით კი, კვიჟინაძის ცნობილ სიმღერებს სპექტაკლიდან „კაკალ გულში“. სასტუმროს ძილგატეხილი, მაგრამ ფრიად ნასიამოვნები მცხოვრებნი სულგანაბულნი უსმენდნენ დიდ მსახიობს.

ყველას მონატრებოდა მისი ესოდენ გულში-ჩამწვდომი, შთამბეჭდავი ხმა. მეორე თუ მესამე დღეს, სიტყვამ მოიტანა და გავუბედე.

– თუ სცენაზე გამოსვლას ერიდები, იქნებ რადიოთი მაინც გამოხვიდე-მეთქი.

წარმოიდგინეთ, რომ არ იუარა – „ამაზე მეც მიფიქრიაო“ – მიპასუხა.

შემდეგ, როცა რადიოში დავიწყე მუშაობა, უშანგის ნათქვამი გამახსენდა და ერთხელ ბატონ დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად უშანგის ვეწვიე. მას ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა.

ბევრი ვისაუბრეთ, ხილითა და ღვინით გაგვიმასპინძლდა და ბოლოს შევახსენე ის დაპირება, თუ გახსოვთ-მეთქი.

ესიამოვნა ეს ამბავი, მაგრამ სახეზე შევატყვე, დააფიქრა რაღაცამ. იმიტომ, რომ თავისთავისადმი დიდად მომთხოვნი იყო. შეაკრთო ასიათასობით მსმენელის წინაშე გამოსვლამ.

სცენები სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“

– ამას დიდი დაფიქრება და მომზადება დასჭირდება. უკეთესად გავხდები და მე თვითონ მოგაკითხავთო – შეგვპირდა.

აკაკი ძიძიგური, ლევან ქიშმიშევი, შოთა არჩვაძე, თენგიზ აბულაძე

მაგრამ ამაო იყო ჩვენი მოლოდინი. ერთი-ორჯერ კიდევ მივედით, მიგვიღო, შეგვხვდა, მაგრამ რადიოთი გამოსვლა კვლავ გაურკვეველი დროით გადაიდო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საქართველოს რადიოსათვის სრულიად უცნობი „დაგლეჯილ-დასახიჩრებული“, „ნაომარი“ აპარატი ჩამოიტანეს გერმანიიდან. ამ უცნაურ აპარატურას მაგნიტოფონი – ჩამწერი ერქვა.

ჩვენმა, ქართველმა ინჟინრებმა მალე გაუგეს „საიდუმლოება“, ააწყეს და პირველი ჩანაწერებიც მოგვიმზადეს. მაგნიტოფონის გამოჩენამ ახალი იმედებიც ჩაგვისახა გულში. უშანგის შინ ვეახელით და ხმის ჩაწერა და შემდეგ მისი ექსპოზიცია შევთავაზეთ, მაგრამ „დღესხვალეობით“ საქმე წინ ვერ წავიდა.

პატივცემული დავით ჩხეიძე, უშანგის ძმა, რომელთანაც უშანგი ცხოვრობდა და მთელი მისი ოჯახი, მისი დების სახით, დიდად გვიწყობდა ხელს ამ საქმეში, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ერთხელაც, დავით კლდიაშვილის იუბილესათვის მზადების პერიოდში, უშანგიმ პირობა მოგვცა: სცენებს „დარისპანის გასაჭირიდან“ და „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ უეჭველად ჩავწერო.

იუბილის დღე რომ მოახლოვდა, და სიტყვა მაინც გატყდა, ჩვენც ერთ ხერხს მივმართეთ, უშანგის ვუთხარით: – შენ რომ ჩაწერის პირობა მოგვეცი, შენი გადაცემები გეგმაში შეუტანიათ და უფროსები დაუიმედებიათ, „უშანგი კვლავ დაუბრუნდა ხელოვნებასო“, ახლა ეს რომ ჩაიშალოს, ამ საწყალ რედაქტორს ამისათვის სამსახურიდან მოხსნიან-მეთქი...

შოთა არჩვაძე, აკაკი ძიძიგური

დილიდან საღამომდე არ შეწყვეტილა ჩემთან სატელეფონო ზარები. ვიცოდი, უშანგი მეძებდა და მეც გულმოდგინედ ვემალებოდი. მეორე დილით, ალიონზე დამირეკა: – იმ რედაქტორის ამბავი როგორ არის, ხომ არ მოხსნეს თანამდებობიდანო?!

მეც დამშვიდება დავუწყე, შევატყვე ჩანაფიქრი მიზანს აღწევდა. მეორე დილისათვის დანიშნა ჩაწერა.

საჭირო იყო სატელეფონო ხაზების „კროსირება“. ეს იმ დროისათვის საკმაოდ ძნელი საქმე იყო. უშანგი თავის სახლში მიკროფონთან კითხულობდა, ჩაწერა კი რადიოსტუდიაში ხდებოდა. სატელეფონო ქსელის მაშინდელი უფროსი კონსტანტინე წერეთელი სასწრაფოდ დაფაცურდა.

– ოღონდ უშანგი კვლავ მაჩვენეთ და მომასმენინეთ მისი ხმა, ყველაფერს ჩემი ხელით გავაკეთებო!

მართლაც, ყოველივე კარგად მოეწყო. წავიყვანეთ ჩვენი ხმის რეჟისორი – ლევან ქიშმიშევი და უშანგისთან სახლში გამოვცხადდით. უშანგი გაფითრებული დაგვხვდა, ღელავდა. ვატყობდით, რომ იმდენად ჩაწერა კი არ აინტერესებდა, რამდენადაც ჩვენს „გადარჩენაზე“ ზრუნავდა. პატივცემული დავითიც, მისი ძმა, აგულიანებდა, ამხნევებდა, ათამამებდა. მანვე გაუწია უშანგის პირველი პარტნიორობა. დავითიც მსახიობი იყო პროფესიით, ერთად ჩაწერეს ერთ-ერთი სცენა სპექტაკლიდან. ჩაწერა კარგად წარიმართა.

მეორე დღეს, რადიოგადაცემის წინ, უშანგის მეგობრებს დავურეკე, მათ შორის, აკადემიკოს – სიმონ ჯანაშიას, გერონტი ქიქოძეს, სიმონ ჩიქოვანს და

სხვებს. ვთხოვე რადიოთი მოესმინათ უშანგისთვის...

მთელი ქალაქი გამოაცოცხლა უშანგის ხმამ, ზარებმა აიკლო მთელი რადიო – ფირფიტების ჩანაწერია, თუ კვლავ აღდგა ჩვენი სასიქადულო მსახიობიო – კითხულობდნენ უშანგის თაყვანისმცემელნი. მხოლოდ გვიან ღამით შევძელი დავკავშირებოდი უშანგს.

მილოცვებითა და მოსიყვარულებით გადაღლილი, მაგრამ ბედნიერი ჩანდა. იმ საღამოს მან კვლავ ააფორიაქა თეატრალური საზოგადოება. კვლავ იგრძნო დიდი სიხარული, რასაც წლების მანძილზე, ოთახში გამოკეტილი, მოკლებული იყო.

შემდეგ დაიწყო ჩანაწერების მთელი სერია. ჩაწერისას ძლიერ იღლებოდა. მთელი დატვირთვით მუშაობდა. მონოლოგების შესრულებისას განსაკუთრებით იცლებოდა სასიცოცხლო ძალებისაგან!

მახსოვს „ჰამლეტის“ მონოლოგს კითხულობდა. აი, იმას, რასაც თქვენ ახლა რადიოთი ისმენთ ხოლმე, იქვე მდგომი, ყურმილით ვიყავი დაკავშირებული სტუდიასთან, უეცრად მომესმა ოპერატორის გამყინავი ხმა:

– ბატონო აკაკი, ფირი გაწყდა, სთხოვეთ უშანგს თავიდან დაიწყოსო! – ეს იყო ჩემთვის შემზარავი ფრაზა. ვის შეეძლო ახლა უშანგის შეჩერება, ეს მისთვის იქნებოდა ძალზე შემაკრთობელი და საშინელი.

როცა უშანგიმ დაასრულა კითხვა და გამოერკვა, თითქოს გონს მოეგო და თქვა:

– ახლა მომასმენინეთ, რა გამოვიდაო! – მაგრამ როცა გაიგო რომ ჩაწერა ფირის გაწყვეტის გამო შეწყვეტილა... წელში მოიღუნა და ერთ მუჭად იქცა ეს ვეება კაცი... იქვე მიწვა ტახტზე, ხმა არ ამოუღია... მეც მდუმარედ ვიდექი მასთან კარგა ხანს. შემდეგ შეამჩნია, ჩემი ასეთი „ჩაფიქრებული მდუმარება“, გამიცინა, გამამხნევა და „ვაი ამ გამხნევებას“. ეს იყო ჩვენი მუშაობის ყველაზე კულმინაციური და კურიოზული დღე...

მომდევნო წლებში, ერთადერთი მოძრავი მაგნიტოფონი „დნეპრი“ მივიღეთ. აპარატი უფრო ხშირად უშანგის ოთახში იდგა. მაგნიტოფონის უხარისხობას ოთახის ცუდი აკუსტიკაც ერთვოდა თან, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა.

აი, ეს ტექნიკურად სუსტი და უშანგისაგან შესანიშნავად შესრულებული ჩანაწერი, დიდი დამუშავების შემდეგ იქნა ამ სახით რადიოს ფონდში შენახული.

მონოლოგები დიალოგებმა შეცვალა. ახლა მასთან იყვნენ მისი სცენური ბედნიერების სწორუპოვარი თანამგზავრნი: ვერიკო ანჯაფარიძე, ძმადნაფიცი – შალვა ღამბაშიძე, თეატრის მთელი დასი.

საათობით ვისხედით მასთან და ქვეყნის ავკარგზე ვსაუბრობდით, გეგმებს ვადგენდით. უშანგის ხელით გამოცხობილი მჭადითა და ზესტაფონური ღვინის ძალით „შეჭუკჭუკებულნი“. უშანგის თვითონ უყვარდა თავისი ხელით გამასპინძლება...

როცა „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი მოქმედებისათვის მთელმა დასმა უშანგის ბინაში მოიყარა თავი, ჩვენ ვუთხარით: – რაღა დარჩა, ყველა აქ არის, ერთადერთი ჩაბნელებული სცენაღა გვაკლია-მეთქი. ბარემ შენს საყვარელ თეატრში გამოდი-თქო, – გამიცინა – „იმდენს იზამთ, მართლაც ამიყვანთ სცენაზეო!“

შეთანხმებულიც ვიყავით, რადიოს დიდ სტუდიაში უნდა დაეწყო გამოსვლები. მოსვლას დაგვპირდა, – მოვალ, ოღონდ მანდვე, სტუდიაში, საწოლიც მომიმზადეთ, როცა დავიღლები, დავისვენებო!

რატომღაც მჯეროდა, რომ რადიოს დიდი სტუდია გზა იქნებოდა სცენისაკენ!.. ერთ-ერთ თავის კერძო ბარათში თავმდაბლად სწერდა: – მე ცუდი წამკითხველი ვიყავი, ვიდრე – მსახიობი, ხოლო რადიოში კიდევ უფრო ცუდი ვარ, ვიდრე – სცენაზეო...

სათუთად ვინახავ მის ნაჩუქარ წიგნს, რომელსაც აწერია: „თუ ჩემზე ცუდი წარმოდგენა დარჩება ხალხს, როგორც მსახიობზე, ეს იქნება არა მარტო ჩემი, არამედ შენი ბრალიც. რადგანაც რადიოსთან შენ დამაკავშირე, სწორედ მაშინ, როდესაც სასურველ „სპორტულ“ ფორმაში არ ვიყავიო“.

იმდროინდელი რადიოს მუშაკები თავს ბედნიერად თვლიან, რომ კვლავ გაისმის ხოლმე ამ დიდი მსახიობისა და შემოქმედის უშანგი ჩხეიძის გულშიჩამწვდომი, ცოცხალი ხმა.

მხოლოდ რადიოს საშუალებით გახდა შესაძლებელი შემოგვენახა უშანგის ხმა ჩვენი შთამომავლობისათვის.

ვფიქრობ ბედნიერი ის ადამიანია, ვინც ერთგულად ემსახურება ხალხს

ომის ქარცეცხლიან დღეებს იგონებს რადიოს მხცოვანი დიქტორი ქეთევან ლანდია.

1984 წლის გადაცემის ავტორია
ნანა ტალახაძე

ქეთო ლანდია – რა დალევს მოგონებებს, სამამულო ომის იმ ქარცეცხლიან დღეებზე, რადიო იყო იმ დროს, ზურგში მყოფი ადამიანებისთვის, – საარსებო პურიც, ჰაერიც, წყალიც. მსმენელი ერთი წუთითაც უყურადღებოდ არ ტოვებდა რადიოს.

აუწერელია ის შრომა და თავდადება, რასაც რადიოს ყოველი მუშაკი ეწეოდა იმხანად. თვით რადიოკომიტეტის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – ლეო ესაკია, ეს დაუშრეტელი ენერგიისა და ნებისყოფის ადამიანი, დღე და ღამე თავის სამუშაო ადგილზე იყო.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს რადიოში მუშაობდნენ: რედაქტორთა, მთარგმნელთა, სტილისტთა, სტენოგრაფისტთა საუკეთესო კადრები. უჩვეულო სისწრაფით ითარგმნებოდა და ოპერატიულად გადაიცემოდა

მერი მიქელაძე, ქეთო ლანდია, ლევან ყავლაშვილი

დავით ძიგუა

ქართულად, მოსკოვიდან მიღებული საინფორმაციო ბიუროს ცნობები. ჩვენ გვერდით ჟურნალისტები, კომპოზიტორები, მსახიობები, თავიანთი სიტყვით, მუსიკით, შემოქმედებით ამხნევებდნენ ზურგში დარჩენილ მშრომელებს.

ქმნიდნენ საუკეთესო ნაწარმოებებს ფრონტზე მყოფთა გმირობასა და ვაჟკაცობაზე, რადიოთი გადაიცა პირველად ხალხური სიმღერა: „ჭიჭიკო ბენდელიანზე“, „ალექსანდრე წურწუმიაზე“, „კაპიტან ბუხაიძეზე“. მახსოვს, ალ. წურწუმიაზე სიმღერის ლექსიც და მელოდიაც შექმნა ნოკო ხურციამ, ვერ წარმოიდგენთ, რა სიყვარულით, რა ხალისით მღეროდა ანსამბლთან ერთად – ხალხური სიმღერების ეს უბადლო შემსრულებელი.

აქ, ჩვენთან მუშაობდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, იტალიის, საბერძნეთის ღვაწლმოსილი ჟურნალისტები. საოცარი ოპერატიულობით გადასცემდნენ თავიანთ რადიოსადგურებს საჭირო ცნობებს.

მახსოვს, ამირან გაბისკირია, რადიოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც დაუღალავი შრომის მაგალითს იძლეოდა. სწორედ ომის წლებში გამოვლინდა საქართველოს რადიოს მაშინდელი დიქტორების მაღალი ოსტატობა. პირველ რიგში მინდა დავასახელო ალექსანდრე ცერცვაძე, მოხალისედ რომ წავიდა პირველივე დღეებში ომში.

ფეხმძიმე მეუღლეს დაუბარა, რომ განურჩევლად იმისა, ვაჟი დაიბადებოდა თუ ქალი, ბავშვისათვის დაერქმია სახელი – „დისო“ – დიდი სამამულო ომი.

ასეც მოხდა, ალექსანდრე ცერცვაძე დიდი სამამულო ომიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდა, მისი შვილი – დისო აგრძელებს სიცოცხლეს და თავისი კარგი მამულიშვილობით უკვდავყოფს საყვარელ მამის – რადიოს დიქტორის, ალექსანდრე ცერცვაძის სახელს.

მძიმე იყო ომში პირველი წარუმატებლობის წლები. ყოველი ახალი ცნობის გადაცემისას ჩვენი დიქტორები (განსაკუთრებით მამაკაცებს უხდებოდათ ასეთი ცნობების გადაცემა) ლამის ერთ სიცოცხლეს ამთავრებდნენ, მაგრამ მათ ხმაში გამარჯვების იმედი, რწმენა მაინც ჭარბობდა. თითოეულ ჩვენგანს სწამდა გამარჯვებისა და ამიტომაც იყო, რომ ჩვენს ერთგულ მსმენელს იმედი არასოდეს დაუკარგავს.

ჩვენს თავმჯდომარეს, ლეო ესაკიას, ერთმა მსმენელმა მოსწერა: „ისე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში რადიო, ყველა დიქტორი – ჩვენი ოჯახის წევრად მიგვაჩნიაო“. და მართლაც, თითქმის ყოველდღიურად ვიღებდით წერილებს საქართველოს ყოველი კუთხიდან.

ფრონტიდან „სამკუთხა ბარათებიც“ მოჰქონდათ. ერთი მებრძოლი ჩვენს დიქტორს ლია ჭანიშვილს სწერდა – „შემთხვევით დავიჭირე თბილისის ტალღა, რა ბედნიერი ვარ, თქვენმა ხმამ და მშობლიურმა ენამ ისეთი იმედი ჩამისახა, რომ მჯერა უთუოდ გადავურჩები ომის ამ ჯოჯოხეთს. მე თქვენს ხმაში გამარჯვების წინასწარმეტყველება ამოვიკითხე.

მჯერა, შინ გამარჯვებული დავბრუნდები“.

აი, კიდევ ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც მე მივიღე. „ძმაც და მეუღლეც ფრონტზე მყავს. არ ვიცი, ვიქნები ისეთი ბედნიერი, რომ ორივე ცოცხალი დამიბრუნდეს, მაგრამ მე მჯერა ჩვენი გამარჯვებისა. გუშინ, როდესაც თქვენ კითხულობდით ერთ ამბავს, რომლის სათაური იყო „ერთგულება“, მე ისე მომინდა თქვენი ნახვა, ნახვა იმ ადამიანის, რომელიც თავისი ხმით იმედს მინერგავდა, რომ რადიომიმღები გულში ჩავიკარი, დავკოცნე და თანაც ჩემი ცრემლებით დავასველე“.

ომის იმ ქარცეცხლიან დღეებში საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტმა შეფობა აიღო ჰოსპიტალზე, რომელიც მდებარეობდა ჩიტაძის ქუჩაზე, ყოფილ ქალთა გიმნაზიის შენობაში. ჩვენგან შექმნილი ბრიგადები ატარებდნენ კონცერტებს დაჭრილთათვის, გარდა ამისა, სანიტრებს ვეხმარებოდით დაჭრილთა მოვლასა და ჰოსპიტალის დალაგებაში.

ლოგინზე მიჯაჭვულ ავადმყოფებს ვუკითხავდით ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, მათ მაგივრად ვწერდით წერილებს და ვუგზავნიდით დაჭრილების ნათესავებს. მიგვქონდა მათთვის პატარ-პატარა საჩუქრები, სულითა და გულით ვცდილობდით ომისაგან მიღებული ჭრილობები შეგვემსუბუქებინა.

ამ საშეფო მუშაობას ხელმძღვანელობდა დიმიტრი ვეჩერკოვსკი, ჩვენი მუსიკალური გადაცემების რედაქტორი. ძალიან ენერგიული და გულისხმიერი ადამიანი. დაჭრილებს მისი დანახვა ენერგიას მატებდა.

საშეფო მუშაობაში იყვნენ ჩაბმული ჩვენი რიგითი მუშაკები: ლუსია პატროვსკაია, ჟენია არჩვაძე, ლუსია აბრამიანი, ლია ჭანიშვილი და სხვა...

ყველასგან გამოირჩეოდა თავისი გულისხმიერებით, ომის ბოლო წლებში სამუშაოდ მოსული გოგონა – მაგუ ურუშაძე. 1945 წლის საშეფო მუშაობისათვის დაგვაჯილდოვეს საპატიო სიგელებით.

ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო თვით დაჭრილი მებრძოლების მიერ გამოთქმული მადლობა იყო.

მარიკა ჩახავა, ქეთო ლანდია, ლევან ყავლაშვილი, იაგო დუმბაძე

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო: ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა შაოსანი ქალბატონი და მე გვერდზე გამიხმო, შემომხედა და მითხრა: „მინდოდა მენახა და მადლობა მეთქვა იმ ადამიანისთვის, რომელიც ყოველ დღე „მშვიდობის დილასა“ და „მშვიდობის ღამეს“ გვისურვებს-ხოლმე. რომ იცოდეთ, რა ბევრს ნიშნავს თქვენი გულითადი სალამი, ჩემნაირი გაუბედურებული ადამიანისთვის, რომელიც თავისი ბინის ოთხ კედელს შუაა მარტო გამოკეტილი“.

ეს ქალი გახლდათ ომში დაღუპული მფრინავის ოთარ კაპანაძის დედა.

დიახ, რადიოს არსებობის პირველ დღიდანვე კეთილი სალამი გაისმის. ამ სალამს მოყვება ქვეყნის ავ-კარგის ცნობა,

რომელიც მსმენელამდე დიქტორებს მოაქვთ, რომელთა გულითადი, გააზრებული კითხვით, შეუძლიათ ადამიანებს სიხარული და შვება მოუტანონ.

საქართველოს რადიო ყოველთვის რჩება სიკეთის პირველ მაუწყებლად.

იმ დილითაც გაზაფხულის საამური ამინდი იდგა. ომი თითქმის მთავრდებოდა.

დავით ძიგუა ჩვენი რადიოსათვის დაუვიწყარი დიქტორი იყო, ის ყოველდღე ზედიზედ გადასცემდა სასიამოვნო ინფორმაციებს. რეპროდუქტორი შუა ქუჩაში ეკიდა. მახსოვს, მას ერთი ხნიერი მამაკაცი მიუახლოვდა და როგორც ცოცხალ ადამიანს ისე შეჰყვირა: – „შენი ჭირიმე, შენ ხმას ვენაცვალე, აბა შენ იცი, როგორ გაანადგურებთ მაგ ძაღლებს. ისე ნუ მომკლავს ღმერთი, რომ ფაშისტებზე გამარჯვება არ ვიზეიმოო“...

უსაზღვრო სიამაყის გრძნობამ შემიპყრო, რა ბედნიერებაა იყო შენი ქვეყნის ავ-კარგის პირველი მაცნე, შეგეძლოს შენი ხმით ადამიანებს იმედი და სიხარული მოუტანო!

ავთო ტაბიძე, მედეა ჩახავა, შოთა არჩვაძე

გუშინდელივით მახსოვს, გაზაფხულის ის ბრწყინვალე დილაც და ვინ იცის უკვე მერამდენედ ვკითხულობდით უმაღლესი მთავარსარდლის, სტალინის ბრძანებას. ასეთი ბედნიერი და ახალგაზრდული ხმა დავით ძიგუას არასოდეს ჰქონია. დაუვიწყარია ჩემთვის ის დღე ალბათ იმიტომ, რომ იმ ერთმა დღემ ხალხს მოუხსნა გულის ყველა ტკივილი, გაანელა უზომო ცრემლი, დაამკვიდრა ქვეყნად მშვიდობა. სწორედ იმ დღეს

ჟანეტა არჩვაძე

წავიკითხე გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სადღეგრძელო“.

დავით ძიგუას, ქეთო ლანდიას და ეროსი მანჯგალაძესთან ერთად, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დიქტორის პროფესიას ქალბატონი მედეა ჩახავაც ეუფლებოდა... ეს უნიკალური ფოტო სწორედ იმ წლებშია გადაღებული – ავთო ტაბიძესთან და შოთა არჩვაძესთან (რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქტორი, სცენარისტი).

ჩემი პირველი რადიოეთერი დავით ძიგუასთან ერთად დავიწყე. ტელევიზიაში კი, ბატონ დავითს უკანასკნელი ეთერი საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ ჩემთან ერთად ჰქონდა, – მოგვითხრობს ტელევიზიის დიქტორი, სახალხო არტისტი, ჟანეტა არჩვაძე.

– გამარჯობათ ბავშვებო, ვიწყებთ „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვებას – ასე ესალმებოდა ყოველ დილით ჯულიეტა ვაშაყმაძე.

ჯულიეტა ვაშაყმაძე

და ასე იწყებოდა საკვირაო რადოგადაცემა „პიონერთა დაფიონი“ – მაშინ ჯულიეტა 14 წლის იყო!..

შემდგომ წლებში კი იყო არაერთი რადიორეპორტაჟი, მონაწილეობა რადიოგადაცემებში ცნობილ მსახიობებთან ერთად!

შემდეგ... საქართველოს ტელევიზიის – ნახევარსაუკუნოვანი ტელეშემოქმედება!

– რადიო ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს დღესაც! მით უმეტეს, რომ საქართველოს რადიო ჩემთვის იყო გზა ტელეეკრანისაკენ!“ – იგონებს ყველასთვის საყვარელი დიქტორი ჯულიეტა ვაშაყმაძე.

ისინი ყველაზ ჩვენი წასმოწყობის თანაავტორები იყვნენ

მოწიწებით თავს ვხრი იმ ადამიანთა წინაშე, რომლებსაც სიცოცხლე, სიყვარული, ნიჭი არ დაიშურეს იმისათვის, რომ შეექმნათ რადიოს ჩანაწერთა, მართლაც, უნიკალური ფონდი – იგონებს ბატონი **გივი დვალიშვილი**

გივი დვალიშვილი

გადაცემის ავტორია
მანანა თევზაძე (1982 წლის ჩანაწერი).

გივი დვალიშვილი – 50-იან წლებში საქართველოს რადიოში დიდი ყურადღება მიექცა ისეთ სპეციფიკური ჟანრების განვითარებას, როგორიც იყო: რეპორტაჟი, რადიოდადგმა, რადიონარკვევი და სხვა. ვრცელი სიუჟეტების, სიტუაციების ამსახველი ტექსტების ნაცვლად, წინა პლანზე წამოვიდა ცოცხალი მუსიკის ე. წ. „თანხლება“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წინამორბედების მიერ, ამ მხრივ დაგროვილი იყო გარკვეული საინტერესო გამოცდილება, საჭირო შეიქმნა ზოგიერთი რამის გადახედვა, განახლება, თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინება.

ახალი ტექნიკით შევსებამ, მაგნიტოფირების რაოდენობის გაზრდამ, უფრო მეტი საშუალება მოგვცა საუკეთესო ჩანაწერების შენახვისა, რასაც ჩვენდა სამწუხაროდ, მოკლებულნი იყვნენ ჩვენი კოლეგები, ფირის უქონლობის გამო. ისინი, იძულებულნი ხდებოდნენ, ბევრი საინტერესო ჩანაწერი წაშალათ.

შეცვლილმა ვითარებამ საშუალება მოგვცა უფრო თამამად გვეფიქრა ჩანაწერების ფონდის გაზრდაზე და ამაში ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია ესტონელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებამ.

ჩემთვის და რადიოს ლიტერატურული გადაცემების რეჟისორის – გურამ მაცხონაშვილისათვის, ტალინის რადიოს ლიტერატურული რედაქციის მუშაობა, მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციაში მაშინ, ჩემი აზრით, თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტები მუშაობდნენ: გურამ ბუხნიკაშვილი, ციალა ყიფიანი, უფრო გვიან მოსულნი – აკაკი კობერიძე, ლამარა კიკილაშვილი, თინა კობალაძე, სულიკო გაწერელია. რეჟისორები – გიორგი ვასაძე, გურამ მაცხონაშვილი, ვახტანგ მაღლაფერიძე.

დიდი სიყვარულითა და მონდომებით, და საქმის ღრმა ცოდნით აკეთებდნენ, ჩემი აზრით, საშვილიშვილო საქმეს. მათ აღადგინეს ბევრი საინტერესო სპექტაკლი, რომლის ჩაწერაც, თავის დროზე, ვერ მოხერხდა. ვგულისხმობ სპექტაკლებს: „რღვევას“, „ანზორის“ და სხვა.

ისინი შეეცადნენ შესაძლებლობის ფარგლებში ამ სპექტაკლებში მიეწვიათ ის მსახიობები, რომლებიც მასში თავდაპირველად მონაწილეობდნენ. არსებული ჩანაწერებისა და შემდგომი ხმების დამატებით შეიქმნა, ჩემი აზრით, უნიკალური სპექტაკლი: „ურიელ აკოსტა“.

ე. მანჯგალაძე, ა. ძიძიგური, ლ. ქიშმიშევი, შ. არჩვაძე, და სხვ.

აღდგენილი სპექტაკლების ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ, მგონია, ესეც საკმარის წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ საითკენ იყო წარმართული მაშინ ჩვენი ინტერესები: – აღგვედგინა და შეგვენახა ჩვენი რადიომსმენელებისათვის ქართული სცენის კორიფეებისა და გამოჩენილი ოსტატების მონაწილეობით შექმნილი თეატრის საუკეთესო სპექტაკლები.

ამ კეთილშობილური საქმეების განხორციელებაში

პეტრე შამათავა

კარლო გარდაფხაძე

დიდ დახმარებას გვიწევდნენ მაშინდელი ჩვენი ხელმძღვანელები: ანტონ კელენჯერიძე, ივლიტა მესხიშვილი, პეტრე შამათავა, კარლო გარდაფხაძე.

რაც შეეხება რადიოსპექტაკლსა და რადიოპიესების ჟანრს, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა, პირველი ასეთი სპექტაკლი ესტონელი დრამატურგის არდილიერესის პიესის „ნაბიჯების“ მიხედვით დაიდგა. დადგმა გურამ მაცხონაშვილმა განახორციელა ესტონელ კოლეგასთან ერთად.

დიდი სიხარული მოგვიტანა პირველმა ორიგინალურმა ქართულმა სპექტაკლმა: „სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე“, რომელიც რაულ ჩაჩანიძემ ჩვენთვის სპეციალურად დაწერილი რადიოპიესის მიხედვით დადგა.

მინდა სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით მოვიგონო ის ადამიანები, რომელთა გარეშე სერიოზული მუშაობის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა. ხმის რეჟისორები და ოპერატორები: არჯევან ჯაფარიძე, ვალიკო ბერიაშვილი, შალვა ნიჟარაძე; მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემ მეგობრებსაც: იაკობ ბობოხიძე, ლავრენტი ჭელიძე, ჯუმბერ ნაჭყებია, რომეო ტერ-გრიგორიან; უფროსი კოლეგები: თამარ მდივანი, გივი ჯაფარიძე და სხვები.

მაპატიონ მათ, ვისი გვარიც გამომრჩა, რადგანაც ამ ადამიანების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ყველაფერ იმის გაკეთება, რასაც ჩვენ მაშინ მივაღწიეთ. ისინი ჩვენი ყველა წამოწყების თანაავტორები იყვნენ.

იგონებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარე – **აკაკი ძიძიგური:**

– ახლა არავის უკვირს, როდესაც რადიოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა ინსცენირებებს, რადიოდადგმებს, ტრანსლირებულ თეატრალურ დადგმებს ისმენს. მაგრამ 45-50 წლის წინათ ამის წარმოდგენა არავის შეეძლო, ამას მიგნებაც სჭირდებოდა და ტექნიკის არსებობაც. თავიდან არსებობდა საქართველოს რადიოს ერთადერთი მოზრდილი სტუდია, რომელიც მდებარეობდა თუ არ ვცდები, კიროვის ქუჩა №8-ში, შენობის მეორე სართულზე. აქვე იყო მუსიკალური, დრამატული და სხვა რედაქციებიც.

1937 წლიდან კავშირგაბმულობის სახლის აშენებისა და რადიოკომიტეტის ამ შენობაში შესახლების შემდეგ, კიდევ ერთ-ორ წელიწადს რადიოს მუსიკალურ-დრამატული გადაცემები კვლავ კიროვის ქუჩიდან წარმოებდა.

იმხანად მაგნიტოფონი ან სხვა რამ ჩამწერი აპარატი არ გაგვაჩნდა, არ ვიცოდით მათი არსებობა და ყველა გადაცემა პირდაპირ ეთერში, უშუალოდ გადაიცემოდა. აქ, კიროვის ქუჩაზე, წაკითხულ იქნა პირველად: ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“, სცენები „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, მიხეილ ჯავახიშვილის „მართალი აბდულა“ და სხვა.

გადაცემათა პირველი რეჟისორები და შემსრულებლები იყვნენ იმ დროს სახელოვანი მსახიობები: პიერ კობახიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, ელენე სიბილა, დიმიტრი მჟავია და სხვები.

კავშირგაბმულობის სახლში ამოქმედებული დიდი სტუდიები უკვე მეტ შესაძლებლობებს იძლეოდნენ და მსმენელსაც ძალიან მოსწონდა ხელოვნების ეს სახეობა, დიდად დაინტერესდა რადიოსპექტაკლების გადაცემით.

თავდაპირველად მოთხრობების, რომანებისა და პოემების ადაპტირებული ვარიანტები გადაიცემოდა. შემდგომ კი პიესებსაც სწერდნენ სპეციალურად რადიოსათვის. ჩვენმა რეჟისორებმა და მსახიობებმა თამამად „შებედეს“ ამ დარგს და მიზანსაც მიაღწიეს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ომის პირველსავე თვეებში, როდესაც რადიო სატრანსლაციო ქსელი ერთადერთი საშუალება იყო მხატვრული ლიტერატურის გადაცემისა, ჩვენს მაუწყებლობაში ჩავრთეთ თბილისში მყოფი თეატრის

ეკა მიქაბერიძე, ნანა გურგენიძე, მაგუ ურუშაძე, მედეა ლორთქიფანიძე, ლია ბუაჩიძე, ივლიტა მესხიშვილი, ვენერა კობიაშვილი, დოდო შენგელი, ლია მატარაძე

ლია ჭანიშვილი, ელენე ტაბლიაშვილი, მაგუ ურუშაძე, ქეთო ლანდია, იაგო დუმბაძე

დიდოსტატები: ვლადიმერ ნემეროვიჩ-დანჩენკო, ვასილ კაჩალოვი, კლიმოვი (რომელიც 1942 წლის ბოლოს გარდაიცვალა და ვერის ძველ სასაფლაოზე დაიკრძალა), ლუბიმოვ-ვლანსკოი და სხვები.

ისინი მოსკოვიდან თბილისში გადმოხიზნეს, ომის პერიოდში. ამ სახელოვან ადამიანთა მიერ ჩატარებული უამრავი საუბრების კვალი, სამუდამოდ დაემჩნა ჩვენს დრამატულ გადაცემების რედაქციის პირველ ენთუზიასტებს: პიერ კობახიძეს, დავით ძიგუას, ქეთო ლანდიას და მათ შორის სულ ახალგაზრდა (17 წლის იყო მაშინ) ეროსი მანჯგალაძეს, რომელიც იმ ხანად გამოჩნდა რადიოში, როგორც რადიოს დიქტორი.

ეროსი მანჯგალაძე

40 წლის წინათ, შესაძლებელი გახდა თბილისის თეატრების სპექტაკლების ტრანსლაციაც, ხოლო დავით ძიგუას მიერ შემოთავაზებული კინო-ფილმების რადიოკომპოზიცია უნიკალური იყო!

ამ პერიოდში, რადიოსპექტაკლებზე მომუშავეთა წრე საგრძნობლად გაიზარდა და უკვე გაჩნდნენ დამდგმელი რეჟისორები: შოთა აღსაბაძე, გრიგოლ სულიაშვილი, გიორგი ჟურული და სხვები.

ერთი წლის განმავლობაში ჩვენთან საბავშვო გადაცემათა რედაქციაში რეჟისორად მუშაობდა, თეატრიდან წამოსული გიორგი ტოვსტონოგოვი.

საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციების დამსახურებაა, დღეს უკვე ჩვეულებრივად მიჩნეული, თეატრალური სპექტაკლების ტრანსლაცია. თეატრიდან სპექტაკლის ტრანსლაციისას მაყურებლებისათვის ხანდახან გაუგებარი ხდებოდა ვინ იყო სცენაზე, ვინ შემოდიოდა, ვინ გადიოდა...

სიხარულით ვიგონებ სპექტაკლის პირველ ტრანსლაციას შოთა რუსთაველის სახ.თეატრიდან, როდესაც სცენიდან წამოსულ ხმას „ლიტერის ლოჟაში“ მჯდომი დიქტორის – ქეთევან ლანდიას კომენტარი მიჰყვებოდა თან – სცენაზე არიან მსახიობები (მოქმედი პირები), შემოდის, გადის, მღერის... ესა თუ ის პიესის პერსონაჟი...

ამ ხერხმა თითქოს ვიზუალური გახადა სცენური მოქმედების აღქმა.

1946 წელს რადიოგადაცემებს ახალი ერა დაუდგა, როცა გავიგეთ მაგნიტოფონის არსებობა და მისი პირველი ეგზემპლარი, დამტვრეულ-დაზიანებული, ჩვენი შესანიშნავი ინჟინრების: არჯევან ჯაფარიძის, ლევან ქიშმიშოვისა და ოთარ ქუთათელაძის მიერ იქნა აღდგენილი.

პირველი მაგნიტური ჩანაწერები შესრულებულია გენიალური ქართველი მსახიობის – უშანგი ჩხეიძის მიერ, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოშორებული იყო თეატრს და შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. რადიოს მუშაკებს დიდი ჯაფა და ენერგია, მონდომება, გულმოდგინება დასჭირდათ, რომ მსახიობი დაერწმუნებინათ საკუთარ შესაძლებლობებში და ამ უნიკალური ჩანაწერების წყალობით, რომელიც შემდეგ არაერთხელ გადაიცემოდა რადიოთი უშანგი ჩხეიძე კვლავ დაებრუნებინათ აქტიურ ცხოვრებაში.

P. S. ნ.დ. არ შემიძლია გამორჩეული სიყვარულით არ მოვიგონო – ლავრენტი ჭელიძე, რადიოს ღვაწლმოსილი მუშაკი, ხმის რეჟისორი და თავისი საქმის ნამდვილი „ვირტუოზი“, რაშიც ყოველი ჩვენგანი ხშირად დარწმუნებულა, მისი მუშაობით აღფრთოვანებული.

იყო შემთხვევები, როდესაც დედნების, უნიკალური ჩანაწერების მოსმენებსა და ფირის გადახვევებს ვაწარმოებდით, მათი კონტროლისა და აღდგენის გამო. დედნები ხშირად „არ გვემორჩილებოდნენ“, ფირები იშლებოდნენ, არ ეხვეოდნენ და ასლის გადაწერაც შეუძლებელი ხდებოდა!

მახსენდება ბატონი ლავრენტი ჭელიძე, რომელსაც სიყვარულით „ლაოს“ ვეძახდით, რომელიც ჩვენი დაძახებისთანავე აუდიო ფონდში გაჩნდებოდა ხოლმე და სასოწარკვეთილებაში მყოფთ „გაჭირვების ტალკვესად“, მხსნელად მოგვევლინებოდა.

ნანა ჯაფარიძე, გიორგი ჩოკოშვილი, ოთარ შაორშაძე, მარიკა დარჩია, მანანა ლაჭყეპიანი, დოდო შონავა, ვახტანგ ნანიტაშვილი, ნატო ონიანი, გელა ლეჟავა, ზაზა ქინქლაძე, ზვიად ქორიძე
(გადაცემა **„პიკის საათის“** თანამშრომლები)

რამდენჯერ შვებით ამოგვისუნთქავს, სამადლობელი სიტყვაც ხშირად მოუსმენია ჩვენგან ღიმილით...

მათ, ვისაც ძველ, დეფორმირებულ მაგნიტოჩანაწერებთან გვიმუშავია, მადლიერებით გვახსენდება ბატონ ლავრენტის ე.წ. „გაკვეთილები“. მისთვის ხომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობდა. ხშირად მთელი დღე ერთად, თავდაუზოგავად გვიბრძოლია ფირის „სიცოცხლის გადასარჩენად“.

ლავრენტი ჭელიძის სახელი ყოველთვის განუყოფელი იქნება რადიოს ოქროს ფონდთან!

P.S. ნ. დ. უსამართლობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, განსაკუთრებით რომ არ აღმენიშნა ჟურნალისტ (განათლებით მუსიკათმცოდნე) ილია კევლიშვილის ღვაწლი რადიოჟურნალისტიკაში.

ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი საავტორო გადაცემის და წამყვანი – მუსიკალურ-გასართობი პროგრამის „საღამო მშვიდობისა“, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო. მე თვითმხილველი ვიყავი, თუ როგორ აქტიურობდნენ მსმენელები წერილებით ილია კევლიშვილის გადაცემების კვალდაკვალ, რომელიც პირდაპირ ეთერში იკითხებოდა ყოველგვარი რედაქტირების გარეშე. გადაცემა „ათასი წვრილმანი“ – ათასობით პრობლემებზე, გულისტკივილსა და სურვილებზე უყვებოდა რადიომსმენელს...

ილია კევლიშვილი იქცა შუამავლად ქალაქის მერსა და რადიომსმენელებს შორის. ისინი ერთობლივად წყვეტდნენ ხალხისთვის მრავალ სასიკეთო საქმეს. ასეთი ღია ეთერი მანამდე არც ტელევიზიას და არც რადიოს თითქმის არ ახსოვს.

გურამ პაატაშვილი, გულიკო ოდიშარია, მარინა დარბინიანი, ილია კევლიშვილი

დგანან – უცნობი, მედეა გალოგრე, ირმა ხარშილაძე, მანანა ხუროშვილი, მარინა თევდორაშვილი, რუსუდან გოცირიძე, სხედან – რომეო ტერ გრიგორიანი, იური ნუცუბიძე, გურამ ცინცაძე, ნუკრი ჟორდანია, კოხტა ჟღენტი, ლავრენტი ჭელიძე, ჟენია ჭავჭავაძე

გარდა ამისა, ილია კევლიშვილმა – როგორც ტელე და რადიომაუწყებლობის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ, ათასობით თანამშრომლის ოჯახი იხსნა შიმშილისა და დამამცირებელი ყოფისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვეტერანებს. გახსნა მათთვის უფასო სასადილოები, მაღაზიები და როგორც სიტყვით, ასევე ფინანსურად ეხმარებოდა (ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ) ხშირად უხელფასოდ, უსახსროდ დარჩენილ თანამშრომლებს.

სამწუხაროა, რომ რადიოს პირველი არხის რეორგანიზაციას შეეწირა მისი , როგორც ჟურნალისტის კარიერა, ასევე პროფკავშირების საჭირო და აუცილებელი საქმიანობაც.



ჯემალ მელქაძე

იუბილარი ჯემალ მელქაძე 60 წლის გახდა

თითქმის ოცი წლის მანძილზე, საქართველოს რადიო-მსმენელები **ჯემალ მელქაძეს** იცნობდნენ როგორც თბილი, ხავერდოვანი ხმის, სასიამოვნო ტემბრის მქონე დიქტორს.

საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდი“ ინახავს რამდენიმე ასეულ ჩანაწერს, რადიოდადგმასა თუ რადიოსპექტაკლს ჯემალ მელქაძის მონაწილეობით. ამავე დროს, ის მრავალი საინტერესო გადაცემის ავტორია და საბავშვო სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორი.

თითქოს სულ ახლახანს იყო, როცა დავით ცხაკაიამ (1953 წ.) რადიო-გადაცემის „პიონერთა დაფიონის“ წამყვანად მიიწვია პატარა ჯემალი და მისი პირველი ნათლობაც რადიოში შედგა.

შემდეგ იყო ვახტანგ ჭაბუკიანის სახ. საბალეტო სკოლა, შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი. საკუთარი თავის ძიებით აღსავსე წლები: თბილისის მოზარდ მაყურებელთა, ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის, ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრები. სამსახიობო ოსტატობის ამაღლება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადაზე და ბოლოს, 80-იანი წლების საქართველოს რადიოს დიქტორობის ტკბილ-მწარე წლები.

ჯემალ მელქაძე
და ნინო ბერიაშვილი

დათო უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე,
ჯემალ მელქაძე

ბევრმა არ იცის, რომ ახალგაზრდობაში ჯემალი ალპინისტი იყო – ალ. ჯაფარიძისა და მარინე უთმელიძის მოწაფე. ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს მთა-ბარი. 10 წელი მუშაობდა თეატრ „ვერნისაჟში“, რუსეთის ტელე–კინო ვარსკვლავებთან ერთად ხშირად კითხულობდა ქართველი პოეტების ლექსებს...

კიდევ მრავალი საინტერესო რამის თქმა შეიძლება ჯემალ მელქაძეზე, მდიდარი ბიოგრაფიის მქონე ადამიანზე, რომელიც მთელი თავისი პოეტური თუ რომანტიკული ბუნებით ავსებს საქართველოს რადიოს. მისი თბილი, მოსიყვარულე გულის ძგერა თითქოს მთელ საქართველოს ეს-

ჯემალ მელქაძე, „შოთაობაზე“ ვარძიაში

მის... ჯემალის პორტრეტს მისი კოლეგებიც ახალი „შტრიხებითა“ და მილოცვით ავსებენ.

რადიოს გენერალური დირექტორის მოადგილე **მანანა ხვედელიძე** – სრულიად წარმოუდგენელია, რომ ჩვენს ჯემალს 60 წელი შეუსრულდა. ეს წლები დატვირთული იყო მისი ახალგაზრდული შემართებით, საინტერესო ურთიერთობებით, გადაცემებით, შეხვედრებით, ადამიანური სითბოთი, რომელსაც ასე უხვად გასცემს თვითონ ჯემალ მელქაძე. ეს არის კაცი, რომელიც მუდამ სიმართლით ცხოვრობს. ვუსურვებ მას დაგროვილი ახალგაზრდული ენერგიის საკუთარი ერის სასიკეთოდ ხარჯვას... და შემოქმედებითი პოტენციალის კიდევ უფრო წარმოჩენას... ის ხომ ჯერ კიდევ სიმწიფის ასაკშია!

მანანა ხვედელიძე

ლამარა კიკილაშვილი – ჯემალი დაუდგრომელი, მოძრავი, მაძიებელი ბუნების კაცია. მასთან შეხვედრა ხომ ყოველთვის ძალიან მიხარია. მას თავდავიწყებით უყვარს ქართული პოეზია, არის მისი უბადლო მცოდნე და დეკლამატორი.

გული მწყდება რომ რადიოს აღარა აქვს ძველებური სახე, თითქოს ჩემს თვალწინ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა... საქართველოს რადიოს დიქტორებთან ერთად გამოვიარე თითქმის მთელი ცხოვრება. ჩემთვის მათთან ყოველი შეხვედრა ხომ „სულის მოთქმა“ იყო. საუბარი, კამათი ჭეშმარიტ პოეზიაზე, მწერლობაზე... მეც ვუერთდები ყველას დალოცვას და სულითა და გულით ვუსურვებ ჯემალ მელქაძეს ყოველივე კეთილსა და ამაღლებულს პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლამარა კიკილაშვილი

თინა ელბაქიძე – ჯემალის მთავარი გატაცება მხატვრული კითხვაა, ამიტომაც დღემდე ვერ შელევია რადიოს.

თინა ელბაქიძე

ფანატიკურადაა შეყვარებული თავის საქმეზე, უერთგულესი დიქტორია. ხშირად დილის 6 საათიდან მოსულს, ღამის 12 საათამდეც უწევდა მუშაობდა... იყო დრო, საქართველოს რადიო ცნობილი დიქტორების გარეშე წარმოუდგენელი იყო. რადიო გაიგივებული იყო დიქტორებთან. რადიო იყო არა მარტო სახელმწიფოს იდეოლოგიის გამომხატველი, არამედ მისი ენის, კულტურის, მიღწევების პროპაგანდისტიც.

მე მიხარია, რომ ჯემალი თავის პროფესიონალიზმს, სიყვარულს უზიარებს, ასწავლის ახალგაზრდა თაობას!

დალოცვილი იყოს მისი გზა ამ საქმეში.

ნათელა ბერიკაშვილი – მინდა გავიხსენო ის მძიმე პერიოდი, როდესაც ღამით შინ დაბრუნებაც გვიჭირდა დიქტორებს. დღე და ღამეს ლამის აქ ვატარებდით. ჯემალს შინიდან მოჰქონდა უზარმაზარი ზურგჩანთა, რას არ ნახავდით შიგ: ყავას, ჩაის, შაქარს, პურს... ყველას ლუკმას გვიყოფდა და ამით იყო კმაყოფილი, ყველას მიმართ ყურადღებას იჩენდა... არ ავიწყდებოდა თავისი საყვარელი წიგნები; საქართველოსთვის მძიმე დღეებში პოეზიით, ლექსით ითქვამდა და ითბობდა სულს!

ყველაზე ნათელი და ლამაზი ფერების ადამიანია ჯემალი. დიდი გული აქვს, რაშიც, ალბათ, მთელი საქართველო დაეტევა!

რადიოპროგრამების კოორდინატორები – **თამარ ბერიშვილი, დალი დვალიშვილი** – ჯემალი არის უაღრესად განათლებული, ღვთისნიერი პიროვნება, გულუბრყვილობამდე კეთილი და უანგარო. დიდთან – დიდია, პატარასთან – პატარა. კარგი მეოჯახე, ორი კეთილშობილი ვაჟკაცის გამზრდელი, ყველას – როგორც იტყვიან, „გაჭირვების ტალკვესი“ არაჩვეულებრივი თამადა. ჩვენ მოწმენი ვართ, როცა უცნობ ადამიანს ისე მოეწონა ჯემალის თამადობა, რომ შვილის ქორწილის გაძღოლაც კი შესთავაზა... და ვინ მოსთვლის ჯემალის სიკეთეს...

მილოცვებში სიამოვნებით ერთვებიან: **იზო გუგუტიშვილი, მზია ფარცვანია, ზინა მჭედლური, მარინე დარბიანიანი, ნანა ჯორჯაძე, თამარ ბერიშვილი, დალი დვალიშვილი, თინა**

ჭეჟია, ლალი არქანია, ხათუნა ბაქრაძე, ლია ციხელაშვილი, მეგი მაღლაფერიძე, მერაბ შარიქაძე და სხვები...

არ მინდოდა, რომ ჩემი დღევანდელი გმირის პორტრეტი რეალობას მოწყვეტილად და იდეალურად წარმომომეჩინა, მაგრამ ამ სიკეთის, თანაგრძნობის დეფიციტის პირობებში, ჯემალი, მართლაც რომ, თითქოს თავიდან აღმოვაჩინე, როგორც სიკეთის შუქით განათებული უკეთილშობილესი ადამიანი.

ავტორი ***ნუნუ დალაქიშვილი***

დგანან მარცხნიდან: თინა ჭეჟია, ხათუნა ბაქრაძე, მეგი მაღლაფერიძე და დიქტორი მერაბ შარიქაძე.

სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: მერი მიქელაძე, მარიკა ჩახავა, ქეთო ლანდია, მაგუ ურუშაძე, ნუცა ერისთავი. დგანან მარცხნიდა მარჯვნივ: ქეთო გეჯაძე, ციალა შუბლაძე, რევაზ ჩხაიძე, ელენე ტაბლიაშვილი, ჯემალ მელქაძე

ირაკლი აბაშიძე და ჯემალ მელქაძე

ჯემალ მელქაძე, ქეთო ლანდია, მარიკა ჩახავა

ჯემალ მელქაძე რადიოსტუდიაში

ნათელა ბერიკაშვილი

ცოცხალია ჩემს გულში მზიცოცხალი ლაშქარი...

ადრე მის გულში ჩამწვდომ, გამორჩეულ ხმას უფრო მეტად აფხაზეთში იცნობდნენ. იგი საქართველოსა და აფხაზეთის რადიოს დიქტორი იყო, ყოველდღიურად ათასობით ოჯახს ამცნობდა ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს, ხალხის ტკივილს და სიხარულს.

დრამატული, ღრმა და დამაფიქრებელია სოხუმიდან დევნილი ამ მშვენიერი ქალბატონის ხმის ტემბრი, შიგ სულში წვდება ყოველი სიტყვა, ყოველი ნათქვამი. მაგრამ არ გეგონოთ ცხოვრებაში სევდას იყოს დანებებული. მსუბუქი იუმორი, ხალისიანი განწყობილება ქალურობის ყველა ატრიბუტით – სიკეთით, სინაზით, მიმზიდველობითა და კდემამოსილებით – ყოველთვის მისი თანამგზავრია.

მისი ყოველი გამოჩენა რადიოში ერთგვარი დღესასწაულია, სილამაზის, სილაღისა და ფერების დღესასწაული... გაიღიმეთ! – აი, მისი მარადიული მოწოდება!

რა იმალება ამ დრამატულ, სევდიან ხმაში? ამ ორიგინალურ ჩაცმულობაში? ამ ნათელ ღიმილში?

ჩვენს საუბარში ერთვება საქართველოს რადიოს დიქტორი, ღირსების ორდენით დაჯილდოებული, ნამდვილად ღირსეული პიროვნება, საქართველოს სახალხო არტისტი, **რევაზ თავართქილაძე** – ნათელა მხიბლავს, როგორც კარგი პიროვნება და კარგი ადამიანი, რაც ასე დეფიციტია დღეისათვის. ის მე მაგონებს ორ ფრონტზე მებრძოლ ქალს. მას ლტოლვილის სული არა აქვს... ის არაჩვეულებრივად სამართლიანი და პირდაპირი ქალია, ბედთან მებრძოლი... და ყველაფერი ეს ერთად აღებული, ეხმარება მას

რევაზ თავართქილაძე, თინა ელბაქიძე, თინა ჭეჟია

დგანან – ლევან ყავლაშვილი, ლია ძიძიგური, სხედან: უცნობი, ნათელა ბერიკაშვილი, მაგუ ურუშაძე, თინა ელბაქიძე, მედიკო გეგეშიძე, ნანა სანიკიძე

თავისუფლად ესაუბროს რადიოს მსმენელებს... მისი წყნარი და დინჯი კითხვა ხშირად სევდიანია, დამაფიქრებელი და ღრმა.

ნათელა ბერიკაშვილი – მიყვარს ყვითელი ფერი, იმიტომ რომ ჩემს სულში, ჩემს გულში, მამიას სიყვარული მზისფერად დარჩა... ყვითელი ფერი, მოლოდინის ფერიცაა... მეც ველოდები, იმ დიდ სიხარულს, რომელიც აფხაზეთში დაბრუნებით მოვა...

თვალში ცრემლი აუციმციმდა... კომპოზიტორი მამია ბერიკაშვილი მისი მეუღლე იყო. ვთხოვ, ცოტა რამ გვიამბოს მის შესახებ.

– ჩვენ შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი, ერთი ნახვით შეყვარება რომ ჰქვია, სწორედ ისე დაგვემართა. მან კონსერვატორია დაამთავრა, მე უცხო ენების ინსტიტუტი და სამუშაოდ წავედით სოხუმში... 1968 წლიდან კი რადიოს დიქტორი ვარ.

ლევან ბერიკაშვილი

შევქმენით ტკბილი, მოსიყვარულე ოჯახი... გვეყოლა ორი ვაჟი: უფროსი მამუკა (ბერიკა), რომელიც ამჟამად რადიო „აუდიენციის“ დიჯეია, უმცროსი ლევანი კი რუსთაველის თეატრის მსახიობია...

რადიოს თანამშრომლები: ია ციხელაშვილი, მამუკა ბერიკაშვილი, თინა ჭეჟია, გია ჯოხაძე

სამწუხაროდ, ჩემი მეუღლე სოხუმის დაცემამდე გარდაიცვალა... ვეღარ გაუძლო აფხაზეთისა და ქართველების ასეთ დაპირისპირებას...

შემდეგ ქ-ნი ნათელა მომიყვა იმ ბედნიერ წლებზე, რომელიც სოხუმში გაატარა... იმ არაჩვეულებრივ საღამოებზე, როდესაც თითქმის მთელი სოხუმის ელიტა, კულტურული საზოგადოება, მათ ოჯახში იყრიდა თავს... მერე კი ომმა დაუნდობლად დაანგრია ეს სიხარული, დაკარგა სახლ-კარი, სამსახური და ერთი ხელჩანთით ჩამოვიდა თბილისში...

– რას ნიშნავს თქვენთვის რადიო?

– რადიო ჩემი მეორე ოჯახია, მასთან სიხარული, გულისტკივილი და მონატრება მაკავშირებს... ვერ წარმომიდგენია, მიკროფონთან არ მივიდე და არ გამოვაცხადო: „ეთერშია აფხაზეთის რადიო“ ან „ლაპარაკობს თბილისი“; ხომ ვიცი, როგორ მოელიან ჩემს ინფორმაციას ლტოლვილები, მთელი საქართველო...

ეს არის მთელი ცხოვრება, სიცოცხლე... უამისოდ ვერც წარმომიდგენია ჩემი არსებობა...

როგორც წესი, თავის ცუდ განწყობაზე, დეპრესიაზე არ ლაპარაკობს... ყოველი დღე დაგეგმილი აქვს. ცდილობს საზოგადოებაში იტრიალოს, არ გამორჩეს მეგობრის დაბადების დღე, უყურადღებოდ არ დატოვოს ბიჭები, რომლებიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ... შვილიშვილებიც ხომ გარკვეულ დროს მოითხოვენ...

– თქვენი აზრით, მაინც რა უნდა აძლევდეს ქალს იმ ენერგიას, რაც თქვენ ასე ულევად გაქვთ?

– სიყვარული. დიახ, კიდევ და კიდევ სიყვარული!... ცალკეულ გატაცებებს მე ვერ შევადარებ ნამდვილ სიყვარულს, რომელიც მხოლოდ ოჯახურ ურთიერთობაში გამოიწვრთნება, უფრო ღრმა და ხანიერია... ჩემს მეუღლესთან გატარებული ბედნიერი დღეების, მისი სიყვარულის შეგრძნებით... იმით, თუ როგორი პიროვნება იყო, რა სათუთი იყო ჩემდამი, შვილებისადმი, – აი, ამ მოგონებებით ვსულდგმულობ და სწორედ ეს მაძლევს იმ ენერგიას, რომ არ დავკარგო ჩემი ქალური ღირსებები...

ნათელა ბერიკაშვილი სიგარეტს უკიდებს, თითქოს ცრემლიც მოეძალა. ფერადი თვლებით მოოჭვილ პატარა ვერცხლის სანთებელას ხელში ატრიალებს... ტანსაცმელთან გემოვნებით შერწყმულ არასტანდარტულ, ორიგინალურ სამკაულს ატარებს...

– იცით, ჩემს სამკაულებს მე თვითონ ვიგონებ, ვქმნი... ისე, უმეტესობა სოხუმში დამრჩა... მაგრამ მიყვარს ჩემი გემოვნებით შერჩეული კაბაც, პალტოც, თითქმის ყველაფერს ჩემი ხელით ვიკერავ და ამიტომაც გამოდის ორიგინალური... ბევრი სამკაული ჩემი ქმრის ნაყიდია და თილისმასავითაა. დავხედავ მათ და მაგონდება ჩემი მამია, ის მარტო მეუღლე როდი იყო, ის იყო ჩემი ცხოვრების პრინცი, რაინდი, რომელსაც ველოდი, რომელზეც ვოცნებობდი... და იმ წლებმაც საოცრად სწრაფად ჩამიქროლეს... ახლაც მინდა ხოლმე ვინმეს შევადარო... მაგრამ მისი ნიჭი, ადამიანურობა, მისი არისტოკრატული მანერები სულ სხვა იყო...

მის გვერდით ისე ვგრძნობდი თავს, როგორც არწივის ფრთის ქვეშ შეფარებული ფრინველი...

ჩვენი სიყვარული სხვებისთვის სამაგალითოც იყო და მისაბაძიც... ასეთ მაგალითზე თაობები იზრდებიან (თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა)... კარგი მომლხენი იყო, საუკეთესო თამადა... არაჩვეულებრივი სიტყვა-პასუხით გამორჩეული.

საუბარი დავამთავრეთ და გარეთ გამოვედით... გარეთ შემოდგომის ფერები იბადებოდნენ... სიხარულისა და სევდის ფერები... მათ შორის ყველაზე მეტად ანათებდა ყვითელი ფერი, – სიყვარულის, მოლოდინის ფერი... ფერი, რომელიც ქალბატონ ნათელას გულში მზისფრად დარჩა...

ინტერვიუს უძღვებოდა
ნუნუ დალაქიშვილი

დარეჯან გულიაშვილი

პირველი რვდიო დიჯეი – ლარეჯანი – როკიც „ლელა ცერეწვა"

დიდხანს იმღეროს შენმა ხმამ ტკბილმა,
დალაშქროს ბარი, დალაშქროს მთები
და მე, აკაკი, მუდამ ერთგული
შენი სიმღერის მეხოტბედ ვრჩები.

აკადემიკოსი აკაკი სირგილაძე, 13 ივლისი, 2006 წ.
დარეჯანის დაბადების დღე

გვსურს აღვნიშნოთ დარეჯან გულიაშვილის წვლილი, როგორც თანამედროვე რადიოს წამყვანის (დიჯეის) ტიპის დამკვიდრების საქმეში. მას ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალური სახე. ეთერიდან მოდიოდა უაღრესად დადებითი მუხტი, ენერგია და ხალისი. თავად მშვენიერი კომპოზიტორი და შემსრულებელი უამრავ თაყვანისმცემელს იძენდა მსმენელებს შორის. მისი სიმღერებიდან აღსანიშნავია „მე და შენ", „ჩემო ლურჯთვალებავ" და სხვა.

დარეჯან გულიაშვილი, ჯემალ მელქაძე

დარეჯანის დედა – ნათელა ბიძინაშვილი კარგად მღეროდა, შესანიშნავი სმენა ჰქონდა, მამა – ნიკოლოზ გულიაშვილი, უკრავდა ფორტეპიანოზე, პაპა – მიხეილ ბიძინაშვილი იყო მარო არჯევანიშვილის გუნდში პირველი მუსიკოსი, რომელმაც გუნდში სტვირი შეიტანა. ამავე გუნდში მღეროდა ბიძამისი – თენგიზ ბიძინაშვილი, აგრეთვე დარეჯანის ბებიდა – ოლია სულიკაშვილი, რომელიც თბილისის საოპერო თეატრის მომღერალი იყო.

დარეჯან გულიაშვილი ჩვენი სევდა და ტკივილია. ის, 2000 წლის 26 სექტემბერს, 40 წლის ასაკში განეშორა ამ წუთისოფელს და ზეციურ

დარეჯან გულიაშვილი

სოფელში გადასახლდა. 35-ზე მეტი სიმღერა ჰქონდა დაწერილი, უმეტესობას საკუთარ ტექსტზე ქმნიდა.

მრავალი მათგანი დღემდე ინარჩუნებს მოწონებას: „წვიმს", „მცხეთა", „ოცნება", „ლურჯი ზღვა", „უთქმელი სიტყვები", „ჩემო ლურჯთვალებავ", „შენთვის მინდა ვიმღერო"... უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის გამო, ჩვენ მისი განუმეორებელი სიმღერები და უზომოდ დიდი სინანული დაგვრჩა...

ზაალ უდუმაშვილი

დარეჯანი საქართველოს რადიოში 1990 წელს მოვიდა. მისი პირველი გადაცემა იყო „როკი ნაშუაღამევს". „როკი, სმოკი და..." თავდა-

პირველად გადაცემა დარეჯანს სერგი გვარჯალაძესთან ერთად მიჰყავდა, შემდეგ კი სანდრო ჭელიძემ შეცვალა, ხოლო მოგვიანებით მის პარტნიორად ზაალ უდუმაშვილიც აღმოჩნდა.

დარეჯანს ბევრი კარგი მეგობარი ჰყავდა, განსაკუთრებით გამორჩეული იყო კომპოზიტორი – მაია გოქსაძე, რომელიც დარეჯანს უკანასკ-

მაია გოქსაძე და დარეჯანი

კაკო ვაშალომიძე

ნელ დღემდე არ მოსცილებია და მას საფორტეპიანო პიესა „ფიქრთა ფიქრი“ უძღვნა.

დარეჯან გულიაშვილის სიმღერების უმეტესობა გია მაჭარაშვილის არანჟირებით არის შესრულებული. ასეთი ყურადღებისა და სითბოს გამო, დარეჯანი დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა გიას. მოგვიანებით მის სასიმღერო რეპერტუარში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კაკო ვაშალომიძემ, რომელმაც აკუსტიკური გიტარით გაალამაზა მისი სიმღერები. კაკო ვაშალომიძის წყალობით დარეჯანმა მრავალი უცნობი მომღერალი მოძებნა და ე. წ. იატაკქვეშეთიდან ამოიყვანა, რადიოს საეთერო სტუდია დაუთმო, რისთვისაც მას ქართული როკის „დედა ტერეზა“ შეარქვეს.

მასალა მოამზადა ***ნუნუ დალაქიშვილი***

ფონდის მოამაგენი

მოგვითხრობს რადიოს აუდიო ფონდის რედაქტორი **ნუნუ დალაქიშვილი**.

1984 წელს, როდესაც ტელერადიომაუწყებლობაში დავიწყე მუშაობა, აუდიოფონდის რედაქტორობაზე, წარმოდგენა არ მქონდა, ღმერთმა რა საოცარი გამოცდის წინაშე დამაყენა. განყოფილებაში იყო მკაცრი დისციპლინა, სიმკაცრე დაგვიანებაზე, პუნქტუალობა საქმეში, რაც მე, სიმართლე გითხრათ, არც ხასიათში და არც აღზრდაში არ მქონდა.

ხელოვნების, რადიოს სიყვარულმა მიმიყვანა ამ საოცარ სამყაროში, რასაც „უხილავი ხმების საუნჯე“ ერქვა.

ბატონი აკაკი ურუშაძე განყოფილებას ხელმძღვანელობდა ძალიან უნარიანად, გონივრულად, ერთგულებით. ამ სურათზე აღბეჭდილი ბიბლიოგრაფიის შემსწავლელი სტუდენტები

სხედან: ევგენია ხახიაშვილი, ლილი გოგებაშვილი, აკაკი ურუშაძე, გულსუნდა მჟავია, მზია აბესაძე. დგანან: ზოია გაბისონია, ციცინო მათიაშვილი, ანა ელიაშვილი, მაყვალა ელიაშვილი, გულიკო ტალიაშვილი.

ე. წ. პრაქტიკაზე მყოფი ახალგაზრდები, შემდეგში ფონდის მოამაგე მუშაკები გახდნენ. მრავალი მათგანი 1968 წლიდან 2004 წლამდე რადიოს ე. წ. „რეორგანიზაციამდე“ მუხლჩაუხრელად მუშაობდა. სამუშაო კი ფონდში მრავლად იყო. მე პირადად მევალებოდა: როგორც საკავშირო რადიოდან გამოგზავნილი მაგნიტოჩანაწერების, ასევე ადგილობრივი რედაქციების მიერ მომზადებული (როგორც მონო, ასევე სტერეო) ჩანაწერების საინვენტარო ჟურნალში გატარება რეგისტრაციაში და საკატალოგო ბარათების მომზადება-გამრავლება, რედაქციისთვის გადაცემა, მოსმენა, გაშიფვრა და სხვა...

თუ წარმოვიდგენთ, რომ ფონდში დაახლოებით მილიონ-ნახევრამდე ჩანაწერი იყო და ყოველი მათგანი, ყოველდღე ითხოვდა ჩვენს ყურადღებას (ტემპერატურისა და ტენიანობის შემოწმებას ფირსაცავში, ახლად შედგენილი ბარათების ჩაწყობას კატალოგში, ჩანაწერებზე ნომრების მიბეჭდვას, მათი ეთერში გადაცემის ორგანიზაციას, სააპარატოდან ჩანაწერის დროულად დაბრუნებას, განაცხადების საფუძველზე ფირების გაცემას, დაზიანებული დედნების სასწრაფოდ აღდგენას, რედაქციებიდან მიღებული ჩანაწერების ადგილებზე დაბრუნებას და მრავალი სხვა), მოვლა-პატრონობას, მტვრის გადაწმენდას, დაწყობა-გადაწყობას, გადახარისხებას, ნომრებისა და შინაარსის მიხედვით რადიო თითქმის 24 საათი მაუწყებლობდა... ოცი წლის მანძილზე მე ვნახე ამ მუშაკების თავდადებული, გმირობის ტოლფასი შრომა... ეს თავდადებაც ამ მამულიშვილური და საპასუხისმგებლო საქმიდან გამომდინარეობდა.

ფონდში ყოველთვის იყო საქმე, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ მოიმატა, როცა ეროვნული მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში, მრავალი წუნიანი ჩანაწერი (კომუნისტური იდეოლოგიით გამსჭვალული) გახდა ჩამოსაწერი! ყოველივე ამის პარალელურად ხდებოდა 76 სიჩქარეზე ჩაწერილი დედნების გადაწერა, განახლება სპექტაკლებისა, რადიოდადგმების აღდგენა.

დგანან: ცირა დურგლიშვილი, იამზე სოლოღაშვილი, ციცინო ხუტაშვილი, ნუნუ დალაქიშვილი. სხედან: ლილი გოგებაშვილი, ციცინო მათიაშვილი, მაგული მჟავია, მზია აბესაძე, ნატო კოშაძე, ეკა რეხვიაშვილი, ხათუნა ბაქრაძე

რა არ გამოვცადეთ ყველამ ერთად: უშუქობა, უხელფასობა, უტრანსპორტობა, ომები და რევოლუციები... ფონდის მოამაგენი კი თითქოს „გრაალის მცველებივით“ ფეხს არ იცვლიდნენ... ლოცულობდნენ, მუშაობდნენ და უკეთეს დროს ელოდნენ.

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი როგორც ჩვენ, ასევე ამ ზემგრძნობიარე ფირებსაც დაეტყოთ. გაჩნდნენ „ერთჯერადი“, სიცოცხლის უნიკალური ჩანაწერები. ნელ-ნელა წავიდნენ ფონდიდან მისი მოამაგეები და მათ ახალი თაობა და ციფრული კომპიუტერის გული და გონება

სხედან: ნუნუ ქარქუზაშვილი, ზინა შეროზია, ციცინო მათიაშვილი (განყოფილების უფროსი), ლილი გოგებაშვილი. დგანან: ნუნუ დალაქიშვილი, მაგული მჟავია, მზია აბესაძე, ციცინო ხუტაშვილი

ჩაენაცვლა. მე კი მინდა ყველამ იცოდეს ის, რაც ახლა არის ძველი კატალოგი, ძველი ჟურნალები, მილიონ-ნახევრამდე საეთეროდ გამზადებული ჩანაწერი, ეს ყველაფერი ამ ხალხის შრომით, ერთგულებით და პროფესიონალიზმით არის შენარჩუნებული.

ლილი გოგებაშვილი სტუდენტებთან ერთად ფირსაცავში

სხედან: მანანა დალაქიშვილი, აკაკი ურუშაძე, ნუნუ დალაქიშვილი. დგანან: თეა გულუა, ცისანა ხუტაშვილი

ფონდის ფონოთეკარი – ლილი გოგებაშვილი (დღემდე ემსახურება საყვარელ საქმეს)

სიტყვა ახალ თაობას ეკუთვნის! მე ღრმად მწამს, მიუხედავად იმისა, რომ რადიოს „ოქროს ფონდი“ არქივად არ გადაკეთდება და ჩვენს მსმენელს ხშირად ექნებოდა იმის საშუალება, რომ უფრო დიდხანს, უფრო ხშირად ესმინათ რადიოთი იმ ღვაწლმოსილი ადამიანებისათვის, რომელთა უმრავლესობაც თბილისის წმინდა მიწაში განისვენებს და ისინი ყოველთვის „თანამდევნი იქნებიან“ თავისუფალ საქართველოს ისტორიისა!

P.S. გულწრფელად ვთხოვ პატიებას იმ ადამიანებს, ვინც თავისი ტიტანური შრომით, ერთგულებით, რუდუნებით ქმნიდნენ რადიოს „ხმოვან მატიანეს“, იმ უნიკალურ ჩანაწერებს, რითაც ახლა ჩვენ თავს ვიწონებთ; და მათ წინაშე თავს მოწიწებით ვხრი, ვინც ამ წიგნში ვერ წარმოჩინდა... სულგრძელად მაპატიონ, რადგანაც ე. წ. „რეორგანიზაციის“ გამო, ღვთისგან მონდობილი ეს წმინდა საქმე ბოლომდე ვერ აღვასრულე! ღმერთია მოწამე, ძალა და ენერგია არ დამიზოგავს, რომ ყოველი მასალა ღირსეულად წარმოჩენილიყო მკითხველის წინაშე.

ნუნუ დალაქიშვილი

ბოლოსიტყვაობა ყველა მიდევნებული ლამპარივით...

წელს საქართველოს რადიო იუბილარია – ის 85 წლის გახდა... ჩემი წიგნიც მას მივუძღვენი.

რადიო ბავშვობიდანვე ჩემი თანამდევი იყო... მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებული მამაჩემისთვის რადიო იქცა სასიხარულო (ხან ყალბი, ხან მართალი) ინფორმაციის, გამარჯვებების (შრომის, ბრძოლის, წინსვლის) სიმბოლოდ...

რადიო იყო არა მარტო ჩემი ოჯახის რელიკვია, არამედ მთელი საქართველოს სასურველი სტუმარი, ახლობელი, მეგობარი, გულის მესაიდუმლე...

ვიღვიძებდით და ვიძინებდით რადიოს ხმაზე. რადიოს მოჰქონდა სხვადასხვა ხალხის კულტურის, ისტორიის ნაირნაირი ამბები, სიმღერები. დილიდან საღამომდე ეთერში მონაცვლეობდა კლასიკური, საესტრადო და ხალხური მუსიკა... შეიძლება ითქვას, რომ მამის ასეთი სიყვარულის გამო, რადიოს მეც „შევეზარდე“.

მრავალი საბავშვო გადაცემის, სპექტაკლის კონცერტის დრო ზეპირად ვიცოდი; ვინ უკრავდა, ვინ მღეროდა, ვინ – ვინ იყო.

რადიოს საშუალებით გავეცანი კლასიკურ მუსიკას, ხალხური სიმღერების შემსრულებლებს, ასევე საესტრადო სიმღერების პირველ ვარსკვლავებს, ხმებით ვცნობდი მსახიობებს, მწერლებს, დიქტორებს, მომღერლებს...

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჟურნალისტური ბედის წყალობით, რადიოს აუდიოფონდის რედაქტორად დავიწყე მუშაობა. თუმცა მანამდე ტელევიზიის სხვადასხვა რედაქციებში (1982-1984 წწ) 45-მდე გადაცემა და სიუჟეტი მქონდა მომზადებული. 1984 წლიდან 2004 წლამდე უკვე დაახლოებით, ალბათ, 20 ათასამდე ჩანაწერი მქონდა მოსმენილი და შესწავლილი.

ვუსმენდი რადიოდადგმებს, სპექტაკლებს, იუბილეებს, გამოსვლებს, სხდომებს, ყრილობებს... ხშირად მიხდებოდა უცნობი ხმების ამოცნობა, გვარისა და სახელის მითითება მაგნიტოჩანაწერის ყდაზე, რათა შემდეგში გვცოდნოდა ამა თუ იმ ჩანაწერის შინაარსი... მისი ღირებულება, მნიშვნელობა...

მალე ჩამოყალიბდა საკვლევ-საძიებო ჯგუფიც, რომელიც იკვლევდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ-მუსიკალურ ჩანაწერებს. მასში შედიოდნენ: ნინო ჟღენტი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ნარგიზა ბარბაქაძე, ნანა რუხაია, ნათია ლომთაძე, ხათუნა ბაქრაძე... და ჩემი აზრით, აკეთებდნენ საშვილიშვილო საქმეს!

რადიოს „ოქროს ფონდის“ უნიკალურ ჩანაწერებზე მუშაობისას, თითქოს კვლავ ჩემს უდარდელ, სანუკვარ ბავშვობას და საყვარელ ხმათა უხილავ სამყაროს დავუბრუნდი; რაც უფრო კარგად ვეცნობოდი აუდიო ფონდის ჩანაწერებს, ვგრძნობდი, რომ ქართული გენის, ქართველი ხალხის სულის სათუთ ფესვებს ვეხებოდი... ამ ფესვებიდან უნდა ამოზრდილიყო თავისუფალი საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოს მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, განათლება...

რადიოს აუდიო ფონდის რედაქტორობა დიდ და საპატიო საქმედ მიმაჩნდა... მრავალი სიძნელე, პოლიტიკური ქარტეხილი, რომელიც ქვეყანაში სუფევდა, ჩემი საყვარელი საქმის ერთგულებამ დამაძლევინა. თითქოს ზღაპრულ ხეს ჯადოსნურ ფესვებში ჩავყევი და ამ უფანჯრო, რადიოჩანაწერის საცავების სარდაფების ე. წ. „რადიოკარცერში“ ჩემს უძვირფასეს ჩანაწერებთან, ხმების, მუსიკალური შედევრების უხილავ სამყაროში ვცხოვრობდი.

მაშინდელ ტელერადიომაუწყებლის „გაზეთ 2X2“-ის დაარსებასთან ერთად, გაზეთის რედაქტორის მიხეილ მჭედლიძის წყალობით, წელიწად-ნახევრის განმავლობაში (2000 წლიდან 2002 წლამდე) თითქმის ყოველ კვირას ვბეჭდავდი და გაზეთის მკითხველს ვაცნობდი რადიოს „ოქროს ფონდის“ შედევრებს: გამოსვლებს, ინტერვიუებს, მოგონებებს; წმინდა ხმებს საგაზეთო პუბლიკაციებად ვაქცევდი და ბატონ მიხეილ მჭედლიძეს „გაზეთ 2X2“-ის მაშინდელ რედაქტორს, უღრმეს მადლობას მოვახსენებ, ამ საშვილიშვილო საქმეში ხელის შეწყობისთვის.

და აი, რადიოს 85 წლისთავამდე ამ წმინდა ჩანაწერებმა ერთ წიგნში მოიყარეს თავი და დიადემასავით მოირგეს ეს სახელწოდება „საუკუნის ხმები“. ამ წიგნში წარმოჩნდებიან ის რადიოჟურნალისტებიც, რომლებმაც თავისი მაღალი ზნეობით, მაღალპროფესიონალურად, სუფთად განვლეს რადიოჟურნალისტის წმინდა, საპატიო, თუმცა მძიმე გზა და იმედი მაქვს, რომ მათი მოპოვებული უნიკალური ხმები, ჩანაწერები, საქართველოსთან ერთად მარადიულად იცოცხლებენ და იარსებებენ!

ეს კრებულიც მათ „წმინდა კვალს მიდევნებული ლამპარივით“ გაუნათებს გზას ჩვენს მომავალ თაობებს, რათა იცოდნენ – „ვისი გორისანი არიან!“ და „რა განძი გვქონია!“...

სარჩევი

დაუვიწყარი ხმები **(ელდარ იბერი)** ... 3

სასიქადულო მამულიშვილები

პირველკურსელებო, გილოცავთ სტუდენტობას! **(ანზორ გელაშვილი)** ... 5
საქართველოს ავტონომიის საკითხი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა... **(აკაკი ბაქრაძე)** ... 7
საქართველო არ უნდა ცხოვრობდეს სხვისი იმედით... **(ზინა მჭედლური)** ... 9
თუ გიყვართ სამშობლო, უნდა დაიცვათ! **(გიორგი კვინიტაძე)** ... 11
სასიქადულო მამულიშვილები **(სიმონ ჯანაშია)** ... 13
კაცი, რომელმაც თავისი საქმით სიცოცხლე გაიხანგრძლივა **(პავლე ინგოროყვა)** ... 15
ქართველ მამულიშვილთა გალერეა **(მიხეილ ჭიაურელი)** ... 17
ნიკოლოზიდან მოყოლებული დღემდე **(შალვა ნუცუბიძე)** ... 19
კირილე ზდანევიჩის და ლადო გუდიაშვილის მოგონებები **(ნიკო ფიროსმანი)** ... 22
ჭეშმარიტების პოვნა უდიდესი და უძლიერესი სიხარულია **(იაკობ ნიკოლაძე)** ... 25

მუსიკოსები, მომღერლები, ლოტბარები

დაე, იმღეროს ერმა **(ბათუ კრავეიშვილი)** ... 28
აი, სად დაიფურცლა მისი დაფნის გვირგვინი **(ნიკო ქუმსიაშვილი)** ... 32
ვანო სარაჯიშვილი ჩემი მეგობარი იყო **(მიხეილ ჭიაურელი)** ... 35
მოგონება ევგენი მიქელაძეზე **(ირაკლი ანდრონიკაშვილი)** ... 38
მათ სიყვარულით „*СЛУХАЧ*“-ებს ვეძახდით **(მერაბ თაბუკაშვილი)** ... 41
მათ გიტარა მუდამ თან ახლდათ **(გოგუცა კუპრაშვილი)** ... 43
რადიომ განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევა **(ლილი გეგელია)** ... 45
სიმღერით გაყუჩებული ტკივილი **(მერი შილდელი)** ... 47
ნანი და მისი სიმღერის „ფენომენი“ **(ნანი ბრეგვაძე)** ... 49
რა ვუყოთ ამდენ გაევროპულებულ ქართულ სიმღერას **(იაკობ ბობოხიძე)** ... 51
ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი **(ძმები ვასილ და ლევან მახარაძეები)** ... 54
მეშინია, არ დავკარგო ნიჭი სიყვარულისა... **(ნინო კრავეიშვილი)** ... 57

ლიტერატურა, კრიტიკა, გამოსვლები

ხმები, რომლებიც მოგვნატრებია **(მაყვალა გონაშვილი)** ... 59
როგორ ჩაიწერეს აკაკი წერეთლის ხმა ... 60
რადიოჟურნალისტ თინა კობალაძის ინტერვიუ ყვარელელ გლეხებთან **(შალვა დადიანი)** ... 61
სიკვდილო, ნუ მეხაფაციცები... **(გურამ მღებრიშვილი)** ... 63
მიმართვა ახალგაზრდობისადმი **(გრიგოლ რობაქიძე)** ... 64
მას სიკვდილამდე ემიგრანტის პასპორტი ჰქონდა **(რევაზ ჯაფარიძე)** ... 65
მამაჩემმა ბევრი ალერსი არ იცოდა **(ვახტანგ რაზიკაშვილი)** ... 68
კარგა ხანს ყანწით ხელში ვლოცავდი „ცისფერყანწელებს“ **(ილია ერენბურგი)** ... 71
აკაკიმ „კოცნის პოეტი“ შემარქვა **(იოსებ გრიშაშვილი)**... ... 74
დარდების განსაქარვებელი პაემანზე... – ობოლ ქართველთან **(იეთიმ გურჯი)** ... 76
გალაკტიონი ცეცხლად იქცა და სინათლედ დაიღვარა **(გურამ ასათიანი)** ... 79
ის მაინც დაბრუნდება... **(გურამ რჩეულიშვილი)** ... 82
მწერალთა შორის ვინც თავის თავს „აპოლიტიკურს“ დაარქმევს **(კონსტანტინე გამსახურდია)** 85
საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი **(ექვთიმე თაყაიშვილი)** ... 87
როდესაც ერი თავის გმირებს არ ივიწყებს **(ანა ანტონოვსკაია)** ... 89
...დროა „ლიტერატორ-ჰეგემონისტებმა“ მოიხსნან სათვალე **(რევაზ ინანიშვილი)**... ... 91
კიდევ ერთხელ სიყვარულზე **(თამაზ ხმალაძე)** ... 93
რატომ არ მიყვარს მიკროფონი **(ნოდარ დუმბაძე)** ... 95

ჩვენ უფლება არა გვაქვს რუსთაველის უკვდავების ხეს ფესვი გავუხმოთ **(ნოდარ დუმბაძე)** 97
ორი ზანგი ბავშვი „ზურიკელა“ და „ზურიკელო“ კუბაში დღესაც ცხოვრობენ **(ნოდარ დუმბაძე)**.... 100
გალაკტიონს „პოეზიის უღლის“ ტარება ლაბა-ხარივით დაჩოქილს მოუხდა **(ნოდარ დუმბაძე)**.... 102
თამადის დალოცვა. ხალხური **(ვასო გოძიაშვილი)** 104
საახალწლო დალოცვა **(გიორგი ლეონიძე)**..... 105
ცა – ჩვენი სულის მისამართია **(ვაჟა ოთარაშვილი)**..... 107

თეატრი, რეჟისორები, მსახიობები

ფოთოლთ გადაშრიალებაში **(ჯემალ მონიავა)**..... 109
დიდი ქალბატონი ვერიკო იხსენებს **(კოტე მარჯანიშვილი)** 110
თეატრისაგან ხალხი მართალ სიტყვას მოითხოვს **(ვერიკო ანჯაფარიძე)**..... 112
თეატრის დიდი ჯავარი და მშვენება **(უშანგი ჩხეიძე)** 114
სტალინი ჩვენს სადღეგრძელოს ფეხზე წამოდგომით სვამდა **(აკაკი ხორავა)**..... 117
ძველი თბილისის ბოჰემა **(ვასო გოძიაშვილი)** 119
გამოსამშვიდობებელი სიტყვა პოეტ იოსებ გრიშაშვილის დაკრძალვისას **(ვასო გოძიაშვილი)**.... 121
ადამიანი, რომელიც სიხარულსა და კეთილდღეობას ხელოვნებაში ეძიებდა **(ვასო ყუშიტაშვილი)**...123
მემწვანილის დუქანსა და ბაზრის ხმაურში დანახული შედევრები **(მიხეილ ჭიაურელი)**..... 125
მისი სიკვდილი იყო გზა უკვდავებისაკენ **(სანდრო ახმეტელი)**..... 127
ვიდრე „ოლღა ბებია“ გავხდებოდი... **(სესილია თაყაიშვილი)**..... 130
ერი უნდა შეინახოს ზნეობრივმა სისპეტაკემ **(ვახტანგ ტაბლიაშვილი)**..... 132
დიდების შარავანდედით მოსილი ქალბატონი **(მერი დავითაშვილი)** 135
ჩემი ლირი დაავადებული იყო ძალაუფლებით... **(აკაკი ვასაძე)** 137
ოთხსაათიანი რეპეტიციის განმავლობაში ორი წყვილი ფეხსაცმელი შეკერა **(სერგო ზაქარიაძე)**... 139
ხშირად იუმორით ვლინდება პიროვნებისა და ერის სულიერება **(სანდრო ჟორჟოლიანი)** 141
ლენინის როლზე კაკო კვანტალიანი მე დავასახელე **(ვახტანგ ტაბლიაშვილი)** 143
„ტომით – უცხო და გულით ქართველი ვარ“ **(იაკობ ტრიპოლსკი)**..... 145
ჩვენი „მამა და მარჩენალი“ **(ტარიელ საყვარელიძე)** 148
პაროდიები **(ემანუელ აფხაიძე)**..... 151
გიორგი შავგულიძე – „ჩვენი ჟორა“ **(თამარ თეთრაძე)** 153
მსახიობობისათვის ერთხელ მწარე სილაც კი ვიგემე **(გოგუცა კუპრაშვილი)** 156
ეროსის ხშირად გაიხსენებენ **(კოტე მახარაძე)**..... 159
ჩვენ „კლასიკური“ მეგობრობა გვაკავშირებდა... **(ეროსი მანჯგალაძე)**..... 162
ღვთაებრივი მედეა **(მედეა ჯაფარიძე)** 164
რა მასმევს ღვინოს **(ვლადიმერ ადამაძე)**..... 168
მარტოობის ბინადარი **(სოფიკო ჭიაურელი)**..... 169
დალეწილი სულის აღსარება – ანუ ჩვენი გალაკტიონი **(ელდინო საღარაძე)**..... 172

1989 წლის 9 აპრილის ღამის მიტინგის რადიოჩანაწერი 174

რადიოს მცირე ისტორია

საქართველოს რადიო 85 წლისაა..... 175
აკაკი ძიძიგურის მოგონება **(უშანგი ჩხეიძე)** 176
ასეთი ბედნიერი და ახალგაზრდული ხმა დავით ძიგუას არასოდეს ჰქონია **(ქეთო ლანდია)**..... 179
ისინი ყველა ჩვენი წამოწყების თანაავტორები იყვნენ **(გივი დვალიშვილი)**..... 182
იუბილარი ჯემალ მელქაძე 60 წლის გახდა **(ნუნუ დალაქიშვილი)**..... 186
სიყვარული ჩემს გულში მზისფრად დარჩა **(ნათელა ბერიკაშვილი)**... 189
პირველი რადიო დიჯეი – დარეჯანი – როკის „დედა ტერეზა“ **(დარეჯან გულიაშვილი)**..... 191

ფონდის მოამაგენი

ფონდის მოამაგენი **(ნუნუ დალაქიშვილი)** 193
კვალს მიდევნებული ლამპარივით... **(ნუნუ დალაქიშვილი)**..... 195

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

N 6121/01 8 12 2008

ქ-ნ ნუნუ დალაქიშვილს

ქალბატონო ნუნუ,

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ განხილულ იქნა თქვენი ა.წ. 2 ოქტომბრის წერილი, რომლის შესაბამისადაც ითხოვთ თანხმობას წიგნის გამოცემაზე. როგორც წერილიდან ირკვევა გამოსაცემი წიგნი მომზადებულია ჩვენთან არსებული საარქივო მასალების გამოყენებით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გაძლევთ თანხმობას წიგნის ერთჯერად გამოცემაზე ამასთანავე გამოცემულ წიგნში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული, რომ წიგნის გამოცემისას გამოყენებულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საარქივო მასალა.

პატივისცემით,

ლევან ყუბანეიშვილი
გენერალური დირექტორი

საქართველო 0171 თბილისი მ. კოსტავას ქ. 68
ფაქსი: +995 32 40-91-15 ტელ: +995 32 40-91-16

68 M. KOSTAVA ST. TBILISI 0171 GEORGIA
FAX: +995 32 40 91 15 TEL: +995 32 40 91 16

წიგნში გამოყენებული მრავალი ფოტო სამწუხაროდ უხარისხოა, მაგრამ, ჩემი მცდელობის მიუხედავად, მათი უნიკალურობის გამო, ვერც ერთ მათგანს ვერ შეველიე.

კირილე ზდანევიჩის, ირაკლი ანდრონიკაშვილის, ილია ერენბურგის, ანა ანტონოვსკაიას, ვერიკო ანჯაფარიძის და სხვათა გამოსვლები რუსულიდან თარგმნა წიგნის ავტორმა – ნუნუ დალაქიშვილმა.

ავტორთან საკონტაქტო ტელ.: 74 71 83, 66 31 08, 857 36 27 66